

თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

ქორნელი დანელია
გურაბ სარჯველაძე

ქართული კალენდრაჟია

გამომცემლობა „ნეკერი“
1997

წიგნში გარკვეული თანმიმდევრობით განხილულია ქართული პალეოგრაფიის ის საკითხები, რომლებიც საინტერესოა არა მარტო სტუდენტთათვის, არამედ ქართველოლოგიური პრობლემებით დაინტერესებულ საეციალისტთათვისაც. მასში გათვალისწინებულია ყველა ის მიღწევა, რაც მეცნიერებამ მოიპოვა ამ სფეროში.

რედაქტორი [პროფ. ბ. ჯორბენაძე]

რეცენზენტები: პროფ. შ. ჭუმბურიძე

დოც. ლ. ბარამიძე

პალეოგრაფია ანუ დამწერლობათმცოდნეობა სწავლობს წერის ხელოვნებასთან, დამწერლობით კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს: ანბანის წარმოშობას, ასოთა მოხაზულობის ისტორიულ ცვალებადობას, ნაწერის ესთეტიკურ მხარეს, ტექსტის დანაწევრების აღმნიშვნელ სასვენ და განკვეთილობის ნიშნებს, საწერ მასალასა და იარაღებს, წარწერებისა და ხელნაწერი ძეგლების რაობას /მათ ქრონოლოგიას, შექმნის ადგილს, ისტორიულ გარემოს.../ და სხე.

პალეოგრაფიას ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა ბევრ დარგთან აქვს შეხების წერტილები და დიდად ეხმარება მათ. ქართულ პალეოგრაფიას მკვიდრი მეცნიერული საფუძვლები იყ. ჯ ა ე ა ხ ი მ ე ი ლ მ ა დაულო. მან ჩვენი საუკუნის ოციან წლებში პირველმა წაიკითხა ქართული პალეოგრაფიის კურსი ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში და 1926 წელს დაბეჭდა კიდევ „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (ილ. აბულაძემ ეს შრომა მეორედ გამოსცა 1949 წელს ორი დამატებითურთ; 1. ა) ანბანი, ბ) ასო, 2. „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“). იყ. ჯ ა ე ა ხ ი მ ე ი ლ მ ა დღესაც სამაგიდო წიგნია სპეციალისტთათვის, მასში თითქმის სრულად და საფუძვლიანად არის შესწავლილი /ცხადია, იმ დროს ხელმისაწვდომი წყაროების კვალობაზე/ ყველა ის საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ქართული პალეოგრაფიის მეცნიერულ კურსთან. ამ შრომის შექმნიდან 70 წელი გავიდა, ქართული ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებანი თვალსაჩინოდ დაწინაურდნენ. ეს პალეოგრაფიის უბანსაც დაეცყო. ქართული პალეოგრაფიის საკითხების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუშაობაში. დღესათვის გამოცემულია არაერთი ეპიგრაფიკულ და ხელნაწერ ძეგლთა კორპუსი, დაბეჭდილია პალეოგრაფიული ხასიათის ათეული შრომა თუ მონოგრაფია. ცალკეულ წერილებს რომ თავი დაეანებოთ, ამ პერიოდში პალეოგრაფიის საკითხებზე ერთი სადოქტორო და ხუთი საკანდიდატო დისერტაცია დაიწერა: ელ. მაჭავარიანის „XI-XIV საუკუნეთა ქართული ოთხთაეების დეკორატიული მორთულობის სისტემა“ (თბ., 1987, სადოქტ. დისერტაცია), თ. ხაეშიას „ნუსხური დამწერლობის გარდამავალი ხელი /XI ს./“ (თბ., 1954), ე. ჭანკიევის „დაქარაგმების წესები ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში“ (თბ., 1966), რ. პატარიძის „ქართული ფილიგრაფიის ძირითადი საკითხები“ (თბ. 1967), ლ. ჭაჭაიას „უნიქტუაიცია X-XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში“ (თბ. 1969), მზ. სურგულაძის „ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები“ (გამოსცა „მეცნიერებათა“ 1978 წელს). ასევე დაიბეჭდა რ. პატარიძის მონოგრაფია „ქართული ასომთავრული“ (1980 წ.), ხელნაწერთა ინსტიტუტმა გამოსცა ორი თემატური კრებული „პალეოგრაფიული ძიებანი“ (ტ. I, 1965, ტ. II, 1969) განსაკუთრებით ბევრი შრომა მიეძღვნა ქართული ანბანის წარმოშობისა და რაობის პრობლემას

(ა. მანიძის, კ. კეკელიძის, გ. წერეთლისა); 1989 წ. გამოქვეყნდა თ. გამყრელიძის კაპიტალური მონოგრაფია „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა“, აგრეთვე თ. ჩხენკელის, ელ. მაჭავარიანის, ვ. ბოდერისა და სხვათა ნაშრომები. საჭირო გახდა მეცნიერების ამ დარგში მოპოვებული მიღწევები და ინფორმაციები სათანადოდ ასახულიყო სასწავლო წიგნშიც. ჩვენი ნაშრომი, რომელიც სტუდენტთათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ ივარაუდება, ეფუძნება უპირველესად ივ. ჯავახიშვილის „ქართულ პალეოგრაფიას“ და შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს ქართული პალეოგრაფიის უბანში დღემდე მოპოვებულ ყველა მიღწევას.

ავტორთა რწმენით, წიგნის უმთავრესი მიზანი სასწავლოა; ამ დარგში დღეისთვის არსებული უხვი და ნაირგვარი ინფორმაციებიდან უფრო ღირებულთა შერჩევას და სისტემატიზაციის გზით წარმოდგენილია ყველაზე პომბიტიური ცნობები და დებულებები ქართული პალეოგრაფიის ძირითად საკითხებზე. ავტორთა პოზიცია გამჟღავნებულია არა მარტო მაშინ, როცა ესა თუ ის თვალსაზრისი საეჭვოდ, ან მცდარადაა მიჩნეული, არამედ მაშინაც, როცა ისინი იზიარებენ და სარგებლობენ სხვა ავტორთა დებულებებით.

საგრძნობია, რომ წიგნის თავებს შორის მოცულობითი თანაფარდობა სასურველად დაყული არ არის, მაგრამ რამდენაღმე ამას თვით განსახილველ საკითხთა სპეციფიკაც აპირობებდა. ასევე შეიძლებოდა წიგნში ზოგი სხვა საკითხიც ყოფილიყო განხილული.

I-V და XIV თავები ეკუთვნის პროფ. მ. სარჯველაძეს, ხოლო VI-XIII და XV თავები – პროფ. კ. დანელიას.

ყველა მენიშენას, რომლებიც ხელს შეუწყობენ წიგნის შემდგომ გაუმჯობესებას, ავტორები გულწრფელი მადლობით მიიღებენ,

წიგნი ააწყო დარეჯან თვალთვაბემ, ჩაასწორა ნანი კალანდაძემ. საბოლოო სახე წიგნს გია შერვაშიძემ მისცა. კორექტურის კითხვაში ავტორებს დაეხმარნენ მარინე ოდიკაძე და სოფიო სარჯველაძე. ყველა მათგანს დიდი მადლობა.

ძველი ქართული წარწერები

საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხთა კვლევა-ძიებისას ეპიგრაფიკულ მასალას უდიდესი, ხშირად გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სრულიად განსაკუთრებულია წარწერების მონაცემთა როლი ძველი ქართული ენის, ქართული ენის ისტორიის შესასწავლად. წარწერებში უპირატესად გამოვლინდება ცოცხალი მეტყველების ამსახველი ნიმუშები. ამასთან ეპიგრაფიკულ ძეგლებში დადასტურებული ფაქტები გვეხმარება ამა თუ იმ მოვლენის ლოკალიზაციისას.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები შემონახულია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (ჩრდილოეთი კავკასია, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, პალესტინა, ბულგარეთი...). მათი შესწავლა და მეცნიერული პუბლიკაცია დაიწყო XVIII საუკუნიდან. აკად. ა. გიულდენშტედტს საქართველოში მოგზაურობისას არაერთი ეპიგრაფიკული ძეგლიც შეუნიშნავს და თავის მასალებში აღუნუსხავს¹. განსაკუთრებული ამაგი დასდეს ძველი ქართული ეპიგრაფიკის შესწავლას ფრანგმა სწავლულებმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ² და მარი ბროსემ³. აღსანიშნავია, რომ მრავალი წერილობითი ძეგლი, რომლებიც გამოსცეს ფ. დიუბუამ და მ. ბროსემ, ამჟამად უკვე აღარ არსებობს, ან ჩვენამდე მოღწეულია დაზიანებული სახით. ამიტომ დიუბუასა და ბროსეს ნაშრომებში წარმოდგენილ მასალებს საკმაოდ ხშირად პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მარი ბროსემ ჩაუყარა საფუძველი ძველი ქართული წარწერების პუბლიკაციას ასომთავრული შრიფტით.

ძველი ქართული წარწერების გამოცემა შემდგომში წარმატებით გააგრძელეს დ. ბაქრაძემ, ი. როსტომაშვილმა, თ. ყორღანიამ, ე. თაყაიშვილმა, ა. ხახანაშვილმა, მ. ჯანაშვილმა, ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა, ა. მანიძემ, გ. ბოჭორიძემ, ს. კაკაბაძემ, ლ. მუსხელიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, თ. ბარნაველმა, ვ. ცისკარიშვილმა, რ. მეფისაშვილმა, რ. შმერლინგმა და სხვებმა.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ქართული წარწერების კორპუსის შესაქმნელად. ქართული წარწერების კორპუსის I ტომში (თბ., 1980) შევიდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ლაპიდარული წარწერები (V-X სს.). ტომი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შოშიაშვილმა. II

¹ იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, 1962, ტ. II, 1964.

² F. Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, chez les Therkesse et les Abkhases Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crime, t. I-III, Paris, 1839; t. IV, Paris, 1840; t. V-VI, Paris, 1843.

³ M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans le Géorgie et dans l'Arménie, St-Pb., livr I, 1849; II, 1850; III 1851.

ტომის I ნაკვეთი დაეთმო დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებს (IX-XIII სს.). იგი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. 1981 წელს გამოქვეყნდა გიორგი ოთხმეზურის მონოგრაფია „XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო“.

1977 წელს პარული მურადიანმა ერევანში გამოსცა „სომხეთის ქართული წარწერები“ (სომხურ ენაზე).

ეპიგრაფიკული ძეგლები ოთხ ჯგუფად იყოფა: ლაპიდარული (ლათ. lapidarius „ქვის მთლელი, ქვაზე ამომჭრელი“), მონაიკური, ჭედური და ფრესკული წარწერები. მათ შორის უძველესია ლაპიდარული წარწერები. ლაპიდარული წარწერები გვხვდება ეკლესიათა კედლებზე, უკვარცხლბეკო ქვაჯვრებზე, ქვაჯვრების კვარცხლბეკებზე, საფლავთა ქვებსა და სარკოფაგებზე, ცალკეულ ქვის ფილებზე. V-DX საუკუნეებში საკმაოდ ხშირია ქვაჯვრების წარწერები.

მინარსის მიხედვით წარწერა შეიძლება იყოს: ა) საამშენებლო, ბ) ქტიგორთა, სასულიერო და საერო ხელისუფალთა, მლოცველთა, შემწირველთა, ხელოსანთა... მოსახსენებელი; გ) იურიდიული დოკუმენტი („აკელი“, „დაწერილი“).

დღეისათვის ცნობილი უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები გვხვდება ქართლის (იბერიის) ტერიტორიაზე.

ლაპიდარული წარწერები, დამწერლობის ხასიათის მიხედვით, ასე ჯგუფდება: რელიეფური (V-XI სს. უძველესი ლაპიდარული წარწერები (V-VI სს.) მხოლოდ რელიეფური დამწერლობითაა შესრულებული), ამოდარული (ჩაჭრილი; ჩანს VII საუკუნიდან), კიდურწერტილოვანი (X ს.) და კიდურწაისრული (X ს. - იხ. ნ. მოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 31).

უძველეს ქართულ წარწერებში განკვეთილობის ნიშნები არ იხმარება, სიგყვები ერთმანეთისაგან არ გამოიყოფა. სიგყვათა გამოცალკეება და განკვეთილობის ნიშანთა ხმარება დაიწყო IX საუკუნიდან. ეს წესი მტკიცედ დამკვიდრდა XI საუკუნიდან.

ქარაგმას (სიგყვათა შემოკლების ნიშანს) უძველეს წერილობით ძეგლებში ვადასტურებთ, თუმცა საკმაოდ ხშირად სიგყვა შემოკლებულია, ქარაგმის ნიშანი კი არ არის წარმოდგენილი.

წარწერების დასაწყისში საკმაოდ ხშირია ტექსტის დაწყების აღმნიშვნელი სიმბოლო - პატარა ჯვარი (+). როგორც მიუთითებენ, ეს სიმბოლო ბერძნულს ზეგავლენით შემოიღეს (ლ. ქაჯაია, ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში, გვ. 103-106).

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები წარმოგვიდგენენ მნიშვნელოვან მასალას ქართული დამწერლობის განვითარების შესასწავლად. IV-VIII საუკუნეთა ეპიგრაფიკული ძეგლები ასომთავრულითაა დაწერილი. უძველესი ნუსხური წარწერა 835 წლით თარიღდება. X-XIII საუკუნეებში (განსაკუთრებით XII საუკუნიდან) გვხვდება ნუსხურად შესრულებული

წარწერები. XI საუკუნიდან დასტურდება მხედრული ეპიგრაფიკული ძეგლები (XI-XII საუკუნეებში ისინი იშვიათია).

IV-VII საუკუნეებში მთელ რიგ ასოებს (Ϛ, ϛ, Ϟ, ϟ, Ϡ) წრე შეერული აქვთ, შემდგომში კი – უპირატესად გახსნილი (ეს პროცესი უკვე VII ს-ში იწყება). ზოგიერთ გრაფემას (ჟ, ე, ე, ლ) IX-X საუკუნეებში უჩნდება დამატებითი განივი ხაზი. X საუკუნიდან დასტურდება კიდურწერტილოვანი, ხოლო X ს-ის ბოლოდან კიდურწაისრული ასოები.

უკვე X საუკუნეში გვხვდება ასომთავრულის გაკუთხოვნებისა და განუსხურების შემთხვევები. ასომთავრულად დაწერილ ძეგლებში შერეულია ზოგიერთი ნუსხური გრაფემა.

ტერმინი წარწერა მისი დღევანდელი მნიშვნელობით ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არ გვხვდება. ივანე ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება ბასილი მარმმელის თხზულების „სერაპიონ მარმმელის ცხოვრების“ ერთ ადგილს: „ვითარცა აღეშენა შგომთურთ ვიდრე სარკუმელთამდის, დაილია ოქროჲ იგი კაცისა მის, სადა-იგი გამოქანდაკებით ქადაგებს, ვითარმედ: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა, ესერა, მდგომარე ვარ და მიგურთაეს ჯუარი ქრისტესი“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ.49). გამოქანდაკება აქ ლაპიდარული წარწერის გაკეთებას (ამოკვეთას) ნიშნავს. ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ გამოქანდაკება ამ მნიშვნელობით იობის წიგნის თარგმანშიც დასტურდება: დაიწერდენ სიგყუათა ჩემთა და... ქუათა ზედა გამოქანდაკონ (19, 23-24).

ძველი ქართული წარწერების შესწავლისას უპირველეს ყოვლისა მათი ქრონოლოგიის საკითხი დგას. უთარილო წერილობითი ძეგლების დათარიღებისას იყენებენ შემდეგ კრიტერიუმებს: პალეოგრაფიულს, ენობრივს, ისტორიულს. პალეოგრაფიული კრიტერიუმით დათარიღებისას ითვალისწინებენ გრაფემათა მოხაზულობის გიპურობას ამა თუ იმ ეპოქისათვის. ენობრივი კრიტერიუმით დათარიღებისას ხელმძღვანელობენ იმით, თუ რამდენად დასაშვებია წარწერაში გამოვლენილი ორთოგრაფიული, გრამატიკული თუ ლექსიკური მოვლენები ამა თუ იმ ხანისათვის. ისტორიული კრიტერიუმით დათარიღება გულისხმობს წარწერაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციას სხვა წყაროებიდან ცნობილ პირებთან.

რა თქმა უნდა, წარწერის დათარიღების სისწორის ალბათობა მეტია, თუ სამივე კრიტერიუმი ერთმანეთს ეთანხმება და, პირუკუ, მცირდება, თუ ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

განვიხილოთ ძველი ქართული წარწერების ერთი ნაწილი.

1. ბოლნისის წარწერები.

ბოლნისის სიონი ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მისი აგების დროის მუსტად განსამდვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო წარწერის სწორად ამოკითხვასა და დათარიღებას. ეს წარწერა 1937 წელს აღმოაჩინა კულტურულ ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ მოწყობილმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც

ლევან მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა. წარწერა, სამწუხაროდ, დაზიანებულია. აკლია თითქმის ნახევარი.

ლ. მუსხელიშვილის მიხედვით, წარწერის დაზიანებული ადგილები ასეა წარმოდგენილი:

1. ...ისა სამებისამათა .ო..ლისა პერომ მეფე .
2. ...ამის ეკლესიამსამ და ათხუთმეტ წლის
3. ...ნ აქა შინა თაყყანისხეცს ღწ შეიწყალენ და ვინ ა
4. ...ეპისკოპოსსა ხულოცოს იგიცა ღწ შეიწყალენ

(ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 326).

ა. მანიძემ მოგვცა ამ წარწერის ტექსტის შემდეგი წაკითხვა:

1. [მეწვენითა წმიდ]ისა სამებისამათა ოც წლისა პერომ მეფე
2. [ისა მე ხიქმნა დაწყებაჲ] ამის ეკლესიამსამ და ათხუთმეტ წლის
3. [ა შემდგომად განხეშორა. ვინ აქა შინა თაყყანის-ხეცს, ღწ შეიწყალენ და ვინ ა
4. [მის ეკლესიამსა და თ ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღწ შეიწყალენ [ამინ], (იხ. Г.Н. Чухинашвили, Болниси, გვ. 69).

ა. მანიძემ წარწერა 493-494 წლებით დაათარიღა. წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით ფრიად არქაულია. ბ, ყ და უ გრაფემები თავშეკრულია, შ ერთ შემთხვევაში თავშეკრულია (შეიწყალენ, მე-3 სტრიქონში). ენობრივი თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ხანმეტე მზნური ფორმები: თაყყანის-ხეცს და ხულოცოს.

ა. მანიძის მიერ წარმოდგენილმა ტექსტმა იმთავითვე გამოიწვია სეროზული ხასიათის შენიშვნა. ლ. მუსხელიშვილი წერდა, რომ პირველ სტრიქონში: „ღ“ -ს შემდეგ რაღაც ასოს ქვემო ნაწილი ჩანს, შეიძლება იყოს ან „ო“, ან „ბ“, ან „ქ“. „ქ“-ს კული უნდა ჰქონოდა და თუ იგი ჩამოტეხილია, ნაკვალევი მაინც უნდა დარჩენილიყო; „ო“ საუჭვოა იმიტომ, რომ ქვემოთ მარჯვნივთკენ ასოს ხაზი ამკარად მთავრდება, არაა ჩამოტეხილი, სხვაზედ უფრო ეს ნაშთი „ანის“ ფეხსა ჰკავს. „ღ“-ს ნაცვლად (ჩანს მხოლოდ ქვემო ნაწილი) შეიძლება იყოს „შ“. გარდა ამისა: ხარვეზი მე მაქვს დანიშნული სამი ხაზით, მაგრამ შესაძლებელია, რომ აქ არა სამი, არამედ მხოლოდ ორი ასო აკლდეს (ზოგან ასოები ძალიან შორიშორაა დაწერილი და ეგებ აქაც ასე იყო), „ო“-სა და „ღ“-ს (თუ „ბ“-ს) შორის კიდევ ერთი ასოს ნაშთი ჩანს – იგი უნდა იყოს ქვემო ნაწილი სწორბუნიათ ასოსი, უფრო „ე“-ნის, „ი“-ნის, „ვ“-ინის, ან „უ“-ივის. პროფ. ა. მანიძის აზრით, ეს ადგილი ასე უნდა აღვადგინოთ: „ო[ც წ]ლისა“ და შემდეგ: „პერომ მეფ[ისა]...“ რითაც ჩვენ მივიღებდით ტაძრის აშენების მუსტ თარიღს: მისი აშენება დაუწყიათ პერომის მეფობის მე-20 წელს, ე.ი. 478 წელს, და რადგან იგი 15 წლის განმავლობაში უშენებიათ, აღმშენებლობა დასრულდა 493 წ. წარწერაც ამ წელს უნდა იყოს გაკეთებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ადგილის აღდგენაში ჯერჯერობით თავის შეკავება უმჯობესია: ვერც პალეოგრაფიულად, ვერც ენობრივად და ვერც შინაარსობრივ პატივიცემული მეცნიერის აღდგენის ქდა საკმაოდ ვერ დასაბუთდება. საძიებელ ადგილას სხვაზე უფრო მოსალოდნელია პერომ მეფის რაიმე ეპითეტი („უძლეველისა“ ან რაიმე მაგდაგვარი) და აქ შეიძლება

ისეთი ტერმინი იყოს ნახმარი, რომლის შესახებაც ჩვენ არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს, რაც V ს-ისათვის ადვილი დასაშვებია“ (ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 326)¹.

მეტად საყურადღებოა კ. კეკელიძის შენიშვნა. იგი მიუთითებდა: „ამ წარწერაში, რომელიც ძალზე დამახინჯებულია, ეჭვს იწვევს ქართულისათვის არაჩვეულებრივი კონსტრუქცია წინადადების: ოქ წლისა პერომ მეფისა ზე“ (კ. კეკელიძე, ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის, გვ. 419). მიუხედავად ამ ფრიად საფუძვლიანი დაეჭვებისა, კ. კეკელიძემ მთლიანად მიიღო წარწერის ა. შანიძისეული ინტერპრეტაცია და დათარიღება.

როგორც ჩანს, ა. შანიძეს თვითონვე არ აკმაყოფილებდა ბოლნისის ამ წარწერის მის მიერ აღდგენილი ტექსტი. 1975 წელს მეცნიერმა ეურნალში „ნობათი“ (№ 1) გამოაქვეყნა ნაშრომი „ბოლნისის წარწერები“, სადაც წარწერის ზოგი დამიანებული ადგილის ახლებური წაკითხვა მოგვცა.

1. [შეწვევითა წმიდისა სამებისათა ოქ წლისა პერომ მეფ]
2. [ისა ზე დახიდვა საფუძველი] ამის ეკლესიამსა და ათხუთმეტ წლის
3. [ა კავატ მეფისა ზე განხეშორა. ვინ აქა შინა თაუყანის-ხუცს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ა]
4. [მის ეკლესიამსა დავით ე]პისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ [ამენ].

ახლებურმა წაკითხვამ წარწერის გადათარიღება გამოიწვია (ეკლესიის მშენებლობის დაწყების დროდ ისევ 478 წ, იგულისხმება, ოღონდ იგი დასრულდა კავატის გამეფების მე-15 წელს – 502 წ. ამრიგად, ა. შანიძემ 1975 წელს წარწერა 502-503 წლებით დაათარიღა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კ. კეკელიძე დაეჭვდა ა. შანიძის მიერ აღდგენილი უჩვეული სინტაქსური კონსტრუქციის გამო: ოქ წლისა პერომ მეფისა ზე ხიქმნა დაწყება] ამისა ეკლესიამსა. მიუხედავად ამისა, ეს ენობრივად არასწორი კონსტრუქცია ა. შანიძემ 1975 წელს წარწერის სხვა ადგილის წაკითხვაშიც დაუშვა: „ოქ წლისა პერომ მეფისა ზე დახიდვა საფუძველი] ამის ეკლესიამსა და ათხუთმეტ წლისა კავატ მეფისა ზე] განხეშორა“ (იხ. ბოლნისის წარწერები, გვ. 30-31). კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დროის გარემოების გამოსახატავად სრულიად არ გვხვდება ამ ტიპის კონსტრუქცია: რიცხვითი სახელის ნათესაობითი ბრუნვა + მეფისა ზე. ამიგომ არც ისაა შემთხვევითი, რომ მეფისა ფორმის აღდგენის დაშვებას აშკარად ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ წარწერის ამ ნაწილში იკითხება მეფე და არა მეფ (ამის შესახებ 1958 წელს მიუთითა სარგის კაკაბაძემ)². ამდენად, გაუმართლებელია წაკითხვა: ოქ წლისა პერომ მეფისა ზე. დროის გარემოების ამგვარი გად-

¹ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შემდგომში ლ. მუსხელიშვილმა გაიზიარა ა. შანიძისეული წაკითხვა (იხ. ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მამავერის ხეობაში, გვ. 12).

² მისი ნაშრომი „ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერების შესახებ“ დაიბეჭდა მხოლოდ 1985 წელს („მნათობი“, №5).

მოცემა ძველი ქართული ენისათვის დაუშვებელია. მოსალოდნელი იყო: მეოცესა წელსა პერომ მეფისასა, ან: პერომ მეფისა მე.

1989 წელს დაიბეჭდა ა. შანიძის ნაშრომი „ძველი ქართული ელემენტარული წიგნი“ (II), სადაც ავტორმა უარყო ადრე შემოთავაზებული კონსტრუქცია: „ო[ი] წლისა პერომ მეფისა სუჟეჲასა დახილვა საჟუჲელი ამის ეკლესიასა და ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხეჲორა“. ამჯერადაც ა. შანიძემ მოგვცა მეფისა ფორმა, რაც დაუშვებელია. წარწერის მიხედვით მეჟე ამჟერად იკითხება. ასევე შეუძლებელია ა. შანიძის მიერ ნაგარაუდები: ოც წლისა პერომ მეფისა სუჟეჲასა. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ამ ტიპის ფრაზა არსად გვხვდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის კონსტრუქციამ გამოიწვია კ. დანელიას დაქვეებაც (იხ. მისი „ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები“, გვ. 93).

უნდა ითქვას, რომ მეჟე ფორმის წაკითხვის სინამდვილეს ადასტურებს ე. მაჭავარიანიც (ქართული ანბანი, გვ. 3; აგრეთვე ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, გვ. 17 და შმდგ.) ამავე დროს იგი უშვებს მეჟე[მსასა] ფორმას და ჩვენთვის საინტერესო აღგილს ასე წარმოადგენს: ო[ი] წლისა პერომ მეჟე[მსასა] შინებ[ა]ა ხ[ი]წყო (იხ. ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, გვ. 20). ხამგასმით უნდა აღინიშნოს: ე. მაჭავარიანის მიერ ნაგარაუდები მეჟე[მსასა] სრულიად უცხოა არა მარტო ძველი ქართული-სათვის, არამედ სამოგადოდ ქართული ენის ბუნებისათვის. ასევე შეუძლებელია კონსტრუქცია ო[ი] წლისა პერომ მეჟე[მსასა] (ან თუნდაც: მეჟისასა). ამ შემთხვევაში ერთადერთი სწორი კონსტრუქცია იქნებოდა: მეოცესა წელსა პერომ მეფისასა. ე. მაჭავარიანმა თავისი პალეოგრაფიული ანალიზით მიიღო შეუძლებელი ენობრივი კონსტრუქცია¹, თანაც მან ვერ დაასაბუთა ოც წლისა ფრაზის წაკითხვის კანონზომიერება (შდრ.: ბოლნისის სიო-

¹ შეუძლებელია გავიზიაროთ მოსაზრება: „როგორც ვხედავთ, მთელ რიგ შემთხვევებში წერილობით ძეგლებში თარიღის განსაზღვრის დროს გვექსტის დასაწყის ფრაზაში მითითებული „მეფისასა“, „ქვისრისასა“, „კაიაჟამსსა“ წარმოდგენილია ნათესაობითარი მიყვებითის ფორმით. ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერაში ანალოგიური შინაარსის მქონე ფრაზაში პერომ მეჟე[მსასა] ამავე ბრუნებაში (sic!) აღვადგინეთ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „მეჟე“-ის შემდეგ გრაფიკული „ენ“ ნიშნის შესაბამისად ამოკითხული სახელი „მეჟე“ ნათესაობითარ მიყვებითში უკვეყელი ფორმით აღვადგინეთ. აღდგენილია იგი ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმების მიხედვით“ (ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, გვ. 27). არ არის მართალი, რომ ძველი ქართულის ადრეული ხანის ენობრივი ნორმაა მეჟე ან სხვა ა და ე დაბოლოებული სახელების უკვეყელობა (ზოგი სიტყვა: ეკლესია, ქურია, მანანა ... ძველ ქართულში არ იკვეყება, მაგრამ ეს ნორმიდან გადახვევაა /ამ სიტყვათა გვიანდელი სესხებით აიხსნება/ და არა ნორმა). მეჟე და ამ ტიპის სახელები უძველეს ქართულში (და უახლესშიც) მხოლოდ კვეყადაა. ამ მოვლენის გასათვალისწინებლად ე. მაჭავარიანს გამოადგებოდა ის სრულიად არაორაზროვანი ნიშნები, რომელთაც იგი იმორწმობს: მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა, წელსა მეათესა ხუასრო მეფისასა (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 25).

ნის სამშენებლო წარწერა, გვ. 9-12) და კიდევ უფრო გააღრმავა წარწერის ამ ადგილის ადრინდელ ამოქოთხეულთა შეცდომა.

1937 წელს ლ. მუსხელიშვილმა მიუთითა, რომ მარცხენა მხარეს წარწერის ნაშთი აღარ ეტყობა, ხოლო მარჯვენა მხარეს კი, შეიძლება ზოგი ასოს გარჩევა:

1. - - - - - აო? ა? ხჟ?
- 2.- ა - - - ი - - ა - - ე?
3. - - კლ
4. - - ნ

მ. ჩხიკვაძემ წარწერის მარცხენა ნაწილში ამოიკითხა ო. მან ივარაუდა, რომ ამ გრაფემას კიდევ ერთი ო უსწრებდა. რ. პატარიძე და ბ. მჭედლიშვილი ორ ო-ს კითხულობენ (იხ. რ. პატარიძე, ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერები, გვ. 145). საურმაგ კაკაბაძემ დაადასტურა ა. შანიძის ნაწარაუდები შეწვენი ფორმის არსებობა. მან ამოიკითხა [შეწვენი (C. C. Какабадзе, Стронтельная надпись Болнисского Сиона, გვ. 93; იხ. აგრეთვე რ. პატარიძე, ბოლნისის გაძრის სამშენებლო წარწერები, გვ. 146). იმ ადგილას, სადაც ა. შანიძე ოუ წლისა-ს კითხულობდა, რ. პატარიძემ და ბ. მჭედლიშვილმა ივარაუდეს: ო¹ოუფლისა (რ. პატარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146; ამ ფორმის ალღენის კანონზომიერების შესახებ იხ. ქვემოთ).

წარწერის მარჯვენა მხარეს პირველ სტრიქონში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლ. მუსხელიშვილმა ახ₂ ასოთა მიმდევრობა ივარაუდა. 1951 წელს საურმაგ კაკაბაძემ დაადასტურა ახ₂ ჯგუფის არსებობა და ჰ-ს მომდევნო ე-ს ამოიკითხა (C. C. Какабадзе, Стронтельная надпись Болнисского Сиона, გვ. 93). მან ივარაუდა, რომ ახ₂ გრაფემათა ჯგუფს უსწრებდა ნ. [ნახ₂ე უნდა იყოს ნახ₂ეტ სიტყვის ნაშთი: („Группа букв ахр "ახ₂" может означать только титул нах₂ет, დასახ. ნაშრ., გვ. 94). ნახ₂ეტ ფორმა ივარაუდა ამ ადგილას სარგის კაკაბაძემაც, რომელიც წარწერის პირველ სტრიქონს ასე კითხულობდა: შეწვენი¹თა წმიდისა სამებისათა ო[არიშისა პეროზ მეფეთა ავადაგი]სა ნ[ახ₂ეტ] (ს. კაკაბაძე, ბოლნისის ეკლესიის შესახებ, გვ. 150). საურმაგ კაკაბაძემ მიუთითა, რომ ბოლნისის სიონის ერთ-ერთ წარწერაში გვხვდება დაქარაგმებული ნ¹ჰ, რომელიც უნდა გაიხსნას ასე: ნახ₂ეტისაჲ (C. C. Какабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 94). ამგვარ წაკითხვას ვარაუდობდა ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი (ამის შესახებ იხ. ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 332) და ემბრობოლა გ. ჩუბინაშვილი (იხ. Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, გვ. 185). ნახ₂ეტ (ნახ₂ეტი) ერისთავის მნიშვნელობით იხმარება.

საურმაგ კაკაბაძემ გამოთქვა მეტად საინტერესო თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მ₂ჟუ [...] ალბათ იდგა მრავლობითი რიცხვის ერთ-ერთ ირიბ ბრუნვაში: „В этой же строке слово "царь", возможно, стоит в одном из косвенных падежей множественного числа. В таком случае, упомянутый в надписи Пероз является не известным царем Ирана, а каким-то другим лицом, "нахпетом царей", "царским нахпетом", деятелем Картли времени строительства базилики“ (C. C. Какабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 94).

1958 წელს სარგის კაკაბაძემ ივარაუდა, რომ წარწერის პირველ სტრიქონში მოხსენიებული პეროზი სპარსეთის მეფე კი არ არის, არამედ იგი მირიანის სიძის – რანის, შემდგომში კი ქვემო ქართლის ერისთავის – შთამომავალი უნდა იყოს (ს. კაკაბაძე, ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ, გვ. 152). მსგავსი ვარაუდი გამოთქვა აგრეთვე საურმაგ კაკაბაძემ „Само по себе такое предположение не должно вызывать удивление, поскольку по грузинским источникам, например, известен Пероз (имя дано в форме ფეროზ), зять царя Мириана (первая половина IV в) (იხ. С. С. Какабадзе, დასახ. ნაშრ; გვ. 94).

მეფე[...] და [ნახხ]... ფორმათა შორის რამაზ პატარიძემ და ბაადურ მჭედლიშვილმა თუსისა მიმდევრობა ამოიკითხეს და პირველი სტრიქონის ბოლო მონაკვეთის ასეთი წაკითხვა მოგვეცეს: პეროზ მეფე[თა] თუ[ს]ისა [ნახხ]ეტობასა (იხ. რ. პატარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 148). წარწერის პირველი წინადადება, მათი აზრით, ასე უნდა წაეკითხოთ: ოო [მეწვენი]თა წმიდისა სამებისათა ოოუფლისა პეროზ მეფე[თა] თუ[ს]ისა [ნახხ]ეტობასა ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიამსა და ათხუთმეტ წლისა ეამეულსა აღხმშენა (იხ. რ. პატარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 151), ანუ: უფალო. მეწვენითა წმიდისა სამებისათა უფალო-უფლისა პეროზ მეფეთა თუსისა ნახხეტობასა ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიამსა და ათხუთმეტ წლისა ეამეულსა აღხმშენა.

ცხადია, რომ რ. პატარიძე და ბ. მჭედლიშვილი პეროზს მირიანის სიძედ – რანის ერისთავად – მიიჩნევენ. იგი „ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენიება, როგორც „ნათესავი მეფეთა“; თუსი მირიანისი: „მამინ მირიან შეიქცა წყობისაგან ხაშართასა, და მოიყვანა სპარსეთით თუსი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ. ამან მოიგანა თანა სპა დიდი. და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თუსი ცოლად და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე, მტკუარსა ორივე კერძი, და დაადგინა იგი ერისთავად მუნ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 68-69). როცა მირიანმა და „სიმრავლემან ქართლისამან“ ქრისტიანობა მიიღეს, ფეროზ ერისთავმა ახალი სარწმუნოების მიღებაზე უარი თქვა: „ არა ნათელ-ილო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, რომელსა ქონდა რანი ბარდავამდინ მიცემულად მირიან მეფისაგან, არცა ერმან მისმან ნათელ-ილო, არამედ კორსიელ ოდენ მსახურებდა მირიან მეფესა“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 71). მირიანს განზრახული ჰქონდა ფეროზის ძალით მოქცევა: „მამინ რქუა მეფემან წმიდასა ნინოს და ეპისკოპოსსა: მნებაეს ესრეთ, რათა იძულებით მახულითა მოვაქცივნეთ მთუელნი და სიძე ჩემი ფეროზ, და დავამონნეთ ძესა ღმრთისასა და ვათავუანნეთ პატიოსანსა ჯუარსა. მამინ რქუეს: არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახულისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუართთა პატიოსნითა უჩუენოთ გზა ჰეშმარიტი“ (იქვე, გვ. 125). მთუელთა მოქცევის შემდეგ „წმიდა ნინო წარემართა წარსლვად რანს, მოქცევად ფეროზისა“ (იქვე, გვ. 126). ნინო გარდაიცვალა გზად, „კუხეთს, დაბასა ბოდისასა“. მირიანის გარდაცვალების შემდეგ მისმა ძემ, ბაქარმა მოაქცია ფეროზი: „დაჯდა მეფედ ძე მირიანისი, ბაქარ... ესე ბაქარ ეზრახა სპარსთა მეფესა, მამის ძმისწულსა მისსა, დავმოყურა, და გაუცვალა ქუეყანა დისიძესა მისსა ფეროზს; რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცე-

მულად მირიანისაგან, და მისცა მის წილ სამშუღლითგან მიღმართ ქუეყანანი, ვიდრე თაყადმდე აბოისა. მაშინდა ნათელ-ილო ფერომ და ერმან მისმან“ (იქვე, გვ. 130-131). ეს მოხდა IV საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში. ამრიგად, ამ დროიდან ფეროში ქვემო ქართლის ერისთავია. ბოლნისის სწორედ ამ საერისთავოში შედიოდა.

თუ სწორია წარწერის პირველი სტრიქონის ის წაკითხვა, რომელსაც ვეთავაზობენ რ. პატარიძე და ბ. მჭედლიშვილი, ბოლნისის სიონის მშენებლობა უნდა მიეწეროს ფერომ (პერომ) ქვემო ქართლის ერისთავს. ამდენად, გაძარი და მასთან ერთად წარწერაც IV საუკუნის 50-იანი წლებით უნდა დათარიღდეს.

ბოლნისის სიონის აგების დროდ გ. ჩუბინაშვილი V საუკუნის დასასრულს მიიჩნევდა (იხ. მისი Болнис, გვ. 69).

რამდენადაც გ. ჩუბინაშვილისეული დათარიღებისათვის ერთ-ერთ არსებითი ხასიათის საფუძველს წარწერის ა. შანიძისეული წაკითხვა და მისი დათარიღება წარმოადგენს, ბუნებრივია, დგება საკითხი გაძრის აგების გადათარიღებისა (ეს საკითხი დაისმის იმ შემთხვევაშიც, თუნდაც არ გავიზიაროთ რ. პატარიძისა და ბ. მჭედლიშვილის წაკითხვა. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „ოქ წლისა პერომ მეფისა ზე“ ფრაზის აღდგენა სრულიად არაკანონზომიერია). რა თქმა უნდა, საკითხი მეტისმეტად რთულია და ამრთა რადიკალურ სხვადასხვაობას იწვევს¹.

დასასრულ, აღვნიშნავთ იმას, რომ უკანასკნელ ხანს იყო მთელი წარწერის აღდგენის რამდენიმე ცდა.

ნ. მოშიაშვილის ვარაუდით, წარწერა ასე უნდა აღდგეს:

[შეწვენითა წმიდისა სამებისათა ოქ წლისა პერომ მეფისა ზე ვიწყე მენებაჲ] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლისა შემდგომად განვასრულე ეინ აქა შინა თაყანისხეს ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ა[მის მშ]ბლსა ღ[თ ე]პისკოპოსსა ხულოცოს, იგიეა ღმერთმან შეიწყალენ [იი] (ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 65-66).

როგორც ვხედავთ, ნ. მოშიაშვილი ძირითადად იზიარებს ა. შანიძისეულ წაკითხვას, თუმცა მოგი მნიშვნელოვანი შესწორებით. კერძოდ, მისი აზრით, დავით ეპისკოპოსი ეკლესიის მამუნებელია. წარწერა მას ეკუთვნის (ვიწყე განვასრულე...). მოგი ენობრივი ფორმა, ჩვენი აზრით, აქ არასწორად არის აღდგენილი: განვასრულე (ხანმეტი გექსტების ნორმათა მიხედვით იქნებოდა: განხვასრულე); იყაენ, იყაენ (მოსალოდნელი იყო: ხიყაენ, ხიყაენ და, ამდენად იი მიმდევრობის აღდგენა ამ გამოთქმის გადმოსაცემად სათუთა). ასევე დაუსაბუთებელია: ოქ წლისა პერომ მეფისა ზე (ამის შესახებ იხილე ზემოთ).

¹ იხ. ბ. მჭედლიშვილი, ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის; რ. პატარიძე, ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა; ნ. ლომოური, ბოლნისის სიონის საკითხისათვის; ნ. ანდლულაძე, დ. თუმანიშვილი, თ. საყვარელიძე, ბოლნისის სიონის საკითხისათვის; მ. კიკნაძე, თ. შირმაშვილი, რას მოგვითხრობს მირიანის წიგნი; ვ. ბერიძე, კვლავ აღრექვისგანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ, და სხვ.

რ. პატარიძემ და ბ. მკვდელიშვილმა წარწერის წაკითხვის შემდეგი ვარიანტი შემოგვთავაზეს:

1. ო^ო [შ]ეწვენი[თა წმილისა სამებისაათა ო^ოუფლისა პერომ მეფე[თა] თუ[ს]ისა [ნ]ახაჲე

2. [ტობასა ხიწყო წისა] ამის ეკლესიამასა და ათხუთმეტ წლის[ა] ე[ა]მეუ[ლ]სა ა[ლხ]ე

3. [მნა ჯა ქმსსა ვინ აქა შინა თაყანისხეცს ღწ შეიწყალენ და ვინ ა[შ]ა ეკლესი[ა]სა მშრო

4. [მელსა ბოლნელსა ე]პისკოპოსსა ხულოცოს იგიცა ღწ შეიწყალენ. [ა]მნ.

ანუ:

1. უფალო, [შ]ეწვენი[თა წმილისა სამებისაათა უფალთუფლისა პერომ მეფე[თა] თუ[ს]ისა [ნ]ახაჲე-

2. [ტობასა ხიწყო წმილისა] ამის ეკლესიამასა და ათხუთმეტ წლის[ა] ე[ა]მეუ[ლ]სა ა[ლხ]ე

3. [მნა, ჯუარსა ქრისტმსსა ვინ აქა შინა თაყანის-ხეცს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ა[შ]ა ეკლესი[ა]სა მშრო-

4. [მელსა ბოლნელსა ე]პისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ. [ა]მნ., (იხ. რ. პატარიძე, ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერები).

რ. პატარიძემ წარწერის პირველი სტრიქონის დასაწყისში ამოიკითხა ო^ო (მ. ჩხიკვაძე აქ კითხულობდა ო-ს, ხოლო საურმაგ კაკაბაძე ქ-ს; ქ-ს აღდგენა დასაშვებად მიიჩნია ე. მაჭავარიანმა). რ. პატარიძემ შესაძლებლად ჩათვალა [შ]ეწვენი გრაფემათმომღეერობის წაკითხვა. მისი აზრით, იმ ადგილას, სადაც ა. შანიძე ო[ც] წლისა ფრამას ვარაუდობდა, უნდა წავიკითხოთ ო^ოუფლისა (=უფალთუფლისა). ამ წაკითხვას ეწინააღმდეგება: 1) თუ სწორია რ. პატარიძის მიერ დასაწყისში ამოკითხული ო^ო (=უფალო-მიმართვა ქრისტესადმი), მაშინ უფალთუფალი ვერ იქნებოდა პერომი (ან ფერომი); 2) ძველი ქართულისათვის უჩვეულოა დაქარაგმების ისეთი წესი, როცა ფუძეგაორკეცებული კომპოზიციის პირველი და მეორე კომპონენტები ერთმანეთისაგან ასე განსხვავებულად იყოს წარმოდგენილი (მოსალოდნელი იქნებოდა: ო^ოისა, ან ო^ო-ლო^ოისა, მაგრამ არა: ო^ოუფლისა); 3). სრულიად დაუშვებელია ა[შ]ა ეკლესი[ა]სა სინტაგმა (უნდა ყოფილიყო: ამის ეკლესიამასა); 4) არაა გამართლებული: [ხიწყო წისა] ამის ეკლესიამასა. ამჟამად აკლია მნებაა. რა თქმა უნდა, სადავო ამ წაკითხვაში სხეაც არაერთია. არსებითი მიანიც არის პირველ და მეორე სტრიქონებში პერომ მეფე[თა] თუ[ს]ისა [ნ]ახაჲე[ტობასა] გამოთქმის დაშვება. შესაძლებელია, აქაც ყველაფერი ბოლომდე ცხადი არ იყოს, მაგრამ უკეთესი წაკითხვა ჯერჯერობით არ ჩანს.

ბოლოს მოკლედ ე. მაჭავარიანის წაკითხვის შესახებ:

1. [ქ. შე]წვე[ნი]თა წმილისა სამებისაათა ო[ც] წლისა პერომ მეფე[მასა] მნება[ამ] ხ[ი]

2. [წყო წმიდისა] ამის ეკლესიასა და ათხუთმეტ წლისა განხეშორა ქე

3. შენდა მიმართ ვინ აქა შინა თაყანის-ხეცს, ღწ შეიწყალენ და ვინ [ამის ეკლესიამ]სა მამშ

4. ნებელსა ღწ ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღწ შეიწყალენ ამშნ.

გემოთ უკვე აღენიშნეთ ამ წაკითხვის ყველაზე დიდი ხარვეზის შესახებ. აქ დამატებით შეიძლება ითქვას, რომ დაუმეებელია: ათხუთმეტ წლისა განხეშორა. ამკარად აკლია შემდგომად. ა. შანიძე თავისი წაკითხვის პირველ ვარიანტში ამ შემთხვევაში სწორად აღადგენდა ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხეშორა ფრამას.

ეს წიგნი უკვე აწყობილი იყო, როცა დაიბეჭდა ვ. სილოგავას ნაშრომი „ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები“. ავტორმა წარმოადგინა ჩვენთვის საინტერესო წარწერის აღდგენის ორი ვარიანტი:

I: [შეწენითა წმიდისა სამებისაათა ოც წლისა პეროშ მქეფეთა მეფისსა დახიღვა საძირკველი წმიდისა] ამის ეკლესიასა და ათხუთმეტ წლისა [შემდგომად მეფობისა კავატისა განხეშორა. ვინ აქა შინა თაყანის-ხეცს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამის მამშნებელსა დაეით ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ]; [ამშნ].

II: [შეწენითა წმიდისა სამებისაათა ოც წლისა პეროშ მქეფეთა მეფისსა დახიღვა საძირკველი წმიდისა] ამის ეკლესიასა და ათხუთმეტ წლისა [კავატ მეფეთა მეფისსა, განხეშორა...]. (ვ. სილოგავას დასახ. ნაშრ., გვ. 64-65).

ვ. სილოგავასეული წაკითხვის ორივე ვარიანტი ენობრივად შეუძლებელია: ოც წლისა პეროშ მქეფეთა მეფისსა; ათხუთმეტ წლისა კავატ მეფეთა მეფისსა. აქვე შევნიშნავთ, რომ ასე ადრეულ ხანაში სრულიად დაუმეებელია მეფისსა ფორმა (იყო: მეფისასა).

ადგილად შესამჩნევია, რომ დამიანებული ადგილების აღდგენისას მკვლევრები ნებისმიერ დამეებას გვთავაზობენ. ამიგომ ბუნებრივია, რომ საკითხის ოპტიმალურ გადაწყვეტას მომავალში მოველოდეთ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში გვაქვს ცნობა, რომ ბოლნისის გაძარი IV-ს-ის ბოლო წლებში აუგია ელია მთავარეპისკოპოსს: „შემდგომად მეფობდა ბაკურ, ძეა თრდაგისი, და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან აღამენა ეკლესია ბოლნისს (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 92). „ქართლის ცხოვრების მიხედვით კი, ბოლნისის ეკლესია აუშენებია ფარსმანს IV-V საუკუნეთა მიჯნაზე (გამეფებამდე ფარსმანი სამშვილდის ერისთავი იყო): „დაჯდა მეფედ ძე ვარაზ-ბაქარისი, ძისწულისწული ფეროზისი, სახელით ფარსმან. რამეთუ იგი უხუცესი იყო ძმთა მისთა. და მოკულა ელია ეპისკოპოსი, და დასუეს სუმონ. ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე, მკედარი შემმართებელი. ემრახბა მეფესა ბერძენთასა და ითხოვა მისგან შეწენა, და აღასრულა თხოვა მისი კეისარმან, მაშინ განდგა და არღარა მისცა სპარსთა ხარკი, და განამრავლნა ჯუარნი, და განაახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა, და აღამენა ეკლესია ბოლნისისა. და მცირედ ეამ მეფობდა და მოკულა“ (ქართლის ცხოვრება“ I, გვ.

137-138). ამ წყაროთა ცნობების უგულვებელყოფა სრულიად გაუმართლებელია, მით უმეტეს, რომ ისინი ბოლნისის სიონის აგების თარიღის განსაზღვრაში თითქმის არ სხვაობენ.

დავით ეპისკოპოსის წარწერა

წარწერა მოთავსებულია აფსიდის კედელზე, ე. წ. ბოლნური ჯერის გარშემო:

ქე ღთ ეპ[ისკ]ოპოსი კრებო

ულითურთ და ამას ეკ

ლესიასა შინა შენდ

ა მიმართ თაჲ

ყანისმცემელ

ნი შეიწყალენ და

მ[შ]რომელთა¹ ამას ეკლ-

[სია]ს[ია] შინა შეხეწიე იი (იხ. ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 327).

ანუ: ქრისტე, დავით ეპისკოპოსი კრებუ-

ლითურთ და ამას ეკ-

ლესიასა შინა შენდ

ა მიმართ თაჲ-

ყანისმცემელ

ნი შეიწყალენ და

მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე. იი.

წარწერა პირველად გამოცა მ. ბროსემ 1856 წელს (იხ. Melanges Asiatiques, II. გვ. 322-323), შემდეგ კი ძველი მრავალჯერ არის გამოქვეყნებული.

ბ, ყ და უ ასოები თავშეკრულია. მესამე სტრიქონში შინა სიტყვაში შ თავშეკრულია, სხვა შემთხვევაში – თავგახსნილი.

შეხეწიე ხანმეტი ფორმაა. (შე-ხ-ე-წი-ე, ხ- მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშანია).

ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ყ, უ და მეტადრე ბ ასოთა მოხაზულობა, იმგვარადვე როგორც თვით წარწერის ენა, უნებლიეთ გვაფიქრებინებს, რომ ბოლნისის ეს წარწერა ქართული მწერლობის ერთი უძველეს ძეგლთაგანი უნდა იყოს“ (ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები... წიგნში: ქართული პალეოგრაფია, გვ. 280).

ივანე ჯავახიშვილი შეეცადა წარწერის დათარიღებას. მან მიუთითა, რომ ძეგლისწერას საეკლესიო კრებისას, რომელიც 506 წლის მახლობლად შედგა, ხელს აწერს დავით ბოლნელი ეპისკოპოსიც. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „უნებლიეთ იბადება აზრი, რომ შესაძლებელია ეს სწორედ ის დავით ბოლ-

¹ ა. მანიძის მიხედვით: [მშრომელთა (იხ. ძველი ქართული ქრესტომათია, გვ. 1), ნ. შოშიაშვილის გამოცემაში ეს სიტყვა ასეა წარმოდგენილი: მ[შ]რომელთა (იხ. ქართული წარწერების კორპუსი, გვ. 68). კ. კეკელიძის განმარტებით, მშრომელი ნიშნავს ავადმყოფთა მომელეს, ან გარდაცვალებულთა დამსაფლავებელს. მშრომელნი საბერძნეთში ჩნდებიან IV საუკუნიდან.

ნისის ეპისკოპოსი იყოს, რომელმაც შემოაღწიშული წარწერა ამოაჭრევინა. რასაკვირველია, ბოლნელ ეპისკოპოსთა შორის დავითი შეიძლება სხვაეც ყოფილიყო, და სრული უეჭველობით ბოლნისის წარწერის დავით ეპისკოპოსისა და სომეხ-ქართველთა საეკლესიო კრების მონაწილე დავით ბოლნელის იგივეობის დამტკიცება ჯერჯერობით უშეძლებელია, მაგრამ თითქმის საუკუნუნახვეურის განმავლობაში მყოფ ეურტაგის II ეპისკოპოსთა შორის მხოლოდ ორსა ქონია ერთი და იგივე სახელი და ისიც ერთმანეთისაგან ცოტად მაინც განსხვავებული, მოჰან და მოჰანე და მათ შორის არც ერთს დავითი არა ერქმევიან. სომეხ-ქართველთა კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთაგანაც მარტო ორი ყოფილა სეხნია და ორსავე იოსები ერქმევიან, თუ რომ აქ გადამწერის შეცდომა არ არის“ (დასახ. ნაშრ., გვ. 281).

ივ. ჯავახიშვილი დასკვნის: „მწყემსმთავართა შორის მაშინდელ საქართველოში ერთგვარი სახელი ხშირი არ უნდა ყოფილიყო და კერძოდ დავითის სახელი უძველეს ხანაში ისე გავრცელებული არ ყოფილა, როგორც შემდგომში, როდესაც ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისა და მეფისაგან ჩამომავლობის რწმენა განმტკიცდა. ამის გამო დავით ეპისკოპოსი შეიძლება მართლაც სომეხ-ქართველთა კრების დამსწრე დავით ბოლნელი ეპისკოპოსი იყოს“ (იქვე).

ამ არგუმენტთა მოშველიებით ივანე ჯავახიშვილმა ეს წარწერა დაათარიღა V საუკუნის დამლევით, ან VI საუკუნის დასაწყისით (დასახ. ნაშრ., გვ. 282).

წარწერა ბოლოვდება იი გრაფემებით. კ. კეკელიძემ აქ იყაენ, იყაენ წაიკითხა (იხ. კ. კეკელიძე, ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის: ეტიუდები... VI, გვ. 420). ამ ვარაუდს იზიარებს ნ. შოშიაშვილიც (ქართული წარწერების კორპუსი, I გვ. 68; შდრ.: Г.Н. Чухнинашвили, Болнисн, გვ. 65-66).

კ.კეკელიძის წაკითხვა საეჭვოა. წარწერა ხანმეტია. ამიტომ გამოთქმაში იქნებოდა: ხიყაენ, ხიყაუნ. დაქარაგმებისას კი პირველი ასოს არდაწერა სრულიად წარმოუდგენელია. სარგის კაკაბაძე აქ გვთავაზობს წაკითხვას „ინდიკტიონსა ი“ (10). მისი ამრით, IV საუკუნის უკანასკნელი ინდიქტიონი 386 წელს თაედებოდა. 386+10 გვაძლევს ტაძრის აგების თარიღს 396 წ. მშენებლობა კი 381 წელს დაუწყიათ (ს. კაკაბაძე, ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ, გვ. 154). რამდენად არის დასაშვები ინდიქტიონსა ასე აღრეულ ძეგლში? ან რატომ უნდა შეემოკლებინათ ასე იშვიათი სიტყვა? ამდენად ამ წარწერის ბოლო ორი ასოს მნიშვნელობა საძიებელია.

შარნ... და აგარუსტის წარწერა

წარწერა მოთავსებულია ტაძრის აღმოსავლეთიდან მეორე ჩრდილო შესავლის წირთხლის ქვაზე. იგი ოღნავ დამიანებულია:

[მეწე]ენითა ქსითა მე ფარნ... და აზარუხტ მეხუაბთ ესე კარი სალოცველად სულთა [ჩუენ]თათუს (იხ. ა. მანიძე ძველი ქართულის ქრესტომათია, გვ. 1)¹.

წარწერა პირველად მ. ბროსემ გამოაქვეყნა 1838 წელს (Mémoires de l'Acad. des Sciences, VI Serie, გვ. 421) და მას შემდეგ მრავალჯერ გამოიცა.

ამრთა სხვადასხვაობაა დაზიანებული საკუთარი სახელის ამოკითხვის თაობაზე. ლ. მუსხელიშვილის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ფარნ[ევაბ] (ბოლნისი, გვ. 331); გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით ფარნ[ევან] (Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 74); ნ. მოშიაშვილი აღადგენს ფარნ[აეაბ] ფორმას (ქართული წარწერების კორპუსი I, გვ. 70); რ. პატარიძე – ფარსმან-ს (რ. პატარიძე, ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები, გვ. 155); ბ. მჭედლიშვილი – ფარნ ექმნ (= ფარსმან ერისთაემან, იხ. ბ. მჭედლიშვილი, ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის, გვ. 105). ე. მაჭავარიანი უპირატესობას აძლევს ფარნე[ე]ან ფორმას, რადგანაც თელის, რომ „მიუხედავად დაზიანებისა, ამჟამად ამ სახელის ნაწილი „ფარნეკ“ მაინც განირჩევა, ამკარად იკითხება „ნარი“ (ე. მაჭავარიანი, ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, გვ. 33).

წარწერაში ბ და ქ თავშეკრულია. გვაქვს ხანმეტი ფორმა მეხუაბთ (-მევაბით), სადაც ხ-მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშანია.

აკაკი მანიძის აზრით, წარწერა VI საუკუნის პირველი ნახევრისაა (ძველი ქართულის ქრესტომათია, გვ. 107). ლ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ იგი ტაძრის აშენების თანადროულია (იხ. ბოლნისი, გვ. 331).

* * *

აღსანიშნავია ბოლნისის კიდევე რამდენიმე წარწერა. ერთ-ერთი მოთავსებულია ეკლესიის ჩრდილო ნაგში, ბოლნური ჯვრის ზემოთ:

ესე ჯ-ი ვ-ნ ნ-ჟა.

ლ. მუსხელიშვილი იმოწმებს ივანე ჯავახიშვილის წაკითხვას: ესე ჯუარი ვარსქენ ნაპაეტისაჲ (ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 332. ამავე წაკითხვას ემხრობა ნ. მოშიაშვილიც, იხ. ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 74) და შენიშნავს: „რასაკვირველია, დანამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქარაგმის მაინც და მაინც ასეთი გახსნა იყოს სწორი: „ვარსქენის“ ნაცვლად შეიძლება წაეკითხოთ „ვარდან“. საეჭვოა აგრეთვე ნ-ჟა-„ნაპაეტისაჲ“, მაგრამ სხვა ახსნა ამ შემოკლებას ვერ მოუძებნე“ (ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნამრ. გვ. 332), წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით ძველია. ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს: „ამ წარწერის ასოების მოხაზულობა არაფრით განირჩევა დანარჩენ უძველეს წარწერებში“ (იქვე).

ივანე ჯავახიშვილის მიერ ნაპაეტის (ან ნახპეტის) ამოკითხვის საფუძვლიანობას მოწმობს ე. წ. ბოლნისის ნახპეტის წარწერა (V-VI სს). იგი აღმოჩნდა 1937 წელს ბოლნისის სიონის ტერიტორიაზე.

¹ ნ. მოშიაშვილი იძლევა ასეთ წაკითხვას: [მეწე]ენითა ქ(რისტ)სითა მე[ე], ფარნ[აეაბ]. და აზარუხტ მეხუა[ბ]თ ესე კარი სალოცველად ჩ(უენ)(და) და [მულთა ჩ(უენ)თა] (იხ. ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 70).

1. ესე ჯუა...

2. ...ამ ბო..

3. ის ნახ..

6. მოშიამეილი წარწერას ასე კითხულობს: „ესე ჯუა(რი წ'დ)ამ ბო[ლნის]ის ნახ[ეტის]ამ (იხ. ქართული წარწერების კორპუსი, I გვ. 76). ამ წარწერაში შემორჩენილი ნახ ნახკეტ სიტყვის ნაწილი უნდა იყოს.

პალეოგრაფიული ნიშნებით ამ წარწერას ნ. მოშიამეილი V-VI საუკუნეების მიჯნით ათარიღებს (ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 74).

ბოლნისის სიონში 1936 წელს გათხრების დროს აღმოჩნდა ქვა-ჯვარას ფრაგმენტი, რომლის ერთ-ერთ წახნაგზე მოთავსებულია შეიღსკრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

1. ჩო

2. რან

3. ქე შე

4. ცოლ

5. შვილი

6. თურ

7. თ

ანუ: ჩორან, ქრისტე, შეიწყალე ცოლ-შვილითურთ (ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 332, ნ. მოშიამეილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 118).

ლ. მუსხელიშვილი მიუთითებს: „პალეოგრაფიულად ეს წარწერა ძალიან ძველის შთაბეჭდილებას ახდენს: არქაულია „ჩ“-ინი, რომლის მუხლი ბუნის ქვეითა ნახევარზეა მიკავშირებული და მის ძირამდე ჩამოდის, არქაულია აგრეთვე მეკრული „ქ“-ც და, განსაკუთრებით, ორჯერვე თავმეკრული „შ“-ინი. ამიტომ მე შესაძლებლად მიმაჩნია ეს წარწერა მე-6-7 საუკუნისად ჩავთვალო“ (ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 333). ნ. მოშიამეილის ამრით, წარწერა VIII საუკუნისაა (დასახ. ნაშრ., გვ. 118).

ლ. მუსხელიშვილს დასაშვებად მიაჩნდა საკუთარი სახელის ორგვარად წაკითხვა: ჩორან, ან: ჩორან. ნ. მოშიამეილი უპირატესობას აძლევს ჩორან ფორმას, ხოლო ა. ბაქრაძე და ს. ბოლქვაძე – ჩორან-ს (იხ. კატალოგი, გვ. 22).

ბოლნისის სიონში 1936 წელს აღმოჩნდა X საუკუნის წარწერა სწორკუთხოვან ქვის ფილაზე:

1. ესე ს'ფნი ი'ნი

2. ბ'ნლ ე'კნი და ვ

3. ინ ს'ხა ღფ'ლს

4. ამ'ცა ნე'გბს

ანუ:

1. ესე საფლავნი¹ იოვანე

¹ ლ. მუსხელიშვილი აქ კითხულობს: საყოფელნი (ბოლნისი, გვ. 338; იხ. აგრეთვე კატალოგი, გვ. 22).

2. ბოლნელ ეპისკოპოსისანი და ე-

3. ინ სხუაჲ დაეფლას

4. ამასცა, ნუ ეგების (კატალოგი, გვ. 22; ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 153).

ლ. მუსხელიშვილის ამრით, წარწერა X საუკუნისაა. ნ. შოშიაშვილი პალეოგრაფიული თვალსაზრისით ძეგლს IX საუკუნით ათარილებს (დასახ. ნამრ., გვ. 153). -

ამ ქვაზე შემონახულია კიდევ ერთი მოკლე წარწერა:

1. ესე ჯ-ი შ

2. უმანი

3. კისი,

ანუ:

1. ესე ჯუარი შ

2. უმანი-

3. კისი

(იხ. ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 339).

წარწერაში მეორე შ და უ (რომელიც უ ასოს დაწერილობაში შედის) მებრუნებულია. ლ. მუსხელიშვილს მოჰყავს ანალოგიური შემთხვევები სხვა ეპიგრაფიკული ძეგლებიდანაც.

ლ. მუსხელიშვილის ამრით, წარწერა X-XI საუკუნეებისაა (დასახ. ნამრ., გვ. 339). ნ. შოშიაშვილი წარწერას IX საუკუნით ათარილებს (ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 154).

ბოლნისის სიონის სამხრეთის შესაელის წირთხლის ქვაზე შემონახულია რეასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

1. ქ. ს[ხლთა ღ თა, მმსა] ძისა სლს წდა მხთა

2. წდსა ღ[სმშბლს] თა წსა გრლთა მე გლხკენ

3. ელია ბნა მლთმძღ ღრს ექნ საყდრსა წსა გგლსა ღ

4. ა ამას საყდს ღმთეჲ არა ღბლყ კრს ძლთა მე

5. ღღე და ზამე ღმმთს სგლღ ღა ადნ ღნ ღთ მჟა

6. ღა მელნი და აბლ მჟა ღა აწ ვინ შგღ ჩმა ესე

7. ღმსთა ღა მშმ ამს ეკლსგნ და ფჩსთა შცლს მჩნბლ

8. მცა არს ღსგნ ღმს სყნ ვნ ესე აკეს კნნს ქმმცა არ[ს]

(იხ. ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 339), ანუ:

1. ქრისტე, ს[ახელითა ღმრთისაჲთა, მამისა], ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა

2. წმიდისა ღ[მრთისმშობელისაჲ]თა, წმიდისა გრიგოლისითა, მე, გლაბ-აკმან

3. ელია ბოლნელა, მღდელთმობღურად ღირს ვიქმენ საყდარსა წმიდისა გრიგოლისა. ღ-

4. ა ამას საყდარს ღამისთეჲა არა ღებულ იყო. კურისძალთა მე

5. ღავედე და ზედაშე ღამისმთეველთათჳს საგალობელად ღმრთისა. ადიდენ ღმერთმან დაეით მამჟა[ლი]

6. და შვილ[ნი] და აბულ მამჟა[ლი]. და აწ ვინ შემდგომად ჩემსა ესე

7. ღამისთევამ და ზეღამშ ამის ეკლესიამსაგან და ფიქოსანთა მეცვალოს, შერუნებულ-

8. მცა არს ღმრთისაგან და ამის საყდრისაგან. ვინ ესე აღკოცოს, კანონს ქუემეცა არს.

წარწერის დათარიღების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ლ. მუსხელიშვილი წარწერას IX-X საუკუნეებისად მიიჩნევს (ბოლნისი, გვ. 340). ნ. მოშიაშვილის აზრით, ძეგლი X საუკუნის II ნახევრისაა (ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 248-249).

ლ. მუსხელიშვილმა ყურადღება მიაქცია შემოკლების არატიპურ შემთხვევებს, აგრეთვე უჩვეულო სინტაქსურ კონსტრუქციას: მე, გლახაკმან ელია ბნა. იგი ვარაუდობდა ბოლნელმა ფორმას (ბოლნისი, გვ. 340). ა. შანიძემ აქ ბოლნელა წაიკითხა (იხ. Г. Н. Чубинашвили, Болниси, გვ. 75). ა ნახმარია [ი]-ს გამოსახატავად.

2. ურბნისის სიონის წარწერები

ურბნისის სიონის კედლებზე შემონახულია რამდენიმე ასომთავრული წარწერა. საყდრის ჩრდილოეთის ფასადის კედლის ფილაზე სამსტრიქონიანი წარწერა იკითხება (მასში ქარაგმის ნიშანი არ არის გამოყენებული):

1. ოო იუ ქე
2. კტი მმ მქლ შწყლნ
3. ას სნა მშზლნი (ნ. მოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 63), ანუ:

1. უფალო იესუ ქრისტე,
 2. კოსტანტი, მარიამ¹, მიქაელ შეიწყალენ,
 3. ამის სიონისა მაშშნებელნი.
- ნ. მოშიაშვილის აზრით, წარწერა V საუკუნის I ნახევრისაა. ამ დათარიღების საფუძველს, მისი ვარაუდით, ის წარმოადგენს, რომ წარწერაში გვხვდება ასოთა მეტად არქაული მოხაზულობანი. თავშეკრულია ბ, უ; ლ და წ რკალშეკრულია და, რაჟ განსაკუთრებით აღსანიშნავია, შ-ს შეკრული აქვს როგორც ზედა, ისე ქვემო რკალები (ნ. მოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 63). კ. მაქარაია წარწერას V-VI საუკუნეთა მიჯნით ათარიღებს (კ. მაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, გვ. 90). ვ. სილოგავა ფიქრობს, რომ წარწერა X საუკუნისაა (ვ. სილოგავა, ეპიგრაფიკული ეტიუდები, გვ. 92).

სიონის სამხრეთის ფასადის კარის თავზე ორ ფილაზე მოთავსებულია ექვსსტრიქონიანი წარწერა (ქარაგმის ნიშანი არ იხმარება):

1. ოო ღო შე თე ებსკი ძაღკსი მშზლი
2. ას საა ოღს ღნ ღსმყო ას სა ებსკსღ
3. იყო ესე სნი ღძბღ ოფს მშსა ოთხნი

¹ გამოცემლები მშ შემოკლებულ ფორმას ასე ხსნიან: მამამ. ვფიქრობთ, ეს საეჭვოა. ამ წარწერაში ფორმათა შემოკლებისას ყოველთვის წარმოდგენილია ბოლო ბგერის აღმნიშვნელი ასო. აქ რომ მამამ იგულისხმებოდეს, მამ გვექნებოდა.

4. კთხ[ნი] და კქი გულ იყს იგნი ქტცი დლ
5. იყს და მღლა ღნ ას ყისაჲ აღმბაჲ ყთა გჲ
6. [თჲ] ძალა სა მხთს ღა ყი გთავთა მქა (ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 196), ანუ:

1. უუალო ღმერთო, შეიწყალე თეოდორე ებისკოპოსი, ძეჲ ლუკაჲსი, მაშენებელი

2. ამის სიონისაჲ. ოღეს ღმერთმან ღირს-მყო ამის სიონისა ებისკოპოსად,

3. იყო ესე სიონი დაძულებულ უუროჲს ზომისა. ოთხი

4. კუთხნი და კონქი განაებულ იყენეს, სუეტნი ქარტოცისანი(?) დამპალ

5. იყენეს. და მომზადლა ღმერთმან ამის ყოვლისაჲ აღმენებაჲ, ყოველთა გჲ

6. თჲ (?) ძალითა სიონისაჲთა. მეოხებითა¹ ღმრთისაჲთა ყოველი გათაეებითა მიქმნია.

წარწერაში ასოები გაკუთხოვნებულია, ჩანს ნუსხურისაკენ მიდრეკილება (ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 196).

წარწერას ნ. შოშიაშვილი X საუკუნით ათარიღებს (ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 196). პ. ზაქარაიას აზრით, ძეგლი LX-X საუკუნეებისაა (პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, გვ. 91).

თეოდორე ებისკოპოსი მოიხსენიება აგრეთვე ურბნისის სიონის აღმოსაველეთის ფასადზე ორ ფილაზე ამოკვეთილ წარწერაშიც (ქარაგმის ნიშნები არ ახლავს):

1. ღბჲ მა ქე

2. რ მღლე თე

3. ებქსა ას სა

4. აღმბჲ თნა

5. შეწნთა მქლ

6. ძსა კტსითა

7. ქნ შენ ესე მე

8. აბთრ ღწრე (ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 198),

ანუ:

1. ღიდებჲჲ მენდა, ქრისტე,

2. რამეთუ მოჰმადლე თეოდორე

3. ებისკოპოსსა ამის სიონისა

4. აღმენებჲჲ თანა-

5. შეწენითა მიქაელ

6. ძისა კოსტანტისითა, -

7. ქრისტემან შეიწყალენ! - ესე მე,

8. აბიათარ, დავწერე.

¹ როგორც ჩანს, შეცდომითაა ამოკვეთილი ს შემოკლებული ფორმის ბოლოს: მხთს.

ეს და წინა წარწერა ერთი და იმავე პირის შესრულებულია. როგორც ჩანს, ამ წარწერების ამომკვეთ ოსტატს კიდევ ერთი წარწერაც გაუკეთებია. იგი მოთავსებულია აღმოსავლეთის კედლის ფილაზე (ქარაგმის ნიშნები არ გეხვდება):

1. სბო წო შე მნა
2. შნი ქთრ შშნ და
3. ნშბნი მთნი შწნი
4. ამს სნი ქნ შნ ან (ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 199),

ანუ:

1. სამებაო წმიდაო, შეიწყალე მონაა
2. შენი ქავთარ, შუშან და
3. ნაშობნი მათნი. შემწენი
4. ამის სიონისანი, ქრისტემან შეიწყალენინ. ამენ..

3. ბოლნისის „ლაბაში ბორის“ წარწერა.

1959 წელს ბოლნისის სიონის მახლობლად, ლაბაშ გორაზე, აღმოჩნდა ეკლესიის ნანგრევი, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, სამონასტრო კომპლექსში შედიოდა. აქ იპოვეს რამდენიმე ქვაჯვარა და რელიეფი ასოსთავრული წარწერებითურთ. წარწერები, სამწუხაროდ, დაზიანებულია. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ისინი ძალზე არქაულია (იხ. ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, გვ. 34-35).

ერთ-ერთ ფილაზე იკითხება:

1. ესე ჯუარი ბარ-
2. ნაბაასი რნ
3. აღმოი
4. კითხოს
5. ლოცვა
6. კ

(ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 84), ანუ:

1. ესე ჯუარი ბარ-
2. ნაბაასი, რომელმან
3. აღმოი-
4. კითხოს,
5. ლოცვა
6. [სა მომი]კ[ს-
7. ენოს].-

წარწერაში თავმეკრულია ბ, უ.

წარწერა V-VI საუკუნეებით თარიღდება (ჯ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 34-35; ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 83).

4. საპაქალუხტის წარწერა

1925 წელს გიორგი ბოჭორიძემ რაჭაში, მნაკეაში, ერთ ოჯახში მიაგნო ხატს, რომელიც წამოღებული იყო მნაკეის ჯვარისას ეკლესიიდან. ხატის წინა კარზე მოთავსებული იყო რეასტრიქონიანი წარწერა:

1. წო გლ საკურველ
2. თმოქმელო მენდ
3. ა შევედრებუ-
4. ლი მკლი მენი ს
5. აპაკლუხტ
6. დაყუეე ყოვლ-
7. ლისაგან ბო
8. როგისა,

ანუ: წმიდო გრიგოლ საკურველთმოქმელო, მენდა შევედრებული მკე-
ვალი მენი საპაკლუხტ დაყუეე ყოვლისაგან ბოროტისა (გ. ბოჭორიძე, ჯვარი-
სას ძეგლი, გვ. 207).

პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა ენათესავება უძველეს ქართულ
წერილობით ძეგლებს: ბ და ყ თავშეკრულია, ხოლო შ და უ თავგახსნილი. თ
ძლიერ ჰგავს ბერძნულ Q-ს (გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 208).

ძალიან საინტერესოა დაყუეე ფორმა. ა აქ ასახავს [ა] ალოფონს V-C
პოზიციამი. ეს არის ამ ტიპის შემთხვევათა ყველაზე ადრინდელი ნიმუში.

1927 წელს გ. ბოჭორიძემ წარწერა VI საუკუნით დათარიღა (გ.
ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 298), 1930 წელს კი V საუკუნით (გ. ბოჭორიძე,
რაჭის ისტორიული ძეგლები, გვ. 177). ა. მანიძის ამრითაც, ძეგლი V საუ-
კუნისა შეიძლება იყოს (ა. მანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია, გვ.107).

5. ზემო ნიქომის ღვთაების ტაძრის წარწერები

სოფელ ზემო ნიქომის ღვთაების ტაძარზე შემონახულია ორი ასომ-
თავრული წარწერა. პირველი წარწერა, სპეციალისტთა ამრით, V საუკუნი-
საა. იგი მოთავსებულია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე (ქარაგმის ნიშნები
არ გვხვდება):

1. წო სმო ზრა
2. პრლეკი შე (ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ.
71), ანუ:

1. წმიდო სამებაო, ზაქარია
2. პირველესკოპოსი შეიწყალე.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით წარწერა არქაულია. შ ასოს ზემოთა
რკალი შეკრულია, ასევე შეკრულია ლ გრაფემის ორივე რკალი.

მეორე წარწერა ამოკვეთილია საყდრის სამხრეთ ფასადზე (წარწერა
დაზიანებულია):

1. ...ეპი
2. სკამზნ აღვ

3. შნე წა ეკლსა (ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I
გვ. 187), ანუ:

...ეპი

სკოპოზმან აღე-

აშხნე წმიდამ ეკლესიამ.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით წარწერას ახასიათებს გრაფემების გაკუთხვნება. სპეციალისტთა აზრით, ძეგლი X საუკუნისაა.

6. უკანგორის წარწერები

1936-1937 წლებში უკანგორის (დმანისის რ-ნი) ეკლესიის გარშემო მდებარე სასაფლაოზე ლ. მუსხელიშვილმა მიაგნო ჯერის კვარცხლბეკს, რომელზედაც აღმოჩნდა ასომთავრული წარწერა. ლ. მუსხელიშვილი ამ წარწერის პირველ ოთხ სტრიქონს ასე კითხულობდა:

1. + პეტრმს ხუცსობას[ა]

2. მე თათეარაზ აღხუ

3. მ[ა]რთე ესე ჯუარი სახე

4. [ლითა] ღმ[თა] შეწუენითა იმ (ან ღმ) (იხ. ლ. მუსხელიშვილი, უკანგორის ისტორიული ნაშთები, გვ. 164-165).

ლ. მუსხელიშვილი მიუთითებდა, რომ მე-5 და მე-6 სტრიქონები სულ აღარ იკითხება (დასახ. ნაშრ., გვ. 165).

ვ. სილოგავამ შეძლო წარწერის ბოლო ორი სტრიქონის ამოკითხვა.

წარწერის მისეული წაკითხვა ასეთია:

1. + პეტრმს ხუცობას[ა]

2. მე თათეარაზ აღხუ

3. მართე ესე ჯუარი სახე

4. ლითა ღმ[თა] შეწუენითა იუ ქ

5. მსითა, რ'ნ თაყყანისხეც[თ] ლ[ო]ც-

6. ვასა [მომი]ქსენე[თ] (იხ. ვ. სილოგავა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, გვ. 146; ნ. შოშიაშვილი, კორპუსი, I, გვ. 90), ანუ: + პეტრმს ხუცსობას[ა] მე, თათეარაზ, აღხუმართე ესე ჯუარი სახე[ლითა] ღმრთისამ[თა], შეწუენითა იესუ ქრისტისითა, რომელმან თ[ა]ყყანის-ხეც[თ], ლ[ო]ცეასა [მომი]ქსენე[თ], (=პეტრეს მღვდლობისას მე, თათეარაზმა, აღმართე ეს ჯვარი ღმრთის სახელით, იესუ ქრისტეს დახმარებით. ვინც თაყყანი სცეთ, ლოცვაში მომიხსენეთ.)

წარწერაში თავშეკრულია ბ და ჯ. შ თავგახსნილია (იხ. ლ. მუსხელიშვილი, უკანგორის ისტორიული ნაშთები, გვ. 165).

წარწერა ხანმეგია. მასში გვხვდება აღხუმართე (=აღმართე) და თაყყანის-ხეცეთ ფორმები, სადაც ხ- მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანია.

ლ. მუსხელიშვილმა მიაქცია ყურადღება ჯ-ს გამოვლენას შეწუენითა ფორმაში და აღნიშნა: „ჯ-ს ხმარება სიგყვაში „შეწუენითა“ კიდევ უფრო უასლოვებს ამ წარწერას ბოლნისის ორ უძველეს წარწერას, სახელდობრ, 502/3 წლისას და დავით ეპისკოპოსისას, საცა ანალოგიური მართლწერა გვაქვს სიგყეებში: „თაყყანისხეცს“ და „თაყყანისმეცემელი“ (დასახ. ნაშრ., გვ.

165). ეს მსგავსება კიდევ უფრო თვალნათელი გახდა უკანგორის წარწერის მეხუთე სტრიქონში თაყანისსცე[თ] ფორმის ამოკითხვის შემდეგ.

ლ. მუსხელიშვილმა წერწერა VI საუკუნის დასაწყისით დაათარიღა (დასახ. ნაშრ., გვ. 165; ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, გვ. 13).

უკანგორის ეკლესიაში ლ. მუსხელიშვილმა იპოვა უფრო მცირე ზომის ჯვრის კვარცხლბეკი შეიღსტრიქონიანი წარწერის ნაშთებით:

- 1.
2. თა
3. და [მ]
4. აღხო
5. ესე ჯო
6. ლოცვე
7. [ჩ]ნდა

ლ. მუსხელიშვილმა წარწერა ასე აღადგინა:

1. [სახელითა ღმრთისაჲთა მე]
2. თა[თვარაჲ]
3. და მ[არიაჲ]

4. აღხო[მართეთ]
5. ესე ჯ[უარი სა]
6. ლოცვე[ლად]

7. [ჩ]ნდა (იხ. უკანგორის ისტორიული ნაშთები, გვ. 166; არქეოლოგიური ექსკურსიები, გვ. 13).

6. მოშიამვილი შემდეგ წაკითხვას გვთავაზობს:

1. [შეწვევითა ქრისტისი]
2. თა [ჩუენ...]
3. და [...]

4. აღხო[მართეთ]
5. ესე ჯ[უარი სა]
6. ლოცვე[ლად]

7. [ჩ]ნდა (კორაუსი, I, გვ. 91).

ეს წარწერაც VI საუკუნის დასაწყისისაა. მიუხედავად იმისა, რომ არ ხერხდება მთელი წარწერის უდავოდ აღდგენა, ცხადია, რომ იგი შეიცავდა ხანმეტ ზმნურ ფორმას აღხომართე (ან აღხომართეთ).

7. დაბლუგის წყლის ხეობის ეკლესიის ნარწერაში

1968 წელს ღმანისის რაონში, მდინარე დაბლუგისწყლის ხეობაში, აღმოჩნდა მცირე ეკლესიის ნანგრევები. იქ იპოვეს ქვის ჯვრის კვარცხლბეკის ფრაგმენტები წარწერითურთ. წარწერა შეტად დაზიანებულია:

1. ...ლობ...თა ღმთ
2.აბაზამა ...
3. იზა
4. ეს ... უარი ...

5. თე ... ლოც ...

6. ჩემ ა და

7. და მუ ... თათუ...

8. იან ლოც ...

9. (ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 93).

ამ წარწერას ასე აღადგენენ:

1. [წყა]ლობ[ი]თა ღმრთისაჲთ

2. [ა, მე...] აბაზამა[ნ]

3. იზა

4. ეს[ე] ჯ[უ]არი [აღხუ]მარ

5. თე [სა]ლოც[ე]ლად

6. ჩემ[და] და [ყო]ლისა

7. და მუ[ლ]თათუ[ს. ვინ აღმოიკ

8. ითხ]იან, ლოცე[ასა მომ-

9. იკსენეთ] (იხ. ვ. ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის მოკლე ანგარიში; ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93).

საქეცილისტთა ამრით, წარწერა V-VI საუკუნეებისაა. ბ თაემეკრულია. შ-ს შეკრული აქვს მემოთა რკალი.

შულთა ფორმა ასახავს უ-ს ხმარებას ჟ გრაფემათმომღვერობის ნაცე-
ლად. მშუა, შული სხვა უძველეს წერილობით ძეგლებშიც გვხვდება (იხ. 8. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გვ. 291-292).

დამიანებულ ადგილას აღხუმართე მზნური ფორმის აღდგენა იმ საბუთს ემყარება, რომ V-VI საუკუნეებში ამ რეგიონის მეტყველება ხანმეტი იყო.

იმავე ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა ჯვრის კიდევ ერთი კვარცხლბეკი დამიანებული წარწერითურთ:

1.სლნ ...დ ... ხცნი...

2. აღნე ამ თნი რლთა

3. ...რთეს ესე ჯუარი ამშ (ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 94).

წარწერას ასე კითხულობენ: [იესუ ქრისტე], სულნ[ი] დ[ა] ხორცი [შეიწყალნე ამ[ა]თნი, რომელთა [აღხუმა]რთეს ესე ჯუარი ამშ[ნ] (ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ.; ნ. შოშიაშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 94)

წარწერას ათარიღებენ V-VI საუკუნეებით (ვ. ჯაფარიძე), ან VII საუკუნით (ნ. შოშიაშვილი). ვფიქრობთ, ზოგი ადგილის აღდგენა საეჭვოა: შეიწყალნე; მოსალოდნელი იყო შეიწყალენ. ხორცი ამ დროისათვის საეჭვო ფორმაა (უნდა ყოფილიყო ქორცი). ალბათ ძნელად დასაჯერებელია აღხუმართეს ხანმეტი მზნური ფორმის დაშვება (შესაძლებელი იქნებოდა აღხმართეს).

ვფიქრობთ, წარწერის თარიღიც გადასახედავია.

გ. პალესტინის წარწერები

1952-1953 წლებში იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ პალესტინაში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნანგრევები². განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იქ მიაკვლიეს სამ ქართულ წარწერას. ბუნებრივია, რომ ე. კორბოს აღმოჩენამ ქართველოლოგთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

პალესტინის ქართული მონასტრის აღმოჩენის შესახებ პირველი ნაშრომი 1953 წელს ეურნალში "La Terra Santa" გამოაქვეყნეს ვირჯილიო კორბომ და ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა მიხეილ თარხნიშვილმა³ (№ 28, Jerusalem, გვ. 181-186). 1954 წელს ეურნალში „ბედი ქართლისა“⁴ (№ 16) იბეჭდება მიხეილ თარხნიშვილის სტატიები: "Un nouveau monastère géorgien

¹ ოთხთავის მიხედვით, ბეთლემში იშვიათად იყო ქრისტიანობა.

² მახლობელ აღმოსავლეთში მრავალი ქართული ძეგლი არსებობდა. მათმა ერთმა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია.

³ მიხეილ სტეფანეს ძე თარხნიშვილი დაიბადა 1897 წლის 12 იანვარს ახალციხეში. 1911 წელს მისი მშობლები სკრაში გადმოსახლდნენ. 1913 წელს მ. თარხნიშვილი კონსტანტინეპოლში (სტამბულში) მიემგზავრება, სადაც ოთხი წლის განმავლობაში სწავლობს, შემდეგ კი გერმანიაში, ეტაში, აგრძელებს სწავლას. 1919 წელს იგი ჩამოდის საქართველოში, მაგრამ მოკლე ხნით. იმავე წლის დეკემბერში მიდის კონსტანტინეპოლში. 1924-1928 წლებში იგი ვენაში სწავლობდა, 1930 წლიდან რომშია. მან 1933 წლის 7 დეკემბერს დაიწყო დისერტაცია. მუშაობდა საფრანგეთში, გერმანიაში და ბელგიაში. საბოლოოდ იგი რომში დაემკვიდრა. გამოაქვეყნა ძველი ქართული მწერლობის არაერთი ძეგლი. მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფია გამოაქვეყნა ი. ასფალგმა ეურნალში „ბედი ქართლისა“ (№ 32-32, 1959, გვ. 61-63).

მიხეილ თარხნიშვილი გარდაიცვალა 1958 წლის 15 ოქტომბერს. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ 1958 წ. ეურნალში Le Muséon გამოქვეყნდა ცნობილი ბელგიელი ქართველოლოგის, აკადემიკოს ეერარ გარიგის სტატია, 1959 წელს „ბედი ქართლისაში“ დიბეჭდა გერმანელი ქართველოლოგის, პროფესორ იულიუს ასფალგის საყურადღებო წერილი.

⁴ „ბედი ქართლისა“ გამოდიოდა 1948-85 წლებში პარიზში. მისი რედაქტორი იყო კალისტრატე სალია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, პროფესორი, სამეცნიერო გამოქვეყნებათა საერთაშორისო გაერთიანების ვიცე-პრეზიდენტი, პარიზის ლინგვისტური საზოგადოებისა და საამიო საზოგადოების წევრი. გამოქვეყნებული გახლდათ ნინო სალია (ქურციკაშვილი), ქართული კულტურის მკვლევარი. „ბედი ქართლისა“-მ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიისა და კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ ეურნალში იბეჭდებოდა როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტების მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართველოლოგიის თითქმის ყველა დარგში.

ეურნალი გამოდიოდა სამეცნიერო კვლევა-ძიებათა საფრანგეთის ეროვნული კომიტეტის გრანტით. მის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: მ. თარხნიშვილი, ე. დიუშელი, ე. ფოტი, ე. გართი, ი. მოლითორი, დ. ლანგი, ე. ა. შმიდტი, რ. ლაფონი, ი. ასფალგი, მ. მერსიე, მ. უკი, ე. ჰეზროკი და სხვები.

„ბედი ქართლისა“-ს სამეცნიერო გრაფიკის დარგში 1985 წლიდან აგრძელებს ეურნალი "Revue des études géorgiennes et caucasiennes" (მთავარი რედაქტორია გიორგი მარამიძე).

découvert à Bethléhem" და „ახლად აღმოჩენილი ქართული მონასტერი ბეთლემში“.

1955 წელს იერუსალიმში გამოდის ვირჯილიო კორბოს წიგნი: Gliscavi di kh. Siyar el Ghanam (Campo dei Pastopi e i monasteri dei dintorni) (გათხრები ხირბეთ სიიარ ალ-ღანამში („მწყემსთა ველი“) და უახლოესი მონასტრები). ნაშრომის მერვე თავი ეძღვნება ბეთლემის წმიდა თეოდორეს სახელობის ქართულ მონასტერს. ამ თავის მესამე პარაგრაფი (გვ. 135-140) ეკუთვნის მიხეილ თარხნიშვილს და მასში განხილულია ახლად აღმოჩენილი ქართული წარწერები. მკვლევარმა წაიკითხა წარწერები, თარგმნა ისინი ლათინურად და დაურთო ფრიალ მნიშვნელოვანი კომენტარები.

განვიხილოთ ეს წარწერები. სპეციალისტთა აზრით, უძველესია ორი წარწერა, რომლებიც ჩვენამდე ფრაგმენტულადაა მოღწეული. ეზოს ჩრდილო-დასავლეთით შემონახულია მოზაიკური წარწერის ნაწილი, რომელიც მ. თარხნიშვილმა ასე წაიკითხა:

1. წმიდაო თეოდორ-
2. ე მარ(ოუ)ან და ბო
3. (უ)რგნ...ენ ამი-

4. ე... (M. Tarchnishvili, Le iscrizioni di Bir el-Qutt, გვ.138, იხ. აგრეთვე გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, გვ. 23)¹.

ეზოს მოზაიკური იატაკის დასავლეთ ნაწილში შემორჩა წარწერის შემდეგი ნაწილი:

1. და ძუძ-
2. ეულნი მ-
3. ათნი ბა-
4. კურ და
5. გრი ორმ-
6. იზღ და ნ
7. ამობნი
8. მათნი ქე
9. შენ,

10. ამენ (და ძუძეულნი მათნი: ბაკურ და გრიორმიზღ და ნამიზნი მათნი, ქრისტე, შეიწყალენ, ამენ).

მიხეილ თარხნიშვილმა პალეოგრაფიული ნიშნებით ეს წარწერები VI საუკუნით დაათარიღა. ამავე დროს მან გამოთქვა მოსაზრება მარკუან და ბურგენ სახელთა შესახებ: „ეს სახელები ოდნავ განსხვავებული ფორმით

¹ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საეკვლავ თეოდორე ფორმის წაიკითხვა. მეორე სტრიქონში იკითხება დ. რაჟ ნათლად ჩანს ვ. კორბოსა და გ. წერეთლის წიგნში წარმოდგენილი ტაბულებიდან, და არა ე. სპეციალისტებს მეორე სტრიქონის დასაწყისის დ მიჩნეული აქეთ თეოდორ ფორმის გაგრძელებად, რაჟ ევქეს იწვეეს. საქმე ისაა, რომ პალესტინის წარწერებში, სამოგადოდ, და ამ წარწერაში, კერძოდ, ე და დ გრაფემები მკვეთრად არის გარჩეული. უფრო საუბრაულოა, რაჟმ წარწერას აქ აკლია და მეორე სტრიქონის დასაწყისში წარმოდგენილი დ, რომელიდაც სიტყვის (ტი=გიორგი?) დაბოლოებაა.

ცნობილი ყოფილა საქართველოში. პეტრე იბერიელის (V ს.) ქართული ცხოვრების მიხედვით მისი ქართული სახელი იყო მურვანოსი და ამავე პეტრეს მამას ბუზმირი ერქვა“ (M. Tarhnišvili, *Le iscrizioni...*, გვ. 139).

შალვა ნუცუბიძემ 1959 წელს ჟურნალში „მნათობი“ (№ 1), დაბეჭდა ნაშრომი „პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები“, რომელშიც უდავოდ მიიჩნია, რომ ბეთლემის წარწერაში მოხსენიებული მურვანოსი პეტრე იბერიელის ერობის სახელია. მისი აზრით, წარწერა V საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

სიმონ ყაუხჩიშვილი ავითარებს (და რამდენადმე ცვლის) მ. თარხნიშვილის აზრს. იგი მიუთითებს, რომ ბეთლემის ქართული წარწერების მარუან არის პეტრე იბერიელის სახელი, ბუზმირ – პეტრეს მამისა, ხოლო ბაკურ – პეტრე იბერის დედის მამისა („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 061).

პალესტინის ამ წარწერებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გიორგი წერეთელმა. იგი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ისინი უკავშირდებიან V საუკუნის უდიდესი ქართველი ფილოსოფოსისა და საეკლესიო მოღვაწის პეტრე იბერიელის სახელს. გ. წერეთელი წერდა: „პალესტინის უდაბნოს ქართული წარწერების სახით ჩვენ მივაღწეით იმ მიჯნას, რომლის იქით, ზოგიერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ქართული დამწერლობის არსებობა არ ივარაუდებოდა. ამ ეპოქის შესანიშნავი ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენის შემდეგ, ისიც საქართველოდან ესოდენ დამორებული ქვეყანაში, როგორც პალესტინაა, ვფიქრობთ, ეს ჰიპოთეზა საბოლოოდ უკუგდებული უნდა იქნეს. V საუკუნეზე ადრე ქართული დამწერლობის არსებობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამჟამად კიდევ უფრო შესაძლებელი და რეალური ჩანს. ამ მხრივ იორდანის უდაბნოს ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის განუსაზღვრელად დიდია“ (გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, გვ. 52).

გ. წერეთლის აზრით, წმიდა თეოდორეს სახელობის მონასტერი პეტრე იბერიელმა ააგო V საუკუნის ოცდაათიან წლებში (გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 28). მანვე შეამკო „იგი ქართული წარწერებით, სადაც თვით მისი, მისი მამისა და პაპის სახელებია მოხსენიებული“ (იქვე). გ. წერეთელი დაასკვნის: „ეს წარწერები არიან უძველესი დღემდე ცნობილ ყველაზე ძველ ქართულ წარწერათა შორის, ეინაიდან ნახეკარი საუკუნით მაინც უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულ ბოლნისის წარწერებს“ (გვ. 29).

ბეთლემის მონასტრის ქართულ წარწერათა გ. წერეთლისეულ დათარიღებას ზოგი არსებითი ხასიათის დაბრკოლება ელოდება. კერძოდ, წარწერაში მოხსენიებულ მარუან-ს უკავშირებენ მურვანოსს. რომ არაფერი ვთქვათ ფორმალურ (გარეგნულ) სხვაობაზე, ძნელად დასამყებია, პეტრეს (ბერს, სასულიერო პირს) წარწერაში თავი საერო სახელით მოეხსენებინა.

მიუთითებენ იმის შესახებაც, რომ პეტრე იბერიელი პალესტინაში მოგვიანებით, 437-438 წლებში ჩავიდა და არა 429 ან 430 წელს (იხ. Paul Devos, *Quand Pierre L'Iberre vint-il Jérusalem*, გვ. 337-350).

ამდენად, დებულება იმის შესახებ, რომ ბეთლემის მონასტრის წარწერაში მოხსენიებული მარუანი პეტრე იბერია, დამტკიცებულად ეერ ჩაითვლება¹.

ბეთლემის მონასტრის სასადილოს მოზაიკურ იატაკზე მოთაესებულია შემდეგი წარწერა:

1. შეწენითა ქ^სსითა და მ-
2. ეოხებითა წმიდისა თ^ეესითა
3. შ^ნ ანტონი აბაჲ და იოსია მო-
4. მსხმელი ამის სეფისაჲ და მა-
5. მადეჲაჲ იოსიაჲსი ამენ, ანუ:

შეწენითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორესითა შეხიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია, მომსხმელი ამის სეფისაჲ, და მამა-დედაჲ იოსიაჲსი, ამენ (ეს ნიშნავს: ქრისტეს დახმარებითა და წმიდა თეოდორეს შუამდგომლობით შეწყალებულ იქნეს ანტონი მამა (წინამძღოლი) და იოსია, ამ მოზაიკის მომსხმელი (მომსხმევენიებული) და იოსიას მშობლები).

მ. თარხნიშვილმა მიუთითა, რომ თეოდორე არის IV საუკუნის მოწამე თეოდორე ტირონი (M. Tarchnisvili, *Le iscrizioni*, გვ. 136). მანვე შენიშნა, რომ ანტონი აბაჲ ცნობილია წმიდა მართას, სვიმეონ მესეეცის დედის, ცხოვრებითან.

ანტონის წმიდა ნაწილები მიუტანია სვიმეონ მესეეცესთან 552 წელს, მართას გარდაცვალებისა და სვიმეონის სევეტზე ასვლიდან ერთი წლის შემდეგ (იხ. M. Tarchnisvili, *Le iscrizioni*, გვ. 136; გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები... გვ. 17). 553 წლიდან ანტონი სელევეკიის ეპისკოპოსია. გ. წერეთელმა მიუთითა, რომ „მართას ცხოვრების“ მიხედვით, 532 წელს ანტონი ჯერ კიდევ საქართველოში იყო. იგი წერდა: „532 წელზე ადრე, როდესაც ანტონი ჯერ კიდევ საქართველოში იყო, მას არ შეეძლო პალესტინის ქართული მონასტრის წარწერა გაეკეთებინა“ (გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 17). ამრიგად, პალესტინის ეს წარწერა 532-552 წლებით თარიღდება (იქვე).

იოსია, რომელიც ამ წარწერაშია მოხსენიებული, სხვა წერილობითი წყაროებისათვის უცნობია. იგი მიაჩნიათ იმ პირად, ვისაც ანტონი წინამძღოლმა მოასხმეინა სეფი, ანუ გააკეთებინა მოზაიკა (გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები... გვ. 17). უფრო საფიქრებელია, იოსია იყო ის პირი, რომელმაც სახსრები გაიღო მოზაიკის იატაკის გასაკეთებლად.

9. მსხეთის წარწერები

მსხეთის ჯვრის ტაძრის ფასადების ბარელიეფებზე შემონახულია ქტიტორთა მოსახსენებელი რამდენიმე წარწერა. ვარაუდობენ, რომ წარწერათა დიდმა ნაწილმა ჩვენამდე არ მოაღწია.

¹ ამ წარწერათა განსხვავებული დათარიღების შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ეტიულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, გვ. 72-79.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, VI საუკუნის ბოლოს არის ამოკვეთილი სტეფანოს ქართლის პატრიკიოსის წარწერა (ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. გვ. 161; იხ. აგრეთვე გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 155-156).

1. [ჯ]ო[~] მაყ
2. [ხ]ოერისა
3. ო სტეფანო
4. ს ქართლის
5. ა პატრი
6. კიოსი შე

რაც ასე უნდა წავიკითხოთ: [ჯ]უარო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე.

VI საუკუნის ბოლოთი ათარიღებს ივ. ჯავახიშვილი დემეტრე ვიპატოსის წარწერას (იხ. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა... გვ. 163; იხ. აგრეთვე გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 155-156).

წო

მქ[~]ლ მ

თავ

არ

ანგ

ელო

ზო

დემეტრ

ეს უპა

ტოსს

ა მეო

ხ ხეყ

ავ

ანუ: წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრეს უპატოსსა მეოხ ხეყავ.

ამ წარწერაში ყურადღებას იპყრობს მეოხ ხეყავ – ხანმეტი ფორმა (ბ-ჟყავ, ბ-პრეფიქსი მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანია).

ადარწესე ვიპატოსის წარწერა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, 626-634 წლებში არის ამოკვეთილი (ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა... გვ. 160; შდრ.: გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 108-109):

1. წ[~]ო გრ[~]ლ
2. მთავ[არ]
3. ანგელო[შ]
4. ო ადრ[ნე]
5. რსეს უპატ
6. ოსსა მეოხ
7. ეყავ.

რაც ასე იკითხება: წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადრწერსეს უპატოსსა მეოხ ეყავ.

თუ ამ წარწერის მეოხ ჟყავ მშნას შევადარებთ დემეტრე ვიპატოსის წარწერის მეოხ ხეყავ ფორმას, ადვილად დავინახავთ, რომ ბ აკლია. ამასთან ხ-ს კლებას ვერ ავხსნით იმით, რომ ოსტატმა ერთი ბ დაწერა ორი ერთმანეთის მომდევნო იდენტური გრაფემის ნაცვლად (შდრ.: უპატოსსა),

ვერც იმით, რომ იგი გადარეცხილია (ამოტეხილია). როგორც ჩანს, უკვე VII საუკუნის I ნახევარში ხანმეტობა, როგორც ენობრივი მოკლენა, იბერიის ტერიტორიაზე მოშლილია. ამდენად, ამ წარწერაში გამოვლენილი შეობ ეყავე უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიისათვის.

ქობულ-სტეფანოსის წარწერა

ბეგლი, ივ. ჯავახიშვილის დათარიღებით, VII საუკუნის I ნახევრისაა (ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა..., გვ. 161-162; შდრ.: გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 155-156).

1. წ-ო სტ-ე
2. ქობულ
3. სტ-ი
4. შ-ე.

ანუ: წმიდაო სტეფანე, ქობულ-სტეფანოსი შეიწყალე.

თიმესტიას წარწერა

VI საუკუნის ბოლოს მიეკუთვნება ეკლესიის სამხრეთი ფრთის კარის აყოლებით ამოკვეთილი თემესტიას წარწერა (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 162-163).

1. +წყალობითა ღ-ათა და შეწევი-
2. ითა ჯუარისათა მე თემესტია მკ
3. ევალმან ქმსმან აღვაშნე საყო
4. ფელი ესე საკსენებელად სულისა
5. ჩემისა თავყანისსაცემელად ღე
6. დათა.

რაც ასე უნდა წავიკითხოთ: + წყალობითა ღმრთისათა და შეწევინითა ჯუარისათა მე, თემესტია, მკეველმან ქრისტესმან, აღვაშნე საყოფელი ესე საკსენებელად სულისა ჩემისა, თავყანისსაცემელად ღედათა (=ღმრთის წყალობით და ჯუარის დახმარებით მე, თემესტია, ქრისტეს მონა-ქალმა, აეაშენე ეს სამყოფელი მონაზონ ქალთა სალოცავად, ჩემი სულის მოსახსენებლად).

ივ. ჯავახიშვილი მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერების ძირითად დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს უ და ყ გრაფემების თავშეკრულობას. თავშეკრულია აგრეთვე ზ (იგი მხოლოდ ქობულ-სტეფანოსის წარწერაშია ოდნავ თავგახსნილი). ენობრივი თვალსაზრისით, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ყურადღებას იქცევს დემეტრე ვიპატოსის წარწერის ხანმეტი ფორმა და ადრნერსე ვიპატოსის წარწერაში ხ- პრეფიქსის არარსებობა (ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა... გვ. 163).

ნ. შოშიაშვილი მიიჩნევს, რომ მცხეთის ჯვრის ყველა წარწერა თანადროულია და ისინი ამოკვეთილია 595-605 წლებში (კორპუსი, I, გვ. 158).

10. წყისის წარწერა

ადიგენის რაიონში, სოფელ წყისეში, გიორგი ბოჭორიძემ აღმოაჩინა ჯერის კვარცხლბეკი წარწერითურთ, რომელიც ა. შანიძემ 616-619 წლებით დაათარილა (ძველი ქართულის ქრესტომათია, გვ. 108).

1. ესე ჯ'ი ქში მე კოსტანგი ძ'ნ
2. სტეფანესმან და გუდას
3. მან აღკუმართე სახელს
4. ა მცხეთისა ჯ'ისასა ნასყი
5. დევსა ქუეყანასა შ'ა
6. შაპრამანსა ა' სქ'ლ ჩ'ნ
7. და ცოლისა და შეილთა
8. ნოებერსა ი'შ ამნ, ანუ:

ესე ჯუარი ქრისტისი მე, კოსტანგი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღკუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, შაპრამანსა ა საყოლ¹ ჩუნდა ცოლისა და შეილთა, ნოებერსა იმ, ამენ (რაც ნიშნავს: ეს ქრისტეს ჯუარი მე, კოსტანგიმ, სტეფანეს და გუდას ძემ, აღვმართე მცხეთის ჯერის სახელზე ნაყიდ მიწაზე, შაპრამანის პირველში, ჩვენ დასაყეად – ცოლისა და შეილებისა, ნოემბრის ჩვიდმეტს, ამენ).

წარწერაში გვხვდება უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის დამახასიათებელი ნიშნები: თავშეკრულია ბ, უ, ყ გრაფემები, აგრეთვე შ.

ენობრივი თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ჰაქმეტი აღკუმართე ფორმა იქცევს (შდრ.: უკანგორის წარწერის აღხუმართე). ქ-მე-სამე ირიბი ობიექტური პირის გამომხატველი პრეფიქსია. სამხრეთ საქართველოში ჰაქმეტი წარწერის არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ საბუთს ა. შანიძის იმ მოსაზრებისათვის, რომლის თანახმადაც, ჰაქმეტი და ხანმეტი ტექსტები სხვადასხვა დიალექტურ მეტყველებას ასახავენ.

სტეფანესმან და გუდასმან (სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით მოსალოდნელი იყო: სტეფანსმან და გუდასმან) ფორმები მოწმობენ იმას, რომ ამ დროს ცოცხალ მეტყველებაში უკვე მოშლილია დამავალი დიფთონგები.

11. არშუშა პატრიკიოსის მოსახსენებელი წარწერა

ასომთავრული წარწერა მოთავსებულია ორ ფილამზე. შეიცავს 11 სტრიქონს. დამიანებულია ფილები. იპოვეს აბასთუმნის ეკლესიის ნანგრევებთან. არ ახლავს ქარაგმის ნიშნები:

1. +...მვგნაე მფსა
2. დიდლი ნთვთ
3. ...ბრძნბთა ღთვდცლა მფლა
4. არშა პტკსა და ნბთა ღთთა ქვთა ერთა
5. ქრპლს ცხსთა. ობთ მწოლ ვიყაე და

¹ სქ'ლ ფორმას. ჩვეულებრივ, ხსნიან ასე: სალოუკელად. უფრო მოსალოდნელია: სა-ყოლ.

6. ამრთე პტსნი ჯი წა ლსთმშბლსა სხლა
7. სლცლდ ჩმდა და
8. ძმთა ჩმთა მეო
9. ხბსათს ყა ჳრსა
10. ამს სწორს ა სკნს
11. და ენ აღკბს ლცეა მქსნ (იხ. ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 102). ამ წარწერას ასე კითხულობენ:
 1. [შეწვევითა ქრისტსითა], მესტინიანე მეფისა [შე მე
 2. ვიქმენ ღმრთისაგან განდიდებული ნათესაეთსა
 3. ყოველთა ჩემთა]: ბრძანებითა ღმრთიედაცუელისა მამულისა
 4. არშუმა პატრიკიოსისა და ნებითა ღმრთისაჲთა ქართველთა ერ-
ისტავისა
 5. ქრისტეჲულის (?) ციხისეთობით¹ მოწოდებულ ვიყავ და
 6. აღემართე პატიოსანი ჳუარი წმიდისა ღმრთისმშობელისა სახელსა
 7. სალოცველად ჩემდა და
 8. ძმათა ჩემთა მეო-
 9. ხებისათუის ყოელისა ჳირისა
 10. ამას საწუთროს და საუკუნეს.
 11. და ვინ აღმოიკითხოს, ლოცვასა მომიქსენო[ს].
6. შოშიაშვილი წარწერას იუსტინიანე II-ის შეობით ათარილებს (685-695; 705-711), მაგრამ საქმე ისაა, რომ წარწერაში ამ იმპერატორის სახელის უღაგოდ ამოკითხეა საეკვოა. ს. კაკაბაძის აზრით, წარწერა VII-VIII საუკუნეებისაა (ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, გვ. 104-105, თ. ბარნაველი მიიჩნევს, რომ ძეგლი VI საუკუნისაა (აბასთუმნის ერთი წარწერის შესახებ, გვ. 141). ამავე დროს მიაკუთვნებენ წარწერას ა. ბაქრაძე და ს. ბოლქეაძე (კატალოგი, გვ.46). ვ. სილოგავე თვლის, რომ წარწერა X საუკუნისაა (ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ ძეგლებში, გვ. 147). როგორც ვხედავთ, წარწერის თარიღი აზრთა სხეადასხვაობას იწვევს.

12. ატენის წარწერები

1907 წელს ივ. ჯაეახიშვილმა ატენში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, იპოვა ჳერის კვარცხლბეკი, რომელზეც მოთავსებულია შემდეგი წარწერა:

1. ესე ჳი ქტჲმ მე ვეჲან აგნლ მხლნ
2. აღემართე შესავედრებელად და ს
3. აქსრად სულისა ჩემისა და
4. ყლთათუს თავყუანისმცე
5. მელთა ქტჲსთა ქტე ყლნი მეგ
6. უწყალენ ძთა ჳია შნმთა ან
7. იყნ და რთი აღმოიკითხოთ მე ვე

¹ ნ. შოშიაშვილი ალაღგენს ენობრივად დაუმკვებელ კიხისათა ბოძებით გამოთქმას.

8. ...ლი ლოცვას მ...ენე

რაც ასე უნდა წავიკითხოთ: ესე ჯუარი ქრისტემსა მე, ვეჲან ატენელ[მან] მამასახლისმან, აღემართე შესავედრებელად და საქსრად სულისა ჩემისა და ყოველთათს თავყუანისმცემელთა ქრისტემსთა. ქრისტე, ყოველნი შეგეწყალნენ ძალითა ჯუარისა მენისაჲთა, ამენ, იყაენ. და რომელთა აღმოიკითხოთ, მე, ვე[ქან ცოდვი]ლი, ლოცვას[ა] მო[მიქს]ენ[ეთ].

ივ. ჯავახიშვილი წარწერას ათარილებს VII საუკუნის ბოლოთი, ან VIII საუკუნით (ქართული დამწერლობათმცოდნეობა, გვ. 168), ნ. შოშიაშვილი VIII საუკუნით (კორპუსი, I, გვ. 106).

წარწერა საინტერესოა პალეოგრაფიული და ენობრივი თვალსაზრისით: ბ თავგახსნილია, ყ მხოლოდ ერთ შემთხვევაში არის თავგახსნილი.

ა ნახმარია /ი/-ს გამომხატველად: ქტსა ქტმსთა უნდა გავხსნათ ასე: ქრისტემსთა, რაც წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ პირველი სტრიქონის ქტსა ქარაგმიანი ფორმა წავიკითხოთ როგორც ქრისტემსთა. საინტერესოა აღემართე, რაც მიღებულია აღქმართე ფორმისაგან ჰ-ს დაკარგვით. ეს წარწერა წარმოგვიდგენს ამ გიპის ფორმებში ჰ-ს გაუჩინარების ყველაზე ადრინდელ ნიმუშს (მდრ.: 8. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გვ. 388).

ამ წარწერაში, ისევე როგორც სხვა ეპიგრაფიკულ ძეგლებში, დასტურდება დაქარაგმების უადრესად საინტერესო შემთხვევები (მაგ: მზლნ=მამასახლისმან: ძთა=ძალითა, ჯია=ჯუარისა...).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ VIII საუკუნის I ნახევარში არის გადაწერილი პაემეტი ლექციონარი, რომელშიც საკმაოდ გამოვლინდება პაემეტობის რღვევის ნიშნები და ამის გამოც იგი არ ითვლება პაემეტი მეტყველების უშუალო ასახვად (იხ. ა. შანიძე, პაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ... გვ. 358; 8. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გვ. 38), ვეჲან ატენელის წარწერის მონაცემები კიდევ უფრო მეტად გვარწმუნებენ, რომ VIII საუკუნის ქართლის ცოცხალი მეტყველება პაემეტ ფორმებს უკვე აღარ იყენებდა.

მოსალოდნელი იყო:

აღქმართე
აღმოიკითხოთ

არის:

აღემართე
აღმოიკითხოთ.

* * *

ატენის სიონს, ქართული კულტურის ერთ-ერთ უბრწყინველეს ძეგლს მრავალი წარწერა დაუკავს. მათ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული პალეოგრაფიისა და ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის.

1969 წელს გურამ აბრამიშვილმა აღმოაჩინა ატენის სიონის ნუსხური სამსტრიქონიანი წარწერა, რომელიც 835 წლით თარიღდება (წარწერა დამიანებულია):

1. ორმა დასუა
2. ქრონიკონი ნე

3. დასაბამითგან წელნი ხელთ (გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები, გვ. 170).

ეს არის ერთ-ერთი უძველესი თარიღიანი ქართული წარწერა (ხულთ=6449, ამ თარიღს უნდა გამოეკლოთ დასაბამითგანი 5604, მივიღებთ 835 წელს; ქრონიკონი ნჲ=55, რაც დაემატება 780 წელს და მივიღებთ იმავე თარიღს – 835 წელს). ამავე დროს გ. აბრამიშვილის მიერ აღმოჩენილი წარწერა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი წარმოადგენს ნუსხური დამწერლობის დღეისათვის ცნობილ უძველეს ნიმუშს. ადრე ნუსხურის უძველეს ძეგლად მიიჩნეოდნენ სინური მრავალთავის მინაწერებსა და ანდერძს, რომლის ბოლო ნაწილია ნუსხურად დაწერილი.

ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიისათვის გ. აბრამიშვილის მიერ აღმოჩენილი მეორე წარწერა:

1. + ესე კალა
2. ა[ო]ტი მე ბაგრ
3. ატ შეექმენ,

ანუ: + ესე კალაპოტი მე, ბაგრატ, შეექმენ.

გ. აბრამიშვილი წერს: „წარწერა ოთხხაზოვანი სისტემის ბადეშია განაწილებული. ასოები კუთხოვანია და მათი ზედა და ქვედა ბუნები მარჯვნივაა გადახრილი. ოთხხაზოვანი ბადის მეორე და მესამე ხაზებს შორის მო-

თავსებულია π , $\pi\sigma$, γ , σ (ა, ლ, ი, ა). გ. აბრამიშვილი თვლის, რომ ატენის ეს წარწერა მიეკუთვნება იმ ძეგლებს, რომელთაც ივ. ჯაეახიშვილი ნუსხახუცურის კუთხოვანი სახეობით შესრულებულად მიიჩნევდა. მისი აზრით, წარწერა X-XI საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს გაკეთებული (დასახ. ნაშრ., გვ. 173).

6. შოშიამეილის აზრით, წარწერა IX საუკუნის დასაწყისით უნდა დავათარიღოთ (ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 205).

1956 წლის აგვისტოში კედლის მხატვრობის გაწმენდისა და გამაგრებითი სამუშაოების დროს აღმოჩნდა სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა. მას საინტერესო ნაშრომები უძღვენს თეიმურაზ ბარნაველმა და გურამ აბრამიშვილმა.

გ. აბრამიშვილი წარწერას ასე ალაღგენს:

1. + მეობას[ა] კ`ა ლთ`ე გრგუნ[ოსანისა]
2. [არჩილისი კ]თლადმსახუ[რებასა მ`ა]
3. მეფისა ჩუენისასა კელმწიფ[ო]
4. ბასა [სა]რკინოზთასა რ`კა აღესრო-
5. ულა კურთხეული მფლი სტეფანოზ
6. ღმრთისა მ[იერ] ქ`თლა და მეგრლთა ერის
7. თავ[ერისთ]ავთა ოფლი თ`ა ოკდომზე
8. რსა [ილ] დღესა ოთხშაბათსა ეამს
9. ა ლა[მისას]ა ა, ამას მ`ა წელსა დღისა მ
10. თ[აერობასა მ]ოხრდლი კ`თ

მკვლევარი ასეთ წაკითხვას გვთავაზობს:

1. ქ. ზეობას[ა] კა (=21) ღმრთიეგურგუნ[ოსანისა]
2. [არჩილისი კეთილადმსახურებასა ზედა]
3. მეფისასა ჩუენისასა, კელმწიფ[ო]
4. ბასა [სა]რკინოზთა რკა (=121) აღესრო-
5. ულა კურთხეული მამუალი სტეფანოზ,
6. ღმრთისა შიერ] ქართველთა და მეგრელთა ერის-
7. თაე-ე[რისთ]აეთა უფალი, თთუესა ოკლომბე-
8. რსა [იდ (=14)], დღესა ოთხშაბათსა, ეამს
9. ა ღა[მისას]ა ა (=1), ამას ზედა წელსა დღისა მ
10. თ[აერობისა შ]ოხრდილი კთ(29) (იხ. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამ-
ფლის ფრესკული წარწერა ..., გვ. 35-36).

ამ წარწერაში საინტერესოა მამუალი < მამაუჟალი. ამ სახით ეს სიტყვა აღრინდელ ძეგლებში არ დასტურდება. ასევე ყურადღებას იქცევს სტეფანოზ მამფლის ტიტული: ქართველთა და მეგრელთა ერისთაე-
ერისთაეთა უჟალი. მეგრელი ეთნონიმი ქართულ წყაროებში პირველად აქ მოიხსენიება.

1956 წელს აღმოჩნდა კიდევ ერთი წარწერა აგენის სიონის აღმოსავე-
ლეთის აფსიდში:

1. +ბრძანებითა ღმრთისათა
2. თუესა ნოვენბერსა
3. თოთხმეტსა დღესა
4. ოთხშაბათსა ეამსა ღამი
5. სასა ს-ა წელსა სკგ
6. ქრონიკონსა ნ-ზ ა
7. ღესრულა კურთხე
8. ული დეოჟალი გო
9. ყარამავერი ღ-შნ (იხ. თ. ბარნაველი, აგენის სიონის წარწერები, გვ.
15), ანუ:

1. +ბრძანებითა ღმრთისათა
2. თუესა ნოვენბერსა
3. თოთხმეტსა, დღესა
4. ოთხშაბათსა, ეამსა ღამი-
5. სასა, სარკინოზთა წელსა ს-კბ (614+223=837 წ.),
6. ქრონიკონსა ნ-ზ (780+57=837 წ), ა-
7. ღესრულა კურთხე-
8. ული დეოჟალი გუ-
9. არამავერი, ღმერთმან
10. [შეიწყალენ სული მისი, ამენ].

წარწერა ყურადღებას იქცევს ენობრივი თვალსაზრისით: ნოვენბერსა
ფორმა გვიჩვენებს ე-ს განვითარებისა და მბ>ნბ პროცესს (ღისიმილაცია
საწარმოთქმო ორგანოს ადგილის მიხედვით); თუესა < თთუესა თთ კომ-

პლექსის გამარტივების გზით. დეოფალი < დელოფალი დ-ს დისიმილაციური დაქარგვით.

უარესად მნიშვნელოვანია აგენის სიონის სამხრეთი აფსიდის ნახევარკალის ცენტრში მოთავსებული წარწერა:

1. +თ^ასა აგუსტოსსა ე^ასა დღ^ასა შბთ[ს]ა
2. ქრონიკონსა ო^აგსა ისმაიგელთა წელსა ს^ალთსა
3. ქალაქი გფილისი დაწუა ბულა და შეიპყრა
4. ამირაჲ საპაკ და მოკლა. და მასვე თ^ასა
5. [აგუ]სტოსსა ე^ასა დღ^ასა შ^ასთსავე მირაქ
6. შეიპყრა კახაჲ და ძმ მისი თარკუჯი (იხ. И. Джавахишвили, К

вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам, გვ. 278),

ანუ:

1. +თთუესა აგუსტოსსა ე^ასა, დღესა შაბათსა,
2. ქრონიკონსა ო^აგსა, ისმაიგელთა წელსა ს^ალთსა,
3. ქალაქი გფილისი დაწუა ბულა და შეიპყრა
4. ამირაჲ საპაკ და მოკლა. და მასვე თთუესა
5. [აგუ]სტოსსა ე^ასა, დღესა შაბათსავე, მირაქ
6. შეიპყრა კახაჲ და ძმ მისი თარკუჯი.

ეს წარწერა თარიღდება 853 წლით, როგორც ქართული, ისე არაბული წელთაღრიცხვით (ო^აგ=73; 780+73=853 წ., ს^ალთ=239; 614+239=853 წ.)

წარწერაში აღნიშნულია ბულა თურქის მიერ თბილისის დაწვის ისტორიული ფაქტი, აგრეთვე მისი ერთ-ერთი სარდლის ზირაქისაგან კახასა და მისი ვაჟის თარკუჯის შეპყრობა.

ენობრივი თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს საკუთარ სახელთა ნიშნით წარმოდგენა სახელობითში (კახაჲ, თარკუჯი), რაჲ ამ დროის ცოცხალი მეტყველების ასახვაა. კახაჲ კახ= ეთნონიმიდან წარმოქმნილი სახელია და პირველად აქ არის დადასტურებული. კახა გამოაუღენს -ჰკ კნინობითის სუფიქსის გამარტივებულ სახეს. ეს მოვლენაც პირველად აგენის ამ წარწერაში გვხვდება.

ქართული პოემიის ისტორიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა აღმოჩნდა ორი წარწერა, მოთავსებული აგენის სიონის ინტერიერში, სამხრეთი აფსიდის აღმოსავლეთი კალთის მოხატულობის ქვედა რეგისტრში. ისინი ჯერ თ. ბარნაველმა გამოაქვეყნა (თ. ბარნაველი, აგენის სიონის წარწერები, გვ. 28-29), ხოლო შემდგომში საფუძვლიანად შეისწავლა მ. ალექსიძემ (მ. ალექსიძე, აგენის სიონის ოთხი წარწერა).

მოვიყვანთ ამ წარწერებს მ. ალექსიძის წაკითხვით. პირველი წარწერა საკმაოდ დაზიანებულია:

1. + მხაღეთ ესე ეჲმი
2. წაჲა ე^ა წაჲმი
3. აწვე განეწმიდოთ გუჲმი
4. მერმისა არა გუაქუს ქრთა[მი]
5. ჩ^ან დაჲაყადოთ საჲმი

6. ჯორცა დაუტოთ ...
7. ჩუენ მოვიძულოთ ვ...
8. რა არაა გუე[უჟ]ლ[ოს]...
9. არა ვთქუათ მუნ...
10. რა არა ვიხილოთ ჳი[რი]...
11. ჯოჯოხეთი ბნელი შე...
12. მუნ არს ჳირი მრა[ვალი]
13. აწე [ჩ]ეეძ... ლი
14. რა ე გუედ (8. ალექსიძე, ატენის სიონისს ოთხი წარწერა, გვ. 12-13).

წარწერის შემორჩენილი ნაწილი ასე აღდგება:

1. + მხალეთ, ესე ეამი
2. წავა ვითარცა წამი,
3. აწეე გავწმილოთ გუამი,
4. მერმისა არა გუაქუს ქრთა[მი].
5. ჩუენ დავაყადლოთ სამი
6. კო[რ]ცა დაუტო[თ] ...
7. ჩუენ მოვიძულოთ ე[ცხელი],
8. რამთა არა გუეუჟლ[ოს]...
9. არა ვთქუათ მუნ ...
10. რამთა არა ვიხილოთ ჳი[რი]
11. ჯოჯოხეთი, ბნელი, შე...
12. მუნ არს ჳირი მრა[ვალი]
13. აწე ეეძ ... ლი
14. ჩუენდა ე გუედ

8. ალექსიძემ საწესებით მართებულად შენიშნა, რომ წარწერა შეიცავს შეიდმარცვლიანი საზომით დაწერილ ლექსს. იგი LX საუკუნის I ნახევრით თარიღდება (8. ალექსიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 5-20). სამწუხაროდ, დაზიანების გამო ყველა ადგილის სრულყოფილად აღდგენა ვერ მოხერხდა.

ენობრივი თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა წაეა < წარეაღლს. ამ ტიპის ფორმები ხელნაწერებში X საუკუნიდან გვხვდება (იხ. 8. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გვ. 341-342). გაეწმილოთ წარმოგვიდგენს გან- მზნისწინის გამარტივების ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ შემთხვევას. მხალეთ ფორმაში მ ი გრაფემის ნაცვლად იხმარება. ეს მოვლენა ზოგ უფრო ადრინდელ წარწერაშიც შეინიშნება.

მოვიხმობთ მეორე რეასტრიქონიან წარწერას 8. ალექსიძის წაკითხვით:

1. + ეგრე მტყუის მო[ძლ]უა[რი]
2. მო[უნ] არ[ა] არს ვაჳარი
3. ა თ(ა)ნა წააქუს საკმარი
4. ... ნაქმარი
5. ... უ ლება ... ვითარი
6. ასე ... საქმარი
- 7.

8. მას აქვს ძნელი ზამთარი (ატენის სიონის ოთხი წარწერა, გვ. 17).

ეს წარწერა, მკვლევრის ვარაუდით, შეიღმარცელოვან ლექსს წარმოადგენს. ძნელია ამ აღმოჩენის გადაუჭარბებლად შეფასება ქართული მწერლობის ისტორიისათვის. ატენის წარწერებმა შემოგვინახეს უძველესი ქართული პოეტური ნაწარმოებები.

ამ წარწერაში გვაქვს წააქუს < წარაქუს. ეს ფორმა წარ- მზნისწინის გამარტივების უძველესი ნიმუშია.

ატყუს (= იტყუს), ძველი ქართულის ორთოგრაფიის ნორმათა მიხედვით, დარღვევაა, მაგრამ მას არაერთი პარალელიც მოეპოვება.

აქაც დანაწიებით უნდა ითქვას ის, რომ დაზიანების გამო წარწერის ტექსტის დიდი ნაწილის უდავოდ აღდგენა არ ხერხდება.

ჯერ კიდევ 1839 წ. მ. დიუბუამ პარიზში გამოაქვეყნა წარწერა, რომელსაც მკვლევართა ერთი ნაწილი (ე. თაყაიშვილი, იე. ჯაფახიშვილი, თ. ბარნაველი) ბაგრატ მეოთხის მეფობის ხანას მიაკუთვნებს. ეს ვრცელი წარწერა მოთავსებულია ატენის სიონის სამხრეთის ფასადზე, შესრულებულია ასომთავრულად და შეიცავს ცამეტ სტრიქონს.

1. +სახელითა ლთისაძათა მე გრგნლმზ მრიანის ყმაზნ

2. თარხონის ძისაძნ ატნისა ცხისთემზ ავაგზ ატნს სხლნი

3. და ქოლბგი მას ქმსა ოდს აღდნ ღნ ძრიელმზ მფთა მფმზ

4. ბგრტ ობრძნეს მიწასა მთსა მირანს პტრნსა ჩემსა

5. სეფისა ზუარსა შიდა ქლაქსა შენებაა გაუმარჯუა ღნ

6. და ბელმზ მეფზისა შთისაძნ ვითა სწადლა მფზასა შთსა ეგრე

7. ავშნთ დრბაზი და ქლქი მგწყლნა შფბაძნ შთმზ სსხლნი

აღვინი და საქლბაგე

8. ნი მკედრდ ნეზიერობით გვბოძნა მრნს და ყმათა მისთა რლთაყა შენებაა

9. შეეძლო. მე ავაგე სახლი და ქოლბაგი და შევწირე წსა სიონსა ატე-

10. ნისსა სყფლსა წდისა ლთისმშბლისსა სალოუელდ ჰგიაძმა ოქე

ძრიელი მ

11. ფთა მფმ ბგრტ სევესტოსი და ძე მათი გი ქტი და სალყველდ სლსა მრნ მიწისა შთისა

12. გამზრდელისა პატრონისა ჩემისათუნ დაეღვე დღე თეედორობაა ალა

13. პად გარდაიქდიდეს შმსხლისი წინამძღრი სიონისაა ვინცა იყოს (იხ.

თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 37-38)¹, ანუ

1. + სახელითა ღმრთისაძათა მე, გურგანელმან, მირიანის ყმაძან,

2. თარხუნის ძისაძან, ატენისა ციხისთავან, ავაგენ ატენს სახლნი

3. და ქულბაგი მას ეამსა, ოდეს, – აღდენ ღმერთმან ძრიელმან, – მეფეთა-მეფემან

4. ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა,

5. სეფისა ზუარსა შიდა ქლაქისა შენებაა. გაუმარჯუა ღმერთმან

¹ წარწერას ახასიათებს ო-ს დაწერა კ-ს ნაცვლად, რასაც ქვემოთ აღარ ვითვალისწინებთ.

6. და ბედმან მეფობისა მათისამან, ვითა სწადად მეფობასა მათსა, ეგრე
7. ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგუწყალნა მეფობამან მათმან,
სასახლენი ადგილნი და საქულბაგე-

8. ნი მკუდრად ნებიერობით გუბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რო-
მელთაჲსა შენებაჲ

9. შეეძლო. მე ავაგე სახლი და ქულბაგი და შევწირე წმიდასა სიონსა
ატე-

10. ნისასა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, სალოცველად, –
კგიაშეა უკუნისამდე ძრიელი მ

11. ეფეთა მეფე ბაგრატ სევესტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი, და
სალოცველად სულისა მირიან, მიწისა მათისა,

12. გამზრდელისა პატრონისა ჩემისათუნ, დავევე დღე თვედორობაჲ
აღა-

13. პად, გარდაიკიდეს მამასახლისი, წინამძღუარი სიონისაჲ, ვინცა
იყოს.

წარწერა უაღრესად საინტერესო ცნობებს შეიცავს ქართლის ისტორი-
ისათვის. ამას გარდა იგი ფრიალ მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიის
შესასწავლად. ეს წარწერა გამოირჩევა ცოცხალი მეტყველების ამსახველი
ფორმების სიუხვით (ძრიელმან, გაუმარჯუა, შიდა, ვითა, ეგრე, გამზრდელი,
კგიაშეა და სხვ.). წარწერა გამოავლენს მკვეთრად გამოხატულ დიალექ-
ტიკიზმს: ჩემისათუნ, რაც წარმოადგენს გარკვეულ საბუთს ზოგ ძველ ქარ-
თულ წერილობით ძეგლში შენიშნული თუნ თანდებულის გაერცელების არე-
ალის დადგენისათვის. ამასთან წარწერაში გვხვდება გამოთქმები, რომლე-
ბიც ამ ეპოქის ენობრივი ეთიკეისათვის ფრიალ მნიშვნელოვანია: მეფეთა
მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს, პატრონსა ჩემსა, ან კიდევ:
სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა, გამზრდელისა პატრონისა
ჩემისათუნ.

ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესიის წარწერა

ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესიის წარწერა 1940 წ. იაშოვა ლ.
ჩრეულიშვილმა. წარწერა კარგადაა შენახული:

1. ქე ადიღე ორსა
2. ვე ცხოვრებასა
3. აქა კორციელეზ
4. რ და წე შნსა სოლ
5. იებრ რატ ერისთ
6. ავი ძე იგი ლქრტ
7. ერისთვისაი რლნ
8. აღაშენა ესე სახ-
9. ლი ლთისაი და ბჭეი
10. ცათაი წი ეკლესი-
11. აი სალოცველად

12. სულისა მათისა (ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 202-203), ანუ:

1. ქრისტე, ადიდე ორსა-
2. ვე ცხოვრებასა -
3. აქა კორციელებ-
4. რ და წინაშე შენსა სულ-
5. იე(რებრ)- რაგ ერისთ-
6. ავი, ძე იგი(?) ლიპარიტ
7. ერისთვისაი, რომელმან
8. აღაშენა ესე სახ-
9. ლი ღმრთისაი და ბჭეი
10. ცათაი - წმიდაი ეკლესი-
11. აი სალოცველდ
12. სულისა მათისა.

წარწერაში მოხსენიებულია კლდეკარის ერისთავი რაგი, რომელსაც კლდეკარი (და შესაძლოა, ატენი) ჩამოართვა ბაგრატ III-მ. ამ ისტორიულ ცნობაზე დაყრდნობით ნ. შოშიაშვილი წარწერას 982-989 წლებით ათარილებს (დასახ. ნაწრ., გვ. 202), რაც არსებითად ეთანხმება ლ. რჩეულიშვილისეულ დათარილებას - X საუკუნის II ნახევარი (ლ. რჩეულიშვილი, ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია, გვ. 33-37).

წარწერაში გვხვდება აი, ეი გრაფემათმომღვერობანი, რომლებიც გამოხატავენ /აი/, /ეი/ ხმოვანთკომპლექსებს (ერისთვისაი, ღმრთისაი, ბჭეი, ცათაი, ეკლესიაი). ეს მოვლენა ასახავს დამავალ დიფთონგთა ადგილას ორი სრული ხმოვნის ჩამოყალიბებას, რაც მოხდა ქართული ენის გავრცელების გარკვეულ არეალში.

ენობრივი თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე: სალოცველად სულისა მათისა. ამ შემთხვევაში დამწერმა გამოიყენა პატივისცემის მრავლობითი. ეს სტილისტური ხერხი X საუკუნიდან გვხვდება ქართულ წერილობით ძეგლებში.

13. არმაზის წმიდა გიორგის ეკლესიის წარწერა

1935 წელს ექსპედიციამ, რომელსაც გიორგი ჩუბინაშვილი ხელმძღვანელობდა, ახალგორის რაიონში, სოფელ არმაზში, წმიდა გიორგის ეკლესიის სამხრეთის ფასადზე იპოვა ასომთავრული წარწერა (იგი დაზიანებულია):

1. ქ. სსლთ
2. ა ღთისაჲ
3. თა მე გ
4.
5. მმსზლნ დ...
6. ე წა ექსა რკ ა
7. ჯდ კლმწუსა
8. ...სა (ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 168),

ანუ:

1. ქ. სახელითა
2. ღმრთისაჲ-
3. თა მე, გ[იორგი?]
4. [არმაზაელმან?]
5. მამასახლისმან დ[ავიწყ]
6. ე წმიდაჲ ეკლესიაჲ [ქ]რონიკონ[ს]ა
7. ჯდ, კელმწიფებასა
8. [გიორგის?]სა.

წარწერა თარიღიანია (ჯდ ქრონიკონი=84; 780+84=864 წ.).
ეკლესიის მშენებლობა დაუწყიათ 864 წელს.

14. ღაპით ბარეჯის სტელის წარწერა

ღაპით გააეჯის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მთავარი მესასველელის კუთხეში ჩაშენებული იყო სტელა¹, რომელზედაც მოთავსებულია ექვსსტრიქონიანი წარწერა:

1. ესე ჯუარი
2. მე მა...
3. აემართე სა
4. ლოცველად ჩე
5. მდა და ცოლ-
6. ისა და შე-თს (ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ.

115), ანუ:

- ესე ჯუარი
მე მა...²
აემართე სა-
ლოცველად ჩე-
მდა და ცოლ-
ისა და შეილათუს.

მკვლევრები წარწერას VI-VII საუკუნეებით ათარიღებენ (გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, 1936, გვ. 214; თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 53-54; ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 114-115). ამ ეპოქით ძეგლის დათარიღება საეჭვოა. იგი პალეოგრაფიული თვალსაზრისით სიახლეს ამჟღავნებს (ეს ბოლო სტრიქონში აქვს მიდრეკილება განუსხურებისაკენ. ნ. შოშიაშვილი). უდავოდ ანგარიშგასაწევია: აემართე, რაც ახალი ფორმაა. VI-VII საუკუნეებში მოსალოდნელი იქნებოდა ალხუმართე. ძეგლი ალბათ IX საუკუნისაა.

15. ქობულ ხევისუფლის მოსახსენებელი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის

¹ სტელა ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია.

² ნ. შოშიაშვილი აღადგენს მართუეუ ფორმას.

ხელმძღვანელობით თეთრიწყაროს რაიონში, სოფ. დაღეთ-ხაჩინის მახლობლად, იპოვა წყაროს ქვა სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით:

1. ქე შე ქობულ

2. კეეს ოფლა

3. ესე დაკრნილა წყარო მნ ქნ (იხ. ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 141), ანუ:

1. ქრისტი, შეიწყალე ქობულ

2. კეეისუფალი,

3. ესე დაკრნილა წყარო მან ქნა.

წარწერას ნ. შოშიაშვილი X საუკუნით ათარიღებს (ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 141).

ძეგლს ახასიათებს ასოთა მიდრეკილება ნუსხურობისაკენ. ე, ვ, ლ გრაფემებს აქვთ დამატებითი ხაზები. ჲ გამოხატავს ი ხმოვანს (უფალჲ, დაკრნილჲ); ქნა < ქმნა მ-ს დაკარგვის გმით. წარწერაში გვხვდება საინტერესო ლექსიკური ერთეული – დაკრნილა..

16. ერეღვის წმიდა ბიორგის ეკლესიის წარწერა

ცხინვალის რაიონის სოფელ ერეღვის წმიდა გიორგის ეკლესიის სამხრეთი ფასადის მრგვალი სვეტის ირგვლივ ამოღარულია ცხრასტრიქონიანი კუთხოვანი ასომთავრული წარწერა (იგი დამიანებულია):

1. ...ელითა ღმთა მ... სო ...მდის ... მეოხებითა წ...და ღთი...

2. ობელისამათა ...სითა კელმწიფობასა ღთე დამყარე

3. ოლისა წმიდსა კ...ნე მეფისასა, რლნ ბრძანა და ჩაეიდა პერ-

4. თს .იგან პერთა მეფ.ა გა...ცია და მონით მშოიდლობით იქცა ცისკრად ა

5. ლავერდს ილოცა მწოხ.ი ბრეძას გადაქთა მეორედ კლა ავიდა ვე-
ჯინ

6. ისა ციხე დაღეწა ქართლს შინა ოფლობასა ტბელისა ივანესა მთავა

7. რე..სკო..სობასა სანატრ.ლისა ყ...ესა ჯრითა მისითა გაზრახვითა
ნიქობ

8. ე..სა სანატრ.ლისა სტეფანე ებისკოპოსისამათა ძალითა შეწევნითა
მოყოას-

9. თამათა მე თე თაფლამს ძემან დავედ საძირკველი

წელნი იყენეს ხფი, ქრონიკ... (რ. მეფისაშვილი, ერეღვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, გვ. 1043-1050; ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 171),

ანუ:

1. [სახ]ელითა ღმრთისამათა, მ[ამისა, ძისა და] სუ[ლისა წ]მიდის[ამათა],
მეოხებითა წმიდისა ღმრთი[სმ]-

2. [შ]ობელისამათა, [შეწევნითა წმიდისა გიორგი]სითა, კელმწიფობასა
ღმრთივდამყარე-

3. [ბ]ულისა წმიდ[ი]სა კ[ოსტანტი]ნე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩა-
ვიდა პერ[ე]-

4. თს [შეიგან, ჰერთა მეფე]მ გა[აქცია და მუნით მშუიღობით იქცა, ცისკრად ა-

5. ლავერდს ილოცა, მწუხ[რი] ბრემას გადაჰქთა, მეორედ კულა ავიდა, ვეკინ-

6. ისა ციხე დაღეწა, ქართლს შინა უფლობასა გბელისა ივანესა, მთავა-

7. რე[ბისკო]პო[სობასა] სანატრ[ელისა] ყუარყუარესა, ჯუარითა მისითა [და] გაზრახვითა ნიქომ-

8. ელი[სა] სანატრ[ელისა] სტეფანე ებისკო[პო]სისამ[თა], ძალითა [და] შეწეწენითა მოყუას-

9. თამათა მე, თვედორე თაფლამს ძემან, დაედე საძირკუელი... წელნი იუ[ვენეს] ხფი, ქრონიკ[ონსა] რკე).

წარწერა თარიღიანია. ეკლესიის საძირკელის დადების თარიღია 906 წ. (ხფი=6510; 6510-5604=906 წ.). სავარაუდოა, რომ მე-9 სტრიქონის ბოლოს წარმოდგენილი იქნებოდა რ-კე (=226, 780+226=906 წ.) ამრიგად, წარწერა ამოკვეთილია X საუკუნის დასაწყისში.

ძალეოგრაფიული თვალსაზრისით, შესამჩნევია გენდენცია განუსხურე-ბისაკენ. მთელი რიგი გრაფემები ალაგ-ალაგ ნუსხურად არის დაწერილი. /ჟ/ როგორც წესი, ლ გრაფემით გამოიხატება.

წარწერა უაღრესად მნიშვნელოვანია ენის ისტორიის თვალსაზრისით. მასში გვხვდება ცოცხალი მეტყველების ამსახველი ფორმები, აგრეთვე დიალექტიკები (მზნისწინთა გამარტივებული სახეობები: ჩაიღდა, გადაჰქთა, გააქცია, ავიდა, დაედე ფორმა მომდინარეობს დაედე-ისაგან და უთუოდ ცოცხალი მეტყველების ასახვას წარმოადგენს; კულა < კულავ; გადაჰქთა < გარდაჰქდა პროგრესული ასიმილაციით, დიალექტური ფორმაა შიგან და სხვ.). ერედვის წარწერაში პირველად დასტურდება ივანე < იოანე. ასევე პირველად ამ ძეგლში გამოვლინდა თაფლა (თაფლ-ა) საკუთარი სახელი.

17. დილოთის ცხრაპარის ეკლესიის წარწერები

ციხნავლის რაიონის სოფ. დოდოთის ცხრაპარის ეკლესიის ნანგრევებს შემოუნახავს სამი ასომთავრული წარწერა. ისინი აღმოაჩინა რ. მეფისამ-ვილმა (რ. მეფისამვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 115).

პირველ წარწერაში (იგი დაზიანებულია) იკითხება:

1. +სახელით
2. ა ღთი ივანე ე
3. რ[ისთ]აქ მან გბმ
4. აღამანა (sic!) ესე წ მ ე
5. კლესიაჲ სალო
6. ცეულად მისთუ
7. ის და ხუთთა ძე
8. თ

9. ათთუ (რ. მეფისამვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 115; ნ. შოში, შვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 176), ანუ:

1. +სახელით:
2. ა ღმრთი[სამათა] ივანე ე-
3. რ[ისტ]აქმან გბელმან
4. ალაშენა ესე წმიდაჲ ე-
5. კლესიაჲ სალო-
6. ცველად მისთუ-
7. ის და ხუთთა ძე-
8. თ[ა მისთ]-
9. ათუ[ის].

პალეოგრაფიული თვალსაზრისით წარწერას ახასიათებს მიდრეკილება გაკუთხოვნებისა და განუსხურებისაკენ (ზოგი ასო ნუსხურად არის დაწერილი, იხ. ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 175). /უი/ დიფთონგი გადმოცემულია უი გრაფიკითა მიმდევრობით.

რ. მეფისაშვილის აზრით, წარწერა X-XI საუკუნეების მიჯნით თარიღდება (რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 115). ნ. შოშიაშვილი ძეგლს 914 წლის ახლო დროით ათარიღებს (ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 175).

მეორე წარწერაში იკითხება:

1. წო ნთლმცო მ
2. ზ ექმენ მნსა შნსა
3. გბლსა ძესა ქეტორსა
4. ორსავე ცხრბსა

(რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წ. ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 116; ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 177), ანუ:

1. წმიდაო ნათლისმცემელო, მ-
2. ეოხ ექმენ მონასა შენსა
3. გბელისა ძესა ქავთარსა
4. ორსავე ცხოვრებასა

წარწერაში ე და ტ ნუსხურია (ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 117).

ქავთარ ანთროპონიმი პირველად აქ გვხვდება.

რ. მეფისაშვილი წარწერას X-XI საუკუნეების მიჯნით ათარიღებს (რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 116). ნ. შოშიაშვილის აზრით, წარწერა 914 წლის მახლობლად არის შესრულებული.

მესამე წარწერა ერთსტრიქონიანია:

ესე ქვაჲ სხუისა დაღვა (P. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии - Шида Картли, გვ. 60; ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 178), ანუ: ესე ქვაჲ სხუისა დაღვა.

წარწერაში ნუსხურია უ და ხ (ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 178). ყურადღებას იქცევს ანთროპონიმი სხუისა.

ნ. შოშიაშვილის აზრით, წარწერა 914 წლის მახლობლად არის შესრულებული (კორპუსი, I, გვ. 178).

18. ტბეთის ბორცვის ჯვრის ეკლესიის წარწერა

ციხნეალის რაიონის სოფელ გბეთის მახლობლად ბოსისჯვრის (ვ. თოფურიას აღდგენით, ბორცვისჯვრის) ეკლესიის სამხრეთის ფასადის კარის თავზე იყო ქვა¹, რომელზედაც ამოღარულია ასომთავრული წარწერა:

1. ქ. სახლთა ლთა ესე ბლქეარი მე გზლმნ კტკმნ ძმნ ქეთრსნ
2. დედე სლელ სლისა ჩმსა და შელთა ჩმთნ ჯრო ბრყო მხქნ(იხ. ვ. თოფურია, შიდა ქართლში დატული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, გვ. 133; ნ. მოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 180), ანუ:

1. ქრისტე, სახელითა ღმრთისაათა ესე ბალაქეარი მე, გბელმან პატრიკმან, ძემან ქავთარისმან,

2. დაედევ სალოცეულად სულისა ჩემისა და შეილთა ჩემთათუნ. ჯუარო ბორცუსაო, მეოხ მექმენ.

წარწერას რ. მეფისაშვილი X-XI საუკუნეების მიჯნით ათარიღებს (რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 115), ნ. მოშიაშვილი – X საუკუნის შუა წლებით (კორპუსი, I, გვ. 180).

წარწერაში ყურადღებას იქცევს თუნ თანდებული (შდრ., აგენის წარწერა XI საუკუნისა, სადაც ჩემისათუნ ფორმა დასტურდება).

ამ ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილი ყოფილა რამდენიმე სხვა წარწერაც (სულ 10). მათ ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. საბედნიეროდ, ისინი გამოსცეს მ. ბროსემ და ვ. თოფურიამ.

19. ზემოლისის ეკლესიის წარწერა

ზნაურის რაიონში ზემოლისის ციხის ეკლესიის სამხრეთის კარის თავზე ამოღარულია ხუთსტრიქონიანი ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერა:

1. ნებითა ღთისაათა
2. მე ფბრნია თოალოისა ასოლმნ
3. აღვაშენე წა ესე ეკლესია ვკთხ
4. საფარველად ძმისა ჩემისა აბლთ
5. ... (P. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии - Шидა Картли, გვ. 103-104; ნ. მოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 190), ანუ:

1. ნებითა ღმრთისაათა
2. მე, ფებრონია, თოალოისა ასულმან,
3. აღვაშენე წმიდა ესე ეკლესია, ვაკურთხ[ე]
4. საფარველად ძმისა ჩემისა აბულეთ-
5. ის[ა]...

წარწერა, ნ. მოშიაშვილის აზრით, X საუკუნისაა (კორპუსი, I, გვ. 190).

წარწერას ახასიათებს /უ/-ს ლ-თი გადმოცემა. ყურადღებას იქცევს ღ-ს კლება სახელობითში (წმიდა ესე ეკლესია), რაც ცოცხალ მეტყველებას ასახავს. გვხვდება საკუთარი სახელი თუალუა.

¹ ეს ქვა ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (სსმ-444).

20. სამხვერისის ეკლესიის წარწერა

ქარელის რაიონის სოფელ სამწვერისის გაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ამოღარულია შეიღსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (იგი ნაწილობრივ დაზიანებულია):

1. ქ. შა წელსა კს კოსტანტინე მეფისასა ესე რუეი მე
2. დომნიონს სამწვერის ჯუარისა მამასახლისმან და გი
3. ორგი თუალომს ძემან მოვილეთ რუეი ესე ჯუარად
4. და არა ვინ არს სხუამ მოხომარე და ოფალ რუეისა ამის გარნა
5. პატიოსანი ჯუარი და გიორგი ვინ ესე აღმოიკითხოს მე დომ
6. ნოს მონამ ჯუარისამ ლოცვასა მომიქსენეთ და თუალომს ძეცა
7. გვი ქმნ შეწყნ ამენ იყავნ (გ. ჩუბინაშვილი, მასალები სამწვერისის გაძრის შესწავლისათვის, გვ. 21-22; ნ.შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 223), ანუ:

1. ქრისტე, ზედა წელსა კს კოსტანტინე მეფისასა ესე რუეი მე,
 2. დომნიონს, სამწვერის ჯუარისა მამასახლისმან, და გი-
 3. ორგი, თუალომს ძემან მოვილეთ რუეი ესე¹ ჯუარად,
 4. და არა ვინ არს სხუამ მომხუარე(?) და უფალ რუეისა ამის გარნა
 5. პატიოსანი ჯუარი და გიორგი. ვინ ესე აღმოიკითხოს მე, დომ-
 6. [ნი]ნოს, მონამ ჯუარისამ, ლოცვასა მომიქსენეთ და თუალომს ძეცა
 7. გიორგი ქრისტემან შეიწყალენ, ამენ, იყავნ.
- გ. ჩუბინაშვილი წარწერას IX-X საუკუნეების მიჯნით ათარილებს (გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 21-22), ნ. შოშიაშვილი - 912-913 წლებით (კორპუსი, I, გვ. 222-223).

ენობრივი თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს: რუეი, აგრეთვე თუალო ანთროპონიმი (შდრ. ზემოლისის ეკლესიის წარწერა).

21. მაჩხანის ეკლესიის წარწერები

მცხეთის რაიონის სოფელ მაჩხანის ეკლესიის კედლებზე იკითხება ორი ასომთავრული წარწერა. პირველად ისინი ა. შანიძის წაკითხვით გამოაქვეყნა გ. ჩუბინაშვილმა 1952 წელს. წარწერები ერთსა და იმავე პირს ამოუკვეთავს.

ერთ-ერთი წარწერა ამოღარულია სამხრეთის შესასვლელის ბალაერის ქვაზე:

1. + სახელია ლთა
2. მეხბთა წა თე
3. სა აღდნ ღთნ ქა
4. აშსა ბედთა ა-
5. ეშენ² ...ა ესე საყ-
6. ღარი ... პომად კ

¹ რუეი ესე მეორედ არის ამოღარული.

² ამ ადგილას წარწერაში სამი სიტყვა „ქუმაღ იბნ ქითრი“ (?) არაბულად არის ჩაწერილი.

7. იტრის ძისაობასა

8. ო შეონდენ ცდი (გ. ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 441-447; ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 225), ანუ:

1. + სახელითა ღმრთისაათა,
2. მეოხებითა წმიდისა თეოდორე-
3. მსითა, - ადიდენ ღმერთმან,- ქართლისა
4. ამირამასა ბედთა ა
5. ეშენა ესე საყ-
6. დარი ჰომად ე
7. კიტრისძისაობასა.
8. [უფალო, შეუნდვენ ცოდვანი.

წარწერა შესრულებულია ნუსხურნარევი ასომთავრულით.

ძეგლს გ. ჩუბინაშვილი ათარიღებდა IX საუკუნის შუა წლებით, ა. შანიძე - X საუკუნით (გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 442-447); ნ. შოშიაშვილი - X საუკუნით (კორპუსი, I, გვ. 224).

წარწერას ახასიათებს საკმაოდ თავისებური დაქარაგმება. ღ გამოხატაჲს /ღ-ს (ბედთა).

მეორე წარწერა, რომელიც აღმოსავლეთის ფასადზეა ამოღარული, დაზიანებულია. ძნელად წასაკითხავია მე-4 მე-7 სტრიქონების დაბოლოებანი:

1. ქ. სხ-ლია ღ-თა მ
2. ხ-ბთა წ-ა ღ-თა შწ
3. თ-ა წსა თე-რთა
4. აშნა სრი ესე დი
5. რ-ის კლ-ბასა გლ
6. ს-ა ბსა ქ. აწნო
7. ბ-სა ამის ლავრი

8. [სა] იო-ვს ო-ო შ-ენ (თ. ბარნაველი, მაჩხანის ეკლესიის წარწერები, გვ. 649-655; ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 226). წარწერის წაკითხვის ნაწილი საეჭვოა.

1. ქ. სახელითა ღმრთისაათა მ-
2. ეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაათა, შეწვენი-
3. თა წმიდისა თეოდორემსითა
4. აეშენა საყდარი ესე ღიდგო[-
5. რის (?)] კევისუფლებასა გულს-
6. სა აღ(?) ქრისტე, ას-ნო
7. ბ-სა ამის ლავრი
8. [სასა] იოვანეს, უფალო, შეუნდვენ.

წარწერაში გამოყენებულია დაქარაგმების უჩვეულო სისტემა, რაც მის სწორ გაგებას ფრიად აძნელებს.

22. სამშვილდის სიონის წარწერა

თეთრიწყაროს რაიონის სოფ. სამშვილდის ნაქალაქარის სიონის ნანგრევებზე დასულია ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები. წარწერა ამოღარული იყო ერთ სტრიქონად სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების თითქმის მთელ სიგრძეზე (მიახლოებით 35 მ.). შემორჩენილია ერთ მესამედზე ნაკლები:

...ითა კაცთმოყუარე ... საყოფელი ესე ...თესავით პტხში წლ^ა კ^ე მეზა
კოსტანტინეასა დაიდუა საძირკველი კელითა მ... აშენებაა. ეზბკრ შეისუენა
და მისა უკუან იოვანე ისწრაფდის აესრულ... ი სრულიად აღშენებაა წ^დ ... ა
სტოვათა და წ^ლა გ ლეონ მე^ეფა დღესა ენკენიასა ყო სატურებაა ე^ე დღე
დიდითა კრებითა განშუ ... (ნ. მოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 231-233).

რა თქმა უნდა, წარწერის ასე ძლიერ დაზიანების გამო თითქმის შეუძლებელი ხდება მისი რამდენადმე სრულად აღდგენა და სწორად დართარლება. ამითაც აიხსნება ის, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ეპიგრაფიკულ ძეგლს სხვადასხვაგვარად ათარილებენ (მ. ბროსე – 1313 წ., ე. თაყაიშვილი – 958 წ., გ. ჩუბინაშვილი – VIII ს., ს. კაკაბაძე – 778 წ. ლ. მუსხელიშვილი – 777 წ., ნ. მოშიაშვილი – X ს. 50-იანი წლები).

23. ჭალისუბნის შიქალწერილთა წარწერები

1925 წლის მარტში გ. ბოჭორიძემ მეჯერისხევიდან (გორის რაიონი) ჩამოიტანა ორი შიქალწერილი საბუთი, რომლებიც ამჟამად საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება. ეს შიქალწერილები ინახებოდა ვ. და პ. ფსიტიძეების ოჯახში, რომელთაც ისინი ჭალისუბნიდან წამოეღოთ და სახლის კედელში ჩაეტანებინათ. წარწერები ნაწილობრივ დაზიანებულია.

ქვის ფილაზე ამოღარულია რეასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

1. სახ ... ა ღ^ე ესე კელი ...
2. რ^ემნ და გ^ეი დე^ეწრთ ოდეს ...
3. ნ^ეტი ქრთ^ელსა გმგ^ებლი იყ
4. ჩ^ენ ცხრგმსკეს კესუფლ დ ე
5. იყენით მს ე^ემსა ავაგეთ
6. წსქ^ელნი და მე^ემთ სხლი ერთი
7. სამსახორი კიდავს მ
8. კაცი (ნ. მოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 143),

ანუ:

1. სახ[ელითა] ღმრთისაჲთა ესე კელი [ჩუენ ცისკა]-
2. რმან და გიორგი, დაეწერეთ: ოდეს [კოსტა]-
3. ნტი ქართლისა გამგებელი იყ[ო],
4. ჩუენ ცხრაგმისკევს კევისუფლად ე-
5. იყენით. მას ეამსა ავაგეთ
6. წისქელნი და მეგომთ სახლი ერთი.
7. სამსახური კიდავს მ(=8)
8. კაცი.

წარწერას 923-926 წლით ათარიღებს გ. ბოჭორიძე (გ. ბოჭორიძე, ორი ფიქალწერილი, გვ. 99).

წარწერაში საინტერესოა ტერმინები: ქელი, ქეისუფალი, ყურადღებას იქცევს აგრეთვე გამოთქმა: სამსახური კიდაეს (=მართებს).

საბუთის ახლავს ნუსხური მინაწერი (დამტკიცება):

1. ქე ა ცისკარ ან
2. ქე ესე ქელი მე გი დაეწერე ქე განმგებელ[ო]
3. ორთავე ცხორებათაო დაწესე სოლი ფარაის
4. იაღთა აბრაჰამისთა მიეუ განსოენები ოო ... (ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, 143), ანუ:

1. ქრისტე, ადიღე ცისკარ, ამენ.
2. ქრისტე, ესე ქელი მე, გიორგი, დაეწერე. ქრისტე, განმგებელ[ო].
3. ორთავე ცხორებათაო, დააწესე სული ფარაის[ი]
4. [წ]იაღთა აბრაჰამისათა, მიეუ განსუენებაი. უფალო...

მინაწერი ძირითადად წარწერის თანდროული უნდა იყოს. მასში გამოვლინდება საინტერესო ფორმები საკუთარი სახელებისა: ცისკარ, ფარა. წარწერების ტექსტში გვხვდება /აი/ აღრინდელი /აჲ/ ღიფთონგის ადგილას (ფარაი, განსუენებაი).

მეორე ფიქალზე ამოღარულია თექვსმეტსტრიქონიანი ნუსხური წარწერა (წარწერის ბოლო სტრიქონები ამოკვეთილია ფილის თავში):

1. სხთა ღთა ესე ღწრლი
2. ღგწრთ ჩნ მაზი და თოთ
3. მან კლწკლს ფხწელაის ძისა
4. პირით და მისა ელწათა მგ
5. ცით კოიგორი მმლბით ბპრმს
6. და ლომასა ამა პირსა ზარმე
7. რ. ეღეას ბეგარი ზწ სამსახრი
8. ... ნ კიღე ზა კლა მგცთ ბობაორი
9. ...სვე მიწასა ზა კაცი არა ჯღეს ამთ
10. ...ღს აწ კრლი იყოს პრთა ღთსთა
14. სმნი მსს იდ ღოფ (გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნის მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, გვ.70).

წარწერა ძნელად იმიფრება. მასში მოიხსენიებიან ცნობილი ისტორიული პირები: თამარ მეფე (მე-4—მე-5 სტრ.), გაქარია ამირსპასალარი (მე-8 სტრ.), ივანე, ძმა გაქარიასი (მე-10 სტრ.).

წარწერას ათარიღებენ 1195-1207 წლებით (გ. ოთხმეზური, დასახ. ნაშრ., გვ. 69).

52. კრტიქის წარწერა

ახალქალაქის რაიონის სოფელ კრტიქაში ვ. ცისკარიშვილმა იპოვა სტელა („კელი“) ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით (ამჟამად სტელა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება):

1. + აუ ქე

2. აღე

3. თმ დ ძე

4. მთი ლმა შეწყ ბ

5. შნ გრგ კს ძენი (ვ. ცისკარიშვილი, ჯაფახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, გვ. 66), ანუ:

1. + აესუ ქრისტე,

2. ადიღე

3. თამ[არ] დ[ა] ძე

4. მათი ლამა. შეიწყ[აღენ] ბე-

5. შექენ, გიორგ[ი], კურიკეს ძენი.

წარწერას ვ. ცისკარიშვილი ათარიღებს 1193-1213 წლებით (ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 66), ხოლო გ. ოთხმებური – 1189-1202 წლებით.

წარწერა საკმაოდ დაუდევრად არის შესრულებული.

53. ბუნია-ყალას წარწერა

1936 წელს წალკის რაიონის სოფელ გუნია-ყალაში აღმოაჩინეს სტელა („კელი“) ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით (სტელა ამჟამად დატულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში):

1. სხლით ღმ ბბითა

2. თისსწორთ თმრს

3. და გ-ისთ ჳს მქა

4. რია შლე ოესყმ

5. ვჩესითა ჯლბსამს

6. მოჭირებმთა

7. სნობამს ძისა ინა

8. სა კლითა დამსა კლ

9. ი ესე ლთისსწორთა

10. მფთმჟის გამსი (ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიგაია, ქართული ხალხური ორნამენტები, I, ხევსურული, გვ. 74), ანუ:

1. სახელითა ღმრთისამთ[ა], ბრძანებითა

2. [ღმრ]თისსწორთ[ა] თამარის

3. და გიორგისით[ა], ჰყონდიდელის[ა], ზაქა-

4. რია, შალე[ა], ოესიყმ[ა]

5. ვაჩესითა, ჯულაბამს(?)

6. მოჭირებმთა

7. სანობამს ძისა ინამ-

8. სა კელით[ა] დამსუა კელ-

9. ი ესე ღმრთისსწორთა

10. მეფეთმეფის[ა] გიორგისი.

წარწერას ათარიღებენ 1202-1207 წლებით (გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული წარწერები... გვ. 73).

54. ქვემო ღინისის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერა

წალკის რაიონის სოფელ ქვემო ჯინისის წმინდა გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ამოღარულია ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

1. +. სწლითა ღმთა და მხბთა წსა ღთს მშბლსა

2. და წსა იწ ნთლისმცმლსთა მშღლა ღწ

3. მე ხშქსა იწსა მსზროთხცსსა აფრნდს ცოლსა

4. ...ი.მის ასლსა აღზაჲ წისა ამს ეკლსა ვრძსა

5. ღწსმშბსა სმსხრდ ი წლისა მკდრი გმცესლა

6. ...რი ღღმა მბოძა ესე მცრდი მსხორბა მიძლნა (E. Такашвили,

Археологические экскурсии, разыскания и заметки, IV, გვ. 51-52), ანუ:

1. +.სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა

2. და წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა მომზადლა ღმერთმან

3. მე, ხომაქსა, იოვანე ერისთავთ-ერისთვისა მსახურთუხუცესისა აფრიღონის ცოლსა,

4. [ოს]ი[ყ]მის ასულსა, აღშენებაჲ წმიდისა ამის ეკლესიისა ვარძიისა

5. ღმრთისმშობელისა სამსახურად. ი წლისა მკუდარი გამაყოცხლა,

6. [ძლ]იერი დიდებაჲ მიბოძა. ესე მცირედი მსახურებაჲ მიძლუნია.

წარწერას ე. თაყაიშვილი XII საუკუნით ათარიღებდა (E. Такашвили, დასახ. ნაშრ.); გ. ოთხმეზურის აზრით, ძეგლი 1178-1185 წლებისაა (გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები., გვ. 80).

წარწერაში ვლინდება ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი სტილი.

55. ვაკანის მონასტრის წარწერა

ასპინძის რაიონის ვაკანის მონასტრის შესასვლელთან გ. გაფრინდამ-ვიღმა იპოვა ოთხკუთხედი ქვის სტელა, რომელზედაც ამოღარულია ხუთ-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (სტელა ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება):

1. +. იწ ქე აღღე ორთვე შნა სფეთა მფთ

2. ა მფე და დღული თმრ რლისა ზე მე

3. იჩქთმნ გურგგნის ძემნ აეშნე კედლი ესე და და

4. ესწნ ხგნი მცხრისა ღწმშლისა ნთლისმცმლსა

5. და ჯი წისა სმწისი ვნცა ილცედთ მცა მშქსნთ (გ. გაფრინდამ-ვილი, ვაკანის ქვაბის განძი, გვ. 8), ანუ:

1. +. იესუ ქრისტე, აღიღე ორთავე შინა სუფევათა მეფეთ-

2. ა-მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე,

3. იჩქითმან, გურგენის ძემან, ავაშენე კედელი ესე და და-
4. ეასუენენ ხაგნი მაცხოვრისაჲ, ღმრთისმშობელისაჲ, ნათლისმცემლი-

საჲ
5. და ჯუარი წმიდისა სუმონისი. ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიქსენეთ.
წარწერა თარიღდება 1184-1207 წლებით, თამარის მეფობის ხანით (გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების: მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები... გვ. 81-82).

ყურადღებას იქცევს ანთროპონიმი იჩქითი. იჩქით გურგენისძე მოიხსენიება აგრეთვე წუნდის (ასპინძის რაიონი) ეკლესიის წარწერაშიც (იხ. გ. ოთხმეზური, დასახ. ნაშრ., გვ. 82-84).

56. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 227-ე ნარჩენა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება ქვის ფილა, რომელზედაც ამოღარულია ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. წარწერა დაზიანებულია. (უცნობია, თუ საიდან და როდის შემოვიდა მუზეუმში ეს ძეგლი):

1. ... და აღად მფბსა მთისა დ. შესწრე ე...
2. ... დ ვენქი და ყნნა წსქოლენა და რწ-იცა ეკლესიასა
3. ... დღე შრ-იება თშრ მფთმფისათს დწესა მღელბ
4. ... ნს თის ხრ-ბჲ ძისა მთ-სა დთ-ს და დისა მის-სა
5. ... არა მიორვია არცარა მიპაჯია არცარა სამნდი
6. აჲა მათითა წყლ-ბითა პლად არ მამიგია
7. ...დმტ-კიცოს და რაჲსა მიმეზისათს შეეილოს
8. ...ყლობენიცა ესე შენა ზემოქსენებოლწნი
9. ...ნცა რაჲცა მშ-მისათს შც-ლს შემცა იც
10. ...ა კელწფთა ...ვ...თ (ა. ბაქრაძე, ს. ბოლქვაძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, გვ. 20), ანუ:

1. ...და (?) აღაჲად მეფობისა მათისა და შევსწირე ე[კლესიასა]
2. ... და ვენაქნი და ყანანა, წისქუილნა¹ და რომელნიცა ეკლესიასა
3. დღე შრ-იებება (?) თამარ მეფეთ-მეფისათს დააწესა მღელბ (?)
4. ..ნს თუის ხარებაჲ ძისა მათისა დავითის და დისა მისისა
5. [არც]არაჲ მიურვია, არცარაჲ მიპაჯია, არცარაჲ სამინდოჲ
6. [რ]აჲცა მათითა წყალობითა პლად(?) არ მამიგია.
7. [ვინ არა] დაამტკიცოს და რაჲსა მიმეზისათს შეეეილოს,
8. [რომელ შენ მიწ]ყალობენ იგიცა, ესე შენნი ზემოქსენებულნი
9. რომელმანცა რაჲსაჲცა მიმეზისათს შეევალოს, შე-მცა-იცევალების
10. [იგიცა სკულისაგან ქრისტესის]ა, კელმწიფეთა ვ...თა წარწერას XII საუკუნით ათარიღებენ (კატალოგი, გვ. 20).

¹ წარწერაშია: წისქოლენა.

წარწერის ყველა ადგილის ადღენა ვერ ხერხდება. წარწერის ორ-
თოგრაფიას ახასიათებს ჲ-ს ხმარება /ღ-ს გადმოსაცემად, /ქ-ს გამოხატვა
ღ-თი.

ენობრივად ძეგლი მეტად საინტერესოა. მასში გვხვდება მამიგია, რო-
მელიც მა- მზნისწინს, აშკარა დიალექტიზმს, შეიცავს. ეს ფორმა იმასაც მოწ-
მობს, რომ ძეგლი აღმოსავლეთ საქართველოშია შექმნილი. მზნისწინთა
ამგვარი ფორმები ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა წერილო-
ბითი ძეგლებიდანაც (იხ. 8. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის
ისტორიის შესავალი, გვ 122). გვხვდება ცოცხალი მეტყველებისათვის დამახ-
ასიათებელი გრამატიკული მოვლენები: ია დაბოლოება გარდამავალ მზნათა
I თურმეობითში (მიურვია, მიქაჯია, მამიგია ...), საინტერესო ლექსიკური
ერთეულები (მიქაჯია, სამინდო...).

57. ორთა-ფოშთის ეკლესიის წარწერა

ბოლნისის რაიონის სოფელ ორთა-ფოშთის ეკლესიის შესასვლელის
გიშპანსა და კარის ორივე მხარეს ფილებზე ამოღარულია ოცდამეიდ-
სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (წარწერა კარის მარჯვენა მხარეს
ძლიერ დაზიანებულია):

1. + სხ^ლითა ღ^ათა შ^ეხბ^თა წ^{ის}ა
2. ღ^{ის}მშ^ბლის^ათა მე ფადლის ძეშ^ნ ელმელიქ აღ^ეშე
3. ნე ეკ^სა ესე და მონ^სტრი ყ^ღ წ^{ის}ა ღ^{ის}მშ^ბისი სღ^ბლღ მა
4. მისა ძისა და სისა წ^{ის}ა სმ^კდრბლღ და სლ^ევლღ ს^{ის}ა ჩ^სა და
ღ^ფისა
5. და მშ^ბლთა და შვ^ლთა ჩ^მთა მშეგრძელებისათს და
6. ყ^თა შ^მელთა ჩ^მთათს ძოლსე^ე და მკადრსა შ^მლსა ჩ^მსა
7. შა და შევსწირე და მოვ^ქსნე მონ^სტრსა აშ^ს ანდიკა მისით
8. ა მშღერ...
9. ...
10. ...
11. რღ გმა კპ ...
12. ...ჩაღმა წყლისა მ
13. ...ანა კალოებნი
14. აჩ^ი ესე შეწირ...
15. რმ ...გორშ^ნ კც^შნ შ^ე-
16. აღს მშყაცე^ვლბრს ს...
17. ...ნ მღაღა
18. ...ლიც...
19. ...ნი...მცხ...
20. ... ღ^ღაქლქმნ
21. + აშენ
22. ა ესაა
23. ესე მფ.
24. მფბს

25. თმრის
26. ინკენ...
27. ე (M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique dans la Géorgie et dans L'Arménie, III livr., გვ. 133), ანუ:
 1. + სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა
 2. ღმრთისმშობელისაჲთა, მე ფადლის ძემან, ელმელიქ, აღვაშე-
 3. ნე ეკლესიაჲ და მონასტერი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ სადიდებლად მა-
 4. მისა, ძისა და სულისა წმიდისა, სამკურნებლად და სალოცველად სულისა ჩუენისა და ღვლსა¹
 5. და მშობელთა და შვილთა ჩემთა მშეგრძელ(ე)ბისათეს და
 6. ყოველთა მომავალთა ჩემთათეს ძუელსავე და მკუადრსა მამულსა ჩემსა
 7. შინა და შეესწირე და მოვაქსენე მონასტერსა ამას ანლიკა მისით-
 8. ა მზღერ-
 9. ითა
 - 10.
 11. თა, რომელ გზაჲ გა(?)
 12. ...ჩაღმა წყლისა მ
 13. ...ანა კალოებნი
 14. ...ა ჩუენი ესე შეწირ-
 15. [ული] რამ[ანცა] გუარმან კაცმან [შუც]-
 16. [ვ]ალოს, შე-მცა-ცვალებულ არს ს[ჯულისა]-
 17. [გ]ან მდამა(?)
 18. ...ლი ც...
 19. ...ნი მცხეთამან წმიდამან ა-
 20. მან] დედაქალაქმან
 21. + აემენ-
 22. ა ეკლესიაჲ
 23. ესე მეფე[თა]
 24. მეფობას[ა]
 25. თამარის[სა]
 26. ინლიკტიონ[სა]
 27. ე.

წარწერა თარიღიანია. თარიღდება თამარის მეფობის მე-5 ინლიკტიონით (1184+5=1189 წ.) (იხ. M. Brosset, დასახ. ნაშრ., გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები ..., გვ. 86).

წარწერა საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით. მასში გვხვდება ცოცხალი მეტყველების ამსახველი არაერთი ფორმა (მზღვრითა, ჩაღმა, კაღლებნი, აქმენა ...).

ორთოგრაფიული თავისებურებებია: მ ზოგჯერ გამოხატავს /ი/-ს, ო – /უ/-ს.

¹ დედოფლისა (?)

58. კაბენის ეკლესიის წარწერა

თბილისის მახლობლად კაბენის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე ამოღარულია ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

1. ...ღთა და ხბთა წა...
2. მშობლთა აშნა წი ესე ეკლესი
3. მეფესა თმრისასა ავშენეთ
4. გისშვილთა კე და ნკმ ბასლი
5. ოქროპირი და გლო ...ღო შენ ვინ
6. ურათი მოიჭირვა ამს შა ან (M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique dans la Géorgie et dans l'Arménie, I, გვ. 17), ანუ

1. სახელითა ღმრთისაითა და [მეოხებითა წმიდისა [ღმრთის-]
2. მშობელისაითა ავშენა წმიდაი ესე ეკლესიაი
3. მეფობასა თამარისასა. ავაშენეთ
4. გიორგისშვილთა კურიკე და ნიკოლოზ, ბასილი,
5. ოქროპირი და გრიგოლ. უფალო ღმერთო, შეიწყალენ, ვინ-
6. ურათი მოიჭირვა ამას მედა, ამინ.

წარწერა თარიღდება 1184-1207 წლებით (გ. ოთხმემური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ლაპიდარული წარწერები. ... გვ. 93).

წარწერაში გამოვლინდება ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენები (წმიდაი, ეკლესიაი ... ავშენა, ვინუ, მოიჭირვა და სხე.).

59. ლურჯი მონასტრის წარწერა.

თბილისის ლურჯი მონასტრის აღმოსავლეთ კედელზე ამოღარულია თერთმეტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

1. ვინათგნ ჩმბრ ბრლთგნ სწმნბით კთლკეთილნი კთლდ ქმნლნი ამისთს მეცა შგ
2. ილი ჭშტისა ემბზისა გრნა სხელით ოდენ ქეანე ხსქმით ურჩი და ყდ უშიში ღთისა
3. ბრნბთა უღრსი ბსლი ქრთლისა მთერებსკოს ყოფილი ძე კთლნთსეს იობისი უნღთა
4. ამთ მერეთა ნვითა მრ გლსმდგნბით მსზბლი შენი ცეებრსა ამს გმკე სყდრ სრთლსა
5. სმსზმსა ამს კდრსა შა ყისა სფლისა მომნადრბლთა სარწმნბსა შა მრთლსა ათრმეგ
6. თვდ აღრეზლსა დასსა მქქლთსა თანმსყდრეო და სწრო ანდრია ბეშენე
7. ნეველსაგბლდ ჩმთს და სყრლისა ძმისა ჩმისა ეე ქთლისა ამრთააშრისა რუჟს
8. თეისა და შვიდთა მთეულებთა პტრნისა აბლსნისთს და უკრმშსსა
9. ძმისა ჩმისა შევლისა ღთისთს ედის დაუდგრმლსა ამს და წრმდნრსა სფლსა შა

* ანდრია + ხმევით (წარწ.)

10. ... ან (M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique dans la Géorgie et dans l' Arménie, II, გვ. 3-5), ანუ:

1. ვინააიძებნა ჩემებრ ბრალეულთაგან სარწმუნოებით კეთილ-კეთილნი კეთილად ქმნულნი ამისთვის მეცა, შ[ვ]-

2. ილი ჭეშმარიტისა ემზამისაჲ, გარნა სახელით ოდენ ქრისტეანე, ხოლო საქმით ურჩი და ყოვლად უშიში ღმრთისა

3. ბრძანებათაჲ, უღირსი ბასილი ქართლისა მთავარებისკოპოს-ყოფილი, ძე კეთილ[ათესვისი] იობისი, უნდოთა

4. ამათ მცირეთა ნივთთა მიერ გულსმოდგინებით მსასობელი შენი, ცეცხრსა ამას გიმკობ საყდართ-სართულსა

5. სამსხემოსა ამას კედარსა შინა, ყოვლისა სოფლისა მომზადირე-ბელთა სარწმუნობასა ზედა მართალსა ათორმეტ

6. თავად აღრაცხულსა დასსა მოციქულთასა თანამოსაყდრეო და სწორო ანდრია, ხოლო ვაშენე

7. ნაცვალსაგებელად ჩემთვის და საყუარელისა ძმისა ჩემისა ერისთავთ-ერისთვისა ქართლისა, ამირთა ამირისა რუას-

8. თვისა და შუღთა მთეულთა პატრონისა აბულასანისთვის და უპირმ-შოესისა

9. ძმისა ჩემისა შეილისა დაეითისთვის დაუდგრომელსა ამას და წარმდინარესა სოფელსა შინა

10. ...ამენ.

წარწერას ე. თაყაიშვილი ათარილებდა თამარის მეფობის ეპოქით (E. Таханшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, IV, გვ. 148-153), ვ. ბერიძე – XII-XIII საუკუნეებით (ვ. ბერიძე, თბილისი „ლურჯი მონასტერი“, გვ. 96-100). გ. ოთხმეზურის აზრით, წარწერა შესრულებულია აბულასანის მეჭურჭლეთუხუცესობის პერიოდში, 1185-1187 წლებში (გ. ოთხმეზური, XII -XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები ... გვ. 95-96).

წაწერა შესრულებულია მაღალი სტილით (ერცელი შესავეალი, გრაფარეგული გამოთქმები...).

60. ბანძანის ზემო ეკლესიის წარწერა

ნინოწმინდის რაიონის სოფელ განძანის ზემო ეკლესიის სამხრეთ კედელზე ამოღებულია შეიღსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

1. + ქე ღთო ადიღე ორთვე შა ცხრბთა

2. ძლიერიდა ოძღველი ყო

3. ელთა მგერთგნ მეჭორჭლეთოხ

4. ოცესი შალვა რღმნ ძალითა

5. ღთისაათა და მკლავითა თავისი

6. თა შეაძრწონვა ყოველი ს...

7. რსეთისაჲ (M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique la Géorgie et dans l' Arménie, II, გვ. 174), ანუ:

1. + ქრისტე ღმერთო, ადიღე ორთავე შინა ცხორებათა

2. ძლიერი და უძლეველი ყო-
3. ელთა მტერთაგან მეჭურჭლეთუხ-
4. უცესი შალვა, რომელმან ძალითა
5. ღმრთისაათა და მკლავითა თავისითა
6. შეაძრწუნეა ყოველი ს[ოფელი სპა-]
7. რსეთისაჲ.

წარწერას ვ. ცისკარიშვილი ათარიღებს 1305-1346 წლებით (ე. ცისკარიშვილი, განძანის წარწერის შესახებ, გვ. 466-367), ნ. ბერძენიშვილი – 1334-1346 წლებით (ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 86), ნ. მოშიაშვილი – 1191- 1207 წლებით (ნ. მოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, გვ. 35-41), გ. ოთხმეზური – 1190-1202/3 წლებით (გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების ქართული ლაპიდარული წარწერები... გვ. 100-101).

თ წარწერაში იხმარება /უ/-ს გამოსახატავად. ენობრივი თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა თაეისითა (უფრო ადრინდელ ძეგლებში გვაქვს თუსითა).

61. შინეზაურის სტალის წარწერა

ღმანისის რაიონის შინეზაურის ხეობაში აღმოაჩინეს სტელა, რომელზედაც ამოღარულია ოქტავრეასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (სტელა ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება):

1. + სახე
2. ლითა
3. ღმსაათა
4. და შეწუ
5. ნითა ყლ
6. წისა ღის მმ
7. ობლისაჲა
8. აღიდენ და
9. ამყარენ
10. ღნ ძლრი და
11. უძლელი მ
12. ეფთმ ფო
13. ბჲ გისი მ
14. მიწმნ მფობისა
15. შთისმნ იობ მი
16. ხრიკისა ძმნ
17. ის ჩმსა ამიბბ
18. ა შა აღუპმრ
19. თე ჯი ესე სხლსა
20. ზა წისა მწმისა
21. დიმიტრისა სლც
22. ელდ შფბისა მთ

23. სა სკნბლდ სლი
24. სა ჩისა ვინცა მო
25. შელთა ეშთა
26. დაწერილი ესე ა
27. მიკათხოთ ლ[ო]ც
- 28.

(დ. ბერძენიშვილი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, გვ. 748), ანუ:

1. + სახე
2. ლითა
3. ღმრთისაათა
4. და შეწევ-
5. ნითა ყოვლად
6. წმიდისა ღმრთისმშ-
7. ობლისაათა, –
8. აღიდენ [და] და-
9. ამყარენ
10. ღმერთმან ძლიერი და
11. უძლეველი მ-
12. ეფეთმეფო-
13. ბაჲ გიორგისი! – მე,
14. მიწამან მეფობისა
15. მათისამან, იობ მი-
16. ხრიკის ძემან, დმან-
17. ის[ს] ჩემსა ამირობა[ს]
18. ა შინა აღეკმარ-
19. თე ჯუარი ესე სახელსა
20. ზედა წმიდისა მოწამისა
21. დიმიტრის[ს]სა, სალოც-
22. ეელად მეფობისა მათ-
23. ისა საქსენებელად სული-
24. სა ჩემისა. ვინცა მო-
25. მავალთა ეამთა
26. დაწერილი ესე ა-
27. [ლ]მოიკათხოთ, ლოც-
28. [ე]ასა მომიქსენეთ).

წარწერას ათარიღებენ XIII საუკუნის I მეოთხედით (დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 748, გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები... გვ. 109).

საინტერესოა ანთროპონიმი მიხრიცი.

62. აბელიის ეკლესიის ნარჩენი

თეთრიწყაროს რაიონის სოფ. აბელიის სამხრეთ კედელზე ამოღარულია ოცდასამეტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

1. + ადიდნ და დამყრენ ღწ მუწნი ჩწ
2. ნი დწ და დწ დღწლი თამრ ხწთნ და ძე
3. მთი გწი რლთა წყწლბთა ღირს ვიქმწ ადმენბად ეკლე
4. სისა ამის სამლოცველოდ მეფუბსა მთისა მე გლწხკი
5. არსენი მმუდამსძე მნგლეღი, მსკოესი და სა-
6. ქსენბლწდ ცდწღლისა სწლისა ჩწმისა და ძმისა ჩწმისა ანელაჲ
7. სა და მმბლთა და ძმთა და ყწთა მიცწლბლთა ჩწ
8. თათუს გარწმუნოს ღწ ვინცა ქწხოთ ჳწრით და რო
9. ღონებით ნამუწკევი ჩწნი შწნდობჲ ბრძანეთ რწა ღწ თქწსა
10. მოგწნიჭოს სწსყღლი შრომთა აქა და საოკუნესა ამენ.
11. მას ქწმსა კლწყვე შწნებღ ოღეს
12. თათართა დაეკყრა ესე სამეფო
13. და ყწღი ქყწნა ძღლით და შრომით შეი-
14. მართებოდა ჩემებრ გწხაკისა და არამს
15. მქონებლისგწნა გწნა პტრწნთა წყწლბითა
16. კლწყვე და ვისიცა რაჲ სხუსა სალო
17. ცწვი წწგწებოდა ამისსა შწნბასა შწსა
18. ღწ სსფელ
19. ი მიანიჭოს და
20. მაშენებლთაყა
21. და რაჲცა ვინ მ
22. მოჲჭირვა ყწლთა
23. შწნდენეს ღწ აწ (E. Такашвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, II, გვ. 16-19), ანუ:

1. + ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან მეფენი ჩუენ-
2. ნი დავით და დავით, დედოფალი თამარ-ხათუნ და ძე
3. მათი გიორგი, რომელთა წყალობითა ღირს ვიქმენ ადმენებად ეკლე
4. სიისა ამის სამლოცველოდ მეფობისა მათისა მე, გლახაკი
5. არსენი მმუდამსძე, მანგლეღი მსკოესი (?) და სა-
6. ქსენებელად ცოდვილისა სულისა ჩემისა და ძმისა ჩემისა ანელაჲ-
7. სა და მმოებლთა და ძმათა და ყოველთა მიცეალებულთა ჩუენ
8. თათუს. გარწმუნოს ღმერთმან, ვინცა ქწახოთ ჳწრით და რუ-
9. ღუნებით ნამუშაჲკევი ჩუენი, შენდობაჲ ბრძანეთ, რაჲთა ღმერთმან

თქუენცა

10. მოგანიჭოს სასყიდელი შრომათაჲ აქა და საუკუნესა, ამენ.
11. მას ქაჲმსა კელ-ყყავ შენებად, ოღეს
12. თათართა დაეკყრა ესე სამეფო
13. და ყოველი ქვეყანაჲ ძღლით და შრომით შეი-
14. მართებოდა ჩემებრ გლახაკისა და არამს-
15. მქონებელისაგან, გარნა პატრონთა წყალობითა

16. კელ-ეყაე და, ვისიყა რაჲ სხუსა სალო-
17. ცაეი წაგებულა ამისსა შენებასა, მასცა
18. ღმერთმან მიანიჭოს და
20. მაშენებელთაყა,
21. და რაჲცა ვინ მ-
22. ოჲჭირვა, ყოველთა
23. შეუნღენეს ღმერთმან, ამენ.

წარწერას ათარიღებენ დავით ნარინისა და დავით ულუს თანამეფობის ღროით – 1250-1259 წლებით (E. Такашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 16-19).

წარწერა (განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი მე-11 სტრიქონიდან) ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი სტილით არის დაწერილი. გვხვდება მრავალი ნეოლოგიზმიც. დასტურდება საინტერესო ანთროპონიმიები (მშულდა, ანელა).

- ბ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები: მაცნე /ისგ. და არქეოლოგ. სერია/, 1976, №2.
- ბ. აბრამიშვილი, სტეფანომ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.
- გ. ალექსიძე, ატენის სიონის ოთხი წარწერა, თბ., 1983.
- გ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968.
- გ. ანდლუაძე, ღ. თუშანიშვილი, თ. სახპარაიძე, ბოლნისის სიონის საკითხისათვის: მაცნე /ისგ. და არქეოლოგ. სერია/, 1984, №3.
- თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957.
- თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962.
- თ. ბარნაველი, მაჩხანის ეკლესიის წარწერები: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXIX, №5, თბ., 1962.
- თ. ბარნაველი, აბასთუმნის ერთი წარწერის შესახებ: „მაცნე“, №5, თბ., 1969.
- ა. ბაქრაძე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც საისტორიო წყარო: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX-B, თბ., 1959.
- ა. ბაქრაძე, ს. ბოლქვაძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლთა კატალოგი, თბ., 1953.
- ბ. ბერიძე, თბილისის ლურჯი მონასტერი: ქართული ხელოვნება, 2, თბ., 1948.
- ბ. ბერიძე, კვლავ ადრექრისტიანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ: „მნათობი“, 1986, №2.
- ბ. ბერიძე, კაცხის ტაძარი: ქართული ხელოვნება, 3, თბ., 1950.
- ღ. ბერძენიშვილი, წარწერები სოფელ ცხნარიდან: ძეგლის მეგობარი, 43-44, თბ., 1976-77.
- ღ. ბერძენიშვილი, დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზაურის ხეობიდან, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXIII, №3, თბ., 1964.
- გ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში: „ენიქის მოამბე“, V-VI, თბ., 1940.
- ბ. ბოროძე, ორი ფიქალწერილი: საისტორიო მოამბე, 1, ტფ., 1925.
- ბ. ბოროძე, რაჭის ისტორიული ძეგლები: საქ. მუზ. მოამბე, V, ტფ., 1930.
- ბ. ბოროძე, ჯვარისას ძეგლი: საქართველოს არქივი, 111, ტფ., 1927.
- ა.ლ. ბაშკრაიძე, უძველესი ქართული წარწერების აღმოჩენა პალესტინაში: „ლიტერატურული გაზეთი“, №24, 1956 წ., 15.11.
- ბ. ბაზრიანი, 1000 წლის სამშენებლო წარწერა ქორეთის ეკლესიაზე: ძეგლის მეგობარი, 21, თბ., 1970.
- კ. ღანელია, ძველი ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983.
- ა. გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გულამვილმა, ტ.1, თბ., 1962; ტ. 11, თბ., 1964.
- კ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965.

8. თარხნიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართველთა მონასტერი ბეთლემში: „ბელი ქართლისა“, 1954, № 16.
9. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.
3. თოფჩიანი, ქვაჯვარანი საქართველოში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 4, თბ., 1942.
- ს. კაპაბაძე, ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერების შესახებ: „მნათობი“, 1985, № 5.
- ს. კაპაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები: საისტორიო მოამბე, 1, ტფ., 1924.
- ს. კაპაბაძე, წინასწარი ცნობა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფიკული მასალის შესახებ: საისტორიო კრებული, IV, ტფ., 1929.
- კ. კეკელიძე, ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1960.
- კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
8. კიკნაძე, თ. მირზაშვილი, რას მოგვითხრობს მირიანის წიგნი: „კრიტიკა“, 1985, № 6.
6. ლომოური, ბოლნისის სიონის საკითხისათვის: მაცნე/ისტ. და არქეოლოგ. სერია/, 1984, № 3.
- კ. შაჰაპარიანი, ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, თბ., 1985.
- კ. შაჰაპარიანი, ქართული ანბანი, თბ., 1977.
- რ. მუხისამიანი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი: ქართული ხელოვნება, 4, თბ., 1955.
- რ. მუხისამიანი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის სამშენებლო წარწერა: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 10, თბ., 1944.
- ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერას ხეობაში, თბ., 1941.
- ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი: ენიშის მოამბე, III, თბ., 1938.
- ლ. მუსხელიშვილი, უკანგორის ისტორიული ნაშთები: ენიშის მოამბე, X, თბ., 1941.
- ბ. მგელიშვილი, ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის: მაცნე /ისტ. და არქეოლოგ. სერია/, 1984, № 3.
- მ. ნუსუბიძე, პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები: „მნათობი“, № 1, 1959.
- ბ. ოთხმეზარი, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდალური წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.
- რ. პატარიძე, ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები: „მნათობი“, 1984, № 1.
- ლ. რჩეულიშვილი, ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია, „ქართული ხელოვნება“, I, თბ., 1942.
8. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- კ. სილოგაძე, ეპიგრაფიკული ეტიუდები: თსუ სტუდ. შრ., X, თბ., 1970.

3. სილოზაპა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს
ლაპიდალურ წარწერებში: მაცნე /ისტ. და არქეოლოგ. სერია/, №4,
1972.
3. სილოზაპა, ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, თბ., 1994.
ქართლის ცხოვრება, I, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1955.
ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959.
ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II, გამოსცა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.
- ლ. ძაჩანი, ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში: პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969.
- ა. მანიძე, ბოლნისის წარწერები: ნობათი, № 1, 1975.
- ა. მანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია, ტფ., 1935.
- ა. მანიძე, ძველი ქართულის ენის ელემენტარული წიგნი, II, თბ., 1988.
- ა. მანიძე, პაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტფ., III, ტფ., 1923.
6. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი: შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., 1966.
3. ჩაჩანიძე, პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1978.
- ბ. ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, № 2, თბ., 1952.
- ბ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, ტფ., 1936.
- ბ. ჩუბინაშვილი, მასალები სამწვერისის ტაძრის შესწავლისათვის: ქართული ხელოვნება, 2, თბ., 1948.
3. სისპარიშვილი, განძანის წარწერების შესახებ: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 15, №6, თბ., 1954.
3. სისპარიშვილი, წარწერები ასპინძის რაიონიდან: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 30, თბ., 1967.
3. სისპარიშვილი, ჯაფახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.
- ბ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
- ივ. ჯაფახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ., 1926; ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
3. ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის მოკლე ანგარიში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, თბ., 1971.
- М. БРОССЕ, Взгляд на историю и литературу Грузии: ЖМНП, 1838, №8.
- Г. БУАЧИДЗЕ, Мари Броссе, Тб., 1983.
- И. А. ДЖАВАХИШВИЛИ, К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпитафическим памятникам: Христианский Восток, III, С-Пб., 1914.

- М. ДЖАНАШВИЛИ, От Ново-сенак до сел. Дихазурга: Изв. Кавказского отделения Московского археологического общества, вып. II, 1907.
- С. С. КАКАБАДЗЕ, Строительная надпись Болнисского Сиона: მაცნე /ისტ. და არქეოლოგ. სერია/, №3, 1984.
- Г. МЕПИСАШВИЛИ, В. ЦИНЦАДЗЕ, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии - Шида Картли, Тб., 1975.
- И. П. РОСТОМОВ, Ахалкалакский уезд в археологическом отношении: СМОМПК, XXV, 1898.
- Е. ТАКАИШВИЛИ, Археологические экскурсии, разыскания и заметки, II, 1907; IV, Тф., 1913.
- Р. ШМЕРЛИНГ, К датировке Убисского храма: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, IV, №2, თბ., 1955.
- Р. ШМЕРЛИНГ, Церковь в селении Дарквети: ქართული ხელოვნება, 6-А, თბ., 1963.
- Г.Н. ЧУБИНАШВИЛИ, Болниси: ენბეის მოამბე, IX, თბ., 1940.
- М. BROSSET, Notice détaillée sur les églis de Sawané et de Manglis, Mélanges Asiatiques, III livr., S-Pb., 1857.
- М. BROSSET, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, I-III, S-Pb., 1849-51.
- Р. DEVOS, Quand Pierre L'Iberre vint-i Jérusalem: Analecta Bollandiano, T.86, Fasc. 3-4.

თ ა ვ ი II

ძველი ქართული ხელნაწერები

შემონახულია 10 000-ზე მეტი ქართული ხელნაწერი. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ხალხის დიდი სულიერი სიმდიდრეა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი განძისა, რაც შეუქმნია ქართველ ხალხს თავისი ისტორიის მანძილზე. V-IX საუკუნეთა ქართული ხელნაწერები მხოლოდ სასულიერო ლიტერატურის ძეგლებს შეიცავენ. X-XII საუკუნეებიდან გვაქვს ფილოსოფიური, საისტორიო, საერო მწერლობის თხზულებათა შემცველი ხელნაწერებიც.

ძველი ქართული ხელნაწერები ინახება საქართველოში, აგრეთვე, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, ერევანში, უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

ძველი ქართული ხელნაწერების მიზანდასახული, სისტემატური შეგროვება XIX საუკუნის II ნახევარში დაიწყო. ილია აბულაძე წერს: „ყველაზე უწინარეს ქართულ ხელნაწერთა და საისტორიო დოკუმენტთა კოლექციების შეგროვება ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ო რ ი ს წ ე რ ა - კ ი თ ხ ვ ი ს გ ა მ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ე ლ ს ა მ ო გ ა დ ო ე ბ ა ს თ ა ნ დაიწყო. ამ სამოგადოების დამაარსებელნი და მესვეურნი, დიდი ქართველი მოღვაწეები დ. ყიფიანი და ი. ჭავჭავაძე იყვნენ ამ მხრივაც სხეებისთვის ნიშუმის მიმცემი. საინვენტარო ჩანაწერებში, რომლებსაც ჩვენამდე მოუღწევია, არაერთგმის იხსენებიათ დასახელებული პირები, როგორც შემომწირველნი ამა თუ იმ ხელნაწერისა და ხელნაწერთა კომპლექსისა.

ხსენებული სამოგადოების ხელნაწერთა კოლექციების შეგროვებისა და შესწავლისათვის თაედადებით მრუნავენენ ამ საქმის დიდი ერთუმიასტები აკად. ე. თაყაიშვილი და ისტორიკოსი დ. კარიჭაშვილი, განსაკუთრებით პირველი“ (ილ. აბულაძე, ძველ ხელნაწერთა დაცვა და პუბლიკაცია... გვ. VIII). ე. თაყაიშვილს, მართლაც, უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხელნაწერების შეკრებაში. ე. თაყაიშვილი იგონებს: „იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად. რაც შეიძლებოდა, მეტი გამოუმეგურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ იმ პერიოდში – იმ რწმენით, რომ, როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაცდა ღიად კულტურას, რომელსაც ქართველმა

ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. საკვებურად არ ვამბობ, მაგრამ მას აქეთ, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, სისტემატური კვლევისა და ძებნის შედეგად, წილად მხედა ბევრი ახალი, სრულიად უცნობი და, თან, პირველხარისხოვანი ძეგლების აღმოჩენა, — ისეთებისა, რომელთა არსებობა არც კი მოგვიფიქრებია მანამდე. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმის მომასწავებელია, რომ კარგა ხანს ჩვენ ძებნა არც კი მიგვაჩნდა საჭიროდ და არც გვესმოდა ასეთი მუშაობის ფასი“ (ე. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958 წ., № 7, გვ. 162-163).

1888 წელს შეიქმნა საეკლესიო მუზეუმი. ილ. აბულაძე აღნიშნავს: „მეორე დაწესებულება, რომელიც გასულ საუკუნეში, სახელდობრ, 1888 წელს ჩამოყალიბდა აგრეთვე ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ძეგლთა შესაგროვებლად, დასაყავად და შესასწავლად, იყო საეკლესიო მუზეუმი. იმ პირობებში, ვინც აქ სამუზეუმო საქმეს ემსახურებოდა თავდადებით, აღსანიშნავი არიან დ. ბაქრაძე, თ. ჯორდანიას, მ. ჯანაშვილი. ესენი იყვნენ არა მარტო ექსპონატების შემკრებნი, არამედ მათი მომვლელ-დამცველნი და უბეტეს შემთხვევაში შემსწავლელნიც.“

ეს სიძველეთსაცავე ერთ დროს (1921-1929 წლებში) შეუერთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმს (ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. VIII).

ე. თაყაიშვილმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო საეკლესიო მუზეუმის საქმიანობაშიც. დიდი ექვთიმე ასე იგონებს ამ საზოგადოების მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯებს: „დ. ბაქრაძემ შეიტანა წინადადება, დაარსებულიყო იმ „წმ. ანდრიას ძმობასთან“ მუზეუმი ძველი საეკლესიო ხელნაწერებისა და ნივთებისა, რომლებიც გამოსული იყვნენ ხმარებიდან. ამრიგად შეიქმნა იმ საზოგადოებასთან „საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმი“. სინოდს დაემტკიცებინა მისი დაარსება, მუზეუმი ჯერ არ იყო გახსნილი. ბაქრაძეს უკვე შეეღვინა და დაემტკიცებინა მისი წესდება და, როგორც სხვაგან უკვე აღვნიშნე, მომცა და ქართულად მათარგმნინა იგი. თან მითხრა, რაკი ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი გაგითავებიათ, ჩვენთან უნდა იმუშავოთო. მასთან მუშაობა მართლაც სასიამოვნო იყო და ყველას ძალიან უყვარდა. წინათ ემუშავნა ქუთაისის გუბერნატორთან, „განსაკუთრებულ“ დავალებათა შემსრულებელ მოხელედ“. ნიჭიერი და კარგად განათლებული მკვლევარი იყო, რუსულის გარდა ფრანგულიც იცოდა. მერე შედგა ამ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი: დ. ბაქრაძე (თავმჯდომარე), ელიევი (წვერი), კალისტოვი (ეგზარქოსის მდივანი), თ. ჯორდანიას, მე და ნ. მთვარელიშვილი (ქართული ენის მასწავლებელი სათავადაზნაურო სკოლაში, სასულიერო აკადემიადამთავრებული, აგორი მშენიერი წერილისა ანტონ I შესახებ, რომელიც საარქივო მასალების მიხედვით ჰქონდა შედგენილი). როგორც უკვე ვწერდი, იმ მუზეუმის პირველი ნაბიჯი იყო დ.

ბაქრაძისა და ჩემ მიერ ძველი ქართული ხელნაწერების ჩამოგანა სვეტიცხოველიდან, რომელსაც წინათ მდიდარი ბიბლიოთეკა აქონდა, ოღონდ მერე ბევრი რამ დაკარგვოდა, მაინც მრავალი იყო იქ კარგი ხელნაწერი და ყველა წამოვიღეთ, თითქმის არაფერი დაგვიტოვებია. მუზეუმი-სათვის მოგვეცეს ერთი დიდი ოთახი სიონის ტაძრის ეზოში მდებარე შენობის მეორე სართულზე და იქ შევინახეთ ხელნაწერები. მოვაწყეთ ბიბლიოთეკა. ამ უკანასკნელის გამგედ ავირჩიეთ თელო ჟორდანიას, რომელსაც დავავალებთ მოკლე აღწერილობა-კატალოგის შედგენა. მერე უკვე სხვა ტაძარ-მონასტრებიდანაც მოგვდიოდა ხელნაწერები“ (ე. თაყაიშვილი, მოგონებები: „მნათობი“, 1959, №2, გვ. 169-170).

1907 წელს დაარსდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, „რომლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ხელნაწერი წიგნების, საისტორიო დოკუმენტებისა და ზეპირსიტყვიერებითი მასალის შეგროვება. ამ საზოგადოების დამაარსებელი და მისი მუშეუმის მეცნიერი ხელმძღვანელი დღიდან მისი დასახებისა 1921 წლამდე იყო ექვთიმე თაყაიშვილი. მისმა უმრეტმა ენერგიამ და ქართული სიძველეების უანგარო გულშემატკივრობამ საზოგადოებას, რომელიც სხვებთან მიმართებით ყველაზე ახალგაზრდა იყო, შეაძლებინა, შეეკრიბა სხვებზე არა ნაკლები ხელნაწერი კოლექციები“ (ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. VIII).

მემდგომში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუშეუმის, უნივერსიტეტის სიძველეთა მუშეუმის, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშეუმის ხელნაწერთა და საისტორიო-იურიდიულ დოკუმენტთა კოლექციები შევიდა ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუშეუმის ხელნაწერთა განყოფილების, ხოლო 1958 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში:

1. ყოფილი საეკლესიო მუშეუმის და უნივერსიტეტის სიძველეთა სიძველეთა მუშეუმის ხელნაწერთა კოლექციის ლიტერია A, საისტორიო დოკუმენტებისა – Ad.
2. ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო მუშეუმის ხელნაწერთა კოლექცია აღინიშნება H ლიტერით, საისტორიო დოკუმენტები – Hd-თი.
3. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციის ლიტერია S, საისტორიო დოკუმენტებისა Sd.

ხელნაწერთა განყოფილებასა და ხელნაწერთა ინსტიტუტში შემოსული ახალი მასალა შესაბამისად Q და Qd ლიტერებით აღინიშნება.

ამეამად თითქმის დასრულებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდების აღწერა და კატალოგთა გამოცემა. ამ უდიდეს საქმეს საფუძველი ჩაუყარეს

თ. ჟორდანიამ, მ. ჯანაშვილმა და ე. თაყაიშვილმა (თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა: Описание рукописей... Церковного Музея, I, 1903; II – 1902); მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა ამ კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის III ტომი 1908 წელს. ე. თაყაიშვილმა შეადგინა Описание рукописей "Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. I, вып. 1-4, 1902-1904; т. II, вып. 1-4, 1906-1912. A კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა დასრულდა 1955 წელს (1954 წელს გამოვიდა IV ტომი, ხოლო 1955 წელს – V).

II ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა გამოიცა 6 წიგნად (ტ. I – 1946; ტ. II – 1951; ტ. III – 1948; ტ. IV – 1950; ტ. V – 1949; ტ. VI – 1953). შვიდ ტომს შეადგენს ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა (ტ. I – 1960; ტ. II – 1961; ტ. III – 1963; ტ. IV – 1965; ტ. V – 1967; ტ. VI – 1969; ტ. VII – 1973). Q ფონდის აღწერილობის I ტომი გამოვიდა 1957 წელს II – 1958 წ. ამჟამად ხელახლა ქვეყნდება იმ ხელნაწერთა აღწერილობა, რომლებიც თავის დროს აღწერეს თ. ჟორდანიამ, მ. ჯანაშვილმა და ე. თაყაიშვილმა. გამოსულია ოთხი ნაკვეთი (I – 1974; II – 1976; III – 1980; IV – 1985).

ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსება უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. ამ საქმის სულისჩამდგმელი და ინსტიტუტის პირველი დირექტორი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ილია აბულაძე იყო.

ამ ინსტიტუტის მაღალ ავტორიტეტს შეაპირობებს, როგორც ხელნაწერთა კომპლექსური შესწავლა (აღწერილობათა შედგენა, ტექსტების პუბლიკაცია, მონოგრაფიები და კრებულები საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობის, ძველი ქართული ენის ურთულეს პრობლემებზე), ისე მრუნვა ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის, მისი ფონდის განუწყვეტელი ზრდისათვის.

ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ათი ათასამდე ხელნაწერი ინახება. მათ შორის 1000-მდე V-XII საუკუნეებით თარიღდება. ცხადია, ეს ხელნაწერები შეადგენენ ქართული კულტურის ოქროს ფონდს. მათი მნიშვნელობის გადაჭარბებულად შეფასება შეუძლებელია.

ძველი ქართული ენის ძეგლები სამ ჯგუფად იყოფა: ხანმეტი, ჰაემეტი და სან-ნარევი. ეს დაყოფა ემყარება იმას, თუ რომელი პრეფიქსები გამოხატავენ მეორე სუბიექტურსა და მესამე ობიექტურ პირებს.

ხანმეტი ეწოდება ისეთ წერილობით ძეგლებს, რომლებშიც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნად ხ- პრეფიქსია გაბატონებული. ეგვიპ ხ- პრეფიქსი გვაქვს აგრეთვე მელსართავი სახელისა და მზნიმედის უფროობითი ხარისხის ფორმებსა და ე- პრეფიქსიანი ვნებითი გვარის მზნებში. ისეთ ტექსტებს, სადაც ზემოთ დასახელებულ ფორმებში კ-

იხმარება, ქაემეტი ქქეია, ხოლო სან-ნარეკს უწოდებენ წერილობით ძეგლებს, რომლებშიც სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირების მაწარმოებლად დ თ გ ძ უ წ ჯ ჩ ჭ თანხმობიანთა წინ ს- პრეფიქსი დასტურდება.

ყველაზე ძველია ხანმეტი ტექსტები (V ს. – VIII ს-ის I ნახევარი). ქაემეტი ტექსტების უძველესი ნიმუშია წყისის წარწერა (616-619 წ.). ქაემეტი ხელნაწერი, ა. შანიძის მიერ ამოკითხული, VIII საუკუნის მეორე ნახევრისაა. სან-ნარევი ტექსტები IX საუკუნიდან გვაქვს.

1920 წელს გამოქვეყნდა აკაკი შანიძის მონოგრაფია: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ მშენებში.“ მასში ღრმად და საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართული მშენის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ქართული ენის მთელი ისტორიის მანძილზე, გათვალისწინებულია ქართული ენის დიალექტთა მონაცემებიც. ა. შანიძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ხ-არ, /მო/-ხ-ულ, /მო/-ხ-უელ მშენებში მეორე სუბიექტური პირის ნიშანია ხ-.

1923 წელს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ II ტომში დაიბეჭდა ა. შანიძის გამოკვლევა: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ მშენებში“. ა. შანიძის აზრით, ხ- პრეფიქსი ადრე მესამე სუბიექტური პირის ნიშნადაც იხმარებოდა. ამ მოვლენის გადმონაშთია ხერთვისი, რომელიც ძველ ქართულში იხმარება კუნძული ს, ან ნახეკარკუნძული ს მნიშვნელობით (იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გეოგრაფიულ სახელადაც გვხვდება), აგრეთვე მცხეთისა და ბოლნისის წარწერებში დადასტურებელი ისეთი მშენური ფორმები, როგორცაა: ხეყავ, შეხეწიე, შეხუაბთ. ა. შანიძემ გაარკვია, რომ ხერთვისი ნაშმნარი სახელია. იგი წარმოქმნილია ხ-ერთ-ვი-ს (=ერთვის) მშენისაგან. ხერთვის, ხეყავ, შეხეწიე, შეხუაბთ ფორმათა მიხედვით ა. შანიძემ გააკეთა ქართული ენის ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა: „მეორე განხილულს ოთხ მშენის ფორმაში (ხერთვის, ხეყავ, შეხეწიე და შეხუაბთ) ქართულს შემოუნახავს, მამასადამე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ. ეს ნაშთები სრულს ანალოგიას წაორმოადგენს არს მშენის მეორე პირის ფორმასთან შედარებით (ხარ), სადაც აგრეთვე შენახული გვაქვს ნაშთი მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ. ეს ორი პრეფიქსი სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირისა – თუმცა სხვადასხვა კატეგორიას ეკუთვნიან მორფოლოგიურად და სინტაქსურად, მაგრამ რადგანაც მათ ერთსა და იმავე ფონეტიკურ პირობებში ერთი და იგივე ბგერითი სახე აქვთ, ამიტომ თანაბარ პირობებში ერთის ხმარება რომელიმე სახით მეორის ხმარებასაც გულისხმობს იმავე სახით. ამ გარემოების წყალობით ხ-არ ფორმის გვერდით მოსალოდნელი იყო და კიდევაც აღმოჩნდა ანალოგიური წარმოებანი მესამე პირის ობიე-

ქტური პრეფიქსის ხმარებით ხმოვნების წინ. ასე და ამგეადად, ყველა ეს ფორმა: ხარ, ხერთვის, ხეყავ, შეხეწიე და შეხუბოთ ერთიმეორეს მხარს უჭერენ და ამჟღავნებენ, რომ ერთსა და იმავე დიალექტურ წრეს, ანუ კილოს ეკუთვნიან“ (გვ. 279). ა. შანიძე თავის სხვა გამოკვლევაში იგონებს, რომ 1923 წლის იანვარში, როცა იგი მოსკოვში იმყოფებოდა და ჯერ კიდევ არაფერი იყოფა ივანე ჯავახიშვილის მიერ ხანმეტი ტექსტების აღმოჩენის შესახებ, მისთვის კორნელი კეკელიძეს უკითხავს: „რა იქნება, აკაკი, რომ სადმე ამოგორდეს ქვა შექექსე საუკუნის წარწერით ასე თხუთმეტიოდე სტრიქონი?“. აკაკის უპასუხია, სულ ხანებით იქნება საესკო. ა. შანიძე წერს, შე ამის საბუთს მცხეთა-ბოლნისის წარწერების ფორმები მაძლევდაო (ა. შანიძე, უძველესი ტექსტების აღმოჩენის გამო... გვ. 281).

ა. შანიძის ეს ვარაუდი ბრწყინვალედ დაადასტურა 1922 წლის დეკემბერში აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილმა ხანმეტმა ხელნაწერებმა, აგრეთვე შემდეგში მიკვლეულმა ხანმეტმა ეპიგრაფიკულმა მასალებმა და ხელნაწერებმა.

I. ხანმეტი ტექსტები

1. ხანმეტი ტექსტების აღმოჩენა

ივანე ჯავახიშვილი იკვლევდა ქართული ანბანის წარმოშობისა და განვითარების საკითხებს. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისათვის ცნობილი უძველესი წერილობითი წყაროების ოდენობა მეტად მცირე იყო (ბოლნისის ორი წარწერა, მცხეთის ჯვრის წარწერები). ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომლის თანახმადაც, ქართული ენის უძველეს ძეგლებში ბ, ყ, ყ ასოები თავმეკრული იყვნენ. წრე მათ VII საუკუნიდან ეხსნებათ. ამ კრიტერიუმით ცდილობდა მეცნიერი უთარილო ქართული წერილობითი ძეგლების დათარიღებას. სავსებით გასაგებია, რომ ქართული პალეოგრაფიის ძირითადი საკითხის გარკვევისათვის იმ დროს X საუკუნეზე ადრინდელ ყოველ ძეგლს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მაგრამ რომ ახლად გამორკვეული პალეოგრაფიული დაკვირვება უცილობელ დებულებად შექმნილიყო, ყველა ცნობილს თარიღიანსა, თუ ქრონოლოგიურად განსაზღვრულ წარწერებსა და ხელნაწერებს გადასინჯვა დაეუწყე. გამოირკვა, რომ თავმეკრული ბანი მართლაც მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული აქეთ უკვე აღარ გვხვდება. მაშასადამე, ცხადი ხდებოდა, რომ ბოლნისის სიონის წარწერა თავისი ზემოაღნიშნული პალეოგრაფიული თვისებით ყოველ ეჭვს გარეშე VII საუკუნეზე უწინარესი უნდა

ყოფილიყო. მე მაინც ვემიზობდი, შეეძლოა არ მომსვლოდა და ისეთ ძეგლებს ვეძებდი კიდევ გადასასინჯავად, რომელიც X საუკუნეზე აღრინდელი უნდა ყოფილიყო“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ 275).

სწორედ ამ დროს მოაგონდა ივანე ჯავახიშვილს ქართულ-ებრაული პალიმფსესტის¹ ფურცელი, რომლის ფოტოპირები 1897 წლის ზაფხულში ნიკო მარს გამოუგზავნა ინგლისიდან, ოქსფორდის ბოლღეიანის ბიბლიოთეკიდან ა. ნემბაუერმა. ბოლღეიანის ბიბლიოთეკას ეს პალიმფსესტი შეუძენია ეგვიპტეში ებრაულ ხელნაწერებთან ერთად. ხელნაწერში ებრაული ტექსტი წერილი ასოებით არის დაწერილი, ხოლო გარდიგარდმო მსხვილი ასოებით ასომთავრულად სწერია ქართული. სამწუხაროდ, ნ. მარმა ამ ხელნაწერს სათანადო ყურადღება არ მიაქცია და იგი გადასცა შესასწავლად სემი-ტოლოგს პავლე კოკოცოვს, რომელმაც თავდაპირველ ტექსტად ებრაული მიიჩნია, ხოლო ქართული – მერმინდელად. პ. კოკოცოვმა ებრაული XI ს-ით დაათარილა. ებრაული ტექსტი შეიცავდა თალმუდის იმ დროისათვის ცნობილ უძველეს ფრაგმენტებს. პ. კოკოცოვის გამოკვლევა „Еще один рукописный фрагмент Иерусалимского Талмуда“ 1899 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „Записки Восточного Отделения Русского археологического общества“ (XI, გვ.195-205). ჟურნალის იმავე ნომერში გამოქვეყნებულია პ. კოკოცოვის „Дополнение к статье „Еще один рукописный фрагмент Иерусалимского Талмуда“, სადაც მან შეეცალა თავისი თავდაპირველი მოსაზრება და უძველესად აღიარა ქართული ტექსტი, ხოლო ებრაული – მეორეულად.

აი რას წერდა ამის შესახებ პ. კოკოცოვი: „ В настоящее время мы пришли к окончательному убеждению, что не еврейский, а грузинский текст должен считаться первоначальным в нашем палимпсесте. Нас заставило изменить наш взгляд главным образом одно вовсе упущенное нами ранее из виду соображение. Дело в том, что положительно невероятно, чтобы

¹ პალიმფსესტი ბერძნული სიტყვაა (παλιμψηστον; πάλιψ „ველავ“, ψάσ „ვეში“). პალიმფსესტი ეწოდება ისეთ ხელნაწერს, რომლის თავდაპირველი ტექსტი წამლილია (გადარეცილია, ან ამოფხეილი) და ხელმეორედ გამოყენებულია საწერად. ეს ხდება მაშინ, როცა სხვა ენაზე დაწერილი, ან კიდევ ენობრივად და შინაარსობრივად მოძველებული ტექსტის შემკველი ხელნაწერი ჩაუვარდებოდათ ხელთ. საზოგადოდ კი, ამ მოვლენის ძირითადი მიზეზი საწერი მასალის – პაპირუსის, ეტრაგის – სიძვირე იყო (თითო ხელნაწერს რამდენიმე ათეული, მოგჯერ კი ასობით ხბოს, ან ცხერის ტყავი სჭირდებოდა).

ძველი ტექსტის სრულად აღზოცას, საბედნიეროდ, ყოველთვის ვერ ახერხებდნენ, რადგანაც მელანი ტყავში ძალიან ღრმად არის გამჯდარი.

არსებობს პალიმფსესტთა თავდაპირველი ტექსტის გამოვლენის რამდენიმე ხერხი: ქიმიური (იყენებდნენ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში), ულტრაიისფერი სხივებით დასხივების, ფოტოგრაფირებისა და სხვ.

небольшого формата рукопись была впоследствии использована вторично таким способом, что на разогнутых листах прежнего кодекса был написан сверху в поперечном направлении новый текст и получился кодекс вдвое большего размера. Мы считаем прямо такой прием со стороны позднейшего писца невероятным в виду неизбежно связанных с ним неудобств. Некоторые строки верхнего текста легко могли-бы очутиться в этом случае на местах прежних сгибов, которые в самом лучшем случае, должны были оставить после себя некоторый заметный след и повлиять на прочность письменного материала в данном месте. К этому чисто теоретическому соображению присоединяется в данном случае веский фактический аргумент. Состояние грузинских букв на местах сгиба ясно показывает, что замечаемые в палимпсесте сгибы были сделаны лишь после написания грузинского текста. Отсюда вытекает, что еврейский талмудический текст был написан позже грузинского, для чего листы грузинской рукописи были все согнуты пополам" (П. Коковцов, Дополнение к статье "Еще один рукописный фрагмент Иерусалимского Талмуда", гв. 413) პ. კოკოცოვი დაასკენის: „გрузინური ტექსტი, ბუნებრივად უნდა იყოს უფრო ადრეული ვიდრე ეს შეგნებულა, რადგან ტექსტის სივრცის მიხედვით არ იკითხებოდა და 1899 წ., როდესაც მე უკვე უკანასკნელ კურსზე ვიყავი, ასომთავრული დამწერლობითი ძეგლების წაკითხვას დაჩვეული არ ვიყავი. ეხლაც კარგად მაგონდება, რამდენად ძნელი იყო ჩემთვის მაშინ ამ პალიმფსესტის გარჩევა. თითო-ორიოდა ასოს გარდა, როგორც მახსოვს, რამდენიმე წინადადების, ან სიტყვის ერთად ამოკითხვა გადაუღებავი დაბრკოლება აღმოჩნდა“ (ივე).

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ეს თხზულება თვით პ. კოკოცოვისაგან, რომელთანაც მე უნივერსიტეტში ასურულს ვსწავლობდი, ცალკე ამონაბეჭდად მივიღე. თუმცა ჩემს უნივერსიტეტში სწავლის დროს ქართული ენის კათედრის წარმომადგენელი პროფესორი იყო, მაგრამ ლექციები თითქმის სრულებით არ იკითხებოდა და 1899 წ., როდესაც მე უკვე უკანასკნელ კურსზე ვიყავი, ასომთავრული დამწერლობითი ძეგლების წაკითხვას დაჩვეული არ ვიყავი. ეხლაც კარგად მაგონდება, რამდენად ძნელი იყო ჩემთვის მაშინ ამ პალიმფსესტის გარჩევა. თითო-ორიოდა ასოს გარდა, როგორც მახსოვს, რამდენიმე წინადადების, ან სიტყვის ერთად ამოკითხვა გადაუღებავი დაბრკოლება აღმოჩნდა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 276). ივ. ჯავახიშვილის ყურადღება ამ ხელნაწერმა იმიტომ მიიპყრო, რომ „ნაწყვეტების დამწერლობის დიდი გარეგნული სახე გულსა და მახსოვრებაში“ კქონდა ჩარჩენილი (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 275, 277).

ივ. ჯავახიშვილმა ამოკითხა პ. კოკოცოვის მიერ გამოქვეყნებული ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ქართული ტექსტი. აი როგორ აღწერს მეცნიერი თავის მუშაობას: „წარსული 1922 წლის დეკემბრის დამლევს პროფ. პ. კოკოცოვის წერილს მივაგენი. საკმარისი იყო მინ ამ ორი ფოტოტიპური ფურცლის გასინჯვას შევდგომოდი, რომ პირველივე დაკვირვებიდან ამ ძეგლის უაღრესი მნიშვნელობა ცხადი გამხდარიყო: „ჟ“ და „ჰ“ თავშეკრული იყო ყველგან. ქართული პალეოგრაფიის შესწავლის დროს კი უკვე გამოკრეველი მქონდა წარწერებისა და ხელნაწერების მიხედვით, რომ ამ-

გვარი მოხაზულობის „ყ“ და „უ“ მხოლოდ VII-VIII სს. იხმარებოდა. ამის გამო ცხადი შეიქმნა ჩემთვის, რომ ოქსფორდის ეგრაგის ნაწყვეტები VII-VIII საუკუნისა მაინც უნდა ყოფილიყვნენ. ამ ჩემთვის სრულებით მოულოდნელი გარემოების გამორკვევის შემდგომ ძვირფასი პალიმფსესტის კითხვას გულდასმით შეუდევრი და ეხლა უკვე განსაკუთრებით ბანს ეძებდი. პირველსავე ფურცელზე, მარჯვნივ სვეტის მე-9 და 10-ე სტრიქონებში ორჯერვე „ბ“ სრულებით გარკვევით თავშეკრული იყო, ენაც გასაოცარი სიძველის მომასწავებელი გამოდგა. ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან მუშაობა აღარ შემძლო.

ცხადი გახდა ჩემთვის, რომ თვალწინ ქართული დამწერლობისა და ენის უძველესი ძეგლი მედგა. აქამომდე IX საუკუნეზე უწინარესი არც ერთი ქართული ხელნაწერი არ იყო ცნობილი და ეხლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტები გამოჩნდა! მღელვარებისაგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დაერწმუნებულიყავ, რომ თვალი არ მატყუებდა და შეუდომა და მოჩვენება არ იყო ის, რასაც ვკითხულობდი.

სრული სიფრთხილით წარმოებულმა პალიმფსესტის გულდასმით წაშლილი ქართული ტექსტის ამოკითხვამ და დაწერილის ენის საგულისხმო, თუმც განმაცვიფრებელმა, მაგრამ შორეულ წარსულში მოსალოდნელმა თვისებებმა დამარწმუნეს, რომ პირველი დაკვირვება მცდარი არ იყო და ამ ნაწყვეტების როგორც დამწერლობის პალეოგრაფიული, ისევე თვით ნაწარმოების ენის ნიშნები მათ სიძველეს ცხად-ყოფენ სრული უეჭველობით. რამდენჯერაც კი არ გადავიკითხავდი ამ ორი ეგრაგის ნაჭრის ფოტოტიპიას, ეს რწმენა უფრო და უფრო მიძლიერდებოდა. ჩემი სიხარული გაორკეცებული იყო, როდესაც გამოვარკვიე, რომ ამ ნაწყვეტებში შენახული გვექონდა დაბადების ტექსტი, სახელდობრ, იერემიას XVII,26 - XVIII,8 (ივ. ჯაფახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 277-278). ამრიგად, ივ. ჯაფახიშვილმა აღმოაჩინა უძველესი ქართული ხელნაწერის ფურცელი, რომელიც შეიცავდა იერემიას წინასწარმეტყველების¹ ნაწყვეტებს.

¹ იერემიას წინასწარმეტყველება ბიბლიის (ბერძ. τὰ βιβλία „წიგნები“) ერთ-ერთი წიგნია. ბიბლია შედგება ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის წიგნებისაგან. ძველი აღთქმის წიგნები ძირითადად ძველ ებრაულ ენაზე (ნაწილობრივ არამეულზე) დაიწერა.

ძველი აღთქმის წიგნებია: შესაქმე, გამოსლვათა, ლევიგელთა, რიყხუთა, მეორე სჯულისა, ისუ ნავესი, მსაჯულთა, რუთის, მეფეთა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე წიგნები, ესაიასი, იერემიასი, ეშეკიელისი, ოსიასი, იოელისა, ამოსისი, აბდიასი, იონასი, მიქეასი, ნაუმიისი, სოფონიასი, ანგეასი, გაქარიასი, მალაქიასი, ფსალმუნნი, სოლომონის იგავნი, იობის წიგნი, ქება ქებათა, იერემიას გოდება, ეკლესიასტე, ესთერის წიგნი, დანიელის წიგნი, I, II, III ეზრას წიგნი, ნეემიას წიგნი.

2. საპართიველოში დაცული ხანმები შრაბმენტები

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „უკვე უეჭველი იყო, რომ ბოდლეიანის წიგნთ-საცავში ქართული დამწერლობისა და ენის ჯერჯერობით მაინც უძველესად მისაჩნვეი ძეგლის ორი ნაწყვეტი ინახებოდა. კერძოდ, პეტერბურგში წინათაც მოსულა ამბავი, რომ ინგლისში, იქნებ იმავე ოქსფორდშივე, ქართული პალიმფსესტების ნაწყვეტები უნდა ყოფილიყო, რადგან მათ შორისაც შესაძლებელია ზოგიერთი ამავე დროისა და მნიშვნელობის გამომდგარიყო, ამიტომ უკვე გადაწყვეტილი მქონდა ოქსფორდის წიგნთსაცავისთვის მიმელოცა, რომ ის უძველესი ქართული ხელნაწერის ორი ნაწყვეტის მფლობელი იყო, და თანაც მეთხოვა ამავე ხასიათის ქართული ასომთავრულით ნაწერი პალიმფსესტების ფოტოგრაფიული სურათები გამოეგზავნათ. მაგრამ შემდეგ გადაწყვიტე, რომ ჯერ აქ, საქართველოს დედაქალაქში, დაცული პალიმფსესტები გადამესმინჯა და გამომეკვია, თუ აქ რაღა დროის ძეგლები იყო შემონახული“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 278).

ივ. ჯავახიშვილი შეუდგა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის, უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმისა და ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ფონდებში დაცული პალიმფსესტების შესწავლას. იგი ამ მუშაობას ასე აღწერდა: „ჩვენი უნივერსიტეტის მუზეუმში რომ ბ. მოსე ჯანაშვილმა გადმო-მიღაგა პალიმფსესტები, პირველი ორი ხელნაწერი ნუსხა-ხუცურით აღ-მოჩნდა და ჩემთვის ამჟამად საყურადღებო არ იყო. მაგრამ საკმარისი იყო მესამე ხელნაწერი გადამეშალა, რომ მშვენიერ ასომთავრულად ნაწერ გადარჩენილ ტექსტში ოქსფორდის პალიმფსესტივით საყურადღებო ძეგლის მოლოდინი აღმპეროდა. მისი სწრაფი გადაფურცელის დროს იმავე უკვე კარგად გამორკვეულს პალეოგრაფიულსა და ლინგვისტურს თვისებებს ვეძებდი: თავმეკრულ ბანსა, ყარსა და უიეს და მეორე პირის სუბიექტურსა და მესამე პირის ობიექტურს თავსართებს. ხელნაწერის გადასინჯვის დროს ყველა ეს ნიშნები უძველესს, შემდეგ გადარეცხილს ტექსტში, აღმოჩნდა და ამგვარად ცხადი შეიქმნა, რომ ეს ხელნაწერიც ქართული დამწერლობისა და მწერლობის უძველეს ძეგლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. მეოთხე და მეხუთე ხელნაწერი-პალიმფსესტებიც იმგვარივე თვისებისანი აღმოჩნდნენ და დაახლოებით იმავე დროისა უნდა ყოფილიყვნენ, როდესაც ოქსფორდის პალიმფსესტი უნდა იყოს დაწერილი. ამ გზით ცხადი შეიქმნა, რომ ჩვენ ამ

ნემტა I და II. ძველი აღთქმის წიგნები შეიქმნა ძე. წელთაღრიცხვის XII-II საუ-კუნეებში.

ახალი აღთქმის წიგნებია: ოთხთავი (სახარება, ევანგელე. მის ავტორებად ითვლებიან მათე, მარკომი, ლუკა, იოანე), საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპის-ტოლეები, პაულეს ეპისტოლეები და იოანეს გამოცხადება. მათეს სახარება დაწერ-ილია არამეულად, ხოლო ახალი აღთქმის სხვა წიგნები ბერძნულად დაიწერა.

მხრივ ოქსფორდზე გაცილებით უფრო ბედნიერი და მდიდრები ვართ და უკვე 2000 გვერდამდე უძველესი ქართული ძეგლების პალიმფსესტები გვაქვს. ქართული პალიმფსესტების ამგვარი მნიშვნელობის გამორკვევის შემდგომ საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის კატალოგში პალიმფსესტებად მოხსენიებული ხელნაწერების გასინჯვაც აუცილებელი გახდა. ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოების წიგნთსაყდრის კატალოგი მოკლე ცნობებს შეიცავს და იქ თვით ყველა ეტრატის ხელნაწერების დათვალიერება იყო საჭირო, რისთვისაც განსაკუთრებული მუშაობა უნდა მოწყობილიყო. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების 30-მდე გადასინჯულ ხელნაწერ-პალიმფსესტთა შორის თუმცა ბევრი საყურადღებო აღმოჩნდა, ზოგი ენის მხრით და ზოგი კიდევ პალეოგრაფიულად, მაგრამ ისეთი, რა დროისა და თვისებებისასაც ეძებდი, არ ჩანდა. უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ამ საზოგადოების ძეგლთა შორის ძებნა უნაყოფო უნდა ყოფილიყო, რომ მუზეუმის გამგის თანამემწემ ირ. სონლულაშვილმა შემატყობინა სასიხარულო ამბავი ჩემთვის საყურადღებო ხელნაწერ-პალიმფსესტის აღმოჩენის შესახებ. ამ ხელნაწერის გადასინჯვამ მისი ცნობის სრული სიმართლე დაადასტურა. ამგვარად, ჩემ ხელში უკვე ოთხი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ხელნაწერი იყო. ამ უხვმა და მშვენიერმა სამკალმა ახლად აღმოჩენილი პალიმფსესტების უფრო ზედმიწევნითი დათარიღება და ყოველმხრივი შესწავლა აუცილებელი გახდა“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 278-279).

ივ. ჯავახიშვილმა ამოიკითხა თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის №737 (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის A-737), №89 (ხელნაწერთა ინსტიტუტის A-89), №844 (შემდგომში გაირკვა, რომ №89 და №844 ხელნაწერები თავდაპირველად ერთი და იმავე ხელნაწერის ნაწილები ყოფილა და ეს ხელნაწერი მერმე დაუშლიათ, ამის შესახებ იხ. Л.Р. Каджая, Ханметные палимпсесты), საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის №999 (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის H-999) ხელნაწერების ფრაგმენტები. A-737 ხელნაწერი კუთვნიება თედო ქორდანიას, რომელსაც იგი შეუწირავს თბილისის საეკლესიო მუზეუმისათვის. თ. ქორდანიას ხელნაწერის ძველი ტექსტი VI-VII საუკუნეებისად მიაჩნდა (Описание рукописей Тбилисского Церковного музея, II, გვ. 198-199), ოღონდ არ მიუთითებია, რა ნიშნების საფუძველზე ათარიღებდა ასე ძველს. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ „თ. ქორდანიას უფრო ადლოთი და პრაქტიკული გამოცდილებით გრძნობდა, რომ ძველ ნაწერთანა მქონდა საქმე, ვიდრე რაიმე გარკვეული კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა თავისი მსჯელობის დროს ხელნაწერის თარიღის შესახებ. ტექსტიც იმდენად ალბათ ვერსად ამოუკითხავს, რომ მისი შინაარსის გაგება და მნიშვნელობის და-

ფასება შესძლებოდა, თორემ ვინც მას წაიკითხავდა და წაიკითხავს, იგი ამ ხელნაწერს თავს ველარ დაანებებს“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 292).

ხელნაწერი, როგორც ჩანს, სხვადასხვა ხელნაწერების შეერთების გზით შეუდგენიათ. ძველი ტექსტი ხშირად ისეა გადაფხეკილი, რომ აღარაფერი ჩანს. „ზოგან იმის გარჩევა მაინც ხერხდება, რომ ტექსტი მრგლოვანი ასომთავრულით ყოფილა ნაწერი. ამგვარ ფურცლებზე ყველგან ერთნაირი დამწერლობა არ ეტყობა, არამედ სულ ცოტა სამი სხვადასხვანაირი დამწერლობის ძეგლებთანა გვაქვს საქმე. სხვებზე უფრო მნიშვნელოვანია გვერდები 235-246, 260-266 და 323-338, სადაც ტექსტი მშვენიერი მსხვილი მრგლოვანი ასომთავრულით არის ნაწერი ფართოდ და განკვეთილობის ნიშნებითურთ“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 292). პალიმფსესტად ქცევისას ძველი ხელნაწერისათვის კიდეები ჩამოუჭრიათ. „შემოაღნიშნულ ფურცლებზე შენახული ძველი ტექსტი ზოგან ჩვეულებრივ აღუჭურველი თვალითაც იკითხება, ხოლო ბევრგან გამაღიდებელი შუშის დახმარებით ხერხდება გადარეცხილი ნაწერის აღდგენა-ამოკითხვა და აპოკრიფული საქმენი მოიქეულთანი გამოდგა“ (ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 293).

A-89 ხელნაწერის ძველ ტექსტს თ. ჟორდანი VI-VII საუკუნეებით ათარილებდა (Описание рукописей Тбилисского Церковного музея, I გვ. 90-91), თუმცა არ მიუთითებდა რა ნიშნის გამო. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „თუ რატომ მიაჩნდა თ. ჟორდანიას თავდაპირველი ნაწერი VI-VII სს. ნაწერად და რა იკითხებოდა ალაგ-ალაგ, ამაზე მას არც ამ შემთხვევაში აქვს რაიმე ნათქვამი, ალბათ იმიტომ, რომ არც რაიმე დამაჯერებელი საბუთი მოეპოვებოდა და ტექსტის ამოკითხვაც იმდენად ვერ შეძლო, რომ მისი შინაარსი გაეგო და დაეფასებინა. ბატონ მ. ჯანაშვილს იგივე ხელნაწერი VII-VIII საუკუნისად აქვს მიჩნეული. ეს ხელნაწერი დიდი ტანის წიგნია. მშვენიერი თეთრი მოყვითალო საუცხოოდ დამუშავებული ეტრავტი გადარეცხვა-გადაფხეკასაც ისე ვერ დაუზიანებია, რომ მისი პირვანდელი მომხიბლავი თვისებების გათვალისწინება შეუძლებელი იყოს“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 293). სამწუხაროდ, ძველი ტექსტი ძლიერ დაზიანებულია. შეიყავდა ოთხთავს. „ტექსტი ფართოდ არის ნაწერი მშვენიერი მხატვრული ხელოვნებით აღსავსე დამწერლობით. ამ ხელნაწერის დიადი გარეგანი ღირსება ყოველგვარი მერმინდელი ფხეკა-რეცხვის შემდგომაც ეხლაც კარგადა ჩანს. სამწუხაროდ, თავდაპირველი ტექსტი ისე გულმოდგინედ არის წაშლილი, რომ უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მისი ნაალაგვე-ლა მოჩანს და თითო-ოროლა გვერდებიდაა მარტო, გადარეცხილი ძველი ნაწერის წაკითხვა რომ შეიძლებოდეს“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 293-294).

გემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ A-89 და A-844 ერთი და იმავე ხელნაწერის ნაწილები აღმოჩნდნენ. იგი ძლიერაა გადარეცხილი, რაც მეტისმეტად

აძნელებს ძველი ტექსტის ამოკითხვას. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა: „სამწუხაროდ, იმგვარადვე როგორც № 89, ამ ხელნაწერშიც პალიმფსესტად შემზადების დროს თავდაპირველი ნაწერი ისე გადაურეცხიათ და გადაუფხეკიათ, რომ თუ ერთ გვერდზე ქიმიური დამუშავების შემდგომ ტექსტის წაკითხვა შესაძლებელი ხდება, მეორე გვერდზე ნაწერის მთლიანად აღდგენას ვერც ეს ძლიერი საშუალება შეეღობა“ (ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 295). ივ. ჯავახიშვილმა ამ ნაწილში ოთხთაეის ნაწყვეტები ამოკითხა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერში ლამარა ქაჯაიამ შეძლო ესაიას წინასწარმეტყველების ხანმეტი ფრაგმენტების ამოკითხვა. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიის ქართული ვერსიის ისტორიის გასათვალისწინებლად. მანვე შეასწორა მთელი რიგი უზუსტობებისა, რაც ხანმეტი ტექსტების პირველ მკვლევარს მოუვიდა.

H-999 ხელნაწერი 162 ფურცელს შეიცავს. იგი ძლიერაა დაზიანებული. „თავიდან ბოლომდის მთელი ხელნაწერი სხვადასხვა დროის დამწერლობის ძეგლთაგან შედგენილი პალიმფსესტია: ზოგი ფურცლების თავდაპირველი ტექსტი ასომთავრულით არის ნაწერი, ზოგისა ნუსხა-ხუცურიით. მარტო ასომთავრული პალიმფსესტებიც რომ ავიღოთ, აქაც სხვადასხვა დამწერლობასა და სხვადასხვა დროის ნაწყვეტებთან გვაქვს საქმე. ამათგან ფურცლების ორი ჯგუფი მესამე ჯგუფის ნაწერებისაგან თავისი შედარებით უფრო მოზრდილი ტანის ასოებით განირჩევა. ეს ორი ჯგუფიც ურთიერთ შორის ასოთა ტანითა, მოყვანილობითა და, რამდენადაც ესლა შეგყობა შეიძლება, მელნითაც განსხვავდება. ერთი სულ ათიოდე გვერდის შემკველი ჯგუფი უფრო მსხვილი და მრგვალი ასომთავრულით არის ნაწერი და დაბადების ქართული თარგმანის ძნელად წასაკითხს ნაწყვეტებს შეიცავს. მეორე უფრო მრავალრიცხოვანი ფურცლების ჯგუფი პირველი ჯგუფისაგან თავისი ოდნავ მომცრო და ვიწროდ ჩამონაკეთილი ასოებით ხასიათდება, რომელთა გარეგანი სახე №737-ის ნაწერისას მიაგავს. მისი მელანიც გადარეცხის შემდგომ ყვითელი ფერისად მოჩანს. პირვანდელი, რამდენადაც შენახული ნაწყვეტებიდან ირკვევა, სულ ცოტა 12 სტრიქონიანი ტექსტი, აქ ბევრგან შედარებით კარგად და ადვილად იკითხება და სახარების ნაწყვეტებს შეიცავს“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 295).

ივ. ჯავახიშვილმა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები VI-VII საუკუნეებით დაათარიღა პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნების მიხედვით.

უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების აღმოჩენის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. თვით ივ. ჯავახიშვილი ასე განსამღვრავს მის მიერ აღმოჩენილი ტექსტების მნიშვნელობას: „ეითარცა საქრისტიანო მწერლობის უძველეს ძეგლებს მათ მნიშვნელობა აქვთ, რასაკვირველია, საერთოდ მეცნიერებისათვის – სახარებისა, დაბადებისა და

აპოკრიფულ ნაწარმოებთა გექსტის ისტორიისა და კრიტიკისათვის, მაგრამ მეტადრე ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისთვისაა ძვირფასი ეს ძეგლები, მისთვის უნდა შეიქმნეს ქვაკუთხედად. როგორც ქართული დამწერლობისა და მწერლობის ძეგლები, ეს ხელნაწერები არაერთი ქართული ენათმეცნიერებისა, მწერლობისა და კულტურის ისტორიის პირველხარისხოვანი სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებასაც გვაძლევენ“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 297-298). აკაკი შანიძე წერდა: „უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენა ფართო პორიზონტებს გვიშლის თვალწინ მრავალმხრივ. თუ ჯერჯერობით არ ხერხდება მათი ქრონოლოგიურად განსაზღვრა სრული ზედმიწევნით, ის მაინც ცხადია, რომ აქ, ყოველ შემთხვევაში, არაბობამდენიდელ ლიტერატურასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, არაბთა შემოსევის წინა ხანებში (ე.ი. მეშვიდე საუკუნის ნახევრამდე) არსებული ქართული მწერლობა არ დაღუპულა ისე კატასტროფულად, როგორც ეს აქამომდე გვეგონა, ვინაიდან, ჩვენდა ბედად, ზოგი რამ ამ ეპოქისა დაღუპვისაგან გადაურჩენია პალიმფსესტებს. ეს ფაქტი უაღრესი მნიშვნელობისაა როგორც ქართული ლიტერატურის და ენის ისტორიის, ისე პალეოგრაფიისათვისაც. ამიერიდან ქართული ისტორიული დიალექტოლოგია მკვიდრ საფუძველს პოულობს და შესაძლებელი ხდება მრავალი ბუნდოვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის გამორკვევა (ა. შანიძე, უძველესი ტექსტების აღმოჩენის გამო, გვ. 281-282). გიორგი ახვლედიანი მიუთითებდა: „ივ. ჯავახიშვილის ხანმეტყიანი პალიმფსესტური ტექსტების შესანიშნავმა აღმოჩენამ (1923 წ.) ახალი ეპოქა შექმნა ძველი ქართული ენისა და ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის კვლევის საქმეში (გ. ახვლედიანი, თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში, გვ. 166).

3. გიორგი მთაწმიდლისეული "ხანმეტი"

ტირმინის ინტარპრეტაცია

ივ. ჯავახიშვილის აღმოჩენამ შეაძლებინა აკ. შანიძეს, აუხსნა ტერმინი ხანმეტი. 1923 წლის 1 აპრილს მან საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება: „გიორგი მთაწმიდლის ერთი საყურადღებო მოწმობა“. ტერმინი ხანმეტი გვხვდება გიორგი მთაწმიდლის ნარედაქციევი ოთხთავის ანდერძში: „ესე საყნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაა ოთხთავი ახლად გუთარგმნია¹ ფრიაღითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა და ბერძულთა სახარებათასა შეგვწამებია ფრიაღითა გამოწულილეთა. და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა კჳოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-

¹ ასეა ზოგ ხელნაწერში. სხვა ხელნაწერებში იკითხება: არა თუ ახლად გუთარგმნია, არამედ...

გინდეს დაწერა. და თუ არა რამე გაშენდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად, ხანმეგნიცა და საბაწ-მიღურნიცა, მუნით დაწერეთ და ღმრთისათჳს ერთმანერთსა ნუ გაპრევთ და გლახაკისა გეორგისათჳს, რომელმან-ესე ვთარგმნე, ლოცვა-ყავით.“

მკვლევრები ფიქრობდნენ, რომ საბაწმიდური ოთხთავი არის ის რედაქცია, რომელიც შეიმუშავეს პალესტინაში, საბაწმინდის ლავრაში. ამრთა სხვადასხვაობას იწვევდა გერმინი ხანმეტი. ზოგს ხანმეტი კომენტარად (თარგმანებად) მიაჩნდა (მ. ბროსე), ზოგს – დანართად (დ. ბაქრაძე), ზოგს – სრულ სახარებად (ა. ცაგარელი), ზოგს – გეოგრაფიულ სახელად (თ. ჟორდანიანი), ან ფრიალ ძველად (თ. ჟორდანიანი), ზოგს – ხანძთად (მ. ჯანაშვილი), ზოგს – უფრო ძველად, ვიდრე საბაწმიდური (კ. კეკელიძე), ზოგს – მუხლმეტად (ნ. მარი)...

ა. მანიძემ ნათელყო, რომ ხანმეტი ოთხთავი, გიორგი მთაწმიდლის ანდერძის მიხედვით, ოთხთავის ისეთი ტექსტის აღმნიშვნელად იხმარება, სადაც მეორე სუბიექტური, მესამე ობიექტური პირების პრეფიქსად, აგრეთვე ი- პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებსა და მედსართავ სახელთა, მზნიმედათა უფროობითი ხარისხის ფორმებში ხ- გვხვდებოდა. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ხ- აღარ გამოითქმებოდა, ამ ტიპის ტექსტების აღმნიშვნელად შექმნეს ზუსტი და მარჯვე გერმინი ხანმეტი. აკაკი მანიძე წერდა: „თავისი დროის სალიტერატურო ძეგლებზე სკოლაგავლილ გიორგი მთაწმიდელს არ შეიძლებოდა თვალში არ სცემოდა ძველი ტექსტების ხანები და ყურში უცნაურად და მეტად უჩვეულოდ არ მოჰსმოდა გამოთქმა ხანიანი ფორმებისა, სადაც ხანი მისთვის, რა თქმა უნდა, მედმეტი იყო. მედმეტი იყო იგი არა მხოლოდ გიორგისა და მისი დროის ლიტერატორთათვის, არამედ უფრო ადრეც, მეათისა და მეცხრე საუკუნის მწერალთათვის, რომელთაც ალბათ საშინლად ეჩოთირებოდა ხანიანი ფორმები. მართლაც, როგორც გვიჩვენებს ენა სინა-რაითის მამათა მოსრვისა, რომელიც გამოცემულია ჯერჯერობით უძველესად ცნობილის ქართული თარიღიანი ხელნაწერის მიხედვით (სახელდობრ, სინას მთაზე დაუკლის 864 წლის მრავალთავიდან), უკვე მეცხრე საუკუნეში იყო უკუგდებული ხანის ხმარება პრეფიქსებად. და უკეთუ ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში იყო უკუგდებული ხანიანი ფორმები სალიტერატურო ენაში სახმარებლად, მით უფრო დასაწუნი და უარსაყოფი უნდა ყოფილიყო იგი მეთერთმეტე საუკუნეში, გიორგი მთაწმიდლის მოღვაწეობის დროს. რაკი უძველესი ტექსტების ხან თავსართები მედმეტი იყო მათე-მეთერთმეტე საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, რომელზედაც აღმრდელი იყო გიორგი მთაწმიდელი, ამიტომ გასაგებია, რომ ამ გამოჩენილ მწერალს მათთვის სახელად ხანმეტი ეწოდებინა“ (ა. მანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო..., გვ. 293).

ქართულ მეცნიერებაში ამ ტიპის ძეგლების აღმნიშვნელად გერმინი ხანმეტი დამკვიდრდა.

გიორგი მთაწმიდლის ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ XI საუკუნეში არსებულა ხანმეტნი ოთხთავები. ამ ხელნაწერთა დიდი ნაწილი ალბათ დაიკარგა, ნაწილი კი მოგვიანებით, XII-XIV საუკუნეებში, გამოიყენეს ხელახლა დასაწერად (იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 304). ივანე ჯავახიშვილმა აკაკი შანიძისეულ ახსნას „მშვენიერი“ უწოდა. იგი წერდა: „ამგვარი ახსნა, უეჭველია, სრული ჭეშმარიტება უნდა იყოს და ამის გამო შემდეგში საღმრთო წერილის ქართული თარგმანის ახლად აღმოჩენილ უძველეს რედაქციას ხანმეტს ეწოდებთ ხოლმე“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 300).

ივ. ჯავახიშვილმა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტები გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ II ტომში (1922-1923, გვ. 313-391).

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ხანმეტი უძველესი ძეგლების აღმოჩენა ახალ ამოცანებს სვამს ქართველოლოგიის წინაშე. იგი წინასწარმეტყველებდა: „გმა, სადაც უნდა ვეძიოთ უძველესი ქართული მწერლობისა და დამწერლობის ძეგლები, უკვე გამორკვეულია: პალიმფსესტები და დედამიწის სიღრმეებში ჩამარხული წარწერები ბევრს ახალსა და საინტერესოს გვიქადაინ. თუ ესლაც, როდესაც ჩვენ ხელნაწერთა სისტემატურ აღწერილობას მხოლოდ ვიწყებთ და არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ჩვენში იშვიათად თუ შეუწუხებია დროთა განმავლობაში მიწაში ჩაფლული ნაშთები, ასეთი უხვი სამკალი გვაქვს, მე დარწმუნებული ვარ, მომავალი კვლევა-ძიება ქართულ მეცნიერებას ბრწყინვალე აღმოჩენათა შესაძლებლობას უქადის“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 316).

ივ. ჯავახიშვილის ეს სიტყვები გამართლდა. უმნიშვნელოვანეს ეპიგრაფიკულ მასალას, რომელიც შემდგომში აღმოჩნდა, უკვე შევეხეთ ამ წიგნის წინა თავში. ამჯერად ვისაუბრებთ ხელნაწერებზე, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის ამ ნაშრომის შემდეგ გამოვლინდა.

ივ. ჯავახიშვილის საქმე უდიდესი გატაცებითა და სიყვარულით გააგრძელა აკაკი შანიძემ – დიდი ივანეს მოწაფემ და მეგობარმა. აქვე უნდა ითქვას, რომ ა. შანიძემ ქართული მზნის პირის ნიშნების კვლევასთან დაკავშირებით გამოთქვა მოსაზრება, რომ მეორე სუბიექტური პირის უძველესი ნიშანი ხ- შემონახულია ზოგ მზნურ ფორმაში (ხ-არ, მო-ხ-უელ, მო-ხ-უალ) შემდგომში მან ყურადღება გაამახვილა მესამე ობიექტური პირის ხ-ნიშნის შემთქველ რამდენიმე ფორმაზე (ხ-ერთ-ვ-ი-ს-ი, ხ-ე-ყავ, შე-ხ-ე-წი-ე, შე-ხ-უ-ა-ბ-თ). იგი მიუთითებდა: „მეორე განხილულს ოთხს მზნის ფორმაში (ხ-ერთვის, ხ-ყავ, ხ-ე-წი-ე და ხ-ე-უ-ა-ბ-თ) ქართულს შემოუნახავს, მამასადამე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ. ეს

ნამუთები სრულს ანალოგიას წარმოადგენს არს ზმნის მეორე პირის ფორმასთან შედარებით (ხარ), სადაც აგრეთვე შენახული გვაქვს ნამთი მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნის წინ. ეს ორი პრეფიქსი – სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირისა – თუმც სხვადასხვა კატეგორიას ეკუთვნიან მორფოლოგიურად და სინტაქსურად, მაგრამ რადგანაც მათ ერთსა და იმავე ფონეტიკურ პირობებში ერთი და იგივე ბგერითი სახე აქვთ, ამიტომ თანაბარ ფონეტიკურ პირობებში ერთის ხმარება რომელიმე სახით მეორის ხმარებასაც გულისხმობს იმავე სახით. ამ გარემოების წყალობით ხ-არ ფორმის გვერდით მოსალოდნელი იყო და კიდევაც აღმოჩნდა ანალოგიური წარმოებანი მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ“ (ა. შანიძე, ნამუთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ, გვ. 281). ა. შანიძის ეს ნაშრომი „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ იმავე ნომერში დაიბეჭდა, რომელშიაც ივანე ჯავახიშვილის „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები...“ ა. შანიძე წერდა: „რას წარმოვიდგენდი, თუ ამ სასიხარულო ამბავს (იგულისხმება ოქსფორდის ხელნაწერის ხანმეტი ტექსტის ამოკითხვა, – ავტ.) მოჰყვებოდა რევიზია ქართული პალიმფსესტებისა ჩვენს წიგნთსაცავებში და აღმოჩენა იმავე პროფ. ჯავახიშვილის მიერ უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლებისა. როგორ ეიფიქრებდი, თუ შემორე დასახელებულს ჩემს გამოკვლევაში მოყვანილს რამდენიმე გასაკვირალ ფორმას ასე მალე გამოუჩნდებოდა აუარებელი პარალელები, მხოლოდ არა მიწიდან ამოღებული ქვის წარწერებში, არამედ გადარეცხილ-გადაფხეკილი ეტრატის ფურცლებზე, ხოლო თვით გამოკვლევა ისე მალე დაძველდებოდა ამ ახალი აღმოჩენის გამო, რომ სტამბაში უდროოდ დაბეჭდულს ორიოდ სიჭაბუკის დღეც კი არ ეღირსებოდა ცოტა ადრე გამოქვეყნებით „ (ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო..., გვ. 281). ივანე ჯავახიშვილის აღმოჩენამ ბრწყინვალედ დაადასტურა ა. შანიძის პიპოთეზა. ფილოლოგიაში ამგვარი რამ მეტისმეტად იშვიათად ხდება.

4. ხანმეტი მრავალთავი

1927 წელს აკაკი შანიძემ გამოაქვეყნა ხანმეტი მრავალთავის¹ ტექსტი („ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, VII). ხანმეტი მრავალთავი შემონახ-

¹ მრავალთავი არის სპეციფიკური შედგენილობის კრებული, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ პომილეტიკურ (პომილია ქა და გე ბ ა ს ნიშნავს) მასალას შეიცავდა. მოგვიანებით მრავალთავში შეიტანეს აგიოგრაფიული მასალა („მუშანიკის წამება“, „აბოს წამება“ და მოგი სხვა ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოები ჩვენამდე სწორედ ამგვარ კრებულებშია მოღწეული). ქართულ მრავალთავებს მრავალი მეცნიერი იკვლევდა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 1975 წელს გამო-

ულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის № 3902 ხელნაწერში (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის S-3902 ხელნაწერი). ეს პალიმფსესტი ორი სხვადასხვა მასალისაგან შედგება, რომელთაგან მხოლოდ ერთი ნაწილი შეიცავს ხანმეტ გექსტს“ (ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 98). ხელნაწერი 1904 წელს წაუღია ა. ხახანაშვილს მოსკოვში. მისი გარდაცვალების (1912 წ.) შემდგომ ხელნაწერი მეცნიერის ბიბლიოთეკასთან ერთად გადაეცა აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტს. ხელნაწერი ძლიერ დაზიანებულია, შემონახულია მხოლოდ რვა რვეული (64 ფურცელი). როგორც ჩანს, ძეგლი სვანეთში იყო დაცული. ამას მოწმობს ის, რომ „ერთს ახალ მინაწერში, რომელიც წარსული საუკუნის ორმოცდაათიან წლებზე ადრინდელი არ უნდა იყოს და რომელიც ფანქრით არის შესრულებული, ქრისტეს ნაცვლად ქრისტდე იკითხება, რაიცა სვანური ფორმაა“ (ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 99).

ხანმეტი მრავალთავი მოთავსებულია ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეულ სამ რვეულში (ბ, დ, ე). აკლია პირველი და მესამე რვეულები. ხელნაწერის მეორე ნაწილში მოთავსებულია იერუსალიმის ტიპიკონი და გადაწერილია X საუკუნის I ნახევარში (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 100). ახალი ტექსტი მე-14 საუკუნით თარიღდება.

მრავალთავში მოთავსებულია იოანე ოქროპირის, ივლიანე ეპისკოპოსის, ეესუქი ხუცესის თხზულებათა ფრაგმენტები. ამის გარდა, მრავალთავში არის სხვა თხზულებების ოთხი ნაწყვეტი, რომელთა ავტორთა ვინაობის დადგენა მოხერხდა მოგვიანებით, სინური მრავალთავის ტექსტის გამოსაყვამად მომზადებასთან დაკავშირებით. კერძოდ, გაირკვა, რომ ორი ნაწყვეტის ავტორია სევერიანე გაბალონელი, ხოლო ერთისა – ანთიპატროს ბოსტრელი (ა. შანიძე, ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავის შესახებ, გვ. 299-300).

ა. შანიძემ ნათელყო, რომ მრავალთავის შემდეგდროინდელ ხელნაწერებში დაცულია ტექსტები, რომლებიც ხანმეტთან მიმართებით მხოლოდ ვარიანტულ სხვაობას გვიჩვენებს. ა. შანიძემ დაასკვნა: „მერმინდელ მრავალთავებში დაცული ტექსტის განხილვა და ხანმეტთან შედარება გვარწმუნებს, რომ ისინი ყველანი ხანმეტი (A) ტექსტიდან მომდინარეობენ „ (ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 107).

ა. შანიძის გამოცემამ დიდად წასწია წინ ქართული მწერლობის ისტორიის კვლევის საქმე, რადგანაც „ხანმეტ ძეგლთაგან აქამომდე მხოლოდ ბიბლიის ნაწყვეტები იყო ცნობილი და აგრეთვე ერთი აპოკრიფული ნაწყვეტი, რომლებიც გამოქვეყნებულია პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ

ქვეყნული მიმულ ვან ესბროკის მონოგრაფია: "Les plus anciens homèliarses géorgiens: Etude descriptive et historique".

(იგულისხმება: „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“, ტუმ, ტ. II, 1922-1923 წწ.). ესაა კი მოგვეპოვება სხვა ხასიათის ძეგლიც, სახელდობრ მრავალთავი, რაიცა მომასწავებელია იმისა, რომ ხანმეტი ლიტერატურა თავის დროზე საკმაოდ მრავალფეროვანი და თანაყ დიდი მოცულობისა უნდა ყოფილიყო. მართლაცდა თვით ფაქტი ხანმეტი მრავალთავის არსებობისა თავისთავად გულისხმობს მრავალ პომილეტიკურ და აგიოგრაფიულ თხზულებათა არსებობას იმ დროს. ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ საქრესტომათიო მასალა უნდა არსებულებოდა მრავალთავის გარეშეც, მისგან დამოუკიდებელიც. ეს კი ბევრ რასმე გვეუბნება, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ მეცხრე საუკუნემდე არსებული ლიტერატურის ზოგიერთი დარგი (ბიბლიოლოგია, აპოკრიფები, პომილეტიკა, აგიოგრაფია და სხვ.) უკვე საკმაოდ განვითარებული ყოფილა ქართულ ენაზე“ (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 107-108).

ა. შანიძემ ხანმეტი მრავალთავი ორი პირის გადაწერილად ჩათვალა. მეორე ხელით გადაწერილი ჩანს ხანმეტი მრავალთავის ერთი ფურცელი.

პირველი მწერლის გადაწერილ ტექსტში 1 თავშეკრულია, სხვა ასოები თავგახსნილი, მეორე მწერალი 2-ს თავშეკრულს წერს, სხვა ასოებს კი — თავგახსნილს (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 108-109). პალეოგრაფიული ნიშნებით ა. შანიძემ ძეგლი VIII საუკუნის I ნახევრით დაათარილა (იქვე), რასაც კარგად ეგუება ენობრივი ნიშნები, კერძოდ, ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია ხ- პრეფიქსის ხმარების ნორმები. „ობიექტურ პრეფიქსს ვერ ეპოულობთ მაშინ, როცა სუბიექტად პირველი პირია, დანარჩენ შემთხვევებში იგი თავის ადგილასაა“ (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 114). ხანმეტობის რღვევის ამსახველია ისიც, რომ ხუცეს უფროობითი ხარისხის ფორმისაგან (თავდაპირველი მნიშვნელობა: „უფროსი“) ნაწარმოებია უხუცესი.

5. ხანმეტი ლექსიონარი

1926 წელს აკაკი შანიძისათვის ცნობილი გახდა, რომ გამოჩენილი მეცნიერის, ქართული ენის შესანიშნავი მკვლევრის, გრაიცის უნივერსიტეტის პროფესორის პუგო მუხართის¹ მფლობელობაში იყო რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი. 1926 წლის აგვისტოში მან ა. შანიძეს გამოუგზავნა სომხურ-ქართული პალიმფსესტის ერთი გვერდის ფოტო, ხოლო 1926 წლის 16 ოქტომბერს მოსწერა წერილი, რომლითაც შეატყობინა, რომ ეს გვერდი გადაღებულია იმ ხელნაწერიდან, რომელიც ჯერ კიდევ 1883 წელს იყო სინას

¹ პუგო მუხართი დაიბადა 1842 წლის 4 თებერვალს ვოთაში (გერმანია). იყო პალეს (გერმანია) და გრაიცის (ავსტრია) უნივერსიტეტების პროფესორი, რომანული ენებისა და ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალისტი. დაინტერესდა ქართული ენით და გამოაქვეყნა ნაშრომები ქართული ენის გრამატიკული წყობის შესახებ. პუგო მუხართი გარდაიცვალა 1927 წლის 24 აპრილს.

მთაზე, წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში. პ. მუხარტოს ეს ხელნაწერი 1897 წელს უყიდა ვენელი მხატვრის ლეოპოლდ მილიხისაგან¹ ოთხ სხვა სინური ხელნაწერთან ერთად (ეს ხელნაწერი 1883 წელს აღწერა ალ. ცაგარელმა). თავდაპირველად ეს ხუთი ხელნაწერი მხატვარს ვენის სასახლის ბიბლიოთეკის დირექტორისათვის – ცაისბერგისათვის – შეუძღვებია, მაგრამ მას ამ ხელნაწერთა „საუკვო წარმოშობილობის გამო“ მათ შეტანაზე უარი უთქვამს. ბოლოს ისინი პ. მუხარტოს შეუძენია და XX საუკუნის ოციან წლებში გრაციის უნივერსიტეტისათვის უანდერძნია თავის ბიბლიოთეკასთან ერთად.

გრაცში დაცული ხელნაწერით ა. შანიძე კიდევ უფრო დაინტერესდა მას შემდეგ, რაც მან მიიღო მუხარტოს ხელნაწერი ნაშრომი „Mitteilungen aus georgischen Handschriften“, რომელიც შეეხებოდა სინური წარმოშობის ქართულ ხელნაწერებს. ა. შანიძემ იგი დაბეჭდა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში“ (VIII, 1928 გვ. 347-376). „ამ ნაშრომში, სხვათა შორის, ერთ ნაწყვეტში (დაბეჭდილის მიხედვით გვ. 366-369) საუბარი იყო რომელიღაც ქართულ ხელნაწერზე, რომლის ბიბლიური ნაწილიც მუხარტოს ნაბეჭდი ტექსტის შესაფერის ადგილებთან შედარებინა და ვარიანტები აღენიშნა. შედარებისას მოყვანილი იყო ძველი ხელნაწერიდან ისეთი ფორმები (სულ ხუთი: „ხეჰჰ“, „ხეშინოდა“, „ხრქჰა“, „მოხუკდეს“, „ხუწყი“), რომლებიც უეჭველს აყოფდნენ, რომ მკვლევარს ხელთ უნდა ჰქონოდა რაღაც ხანმეტი ხელნაწერი“ (ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, გვ. 310). ა. შანიძემ ივარაუდა, რომ მუხარტოს უნდა ჰქონოდა ხანმეტი ლექციონარი². მალე თბილისში მოვიდა ცნობა პუგო მუხარტოს გარდაცვალების შესახებ.

ა. შანიძე წერს: „საკითხი წამოიჭრა საინტერესო ხელნაწერის ფოტოგრაფიული სურათების გამოსაწერად, რადგანაც ამ ხანებში სამღვარგარეთ ეპირებოდა პროფ. ჩუბინაშვილი, რომელსაც ვენაში საქმე ჰქონდა, ამიგომ ესთხოვე მას, ბარემ გრაციშიც შეველო, ქართული ხელნაწერები გაეისიხა და ხანმეტი ლექციონარის ფოტოგრაფიები დაეკეთა. რაკი ჩუბინაშვილს წასვლა დაუგვიანდა, წერილით ესთხოვე მუხარტოს მოამბაგესა და ნების აღმსრულებელს Franz Meirhuber-ს გამოეგზავნა ფოტოგრაფიული სურათები შემდეგი გვერდებისა: 1, 2, 17, 19, 45“ (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 311). ხელნაწერი ხანმეტი აღმოჩნდა. ა. შანიძემ გაარკვია, რომ ეს ხელნაწერი 1883 წელს აღუწერია ა. ცაგარელს, ოღონდ მას მოსვლია შეეღობა: ლექციონარი ჩაუთვლია იოანეს სახარებად.

¹ ამის შესახებ იხ. ვ. იმნაიშვილი, ავსტრიაში მოხვედრილ ძველ ქართულ ხელნაწერთა ბედი (გვ. 13).

² ლექციონარი არის საკითხავი კრებული, რომელშიც შედის ლიტურგიკული მასალა, აგრეთვე ნაწყვეტები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან.

გიორგი ჩუბინაშვილი 1928 წლის დასაწყისში ჩავიდა გრაჟში, შეუკვეთა ლექციონარის ფოტოები, აგრეთვე სხვა ხელნაწერთა ნიმუშები. მანვე შეადგინა ხანმეტი ლექციონარის აღწერილობა. 1928 წლის მარტში ა. შანიძემ მიიღო გრაჟიდან გ. ჩუბინაშვილის მიერ შეკვეთილი ფოტოპირები. მას გამოუგზავნეს აგრეთვე შუხართის ორი რვეული, „რომლებშიც მოიპოვება შუხართის შენიშვნები საზოგადოდ მისი ნაქონები ქართული ხელნაწერების შესახებაც“ (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 312).

გრაჟის უნივერსიტეტში ამჟამად შეიღო ხელნაწერი ინახება, მათგან ხუთი ნაანდერძეგია ჰუგო შუხართის მიერ. ყველა ძეგლი სინის მთიდან წამოუღიათ XIX საუკუნის ბოლოს. მათ შორის, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია ხანმეტი ლექციონარი.

1883 წელს, როცა ხელნაწერი ალექსანდრე ცაგარელმა აღწერა, იგი 29 ფურცელს შეიცავდა (ა. ცაგარლის აღწერილობაში შეცდომით არის მითითებული ხელნაწერის ფურცელთა ოდენობა – 28). ა. ცაგარელმა ხელნაწერს მეცხრე ნომერი მიაკუთვნა. ხელნაწერის ბოლო, ოცდამეცხრე ფურცელზე, მოთავებული იყო იოვანე-გოსიმეს ანდერძი. იგი ა. ცაგარელმა შემოკლებულად დაიმოწმა თავის აღწერილობაში: „შეიმოსა ... წმიდაჲ ესე წიგნი სინაწმიდას კელითა იოვანე ფრიად ცოდვილისაჲთა, ბრძანებითა და მოლუაწებითა მიქაელ პატიოსანისა მღვდლისა კათამონეღისა, ღლეთა ოდენ უგუნურად და ბოროტად მოხუცებულისა ჩუენისათა, სალოცველად ჩუენდა, დასაბამითგან წელთა ქართულად ხფჲმ და ქრონიკონი იყო ქართულად ს.გ. ქრისტე, შეიწყალე მიქაელ, იოვანე-გოსიმე და ყოველნი ძმანი მისნი“. ამ ანდერძის მიხედვით, იოვანე-გოსიმეს ლექციონარი შეუმოსავს 983 წელს (6587-5604=983 წ.; 780+203=983 წ.).

ჰუგო შუხართის კოლექციაში აღმოჩნდა 27 ფურცელი. აქლდა პირველი და ბოლო ფურცლები. ორივე ფურცელი მოგვიანებით იპოვეს. 1971 წელს ფრანგმა ქართველოლოგმა ბერნარ უტიემ ეურნალში „Le Muséon“ გამოაქვეყნა ნაშრომი „Un feuillet du Lectionnaire géorgien hanmeti a Paris“,¹ რომელშიც მიუთითა, რომ მან აღმოაჩინა ხანმეტი ლექციონარის პირველი ფურცელი. იგი ამჟამად ინახება პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში. ცნობილია, რომ ეს ფურცელი კოლექციას შეემატა 1933 წლის შემდეგ, მაგრამ კონკრეტულად როდის, ვისგან, ან საიდან, ამის შესახებ არაფერი ვიცით.

უფრო ადრე, 1960 წელს, „Le Muséon“-ში დაიბეჭდა ბელგიელი აკადემიკოსის, ცნობილი ქართველოლოგის ჟერარ გარიტის ნაშრომი „Les

¹ ნაშრომი ქართულად გამოქვეყნდა „მაცნის“ (ენისა და ლიტერატურის სერია) 1973 წლის პირველ ნომერში (გვ. 173-175).

feuilles géorgiens de la collection Mingana a Selly Oak“¹. ევრარ გართმა მიუთითა, რომ მას ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლანგმა შეაგყობინა, რომ ბირმინგემში, Selly Oak College-ის ბიბლიოთეკაში, ინახება ძველი ქართული ხელნაწერების რვა ფურცელი. ისინი შეუძენია ალფონს მინგანას, მაგრამ არ არის ცნობილი, როდის და სად. ევრარ გართი თელის, რომ ეს ფურცლები სინური წარმომავლობისაა. ისინი 1883 წელს სინის მთაზე ინახებოდნენ, ხოლო 1902 წელს – არა.

უთუოდ საყურადღებოა, რომ 1932 წელს, ამ ბიბლიოთეკაში გრიგოლ ფერაძის მუშაობის დროს, ეს ფურცლები არ ყოფილა. პირველი ცნობა ამ ფრაგმენტების Selly Oak-ში არსებობის შესახებ გამოაქვეყნა M. Pearson-მა 1954 წელს (Oriental Manuscript Collections in the Libraries of Great Britain and Ireland, London, 1954, გვ. 43). მათ შორის აღმოჩნდა ლექციონარის ბოლო, 29-ე ფურცელი, რომელზედაც მოთავსებულია იოვანე-მოსიმეს ანდერძი ხელნაწერისათვის ყდის გაკეთების შესახებ.

ეს ანდერძი ევრარ გართმა მთლიანად გამოაქვეყნა:

„კრიელებისონ. სახელითა ღმრთის[აჲათა] შეიმოსა მესამედ ესე წიგნი სინაწმიდ[ას] კელითა იოვანე ფრიად ცოდე[ილისაჲათა], ბრძანებითა და მოღუაწებითა მიქაელ პატროსნის მღვდელისა კალამონელისაჲათა დღეთა ოდენ უგუნურად და ბოროტად მოხუცებულებისა ჩუენისათა სალოცველად ჩუენდა დასაბამითგანთა წელთა ქართულად ხჳჳჳჳ-სა და ქრონიკონი იყო ქართულად სჳ აჳ გვედრებით თქუენ, ყოველთა ღმრთისმოყუარეთა მამათა და ძმათა ჩუენთა, გვედით წმიდასა ლოცვასა თქუენსა ჩუენ, ცოდვილნი ესე, და [მშ]ობელნი და ძმანი ჩუენნი [და ყოველნი]ვე ჩუენეულნი ცოც[ხალნი] და გარდაცვალებულნი, [სულ]იერნი და კორციელნი. [რამეთუ ჩუენ] ფრიად გურწამს თქუენი ლოცვაჲ, და ყოველი დაკლებულეჲა ჩუენი შეგუნდვეთ ღმრთისათუს, და თქუენცა ქრისტემან შეგინდვენ და შეგიწყალებინ ყოველნი, ამენ.

ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და იოვანე-მოსიმე და ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტიანენი. ლოცვა-ყავთ ჩუენტუს, წმიდანო [ღმრთისანო, ლოცვა-ყავთ]“.

ამრიგად, აღმოჩენილია ხანმეტი ლექციონარის ყველა, ოცდაცხრა ფურცელი, რომლებიც 1883 წელს სინის მთაზე, წმიდა ეკატერინეს მონასტერში, ნახა ალ. ცაგარელმა. 27 ფურცელი გრაცში ინახება, თითო – პარიზსა და ბირმინგემში. რა თქმა უნდა, ჩვენამდე მოღწეული ეს ფრაგმენტები თავდაპირველი ხელნაწერის მეტად მცირე ნაწილია (ერთი მეათედი, ან ნაკლები). ძნელია იმის თქმა, როდის დაიკარგა ხელნაწერის დანარჩენი

¹ დაიბეჭდა ქართულად ეურნალში „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1973, № 3, (გვ. 170-182).

ფურცლები. იმედი მაინც ვიქონიოთ, რომ ოდესმე კიდე შეიძლება აღმოჩნდეს ამ უძვირფასესი ძეგლის ფრაგმენტები.

ხანმეტი ლექციონარი პირველად გამოსცა ა. შანიძემ 1929 წელს (ტუმ, IX, გვ. 329-342). 1944 წელს ა. შანიძემ ვრცელი გამოკვლევითა და სიმფონიალექსიკონითურთ მეორედ გამოსცა ხანმეტი ლექციონარი. ამ გამოცემას ერთვის ფოტოპირები.

კუგო მუხარათს განსაკუთრებული გულისყურით შეუსწავლია ხანმეტი ლექციონარი. მას თავის შენიშვნებში აღუნუსხავს ხ-ს ხმარების შემთხვევები, აგრეთვე ის ფორმები, სადაც ხ- არ იხმარება. მან მიუთითა, რომ ხ- მოგჯერ მთლიანად ან ნაწილობრივ ამოფხეკილია. მუხარათის დიდი დაინტერესება გამოუწვევია ხანმეტ ლექციონარში გამოვლენილ კ პრეფიქსიან ფორმებს (პიგყებდნენ, შეპიძრნენ, პიხილოთ). როგორც ჩანს, გრაყელი მეცნიერი სავსებით იყო დარწმუნებული, რომ ხ- პირის ნიშანს წარმოადგენდა. 1929 წელს ა. შანიძე წერდა: „იმას ვერ ვიგყვით, რომ მუხარათი სავსებით გარკვეული იყოს ხანის (resp. ქაეს) პრეფიქსად ხმარების საკითხში (ყოველ შემთხვევაში ეს არ ჩანს მისი რეეულებიდან), მაგრამ რომ იგი თითქმის სავსებით მისულა საკითხის გამორკვევამდე, ამაში ეჭვი არ არის. სამწუხაროა, რომ ეს ძეგლი არ იქნა გამოცემული თავის ღრობე. სამწუხაროა იმიტომ, რომ, მართლაც, ამ ოცდაათიოდე წლის წინათ რომ იგი გამოეცა ისეთ ნიჭიერსა, დაკვირვებულსა და საფუძელიან მკვლევარს, როგორც იყო მუხარათი, ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმე დღეს, უთუოდ, ბევრად წინ იქნებოდა წაწეული. ახლა კი ისღა დაგვრჩენია, აღვნიშნოთ, რომ ხანმეტი ძეგლების შესწავლის წამოწყება პირველად მაინც მუხარათის სახელთან იქნება დაკავშირებული“ (ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, გვ. 314-315).

ხანმეტი ლექციონარის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები აღდგომის საკითხავენს შეიცავს. მასში შეტანილია მასალა მხოლოდ ახალი აღთქმის წიგნებიდან. ეს გარემოება აფიქრებინებს ა. შანიძეს, რომ „ჩვენი ძეგლი ლექციონარის აღრინდელ რედაქციას უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც სიმარტივე ახასიათებს“ (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 322; იხ. აგრეთვე ე. მეტრეველი, იერუსალიმური ლექციონარი და უძველესი იადგარი, გვ. 670).

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, სად დაიწერა ხანმეტი ლექციონარი. ა. შანიძე ამ ხელნაწერს VII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 322). ა. შანიძემ მიუთითა, რომ ხანმეტ ლექციონარში შეიღ შემთხვევაში კ- პრეფიქსიანი ფორმაც გვხვდება (ხანმეტი და ქაემეტი ფორმების შეფარდება: 165:7).

6. ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები

1913 წელს ოლივერ უორდროპმა შეადგინა ბრიტანეთის მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი (იხ. A Catalogue of the Armenian Manuscripts in the British Museum by F.C. Conybeare, to which is appended a Catalogue of the Georgian Manuscripts in the British Museum by J. O. Wardropp, London, 1913). მან მიუთითა, რომ ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერის ფრაგმენტი წააგავს კემბრიჯის უნივერსიტეტის T-S 12183-ს¹ და აღნიშნა, რომ ეს ფრაგმენტები ბიბლიის ერთსა და იმავე ხელნაწერს უნდა ეკუთვნოდეს. ისინი მომდინარეობენ კაიროს გენიზიდან² (O.Wardropp, დასახ. ნაშრ., გვ. 406). ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისშივე არსებობდა ცნობა იმის შესახებ, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტში ინახებოდა ქართული ბიბლიის ფრაგმენტები. შემდგომში კემბრიჯისა და ოქსფორდის ფურცლები ერთმანეთს შეუდარა ამერიკელმა ქართველოლოგმა რობერტ ბლეიკმა, რომელმაც ნათელ-ყო, რომ ეს ფურცლები თავდაპირველად ერთსა და იმავე ხელნაწერს მიეკუთვნებოდნენ. ოქსფორდის ფურცელი, რომელიც იერუსალიმში შეიძინეს, წარმოშობით კაიროდან არის (R.P. Blake, Khanmeti Palimpsest Fragments, გვ. 289).

ა. შანიძეს 1929 წლის თებერვალში კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა ე. ჯ. მინსმა (E.H. Minns) გამოუგზავნა კემბრიჯის უნივერსიტეტში დაცული ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ორი ფურცელი (T-S. 12183 და T-S 12741).

უკველად დადგინდა, რომ კემბრიჯის ფურცლები შეიცავენ იერემიას წინასწარმეტყველების ხანმეტ ფრაგმენტებს (12, 40-17; 20,9-16). ისინი ეკუთვნოდნენ ხანმეტ ბიბლიას, რომლის ფრაგმენტებიღაა შემონახული ოქსფორდსა და კემბრიჯში. გაირკვა ისიც, რომ ებრაული ტექსტი შეიცავს იერუსალიმური თალმუდის ფრაგმენტებს (ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, გვ. 31-33). ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ფურცლები მეუბნიათ კაიროს გენიზაში მე-19 საუკუნის მიწურულს ტეილორსა და შეხტერს. ა. შანიძე ამ პალიმფსესტის შესახებ წერდა: „პირდაპირ საკვირველია მისი ბედი: ქართული წიგნი, დაწერილი დაახლოებით მეექვსე საუკუნისა და მეშვიდის საზღვარზე და ხმარებული, როგორც ჩანს, აღმოსავლეთში, ალბათ იერუსალიმში, მეთერთმეტე საუკუნეში დაუხვეიათ და საწერ მასალად გამოუყენებიათ ებრაელებს თალმუდისათვის“ (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35). ამ ხელნაწერის ერთი მცირე ფრაგმენტი შესაძლოა იყოს დაცული ბრიტანეთის მუზეუმში (Or-6581). ამ ფრაგმენტზე მხოლოდ

¹ T-S. ინგლისელი ებრაისტების Taylor-ისა და Schechter-ის გვარების ინიციალებია. ამ მეცნიერთა კოლექცია დაცულია კემბრიჯსა და ოქსფორდში.

² გენიზა ებრაული ტერმინია. იგი აღნიშნავს ძველ (უპირატესად – ბიბლიურ) ხელნაწერთა საწყობს.

ორიოდე სიტყვა და რამდენიმე ასოლა იკითხება. ამიგომ გადაჭრით რაიმეს თქმა ჭირს.

ხანმეტი იერემის წინასწარმეტყველების კემბრიჯული ფრაგმენტები გამოაქვეყნა ა. შანიძემ 1937 წელს (ენიშის მოამბე, II, 1, გვ. 36-39).

ტექსტი დაზიანებულია. შეიყავს სამ პაემეტ ფორმას (დაჰიდვა, განჰირყუნა, ჰასწაელეს). ხანმეტი და პაემეტი ფორმების სიხშირული შეფარდებაა 6:3.

ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის მიერ აღმოჩენილ და გამოქვეყნებულ ხანმეტ ძეგლებს ქართული კულტურისა და მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ, 1937 წლიდან ოცზე მეტი წლის განმავლობაში ასალი ხანმეტი ტექსტები არ გამოცემულა.

7. იაკობის პროტოქვანბელის ხანმეტი ფრაგმენტები

1970 წელს ინგლისელმა მეცნიერმა, პროფ. ჯონ ბერდზოლმა გამოსცა მანამდე უცნობი ხანმეტი ტექსტი – იაკობის პროტოქვანბელეს (პორეელსახარების) ფრაგმენტები. ეს ძეგლი ჯ. ბერდზოლმა იპოვა აესტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის №2 ხელნაწერში. იგი შეიყავს სხვადასხვა დროს გადაწერილ ხანმეტ და მოგვიანო ხანის ძეგლებს (ამ ხელნაწერის დაწერილებითი აღწერილობა გამოაქვეყნა ჯ. ბერდზოლმა 1968 წელს ჟურნალში „Oriens Christianus 53, გვ. 108-112), უფრო ადრე კი, 1940 წელს ძეგლი აღწერა გრ. ფერაძემ (Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, 47).

ხანმეტი ნაწყვეტები მოთავსებულია ხელნაწერის 10 ფურცელზე. ტექსტი დაზიანებულია. ზოგან სტრიქონთა დასაწყისები დაზიანებულია ფურცლების ჩამოჭრის გამო. როგორც ა. შანიძე მიუთითებს: ჯ. ბერდზოლის „სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას საკმაოდ დაზიანებული ტექსტი ჩინებულად გამოუცია“ (ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, გვ. 8).

ჯონ ბერდზოლმა ტექსტი VII საუკუნით დაათარილა. ძეგლს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ქართული ენის, არამედ ქართული ლიტერატურის ისტორიისათვისაც. იგი უძველესია იმ ქართულ ხელნაწერთა შორის, რომლებიც იაკობის პროტოქვანბელეს შეიყავენ. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ 1967 წელს ტექსტი მეორედ გამოსცა ა. შანიძემ (მან გაასწორა ზოგი შეცდომა, რაც პირველ გამოცემელს მოსვლია).

ხელნაწერში გვხვდება ზოგი საინტერესო ენობრივი მოვლენა: უღ გრაფემათა ჯგუფი გვაქვს იქ, სადაც უ იყო მოსალოდნელი: აღხუწერო 17,1. ვ-ს ენაცვლება უ: ხიშუეს 11,3; წარიყუანა 15,2; წარგიყუანო 17,3 და სხვ. მერყეობაა საკუთარი სახელის იოსებ დაწერილობაში: იოსებ 13,3; 16,1; 17,2; იოსებ 13,2; 16,3; იოსებ 9,1; 9,2; 9,3.

საკუთარი სახელი სახელობითში ბრუნვის ნიშანს დაირთავს: ექამა (13,1), მარიამი (33,1-2).

ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია პარალელურ ფორმებს: შეაგინა (13,1) და შე[ხ]აგინა (19,2) (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11). როგორც ჩანს, აქ ასახულია ხანმეტობის რღვევის პროცესი.

მეორე სერიის ფორმაში შესამე პირის პირდაპირი ობიექტის ნიშანი წარმოდგენილია (ტიც[ნ]ა კელნი პირსა თუსსა, 13,1) ამ ტიპის მაგალითები სხვა ხანმეტ ძეგლებშიც გვხვდება.

ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ერთგან დასტურდება ასპექტის ახალი სისტემით წარმოების ნიმუში: არცაღა მე განგკითხავ თქუენ (16,3), შდრ.: არცა მე განგკითხუნ თქუენ A (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11). შემდეგი მგნა გვხვდება ვარიანტის სახით: შენდა ხუედრებულა ქალწული ესე (2,9-10). ანალოგიური ფორმა თავს იჩენს ხანმეტ ლექციონანშიც: იგია (<იგი არს). ერთგან გვაქვს გა მნისწინი: გაქიდა ძიებად ყრმისა აღმქუმელისა (39,5-6).

8. ხანმეტი ოთხთავისა ლა I ეზრას შრაბმენტები

ჯონ ბერდლომა აესტრიის ეროვნული ბიბლიოთეკის (ვენა) №2 ხელნაწერში მიაგნო ოთხთავის შრაბმენტებს. მათეს და მარკომის სახარების ნაწყვეტები მოთავსებულია 27-ე, 28-ე, 29-ე, 33-ე, 34-ე, 37-ე, 38-ე, 41-ე და 44-ე ფურცლებზე, ლუკას სახარების ნაწყვეტები კი მე-8, 32-ე, 39-ე, მე-40, 41-ე, 42-ე, 43-ე, 45-ე, 46-ე ფურცლებზე. ჯ. ბერდლოლის აზრით, მათესა და მარკომის სახარება დაწერილია ერთი გადამწერის, ხოლო ლუკას სახარება სხვა გადამწერის მიერ (J. Neville Birdsall, *Khanmeti Fragments of Synoptic Gospels from Ms. Vind, Georg. 2*, გვ. 62).

ჯ. ბერდლოლის მიერ ამოკითხული მასალა შეიცავს შემდეგ ნაწყვეტებს: მათე 26,38-47; მარკოზ 9,44-10,32; ლუკა 2,15-16; 2,19-23; 2,51-3,6; 4,13-21; 32-39; 8,23-30.

როგორც ჩანს, ტექსტი გადაწერილია VII საუკუნეში. ზოგ შემთხვევაში S₂-ისა და O₃-ის ნიშანი არაა წარმოდგენილი (ამ მხრივ ანალოგიური ვითარებაა ხანმეტი მრავალთავის ტექსტში): შეერთოს (მრკ. 10,12), აქუნდა (მრკ. 10,29), აქუს (მრკ. 10,23), აღესრულა (ლკ. 4,21).

უ ენაცვლება ვ-ს: ხიყუნენ (მრკ.10,31), წარმოიყუანნა (მრკ. 10,32), საზღუართა (მრკ. 10,1). რამდენჯერმე გვაქვს შული (მრკ. 10,24; 10,29; ლკ. 7,35 და სხვ.)

ხანმეტი სახარების ტექსტს, ჩანს, ლიტურგიკულ პრაქტიკაში მოგვიანებითაც იყენებდნენ. ამას მოწმობს ის, რომ ხ- პრეფიქსი საკმაოდ ხშირად მთლიანად, ან ნაწილობრივ ამოუფხეკიათ (I.N. Birdsall, დასახ. ნაშრ., გვ. 63).

ჯ. ბერდლომა ამავე ხელნაწერში მიაგნო ბიბლიური წიგნის ეზრა პირველის ხანმეტ შრაბმენტებს (1,40-48; 2,4-7; 9,14-23; 9,25-35). ეს ნაწყვეტები

მოთავესებულია ხელნაწერის 57-ე, 58-ე, 82-ე და 87-ე ფურცლებზე (I.N. Bird-soll, A Chanmeti Georgian Version of I Esdras, გვ. 97).

ტექსტი უაღრესად საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით. მეორე სერიის ფორმებთან წარმოდგენილია ხ- პრეფიქსი მესამე პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნად: გამოხარჩიეს (9,14), ხ-იყვანს(ნეს) ცოლნი (9,16).

ასევე საინტერესოა ბიბლიურ საკუთარ სახელთა გადმოცემა.

* * *

უცნობი ხანმეტი ტექსტების გამოვლენაზე, როგორც ჩანს, ინტესიურად მუშაობდა ილია აბულაძე. სამწუხაროდ, მეცნიერმა ვერ მოასწრო ამოკითხული ტექსტების გამოცემა. ილ. აბულაძის არქივში დაცულია რამდენიმე უაღრესად საინტერესო ხანმეტი ფრაგმენტი ისეთი ძეგლებიდან, როგორცაა: „საქმე მოციქულთა“ (ილ. აბულაძის არქივი, №293ა), „მიმოდასლევამ მოციქულთა“ (№256ა), ოთხთავი (№244ა), „ქრისტიანას მარტვილობა“ (№287ა). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ილ. აბულაძემ მიაგნო აგიოგრაფიული თხზულების („ქრისტიანას მარტვილობა“) ხანმეტ ვერსიას.

ილ. აბულაძის არქივში ინახება დ. ერასტოვის მიერ გადაღებული A-737 (მთლიანად), A-89 და H-999 პალიმფსესტურ ხელნაწერთა ფოტოპირები. აშკარაა, რომ ილ. აბულაძე ამ ძეგლთა საგულდაგულო შესწავლას ისახავდა მიზნად.

9. ლ. ქაჯაიას გამოსეპული „ხანმეტი ტექსტები“

ლამარა ქაჯაია დიდი ხანია მუშაობს ხანმეტი ტექსტების შესწავლაზე. 1984 წელს გამოვიდა მისი წიგნი „ხანმეტი ტექსტები, I“. მასში შევიდა ფრაგმენტები ხანმეტი ოთხთავის ტექსტიდან, კერძოდ, A-89 და A-844 ხელნაწერებიდან (ლ. ქაჯაიამ დაადგინა, რომ A-89 და A-844 ხელნაწერები თავდაპირველად ერთ წიგნს შეადგენდნენ). ლ. ქაჯაიამ შეასწორა ზოგი უზუსტობა, რაც ამ ხანმეტ ხელნაწერთა აღრინდელი მკვლევრების ნაშრომებში გვხვდება, ამოიკითხა მანამდე უცნობი ფრაგმენტები.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის დასკვნა, რომელიც ლ. ქაჯაიამ ხანმეტი ოთხთავის ტექსტთან დაკავშირებით გააკეთა: „ქართულში ხანმეტი ტექსტის ორი სხვადასხვა თარგმანი ერთმანეთის პარალელურად აღრეული პერიოდიდანვე (V-VI სს.) არსებულა“ (ხანმეტი ტექსტები, I, გვ 327).

საყურადღებოა, რომ ხანმეტი ოთხთავის ტექსტში გვხვდება ხ- პრეფიქსის კლების შემთხვევები: გამლუცხადოს (მ. 11,27) მიეგუარე (მ.17,16), დაუშთეს (მრკ. 12,19), დაუშთა (მრკ. 12,21; 12,22), დაიმარილოს (მრკ. ?50), კურდაცა (მრკ. 15,5), ხედვიდეს (მრკ. 12,21; ი. 2,23) (იხ. ლ. ქაჯაია, დასახ.

ნაშრ., გვ. 334). რა თქმა უნდა, ასეთი ფორმები ხანმეტობის მოშლის მაჩვენებელია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერში ერთგან სრულიად მოულოდნელი დასთვის (მრკ. 4,26) ფორმა გვხვდება (ლ. ქაჯაია, დასახ. ნაშრ., გვ. 334). დასთვის – ამკარად მოწმობს, რომ ხანმეტობა უკვე გადაეარდნილია ცოცხალ მეტყველებაში. საზოგადოდ, ეს მშნური ფორმა სრულიად ცვლის ჩვენს წარმოდგენებს ხანმეტობის, როგორც ენობრივი მოვლენის, ქრონოლოგიის შესახებ.

ლ. ქაჯაიამ გამოავლინა არაერთი სრულიად უცნობი ხანმეტი ძეგლი: ესაიას წინასწარმეტყველება, კუპრიანეს წამება და სხვ. ფრიალ საინტერესოა, რომ აღმოჩნდა ხანმეტი აგიოგრაფიული კრებულის უდავოდ არსებობის დამადასტურებელი მასალები (იხ. ლ. ქაჯაია, ხანმეტი პაგიოგრაფიული კრებული, გვ. 41-49). მნიშვნელოვანი აღმოჩენაა ხანმეტი ლექციონარის ახალი ხელნაწერის გამოვლენა. ლ. ქაჯაიას ამოკითხულ ხანმეტ ფრაგმენტებში შესულია ძველი აღთქმის საკითხაეები (როგორც ცნობილია, ხანმეტი და პაემეტი ლექციონარების მანამდე გამოვლენილი ფრაგმენტები მხოლოდ ახალი აღთქმის საკითხაეებს შეიცავდნენ). ამ ტექსტების გამოცემა ფრიალ სამური საქმეა.

ამრიგად, დღეისათვის გამოცემულია შემდეგი ხანმეტი ტექსტები:

1. ბოლნისის სამი წარწერა, V საუკუნის დასასრულისა.
2. უკანგორის ორი წარწერა, VI საუკუნის დასაწყისისა.
3. მცხეთის წარწერა (დემეტრე უპატოსის, VI საუკუნის ბოლოსი).
4. იერემიას წინასწარმეტყველების ოქსფორდული და კემბრიჯული ნაწყევტები, VI-VII საუკუნეთა მიჯნისა.
5. ესაიას წინასწარმეტყველების ფრაგმენტები, VI-VII სს.
6. ივანე ჯავახიშვილის მიერ ამოკითხული ახალი აღთქმის ფრაგმენტები, VI-VII სს.
7. ხანმეტი ლექციონარი, VII საუკუნის მეორე ნახევრისა.
8. იაკობის პროტოევანგელე, VII საუკუნისა.
9. ჯ. ბერდლოლის მიერ ამოკითხული ებრას I წიგნის ფრაგმენტები, VII საუკუნისა.
10. ხანმეტი ოთხთავი, VI-VII სს.

მოსალოდნელია, რომ უახლოეს ხანში ხანმეტი ძეგლების კორპუსი კიდევ უფრო შეივსოს. კერძოდ, საფიქრებელია, რომ მალე გამოიცემა ხანმეტი აგიოგრაფიული ძეგლები. A-737 ხელნაწერში ილია აბულაძემ აღმოაჩინა და თითქმის მთლიანად ამოიკითხა „ქრისტიანას წამების“ ხანმეტი ტექსტი. ეს სამუშაო შემდეგ გააგრძელა ლ. ქაჯაიამ. აღმოჩნდა, რომ „წამების“ ტექსტი ნაკლებია. ვენის № 2 ხელნაწერში ჯ. ბერდლოლმაც აღმოაჩინა „ქრისტიანას წამების“ ხანმეტი ტექსტი. ლ. ქაჯაია ვარაუდობს, რომ A-737

ხელნაწერისა და ვენის № 2 ხელნაწერში დატული „ქრისტიანის წამების“ ნაწყვეტები ერთმანეთს აესებენ, ასე რომ, საფიქრებელია, ამ შემთხვევაში ერთი ხელნაწერის ორი ნაწილი გექონდეს. ლ. ქაჯაიამ ყურადღება იმასაც მიაქცია, რომ ვენურ ხელნაწერში იკითხება „კუპრიანეს წამების“ ტექსტიც და აქედან გააყეთა საინტერესო დასკვნა, რომ ოდესღაც არსებულა ხანმეტი აგიოგრაფიული კრებული, რომელიც შეიცავდა „ქრისტიანსა და კუპრიანეს წამებას“ (აღბათ ამ კრებულში სხვა მრავალი თხზულებაც შედიოდა). ეს ხელნაწერი V-VI საუკუნეებით თარიღდება.

II. ჰაემეტი ტექსტები

ჰაემეტი ტექსტები ხანმეტთან შედარებით, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ღარიბად გამოიყურება, ყველაზე აღრინდელი ჰაემეტი ძეგლია წყისის წარწერა (616-619 წწ.), რომლის შესახებ ზემოთ უკვე გექონდა საუბარი.

ა. შანიძემ აღმოაჩინა და 1923 წელს გამოსცა ჰაემეტი ლექციონარი. ტერმინი ჰაემეტი შექმნა ა. შანიძემ „ხანმეტის ანალოგიით და ამ სახელით აღენიშნავეთ ხოლმე ისეთ ძეგლს, რომელშიც მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად გმნებში, ხოლო შედარებით-აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად სახელში იხმარება ჰაე“ (ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები, გვ. 354).

ჰაემეტი ტექსტები დატულია H-1329 ხელნაწერში, რომელიც პალიმფსესტია. ამ ხელნაწერის 53 ფურცელი ინახებოდა სოფელ იფარში (მესტიის რაიონში). ეს ხელნაწერი ნაშთია ოდესღაც დიდი მოცულობის წიგნისა, რომელიც 400-მდე ფურცელს შეიცავდა. შინაარსის მიხედვით, ძველი ტექსტი წარმოგვიდგენს იერუსალიმის განჩინებას (სხვაგვარად რომ ეთქვათ, ესაა ჰაემეტი ლექციონარი), ოღონდ მასში მოცემულია მხოლოდ ოთხთავის საკითხავები. ამიგომ ფიქრობდა ა. შანიძე, რომ იგი წარმოადგენს „იერუსალიმში შემუშავებულის „კანონის“ (ანუ „წესისა და განგების“, ანუ კიდევ „მართლმორწმუნე მოძღუართა განჩინებისა და განწესების“) უძველეს რედაქციას“ (დასახ. ნაშრ., გვ. 358). ენობრივი და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ძეგლი VIII საუკუნისაა.

ცხადია, ჰაემეტი ტექსტების მონაცემებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის ისტორიისათვის. ამავე დროს, როგორც თავის დროზე მიუთითა ა. შანიძემ, საკმაოდ ხშირია დარღვევები სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირების ნიშანთა ხმარებისას. მაგალითად, 62 შემთხვევაში ქ-მოსალოდნელია, მაგრამ იგი წარმოდგენილი არაა (ეს ხდება ხმოვნებით დაწყებულ გმნებთან). სამ შემთხვევაში გვაქვს ქს- ქ- თავსართის ნაცულად

(მი-ქს-ცემდა, მი-ქს-ცემს, და-ქს-ცხრა). ჩვენი აზრით, ეს გარემოება მიუთითებს, რომ პაემეტი ტექსტების გადაწერის ეპოქაში (VIII ს) მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ერთ-ერთ ნიშნად ცოცხალ მეტყველებაში უკვე ს- იხმარებოდა. აუცილებლად უნდა მოვაქციოთ ყურადღება იმ გარემოებასაც, რომ ხანმეტ და კლასიკურ პაემეტ ტექსტებში (ფაქტიურად წყისის წარწერაში) პირის პრეფიქს ნიშანთა მიმდევრობა (ანუ მორფემათა რანგები) მკაცრადაა დაკული. პირველ ადგილზეა მესამე ირიბ-ობიექტური პირის პრეფიქსი, მეორეზე – პირველი სუბიექტური პირის ნიშანი: მიხუხედე (მე მას), აღხუმართე (მე მას), აღჰუმართე (მე მას) და მისთანანი. ასეა პაემეტ ტექსტებშიც, მაგრამ გვაქვს პრეფიქსთა ახლებური ქ განლაგებაც (დაეპთესი, მოსალოდნელი იყო: დაჰუთესი).

მემოთ წარმოდგენილ მოსაზრებათა გამო ა. შანიძის მიერ ამოკითხული ტექსტების მიჩნევა ცოცხალი პაემეტობის ამსახველად შეუძლებელია. ა. შანიძე მართებულად წერს: „ჩვენი ძეგლი ქართული ენის ისტორიისათვის განსაზღვრული ეპოქის აღმნიშვნელია. ეს არის ეპოქა, როცა პაემეტობა გადაეარდნის გზას დასდგომია“ (დასახ. ნაშრ., გვ. 358). რა თქმა უნდა პაემეტი ტექსტების არქეტიპი შექმნილია იმ ენობრივ გარემოში, რომელსაც გარკვეულ ეპოქაში ახასიათებდა ქ- პრეფიქსის ხმარება განსაზღვრულ შემთხვევებში. სამწუხაროდ, ამ არქეტიპმა ჩვენამდე ვერ მოაღწია თავდაპირველი სახით. ფაქტიურად ა. შანიძის მიერ აღმოჩენილი ძეგლი არის ე.წ. სან-ნარეე ტექსტთა პირველი, უძველესი ნიმუში. გადამწერმა მრავალი რამ შეევალა თავისი მეტყველების შესაბამისად, მაგრამ მიუხედავად ამისა, დედნის ძირითადი გრამატიკული ნორმების გათვალისწინება მაინც შესაძლებელია. ამ ტექსტებს პაემეტი მხოლოდ პირობით შეიძლება ვუწოდოთ. აქვე გვინდა ისიც ვთქვათ, რომ ხელნაწერის ამოუკითხავ ნაწილზე წარმატებით მუშაობს ბერნარ უტიე. იმედია, მალე უფრო მეტი საინტერესო მასალა გვექნება ხელთ.

IX-X საუკუნეთა ხელნაწერებში გამოვლენილია პაემეტობის გადმონაშთები, რომლებიც მიგვანიშნებენ, რომ პაემეტი ძეგლების კორპუსი მდიდარი და მრავალფეროვანი იყო (ა. შანიძე, ი. იშნაიშვილი, მ. შანიძე და სხვა). ირკვევა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მრავალი საყურადღებო ძეგლი გადაწერილია პაემეტი დედნიდან.

12. ხანმეტობისა და პაემეტობის ურთიერთმიმართება

ა. შანიძის მიერ პაემეტი ტექსტების აღმოჩენისთანავე დაისვა საკითხი ხანმეტობისა და პაემეტობის ურთიერთმიმართების შესახებ. ივ. ჯავახიშვილი ემყარებოდა ის ფაქტს, რომ ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად უსწრებენ პაემეტს (ხანმეტი წარწერები უსწრებენ პაემეტს (ხანმეტი წარწერები V საუკუნიდან გვაქვს, პირველი პაემეტი ტექსტი 616-619

წლებისაა¹) და ვარაუდობდა, რომ სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირების პრეფიქსად ქართულში თავდაპირველად ხ- გვექონდა, რომელიც შემდგომში ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ქ-დ იქცევა. ივ. ჯაფახიშვილის ეს მოსაზრება თითქოს კარგად ხსნის ხანმეტი და პაემეტი ტექსტების ქრონოლოგიურ მიმდევრობას, მაგრამ ა. შანიძემ მიუთითა ივ. ჯაფახიშვილის ახსნის ზოგ სუსტ მომენტზე. კერძოდ, თუ დაუშვებდით, რომ ხ- შეიცვალა კ-თი, რატომ არ მოხდა ეს ფონეტიკური პროცესი სიგყვათა ძირე-ბში: ხარება, ხატი, ახალი, ხედა, სახელი, ხოლო, ხუთი?

ა. შანიძის აზრით, ხანმეტობა და პაემეტობა ასახავს ორ სხვადასხვა დიალექტს. იგი წერს: „ჩემთვის უეჭველია, რომ განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენად დიალექტური, ე.ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენად სხვადასხვა კილოს. ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და პაემეტი კი მეორეზე. ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს პაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე, რა თქმა უნდა, თავისთავად ჯერ კიდევ არ წყვეტს საკითხს იმის შესახებ, თითქო ქართული ლიტერატურა პარალელურად არ არსებობდა პაემეტ კილოზედაც; ან კიდევ, რომ ხანმეტი ლიტერატურა საზოგადოდ უეჭველად ხნიერი იყო პაემეტზე. მაგრამ კიდევაც რომ გამოირკვეს საბოლოოდ, რომ სწორედ ხანმეტი იყო ის კილო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ სალიტერატურო ენას, ეს მაინც არ მოგვეცემს იმის საბუთს, რომ ქაე ისტორიულად ხანის განვითარების მეორე საფეხურად ვეცნოთ.

რა ერქვა სახელად იმ გომს, რომელიც ხანმეტ კილოზე ლაპარაკობდა და წერდა, ან იმას, რომელსაც პაემეტობა ახასიათებდა, არ ვიცით: არც ის ვიცით დანამდვილებით, თუ როგორი იყო მათი გეოგრაფიული საზღვრები. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ხანმეტი კილო საქართველოს სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხეში იყო (ასე ვთქვათ, მცხეთა-ბოლნისის რაიონსა და მიმდებარე მხარეებში), ხოლო პაემეტი კილო კი მის დასავლეთით“ (ა. შანიძე, პაემეტი ტექსტები... გვ. 461). ა. შანიძის ამ მოსაზრების სასარგებლოდ გამოდგება ის ფაქტი, რომ ხანმეტი წარწერები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონშია (ბოლნისი, უკანგორა, მცხეთა) აღმოჩენილი, ხოლო ჯერჯერობით ერთადერთი პაემეტი წარწერა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში (წყისე) არის ნაპოვნი. ა. შანიძე ფიქრობს, რომ ხანმეტი კილოს ნაცვლად სალიტერატურო ენის საფუძველად პაემეტი მეტყველების გახდომა შესაძლოა დაუკაემირდეს არაბების შემოსევის შედეგად

¹ ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როდესაც ივანე ჯაფახიშვილი ხანმეტი და პაემეტი ტექსტების ურთიერთმიმართების საკითხზე მსჯელობდა, წყისის წარწერა ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი.

ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცენტრის სამხრეთ-დასავლეთით გადანაცვლებას (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 362).

არსებობს საფუძველი, რომ ივ. ჯავახიშვილისა და ალ. ონიანის მოსამრებები ხ- > პ- გადასვლის შესახებ უფრო სარწმუნოდ მივიჩნიოთ.

რა თქმა უნდა, ხანმეტობა-ჰაემეტობის პრობლემა დღეისათვის არაა საბოლოოდ გადაჭრილი, თუმცა მას არაერთი შეკვლევარი შეხება (ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, გ. დეუტერსი, გ. მაჭავარიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. კლიმოვი, გ. როგავა, თ. გონიაშვილი, ალ. ონიანი, რ. ენუქაშვილი და სხვ.). სავარაუდოა, რომ ქართველოლოგია კიდევ არაერთგზის გამდიდრდება ამ საკითხის შესახებ შექმნილი ნაშრომებით.

III. სან-ნარევი ტექსტები

1. სინური მრავალთავი

იერუსალიმში, საბაწმიდის ლავრაში, 864 წელს გადაუწერიათ ქართული ენისა და მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი, რომელსაც სინურ მრავალთავს ეუწოდებთ. იგი ამჟამად დაცული არის სინის მთაზე, წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში. სინურ მრავალთავში შესულია III-V საუკუნეების დიდი საეკლესიო მოღვაწეებისა და მწერლების თხზულებანი. სამწუხაროდ, ხელნაწერი ჩვენამდე ნაკლები ხასიათაა მოღწეული. დღეს იგი 275 ფურცელს ითვლის, მაგრამ, როგორც აკაკი შანიძემ გაარკვია, მას აკლია 79 ფურცელი (თითქმის ერთი მესამედი).

ხელნაწერს ახლავს ერცელი და უაღრესად საინტერესო ანდერძი: „წყალობითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა, ამის თაყუანის-საცემელისა სამებისა წმიდისა, ღმრთისა ჩუენისა მომადლებითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიაამისითა, ძალითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა საუფლომსა ჯუარისაათა და მეოხებითა ყოველთა წინაწარმეტყუელთა, მოციქულთა, მახარებელთა, მარტულთა მართალთა და მოწამეთაათა და ყოველთა წმიდათა მისთაათა და მადლითა წმიდისა წინაწარმეტყუელისა და დიდებულისა მოსმსითა მე, მაკარი ლეთეთელი, ძმ გიორგი გრძელისაჲ, ცოდვილი ფრიად, ღირს-მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთაჲისა თანაშეწევნითა ძმისა ჩუენისა სულიერად პიმენ კახისაათა და კელთ-წერითა დედისძმისწულისა ჩემისა ამონა ვახთანგ მოძარღულის ძისაათა, საქსენებულად სულთა ჩუენთათუს და სულთა მშობელთა ჩუენთათუს და ყოველთა გარდაცვალებულთა თუსთა ჩუენთათუს.

აწ ღმერთმან დაგაჯეროს, მამანო და ძმანო, რომელნი აღმოიკითხვილეთ წმიდათა ამათ სიგყუათა ამათ მიერ, ჩუენ, პირველმოქსენებულნი ესე ცოცხალნი და მიცვალებულნი, მოგყსენენით ღმრთისათუს წმიდათა ლოცუათა თქუენტა შინა, რათათ თქუენ მიერ განვეერნეთ ჩუენ დღესა მას საშინელსა განკითხვისა ჩუენისასა გირილისაგან თუალთამსა და ღრჭენისაგან კბილთამსა. და თქუენცა უფალმან მოგიქსენენინ სასუფეველსა მისსა, ამენ. და შოიქსენენინ უფალმან ყოველნი, რომელთა ყვეს შეწეენამა წიგნისამ ამის სულთა მათთათუს.

დაიწერა ესე წიგნი იერუსალემს, ლავრასა დიდისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბამსსა დღეთა ღმრთისმოყუარისა თევდოსი პატრეაქისათა და საბაწმიდას პატრონისსა და სანატრელისა სოლომონ მამასახლისისათა.

დაიწერა წმიდამა ესე წიგნი დასაბამითგან წელთა ხუთი, ქრონიკონი იყო ოდ.

და მე, გლახაკმან მაკარი, მეეწირე წმიდამა ესე მრავალთავე წმიდათ-წმიდასა მათასა სინას საქსენებელად და სარგებელად თავთა ჩუენტა და სულთა ჩუენტათუს. და ამას შინა არს შემოკობამა წელიწდისა დღესასწაულთა ყოველთამა, თქუმული წმიდათა მოძღუართამა.

მოეც, უფალო, პოენად წყალობამა შენი მას დღესა შინა სულთა ჩუენტა ცოდვილთა და უწყალოდ გუემულთა ბოროტისმოძღურისა მიერ ეშმაკისა. უფალო, იქსენ სული ჩუენი სიკუდილისაგან, თუალნი ჩუენნი – ცრემლთაგან და ფერკნი ჩუენნი – ბრკომისაგან, ამენ.

დიდებამა შენდა, უფალო, რომელმან ღირს-მყავ მე, უღირსი ესე, აღსრულებად საქმისა ამის.“

როგორც ამ ანდერძიდან ჩანს, ხელნაწერის შექმნის ინიციატორია მაკარი ლეთეთელი (ქარელის რაიონში არის ზემო ლეთეთი და ქვემო ლეთეთი). როგორც ნ. მარმა მიუთითა, მაკარი უნდა იყოს გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, ეფრემის, აწყურის ეპისკოპოსის, ნათესავი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „მას ჟამსა შინა იყენეს ვინმე იერუსალმშს მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი, კაცნი შუენიერნი, კეთილნი მონაზონნი, სრულნი სიბრძნითა და სასწაულთა მოქმედნი, მეძიებელნი სასუფეველისანი და მეოტნი დიდებისაგან ამის სოფლისამსა, მღღელნი ღირსნი, შვილნი დიდებულთა აზნაურთანი, გომნი დიდისა ეფრემ მაწყურელ ეპისკოპოსისანი“.

ნ. მარის აზრი ა. შანიძემაც გაიზიარა (ა. შანიძე, სინური მრავალთავე 864 წლისა, გვ. 296).

გადამწერად დასახელებულია ამონა, ვახთანგ მოძარღულის ძე. ა. შანიძე ვარაუდობს, რომ ეს ხელნაწერი სამი (შესაძლოა ხუთი) პირის მიერ უნდა იყოს გადაწერილი. ერთ-ერთი გადამწერი, რომელსაც წიგნის უმეტესი

ნაწილი გადაუწერია, თვით მაკარი ლეთეთელი ჩანს (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 299).

ხელნაწერის დამზადებაში მაკარის და მის თანამშრომლებს დახმარებია პიმენ კახი.

ხელნაწერი თარიღიანია (ხ_ყმ=6468-5604=864 წ.; ად=84+780=864 წ.). სინური მრავალთავი არის უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

ხელნაწერის ბოლო სამი გვერდი დაუწერელი ყოფილა. 981 წელს იოანე-ზოსიმეს ძეგლი მესამედ შეუმოსავს და ამის შესახებ ხელნაწერის ერთ დაუწერელ გვერდზე (274v) შესაბამისი ცნობა მოუთავსებია: „შეიმოსა მესამედ წმიდაჲ ესე წიგნი მრავალთავი გყავითა ზროხისათა სინაწმიდას კელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულობისა ჩემისათა, ბრძანებითა და ფრიად მოსწრაფედ მოღუაწე-ბითა მიქაელ და მიქაელ პატიოსანთა მღვდელთაჲთა, დასაბამითგანთა წელთა ქართულად ხუ^ჲქე და ქრონიკონსა ს^ჲა-სა. აწ გვედრებით თქვენ, ყოველთა ღმრთისმოყუარეთა მამათა და ძმათა ჩუენთა, გვედიეთ წმიდასა ლოცვასა თქვენსა მე, ფრიად ცოდვილი იოვანე, და მიქაელ და მიქაელ და მშობელნი და ძმანი ჩუენნი და ყოველნივე ჩუენეულნი, ცოცხალნი და მიცვალებულნი, სულიერნი და კორციელნი, რამეთუ ჩუენ ფრიად გურწამს თქუენი ლოცვაჲ და ყოველი დაკლებული ჩუენი შეგუ[ნ]დვეთ ღმრთისათუს, და თქუენცა ქრისტემან შეგიბდვენ და შეგიწყალენინ ყოველნი, ამენ.

ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და მიქაელ, გაბრიელ, კურიკე, გიორგი, იოანე-ზოსიმე და ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტეანენი და უფრომს ყოველთასა ყოველნი ქართველნი.

ლოცვა-ყავთ ჩუენთუს, წმიდანო, ლოცვა-ყავთ, ამენ.“

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის შემდეგ გვერდზე ჩაუწერია „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, ქართული ენის საგალობელი, შთაგონებული მისი დიადი მომავლის უზომო რწმენით:

„დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მესიისა (შესწორება პ. ინგოროყვას ეკუთვნის) საწამებელად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე პრქუან. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ. და მეგობრად ამისთუს თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს, და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთუს თქუა დავით წი-ნაწარმეგყუელმან, რამეთუ წელი ათასი, ვითარცა ერთი დღი და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათმსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს და იგყუს ყოველად ოთხ ათასსა მარაგსა, და ესე არს ოთხი დღი და ოთხისა

დღისა მკუდარი ამისთვის მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-
ლებისა მისისაჲთა.

და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი
და დაწუნებული, მოელის დღესა მეორედ მოსლევასა უფლისასა, და სასწაული
ესე აქუს: ოთხმეოცდაათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტის
მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარ, ასოჲ
ესე წილი ანბანისაჲ“.

სინური მრავალთაჲი ამჟამად სამ წიგნად არის დამლილი. ამ ძეგლის
შესახებ პირველი ცნობები ეკუთვნის ალ. ცაგარელს. ოლონდ მას ვერ შე-
უნიშნავს, რომ ხელნაწერის ერთი ნაწილი ცალკე არსებობდა და იგი და-
მოუკიდებელ ერთეულად მიუჩნევია. 1902 წელს სინას მთაზე მუშაობდნენ ნ.
მარი და ივ. ჯავახიშვილი. ნ. მარმა აღწერა სინური მრავალთაჲი. მან მიუ-
თითა, რომ ძეგლი სამ ნაწილად არის დაყოფილი. 1950 წელს ამერიკის ადა-
მიანის შემსწავლელი ინსტიტუტის, ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის და
ალექსანდრიის უნივერსიტეტის ერთობლივმა სამეცნიერო ექსპედიციამ
გადაიღო მახლობელ აღმოსავლეთში დაცული სიძველეების მიკროფილმები.
ამ ექსპედიციის კონსულტანტი იყო ეერარ გართი. მისი უშუალო ხელმძღვა-
ნელობით გადაიღეს ქართული ხელნაწერები. საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო სინური ხელ-
ნაწერების მიკროფილმები. ამან შესაძლებელი გახადა მათი პუბლიკაციის
დაჩქარება. 1959 წელს „სინური მრავალთაჲი“ გამოიცა აკაკი შანიძის რე-
დაქციითა და ვრცელი გამოკვლევით. ტექსტი გამოსაყვამად მოამზადეს ი.
იშნაიშვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ, ზ. ჭუმბურიძემ და ლ. ბარამიძემ.

„სინური მრავალთაჲის“ შესწავლაში აღსანიშნავია ივანე იშნაიშვილის
წვლილი. მის მონოგრაფიაში „სინური მრავალთაჲი“ (თბ., 1975) დაწერილ-
ებითაა გაანალიზებული ძეგლის ენის საკითხები და, რაც განსაკუთრებით
ფასეულია, წარმოდგენილია ვრცელი ლექსიკონი.

2. ა დ ი შ ი ს ო თ ხ თ ა ე შ ი

ადიშის ოთხთაჲი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელნაწერია. ამჟამად
იგი დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. იგი იპოვეს მესტიის
რაიონის სოფელ ჰადიშში (ამიგომ უწოდებენ მას „ადიშის ოთხთაჲს“). მას
პირველად ყურადღება მიაქცია ბესარიონ ნიჟარაძემ (თავისუფალმა სვანმა)
– ქართული კულტურის ცნობილმა მოამაგემ.

1904 წელს „მოამბეში“ (№2) გამოქვეყნდა ბესარიონ ნიჟარაძის სტატია
„სვანეთის ხელნაწერები“. ბნელია, აუღელვებლად წაიკითხოთ ავტორის
სიტყვები: „სამწუხაროდ, თავშივე უნდა აღვნიშნო, რომ სვანეთის ხელნაწ-
ერებისა ჩუენ დრომდე ერთ მეოთხედსლა თუ მოუღწევია, სამი მეოთხედი კი

ან დრო-ვამს მოუსპია ანდა კერძო პირებს გადაუტანიათ სევანეთიდან: ქუთაისს, ტფილისს, პეტერბურგს და მოსკოვს და შეიძლება სხვაგანაც, მაგრამ მე მხოლოდ ამ ქალაქებში მეგულება.

როდესაც სევანეთში ქრისტეს სწავლა აღყვავებული ყოფილა, რასაც ცხადად ამტკიცებს მრავალი ეკლესიები და ძვირფასი ხატ-ჯვარი, მაშინ თითოეულს საყდარს ქონია ყველა საღვთო წერილის წიგნები ტყავზე დაწერილი. ამ 30 წლის წინეთაც რომ შესულიყავით რომელიმე მიყრუებულ სოფლის ეკლესიაში, კუთხეში ან თავისებურ საწიგნებზე ნახავდით გროვად გროვად დაწყობილ საღვთო წერილის წიგნებს პერგამენტზე დაწერილს, ყდინასა და უყდოს; ახლა კი დიდ სოფლების შუაგულ ეკლესიაშიც ვეღარ ქოულობთ მათ. მანუსკრიპტები ან აფუშულ-დამჰალან ანადა ვისაც მოუსწრია, წაუღია. როდესაც სევანეთის ძველი სასულიერო წოდება შეგნებული ყოფილა, სყოღნია თავისი საქმე და სმენია თანამდებობა, მაშინ იგი ფრთხილად სდგომია საღვთო წერილის მანუსკრიპტებსაც; მერმე როდესაც იგივე სასულიერო წოდება თავის მოვალეობის ცოდნით დაქვეითებულა, მანუსკრიპტებსაც ფასი და პატივი დაქარგვიათ. შემდეგ დროში დაბეჭდილი საღვთო წიგნიც შემოსულა და უმეყარ პაპებს, ძველის სასულიერო წოდების წარმომადგენელთ, უვარგისად უცნიათ ძვირფასი ხელთნაწერები და აღაღბებდმე მიუგდიათ. ამიტომაც არის, რომ დღეს რამოდენიმე სახარების გარდა, რომელიმე ძვირფასი მანუსკრიპტი ფურცელ-ფურცელ არის დაშლილ-დაგლეჯილი და მიყრილ-მოყრილი ეკლესიის მტვერ-ნაგავში. ასე, რომ ეკლესიაში ხელთნაწერის ძებნის დროს ნაგავში წააწყდებით მთელ ან ნახევრად დახეულს ფურცელს, სადაც შესანიშნავნი ძველი დროის მოღვაწენი: გიორგი, ივანე, სოფრონ, ილარიონ, მიქაელ, გაბრიელ, გრიგოლ და სხვანი აღნიშნავენ, რომ მათ ესა და ეს ოთხთავი, გულანი და სხვა დაუწერიათ ამა და ამ მონასტერში, მოუგიათ სახსრად სულისა თვისისა, დასაცველად მეფეთა ჩვენთა ღმრთივდიდებულისა აღრნესე კურაპალატისა და ღმრთივბოძთა ნაშობთა მათთა დავით ერისთვისა] და სულისა მეფეთა ჩვენთათვის არსენისა, ამოგისა, ან ბაგრატ კურაპალატისა და სხვათა, წააწყდებით,-ვიმეორებ, — და გული გიკვდება კაცს, რომ მთელი ოთხთავისახარება, ამდენი ნაღვაწ-ნაშრომი ზემოსსენებულ დაუეიწყარ პირთა, არსადა სჩანს, იგი ან დამჰალა, ან მლილს დაუხრია, ანდა სულ გამქრალა და ნიშნად მისის ოდესლაც არსებობისა მტვერში ობლათ შენახულა მთელი ან ნახევარი ფურცელი. ჩვენდა სავალალოდ, რუსეთის მთავრობის მიერ დადგნილ სამღვდლოებასაც სრული უყურადღებობა გამოუჩენია სევანეთის ხელნაწერების შესახებ. ეყობა, იგიც არაფრად აფასებდა ამ ძვირფას განძს ჩვენის ისტორიისას, თორემ, სხვა რომ არა იყოს, ის მაინც შეეძლო სამღვდლოებას, რომ მის დრომდე დაშთენილ ხელთნაწერებისათვის წვრილი ბაწარი შემოეხვია და ისე დაეწყო ეკლესიის რომელსამე საიმედო ადგილას

და ამითი დაეცვა იგინი დაკარგვა-გაუჭეებისაგან. 1892 წ. ერთ ეკლესიაში საარაყე ქვაბში დაგდებული ვნახე ძვირფასი სახარება X საუკუნისა და იგივე ქვაბი სავსე იყო არჩვის რქებით, დაძველებული ხაჭ-ჯერის ნამგერეებით და სხვადასხვა ხურდა-მურღით“ (გვ. 1-3).

ბ. ნიჟარაძემ ხელნაწერს ადიშის მაცხოვრის ეკლესიაში მიაგნო. ფურცლები, (განსაკუთრებით ლუკას თავში) აღრევით იყო აკინძული. ორი ფურცელი, ხელნაწერიდან ამოგლეჯილი, ბ. ნიჟარაძემ ცალკე იპოვა „სპილენძის ქვაბში მიკუნჭული“ (დასახ. ნაშრ., გვ. 6).

ადიშის ოთხთავის შესახებ პირველი ცნობა გამოაქვეყნეს პ. უვაროვამ და ა. ხახანაშვილმა (Материалы по археологии Кавказа“, X, 1901). 1910 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა მოაწყო ექსპედიცია სვანეთში, ღიმიტრი ერმაკოვმა, ცნობილმა ფოტოგრაფმა, გადაიღო ადიშის ხელნაწერის ფოტოსურათები. მოსკოვის საარქეოლოგიო სამოგადოებამ 1916 წელს განახორციელა ადიშის ოთხთავის ფოტოპირული გამოცემა. 1945 წელს ადიშის ოთხთავის ტექსტი გამოაქვეყნა აკაკი შანიძემ წიგნში: „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატერდული ხელნაწერის მიხედვით“.

ადიშის ოთხთავი დაწერილია ასომთავრული ანბანით, ორ სვეტად. 387r-ს მეორე სვეტში მოთავსებულია ანდერძი (სამწუხაროდ, იგი დამიანებულია): [დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დასაბამითგანთა წელთა ხჳ[ა, ქრონიკო]ნსა რიზ, შობ[ითგან] უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით წელთა ჩა. ქრისტე ...მ[ე]უფუო, მეგვწყალენ [ყოველნი] ერთობით, ამენ.

მწერალი ამისი მიქაელ ლოცვასა მომიკსენ[ეთ] და შემინდევთ სიუცებ ჩემი და მმოსელიცა მიქა[ელ] დიაკონი მომიკსენ[ეთ] წმიდასა ლოცვასა თქუენ[სა]. უფალი მფარველ გუე[ქმენინ] ყოველთა ერ[თობით]. ამენ].

[სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულის]ა წმიდისა[ათა], მეოხე-ბითა [წმიდი]სა ღმრთისმშობ[ლის]აათა და წმიდისა[ა იოვანე] ნათლისმცემ[ლის]აათა და წმ[ილ]ათა მახარებ[ბელ]თაათა და [ყოველთა წმიდათა მისთაათა ღირს ვიქ[მენ] მე, გლახაკი [ს]ოფრონ, აღსრულებად წმიდასა ამ[ას] წიგნსა სახ[არებ]ასა ოთხ[თავსა] ფრიადითა მოლუაწებითა სულიერთა ძმათა ჩემთაათა, სალოცველად ყოველისა ამის კრებულისათს და ყოველთა ნათესავთა ჩუენტა ღმრთიედიდებულისა აღრნესე კურაპალაგისა და ღმრთიებობთა ნაშობთა მათთა დავით ერის[თვი]სა და მეუღლეთ[ა] და ნაშობთა მათთათს, და [ს]ალოცველა სულთა გარდაცვალებულთათს: სულისა მამისა გრიგოლისა, სულისა მამისა გაბრიელისა და ყოველთა ძმათა ჩუენტა გარდაცვალებულთათს და სულთა მეფეთა ჩუენტათს: არსენისა, დავითისა, ამოგისა და ყოველთა თსთა გარდაც[ვალ]ებულთათს. ა[წ]ვინცა ღირს იქმ[ნეთ] აღმოკითხვ[ად] და მსახურებად წმიდასა ამას სახა[რებ]ასა, მოგუკსენ[ეთ] წმიდათა შინა ლოცვ[ათა] თქუენტა ჩუენ [და] ყოველნი, რომელნი წერილ [არ]იან, რაათა თქუენცა [მი]განიჭოს ღმერთმან

კეთილი საუკუნო და ჩუენ, ყოველნი, ერთობით ღირსმეცა ვართ სასუფეველსა ცათასა ქრისტე ღმრთისა, უფლისა ჩუენისა თანა, ამენ.

ამ ანდერძიდან ჩანს, რომ ადიშის ოთხთავი გადაუწერია მიქაელს. გადაწერის თარიღია 897 წელი (ქრონიკონი რიზ=117+780, ხფა=6501-5604=897) ქრისტეს შობიდან ჩა (1001 წ.) ნაანგარიშეგია ალექსანდრიული წელთაღრიცხვით, რომელიც ქართულს 104 წლით ჩამოუვარდებოდა (1001-104=897). ეს კორნელი კეკელიძემ გაარკვია. წიგნი შეუმოსავს (ყდა გაუკუთებია) მიქაელ დიაკონს.

აკაკი შანიძის ვარაუდით, ხელნაწერის მომგებელი, სოფრონ, არის გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, „დიდი სოფრონ, სანატრელი მამა, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმამენებული და უკუნისამდე გურჯინი მისი“ „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“, გვ. 012). ეს არის ერთ-ერთი არგუმენტი, რომლის თანახმადაც, ა. შანიძე წიგნის შექმნის ადგილად შატბერდს მიიჩნევს. თითქოს არ ჩანს შეუძლებელი, ანდერძში მოხსენიებული მამა გრიგოლი გრიგოლ ხანძთელად ვცნოთ.

ექვთიმე თაყაიშვილმა ანდერძში ნახსენები პირების მიხედვით ხელნაწერის გადაწერის დროდ მე-9 საუკუნის ბოლო მიიჩნია (1916 წლის ფოტოტიპური გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 16-17).

ადიშის ოთხთავის ტექსტში დასტურდება პაემეტი ფორმები: ქეძმდეს, ქვამთ, ქყყიდეს, თაქ-ჰუჟოს, კუქმ, პირქუამთ, კუყუა და სხვ. (იხ. ა. შანიძე, პაემეტობა ადიშის ოთხთავში, გვ. 284-299), რაც მოწმობს იმას, რომ ტექსტს პაემეტი დედანი დაედო საფუძვლად.

ადიშის ოთხთავი მე-16 საუკუნეში შატბერდიდან წამოუღია ნიკოლაოსს (ჯუმათის მონასტრის ყოფილ მამასახლისს): „სახელითა არსებადაუბადებელისა ყოელად წმიდისა საძებისაჲთა, მეოხებითა ყოელად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, შეწევითა წმიდათაჲთა მე, ნიკოლაოს, ოდესმე ჯუმათის მამასახლის-ყოფილმან, უღირსმან და სულითა საწყალობელმან, ფრიადითა ხარკებითა, – აშენენ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერნი! – შევიარენ და შეეკრიბენ წმიდანი ესე წიგნი: პირველად წმიდაჲ ესე სახარებაჲ ოთხთავი, და მრავალთავი, და კელთკანონი, მამათა წიგნი, და კითხვა-მიგებაჲ. უმეტესად აღაშენენ ღმერთმან შ[ატბერ]დი, – [ესე] ოთხთავი და კელთკანონი და მამათა წიგნი [მა]თსა ეკლესიასა ...“

მაღე ოთხთავი სვანეთში აუტანიათ, ამას მოწმობს სვანთა მიერ მე-17 საუკუნეში გაკეთებული მინაწერებისა და ათანასეს (სვანის) ანდერძის ორთოგრაფიის თავისებურებანი (ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 016). თითქმის ამავე დროის მინაწერში მოიხსენიება ადიში (ღმერთმან ადილოს ადიშისა სოფელი ...; ღმერთმან [ა]დმდოს ადმდოსა სფლი...).

ადიშის ოთხთავის ტექსტით დაინგერესდა ამერიკელი ქართველოლოგი რობერტ ბლეიკი. 1928 წელს მან პარიზში გამოაქვეყნა მარკოზის თავი ოპიზისა და ტბეთის ოთხთავთა წაკითხვების ჩვენებით; 1933 წელს დაიბეჭდა მათეს თავი; 1950 წელს რ. ბლეიკმა და მ. ბრიერმა გამოსცეს იოვანეს სახარება; 1955 წელს მ. ბრიერმა გამოაქვეყნა ლუკას სახარების ტექსტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1945 წელს ა. შანიძემ ადიშის სახარება გამოცა ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერებთან ერთად.

3. ოპიზის (ათონის) ოთხთავი

ქართული ოთხთავის ტექსტის შემკველი ერთ-ერთი უძველესი ნუსხა არის ოპიზის სახარება, რომელიც 913 წელს გადაუწერიათ ოპიზაში. ამჟამად ხელნაწერი ინახება ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში. ამიგომ მას ათონის სახარებასაც უწოდებენ. ძეგლი 1898 წელს იპოვა ნ. მარმა. 1899 წელს მან გამოაქვეყნა პირველი ცნობები ამ საინტერესო ხელნაწერის შესახებ სამეცნიერო ორგანოში: „Журнал Министерства народного просвещения“. 1909-11 წლებში ელ. ბენეშევიჩმა გამოსცა მათეს და მარკოზის თავები ოპიზისა და ტბეთის (995 წ.) ხელნაწერთა მიხედვით.

ტექსტი ასომთავრულადაა დაწერილი ორ სვეტად. დაერთვის ანდერძი, რომელშიც მითითებულია ხელნაწერის გადაწერის ვინაობა, აგრეთვე დაწერის დრო და ადგილი: „მე, გლახაკი და ცოდეილი გრიგოლ, ღირს-მყო უფალმან ღმერთმან და იესუ ქრისტემან მოგებად და დაწერად კელითა ჩემითა წმიდაჲ ესე ოთხთავი სახარებაჲ. დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ლავრასა შინა წმიდისა ნათლისმცემლისასა უპიზას ღედისაგან უცთომელისა სიტყუთ და მანდუკით გამოწმედლისა, ქრონიკონი იყო რ' ლგ“

ამრიგად, გრიგოლი ყოფილა ხელნაწერის მომგებელიც და გადაწერიც. მას რლგ (133) ქრონიკონს, ანუ 913 წ. (780+133) გადაუწერია ძეგლი.

4. ჯრუჭის ოთხთავი

დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-1660). შეიცავს 297 ფურცელს. ხელნაწერი გადაწერილია შაგბერდში 936 წელს. მისი მომგებელია გრიგოლი, ხოლო გადაწერი არის გაბრიელი. ამის შესახებ მოგვითხრობს ანდერძი, რომელიც იკითხება 291-ე ფურცელზე: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძლიერებითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა და წმიდათა მახარებელთაჲთა და მოციქულთაჲთა და წმიდათა წინაწარმეტყუელთაჲთა, წმიდათა მღვდელთმოდუართა და ყოველთა მამათაჲთა და ყოველთა წმიდათა ნებისმყოფელთა მისთაჲთა ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ კელითა გაბრიელ მღვდელთა ნარჩევისაჲთა თაჲად

მეფესა ჩემსა სუბბატს სალოცველად და შემდგომად მშობელთა ჩემთა, მირ-
დაგისთუს, თაგუნამსთუს და ძმათა და დათა ჩემთათუს და ჩემთა ცოდვათა
და თანაცხორებულისა ჩემისათა საქსრად და მკუდართა საქსენებელად:
აღარიონისთუს და დაშელისთუს.

აწ ვინცა იკითხვიდეთ წმიდასა ამას სახარებასა, ნუმცა დავიწყებულ
ვართ ლოცვასა წმიდასა თქუენსა ცოცხალნი და მკუდარნი, რამათა თქუენცა
უფალმან მაღლი მოგანიჭოს, ამენ.

დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ შატბერდს კელითა უცხად მჩხრეკა-
ლისა გაბრიელისითა, თანაშეწვენითა და მოლუაწებითა გაბრიელისითა და
გეორგისითა, რამეთუ დიდი გულსმოდგინებაჲ მაჩუენეს ამის წმიდისა სახ-
არებისა დაწერასა, – კსენებულმცა არიან კეთილსა შინა, ამენ! – დასა-
ბამითგან წელნი იყენეს ხ^ჴუმ, ქრონიკონი იყო რ^ჴნუ, – სადიდებულად მამისა
და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.“

ხუმ=6540; 6540-5604=936 წ. რნე=156; 780+156=936 წ.. ამრიგად, ჯრუჭის
ოთხთავი 936 წელს გადაწერეს.

ხელნაწერის მომგებელი გრიგოლი მოიქსენიება აგრეთვე 229v-ზე, ლუ-
კას სახარების ბოლოს, ნუსხურ მინაწერში: „ადიდენ ღმერთმან გრიგოლ,
მომგებელი ამის წმიდისა ევანგელისა და გაახარენ ღმერთმან ყოველთა
სიხარულთა მისთაგან. და მშრომელი ამის წმიდისა სახარებისა უფალმან
შეიწყალენ.“ მინაწერი გაბრიელის, გადამწერის, მიერ არის გაკეთებული.

940 წელს ხელნაწერი მოუხატავს თეოდორეს. მას გაუკეთებია მინაწ-
ერები: „ქრონიკონი იყო რ^ჴა. ქრისტე, შეიწყალე ამათ კამარათა მწერალი
თეოდორე“. „ქრისტე, შეიწყალე თეოდორე“. მინაწერები მოთავსებულია
პირველ ფურცელზე (Iv), ჯერის ზემო ფრთის ორივე მხარეს (ქრონიკონი
რ^ა=160. 160+780=940წ.). მხატვარს თავისი ხელით ჩაუწერია ევსების
„თანხმობათა“ საძიებელი, ევსების ეპისტოლე კარპიანეს მიმართ, აგრეთვე
ყველა წარწერა მინიატურებთან.

თეოდორეს მხატვრობას განსაკუთრებულ მოვლენად მიიჩნევენ (რ.
შმერლინგი).

ქართული კულტურის ეს შესანიშნავი ძეგლი მტრებს ჩავარდნიათ
ხელთ. იგი გამოუსყიდა იოვანე არწაიშვილს ხორასნიდან (თურქეთი). ამის
შესახებ მოგვითხრობს XVI-XVII საუკუნეების ნუსხური მინაწერი:
„ხორასნიდაღმენ გამოისყიდა ესე ოთხთავი. მას ჟამსა ხუანთქარი ხორასანს
ჩავიდა, ქირსალისდაღმენ გამოვიდა, მოვჯუხს შევიდა, არწააშვილმან
ხუცესმან იოვანე იყიდა, მიუცემია თერთმეტი ფლური. ბერძენა, იაკობი, სტე-
ფანე ამისი დამხდურნი არიან“.

1920 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ეს ხელნაწერი ჯრუჭში დაუკულ სხვა
წერილობით ძეგლებთან ერთად საქართველოს საისტორიო და საეთ-

ნოგრაფიო მუზეუმში მიიტანა. როდის მოხვდა ხელნაწერი ჯრუჭის მონასტერში, უცნობია.

ჯრუჭის ოთხთავი 1945 წელს გამოაქვეყნა აკაკი შანიძემ წიგნში „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“.

5. ქ ა რ ხ ლ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი

ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A-1453). იგი შეიცავს 260 ფურცელს. ხელნაწერის ანდერძში ნათქვამია: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა და ყოვლად დიდებულისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძალითა ცხოველსმყოფელისა პატრონისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა წინაწარმეტყუელისა იოვანე ნათლისმცემელისაჲთა, მეოხებითა და შეწვევითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთაჲთა და წმიდათა წინაწარმეტყუელთაჲთა, მეოხებითა წმიდათა მახარებელთაჲთა: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანესითა, მეოხებითა წმიდათა მოწამეთაჲთა და ღირსთა მღვდელთმოდღუართაჲთა და ნეტართა მამათაჲთა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავესა მოღუაწებითა სულისა წმიდისაჲთა და შეწვევითა ღმერთმემოსილთა კაცთაჲთა, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამოდღურებელად თავისა ჩემისა და სალოცველად სულსა მშობელთა ჩემთასა და ყოველთა თუსთა ჩუენთათჳს: ღმრთიფიდიებულისა ბაგრაგ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთვისა და ღმრთიფომონიჭებულთა ძეთა მათათჳს. ქრისტემან ყოველნი აღიდენინ მოწყალებითა მისითა ჟამთა უკუნისამდე.“

აწ ვინცა ღირს იქმნნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა ამას სახარებასა, მოიკსენეთ სული ჩემი ცოდვილი წმიდათა შინა ლოცვათა თქუნთა. და ყოველთა ერთობით მოგუანიჭენინ ღმერთმან კეთილნი საუკუნენი და ყოველნი ღირსმცა ვართ სასუფეველსა ცათა[სა] და სანაგრელისა მის კმისა სმენად ქრისტე იესუმს მიერ, უფლისა ჩუენისა. მისა დიდებამ ეკლესიასა შინა მამისა თანა სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ საუკუნეთასა, ამენ. დაიწერა დასაბამითგანთა წელთა ხვ^თზ. ქრონიკონი იყო რქვ^თ“ (237r-v). ხუთომ= 6577 (6577-5604=973 წ.); რკვ=193 (780+193=973 წ.).

იოვანე ბერაი მოიხსენიება სხვა მინაწერებშიც (70v, 112v, 236r და სხვ.).

238r-ზე მოთავსებულია კიდევ ერთი საინტერესო ანდერძი: „შევწირე წმიდასა ეკლესიასა პარხლისასა... (ალარ იკითხება 3-4 სიტყვა) წინამუ ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებელად ღმრთიფგურგუნოსნისა მეფეთა მეფისა, - აღიდენინ ღმერთმან, - ღმრთიფდამყარებულისა დავით მაგისტროსისა, მამობასა სარწმუნოასა

მწყემსისა და კეთილადმოღუაწისა წმიდისა მამისა ეფთუმესა, – ქრისტემან შეაწიენ ესე წმიდანი მახარებელინი მათ და ყოველსა კრებულსა პარხლისასა ეამთა უკუნისამდე, ცოცხალთა და მიცვალებულთა ცხორებასა მას საუკუნესა, ამენ.

აწ ვინცა ვინ რამათაცა მიზეზითა გამოაკუას წმიდასა ნათლისმცემელსა, ანუ გაძღუანოს, გინა გაყიდოს და ჩუენი სასყიდელი და გულსმოდგინება დაამკუას, გა-მცა-ურისხლების თაეადი ღმერთი და ნაწილიმცა მისი იუდას თანა არს ისკარიოტელსა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისა მკლველთამცა თანა დაიშჯების. და ესე წმიდანი მახარებელინი არიან მოსაჯულნი მისნი დღესა მას აღდგომისასა საშინელსა, ოდეს ყოველი დაბადებული წარმოდგეს განკითხვად წინამე საყდართა დაუსაბამოსა ძისა ღმრთისათა, თუალუხუეად მსაჯულისათა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

და ამასვე პირსა ზედა მეფეთა სიმტკიცე დაწერონ, – აღიდენინ ღმერთმან.

მე, იოვანე ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა. ყოველნი აკურთხენინ ღმერთმან.“

ამრიგად, ხელნაწერი შატბერდშია გადაწერილი და იგი შეუწირავთ პარხლის ახალი ეკლესიისათვის. ხელნაწერის 239-ე ფურცელზე მოთხრობილია გყეობიდან მისი დახსნის შესახებ: „მას ეამსა, ოდეს საათაბაგონი წმინდისა სარწმუნოებისაგან განსრულ იყენენ და სარკინოზნი შექმნილ იყენენ, ეს წმიდა სახარება იქაური ყოფილ იყო და უსჯულოთგან დატყვევებულ იყო. და დიდად სახელოვნებით გამოჩენილს მეფეთ სიძობით მყოფს და თვით მეფის ვახტანგის სიძეს აბაშიძეს ვახუშტის ეს წმიდა სახარება თათრის ხელით დიდის სურვილით და სასოებიანის გულით დაეხსნა. კვალად ჳი[რ]ნახული და ხელმეორედ განახლება მნახავთა იუწყეთ: ჩვენ, სურვილითა და სიყვარულით შეტკობილმა ბატონის მამის ჩვენის უმცროსმა შვილმა და მეფეთ მეფის ვახტანგის ასულის ბატონიშვილი ანუკას ძემან, თვით აბაშიძემ ნიკოლაოზ, ვიგულისმოდგინე და შენ, დედასა ღმრთისასა წმიდასა ღმთისმშობელსა ხახულისასა ციხესა შინა, წმინდასა შენსა სადგურსა ეკლესიასა, ბულბულის ციხის პატარას საყდარში დავდევით და შამოგწირეთ წმიდა ესე ოთხთავი თვესა სექტემბერსა 8, ქკს უკ“8“. ოთხთავი ბულბულის ციხის მყირე საყდარში 1739 წლის 8 სექტემბერს დაუდიათ. 1744 წელს ნიკოლაოზ აბაშიძეს, მთავარდიაკონს, თავისი მამის ვახუშტის დავალებით დაუმუხლავს სახარება და ჩაუწერია საკითხავთა საძიებელი, რომლებიყ დაკარგული ყოფილა.

ხელნაწერის 238v-ზე ანუკა ბატონიშვილს, ვახტანგ VI-ის ასულს, დაუწერია შემდეგი შიარი:

„ფრიად ცოდვილმან ანუკა დაეწერე ესე ლექსია,
ჩემთვის შენდობას ბრძანებდეთ, ვისც გწამსო ქრისტე მესია,
მცოდნენო, თავსა არ გისწორობთ¹, ხართ ჩემგან უკეთესია,
და დაეწერე შენდობის თხოვნა, მოცემაც დანაწესია.“

ამ ოთხთავს 1889 წელს მიაგნო ექვთიმე თაყაიშვილმა და მის შესახებ გამოაქვეყნა ცნობა 1890 წელს წიგნში: „სამი ისტორიული ქრონიკა“. ე. თაყაიშვილი იგონებდა: „იმ მაფხულს მეც სურამში ვცხოვრობდი და თან კი დავდიოდი მის მიდამოებში – იგრიამში, ზემო ჭალაში (ხაშურის მასლობლად) და სხე. მაშინ უკვე კარგად ვერკეოდი ქართულ პალეოგრაფიაში, ხუცურში ჩემით გავეჩვიე. ზემო ჭალაში, იქაურ მღვდელთან, გვარად სუხივეთან (სუხიაშვილთან) ვნახე ერთი შესანიშნავი ხელნაწერი, რომელიც ახლა „პარხლის სახარების“ სახელითაა ცნობილი. რადგან მღვდელმა არაფრით არ ინდობა ხელნაწერის მოცემა, დავიწყე მასთან სიარული და ისე შესწავლა ხელნაწერისა. გაირკვა, რომ, ჯერ-ერთი, ამ ხელნაწერში ყველაფერი სრულად არ იყო დატული, და, მეორეც, რომ იგი გადაწერილი ყოფილა იმავე იოანე ბერაის მიერ, რომელსაც გადაუწერია შატბერდის კრებული (ზემოთ რომ აღვნიშნე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რომ შეიცავდა). ოღონდ შატბერდის ხელნაწერი უთარილო იყო და ამას კი ეწერა თარიღი, ქრონიკონიცა და ქვეყნის შექმნიდანაც – 973 წელი. ასე რომ, ბაქრაძის მიერ შემოთავაზებული თარიღის, IX საუკუნის, მაგიერ უკვე ნამდვილად X საუკუნე გამოვიდა შატბერდის კრებულის თარიღიც, რაკი ერთისა და იმავე გამამწერის ნახელავი ყოფილა ორივე ხელნაწერი. ეს უკვე მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო. გარდა ამისა, მინაწერში ნათქვამი იყო, რომ იოანე ბერას ის კრებული შატბერდში კი გადაეწერა, მაგრამ – პარხლის ახალი ეკლესიისათვის. ამიგომ დავარქვით „პარხლის ხელნაწერი“ („მოგონებები“; „მნათობი“ 1958, № 5, გვ. 17). მ. სუხიაშვილმა ე. თაყაიშვილს აცნობა, რომ პარხლის ოთხთავი მან გორიდან წაიღო. იგი ეკუთვნოდა ივანე აბაშიძის ქვრივს. მ. სუხიაშვილის გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერს ვეღარ მიაგნეს. გაეიდა საცქაო ხანი. 1920 წელს ოთხთავი უნივერსიტეტში მოიტანა გერმანიის კონსულმა ო. ვებენდონკმა². გაირკვა, რომ მისთვის შესასყიდად შეუთავაზებიათ. ეს ბრწყინვალე ძეგლი. ო. ვებენდონკს აინტერესებდა, თუ რას წარმოადგენდა ეს ხელნაწერი და ღირდა თუ არა მისი ყიდვა. საბედნიეროდ, ამ ამბავს შეესწრნენ ა. შანიძე და კ. კეკელიძე, რომელთაც აუხსნეს კონსულს ძეგლის მნიშვნელობა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. „ამის შემდეგ კონსულმა უხურხულად მიიჩნია მისი შეძენა, და პირი, რომელსაც განთქმული ოთხთავი თავისად მიაჩნდა,

¹ იკითხება გისწორობათ (ანმეცია). ალბათ სჯობს ასეთი წაკითხვა – გისწორობთ.

² ო. ვებენდონკი (O. G. von Wesendonk) დაინტერესებული იყო ქართული კულტურის ისტორიით. მან რამდენიმე ნაშრომიც გამოაქვეყნა.

იძულებული გახდა, რომ ხელნაწერი უნივერსიტეტისათვის დაეთმო“, – წერდა ა. შანიძე (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია... გვ. 39). ასე გადაურჩა ეს ხელნაწერი უცხოეთში გაყიდვას. პარხლის ოთხთავი ორ სხვა შატბერდულ ხელნაწერთან ერთად გამოსცა ა. შანიძემ 1945 წელს.

6. ო მ კ ი ს (ა თ ო ნ ი ს) ბ ი ბ ლ ი ა

ომკის ბიბლია ქართული ენისა და მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. დაკულია ათონის ივერთა მონასტერში. აკინძულია ორ წიგნად. შეიცავს 954 ფურცელს. ნუსხური ანბანით ნაწერია ეტრატიმე ორ სვეტად. გადაწერილია 978 წელს ომკში სამი გადამწერის – მიქაელის, სტეფანესა და გიორგის მიერ. ხელნაწერის მომგებელია იოვანე თორნიკ-ყოფილი.

სტეფანეს ხელით არის შესრულებული მომგებლის ანდერძი: „ქ, რომლისა თანამემწენი ვართ და ღმრთისა თანამსახურნი და ღმრთისა აღმშენებულნი საფუძველსა ზედა მოციქულთა და წინაწარმეტყუელთასა, ვითარცა თქუა მოციქულმან; აღსაარებად გუჯყრიეს ღმრთისმსახურებისა იგი საიდუმლოჲ, რომელი მოგუეთხრა სამთა მათგან გუნდთა სამებისმქადაგებელთა, რომელთა მიერ შეუძრველად დამტკიცებულ არს ეკლესიაჲ მოციქულთა მიერ და წინაწარმეტყუელთა და წმიდათა მოძღუართა. და ესრით აღივსო ესე სულითა ძლიერითა მიდგომილი [და] მოუკლებულად შობს ზეგარდამო მეორედ წყლისა მიერ და სულისა სიმრავლესა მორწმუნეთასა, რომელთა მიერ ისწავების ბეცისა ძალთა მრავალფერი იგი სიბრძნის ღმრთისაჲ, საიდუმლოჲ იგი გამოუთქუმელი – ცნობაჲ წმიდისა ერთარსებისაჲ, დასაბამი ყოვლისა შეცნიერებისაჲ, რომლისათჳს ახალშობილთა აღკვლებიეს კერტი იგი გონიერებისაჲ და დღითი დღედ ვწოვთ სიტკბოებისა მას სძესა, და ესრით აღორძინებულნი არარას სამებასა წმიდასა დაეკლებთ, არცა უმრწემესობით ვიტყუთ, არამედ ერთი მამაჲ გურწამს, დაუსაბამოჲ ღმერთი, სრული მშობელი ერთისა მის ძისაჲ და ერთი იგი ძმ, უძმოჲ და უმოყუროჲ, არამედ იგი ხოლო მხოლო[ოჲ] უბით მამისაჲთ, სწორი მამისაჲ ბუნებით, დაუსაბამოებით და შემოქმედებით, და ერთი იგი სული, რომელი მამისაგან გამოვალს, და შორის მამისა და ძისა იდიდების, სწორ[ი] ღმრთეებითა, დაუსაბამოვებითა და შემოქმედებითა...

და ვითარცა ზღუაჲ შეიკრებს ძლიერებასა მდინარეთასა და არა გარდაეცემის, ეგრეთვე ეკლესიაჲ დღითი დღედ – სწავლასა წმიდათა მოძღუართასა, და იგი აღსავსე წესსავე ზედა ჰკიეს და მარადის ქადაგებს და იტყუს: „იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ რომელი ეგოს ცხოვრებად საუკუნოდ“, რომლისათჳსცა მე, იოვანე, თორნიკ-ყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ჩორდვანელისაგმან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი მეფეთაჲ

სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა ჩემთა და შეილთა ჩემთათუს, და მოსაქსენებელად სულსა ყოველთა მიცვალეულთა ჩემთასა.

აწ, წმიდანო ღმრთისანო, ვინცა იმსახურებდეთ წმიდასა ამას წიგნსა, ქსენებულმცა ვარ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენტთა, რამთა უფალმან თქუენტა სასყიდელი გეცისაა მოგანიჭოს.

კურთხეულ არს მწერალი, ქებულ არს მკითხველი, მაღლი მსმენელთა, ამენ“ (421v-422r).

იმავე სტეფანეს ხელით 422v-ზე ჩაწერილია შემდეგი ანდერძი: დაიწერა წმიდაა ესე წიგნი კელითა სამთა მწერალთამთა: მიქაელისითა, გეორგისითა და სტეფანესითა. ჩვენთუსცა ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ამენ! ოდეს ესე წიგნი დაიწერა, ქრონიკონი იყო რჟ-S.

შეიმოსა კელითა გლახაკისა სტეფანესითა. ლოცვასა მომიქსენეთ, წმიდანო ღმრთისანო, მთაწმიდელნო.

გულსმოდგინებაა ფრიალი მაქუნდა, განა წერაა და მოსაა ესთენ ეიცოდე“.

ამ ანდერძიდან ჩანს, რომ ოშქის ბიბლია გადაუწერიათ მიქაელს, გეორგისა და სტეფანეს 978 წ. (რჟS=198+780=978 წ.). შეუმოსავს ეს წიგნი სტეფანეს, რომელიც ერთ-ერთი გადამწერთაგანია. გექსტი რომ ოშქის მონასტერშია გადაწერილი, ჩანს მეფეთა IV წიგნის ბოლოს მოთავსებული ანდერძიდან: „დაიწერა წმიდაა ესე წიგნი ლაერასა შინა დიდსა ოშქს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა, სალოცველად სულკურთხეულისა თორნიკ სუნგელოზისათუს და შეილთა მისთა“ (213v).

სამწუხაროდ, ხელნაწერი დაზიანებულია. მოგი წიგნი მთლიანად დაკარგულია, მოგ წიგნს კი ფურცლები აკლია.

1849 წ. ბიბლიის ეს ხელნაწერი ათონიდან საქართველოში ჩამოიტანა პლატონ იოსელიანმა. საქართველოში დამზადდა ათონური ბიბლიის ორი პირი, რომლებიც ხელნაწერთა ინსტიტუტის კუთვნილებაა (A-471; S-422).

ეს უნიკალური ძეგლი ქართველოლოგთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცედა ყოველთვის. მას სხვადასხვა დროს ეხებოდნენ: ა. ცაგარელი, ნ. მარი, ა. ხახანაშვილი, თ. ჟორდანიას, ელ. ბენეშევიჩი, რ. ბლეიკი, იე. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და სხვები.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას განზრახული პქონდა ოშქის ბიბლიის გამოცემა. დამზადდა მისი ფოტოპირები. იე. ჯავახიშვილმა, ი. ფიფიძემ და ა. შანიძემ 1913 წელს დაიწყეს ბიბლიის გამოსაცემად გამზადება, მაგრამ ეს დიდი საქმე პირველმა მსოფლიო ომმა ჩაშალა.

1947 წელს ა. შანიძემ გამოსცა დაბადებისა და გამოსლვათა წიგნების გექსტი („წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“, ტ. I, ნაკვ. I), მეორე ნაკვეთი გამოვიდა 1948 წელს (ლევტიკელთაა, მსაჯულთაა, რუთისი, იობისი, ესაიაჲსი).

სამწუხაროდ, ამით შეწყდა ამ შესანიშნავი ძეგლის ა. შანიძისეული პუბლიკაცია.

ოშკის ბიბლიის ცალკეული წიგნები სხვა მკვლევრებმაც (რ. ბლეიკი, მ. ბრიერი, ე. ქურციკიძე, კ. დანელია, თ. ცქიტიშვილი) გამოსცეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა მოამზადეს ბიბლიის ქართული ვერსიების აკადემიური გამოცემა, რომელშიც, რა თქმა უნდა, სათანადო ადგილი ოშკის (ათონის) ხელნაწერმაც დაიჭირა. დღეისათვის სამი ნაკვეთია დაბეჭდილი (I – შესაქმე, გამოსლვათა, გამოსცეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. კიკვიძემ, თბ., 1989; II – ლევიტელთა, რიცხუთა, II შჯული, გამოსცეს ი. აბულაძემ, ე. კიკვიძემ, ბ. გიგინეიშვილმა, ნ. გოგუაძემ და ე. ქურციკიძემ, თბ., 1990; III – ისო ნავესი, მსაჯულთა, რუთისი, გამოსცეს ე. ქურციკიძემ და უ. ცინდელიანმა, თბ., 1990).

7. უ ლ ა ბ ნ ო ს მ რ ა პ ე ლ თ ა მ ი

1920 წელს ა. შანიძემ უდაბნოს (გურია, ომურგეთის მახლობლად) იოვანე ნათლისმცემლის მონასტრიდან თბილისში ჩამოიტანა ერთ-ერთი უძველესი ქართული ხელნაწერი, რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (A-1109). ა. შანიძემ დაძებნა ამ ხელნაწერის ზოგი ფრაგმენტიც: ერთი ფურცელი ცალკე ნომრად იყო დაცული საეკლესიო მუზეუმის ფონდებში (№ 713), რვა ფურცელი ინახებოდა ა. გრენის კოლექციაში (H-2097), მაგრამ ხელნაწერს მაინც ბევრი აკლია. როგორც მიუთითა მიშელ ვან ესბროკმა, გადარჩენილი ნაწილი ერთ მეოთხედზე ოდნავ მეტია ამ ოდესღაც დიდი ხელნაწერისა (M.V. Essbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens, გვ. 34).

ხელნაწერი ამჟამად 178 ფურცელს შეიცავს. ნაწერია ეტრატზე ასომთავრულად. მოღწეული ნაწილის ზოგი ფრაგმენტი ძნელად, ან თითქმის არ იკითხება.

A-1109 უძველესია იმ ხელნაწერთა შორის, რომელთაც შემოგვინახეს იოვანე საბანისძის „აბოს წამების“ ტექსტი (7r-13v). სამწუხაროდ, ხელნაწერის ეს მონაკვეთიც დაზიანებულია.

ხელნაწერის შესახებ პირველი ცნობა 1878 წელს გამოაქვეყნა დ. ბაქრაძემ. მან 1873 წლის 20 სექტემბერს იპოვა ეს ხელნაწერი (Д. Бахрадзе, Археологические путешествия по Гурии и Аджаре, გვ. 239-241). დ. ბაქრაძემ ძეგლის რაობა ვერ გაარკვია, თუმცა მიუთითა, რომ იგი ხელის მიხედვით ძალიან ძველი უნდა იყოს.

შემდგომში ამ ხელნაწერს ეხებოდნენ: ა. შანიძე, ე. კეკელიძე, მ. ჯანაშვილი, ილ. აბულაძე, მიშელ ვან ესბროკი, მ. ჭუმბურიძე და სხვ.

გადამწერის ვინაობა უცნობია. 36r-ზე მოთავსებულია ანდერძი, რომელშიაც მოხსენიებულია მხსრეკალი (გადამწერი), მაგრამ მისი სახელი არაა

მითითებული: „ღირსო ღმრთისაო, წმიდაო მამაო, მომიქსენე წინაშე უფლისა უღირსი მჩხრეკალი, აშენ“.

ხელნაწერს IX საუკუნით ათარილებენ. გადაწერის ადგილი შატბერდი უნდა იყოს (ა. შანიძე).

თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ ა. შანიძის ხელმძღვანელობით გამოსაცემად მოამზადა უდაბნოს მრავლთაეი (ამჟამად ძეგლი უკვე გამოქვეყნებულია, თბ., 1994).

8. ქ ა რ ხ ლ ი ს მ რ ა მ ა ლ თ ა ე ი

ქართული ენის და მწერლობის ემნიშვნელოვანესი ძეგლია პარხლის მრავალთაეი (ხელნაწერთა ინსტიტუტის A-95). იგი შეიცავს 658 ფურცელს. ნაწერია ეტრაგზე ნუსხურად.

590v-591r-ზე მოთავსებულია გაბრიელ პატარაის ანდერძი: „კურთხეულნო ერნო მომავალნო, რომელნი ჩუენსა შემდგომად ყოფად ხართ, პირველ, ოდეს ამას წიგნსა დაეიწყე, ესრე მედეა გულსა, ვითა დედათა წამებაა და ცხორებაა ოდენ დაწერო და მით გაეასრულო. და ვიხარკე დიდითა შრომითა და გულსმოღვინებითა, ვძებნე დედაა და ესთენ ეპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნაა მერმე. ესე მამათა მოწამეთაა, რომელ პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვილე და მით გაეასრულე. და ესე ცხოვრებანი დედათა და ღმრთისმოყუარეთა მამათანი მიწყებით ამას ქუემოსა კერძსა მოვაქციენ, თუმცა პირველ გამეგონა: თავსა ზედა მამათა მოწამეთასა კმდა, განა დედათა წამებითა და ცხორებითა ოდენ ვლამოდე გასრულებასა და ამას შინა მოვსცეთ. შემინდვეთ, ჰირნი კულა დიდნი მინახვან. ღმერთმან დაგაჯეროს. სული გაბრიელ პატარაისა მოიქსენეთ წმიდათა ლოცებათა თქუენტა.“

გაბრიელ ლასკაველი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თანა, — ღმერთმან შეუნდენეს ცოდვანი, — ოდეს მიმჭირდის, მათ მიეპმართი, პურაი მციან. იოვანე გასუეთილმან კუტალაითა ღუნოა მომართუა.“

ამ ანდერძიდან ჩანს, რომ გაბრიელ პატარას თავდაპირველად განზრახული ჰქონია მაგერიის (დედათა წამებათა და ცხოვრებათა შემეცელი კრებულის) შედგენა, შემდგომში კი მამათა წამებათა და ცხოვრებათა ტექსტებიც შეუტანია ძეგლში. ამის გამო ამბობს იგი: „ამას შინა მოვსცეთ“—ო და შენდობას ითხოვს.

კრებულს პარხლისას იმიტომ უწოდებენ, რომ ნათქვამია: „ესე მამათა მოწამეთაა რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვილე და მით გაეასრულე“. ამ ფრაზის მიხედვით მაინცდამაინც ის კი არ ჩანს, რომ ხელნაწერი პარხალში დაიწერა (როგორც ეს მკვლევრებს მიაჩნიათ), არამედ ის ირკვევა, რომ დედათა წამებათა და ცხოვრებათა დედანი არის პარხლური წარმომავლობისა, ხოლო პატერიკული ნაწილი იშხნური დედნიდანაა გადაწერილი. ისე კი, რა თქმა უნდა, სავარაუდოა, რომ ძეგლი სამხრეთ

საქართველოში იყოს გადაწერილი. ცხადია, არ გამოირიცხება მისი პარხ-
ალში გადაწერა თუნდაც იმის გამო, რომ იგი, როგორც ჩანს, XV საუ-
კუნემდე პარხლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას ეკუთვნოდა. 367r-ზე
არის მინაწერი: „ღმერთო, ნათლისმცემლო პარხლისაო, შეიწყალე სულით
ცოდვილი აბლმა და მისი ნათესავი.“ მაგრამ არც ის არის შეუძლებელი,
ხელნაწერი სხვაგან გადაწერათ და მერე შეეწირათ პარხლისათვის. ალბათ
უფრო სწორი იქნებოდა მისთვის პარხლურ-იმზნური მრავალთავი გვეწოდე-
ბინა.

ამ ძეგლის დიდი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის იმითაც არის
შეპირობებული, რომ მან შემოგვინახა იაკობ ხუცესის „შუმანიკის წამების“
ჩვენამდე მოღწეული უძველესი ტექსტი. სამწუხაროდ, ხელნაწერს აქ აკლია
თითქმის მესამედი (მთელი რვეული): „წამება“ იწყება 353-ე ფურცლის წინა
მხარეს და წყდება 359-ე ფურცლის უკანა მხარეზე. ბოლო სიგყვებია: „და
რამეთუ მოეძღუნა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდელი“.

ამავე ხელნაწერში გვხვდება „აბოს წამება“ (145v-169v), აგრეთვე მრავალი სხვა თხზულება.

ძეგლის გადაწერის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამრთა
სხვადასხვაობაა. თ. ჟორდანიას ფიქრობდა, რომ იგი X საუკუნისაა, კ. კე-
ელიძისა და ილ. აბულაძის ამრით, ხელნაწერი XI საუკუნეშია შექმნილი. მ.
ვან ესბროკმა დაამტკიცა, რომ ხელნაწერი X საუკუნით უნდა დათარიღდეს
(M.v. Esbroeck, Les plus anciens homéliars géorgiens, გვ. 56).

უკანასკნელ ხანებში ე. წ. პარხლის მრავალთავს, ისე როგორც სხვა
ქართულ მრავალთავებს, იკვლევს პროფ. მიშელ ვან ესბროკი. გაირკვა, რომ
ეს ძეგლი შედგება ორი ხელნაწერისაგან, რომლებიც ხელოვნურადაა შეერ-
თებული. მრავალთავი ხელნაწერის პირველი ნაწილია (გვ. 55).

ხელნაწერი თურქთა ტყვეობაში მოხვედრილა, XVII საუკუნეში იგი
დაუხსნია მარიამ დედოფალს და დავით გარეჯის უდაბნოს მონასტერში
ინახებოდა.

9. ჭილ-ეტრატის იადგარი

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ერთი მეტად საყურადღებო ძეგლი,
რომელსაც ჭილ-ეტრატის იადგარს უწოდებენ. მას ჭილ-ეტრატისა იმიტომ
პქვია, რომ მისი ნაწილი დაწერილია ჭილზე, ხოლო ნაწილი ეტრატზე. ა.
შანიძე აღნიშნავს: „წიგნი შედგება რვეულებისაგან, რომლებშიც ფურცლები
ზოგი ეტრატისაა, ზოგი კი – ჭილისა, მაგრამ ისე, რომ ჭილის ფურცლები,
როგორც უფრო სუსტი და მეტეხი, შიგნით არის მოქცეული, ეტრატი კი, რო-
გორც უფრო მკვიდრი და გამძლე, გარედანაც ეკერის რვეულს და შიგნით
შუაზედაც არის მოქცეული. ათფურცლიან რვეულებში ეტრატისა და ჭილის
ფურცლები უმეტესად ასე მისდევს ერთმანეთს: ეტრატი 1/10, ჭილი 2/9, 3/8,

4/7, ეგრ. 5/6, ასე რომ ეგრაგის ოთხ ფურცელზე თვითიველ რეველში ექვსი ჭილისა მოდის“ (ჭილ-ეგრაგის იადგარი, გვ. 214-215).

ხელნაწერი შეიცავს 313 ფურცელს. ვარაუდობენ, რომ დაკარგულია 27 ფურცელი (უძველესი იადგარი, გვ. 695). ტექსტი ერთ პირს გადაუწერია. ა. შანიძის ვარაუდით, გადამწერია იოვანე, რომლის მინაწერი ხელნაწერის პირველ ფურცელზე იკითხება: ღმერთო, შეიწყალე იოვანე, ამენ (ჭილ-ეგრაგის იადგარი, გვ. 216).

ძეგლი დაწერილია ასომთავრულიდან ნუსხურისაკენ გარდამავალი ხელით (ჭილ-ეგრაგის იადგარი, გვ. 216). ხელნაწერი შეიქმნა პალესტინაში (ა. ცაგარელი, ა. შანიძე...). გადწერის დროის თაობაზე საეციოლისტიკებს შორის ამრთა სხვადასხვაობაა. ასახელებენ სხვადასხვა თარიღს: VII საუკუნეს (ა. ცაგარელი), IX საუკუნეს (კ. კეკელიძე), VIII-IX საუკუნეებს (პ. ინგოროყვა), IX-X საუკუნეებს (ილ. აბულაძე, ლ. ხევსურიანი), X საუკუნეს (რ. მშერლინგი, ე. გარიტი, ბ. უტიე), XI საუკუნეს (ა. შანიძე). საფიქრებელია, რომ ჭილ-ეგრაგის იადგარი X საუკუნის ძეგლი იყოს, ამას უნდა მოწმობდეს როგორც პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნები, ისე მისი შედგენილობა, რასაც ყურადღება მიაქციეს ბ. უტიემ და ლ. ხევსურიანმა (B. Outtier, *Le iadgari sur papyrus et parchemin...* გვ. 338-339; უძველესი იადგარი, გვ. 697-699).

ხელნაწერი XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მღვდელმა პორფირი უსპენსკიმ იპოვა საბაწმიდის ლავრაში (პალესტინა) და წაიღო პეტერბურგში. მას ხელნაწერი ეთიოპურად დაწერილი ჰგონებია. 1883 წელს ა. ცაგარელს ხელნაწერი უნახავს პ. უსპენსკის სახლში და მასპინძელი დაურწმუნებია, რომ იგი ქართულია. პ. უსპენსკი 1885 წელს გარდაიცვალა. მის არქივში დაცული ხელნაწერები პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკამ შეიძინა. 1923 წელს ჭილ-ეგრაგის იადგარი ზოგ სხვა ქართულ წერილობით ძეგლთან ერთად საქართველოს დაუბრუნდა.

1977 წელს ჭილ-ეგრაგის იადგარი გამოსცეს და გამოკლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა.

ჭილ-ეგრაგის ხელნაწერში დაცული უძველესი იადგარის შემცველი სინური ნუსხები (Sin-18, Sin-41, Sin-40) გამოვლინდა უკანასკნელი ხანების ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად. ამან შესაძლებელი გახადა ტექსტის რეკონსტრუქცია, ჭილ-ეგრაგის იადგარის ძნელად ან მცდარად ამოკითხული ადგილების დაზუსტება.

ე. მეტრეველმა, ე. ჭანიკიევმა და ლ. ხევსურიანმა 1980 წელს ვრცელი გამოკვლევითურთ გამოსცეს „უძველესი იადგარი“. სხვა ნუსხებთან ერთად ამ გამოცემაში სათანადო ადგილი დაიკავა ჭილ-ეგრაგის იადგარმაც.

10. SIN-34 (ლიტურბიკული ენციკლოპედია)

უძველესი იადგარი¹ არის შეგანილი ერთ-ერთ მეტად საინტერესო ხელნაწერში, რომელიც ინახება სინის მთაზე, ეკატერინეს სახელობის მონასტერში. ამ ხელნაწერს კ. კეკელიძემ „ლიტურგიკული ენციკლოპედია“ უწოდა. მასში გარდა იადგარისა შესულია აგრეთვე „ჟამნი“, საეკლესიო კალენდარი, კითხვა-მიგებანი, ასტროლოგიური ცნობები და სხვ.

ხელნაწერი შეუდგენია იოვანე-ზოსიმეს. იგი შეიცავს 210 ფურცელს. ნაწერია გყავსა და ქაღალდზე ასომთავრულად და ნუსხურად.

უ. ჰანკიევი მიიჩნევს, რომ ხელნაწერი რამდენიმე (შეიქ) პირს გადაუწერია. ირკვევა ზოგი მათგანის სახელი: იოვანე, იოვანე-ზოსიმე, თომა (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, გვ. 34).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერში გვხვდება მხედრულისაგან გარდამავალი ნუსხური (172v, 180v, 181v, 182v, 184v).

ხელნაწერში უხვად მოიპოვება იოვანე-ზოსიმეს (კრებულის რედაქტორის) კომენტარები. ამ შენიშვნებში გამოვლინდება ბევრი ნეოლოგიზმი, რომლებიც ცოცხალი მეტყველების ამსახველია.

ხელნაწერში გვხვდება მრავალი ანდერძ-მინაწერი. აქ დავიმოწმებთ ზოგიერთს: „ფრიად ხაშმსა და თუალმორიდებითსა დამიჩხრეკიან საუდაბნოდ მეცნიერისა კაცისათუს, რომელი-რაა დამეკლოს, შემინდეთ ღმრთისათუს და ლოყვასა წმიდასა თქუენსა გვედია სული ჩემი ფრიად ცოდვილი და თქუენცა ქრისტემან შეგიწყალენ, ამენ“ (123r).

ერთ-ერთი საგალობლის შემდეგ მოთავსებულია იოვანე-ზოსიმეს ანდერძი: „კურელისონ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა და მადლითა წმიდისა [აღვგომისათა და ყოველთა წმიდათა ადგილთათა და მეოხებითა წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისათა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთა, წინაწარმეტყველთა, მოწამეთა, მღღელთმოძღუართა, მამათათა და ყოველთა წმიდათათა ესე საგალობელი იადგარნი, რომელსა შინა არიან ღლესასწაულნი ყოველნი ახალნი და ძუელნი სრულიად და ჟამნი ა-იბ-ნი სრულიად ქართულად და სა[ბაწმიდურად] და ქრონიკონი სრულიად ყოველი და სხუა მრავა[ლი] განგებაჲ, მომზადლა უფალმან დაწერად ლავრასა და უდაბნოსა წმიდისა მამისა... სალოცველად და მოსაქსენებელად სულისა ჩემისა ცოდვილისა და მშობელთა და ძმათა ჩემთა და ყოველთა მოკეთეთა და მ[ოლუა]წეთა ჩემთათუს.

აწ გვედრები მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი, მომგებელი და მჩხრეკალი ამისი იოვანე, თქუენ, ყოველთა ღმრთისმოყუარეთა და ძმათა

¹ ამ ხელნაწერის მიხედვით იადგარის ტექსტი ე. მეტრეველმა გამოსცა (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, თბ., 1971).

ჩემთა, რომელნი იმსახურებთ ამათ იადგართა, მოგვკსენენით ჩვენ, ცოდვილნი, რომელნი-ესე ვსწერთ, წმიდასა ლოცვასა თქვენსა, ცოცხალნი და მიცვალებულნი, რამათა წყალობითა ღმრთისამათა და მეოხებითა წმიდათა მისთამათა და ლოცვითა წმიდითა თქუენითა ღირს-მყ[ვენინ] მარჯუენით მისა ყოველნი, და გუესმისმცა ყოველთა კმაჲ იგი ტკიბილი მ[ისი]. ღირსმცა ვართ ყოველნი სმენად კმასა მას და შესლვად და დამკურებად [სასუფე]ველსა ცათასა მეოხებითა ყოველთა წმიდათამათა უკუენითი უკუნისამდე, ამენ. და ნუსცა ვისთჳს დაეყენების, ვისცა ვის უკმდენ, და რომელი რამეჲ დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათჳს და ლოცვა-ყაეთ ჩემთჳს, რამეთუ მრწამს თქუენი ლოცვაჲ, და თქუენცა ქრისტემან შეგიწყალენინ ყოველნი“ (143v).

უკანასკნელ ხანებში ლ. ხეესურიანმა მიაკვლია ამ მეგად საინტერესო ძეგლის 55 ფურცელს. ამათგან 51 ინახება პეტერბურგში, სალტიკოვ-შჩედრინის სასელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ბერძნულსა და სირიულ ფონდებში, ხოლო ოთხი – ლაიპციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ძალიან საინტერესოა იოვანე-ზოსიმეს ვრცელი ანდერძი, რომელიც აღმოაჩინა ლ. ხეესურიანმა. აქ მოგვყავს ნაწყვეტი: „დაიწერა და განსრულდა და შეიმოსა წმიდაჲ ესე იადგარი იერუსალემსა უდაბნოთა ლაერასა შინა დიდსა წმიდისა საბაჲსსა კელითა იოვანე შეუთომილისამათა დღეთა იოვანე კურთხეულისა პატრიარქისათა დასაბამითგანთა წელთა ქართულთა ხფ-ათ, ქრონიკონი იყო რჳე.“

რომელი-რამა დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათჳს, რამეთუ მე ზრიად მრწამს თქუენი ლოცვაჲ, და თქუენცა ქრისტემან შეგიწყალენინ ყოველნი, ამენ“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, გვ. 142).

ამრიგად, ირკვევა ამ ძეგლის დასრულების და მისი შემოსვის თარიღი – 965 წ. (ხფმთ=6569; 6569-5604=965 წ; რაჲ=185; 780+185=965 წ.).

11. შ ა ტ ბ ე რ დ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი

1882 წელს დიმიტრი ალექსის ძე მესხიშვილმა შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას რამდენიმე ხელნაწერი. მათ შორის განსაკუთრებით ძვირფასია X საუკუნის ხელნაწერი, რომელსაც ე. თაყაიშვილმა „მატბერდის კრებული“ უწოდა (ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 1), რადგანაც „ის თავის შინაარსით წარმოგვიდგენს კრებას სხვადასხვა ნაწერებისას ... ის გადაწერილია მატბერდის მონასტერში და შეწირულია ამავე მონასტრისათვის“ (იქვე). ხელნაწერი ჰკუთვნებია დავით რექტორს, რომელსაც იგი უჩუქებია თავისი ძმისშვილის – დიმიტრი მესხიშვილისათვის.

ძეგლი აშეამად დაყულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S-1141). შეიცავს 286 ფურცელს. ე. თაყაიშვილი ვარაუ-

დობდა, რომ შაგბერდის კრებულს აკლია 18 ფურცელი. ხელნაწერის ერთი ნაწილი (1-126) ასომთავრულად არის დაწერილი, ნაწილი – ნუსხურად. ე. თაყაიშვილის აზრით, ასომთავრული ანბანით შესრულებული ნაწილი გადაწერა ერთმა პირმა, ხოლო ნუსხურით გადაწერილი – სამმა. ასომთავრული გექსტი იოვანე-ბერამ გადაწერა. მასვე დაუწერია ნუსხურად 215-248 და 285 ფურცლები. სხვა ორი გადამწერის ვინაობა უცნობია. იოვანე-ბერას, კრებულის მთავარ რედაქტორს, როგორც მას ე. თაყაიშვილი უწოდებდა, ეკუთვნის რამდენიმე მინაწერი: „ქართლის მოქცევის“ ბოლოს იოვანე-ბერა წერს: „წიგნი ქართლის მოქცევისაჲ, რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინვა, დასაბამი წმიდათა ეკლესიათა გამობრწყინებისაჲ ... ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ეამთა და წელთა ეპოვეთ“ (248r).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იოვანე-ბერას ვრცელი ანდერძი, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის 285-ე ფურცელზე: „სახელისა წმიდისა სამებისაჲსა მქადაგებელნო, ზეგარდამო ქებულნო და დიდებულნო წმიდანო მღვდელთმობღუარნო, ნეტარნო გრიგოლი ნოსელ ებისკოპოსო და ღირსო ეპიფანე კუპრელ მამადმთავარო და განთქუმულო წმიდაო ბასილი, მწყემსო ყოველთა მორწმუნეთაო და დიდებულო იპოლიტმ, წინაწარმეტყუელნო, გამოუთქუმელთა მადლთა მეცნიერად მეტყუელნო, დიდად განსაკურებელნო კაცნო, პოვნილნო გულითად უფლისად, წოდებულნო მონად ქრისტესა, სამკურდებელნო სულისა წმიდისანო, რომელმანცა გამოუჩინებულნი და დაფარულნი სიბრძნისანი გამოგიცხადნა, და სული წრფელი განახლდა გუამთა თქუენთა, და დაუწერენით ეკლესიასა ქრისტესსა პირად-პირადთა წიგნთა თარგმანებანი და შესხმანი წმიდისა და ყოველად დიდებულისა ღმრთისმშობლისანი და ჩუენ გუაუწყეთ წესი აწინდელისა ქცევისაჲ ღმრთისმსახურებით და მოსაგებელი ნეტარისა მის საუკუნოჲსა სასოევით ცხოვრებისაჲ, ვითარცა ხილული, დაუმტკიცეთ გულისხმისმყოფელთა, ვითარცა თქუა დანიელ, საკურველმან წინაწარმეტყუელმან. მაშინ გამობრწყინდენ გულისხმისმყოფელნი იგი, ვითარცა მბრწყინვალებჲა სამყაროჲსაჲ, და რომელთა კეთილად ქელ-ყვეს დაუნჯებჲა მეცისა სიმდიდრეთაჲ წარგებითა ქუეყანისა მონაგებთაჲთა და ქველისსაქმისა მათისა ახოვანებჲა. ვითარცა ნესტუ ოხრის წინაშე ღმრთისა და კაცთა ყოველთა აიძულებს მიბაძვებად მათა, დადაცათუ გლახაკ ვინმე იყოს. ვითარცა წერილ არს: „მედგარო, ემსგავსე ჯინჭველსა“ და შებმა-უყავ უფროჲს ძალისა შენისა, რამეთუ ღმერთი არს მომცემელი ძალისაჲ, ამისთჳს მეცა არა დაფარე სწრაფჲა სულისა ჩემისაჲ მიზეზითა ნაკულევენებისაჲთა, და შეუდეგ კეთილსა გულსმოდგინებასა. მე, ცოდვილი და უნარჩევესი ყოველთა მოწესეთაჲ ივანე-ბერაი, და განვასრულე წმიდაჲ ესე წიგნი კაცისა მესაქმმ და მეორედ – წიგნი თუალთაჲ და სახისმეტყუელი და იპოლიტე და ქართლისა

მოქიყვამ და ცხორებამ ნეკარისა მის და დიდებულისა მდღელთმოძღურისაჲ იაკობ ნასიბინელისაჲ და თარგმანებამ მოგთარე უსალმუნთა დავეითისთაჲ მოლუაწებითა და თანადგომითა დედისძმისა ჩემისა მიქაელისა და მძისა ჩემისა დავეითისითა. და სხუამ არამ არაეის პრთაეს თუნიერ სიგლახაკისა ჩემისა. და შეეწირე შატბერდს საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲსა, რომელსაჲცა შინა აღვიზარდე ... სალოცეულად სულისა ჩემისა ცოდვილისა და მშობ[ელთა ჩემთა] და სალოცეულად მეფეთა ... ბაგრატ მეფისა და ყოველთა შვილთა მათთათჳს. და გვეედრები ყოველთა, ეინცა იმსახურებდეთ წმიდასა ამას...” (285 r-v).

დ. ბაქრაძემ ხელნაწერი IX საუკუნით დაათარიდა („შესანიშნავეი ქართული მანუსკრიპტი“: ივერია“, 1889, №6; „ისტორია საქართველოსი“, გვ.57-58; იხ. აგრეთვე თ. ჟორდანიას, „ახალი წყარო საქართველოს ისტორიისა“: „ივერია“, 1889, №4). ე. თაყაიშვილმა მიუთითა, რომ „შატბერდის კრებულის“ ერთ-ერთი გადამწერი ივანე-ბერაი და პარხლის ოთხთაეის (973 წელი) გადამწერი ერთი და იგივე პირია. იგი წერდა: „იმას შემდეგ, რაც დ. ბაქრაძემ დაბეჭდა „ივერიაში“ თავისი წერილი ქართლის მოქიყვის შესახებ, ჩვენ სამოგადოებაში მტკიცედ დამყარდა აზრი, რომ შატბერდის კრებული ეკუთვნის ბაგრატ I დროს, და ამ საგანზე არაეის ეჭვი არ გამოუცხადებია. მაგრამ ერთი ფრიად საყურადღებო სახარება პარხლის მონასტრისა, ჩვენგან გასულ ზაფხულს ნაპოენი, და გადაწერილი იმავე ივანე ბერაის ხელით, რომელიც არის მოთავე რედაქტორი შატბერდის კრებულისა, და რომელიც არაერთხელ იხსენიებს თავის თავს ამ კრებულის მინაწერებში, გვიმტკიცებს, რომ კრებული მეცხრე საუკუნეს კი არა, არამედ მეათეს ეკუთვნის“ (ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. XIX-XX).

ამრიგად, „შატბერდის კრებული“ გადაწერილია X საუკუნის 70-იან წლებში. წიგნი შეუმოსავთ XI საუკუნის დასაწყისში. ხელნაწერის პირველ ფურცელზე მოთაესებულ მხედრულ მინაწერს ე. თაყაიშვილი ასე კითხულობდა: „ქრისტე ღმერთო, [ა]დიდე დიდებითა საუკუნოთ[ა] ერისთავთ-ერისთავე კურიკე, რომლისა ბრძანებითა და ჩენ[ი]თა შეიშოსა წიგნი ესე კელითა მათისა მიწა-მოლოცეელისა მიქაელისითა“. ე. თაყაიშვილის აზრით, კურიკე კახეთის მეფე კვირიკე III უნდა იყოს (Описание рукописей ... СМОМПК, 40, გვ. 51). ხელნაწერს, როგორც ჩანს, XVI-XVIII საუკუნეებში გამოუცვალეს ყდის ყუა.

„შატბერდის კრებული“ ქართული კულტურის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მ. შანიძე წერს: „მეცნიერთა რამდენიმე თაობას არასოდეს შენელებია ინტერესი ამ ხელნაწერისადმი. ის გარემოება, რომ თავისი შედგენილობის მიხედვით უნიკალური კრებული შეიცავს უმნიშვნელოვანესი ისტორიული თხზულების „ქართლის მოქიყვის“ უძველეს ვარიანტს, საკმაო იქნებოდა ამგვარი ინტერესის მიზეზის გასაგებად. მაგრამ შატ-

ბერდის კრებულის მნიშვნელობა მარტო ამით არ განისაზღვრება. კრებულში შეტანილი ყველა თხზულება ხელნაწერის გადაწერაზე გაცილებით ადრე არის შექმნილი. თითოეულ მათგანში ნათლად ჩანს ძალიან ადრეული, წინათონური ლიტერატურული და მთარგმნელობითი გრადიციების კვალი. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ამ კრებულში შეტანილ თხზულებათაგან ზოგიერთი მხოლოდ ქართულ ენაზე არის შენახული სრული სახით, გასაგები გახდება ის შეფასება, რომელიც რ. ბლეიკმა მისცა შატბერდის კრებულს: ამერიკელმა ქართველოლოგმა, კრებულში შეტანილი ერთ-ერთი თხზულების გამომცემელმა, ხელნაწერს მასში შესულ ნაწარმოებთა მნიშვნელობის მიხედვით ქართულ ხელნაწერთა შორის „უთუოდ უპირველესი“ უწოდა“ (შატბერდის კრებული, გვ. 7).

ხელნაწერის პირველი აღწერილობა, ნ. მარის მიერ შედგენილი, 1888 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ (ნ. მარის ნებართვის გარეშე).

„შატბერდის კრებულმა“ ჩვენი საზოგადოების ყურადღება უმაღლეს მიიქცია. უკვე 1889-1890 წლებში გამოქვეყნდა თ. ჟორდანიას, დ. ბაქრაძის, ე. თაყაიშვილის ნაშრომები. 1890 წელს ე. თაყაიშვილმა გამოსცა „ქართლის მოქცევა“, რომლის უძველესი ტექსტი ამ ხელნაწერშია დაცული, ხოლო 1891 წელს – „ნინოს ცხოვრება“ (მოქცევა ქართლისა“-ს მეორე ნაწილი). 1891 წელს მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა ნაწყვეტები „შატბერდის კრებულიდან“. მოსე ჯანაშვილმა ხელნაწერის ერთ ნაწილს უწოდა „სასწავლო კრებული“ (მეორედ გამოსცეს რობერტ ბლეიკმა და ანრი დე ვიმ 1934 წ.). 1903 წელს ნ. მარმა დაბეჭდა „იპოლიტეს თქმული თარგმანება ქებისა ქებათა“. 1904 წელს მანვე გამოსცა „მკეცხათუს სახისა სიგუჯა“ (ნ. მარმა ამ პუბლიკაციისათვის გამოიყენა ე. თაყაიშვილის მიერ გამოსაცემად დამზადებული ტექსტი). იპოლიტე რომაელის „ქრონიკონის“ ტექსტი 1961 წელს დაბეჭდა ილ. აბულაძემ. შატბერდის კრებულში შემავალი ტექსტები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

1979 წელს ბაქარ გიგინეიშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა გამოაქვეყნეს „შატბერდის კრების“ სრული ტექსტი. ეს არის ამ უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლის აკადემიური გამოცემა, განხორციელებული თანამედროვე ტექსტოლოგიის დონეზე.

12. „ქართლის ცხოვრების“ 80-ი ხელნაწერი

საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა „ქართლის ცხოვრება“, რომელშიც ასახულია ჩვენი ქვეყნის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე. „ქართლის ცხოვრება“ ჩვენამდე მოღწეულია 16 ხელნაწერით.

„ქართლის ცხოვრების“ უძველესი ხელნაწერია ე.წ. ანასეული ნუსხა (ხელნაწერთა ინსტიტუტის Q-795). იგი შეიცავს 470 გვერდს, დაწერილია

მხედრულად. ხელნაწერის მომგებლები არიან დედოფალ-დედოფალი ნესტან-დარეჯან, მისი ვაჟი – ალექსანდრე და ანა დედოფალი.

ხელნაწერის 410-ე-412-ე გვერდებზე არის გადაწერის ანდერძი: „...ადიდენ ლმერთმან და დაამყარენ ორთავე ცხოვრებათა შინა პაგრონნი: დედოფალთ-დედოფალი ნესტან-დარეჯან და ძე მათი, მეფე ალექსანდრე, და დედოფალი ანა. ესენი იყუნეს უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწმუნენი, მამუნებელნი ეკლესიათანი. რამეთუ ალავერდი წარტყუნულ იყო წარმართთაგან, რომელ სხუათა მეფეთა ვერ კელ-ეყო განწმედად და აღშენებად, ამათ აღაშენეს და განწმიდეს ყოვლისაგან ღუარ-ძლისა, აღაშენეს ცაჲ და გუმბათი და სამკრონი, რაბამ რამე აღმატებულად და შემსგავსებულად, ვითარცა ჯერ-იყო, წინანდელთა ქმნულთა ნივითა სიკეთითა და მოქმნულებისა შეუსწორებლობისა. და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათათა, წმიდათა ხატთა და სიწმიდისა სამსახურებელთა, ყოვლად დიდებულთა, ყოვლითა სიკეთითა, შესწირნა მრავალნი გლეხნი სამსახურებელად წმიდისა გიორგისა და მოწესეთა მისთათუის, შემდგომად ამათ თანა რაოდენნიმე ეკლესიანი აღაშენეს და რაოდენნიმე წარმართთაგან შეგინებულნი ეკლესიანი განწმიდნეს სახლად ღმრთისა და წარსამართებლად მეფობისა თუისისა.“

ღმერთო და ყოველნო წმიდანო მისნო და წმიდაო გიორგი ალავერდისაო, მთავარმოწამეო, მცველ და მფარველ, მქარისა მდგომელ და განმმარჯუებელ ექმნენით ორთა ცხოვრებათა შინა პაგრონთა: დედოფალთ-დედოფალსა ნესტან-დარეჯანს და ძესა მათსა, ღმრთივეგუირგუინოსანსა მეფესა ალექსანდრეს და დედოფალსა ანას, რომლისა მიერ გუებრძანა პატიოსანთა ამათ წიგნთა აღწერა. დადაცათუ ჩუენ შეუძლებელ ვიყვენით, არამედ ბრძანებათა მისთა ვერდარა ურჩ ეექმნენით. ხოლო ჩუენ ძალისაებრ, ვითარცა ძალ-გუედევა, ვილაუწეთ, დადაცათუ ნალუაწი ესე უნდო და უმუერ არს, არამედ შენდობა იყავენ ყოველთაგან.“

ივ. ჯავახიშვილს ანასეული ხელნაწერი XV საუკუნის ბოლოს, 1479-1495 წწ-ში, გადაწერილად მიაჩნდა. უკანასკნელ ხანებში ამ ხელნაწერს XVI-XVII სს-თა მიჯნით ათარილებენ (С. С. Какабадзе, Установление критического текста начальной части "Картлис цховреба": "Палестинский сборник", 15 (78), გვ. 172; ნ. შოშიაშვილი, „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი; „მრავალთაჲი“, V, გვ. 45-55).

ხელნაწერში დაშვებულია მრავალი შეცდომა (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. LIII-LXI). გვხვდება ისეთი შეცდომებიც, რომლებიც მოწმობენ, რომ ანასეულ ნუსხას ნუსხური ღედანი სდებია საფუძვლად: მიემორა<მიეობა, მსახურნი<მსტოეარნი, ბან-ქორი<მანქორი და სხვ. (ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. LXII-LXIII).

ხელნაწერი 1913 წელს აღმოაჩინა ივანე ჯავახიშვილმა, გამოსაცემად დაამზადა ნათელა ჯავახიშვილმა. ტექსტი პირველად დაიბეჭდა 1942 წელს ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით და ვრცელი გამოკვლევით.

მარიამისეული ხელნაწერი (S-30) 470 ფურცელს შეიცავს. ნაწერია რამდენიმე პირის მიერ მხედრულად. ხელნაწერი ხელთ აქონია ვახტანგ VI-ს. იგი ჩვენი სამეცნიერო სამოგატოებისათვის ცნობილი გახდა 1884 წლიდან (იხ. „ივერია“ 1884, № VI-VIII, სადაც დაბეჭდილია დ. ბაქრაძის ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ წინასიტყვაობა).

ხელნაწერში დასტურდება რამდენიმე ანდერძი: „ყოფილს დედოფალს მარიამს დღეგრძელობით ღმერთმან შეუნდოს ცოდვანი მისნი, ამინ“ (52r);

„ღმერთო და წმიდაო ღმრთისმშობელო, ორსავე ცხოვრებასა შინა მისსა დაიციე ქართლისა დედოფალი მარიამ, რომლისა ბრძნებით აიწერა ცხოვრება ქართლისა“ (129v);

„ღმერთო, წარმართე დედოფალთ-დედოფალი მარიამ და ცოდვანი მისნი შეუნდვენ. ღმერთო, შეიწყალე მწერალი ამისი გიორგი“ (142v).

„ღმერთო, დაიციე ორსავე ცხოვრებასა შინა დედოფალთ-დედოფალი მარიამ და ძე მისი პირმშო ოგია, რომლისა ბრძანებითა იწერება წმიდა ესე წიგნი“ (406v).

თელიან, რომ მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ გადაწერილია 1633-1646 წლებში.

მარიამისეული ნუსხა პირველად 1906 წელს გამოსცა ე. თაყაიშვილმა.

ხელნაწერში გვხვდება მრავალი შეცდომა, მცდარი დაწერილობანი, რომელთა მიზეზი ნუსხური დედნის შეცდომით ამოკითხვაა.

1923 წელს ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. ჭალაშვილისეული ნუსხა, რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (Q-207). იგი შეიცავს 614 ფურცელს. ნაწერია ქალაქში მხედრულად. ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება. მისი დასაწყისი და ბოლო (დაახლოებით ორი მესამედი) 1731 წელს გადაუწერია ერაჯ ჭალაშვილს, ხოლო შუა ნაწილი გადაწერილია XVI-XVII საუკუნეთა ხელით.

ხელნაწერში გვაქვს ვახტანგ მეექვსის რედაქციამდელი „ქართლის ცხოვრება“, რომელშიც დაცულია „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“. ამასთანავე ამ ხელნაწერის ჭალაშვილისეულ გადაწერაში შემონახულია ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ მიერ შემუშავებული ტექსტის უძველესი ვარიანტი.

1959 წელს აკაკი კლიმიაშვილმა იმერეთში, სოფ. პატარა ხონში, ოღლა მაჭავარიანის ოჯახში იპოვა „ქართლის ცხოვრების“ მანამდე უცნობი ხელნაწერი, რომელიც სვეტიცხოვლის კუთვნილი „ქართლის ცხოვრების“ ასლს წარმოადგენს. მცხეთური „ქართლის ცხოვრება“ მოიხსენიება 1564 წლის

საბუთში. იგი დაკარგულად ითვლებოდა. ამჟამად დაუკლია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ხელნაწერი ნუსხური ანბანით არის გადაწერილი. დამიანებულია, აკლია თავსა და ბოლოში. ხელნაწერს ახლავს ვრცელი ანდერძი: „მომენიჭა და მომემადლა საწადელი ეს[ე] ცხოვრება და ანბაი ყოვლისა ჩრდილოეთისა საქართველოსი და მოქცევა წმიდისა მეთათამეტე მოციქულისა ნინოს მიერ, ცხოვრება და შარავანდელობა მორწმუნეთა და კეთილად მსახურთა ღმრთისათა ხოსროიანთა და პაკრაგიონთა, ვითარ სუფეედნენ, ვითარ ძალ-ედვათ, ვითარ იყოფებოდნენ. მსუროდა და მწადდა, რათამეა კელად მომელო ამბაი მათი და გარდამომენუსხა. არა იპოებოდა სანახებსა კახეთისასა, არამედ მცხეთას ოდენ ისხნეს ეკლესიასა შინა თაეთა მოციქულთასა, სუეგსა ღმრთივადმართებულსა, ახალსა იერუსალიმსა. სრულ იქმნა საწადელი ჩემი: მოვიხუენ და გარდავაწერინე ჩუენ, ყოვლად უღირსმან, მდაბალმან და არაკადნიერმან, მრუმედ მხედველმან და დრკუდ მავალმან, რეუა ხუცეს-მონაზონმან, რომელსა მომენიჭა უღირსად ეპისკოპოზობა და კელთ-მედვა ბრუნეა უჯარმისკარს ღიდებულისა და ცხოველისა ეკლესიისა წმიდისა სამეზისა, ნიკოლოზს, ძესა მწიგნობართუხუცესისა იოანესა. რაოდენი ეპოვე, ანუ დედასა შიგან ეწერნეს, ყოველივე აღვაწერინე და მივართუით ღირსისა და ყოვლად სანატრელისა ამბა ალავერდელისა ნიკოლოზის ძმას ჩოლოყაძეს, კეთილმორწმუნესა, რჯულსა ქრისტიანობისასა მტკიცედ მპყრობელსა, ღმრთისმოშიშს, სამართალ-გამგეობით ქებულსა სახლთუხუცესს ღურმიშხანს, მას ეამსა, ოდეს მეფედ ჯდა საქართველოს კახეთის მეგუიღრეთ კელმწიფეთშიელი ერეკლე, ხოლო კახეთი ყენს მიებობა და განჯის ხანი მპყრობელობდა. დაიწერა დაბასა სამეზისასა ქრონიკონსა ტჟე“.

ძეგლი გადაწერილია 1697 წ. (1312+385=1697 წ.).

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესწავლასა და მის მეცნიერულ პუბლიკაციას უდიდესი ამაგი დასდო ს. ყაუხჩიშვილმა. მან ყველა ხელნაწერის მიხედვით დაადგინა ამ ძეგლის ტექსტი, დაურთო გამოკვლევა და ლექსიკონი (I ტომი გამოვიდა 1955 წ.; II – 1959 წ.; IV – 1973 წ.).

13. „ვეფხისტყაოსნის“ 1646 წლის ხელნაწერი

„ვეფხისტყაოსანი“ ჩვენამდე მრავალი ხელნაწერთაა მოღწეული (ხელნაწერთა რიცხვი 160-ს აჭარბებს). სამწუხაროდ, დღეისათვის დაკარგულად ითვლება პოემის უძველესი ხელნაწერები. შემოგვრჩა მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები და მინაწერები XV საუკუნიდან, ამჟამად ძნელია იმის თქმა, თუ რა მოუვიდა იმ ძველ ხელნაწერებს, რომელთაგან ერთი ეტრატზე ყოფილა ნაწერი, მეორე კი 1443 წლისაა, და რომლებიც პლატონ იოსელიანს უნახავს (П. Юселиани, Шота Руставели, გვ. 2-4).

ჯერჯერობით ცნობილ ხელნაწერთა შორის ყველაზე ადრინდელად ითვლება 1646 წ. მამუკა თავაქარაშვილის გადაწერილი ნუსხა (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში - H-599). იგი შეიცავს 267 ფურცელს. ნაწერია მხედრულად. პოემის ტექსტი სამეგრელოს მთავრის ლევან II-ის დაკვეთით გადაუწერია მამუკას, რომელიც სამეგრელოს მთავრის ტყვე ყოფილა. მასვე მოუხატავს ხელნაწერი. 267-ე ფურცელზე იკითხება გადამწერის ანდერძი: „[დიდება სრულმყოფელსა ღმერთსა, ყოველთა შემწე-მფარველსა, ვიწყე ეს „ვეფხისტყაოსანი“ თიბათეხსა ცაშეტსა, სრულ-[ვეყავ] თერამეტსა აგვისტოსა, ქრონიკონსა სამასოცდათოთხმეტსა. [თუ რა]მ აკლდეს, ნურავინ დამწყველით, ტყვეობაშიდ ვსწერდი“.

მე-19 საუკუნის დასაწყისში ხელნაწერი კუთვნილია გრიგოლ ანთაძეს, რასაც მოწმობს შემდეგი მინაწერი: „ეს სრული ვეფხისტყაოსანი“ თავისის სრული სამხატრომთა აზნაურის გრიგოლ ანთაძესი არის. უმეტნაკლებო, რომელთაც გენებოს საუბარნი, ესე იხმაროთ. კარგად გაფრთხილდით, რომ არსად წაბღალათ და არც დახივოთ, რო[მელზე]დაც დიდი შრომა და ღვაწლი არის დადებული. რომელმაც ზრახოს მოსაპარაუად და ან შეეხოს, მასამე პრისხამდეს მამა, ძე და სული წმინდა, ამინ, ამინ, ამინ“ (1r). 1911 წელს ხელნაწერი ნინო კორინთელისაგან იყიდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმმა. შემდგომში სხვა ხელნაწერთან ერთად გადაეცა საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ინსტიტუტის განყოფილებას, ხოლო 1958 წელს - ხელნაწერთა ინსტიტუტს.

IV. საქართველოსა და მის გარეთ არსებულ ცენტრებში დაცული ქართული ხელნაწერები

მემოთ უკვე ითქვა, რომ ქართულ ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობა ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ამას გარდა, მრავალი ძვირფასი ხელნაწერი დაცულია სხვა წიგნთსაცავებსა და მუზეუმებში, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

საქართველოს სახელმწიფო არქივში ინახება 700-მდე ხელნაწერი. მათ შორის №107 -ოთხთაეი (X ს.), №172 - საგალობელთა ნაწყვეტები (X ს.), №200 - სამოციქულოს ფრაგმენტები (XI ს.) და სხვ. არქივში ძველ ხელნაწერთა ფონდი 1923 წელს შეიქმნა. აქ ინახება მოსკოვისა და პეტერბურგის სიძველეთსაცავებიდან ჩამოგანილი ძეგლები, აგრეთვე საქართველოს

სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი სიძველეები (ხელნაწერთა აღწერილობა ორ ტომად არის გამოცემული I - 1949 წ., II - 1950 წ.).

ასამდე ხელნაწერია დაყული საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მათ შორის უძველესია კალის (ლაგურკის) ლექციონარი, რომელიც X საუკუნის I ნახევარშია გადაწერილი და ნაპოვნია კალის (ლაგურკის - მესტიის რაიონი) წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესიაში, (აქედან სახელწოდება - ლაგურკის ლექციონარი. სვ. ლაგურკა - „საკვირიკო“). 1241 წელს არის გადაწერილი ოთხთავი (№1). სხვა ნუსხათაგან დაეასახელებთ კრებულს (1732 წ. №2), რუსუდანიანს (1821 წ. №8) და სხვ. ბიბლიოთეკაში დაყული ხელნაწერები და დოკუმენტები აღწერა ე. ჩიკვაშვილმა (48).

ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია ინახება აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში¹. აქ უმთავრესად თავმოყრილია იმერეთის, რაჭისა და ლეჩხუმის ეკლესია-მონასტრებიდან შემოსული ხელნაწერები. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს გელათის მონასტერში გადაწერილი და დაყული ძეგლები, რომლებიც ასახავენ იმ დიდ კულტურულ მუშაობას, რომელიც აქ თავის დროზე იყო გაჩაღებული (ისიც აღსანიშნავია, რომ მრავალი გელათური წარმომობის ხელნაწერი ამჟამად თბილისში ინახება).

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაყული ხელნაწერები უმთავრესად XI-XVIII საუკუნეებით თარიღდება. დაეასახელებთ რამდენიმეს: №176 (ახალი აღთქმის ნაწყვეტები, XI ს.), №19 (იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება, 1047 წ.), №20. (იგივე ძეგლი, 1048 წ.), №21 (იოანე ოქროპირის იოვანეს სახარების თარგმანება, 1053 წ.), №181 (ფსევდომაკარი მეგვიპელის თხზულებანი, XI ს.), №668 (სახარების ფრაგმენტები, XI ს.), №671 (ბიბლიის ფრაგმენტები, XI ს.) და სხვ. ქართული მწერლობის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეგაფრასულ კრებულებს (№1, №2, №3, №4, №5). მათ შემოინახეს მრავალი უნიკალური ძეგლი.

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი ინახება. მათ შორის ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანია აღიშნის ოთხთავი (897 წ.). ეს არის უძველესი თარიღიანი ქართული ხელნაწერი საქართველოს წიგნთსაცავეებში. სხვა ხელნაწერთაგან უაღრესად საინტერესოა ლატალის ლექციონარი (X ს. I ნახევარი), მესტიის ოთხთავი (XI ს.), იელის იადგარი (X-XI სს.), იენაშის ოთხთავი (XII-XIII სს.). აქვე ინახებოდა კალის ლექციონარი (X ს. I ნახ.), ძველი ქართული ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომელიც ამჟამად რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდშია დაყული.

¹ 1953 წელს გამოიყა ამ ხელნაწერთა აღწერილობის I ტომი, 1963 წელს კი - II. სულ ამ წიგნებში აღწერილია 692 წერილობითი ძეგლი.

არაერთი საინტერესო ხელნაწერია ახალციხის, გორის, ზუგდიდის, მარტვილის, ბათუმის, თელავისა და საქართველოს სხვა ქალაქების მუზეუმებში.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლთა მნიშვნელოვანი კოლექცია ინახება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (პეტერბურგი). რ. ორბელი, რომელმაც შეადგინა ამ ხელნაწერთა ვრცელი აღწერილობა, წერდა: "Собрание грузинских рукописей Института востоковедения Академии Наук СССР содержит письменные памятники, представляющие большой интерес для изучения истории и культуры грузинского народа. При решении отдельных научных вопросов многие из них служат важными источниками, а некоторые представляют чрезвычайно ценный материал для изучения грузинской палеографии, что относится преимущественно к экземплярам, замечательным своей древностью или художественным оформлением" (Р. Р. Орбели, Собрание грузинских рукописей, გვ. 1). აქ დაცულია 506 ხელნაწერი და 429 დოკუმენტი. რ. ორბელმა გამოაქვეყნა მხოლოდ 161 ხელნაწერის აღწერილობა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ინახება გ. ავალიშვილის, მ. ბროსეს, თ. ბაგრატიონის, პლატონ იოსელიანის, ა. შეგერენისა და სხვათა კოლექციები და არქივები, რომლებიც შეიცავენ ქართული ენისა და კულტურისათვის უაღრესად საინტერესო ძეგლებს. მათ შორის შეიძლება დაეასახელოთ „იოვანე ოქროპირის თარგმანება იოვანეს სახარებისა“, გადაწერილი 1038 წელს, გრიგოლი ნაძიანძელისა და გრიგოლი ნოსელის ნაწარმოებები (1040 წ.). მიუთითებენ, რომ ეს არის უნიკალური ნუსხა, რომელიც შეიცავს ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ ამ საინტერესო თხზულებებს (Р. Р. Орбели, დასახ. ნაშრ., გვ. 62), აქვეა დაცული ანტონი პირველის „ქართული გრამატიკის“ ნუსხა და მრავალი სხვა.

სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ წერილობით ძეგლთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია: იოანე-ზოსიმეს ნარედაქციევი ასტრონომიულ-გამოთვლითი გრაქტაგი (951 წ.), ტბეთის ოთხთავი (995 წ.), ქსნის ოთხთავის ფრაგმენტები (X ს. I ნახევარი), საგალობელთა კრებულები და სხვ.

სალტინოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ბერძნულ და სირიულ ფონდებში ლ. ხევსურიანმა მიაკვლია ფრაგმენტებს Sin-34 ხელნაწერისა (51 ფურცელი). კრებული შეადგინა იოვანე-ზოსიმემ. მანვე გადაწერა ერთი ნაწილი.

XVIII-XIX საუკუნეების 9 ხელნაწერი ინახება მოსკოვში, ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (ნასყიდობის წიგნი, 1729 წ., პარაკლისნი, 1822 წ., ფსალმუნნი, 1859 წ., სიბრძნე სიყრუისა, 1782 წ., ეამნი, XVII-XIX სს. და სხვ.). ისინი აღწერა ლ. ქუთათელაძემ.

ძველი ქართული ხელნაწერები ინახება ერევანში, მაგენადარანის კოლექციაში, აგრეთვე ერშიაძინის საპაგრიარქო ბიბლიოთეკაში. სამწუხაროდ, მათი დაწვრილებითი აღწერილობა არ მოგვეპოვება.

ქართული ხელნაწერები არის პარიზის, რომის, ეენის, გრაციის, გოტინგენის, ჰალეს, ლაიფციგის, მარბურგის, ტიუბინგენის, ლონდონის, პარეარდის, ოქსფორდის, ბირმინგემის, სოფიის, კრაკოვის, პრადის და სხვა დიდი ქალაქების მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში.

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ამჟამად ინახება 29 ქართული ხელნაწერი. ეს ხელნაწერები სხვადასხვა დროს აღწერეს მ. ბროსემ, ალ. ხახანაშვილმა, ფრ. მაკლერმა, ე. თაყაიშვილმა. პროფ. ე. თაყაიშვილი წერს: „პარიზის ქართულ ხელნაწერებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც ჩვენთვის. აქ დაკულია რამოდენიმე იშვიათი ხელნაწერი, რომელთა ცალი ან სულ არ არის, ან ცოტა მოგვეპოვება ცნობილ წიგნთსაცავებში“ (ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები..., გვ. 1).

აქ დაკული ქართულ წერილობით ძეგლთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ №3 (ლექციონარი, XI ს.), №5 (მარხვანი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება, პირველი – XI ს., მეორე – XII ს., მესამე – XIII ს.), №42 (იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება, XI ს.), №28 (ოთხთაეი, XIII ს.), №8 (საგალობელთა კრებული XII ს.) და სხვ.

საინტერესოა, რომ №28 ხელნაწერი საქართველოში არის გადაწერილი და შეწირულია იერუსალიმის ჯერის მონასტრისათვის. იგი ამ მონასტრიდან დიდი ხნის წინ წაუღიათ. სწორედ ამის გამო ვერ მოხვდა იგი ა. ცაგარელისა და რ. ბლეიკის აღწერილობებში (ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 64).

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკას ბოლო ხანებში, მას შემდეგ, რაც გამოვიდა ე. თაყაიშვილის აღწერილობა, მხოლოდ ერთი პატარა კრებული შეემატა, რომელიც შეიცავს 3 ფურცელს. ამ კრებულის პირველი ფურცელი, როგორც ეს ნათელყო ბ. უტიემ, არის ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტი, თავის დროზე აღწერილი ა. ცაგარელის მიერ სინის მთაზე.

ავსტრიაში ქართული ხელნაწერები დაკულია ვენასა და გრაციში. ვენაში 4 ქართული ხელნაწერი ინახება ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ხოლო 7 – მხითარისტების ბიბლიოთეკაში. მხითარისტთა ბიბლიოთეკაში დაკული ხელნაწერები შედარებით ახალია (XVIII ს.). აქ ინახება: ფსალმუნნი, მოსეს გალობანი, ანას ლოცვა, იონას გალობა და სხვ.

ეენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაკულ ხელნაწერთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია №2 და №4. №2 კრებული შეიცავს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირის მიერ გადაწერილ თხზულებებს. მათ შორის აღმოჩნდა ქართული ენისა და მწერლობისათვის უმნიშვნელოვანესი ხანმეტი ტექსტები. ამ ხელნაწერს ინგენსიურად იკვლევს ინგლისელი პროფესორი ჯ.

ბერდშოლი. ხელნაწერი თავის დროზე აღწერა ალ. ცაგარელმა. იგი ჯერის მონასტერში ინახებოდა.

№4 ხელნაწერი მრავალთავის მსგავსი კრებულია, აგრეთვე უაღრესად საინტერესო. იგი გადაწერილია 1160 წელს კედვაში, გარეჯის მახლობლად. ეს ძეგლიც, როგორც გრ. ფერაძე ფიქრობს, ჯერის მონასტერს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი ა. ცაგარელს არ უნახავს, მანამდე მოიტაცეს.

№3 ხელნაწერი თებერვლის თენის შემეყვლია. გადაწერილია იოანე ხახულელის მიერ X-XI საუკუნეებში. იგი აღწერა ა. ცაგარელმა.

ეს ხელნაწერები ვენის ნაციონალურმა ბიბლიოთეკამ 1931 წელს შეიძინა ალექსანდრიაში ვიღაც ანტიკვარისაგან.

№1 ხელნაწერი წარმოადგენს სახარებას (გიორგი მთაწმიდლის რედაქციისას). იგი 1931 წლამდე მოუპოვებოდა ვენის ბიბლიოთეკას. ვენის ხელნაწერები აღწერა გრ. ფერაძემ.

ქალაქ გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ცნობილი ქართველოლოგის პ. მუხართის ნაანდერძე კოლექციაში, ინახება 7 ქართული ხელნაწერი (5 ასე თუ ისე სრული, 2 კი ნაწყვეტების სახით მოღწეული). ისინი პ. მუხართმა შეიძინა ალფონს მილიხისაგან. ეს ხელნაწერები თავის დროზე დაკული იყო სინის მთაზე. აღწერა ა. ცაგარელმა 1883 წელს. როგორც ჩანს, 1883-1895 წლებში ისინი გაიტაცეს და ევროპაში წაიღეს გასაყიდად (ვენელმა მხატვარმა, რომელსაც ეს ხელნაწერები ჩაუვარდა ხელთ, ისინი შესთავაზა ვენის სასახლის ბიბლიოთეკის დირექტორს ფონ ცაისბერგს. ცაისბერგმა ხელნაწერები არ იყიდა მათი საექვო წარმომშობის გამო. მაშინ ისინი შეიძინა პ. მუხართმა, რომელსაც შესანიშნავად ესმოდა მათი მნიშვნელობა).

გრაცში დაკულ ხელნაწერთაგან უმნიშვნელოვანესია ხანმეტი ლექციონარი. ამ ძეგლის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ და ამჯერად არას ვიტყვი. სხვა ხელნაწერებია: №2 (ფსალმუნნი, X ს. I ნახევრისა. პალიმფსესტია. ქვემოთა ტექსტი სომხურია), №3 (სუმონ სალოსის ცხოვრება), №4 (კონდაკი, X ს.), №5 (იოვანე ოქროპირის ეამისწირვა, X ს.), №6 (ნაწყვეტი იოანეს სახარებიდან – 15, 8-19, X ს.), №7 (ნაწყვეტი მრავალთავიდან, X-XI ს.).

პ. მუხართს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ გადაგვირჩინა ქართული ენისა და მწერლობის ეს შესანიშნავი ძეგლები.

გერმანიაში (გოტინგენი, პალე, ლაიფციგი, მარბურგი, ტიუბინგენი) დაკული ხელნაწერების (15 ერთეული) აღწერილობა გამოსცა ცნობილმა ქართველოლოგმა იულიუს ასფალგმა. გოტინგენში ინახება ერთი ხელნაწერი (სირიულ-ქართული პალიმფსესტი, XI ს.), პალეს აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების ბიბლიოთეკაში – ერთი (ყარამანიანი), ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში – ხუთი ხელნაწერი (ნაწყვეტები მრავალთავიდან, 9

ფურცელი, XI ს.; თთუენი, XII ს.; კრებული, X-XIII სს.; მარხვანი, X-XIII სს. და სხვ.). მარბურგის ბიბლიოთეკაში ინახება 4 ხელნაწერი (იოანე ოქროპირის ეამისწირვა, X-XI სს.; ეამნი, 1728 წ.; კრებული, 1778 წ.; სახარების ნაწყვეტები და ლოცვანი, XIX ს.). გიუბინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება 4 ხელნაწერი (ეამისწირვა, XIV-XV სს.; სულხან-საბას ლექსიკონი, XVIII ს., მეფე ირაკლის ისტორია XVIII ს.; სახარების ნაწყვეტები, XII ს.).

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერთა შორის ყველაზე ძველია ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ფრაგმენტები, რომლებიც შეიყავენ იერემიას წინასწარმეტყველების ნაწყვეტებს. მათი ფოტოკოპირები გამოსცა პ. კოკოვეცემა, ხოლო ქართული ტექსტი წაიკითხა და გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილმა.

ოქსფორდის ქართული ხელნაწერების შესახებ საქეციალური ნაშრომი ეკუთვნის გამოჩენილ ინგლისელ ქართველოლოგს დ. ლანგს.

ბრიტანეთის მუზეუმში ინახება მრავალთავის XI საუკუნით დათარიღებული ხელნაწერი („მამათა ცხოვრებანი“). ეს საინტერესო ძეგლი ვრცელი გამოკვლევითურთ გამოსცა ვ. იმნაიშვილმა 1975 წელს.

კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ხანმეტი იერემიას წინასწარმეტყველების ფრაგმენტები. ამ ხელნაწერის შესახებ უკვე ვისაუბრეთ.

ოლივერ უორდროპმა 1911 წელს, თბილისში ყოფნისას, შეიძინა რამდენიმე ქართული ხელნაწერი ოქსფორდის უნივერსიტეტში დაარსებული მარჯორი უორდროპის სახელობის ფონდისათვის (მარჯორი უორდროპი 1909 წ. გარდაიცვალა). ამ ფონდმა დიდად შეუწყო ხელი ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებას ინგლისში.

ო. უორდროპის მიერ თბილისში შესყიდული ხელნაწერები აღწერა ე. თაყაიშვილმა. ო. უორდროპს შეუძენია: ვახტანგ VI -ის სამართლის შემცველი კრებული, სულხან-საბას ლექსიკონის ხელნაწერი, სირინოზიანი, ალექსანდრიანი, ანდრია სალოსის ცხოვრება, ემოპეს ცხოვრების აღწერა, სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ და სხვ., სულ 13 ხელნაწერი. ამჟამად ისინი დაცულია მარჯორი უორდროპის ფონდში.

ამას გარდა ამ ფონდში ინახება „ეფუხისტყაოსნის“ ხელნაწერები, მთელი რიგი იურიდიული დოკუმენტები და სხვ.

ვატიკანის ფონდებში ამჟამად დაცულია 17 ხელნაწერი და მრავალრიცხოვანი დოკუმენტები. ხელნაწერების საფუძვლიანი აღწერილობა გამოსცა მ. თარხნიშვილმა.

ვატიკანის ფონდებში დაცული ძეგლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: X საუკუნეში გადაწერილი ოთხთავი (№ 1 Iberico du Vaticani), მამათა სწავლანი, 1123 წლისა (Borgia georgiano № 4), კურთხევანი, XIII-XIV სს.

(Borgia georgiano № 7), თეოდორე სტუდიელის სწავლათა გიორგი მთაწმინდისეული თარგმანი (Borgia georgiano № 8) და სხვა.

ამშ-ში, ქ. ნიუტონში, ინახება X საუკუნის შესანიშნავი ხელნაწერი – ბერთის ოთხთავი, იგი გადაწერილია სამხრეთ საქართველოში, ბერთაში. ეს ხელნაწერი 1830 წელს შეუქენიათ ამერიკელ მისიონერებს ყარსში. რ. ბლეიკმა პირველად აღწერა ეს ხელნაწერი და იგი X საუკუნის მიწურულით დაათარიღა.

ამერიკაში ინახება აგრეთვე თთვენი (XI ს.).

პრისტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ალექსანდრე კუპრელის „საკითხავი პოენისათჳს პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯუარისა“ (X ს.). იგი ინახება Garrett-ის კოლექქიაში (№ 24). ტექსტი გამოსცა თ. მგალობლიშვილმა (1978 წ.).

V. უკველესი ხელნაწერთსაცავები

პალესტინაში ქართველთა ინტენსიური მოღვაწეობის კვალი V საუკუნიდან იჩენს თავს. დიდი ცენტრები იყო საბაწმიდა, პალავრა, სინის მთა, გოლგოთა, კაპათა, გეთსიმანია და და სხვები. ასე, მაგალითად, „საბაწმიდა არის ქართველთა მწიგნობრული საქმიანობის უძველესი კერა უცხოეთში“ (ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, გვ. 328). აქ შემუშავდა ქართული ოთხთავის ე. წ. საბაწმიდური რედაქცია, გადაიწერა სინური მრავალთავი და სხვ. საბაწმიდის ლავრაში მოღვაწეობდნენ: მაკარი ლეთეთელი, პიმენ კახი, გიორგი ტფილელი, მარტყრი საბაწმიდელი, იოვანე-ზოსიმე და მრავალი სხვ.

პალავრაში, ანუ ძველ ლავრაში (პალაია ლავრა), რომელსაც ხარიტონის ლავრას უწოდებენ, X-XI საუკუნეებში არაერთი ქართველი მწიგნობარი იღვწოდა (იოანე საფარელი, პაეღე პალავრელი, თეოდორე პალავრელი, გრიგოლ ხარიტონწმიდელი და სხვ.). აქ გადაწერილ თხზულებათაგან უაღრესად საინტერესოა „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ (H-2124, 968 წ.). აქვე პაეღე პალავრელს გადაუწერია მრავალთავი (Sin-II, XI ს.), უაღრესად საინტერესო ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორიისათვის. სინის მთაზე ინახება თეოდორე პალავრელის დავალებით სუქმონ მგალობლის გადაწერილი იადგარი (Sin-40, X ს.) და სხვ.

პალესტინაში მოღვაწე ქართველ მწერალთა ნაშრომები ადრევე მოხვდა სინის მთაზე, სადაც დიდი კულტურული ცენტრი შეიქმნა.

1. იერუსალიმის ჯერის მონასტრისა

ქართული მწერლობის და, საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო ჯერის მონასტრის დაარსება იერუსალიმში. მის აღმამენებლად ითვლება XI საუკუნის I ნახევანში მოღვაწე გიორგი-პროხოვრე შათელი. მონასტრის დაარსების ინიციატორები ყოფილან ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები. დიდი დახმარება გაუწევია ამ საქმეში ბაგრატ IV-ს (1027-1072). ლ. მენაბდე წერს: „ახლად დაარსებულ სავანეში მალე თავი მოიყარა ქართველ მოწესეთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა. მათ შორის ბევრი მწიგნობარი იყო. მოგიერთი მათგანი ადრე სხვაგან მოღვაწეობდა, ახლა ჯვარში გადასახლდა და იქ გააგრძელა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა. ჯვარში გაჩაღდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც მეტწილად ხელნაწერების გამრავლებასა და კრებულების შედგენაში გამოიხატებოდა“ (ლ. მენაბდე, დასახ. ნამრ., გვ. 84). აქ მოღვაწეობდნენ ისეთი მუშაკები, როგორებიც იყვნენ: თვით პროხოვრე, იოანე დვალი, მიქაელ დვალი, შაჟი იოანე და სხვ. გემოთ უკვე ითქვა, რომ აქ არის შემორჩენილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთადერთი ნუსხა.

აქ გადაწერეს პალესტინის მამათა ცხოვრებანი, რომელიც ამჟამად ლონდონშია დაცული (Add-11281, XI ს., გამოსცა ვ. იმნაიშიელი, თბ., 1975 წ.), პიმნოგრაფიული კრებულები, სვინაქსარები, ჟამნი და მრავალი სხვა. აქ არის დაცული მრავალი თხზულება, რომლებიც თარგმნილია ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების, ეფრემ მცირისა და სხვათა მიერ. შემონახულია არაერთი ბიბლიური ტექსტის შემცველი ნუსხა.

შუა საუკუნეებში ჯერის მონასტერი არაერთგზის მოხსრდა. ქართველთა გავლენა თანდათან შესუსტდა, ბოლოს იგი ბერძენთა ხელში გადავიდა. ოდესღაც უდიდესი და უმდიდრესი ბიბლიოთეკის ნაშთილა ინახება იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. ამჟამად აქ დაცულია 155 ქართული ხელნაწერი. ისინი სხვადასხვა დროს აღწერეს ნ. ჩუბინაშვილმა, ა. ცაგარელმა, ნ. მარმა და რ. ბლეიკმა. იერუსალიმური წარმოშობის ზოგი ხელნაწერი ამჟამად ინახება თბილისის, ენის, ვაშინგტონის, ჰეტერბურგის სიძველეთსაცავეებში, ზოგის ადგილ-სამყოფელი კი უცნობია.

2. სინის მთის მონასტრისა

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოლექცია ინახება სინის მთაზე, წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტრის წიგნთსაცავში. როგორც ჩანს, ქართველთა ინტენსიური ლიტერატურული მოღვაწეობა სინის მთაზე IX საუკუნიდან იწყება და მენიგს X საუკუნეში აღწევს. ქართველებს სინაზე რამდენიმე მონასტერი დაუარსებიათ. აქ უმდიდრესი ბიბლიოთეკები არსებობდა, რომლებიც მრავალ ასეულ წიგნს

ითვლიდნენ. ერთ-ერთი ძველი მწიგნობარი, ბასილი მჩხრეკელი სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა: „მონასტერნი საესენია წიგნითა და არა სადა უწყი ნაკლულევანი“. სინის მთაზე ამჟამად 100-ზე მეტი ქართული ხელნაწერი ინახება. მათ შორის ყველაზე ადრინდელია „სინური მრავალთავი“ (864 წ.). მის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა. ბოლო დროს აღმოჩნდა 54 ახალი, მაგრამ ჯერჯერობით უცნობი ხელნაწერი, ისინი ახლახან იპოვეს.

ქართული ენისა და ქართული კულტურის ისტორიისათვის უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება აქ დასულ ოთხთავის ხელნაწერებს (Sin.-15, Sin.-30), ლექციონარს (Sin.-37), აგიოგრაფიულ კრებულს (Sin.-6), ეფრემ ასურის ქადაგებებს (Sin.-97), საგალობელთა შემცველ ხელნაწერებს (Sin.-1, 14, 17, 18, 20, 26, 34, 40, 41, 49, 59, 64, 65), პარაკლიტონებს (№ 3, 13, 17, 21) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ აქ დასული ხელნაწერების უმეტესი ნაწილი X საუკუნით თარიღდება. ეს უკვე თავისთავად მიუთითებს მათ მნიშვნელობაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ ამჟამად აქ ინახება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, გეთსამანიაში, კაპათაში, გოლგოთაზე, კალიპოსში, საბაწმიდის ლავრასა და ქართველთა სხვა მწიგნობრულ ცენტრებში თარგმნილი და გადაწერილი თხზულებანი, აგრეთვე ის ხელნაწერები, რომლებიც იოანე-ზოსიმეს, ქართული კულტურის ამ დიდი მოღვაწის, მიერ არის გადაწერილი, ნარეაქციევი, ან შედგენილი).

რა თქმა უნდა, დღეისათვის შემონახული ხელნაწერები მხოლოდ უმცირესი ნაწილია იმისა, რაც ჩვენმა წინაპრებმა აქ შექმნეს. საოცარი ის კი არ არის, რომ დაიღუპა ქართული წიგნთსაყავების უმდიდრეს კოლექციათა უმრავლესობა, არამედ ის, რაც გადარჩა. ამ მხარეს ხომ არ დაქვავდნენ მტარვალთა, ბარბაროსთა და ყაჩაღთა თარეში არც ადრე და არც უკანასკნელ ხანებში. სტიქიურ დაუნდობელი იყო. ხშირი მიწისძვრები სპობდა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს.

მოხდა ისე, რომ XV საუკუნიდან აქაურ მონასტრებში ქართველები აღარ არიან. ამანაც შეაპირობა ის, რომ ქართულ ხელნაწერებს სპობდნენ, იტაცებდნენ, ყიდდნენ. ასე მოხვდა ევროპის სხვადასხვა ქალაქში უნიკალური და უძველესი ქართული ხელნაწერები. და მაინც, რაც ჩვენთვის ცნობილია, ალბათ, უმცირესი ნაწილია ყაჩაღურად მიტაცებული ჩვენი ეროვნული განძისა. ვინ იცის, რამდენი უძვირფასესი ძეგლი სადმე კერძო კოლექციაში ინახება და ჩვენთვის ხელმიუწვდომელია.

სინის მთაზე ქართველ მეცნიერთაგან პირველად იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალ. ცაგარელი, რომელმაც აღწერა 92 ხელნაწერი. 1902 წელს აქ ნაყოფიერად იმუშავეს ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა. 1927 წელს სინური ხელნაწერები შეისწავლა რ. ბლეიკმა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის ექსპედიციას სინის მთაზე და იერუსალიმში დასულ სიძველეთა გადასაღებად 1950 წელს.

მასში მონაწილეობდა ბელგიელი ქართველოლოგი, აკად. ე. ვარიტი. ამ ექსპედიციამ გადაიღო ყველა ქართული ხელნაწერის მიკროფილმები, ხოლო ევრარ ვარიტმა გამოაქვეყნა პატრისტიკული, აგიოგრაფიული, ბიბლიური და ასეტიკური ხელნაწერების (სულ 38 ერთეული) ვრცელი და შალალმეუნიერული აღწერილობა. ე. ვარიტის ამ ნაშრომის უდიდესი მნიშვნელობა ქართველოლოგიისათვის საყოველთაოდ არის აღიარებული. მანვე გამოაქვეყნა სინის მთაზე დაუკული მრავალი ძეგლი.

ხელნაწერთა ინსტიტუტმა წამოიწყო სინის მთის ქართულ ხელნაწერთა დაწვრილებითი აღწერილობის გამოცემა (I ტ. I ნაკვ. – 1978; I ტ. II ნაკვ. – 1979; I ტ. III ნაკვ. – 1980). ამ ინსტიტუტის თანამშრომლები (ზ. ალექსიძე, მ. ქავთარია, მ. მანიძე და სხვები) უკანასკნელ ხანებში მუშაობდნენ სინის მთაზე.

3. ათონის ივერთა მონასტრისა

ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრული მნიშვნელობა ენიჭება ათონის ივერთა მონასტერს. აქ მოღვაწეობდნენ იოვანე და ეფთვიმე, გიორგი მთაწმიდლები, გიორგი მყირე და ქართული მწერლობის სხვა უდიდესი მოღვაწენი. ეს მონასტერი აიგო 980-983 წლებში ძირითადად თორნიკე ერისთავის მიერ საბერძნეთის სამეფო კარისგან მიღებული გასამრჯელოთი. კ. კეკელიძე ასე აფასებდა აქაურ ქართველ მწერალთა საფაენს: „მუდამ მატარებელი იყო ქართული ეროვნული იდეისა საბერძნეთში და რომელიც გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხეად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა მეთერმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში, ეს ივერიის მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძეგლები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასაუღეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრაბატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს, უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიედო“ (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 101).

ათონის მონასტერსაც დაუდგა შავი დღეები. იქ მოღვაწე ქართველები თანდათან შეაფიწროვეს და უკანასკნელ ხანებში მონასტერი მთლიანად ხელთ იგდეს ბერძნებმა. ამჟამად აქ ქართველთაგან აღარავინ არის. თან-

დათან გაპარტახდა მონასტრის წიგნთსაცავი. ათონის ივერთა მონასტერში ახლა მხოლოდ 86 ხელნაწერიღა დარჩა. მათი უმრავლესობა X საუკუნისაა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: Ath.-6 – ოპიზაში გადაწერილი ოთხთავი (913 წ.), ოპეში თორნიკე ერისთავის დაკვეთით 978 წელს გადაწერილი ბიბლიის ხელნაწერი (ეს არის ყველაზე ადრინდელი ნუსხა ბიბლიისა, რომლის მხოლოდ ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე), Ath-17 – მრავალთავი და სხვ. ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს Ath-32-ს (981 წ.), რომელიც ეფთვიმეს მიერ თარგმნილ თხზულებათა კრებულს წარმოადგენს და სხვ.

მოგიერთი ათონური ხელნაწერი ჩამოიტანა ი. ფანცულაიამ (A-110, A-1103, A-1104, A-1105).

ათონის ივერთა მონასტრის სიძველეები აღწერეს ალ. ცაგარელმა და რ. ბლექმა. 1952-53 წლებში ამერიკელმა ე. უ. სინდერგმა გადაიღო 4 ძველი ქართული ხელნაწერი (№ 42, 62, 78, 83). უკანასკნელ ხანებამდე ქართველ საქეციალისტებს ხელი მიუწვდებოდათ ათონში დასულ მხოლოდ 12 ხელნაწერზე.

1981 წელს გ. პატარიამ და ა. მიქაბერიძემ მოახერხეს ათონის ქართველთა მონასტერში დასული ყველა ქართული ხელნაწერის მიკროფირთა გადაღება. ეს არის დიდი მოვლენა. მათი ღვაწლის მეოხებით ქართულ მეცნიერებას აქვს საშუალება, შეუდგეს ათონზე მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა შემოქმედების ყოველმხრივ შესწავლას.

4. პეტრიწონის მონასტრისა

ბულგარეთში, ბაჩკოვოს მახლობლად, 1083 წელს ქართველმა მხედართმთავრმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ დააარსა მონასტერი ქართველთათვის. მის მიერ შექმნილ მონასტერს გრიგოლ ბაკურიანის ძემ შეუდგინა ტიპიკონი (წესდება). დოკუმენტი შეადგინეს ორ ენაზე – ქართულად და ბერძნულად. პეტრიწონის მონასტერში გადაწერილია H-1760 ხელნაწერი (XIV ს.).

პეტრიწონის მონასტერი, ისევე როგორც ქართული კულტურის ბევრი სხვა საფანე, ბერძნებმა იგდეს ხელთ და ქართველები თანდათან გამოდევნეს.

ჩვენამდე მოღწეულია პეტრიწონის ქართული წესდების ორი ნუსხა. პირველად ცნობილი გახდა სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში დასული XVIII საუკუნის ხელნაწერი. იგი გადაუწერია (უფრო სწორად გადაუხატავს) ქართული ენის უცოდინარ პირს. ამ ხელნაწერის მიხედვით ძეგლი გამოაქვეყნა მ. თარხნიშვილმა (Typicon Gregorii Pacuriani: Scriptorum Iberici, t.3, Louvain, 1954).

1951 წელს ცნობილი გახდა, რომ არსებობს ამ წესდების უფრო ძველი ვარიანტი. იგი დაცულია კუნძულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელშეწყობით ა. შანიძემ 1958 წელს მიიღო ამ ძვირფასი ხელნაწერის ფოტოკოპიები. გაირკვა, რომ ხელნაწერი XIII საუკუნისაა. ძეგლი უაღრესად საინტერესოა როგორც ქართული ენის ისტორიისათვის, ისე საქართველოს ისტორიის სპეციალისტათვის. ეს ხელნაწერი ვრცელი გამოკვლევითურთ გამოსცა ა. შანიძემ (1971 წ.).

ლიტერატურა

- ი. ააულაძე, ძველ ხელნაწერთა დაცვა და ტექსტების პუბლიკაცია საბჭოთა საქართველოში: ხელნაწ. ინსტ. მოამბე, II, თბ., 1960.
- ი. ააულაძე, პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1973.
- ბ. ახვლედიანი, ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში: „ჩვენი მეცნიერება“, № 1, ტფ., 1923.
- ბ. ახვლედიანი, თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში: თსუ შრ. XIX, თბ., 1941.
- ბ. ბარიბი, მინგანას კოლექციის ქართული ფურცლები Selly Oak-ში (ბირმინგემი): „მატე“ (ენ. და ლიტ. სერია), თბ., 1973, № 2.
- თ. ბონიაშვილი, დიალექტიკებისათვის პადიმის ძველში: ენიმკის მოამბე, IV, თბ., 1938.
- რ. ენუაშვილი, ხანმეტობა-ჰამეტობის საკითხისათვის ქართულში: თსუ ძველი ქართ. ენის კათ. შრ., 19, თბ., 1976.
- ე. თაყაიშვილი, მოგონებები: „მნათობი“, 1958 წ. № 4, 5, 7, 11, 12; 1959 წ., № 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9.
- ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ., 1890.
- ე. თაყაიშვილი, როდის შეიყვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფო? „მნათობი“, 1948, № 8.
- ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი, პარიზი, 1933.
- ე. თაყაიშვილი, ვატიკანის ბიბლიოთეკის ორი ქართული ხელნაწერი: თსუ შრ., XXXIX, თბ., 1950.
- ი. ივლიჩი, იაკობის ეამისწირვის ხელნაწერი პრაპაში: „მნათობი“, 1961, № 6.
- ი. იშაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბ., 1963.
- ი. იშაიშვილი, სინური მრავალთავი, თბ., 1975.
- ი. იშაიშვილი, ვინ ყიდდა აესტრიაში ქართულ ხელნაწერებს: „ცისკარი“, 1979, № 8.
- ე. ინგროვსკა, თხზულებათა კრებული, IV, თბ., 1978.
- ე. კაპაიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
- ბ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, თბ., 1955.
- ლ. მანაძე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I, თბ., 1962, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962; ტ. II, თბ., 1980.
- ე. მებრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.

- ვ. მებრეველი, ძილისპირნი და ღმრთისმშობლისანი, თბ., 1975.
- ვ. მებრეველი, იერუსალიმური ლექციონარი და უძველესი იადგარი, წიგნში: უძველესი იადგარი, თბ., 1980.
- ვ. მებრეველი, შექანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში: მრავალთავე V, თბ., 1975.
- ვ. მებრეველი, საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთანამშრომლობის ერთი ფაქტი: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.
- ვ. მებრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1976.
- ვ. ნინუა, ერთი ქართული ხელნაწერის ისტორია: „მაცნე“ (ენ. და ლიტ. სერია), №3, თბ., 1981.
- ბ. ნიშარაძე (თავისუფალი სვანი), სვანეთის ხელნაწერები: „მოამბე“, 1904, მე-2 განყ.
- ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.
- ბ. რობაქა, ხანმეტობისა და პაემეტობის საკითხისათვის: ქუთ. უელ. ინსტ. შრ., XV, ქუთ., 1956.
- გ. სარაქველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- გ. სარაქველაძე, ხანმეტ და პაემეტ ტექსტებში დადასტურებულ გზნის პირიან ფორმათა საძიებლები, თბ., 1971.
- გ. სარაქველაძე, პაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის სინურ ხელნაწერებში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 52, №1, თბ., 1968.
- გ. სარაქველაძე, სასწაულებრივ გადარჩენილნი: „საბჭოთა ხელოვნება“, 1981, №8.
- ბ. უბი, ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში: „მაცნე“ (ენ. და ლიტ. სერია), №1, თბ., 1973.
- უკველასი იადგარი, გამოსაყვამად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევემა, ლ. ხვესურიანმა, თბ., 1980.
- ფ. ჯაჩიაი, ხანმეტი პაგიოგრაფიული კრებული: მრავალთავე, IX, თბ., 1981.
- ფ. ჯოთათიაძე, ვ.ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVII-ბ, თბ., 1953.
- ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების ანასეული ნუსხა, თბ., 1942.
- ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ გმნებში: თხზულებანი, II, თბ., 1981.

- ა. შანიძე, უძველესი ტექსტების აღმოჩენის გამო. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მე-თერთმეტე საუკუნის მწერლობაში: თხზულებანი, II, თბ., 1981.
- ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაფიკაში: ტუმ, IX, ტფ., 1929.
- ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, თბ., 1944.
- ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: ტუმ, VII, ტფ., 1927.
- ა. შანიძე, პაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტუმ, III, ტფ., 1923.
- ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: თხზულებანი, II, თბ., 1981.
- ა. შანიძე, ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავის შესახებ: თსუ შრ., 67, თბ., 1957.
- ა. შანიძე, პაემეტობა ადიშის ოთხთავში: თხზულებანი, II, თბ., 1981.
- ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1959.
- ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945.
- ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები: ენიშკის მოამბე, II, ტფ., 1937.
- ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971.
- ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები: თსუ ძე. ქართ. ენის კათედრის შრ., 21, თბ., 1977.
- ა. შანიძე, პაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის ერთ სინურ ხელნაწერში: ხელნაწ. ინსტიტ. მოამბე, I, თბ., 1959.
6. შოშიაშვილი, „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი: „მრავალთავი“, V, თბ., 1975.
- U. ჩიქაშვილი, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების კატალოგი, თბ., 1964.
- ა. ჩიქოვაძე, ხანმეტი და პაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის: „ჩვენი მეცნიერება“, ტფ., 1925, №3-4.
- შ. ძიძიგარი, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974.
8. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
- წიგანი ბაულისა ალთაშისანი, გამოსცა ა. შანიძემ, ტ. I, ნაკვ. 1, თბ., 1947, ტ. I, ნაკვ. 2, თბ. 1948.
- ჟილ-ბრაბის იაზბარი, გამოსცეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა, ა. ჯიშიაშვილმა, თბ., 1977.
8. ჯუგაშვილი, ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი, თბ., 1975.

- ბ. ხახანაშვილი, ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები: „მოამბე“, ტფ., 1905, VIII, განყ. II.
- ვ. ხაპსურიანი, Sin-34-ის შედგენილობის საკითხისათვის: მრავალთაეი, VI, თბ., 1978.
- ივ. ჯაფარიძე, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
- ივ. ჯაფარიძე, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1949.
- ივ. ჯაფარიძე, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979; II, თბ. 1965.
- ივ. ჯაფარიძე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945.
- ივ. ჯაფარიძე, წინასიტყვაობა წიგნისა: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაა იოვანესი და ეფთუმესი, თბ., 1946.
- პ. იოსელიანი, შოთა რუსთაველი, Тбилиси, 1870.
- ლ. Р. КАДЖАЯ, Ханмэтные палимпсесты: Проблемы палеографии и кодикологии в СССР, М., 1974.
- პ. К. КОКОВЦОВ, Еще один рукописный фрагмент Иерусалимского Талмуда: Зап. Вост. Отд. Рос. арх. общества, Т. XI, 1899.
- ნ. Я. МАРР, Агиографические материалы по грузинским рукописи Иввра: Зап. Вост. Отд. Рос. арх. общества, Т. XIII, 1901.
- ნ. Я. МАРР, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л., 1940.
- რ. Р. ОРБЕЛИ, Собрание грузинских рукописей Института востоковедения Академии наук СССР: Уч. зап. Института востоковедения, вып. IX, М.-Л., 1954.
- რ. Р. ОРБЕЛИ, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, М.-Л., 1956.
- ე. С. ТАКАИШВИЛИ, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. I, вып. I, Тифл., 1902; Т. I, вып. II, 1903; Т. I, вып. III; IV, 1904; Т. II, вып. I, 1906; Т. II, вып. III, 1908.
- ე. С. ТАКАИШВИЛИ, Рукописи Оксфордской библиотеки, приобретенные в Тифлисе Оливером Вардропом: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961.
- ა. ЦАГАРЕЛИ, Каталог грузинских рукописей Синайского Монастыря: Палестинский сборник, IV, С.-Пб., 1888.
- ა. ЦАГАРЕЛИ, Сведения о памятниках грузинской письменности, I, С.-Пб., 1886.
- ა. ЦАГАРЕЛИ, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, С.-Пб., 1888.

- J. N. BIRDSALL, *Khanmeti Fragments of Synoptic Gospels from Ms. Vind. Georg. 2: Oriens Christianus*, 55, 1971.
- J. N. BIRDSALL, *A Second Georgian recension of the Protevangelium Jakobi: Le Muséon*, 83, Lovain, 1970.
- J. N. BIRDSALL, *A Georgian Palimpsest in Vienna: Oriens Christianus*, 53, 1969.
- J. N. BIRDSALL, *Palimpsest Fragments of a Khanmeti Georgian Version of I Esdras: Le Muséon*, 85, No.1-2, 1972.
- R. P. BLAKE, *Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la laure d'Iviron au Mont-Athos: Oriens Christianus*, t. 28, Paris, 1931-32.
- R. P. BLAKE, *Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale grecque de Jérusalem: Oriens Christianum*, t. 23, №3-4, Paris, 1924.
- R. P. BLAKE, *Catalogue of the Georgian Manuscripts in the Cambridge University Library: The Harvard Theological Review*, 25, 1932.
- R. P. BLAKE, *Greek Script and Georgian Scribes on Mount Sinai: HTR*, XXV, №3, 1932.
- R. P. BLAKE, *Khanmeti Palimpsest Fragments of the Old Georgian Version of Jeremiah: The Harvard Theological Review*, 24, №3, 1932.
- J. BRAUN, *Rekopisy Gruzinskie: K. Rozko - J. Braun, Katalog recopison ormanskich i gruzinskich*, Warszawa, 1958.
- A. I. GAMKRELIDZE, *Le trésor national géorgien*, Tbilisi, 1975.
- G. GARITTE, *Catalogue de manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai*, Lovain, 1956.
- GEORGISCHE HANDSCHRIFTEN, *beschrieben von J. Assfalg*, Wiesbaden, 1962.
- M. V. ESBROECK, *Les plus anciens Homéliers géorgiens*, Lovain-la Noeuvre, 1975.
- D. M. LANG, *Georgian Manuscripts in Oxford: Bedi Kartlisa*, №II-III, Paris, 1957.
- I. MOLITOR, *Tekstus Chanmeti et Haemeti*, Lovain, 1956.
- P. PEETERS, *De codice hiberico bibliothecae Bodleianae Oxoniensis: AB*, XXXI, 1912.
- G. PERADZE, *Über die georgischen Handschriften in Östereich: WZKM*, XLVII, 3-4, 1940.
- G. PERADZE, *Georgian Mss. in England: Georgica*, I, London, 1935.
- B. OUTTIER, *Le iadgari sur papyrus et parchemin ...: Bedi Kartlisa*, Paris, 1979.
- H. SCHUCHARDT, *Mitteilungen aus georgischen Handschriften: ԳՅԹ, VIII, ԺԳ.*, 1928.
- M. TARCHNISCHVILI, *Le Grand Lectionare de l'église de Jérusalem (V^e-VIII^e siècle)*, Louvain, 1959-1960.
- M. TARCHNISCHVILI, *Typicon Gregori Pacuriani: Scriptorum Iberici*, t. 3, Louvain, 1954.
- O. WARDROP, *Catalogue of Georgian manuscripts; F. Conyber: Catalogue of the Armenian manuscripts in the British Museum*, London, 1913.

თავი III

ლოკუმენტები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის, სახელმწიფო არქივის, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების, რუსეთის, უცხოეთის მუზეუმების ფონდებში დასულია 70 000-მდე ქართული ლოკუმენტი.

ლოკუმენტებს ყოფენ ორ ჯგუფად: 1) იურიდიული ხასიათისა (აქტები, ლათინური სიგევიდან actum) და 2) არაიურიდიული ხასიათისა (კერძო ნუსხები, ეპისტოლარული ხასიათის მასალა ...).

ლოკუმენტები იწერებოდა ეტრატზე, ქაღალდზე, ქვამზე, სუმზე, ლითონზე, ხელნაწერთა ამიებზე, ან თავისუფალ გვერდებზე...

ძველ ქართულ წყაროებში დასტურდება ტერმინები: „დაწერილი“, „სიგელი“, „წიგნი“, „გუჯარი“, „ბარათი“, „ქარტა“, „ქელი“ და სხვ.

ივ. ჯაფახიშვილი წერდა: „ყოველ განათლებულ ადამიანს კარგად მოეხსენება ის უაღრესი მნიშვნელობა, რომელიც საბუთებს, როგორც პოლიტიკურ-კულტურულ, ისევე სამართლისა, ეკონომიური თუ ხელოვნების ისტორიისთვისა აქვს. წყაროთა არც ერთი დარგი არ შეიყავს იმდენად უხესა და მრავალმხრივ ცნობებს, რაოდენიც ჩვენ საბუთებში ვხვდებთ. ამიტომ არც გასაკვირია, რომ საისტორიო მეთოდოლოგიაში საბუთების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიჰყრობილი და ისტორიის დამხმარე მეცნიერებათა შორის საბუთების შემსწავლელი დარგი, რომელსაც დიპლომატიკა, ანუ სიგელთმცოდნეობა ეწოდება, ყველაზე უფრო მდებარეობს საისტორიო სამეცნიერო დარგად იქცა“ (ივ. ჯაფახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“ გვ. 111).

ქართული საისტორიო და იურიდიული ხასიათის საბუთების შესწავლა და გამოცემა XIX საუკუნეში დაიწყო. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, ალ. ხახანაშვილის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის, ს. კაკაბაძის, ა. შანიძის, ნ. ბერძენიშვილის, ი. დოლიძის, ი. ცინცაძის, შ. ბურჯანაძის, ქრ. შარაშიძის, ნ. შოშიაშვილის და სხვათა განსაკუთრებული წვლილი ქართული ლოკუმენტების გამოცემაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ 1984 წელს გამოსცა ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის I ტომი. იგი გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა.

ქართული საისტორიო და იურიდიული ლოკუმენტები ძირითადად XI საუკუნიდან გვაქვს. მათ შორის აღსანიშნავია ბაგრატ მეექვსის ორი სიგელი: ერთი ცნობილია, როგორც „სიგელი მღვიმელთაი“, ხოლო მეორე, როგორც

„სიგელი ოპიზართა და მიჯნაძორელთაი“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, პირველი სიგელი თარიღდება 1058 წლით, მეორე კი – 1060-1065 წლებით.

ძალიან საინტერესოა დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მიმართ (1123 წ.). იგი პირველად 1896 წელს დაბეჭდა თ. ჟორდანიამ. ამჟამად დედნის დიდი ნაწილი დაკარგულია. უკანასკნელ ხანებში ვ. სილოგავამ მიაგნო ამ საინტერესო ძეგლის ფოტონეგატივს და ხელახლა გამოსცა ანდერძი გამოკვლევითურთ.

გიორგი მესამემ 1170 წელს შიომღვიმეს უბოძა სიგელი. ტექსტი პირველად გამოსცა ე. თაყაიშვილმა. გიორგი მესამის მეორე სიგელი შეიძლება დათარიღდეს 1177 წლით. იგი პირველად გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ.

XII საუკუნის 80-იანი წლებით თარიღდება ჭიაბერ მანდაგურთუხუცესის სიგელი.

თამარ მეფის სიგელი, რომელიც 1202 წლით თარიღდება, პირველად გამოსცა თ. ჟორდანიამ. ეს საბუთი დაილუპა 1919 წელს¹ მომდევნო ხანის ძეგლები საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

ქართული საისტორიო საბუთები ძირითადად დაწერილია მხედრული ან ნუსხური ანბანით. ნუსხური ანბანით, როგორც წესი, იწერებოდა საეკლესიო პირთა გაცემული საბუთები.

საისტორიო საბუთები შეიცავს უაღრესად საყურადღებო მასალას ქართული ენის ისტორიისათვის. მათში საკმაოდ ხშირად გამოვლინდება ცოცხალი მეტყველების ამსახველი მოვლენები, ზოგჯერ დიალექტიზმები.

საისტორიო საბუთების სტრუქტურა თანდათან ყალიბდებოდა. საბუთის დასაწყისში გვაქვს ღმრთის მოხსენიება, მისი და მისი მიმდევრების შესხმა, სამეფო კარის (ან ეკლესიის) უმნაეს პირთა ხსენება და შესხმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა შესხმა (თუ საბუთი შედგენილია პროვინციაში) ... შესავალს მოსდევს ძირითადი ამბის გადმოცემა, რასაც მოჰყვება დასასრული, სადაც დაწყებულია საბუთის დამრღვევი ან შემრყენელი (ქართული საბუთის სტრუქტურის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მყოდნეობა ... გვ. 82-134; კ. გრიგოლია, იმერული საბუთების შედგენილობის საკითხისათვის XVI-XVIII სს.).

¹ 1919 წელს კრასნოდარის მხარის ქ. კროპოტკინში განადგურდა 3000 ქართული დოკუმენტი სხვა საინტერესო მასალებთან ერთად. ისინი 1915 წელს წაიღეს ჩრდილოეთ კავკასიაში, რომ გადაერჩინათ თურქების შემოსევისაგან. დაღუპულ დოკუმენტთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: გიორგი II-ის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სიგელები (ამის შესახებ იხ. „საისტორიო მოაზრებ.“ I, გვ. 1924, გვ. 278-281).

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში ამ სამი უძვირფასესი ძეგლის ფოტონეგატივები იპოვა ვ. სილოგავამ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1170 წელს გიორგი III-ის შიომღვიმისათვის მიცემული სიგელი:

სახელითა ღმრთისაითა, გიორგისგან ბაგრაგუნიანისა, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და აღმოსავალისა და ჩრდილოისა მფლობელისაი.

მოვიდეს ჩუენ წინამე წმიდანი მამანი უდაბნოისა ღიდისა მღუიმიისანი, მამაი იოვანე მემღუიმე და მოიხუნეს სიგელნი ღიდისა მეფეთა-მეფისა შაჰისა ჩუენისა დავითისი და მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი და სხუანი ძუელნი მრავალნი შაჰთა და მამათა ჩუენთანი, და გუეჰაჯენეს და მოგუაქსენეს, რაითამცა ვითა მათ სიგლითა მათითა გაუჩენია და გაუგია შირველად თუით წმიდისა მის უდაბნოისა მღუიმიისათუის და შერმე ყოველნი სოფელნი მათნი გაუთავისუფლებიან ყოვლისა მაწყენრისა მათისა და დამაჭირებლისა და ჩუენთა კელისუფალთა შესავლობისაგან, ეგრეთეე ჩუენ გაუახლენით ძუელნი სიგელნი სიგლითა ჩუენითა და დავამტკიცეთ ბრძანებაი და სიგელი შაჰთა და მამათა ჩუენთაი.

ჩუენ ვისმინეთ შაჰაი მათი და მოქსენებაი და ღიდთა მეფეთა: შაჰისა ჩუენისა და მამისა ჩუენისა ბრძანებანი და სიგელნი ამითა ჩუენითა სიგლითა გაგუიახლებიან და მათნი დავუიმტკიცებიან.

შირველად თუით წმიდაი იგი უდაბნოი მღუიმე, ვითა ყოველითურთ უწყენარი ყოფილა და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან, ეგრეთეე იყოს, ვითა თუით შაჰისა ჩუენისა ანდერძსა სწერია. ნუ-მეა-ვის უკადრებია მას ზედა სიგყუისა შემოღებაი და ცილობაი...

... აგარისა სოფელმა ერთი ტაიჭი შეგუინახოს თორმეგითა რემითა მათ რემათა დაცვამდე და სხუათა სოფელთა მათთა შერემანეი ნუცა სიახლესა დადგებიან, ნუცა კუიესა წაპგურიან მმოენებელსა, ჩუენთა სასეფოთა ადგილთა შიგა დადგენ და მღუიმიისა სოფელსა თანა არაი საქმე უც შერე-მაეთა.

მეჯორენი ნუცა სადა მათსა შიგან დადგებიან, ნუცა სადა შეესიძებიან, ნუცა შერემანეი, ნუცა მეჯორენი, ნუცა მანდაგურნი, ნუცა შესაწოლენი და ნურაი დარბაზისერი, ნუ რომელი, ყოველითურთ უწყენრად იყოს იგი წმიდაი უდაბნოი.

ესე ყოველი ვითა გუებრძანებია და დავუიწერია გაჩენით წმიდისა უდაბნოისა მღუიმიისათუის, ნუ-მეა-ვის უკადრებია წყენაი ნუცა მის წმიდისა უდაბნოისა მღუიმიისაი, ნუცა მათთა საქონელთაი, ნუ რაი დავჭირებაი: ნუ ქართლისა კათალიკოზთა, ნუცა სხუასა ებისკოპოსსა, ნუცა ერისთავთა-ერისთავთა, ნუცა აზნაურთა, ნუცა ჩუენთა კელისუფალთა, ნუცა ციხისთავთა, ნუცა ჩინებულთა და ნურას გუარსა კაცსა ნუ, რაითა ღმერთმან წმიდისა ღმერთშემოსილისა მამისა შიოის მაღლითა და წმიდათა მემღუიმელთა ლოყვითა ამას საწუთოსა წარმართებაი მოსყეს მეფობასა ჩუენსა და შერ-

მესა ცხორებასა ბრალთა ჩემთათუის შემწე მეყოს წმიდაი მამაი შიო წინამე ქრისტესსა.

აწ, ვითარცა პნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი, ყოველთავე დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ თუინიერ შეწვეისა და თანადგომისა, და თქუენ, წმიდაო მამადმთავარო, ქართლისა კათალიკოზო და წმიდანო მღვდელთმოდღუარნო, უჯუარობითა დაამტკიცეთ.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა იწ კელითა მწიგნობრისა ჩუენისა დანგა ბრუტაის ძისაითა (ქართული საბუთების კორპუსი, I, გვ. 67-70).

რა თქმა უნდა, სიგელი მრავალმხრივ არის საყურადღებო. მნიშვნელოვანია მისი მონაცემები ქართული ენის, ქართული ონომასტიკის ისტორიისათვის. საინტერესოა ანთროპონიმი ბრუტა (აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ბრუტანი გურულში დღესაც გვაქვს ბრმის მნიშვნელობით).

1195/1196 წლებში თამარ მეფეს მიუცია შემდეგი სიგელი შიომღვიმის მონასტრისათვის:

[სახელ]ითა ღმრთისაითა [თამა]რისგან ბაგრატ[უნიანისა, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა] და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და ღედო[ფალთ-ღედოფლისა] და ყოელისა აღმოსაველეთისა და დასაველეთისა ფლობით მ[კერობელისა].

მოვიდა ჩუენ წინამე ვაზირი ჩუენი ანტონი ჰყონდიდელი მთავარებისკოპოსი, მწიგნობართუხუცესი და პროტოუპერგიმოსი და გუეპაჯა და მოგუაქსენა, რაითამცა შევიწყალენით და რომელი მღუიმეს, მონასტერსა სამლოცველოსა ჩუენსა, წყალი მიი[ყვანეს] სხალტბისაით, და წყლისა მის სათავესა ზედა გლეხი ჯდა სასეფო[ი] მის წყლისა მკაზმავად, იგი გლეხი სამკუიდროდ შესაწირავად მღუიმისად სულისა მისისათუს მას მიუბოძეთ.

დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ პაჯაი და მოქსენებ[აი] მისი; ვაზირისა ჩუენისა ანტონი ჰყონდიდელ-მთავარებისკოპოსისა, მწიგნობართუხუცესისაი და პროტოუპერგომოსისისაი და რომელი სხალტბას მის წყლისა მისგან მიღებულისა სათავესა ზედა გლეხი მის, მიწად ერთი და კუამლად ორი, ქოსაის ძენი, საუკუნოდ მის წყლისა მკაზმავად, მღუიმისა მონასტერსა შესაწირავად მისდა მიგუითავისუფლებია.

ქონდეს იგი წყალი და გლეხნი ქოსაის ძენი, მიწად ერთი და კუამლად ორი, სუიმონ და გიორგი და იაბერი და შეილნი და შეილისშეილნი მათნი სასოსა და მფარველსა ჩუენსა, წმიდასა მამასა შიოს და სამლოცველოსა ჩუენსა მონასტერს[ა] მღუიმესა. არას ვაძმა შეეცეალოს და არცა რაი მას წყალსა და გლეხსა ზედა კელისუფალთა ჩუენთა კელი შეუვიდოდის, ყოვლითურთ შეუვალი და თავისუფალი არს, რაიცა ანტონი ჰყონდიდელმან გაუჩინოს სამსახური მის წყლისაი, მას პმსახურებდეს და არავენ გუიბრძანებია

მშლელი და მაქცეველი ბრძანებულისა ამის ჩუენისა[ი], არცა მეუნებლუ, მავ-
ნებელი და დამაკლებელი მათი.

აწ ვინცა პნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი, ზედამნისა ციხის-
თავთა, მპარავთმეძიებელთა, მოხარაჯეთა, მესაბანჯრეთა და ყოველთა
საქმისმოქმედთა ჩუენთა, ნუცა რას ვინ დააკლებთ ნუ ღიდასა და ნუ მცირესა
თუნიერ შეწუენისა და თანადგომისა.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინლიკტიონსა მეფობისა
ჩუენისასა მეათურამეტესა, კელითა მწიგნობრისა ჩუენისა იაკობ იწრელის
ძისაითა (კორპუსი, I, გვ. 100-101).

საბუთის ამ ტექსტს მოსდევს მღვიმის კრებულისა და ანტონი ჭყონ-
დიდელის ხელრთვანი. პირველი ნაწერია ნუსხურად, მეორე – მხედრულად.

ცოცხალი მეტყველების ამსახველი ფორმების სიუხვით გამოირჩევა XIII
საუკუნის ერთი საბუთი. მოვიყვანთ ამ მოკლე საბუთს მთლიანად:

სახელითა ღმრთისაითა და თავსდებობითა სუეგისა უხილველისაითა
ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ ბურჯულთა: კავთულამა და თეედორამა და
ჩუენთა შვილთა: ბასილამა და მშუილამა.

დაგუეჭირვა პავისა ჟამისაგან და ხარაჯობისაგან და ავილეთ თქუენ
მოდლუარისაგან დემეტრესაგან გოხუაის ძისაგან სამოცი თეთრი დეკენბერსა
ათსა და გაგიჩინეთ ოცი კოკაი ტკბილი წელიწადსა შიგა მზაი, რომე
უსიტყუელადა კელთა მოგაკსენებდეთ, ვიდრემდისცაღა ამა თეთრსა შენსა
კელთა მოგაკსენებდეთ.

ამისნი მოწამენი არიან კარაის ძე ებაი და წამალაის ძე იაი (კორპუსი,
გვ. 94).

საკვიროა ქართული დოკუმენტების ყოველმხრივი კომპლექსური შეს-
წავლა.

ლიტერატურა

6. ბარკანიძევილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორისათვის, I, თბ., 1938; II, თბ., 1953.
6. ბარკანიძევილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა: ნ. ბერძენიშვილი, საქართ-
ველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967.
- მ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-
ოდიშის სამთავროებისა, I, თბ., 1958.

- კ. ბრიგოლია, იმერული სიგელების შედგენილობის საკითხისათვის (XVI-XVIII სს.): საქ. მუზეუმის მოამბე, XA-XB, თბ., 1940.
- კ. თაყაიშვილი, პალეოგრაფიული ალბომი, რვეული, I, ტფ., 1909; რვეული II, ტფ., 1920.
- ს. კაპაბაძე, შიომღვიმის სამი სიგელი, ტფ., 1912.
- ს. კაპაბაძე, ისტორიული საბუთები, I, ტფ., 1913; II, ტფ., 1913; III, ტფ., 1913; IV, ტფ., 1913; V, ტფ., 1913.
- ს. კაპაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფ., 1921; II, ტფ., 1921.
- თ. შორღანიძე, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, I, ტფ., 1893; II, ტფ., 1897.
- თ. შორღანიძე, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, ტფ., 1896.
- თ. შორღანიძე, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903.
- გ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- კ. სილოგავა, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი: მრავალთავი, IX, თბ., 1981.
- ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გამოსცეს: თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
- ქართული სამართლის კანონები, გამოსცა ი. დოლიძემ (II, თბ., 1965; III, თბ., 1970; IV, თბ., 1972; V, თბ., 1974; VI, თბ., 1977; VII, თბ., 1981; VIII, თბ., 1986).
- ა. მანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, ტფ., 1935.
- ა. მარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) თბ., 1961.
- ბ. შოშიაშვილი, რკონის სიგელი 1259 წლისა (ხელნაწ.).
- ი. სინაძე, დავით მეფის სიგელი; თამარ მეფის გელათისადმი ბოძებული სიგელი: საქართველოს არქივი, II, ტფ., 1927.
- ივ. ჯაფარიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926.
- ივ. ჯაფარიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
- ა. ხახანაშვილი, გუჯრები (საისტორიო მასალა), ქუთაისი, 1891.
- Д.З. БАКРАДЗЕ, Статьи по истории и древностям Грузии: Приложение к V тому Записки АН, №1, С-Пб., 1887.
- Е. ТАКАИШВИЛИ, Сигель грузинского царя Баграта IV: ЗВОРАО, IX, С-Пб., 1894.

თავი IV

ქართული ლამწერლობის წარმოშობის კრობლემა

1. ლამწერლობის ტიპები გოგადად

დამწერლობა გრაფიკულ ნიშანთა, ან გამოხატულებათა მეშვეობით სამეცნიერლო ინფორმაციის ფიქსაციის საშუალებაა. დამწერლობას ყოფენ ტიპებად იმისდა მიხედვით, თუ მეცნიერების რომელი ელემენტები გადმოიცემა ნიშნებით: 1) გრაფიკოგრაფიკული დამწერლობა, რომელიც მთლიანად, გრაფიკულად სიტყვებად თითქმის დაუნაწევრებელ ამბავს გადმოსცემს. მოიცავს ორ სახეს: ხატოვანს, პიკტოგრაფიას (ლათ. სიტყვიდან pictus „ხატოვანი“ და ბერძნ. სიტყვიდან „graphia“ „წერა“) და უძველეს პირობით ნიშნებს (საკუთრების აღმნიშვნელი სიმბოლოები, ტაბუ, თავდაპირველი ორნამენტის სიმბოლური ელემენტები და სხვ.), რომლებიც აგრეთვე მთლიან ინფორმაციას გადმოსცემენ. 2) ლოგოგრაფიული (ბერძნული სიტყვიდან logos „სიტყვა“ და graphia „წერა“) და იდეოგრაფიული (ბერძნ. სიტყვიდან idea „ცნება“ და graphia „წერა“) დამწერლობა, რომლის ნიშნები გადმოსცემენ სიტყვებსა და ცნებებს; 3) მორფემოგრაფიული დამწერლობა, რომლის ნიშნები გამოხატავენ მორფემებს; 4) მარკელოვანი (სილაბური) დამწერლობა, რომლის ნიშანი გამოხატავს მარკეალს; 5) ბჰერითი (ფონეტიკური) დამწერლობა, რომლის ნიშნები გამოხატავენ ფონემებს ან ალოფონებს. ეს უკანასკნელი ტიპი, თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად: ა) კონსონანტური, რომლის ნიშნები მხოლოდ თანხმოვან ფონემებს გამოხატავენ და ბ) კონსონანტურ-ვოკალიზებული, რომლის ნიშნები გამოხატავენ როგორც თანხმოვან, ისე ხმოვან ფონემებს.

ამა თუ იმ ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულ დამწერლობას, თავისი ნიშნების ფორმითა და მნიშვნელობით, დამწერლობის სისტემა ეწოდება. ნიშანთა ერთობლიობას, დალაგებულს გრაფიკული მიმდევრობის მიხედვით, ანბანი ქეჩია, ხოლო ანბანის შემადგენელ ნიშნებს გრაფემებს (ასოებს) უწოდებენ. სხვადასხვა სისტემაში გრაფემებთან ერთად გამოიყენება დამატებითი და დამხმარე ნიშნები, მაგ.: 1) ციფრები; 2) პუნქტუაციის ნიშნები; 3) დიაკრიტიკული ნიშნები; 4) ლიტატურები (ლათ. სიტყვიდან ligo „უკავრებ“).

თავდაპირველად დამწერლობა პიკტოგრაფიული იყო. პიკტოგრაფები გამოხატავენდნენ მთელ თხრობით კომპოზიციას, ან წარმოადგენდნენ ერთმანეთთან დაკავშირებულ ნახატთა სერიას („მოთხრობები სურათებში“). პიკტოგრაფიული დამწერლობა მემოლითის ან ნეოლითის ეპოქაში შეიქმნა. იგი თავისი წარმოშობით უკავშირდება სახვით ხელოვნებას. პიკტოგრაფიული

დამწერლობის წარმოშობა შეპირობებული იყო იმ ეპოქაში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა რთული ფორმებით. საჭირო გახდა გომების, გომთა კავშირების ჩვეულებათა, რიტუალურ-მაგიურ ტექსტთა ფიქსაცია, აგრეთვე სახმელრო თუ სხვა სახის ცნობათა მანძილზე გადაცემა. პიკტოგრაფიის მეორე სახეობა – უძველესი პირობითი ნიშნები – აღმოცენდა ზემო პალეოლითის მიწურულში ან მეზოლითის ეპოქაში. ამ ნიშანთა დიდი ნაწილი გადავიდა პიკტოგრაფიულ, შემდგომში კი ლოგოგრაფიულ დამწერლობაში. პიკტოგრამებს მხოლოდ უმარტივესი ცნობების გადმოცემა შეეძლოთ. საზოგადოების განვითარებასთან ერთად პიკტოგრაფიული გამოხატულებები იშლებოდა ცალკეულ გამომსახველობით ნიშნებად, რომლებიც სულ უფრო და უფრო სტაბილურნი ხდებოდნენ. ამ პროცესის შედეგად პიკტოგრაფია გარდაიქმნა უფრო სრულქმნილ, მაგრამ რთულ ლოგოგრაფიულ დამწერლობად. მისი უძველესი სისტემები (ეგვიპტური, წინააზიური, წინაინდური, კრიტული, ჩინური) შეიქმნენ ჩვენს ერამდე მე-4 ათასწლეულის მიწურულს – მე-2 ათასწლეულის დასაწყისში. მათი ჩამოყალიბება შეპირობებული იყო სახელმწიფოთა წარმოქმნით, რომელთაც სჭირდებოდათ მოწესრიგებული დამწერლობა. წმინდა ლოგოგრაფიული დამწერლობა იშვიათად გვხვდებოდა (ძველი ჩინური, შუმერული). როგორც წესი, ლოგოგრაფიული დამწერლობანი, თავიანთი განვითარების ადრინდელ ეტაპზე, იყენებდნენ პიკტოგრაფიის ელემენტებს, ხოლო მოგვიანებით – მორფემის, მარცვლოვან და ბგერით ნიშნებს. ამის მიუხედავად, ლოგოგრაფიული დამწერლობა მრავალ ნიშანს საჭიროებდა, რის გამოც იგი მხოლოდ მცირერიცხოვან პირთათვის (ქურუმები, სახელმწიფო მოხელეები, პროფესიონალი მწერლები) იყო ხელმისაწვდომი. მისი ნაკლი ისიც არის, რომ არ ძალუძდა მხოლოდ ლოგოგრამების საშუალებით გადმოეცა სიტყვათა გრამატიკული ფორმები.

ჩვენს ერამდე მე-3 ათასწლეულში, როცა წარმოიქმნენ ზემო და ქვემო ეგვიპტის სახელმწიფოები, ეგვიპტური დამწერლობა გარდაიქმნა ლოგოგრაფიულ-კონსონანტურ სისტემადა და მასში სულ უფრო მეტად გამოიყენებოდა კონსონანტური ნიშნები. ძირების მნიშვნელობათა დასაზუსტებლად შემოიღეს დეტერმინატივები. თანდათან მოხდა ეგვიპტური დამწერლობის გრაფიკული შეცვლა. ეგვიპტურის განტოებაა პირველი აფრიკული ბგერითი დამწერლობა (მე-3 ს. ჩვენს წ.-მდე – მე-4 ს. ჩ. წელთაღრიცხვით).

თანდათან ლოგოგრაფიულ-მარცვლოვანი ხასიათი მიიღო წინააზიურმა დამწერლობამ. მისი უძველესი ძეგლები შუმერებს მიეკუთვნება და თარიღდება ჩვენს ერამდე მე-4 ათასწლეულის მე-2 ნახევრით – შუმერთა პირველი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეპოქით. უკვე მესამე ათასწლეულის დასაწყისში ზოგი ერთმარცვლოვანი ლოგოგრამა გამოიყენება მარცვლის გამოხატველ ნიშნად. მე-3 ათასწლეულის ნახევრისათვის დამწერლობანი

გრანსფორმაციას განიცდიან – იქვეიან ლურსმნული ნიშნების კომბინაციე-
ბად. ეს შეპირობებული იყო თიხით – საწერი მასალით.

მნიშვნელობით ლოგოგრაფიულ-სილაბური და ფორმით ლურსმნული
იყო წინა და მცირე ამიის დამწერლობათა უმრავლესობა, რომლებიც სა-
თავეს შუაპერიდიდან იღებენ: ელაბური (ჩვ. ერამდე მე-3 ათასწლეული), უძ-
ველესი აქადური (მე-3 ათასწლეული), ასურულ-ბაბილონური (მე-3
ათასწლეულის ნახევარი – I ათასწლეული ჩვ. ერამდე), ხეთური
ლურსმნული (მე-2 ათასწლეული ჩვ. ერამდე), ხეთები მე-2 ათასწლეულის
ნახევრიდან ძვ. წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნემდე იყენებდნენ იეროგლიფურ
დამწერლობასაც), ურარტული (მე-9 საუკ. დასაწყისი – მე-8 საუკ. დასაწყისი
ჩვ. ერამდე) და სხვა. კონსონანტური ხასიათისა იყო უგარითული
ლურსმნული დამწერლობა (მე-15-მე-14 სს ჩვენს ერამდე). აქემენიდთა ბა-
ტონობის დაცემის შემდეგ ლურსმნული დამწერლობის ადგილი ბერძნულმა
და არამეულმა დამწერლობებმა დაიკავეს.

ლოგოგრაფიულ-მარცვლოვანი იყო ამერიკის ყველაზე განვითარებული
წერიტი სისტემა – მაიას დამწერლობა (ჩვენი ერის დასაწყისი – მე-16 ს.)
თვლიან, რომ ამ ტიპის უნდა ყოფილიყო აგრეთვე პროტოინდური (მე-3
ათასწლეულის ნახევარი – მე-2 ათასწლეულის ნახევარი).

უძველეს ლოგოგრაფიულ დამწერლობათაგან ყველაზე უფრო დაუახ-
ლოვდა მარცვლოვანს კრიტული (იგი ოთხ ისტორიულ სახესხვაობად იყოფა:
იეროგლიფური A – დაახლოებით 2100-1900 ჩვ. ერამდე – და B – დაახლოე-
ბით 1900-1700, ხაზოვანი A – დაახლოებით 1750-1400 და B – დაახლოებით
1400-1200 ჩვ. ერამდე).

სხვა გზით – ლოგოგრაფიიდან მორფემოგრაფიისაკენ – განვითარდა
ჩინური დამწერლობა. ეს შეპირობებული იყო ჩინური ენის თავისებურებით.
ამ პროცესმა, თავის მხრივ, განაპირობა ჩინური ლოგოგრაფიული დამწერ-
ლობის შემონახვა. ჩინურის უძველესი ძეგლები მე-2 ათასწლეულის
ნახევრით თარიღდება. თანამედროვე ჩინური დამწერლობა იყენებს 6-8
ათას იეროგლიფს და 214 დეკერმინანტივს. ჩინური დამწერლობა დაედო სა-
ფუძვლად მთელ რიგ სისტემებს აღმოსავლური დამწერლობისას (იაპონური,
კორეული, ვიეტნამური და სხვ.).

მიუხედავად ლოგოგრაფიულ სისტემებში მარცვლოვანი და ბგერითი
ნიშნების გამოვლენისა, თითქმის არც ერთი მათგანი არ ქეულა წმინდა
მარცვლოვან, ან ბგერით სისტემად. საზოგადოების განვითარების შედარე-
ბით მაღალმა დონემ, დამწერლობის გავრცელებამ და მისი გამოყენების
საჭიროებამ აშკარა გახადა ლოგოგრაფიული დამწერლობის მოუხერხე-
ბლობა. ამ ფაქტორებმა შეაპირობეს ახალი, უფრო მარტივი თანმიმდევრუ-
ლად მარცვლოვანი და ბგერითი სისტემების ჩამოყალიბება. დამწერლობის
მარცვლოვანი სისტემები შეიქმნა ლოგოგრაფიული დამწერლობის შინაგანი

ევოლუციის შედეგად (მაგ., კრიტული), ან ხელოვნურად ნასესხები ლოგოგრაფიული დამწერლობის დამატებად (მაგ., იაპონური, კორეული). განსაკუთრებით გავრცელდა მარცვლოვანი დამწერლობა ინდოეთსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში.

ბგერითი დამწერლობის განვითარება დაიწყო კონსონანტური სისტემების წარმოქმნით. პირველად თანხმოვანთა აღმნიშვნელი ერთეულები გაჩნდა ეგვიპტურ დამწერლობაში. დამწერლობის პირველი თანმიმდევრული თანხმოვნური სისტემა ჩე. ერამდე მე-2 ათასწლეულში შექმნეს ფინიკიელებმა, უგართელებმა და სხვა დასავლურ სემიტურმა ხალხებმა. უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება ფინიკიურს, რადგანაც მისგან მომდინარეობს თითქმის ყველა ბგერითი დამწერლობა. ფინიკური დამწერლობის უძველესი ძეგლები თარიღდება ჩე. წ.-მდე მე-12-11 სს-ით, ხოლო ყველაზე ახალი ჩე. წ.-ის მე-2 – მე-3 სს-ით. ჩვენი ერის დასაწყისისათვის ფინიკური დამწერლობა გამოდევნა არამეულმა (რომელიც ახლოს იყო ფინიკურთან). ფინიკურში არსებობდა თანხმოვანთა აღმნიშვნელი 22 გრაფემა. თითოეულ გრაფემას თავისი სახელწოდება ჰქონდა. ისინი ლაგდებოდნენ გარკვეული რიგის მიხედვით. წერის მიმართულება იყო მარჯვნიდან მარცხნისაკენ.

ბგერითი დამწერლობის გავრცელება იწყება ჩვენს ერამდე I ათასწლეულში. ეს შეპირობებული იყო ამ დამწერლობის სიმარტივით. აღმოსავლეთში ფინიკურის საფუძველზე შეიქმნა არამეული დამწერლობა, რომელიც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო აზიის ყველა კონსონანტურ და ზოგ სხვა სისტემას. დასავლეთში ფინიკურის საფუძველზე ჩამოყალიბდა ბერძნული დამწერლობა, რომლისგანაც მოდის თითქმის ყველა კონსონანტურ-ეოკალიზებული ანბანი.

არამეელები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ წინა და მცირე აზიის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამით არის შეპირობებული არამეული ანბანის (უძველესი ძეგლები თარიღდება ჩე. წ.-მდე მე-8-9 საუკუნეებით) უდიდესი მნიშვნელობა. თავდაპირველად არამეულში მხოლოდ თანხმოვნები აღინიშნებოდა. შემდგომში ხმოვნების გამოსახატავად დიაკრიტიკულ ნიშნებს იყენებდნენ, ან ხმოვანს აღნიშნავდნენ მასთან არტიკულაციურად ახლო მდგომი თანხმოვნის გამოხატაველი ნიშნით, უფრო იშვიათად ხმოვნებისათვის ქმნიდნენ დამოუკიდებელ გრაფემებს (ავესტური, უიგურული, მონღოლური, მანჯურული).

აღმოსავლური დამწერლობის სისტემები ქმნიან ოთხ ჯგუფს: ებრაული, სირიული, ირანული და არაბული. მათი განვითარება დაკავშირებული იყო იუდაიზმთან (ებრაული), აღმოსავლურ ქრისტიანობასთან (სირიული), ზოროასტრიზმთან (ირანული) და მუსლიმანობასთან (არაბული).

ებრაული დამწერლობა გრაფიკულად გამოიყო ფინიკურისაგან ჩე. ერამდე მე-2 ათასწლეულის ბოლოს. ჩე. წ.-მდე მე-3-მე-2 საუკუნეებში პოლი-

ტიკური პირობების გამო ებრაელები გადავიდნენ არამეულზე, რის საფუძველზე შეიქმნა ებრაული ე.წ. კვადრატული დამწერლობა, რომელიც დღესაც გამოიყენება ისრაელის სახელმწიფოში.

სირიული დამწერლობის თითქმის ყველა სისტემა გადმოსცემდა სირიისა და პალესტინის არამეულ ენას. ამ დამწერლობის უმნიშვნელოვანესი სახეობებია: პალმირული (ჩვ. წ.-მდე მე-2-1-ლი – ჩვ. წ.-ის მე-3 სს.), ესტრანგელო (ჩვ. წ.-მდე 1-ლი – მე-9 სს), სირიულ-პალესტინური, ნესტორიანული, იაკობიტური დამწერლობები, რომლებიც შეიქმნენ მე-5 საუკუნეში სირიელ ქრისტიანთა სექტებად გათიშვის შედეგად და სხვ.

არაბული დამწერლობა შეიქმნა არამეული დამწერლობის ნაბატეური ვარიანტის საფუძველზე. უძველესი არაბული წარწერები თარიღდება მიახლოებით ჩვ. წ.-ის 300 წლით. ხალიფატის შექმნის შემდეგ (მე-7 ს.) არაბებმა თავიანთი დამწერლობა გააერთიანეს ხალიფატში შემავალ სახელმწიფოებში. მე-20 საუკუნეში რიგმა ხალხებმა (თურქები, ინდონეზიელები) არაბული შეცვალეს ლათინურის საფუძველზე შექმნილი დამწერლობით.

ისტორიულად პირველი კონსონანტურ-ვოკალიზებული დამწერლობა იყო ბერძნული (მისი უძველესი წარწერები ჩვ. წ.-მდე მე-8–მე-7 საუკუნეებით თარიღდება). თავდაპირველად არქაული ბერძნული დამწერლობა თითქმის ემთხვეოდა ფინიკიურს (არ იყო φ, χ, ψ, ω), ხმოვნები ჯერ კიდევ არ აღინიშნებოდნენ მუსკად. წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ. ფინიკიურს ემთხვეოდა გრაფემათა სახელწოდებანი და რიგი.

ბერძნებმა ხმოვნების ამსახველ ნიშნებად გამოიყენეს ფინიკიურის იმ თანხმოვანთა გამოშხატველი ნიშნები, რომლებიც ბერძნული ფონეტიკური სისტემისათვის უცხო იყო, შეცვალეს გრაფემათა ფორმები და მათი სახელწოდებანი. თანდათან შეიცვალა წერის მიმართულება – უკვე მე-6–მე-5 სს-ებში ბერძნებმა დაიწყეს წერა მარცხნიდან მარჯვნივ. 403 წელს ჩვ. წ.-მდე ათენში შეიქმნა კლასიკური ბერძნული ანბანი, რომელიც გავრცელდა საბერძნეთსა და მის კოლონიებში.

ბერძნულის საფუძველზე ჩვ. წ.-მდე 1-ლი ათასწლეულის ნახევარში შეიქმნა ეგრუსკული და ლათინური დამწერლობანი, მე-2–მე-3 სს-ებში – კოპტური დამწერლობა. ბიზანტიური ბერძნული დამწერლობა დაედო საფუძველად თანამედროვე ბერძნულ, გოთურ (შექმნილია მე-4 ს-ში ეპისკოპოს ეულფილას მიერ), სლავურ, სომხურ და სხვა დამწერლობებს.

ლათინურ დამწერლობას იყენებენ იტალიელები, ფრანგები, ინგლისელები, ესპანელები და სხვა ხალხები.

ბიზანტიური ბერძნულის საფუძველზე მე-9 საუკუნეში ჩამოყალიბდა ძველი სლავური „კირილიცა“, რომლის პარალელურად სამხრეთ-დასავლეთის სლავები იყენებდნენ „გლაგოლიცას“ (მისი წარმოშობის საკითხი ჯერ გარკვეული არაა). X საუკუნეში „კირილიცა“ ოფიციალურ

დამწერლობად იქცა რუსეთში. მისგან განვითარდა თანამედროვე რუსული, ბულგარული და სერბული დამწერლობები.

2. ცნობები ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ

ქართული კონსონანტურ-ვოკალიზებული დამწერლობაა. იგი ერთ-ერთი უძველესთაგანია. მისი წარმოშობის შესახებ მრავალი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, მოსაზრება არსებობს. ქართული ანბანის შექმნის თაობაზე ძველ წერილობით წყაროებში ორი ცნობაა დაცული.

XI საუკუნის ცნობილი მოღვაწის ლეონტი მროველის მიერ დაწერილ თუ გადაწერილ „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია მეფე ფარნაეზის დროს: „ესე ფარნაეზამ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესაეთაგანი. ამან განაწერცო ენაჲ ქართული და არღარა იზრახებოდა სხუაჲ ენაჲ ქართლსა შინა თუნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობაჲ ქართული“ (ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 26)

მემკვიდრის ამ ცნობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ქართულ საისტორიო მწერლობაში ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ლეონტი მროველის თხზულებაში გვხვდება ცნობა ქართული ანბანის გამოგონების დროისა და შემდგენლის პიროვნების შესახებ. მას ქართული „მწიგნობრობა“ ფარნაეზამ მეფის შემოღებულად მიაჩნია. რადგან ეს ფარნაეზი XI საუკუნის ამ ისტორიკოსს საქართველოს სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წესწყობილების, იმგვარადვე, როგორც სარწმუნოების შემოქმედად ჰყავს გამოყვანილი და ზღაპრულ პიროვნებად არის ქცეული, ამიტომ ლეონტი მროველის ცნობას ქართული ანბანის შესახებ ფასი ეკარგება. აქ მხოლოდ ის გარემოებაა საყურადღებო, რომ XI საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ქართული ანბანი ქრისტეს წინააღმდეგ აღმოჩენად კქონდა წარმოდგენილი, ძველისძველად მიაჩნდა და სხვებივით ქრისტიანობის შენაძენად არ სთვლიდა. იქნებ, მომავალმა გამოარკეიოს, კქონდა თუ არა ლეონტი მროველს ამისთვის რაიმე საფუძვლიანი წყაროები ან ისტორიული ზეპირგადმოცემა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 194).

მეორე ცნობა ქართული ანბანის შექმნის შესახებ დაცულია სომხურ წყაროებში. უპირველესად უნდა დავასახელოთ კორიუნის „მამგოცის ცხოვრება“. მესროპ მამგოცი (დაახლ. 361-440) იყო ცნობილი სომეხი მოღვაწე. იგი, წარმოშობით, გარონაკანის გავარის (მხარის) სოფელ ხაყეკაციდანაა (მდებარეობს ვანის ტბის დასავლეთით. ამჟამად მოქცეულია თურქეთის ფარგლებში). მესროპ მამგოცი ერთხანს სამხედრო კარზე მსახურობდა, სამხედრო პირი იყო. შემდეგ მეღვა ბერად, წავიდა გოლთის (ახლა ნახჩევანი) გაყარში და მოაქცია ამ მხარის მოსახლეობა. სწორედ აქ

მოუვიდა მას აზრად, შეექმნა სომხური დამწერლობა. კარგა ხნის შემდეგ იგი ეახლა სომეხთა კათალიკოსს საპაკს. მათ მოითათბირეს და მამგოციის განმარახება შეაგყობინეს სომეხთა მეფეს ერამშაპუსს (389-414). მეფემ მაშინ უამბო მათ იმის შესახებ, რომ ვინმე სირიელს, ეპისკოპოს დანიელს, უეცრად აღმოუჩენია სომხური დამწერლობა. მათ დაარწმუნეს მეფე, ემრუნა ამ საქმისათვის. მაშინ მეფემ გააგზავნა ვინმე ვახრივი სამეფო სიგელით აბელ მღვდელთან, რომელიც დანიელ სირიელი ეპისკოპოსის მახლობელი იყო. აბელი დაუყოვნებლივ მივიდა დანიელთან, თავდაპირველად თვითონ გამოჰკითხა დანიელს ამ დამწერლობის შესახებ, მერე მიიღო მისგან ანბანი და გაუგზავნა სომეხთის მეფეს. აბელისაგან რომ მიიღო ეს ანბანი, ერამშაპუსმა დიდად გაიხარა საპაკსა და მამგოცითან ერთად. საპაკმა და მამგოციმა გამოსთხოვეს მეფეს უფლება, ესწავლებინათ ბავშვებისათვის დამწერლობა, ხოლო, როცა ბევრმა მათგანმა აითვისა, მეფემ ბრძანა, ყველგან ესწავლებინათ ეს ანბანი. ორი წლის განმავლობაში მესროპ მამგოცი ასწავლიდა ამ დამწერლობას, რის გამო მან დაიმსახურა მოძღვრის (ვარდაპეტის) საპატიო წოდება.

მაგრამ შემდეგში გამოირკვა, რომ ეს დამწერლობა, დამყარებული სხვა ენობრივ სისტემაზე და მექანიკურად გადმოღებული სომხურისათვის, არასაკმარისი იყო, რადგანაც იგი ვერ გამოხატავდა სომხურის ყველა ფონემას, მაშინ მათ (მესროპმა და საპაკმა) ხელახლა დაიწყეს მრუნვა სომხური დამწერლობისათვის და და ერთ ხანს ეძიებდნენ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს (Корюн, Житие Маштоца, გვ. 89-90).

ასე მარცხიანი გამოდგა სომხური ანბანის შექმნის პირველი ცდა. თავი რომ დავანებოთ ავტორის საკმაოდ თავისუფალ სტილს, რაც შეუფერებელია ისტორიული თხზულებისათვის, სომხური ანბანის შემოღების პროცესი საკმაოდ უცნაური ჩანს. განა დიდი ხანი და სკოლებში სწავლებით შემოწმება იყო აუცილებელი იმის დასადგენად, რომ სირიული (ან მასზე დამყარებული) ანბანი, რომელსაც აკლდა სომხურისათვის ნიშანდობლივი მთელი რიგი ფონემების გამომხატველი გრაფემები, სომხურს არ გამოადგებოდა? ამ ანბანით ხომ შეუძლებელი იქნებოდა სომხურ სიტყვათა ერთი, საკმაოდ დიდი, ნაწილის ჩაწერა? განა ყოველივე ეს არ მეტყველებს, რომ თურმე მესროპ მამგოცს ენობრივი ალღო და ენათმეცნიერული ცოდნა, რაც აუცილებელია ანბანის შექმნისას, მშობლიური დამწერლობის შემუშავებისთვისაც კი არ ჰყოფნიდა?

ამის შემდეგ მესროპ მამგოცი თავისი მოწაფეებითურთ შუამდინარეთისაკენ აიღო გეზი. იგი მივიდა ქალაქ ედესასა (ურჰამი, რომელიც მდინარე ეფრატის სანაპიროზე მდებარეობდა) და ამიღმი (დიარბეკრი, ტიგროსის სანაპიროზე) და ორად გაყო თავისი მოწაფეები. ზოგი დატოვა ედესაში სირიულის შესასწავლად, ხოლო დანარჩენები გაგზავნა ბერძნულის შესას-

წავლად სამოსატში (ეფურატის მარჯვენა სანაპიროზე, ედესის ჩრდილო-ეთით). თვითონ მამტოცი თავის მოწაფეებთან ერთად მიეცა მისთვის ჩვეულ ლოცვას, მღვიძარებასა და ცრემლიან ვედრებას; ცხოვრობდა ასკეტურად, ძლიერ იღვწოდა და ბრუნადა თავისი ქვეყნისათვის. ამგვარად, მან მრავალი გაჭირვება გადაიტანა, რომ თავისი ხალხისათვის დახმარება აღმოეჩინა. მას ღმერთმა მიანიჭა ესოდენი ბედნიერება: თავისი მარჯვენით, როგორც მამამ, შექმნა ახალი და მშვენიერი პირმშო – სომხური ანბანი. იქ, ედესაში, მან ნაჩქარევად მოხაზა, მისცა სახელწოდებანი და რიგზე დაალაგა გრაფემანი.

ამის შემდეგ იგი თავის მოწაფეებთან ერთად მიემგზავრება ქალაქ სამოსატში, სადაც იპოვა ვინმე როფანოსი, ბერძნული კალიგრაფიის მცოდნე. მისი დახმარებით მამტოცმა საბოლოო სახე მისცა სომხურ ანბანს. იქვე დაიწყო მან მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მოძღვარს ეხმარებოდნენ მისი მოწაფეები: იოანე და იოსები. მათ პირველად თარგმნეს სოლომონის იგაენი. თხზულება გადაწერა კალიგრაფმა როფანოსმა, რომელიც ასწავლიდა (წერთნიდა) მამტოცის მოწაფეებს.

მესროპი სომხეთში დაბრუნდა ვრამშაპუკის მეფობის მეექვსე წელს (=395 წ.)¹. იგი ამის შემდეგ იწყებს არარატის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების განათლებას, რაც წარმატებით გაასრულა თავის მოწაფეებთან ერთად („ეს ტომები იყვნენ ძნელად მისადგომნი არა მარტო სატანისებური წეს-ჩვეულებების, არამედ დამახინჯებული და უხეში ენის გამოც. მესროპმა და მისმა მოწაფეებმა ხელი მოჰკიდეს მრავალი თაობის აღზრდას და ისინი ნათლად მეტყველად, მჭევრმეტყველებად და განათლებულად აქციეს, აზიარეს ღმრთისაგან ბოძებულ სიბრძნეს. და ისე ღრმად შეითვისეს ამ მხარის მცხოვრებლებმა ღმრთის კანონები და აღთქმა, რომ რომ სრულიად გათავისუფლდნენ თავიანთი აღრინდელი ჩვევებისაგან“ (Корюн, დასახელებული ნაშრომი, გვ. 95).

ამის შემდეგ მამტოცმა და მისმა მოწაფეებმა ხელი მიჰყვეს სახარების თარგმნას, გადაწერას და სწავლებას (Корюн, გვ. 95). შემდგომში საპაქმა და მესროპმა დაიწყეს სომეხთა განსწავლა, სომხეთის პროვინციებში გაგზავნეს თავიანთი მოწაფეები, ხოლო თვითონ წარჩინებულებს ასწავლიდნენ (გვ. 98).

ასე გადმოგვეცემს კორიუნი, მესროპ მამტოცის ერთ-ერთი მოწაფე, სომხური ანბანის შექმნის ისტორიას. ამავე თხზულებაში ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ნათქვამია: გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მამტოცმა იზრუნა ბარბაროსი ქვეყნებისთვისაც. იგი შეუდგა ქართული დამწერლობის შექმნას „ღმრთისაგან მისთვის ბოძებული მადლით“. მან მოხაზა, დაალაგა და დააწყო, როგორც საჭირო იყო, ქართული გრაფე-

¹ ამგვარად ფიქრობენ, რომ სომხური ანბანი შექმნილია არა 395, არამედ 405 წელს.

მები¹. მესროპმა თან წაიყვანა ზოგი თავისი საუკეთესო მოწაფე და გაემგზავრა ივერთა (ქართველთა) ქვეყანაში, მივიდა ქართლში და წარუდგა მეფე ბაკურს (ეარაზ-ბაკურს) და კათალიკოს მოსეს. „მეფე და ჯარი ყველა მხარესთან ერთად ღმრთის ბრძანებით მორჩილად უსმენდნენ მას. მაშტოცმა მათ თვალწინ გადაუშალა თავისი ხელოვნება და არიგებდა მათ, ხოლო მათ ივალდებულეს მისი სურვილის აღსრულება. მაშინ იპოვეს ერთი მთარგმნელი ქართულად, კაცი განათლებული და მორწმუნე, რომელსაც ერქვა ჯალა (ჯალა). ამის შემდეგ ქართველთა მეფემ ბრძანა, სხვადასხვა მხრიდან შეეკრიბათ ბავშვები და მიეზარებინათ ისინი მოძღვრისათვის (ანუ მესროპ მაშტოცისათვის) სასწავლებლად. ხოლო მან ისინი გამოაწრთო თავისი მოძღვრების გრდემლში, ჩამოაყილა მათ ბოროტსუნიანი ქანგი და კერპთა ცრურწმენით თაყვანისცემის ჭუჭყი, და ისე დაამორა წინაპრების ადათებს, რომ მათ სრულიად დაივიწყეს თავიანთი წარსული“ (Корюн, გვ. 100-101).

მესროპ მაშტოცი მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდა სომხეთში, რაც საქართველოში ყველგან მოაწესრიგა ღმრთისმსახურების საქმე (Корюн, გვ. 102).

ამრიგად, კორიუნის თხზულების მიხედვით, მესროპ მაშტოცს არამარტო შეუქმნია ქართული დამწერლობა, არამედ მისი ხელმძღვანელობით დაუწყიათ ჩვენში ლიტერატურული საქმიანობა. მასვე უდიდესი დამსახურება მიუძღვის საქართველოში ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებასა და ქართული მღვდელთმსახურების მოწესრიგებაში.

დაახლოებით ამავე სქემის მიხედვით არის გადმოცემული ალბანური დამწერლობის შექმნის ამბავი: მას შემდეგ, რაც მესროპ მაშტოცმა ქართველებს შეუქმნა ანბანი, ის გაემგზავრა ალბანთა ქვეყანაში, მივიდა მეფეთა რეზიდენციაში, ინახულა ალბანთა ეპისკოპოსი იერემია, აგრეთვე მათი მეფე არსევახი და ყველა დიდებული. ყველამ მორჩილად მიიღო იგი ქრისტეს სახელით. ხოლო როცა მათ კკითხეს, მესროპმა მოახსენა თავისი მოსულის მიზეზი. მაშინ ეპისკოპოსმა და მეფემ თანხმობა განაცხადეს, მიეღოთ ეს ანბანი და ბრძანება გასცეს, თავიანთი სამფლობელოების სხვადასხვა ოლქიდან და ადგილებიდან მოეყვანათ ბავშვები, რომ ესწავლებინათ ანბანი. როცა ეს ყველაფერი შესრულდა, იერემია ეპისკოპოსი დაუყოვნებლივ შეუდგა საღმრთო წიგნთა თარგმნას, რომელთა დახმარებით ალბანეთის ველურმა, უქმად მოხეციალუ და სასტიკმა ხალხმა მაშინვე შეიყნო წინასწარმეტყველები, მოციქულები, გაითავისა სახარებაანი, აგრეთვე ყველა საღმრთო ადათი (კანონი). მით უმეტეს, რომ ღმრთისმომშიშმა ალბანთა მე-

¹ ისე, რომ არ დასჭირვებია კალიგრაფის დახმარება, რაც აუცილებელი გახდა სომხური დამწერლობის შექმნისას!

ფემ სასწრაფოდ უბრძანა საგანის ცთუნებაში მყოფ და კერპთა მისყიდულ ხალხს, უარ-ეყო ცრუ ადათები და და დამორჩილებოდა ქრისტეს უმსუბუქეს ულელს“ (Корюх, გვ. 106-107).

კორიუნის ამ ვერსიას უყოყმანოდ იზიარებს თითქმის ყველ სომეხი სპეციალისტი, აგრეთვე მრავალი არმენოლოგი უცხოეთში. ამ ვერსიას შეხედებით მრავალ ენციკლოპედიაში. შეიძლება დაგვესახელებინა ერთ-ერთი ბოლო გამოცემა: „Советская историческая энциклопедия“, სადაც ნათქვამია, რომ კორიუნმა „გადმოსცა ყველაზე სანდო ისტორია სომხური, აგრეთვე ქართული და ალბანური დამწერლობის შექმნისა“ (მე-7 ტომი, 987-ე სვ.). ასე მეორდება ეს ლეგენდა სხვადასხვა ავტორის წიგნსა და სტატიაში ისე, რომ ბუერს საჭიროდაც არ მიაჩნია, ოდნავ მაინც დაფიქრდეს, რამდენად ობიექტურად ასახავს საქმის ვითარებას კორიუნის თხზულების ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები (ეს ხელნაწერები ხომ უპირატესად XVII-XIX საუკუნეებით თარიღდება. არსებობს მხოლოდ ორი ხელნაწერი XIV-XV საუკუნეებისა, ამის შესახებ იხილე Корюх, გვ.155-156).

ყველაზე საფუძვლიანად კორიუნის თხზულებაში დაუკული ცნობა განიხილა ივ. ჯავახიშვილმა. იგი წერდა: „სომხურსა და სხვა სპეციალურ მწერლობაში კორუნის მონათხრობი სრულ ჰუმმარიტებად ითვლება და მისი ნაშრომის ცნობებს ემყარებიან, ვითარცა თანამედროვისა და თვითმხილველისაგან აღწერილ მოთხრობას.“

ასეთი ნდობა რომ კორუნის ნაწარმოების კრიტიკული განხილვა-გაცხრილვის შემდგომ დამყარებულიყო, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ძეგლის კრიტიკულად განხილვა და კორუნის განცხადება-ცნობის სისწორის შემოწმება არავის მოსელია ამრად. ასეთი თავალებით ნდობა კი, რა თქმა უნდა, საბიჯათოც არის და არც შეიძლება“ (ივ. ჯავახიშვილი. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ, 156-157).

ივანე ჯავახიშვილმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ცნობა მამგოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ მერმინდელი ჩანართია (კერძოდ, VI საუკუნის დამლევისა). ამას მოწმობს ის, რომ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლამარ ფარპეცი (ფარპელი), რომელიც კარგად იცნობდა კორიუნის თხზულებას¹, მამგოცს მიიჩნევს მხოლოდ სომხური დამწერლობის

¹ აი რას წერს ლამარ ფარპეცი ამის შესახებ: „თუ კი ვისმეს მოუნდება, სწორად გაიგოს ყველაფერი ეს, სწორედ იმავე ნეტარი მამგოცის მოწაფის, სასურველი კაცის კორიუნის ისტორიის წიგნში წაიკითხავს და გაიგებს მისი ცხოვრების ამბავსაც და სომხური ასოების პოუნის შესახებაც, თუ როდის, სად ან ვის მიერ იქნა აღმოჩენილი სომხეთის მეფის ვრამშაპუის მხურვალე ვედრებით. ეს რიგზე დააწყო და სისწორით აღწერა შემოსხენებულმა სულიერმა კაცმა კორიუნმა. მეც იქიდან მრავალგზის წაკითხეთვი გავიგე ეს ჰუმმარიტად“ (იხ. ლ. ნ. ჯანაშია, ლამარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 40).

შექმნილად (ივ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 170-171). ივ. ჯაფარიძემ მიუთითა აგრეთვე ზოგი ანაქრონიზმის შესახებ, რაც კორიუნის თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში დასტურდება (დასახ. ნაშრ. გვ. 172-173). სხვათა შორის, კორიუნის თხზულების ამგვარი კრიტიკა თვით სომეხ სპეციალისტებსაც გამოუთქვამთ. მაგალითად, მ. აბელიანი თელის, რომ ამ თხზულებას, როგორც საისტორიო ნაწარმოებს, არაეითარი ღირებულება არ გააჩნია სომხეთის ისტორიისათვის, თუმცა მას შესაძლებლად მიაჩნია დაუმეას, რომ ავტორმა სწორად გადმოგვცა დამწერლობათა შექმნის ისტორია (იხ. К.А.Мелик-Оганджян, Корюн и его "История Маштоца", გვ. 64-65).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა კ. მელიქ-ოგანჯანიანის მიდგომა, რომელიც წერს: „Исторический труд Корюна содержит весьма ценные исторические сведения об Армении конца IV и первой половины V века и является пока что непревзойденным первоисточником по истории изобретения армянского, иверского и албанского алфавитов, возникновения литературы на этих языках, но все же она не является историческим трудом в прямом смысле слова. В ней преобладает не историческая объективность, оснащенная реальными фактами общественно-политической жизни, а достаточно ясно выраженная тенденция и восхваления своего духовного отца, учителя, варлапта и его духовных подвигов. В жанровом отношении это первое оригинальное произведение на армянском языке скорее всего походит на панегирик“ (К. А. Мелик-Оганджян, დასახ. ნაშრ., გვ. 26). მეშორე მოყვანილი ციტატის ავტორს კარგად უნდა ესმოდეს კორიუნის თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში მესროპის მიერ ქართული და ალბანური ანბანის შექმნის შესახებ ცნობის ფასი, მაგრამ იგი ვერ აღწევს თავს ცთუნებას, გაასაღოს სასურველი სინამდვილე.

უფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, გავუცნოთ იმას, თუ როგორ არის მოთხრობილი ანბანთა შექმნა მოვსეს ხორენაცის (მოსე ხორენელის) „სომხეთის ისტორიაში“, მით უმეტეს, რომ ამ ისტორიკოსის ძირითად წყაროდ კორიუნის თხზულება ითვლება. ხორენაცის მიხედვით: „სანაგრეღმა მესროპმა არამყირელი გაჭირებება გადაიგანა მოძღვრობის ეამს, რამეთუ თვითონ იყო წიგნის მკითხველიცა და მთარგმნელიც. თუ ვინმე სხვა კითხულობდა, როცა მესროპი იქ არ იმყოფებოდა, ხალხი ვერაფერს იგებდა მთარგმნელის არყოლის გამო. მაშინ (მესროპმა) განიზრახა, მოესერებინა ასოების შექმნა სომხური ენისათვის. იგი გადაეგო ამ საქმეს, ფრიად დაშვრა, ბევრი იწვალა“ (მოვსეს ხორენაცი, „სომხეთის ისტორია“, გვ. 216). თვით ანბანთა გამოგონება კი ასეა აღწერილი: „ერამმა ურძანა ჩვენს მეფეს ერამშაპუს, რომ ჩასულიყო შუამდინარეთში, მშვიდობა და წესრიგი დაემყარებინა იქ, პასუხი მოეთხოვა ორივე მხარის მოხელეებისათვის. ერამშაპუკი გაემურა ამ საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ ძალიან გაწვალდა

მწიგნობრის მიზეზით, რამეთუ მას შემდეგ, რაც მესროპი გაეცალა სამეფო კარს, ვეღარ იპოვა დახელოვნებული მწერალი, რადგან ისინი სპარსულ ასოებს იყენებდნენ. მაშინ მეფეს წარუდგა ერთი მღვდელი, სახელად აბელი, და აღუთქვა, რომ სომხური ენისათვის გაამზადებდა ასოებს, რომელნიც მისმა მახლობელმა, დანიელ ეპისკოპოსმა შეადგინა. მეფემ ყურადღება არ მიაქცია მას, მაგრამ სომხეთში რომ მოვიდა, დაინახა, რომ საპაქ ღიდთან და მესროპთან შეკრებილიყო ყველა ეპისკოპოსი სომხური ანბანის შექმნის თაობაზე. შეიგყო რა ეს, ვრამშაპუჰმა გადასცა მათ მონაზვნის ნათქვამი. ეს რომ მოისმინეს, ისინი შეეხევეწნენ მეფეს, ეზრუნა ეზომ საშური საქმისათვის.

ამის გამო (ვრამშაპუჰმა) ხსენებულ აბელთან მოციქულად გაგზავნა თავისი ერთგული, აღნიშნული საქმის თავგამოდებული მომხრე, ჩენი ქვეყნის საპატიო კაცი, სახელად ვაპრიჭი, ხადუნთა გვარისშვილი. მან წაიყვანა (აბელი) და ერთად წაეიდნენ (დანიელთან). დანიელმა საფუძვლიანი განმარტება მიაწოდა მათ და ბერძნული რიგის მიხედვით დაალაგეს ადრევე შედგენილი ანბანი. მათ მოიტანეს იგი და გადასცეს საპაქ ღიდსა და მესროპს. ისინი შეუდგნენ მის შესწავლას, რამდენიმე წელიწადს ბავშვებიც ავარჯიშეს, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ ასოებით შეუძლებელი იყო სომხური ენის ბგერების ზედმიწევნით, დამაკმაყოფილებლად გადმოცემა. ანბანი მწირი გამოდგა“ (მოესეს ხორენაცი, „სომხეთის ისტორია“, გვ. 222). „ამის შემდეგ თვითონ მესროპი გაეშურა თავისი მოწაფეებით ხსენებულ დანიელთან შუამდინარეთში, მაგრამ დამატებით ვერაფერი შეიგყო და გაემართა ედესისაკენ, ვინმე პლატონთან, წარმართ მჭევრმეტყველთან, არქივის გამგებელთან. მან სიამოვნებით მიიღო (მესროპი), შეისწავლა სომხური სიტყვებიც, მაგრამ, ბევრი ცდის მიუხედავად, ვერაფერს გახდა; მაშინ რიტორმა აღიარა თავისი უცოდინარობა. მან მიასწავლა (მესროპს) სხვა ვინმესთან, ფრიად გონიერ კაცთან, რომელიც ადრე მისი მოძღვარი ყოფილა, ხოლო შემდეგ ედესის იმავე არქივიდან წაულია სწავლულთა ნაწერები, წასულა და გაქრისტიანებულა; მას ეპიფანე ერქვა: ეძებე ის, იპოვე და შეგისრულებს გულისწადილსო.

მაშინ მესროპმა ბაბილოს ეპისკოპოსის დახმარებით გაიარა ფინიკია და გაეშურა სამოსში; საქმე ისაა, რომ ეპიფანე გარდაცვლილიყო და მას დარჩენოდა ერთი მოწაფე სახელად რუფინუსი, ბერძნულ წერაში საოცრად დახელოვნებული, რომელიც სამოსში იყო განმარტოებული. მესროპი მივიდა მასთან, მაგრამ აქაც ვერაფერი იპოვა და მიენდო ლოცვებს. მაშინ იხილა მან სულის სიდრემში, გონების თვალით და არა ძილის დროს სიზმრად ან მღვიძარემ მოჩვენებით, მარჯვენა ხელის მტევანი, რომელიც წერდა კლდეზე ისე, რომ მასზე, ვითარცა თოვლზე რჩებოდა ხაზების კვალი. ეს არა მარტო გამოსისახა (მესროპის) თვალწინ, არამედ ყველა (ასოს) დამახასიათებელმა თვასებებმა მოიყარეს თავი მის გონებაში, როგორც რაიმე ჰურჭელში.

ლოციის დამთავრების შემდეგ (მესროპი) წამოდგა და შექმნა ჩვენი ანბანი, რუჟინუსთან ერთად საბოლოო სახე მისცა მის მერ დამზადებულ ასოებს, რომლებსაც ბერძნული ბგერების სიმუსტი შესძინეს. (მესროპი) მაშინვე შეუდგა თარგმნას, შეგნებულად დაწყო (სოლომონის) იგავებიდან. მან გაღმობილო (სომხურად) ოუდაორი ცნობილი წიგნი. თავის მოწაფეებთან, პოპან ეკელეუციასა და პოესუე პაღნაცისთან ერთად სომხურად თარგმნა ახალი აღთქმა. ამავე დროს იგი წერის ხელოვნებას ასწავლიდა თავის ყმაწვილ მოწაფეებს“ (მოვსეს ხორენაცი, დასახ. თხზ., გვ. 223-224).

ქართული და ალბანური დამწერლობების შექმნა ხორენაციის ნაწარმოებში ასეა აღწერილი: „რაც შეეხება მესროპს, იგი წავიდა ქართველთა ქვეყანაში და მადლის ბეგარდმო მონიჭებით მათაც შეუქმნა ანბანი ვინმე ჯალასთან ერთად, რომელიც სომხური და ბერძნული ენებიდან თარგმნიდა. (მესროპს) ხელს უწყობდნენ იმათი მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი. მან შეარჩია ბავშვები, გაყო ისინი ორ ჯგუფად და მოძღვრად დაუტოვა თავისი ორი მოწაფეთაგანი, ტერ ხორბენაცი და მუშე ტარონაცი.

ამის შემდეგ მესროპი გადავიდა ალვანეთში იქაურ მეფე არსვალენტთან და იერემია მთავარეპისკოპოსთან. მათ თავიანთი ნებით შეიწყნარეს მესროპის მოძღვრება და გადასცეს მას გამორჩეული ბავშვები. (მესროპმა) მოიხმო ვინმე ბენიამინი, ნიჭიერი მთარგმნელი, რომელიც დაუყოვნებლივ გაუგზავნა მას სიუნიქის ხელისუფალმა, ყმაწვილმა ვასაკმა, თავისი ეპისკოპოსის ანანის თანხლებით. მათი შეწევნით (მესროპმა) შექმნა ანბანი გარგარელთა ხორხისმიერი, არაკეთილხმოვანი, ბარბაროსული და უხეში ენისათვის. მან იქ მეთვალყურედ დატოვა თავის მოწაფე პოვნათანი, გაამწესა აგრეთვე სამეფო კარის ხუცესნი, ხოლო თვითონ სომხეთში დაბრუნდა“ (მოვსეს ხორენაცი, „სომხეთის ისტორია“, გვ. 223–224).

ადვილად შესამჩნევია ის არსებითი ხასიათის სხვაობანი, რაც შეინიშნება კორიუნის თხზულებასა და მოვსეს ხორენაციის „ისტორიას“ შორის. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ლეგენდა მესროპ მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური დამწერლობის შექმნის შესახებ გვიანდელი ჩანართია (ისიც აღსანიშნავია, რომ ხორენაციის მოღვაწეობის ხანა საბოლოოდ დადგენილი არაა, მისი თხზულების ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ნუსხები XIV საუკუნით თარიღდება). საფიქრებელია, რომ „სომხეთის ისტორიაში“ წარმოდგენილი ჩანართის წყაროს კორიუნის თხზულების კომპილატორის ნამოღვაწარი წარმოდგენდეს.

ძალიან საინტერესოა მ. ალექსიძის დასკვნა, რომელიც მან გააკეთა „ეპისტოლთა წიგნის“ ტექსტუალური ანალიზის საფუძველზე: „ეპისტოლეთა წიგნის“ ძველ რედაქციებში (X საუკუნემდე) არ ყოფილა ცნობა მაშტოცის მიერ ქართული და სომხური დამწერლობის გამოგონების შესახებ და იგი გვიანდელი ინტერპოლაციაა“ („ეპისტოლეთა წიგნი“, სომხური ტექსტი ქარ-

თული თარგმანით, გვ. 041). 8. ალექსიძე მიიჩნევს, რომ ლეგენდა მამგოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ სომხურ წყაროებში ჩნდება X საუკუნის შემდეგ (დასახ. ნაშრ., გვ. 046; უხგანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, გვ. 293-319). 8. ალექსიძე წერს: „ეპისტოლეთა წიგნი“, სადაც შეკრებილია სომხეთის ეკლესიის მესვეურთა მიმოწერა სხვა ქვეყნის ეკლესიის მეთაურებთან V-XIII საუკუნეების მანძილზე, არაერთგან ვხვდებით მამგოცის სახელს, ყველგან საუბარია მის შესახებ, როგორც ქრისტიანული მოძღვრების მქადაგებლისა და საქაქ კათალიკოსის თანამებრძოლზე და არსად არ არის რაიმე ნათქვამი მის მიერ თუნდაც სომხური ანბანის გამოგონების შესახებ. მხოლოდ ერთგან XIII საუკუნის მოღვაწე სომეხი ვარდაპეტი ამბობს: „...მესროპმა მისცა მათ (ქართველებს) ანბანი და მესროპმავე უკურთხა ვარძიის ჯვარი“. გასაოცარი ანაქრონიზმი (მესროპმა აკურთხა ვარძიის ჯვარი!) სრულიად არ აწუხებს სომეხ ვარდაპეტს. ცხადია, ასეთი რედაქტორები ან გადამწერლები ვერ გაუძლებდნენ ქათნებას და ძველ ტექსტებს თავისი შეხედულებებისა და სურვილისამებრ შეაკეთებდნენ“ („ეპისტოლეთა წიგნი“, გვ. 046-047).

ამრიგად, აშკარაა ქართული ანბანის (აგრეთვე ალბანური დამწერლობის) შემოქმედად მამგოცის გამოცხადების მცდარობა. ამ საკითხზე სიკვყვის მეტად გაგრძელება არც ღირს, ოღონდ მივუთითებთ ზოგი მომენტის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ არსებითი სხვაობაა ქართული და სომხური ასოების მოხაზულობაში: „საკმარისია, აღამიანმა სომხური და ქართული ხუცური ასომთავრული უძველესი მოყვანილობის ასოები ერთიმეორეს გულდასმით შეადაროს, რომ დარწმუნდეს, რამდენად დამორეზულია და არ მიაგავს ერთმანეთს ქართული და სომხური ანბანი. ორიოდე ასოს გარდა, ორივე ანბანის ყველა ასო მოხაზულობით არსებითად განსხვავდება.

თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ბერძნულს მერმინელს ანბანს თავის წარმომშობელ ფინიკიელთა ანბანის ასოებთან 5-6 საუკუნის შემდგომაც ისეთი მსგავსება ემჩნევა, რომ მათი ნათესაობა ცხადი ხდება, ქართული და სომხური ასოების მოხაზულობა ერთი-ორი საუკუნის შემდეგ ისე როგორ უნდა შეეცვლილიყო, რომ მათ ნათესაობას გულდასმით დაკვირვებაც ვერ ამჩნევს, თუ მათი შემდგენელი ერთი და იგივე პირი იყო და მართლაც V ს-ში მოღვაწეობდა ქ.შ.“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, გვ. 198-199).

დგება საკითხი, რატომ არ გამოიყენა მესროპმა სომხური ანბანი ქართულისათვის? (ამ გარემოების შესახებ იხ. Н. Бердзенишвили, И. Джавахишвили, С. Джанашия, История Грузии, I. გვ. 95). ქართული და სომხური ენების ფონეტიკური სისტემა ამის საშუალებას თავისუფლად იძლეოდა.

იმის გამო, რომ ქართულ და სომხურ ასოებს შორის მეგისმეგად დიდი სხვაობაა მოხაზულობის თვალსაზრისით, ძირეულად განსხვავდება ქართული და სომხური გრაფემების მომდევრობაც. შევადაროთ ერთმანეთს ქართული და სომხური ასო-ნიშნების რიგი და რიცხვითი მნიშვნელობანი

ქართული		სომხური		ქართული		სომხური		ქართული		სომხური		ქართული		სომხური	
ა	1	Ա	1	ა	20	ბ	20	ს	200			კ	3000	վ	3000
ბ	2	Բ	2	ლ	30	Լ	30	ა	300	მ	300	ք	4000	Տ	4000
გ	3	Գ	3	მ	40	მ	40	յ	400	ն	400	չ	5000	Ր	5000
დ	4	Դ	4	ნ	50	ն	50	ჟ	500	շ	500	ხ	6000	Ց	6000
ე	5	Ե	5	შ	60	ყ	60	ქ	600	ჩ	600	ც	7000	ძ	7000
ვ	6	Վ	6			չ	70	ღ	700	ძ	700	ჯ	8000	ფ	8000
ზ	7	Զ	7	ო	70	შ	80	ყ	800	ղ	800	კ	9000	ჩ	9000
თ	8	Թ	8	ქ	80	ղ	90	შ	900	მ	900	შ	10000		
ი	9	Ի	9	ჩ	90	ჭ	100	ჩ	1000	ჩ	1000				
	10	Լ	10	რ	100	წ	200	ც	2000	ს	2000				

ასოთა რიგის მკვეთრი სხვაობა აშკარაა. ამიგომ სამართლიანია იე. ჯავახიშვილის მოსაზრება: „ცხადია, ასოთა რიგისა და მათი რიცხვითი მნიშვნელობის ასეთი თვალსაზრისით, არსებითი განსხვავება ქართულსა და სომხურ ანბანში შეუძლებელია ყოფილიყო, მათი შემდგენელი რომ მართლაც ერთი და იგივე პირი ყოფილიყო, როგორც სომხურ მერმინდელ მწერლობაში კორუნის გადამკეთებელი და მოსე ხორენელი ამტკიცებდნენ“ (იე. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 199).

რა თქმა უნდა, მამგოცის მიერ ქართული ანბანის შექმნა სრულიად გამორიცხულია იმ მიზეზის გამოც, რომ მან არ იცოდა ქართული ენა. ამის შესახებ პირველად მიუთითა ი. ოქრომჭედილიშვილმა. 1881 წელს თბილისში ჩატარებულ V არქეოლოგიურ ყრილობაზე მან განაცხადა: „Грузинская азбука весьма совершенный инструмент для выражения богатых звуков грузинского языка. Она эти звуки передает с такой точностью и ясностью, что едва ли найдется много азбук, которые выдержали бы сравнение с нею, не исключая и армянский. Такое совершенство инструмента указывает ... на то, что такой анализ не мог быть произведен чужестранцем, при том не знавшим языка, каким является Месроп. По этим данным, сказания армянских историков об изобретении Месропом грузинского алфавита теряют в наших глазах всякое значение“ (И. Л. Окроемчедлов, Об изобретении грузинского алфавита, გვ. 227. იხ აგრეთვე მ. ჯანაშვილი, რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი, „ივერია“, 1887, № 7; 8. სარჯველაძე, ქართული სალიტერა-

ტურო ენის ისტორიის შესავალი, გვ. 68; თ.გამყრელიძე, „მწიგნობრობა ქართული“). ასევე ზღაპრულია ცნობა მამგოცის მიერ ალბანური დამწერლობის შექმნის შესახებ (მან ხომ არც ალბანური ენა იყოდა!). დამწერლობის შექმნა გულისხმობს დიდ ენათმეცნიერულ აღლოსა და სათანადო თეორიულ მომზადებას. სრულიად წარმოუდგენელია, კაცს, რომელმაც მშობლიური ენისათვის დამწერლობის შექმნა დიდი და დაძაბული შრომის შემდეგ ძლივს მოახერხა („იგი გადაეგო ამ საქმეს, ფრიად დაშვრა, ბევრი იწვალა“, „სომხეთის ისტორია“, გვ. 216), ასე ადვილად შეექმნა მისთვის უცნობი ენებისათვის დამწერლობები.

უკანასკნელ ხანებში გაირკვა ისიც, რომ სომხური ანბანის შემქმნელი იცნობდა და იყენებდა ქართულ ანბანს. რ. პატარიძემ აჩვენა, რომ სომხური ნიშნები გრაფიკული მსგავსების მიხედვით სამ ჯგუფს ქმნიან: სემურ (ე.წ. „ნალისებურ“) გრაფიკათა ჯგუფს, ბერძნულ (ე.წ. „კუთხოვან“) გრაფიკათა ჯგუფსა და ქართულ (ე.წ. „კუთხოვან“) გრაფიკათა ჯგუფს. მკვლევრის აზრით, რამდენიმე სომხურ ასოს (შ რ ე ე ჯ) საფუძვლად დაედო ქართული ასომთავრული C გრაფემის მოხაზულობა (რ. პატარიძე, ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლები, გვ. 171-204; ქართული ასომთავრული, გვ. 528-584).

ცხადია, ლეგენდა ქართული დამწერლობის მამგოცის მიერ შექმნის შესახებ საბოლოოდ უნდა იქნეს უარყოფილი¹.

როგორც ზემოთ ვნახეთ, კორიუნის თხზულებაში არის სანდო ცნობა იმის შესახებ, რომ მამგოცმა გამოიყენა სირიული და ბერძნული დამწერლობანი. საფიქრებელია, კორიუნის ნაწარმოების თავდაპირველ ვარიანტში ყოფილიყო მითითება იმის შესახებ, რომ მამგოცმა ქართული ანბანი თავის ისარგებლა, ხოლო შემდგომში ეს ცნობა ამოიღეს და ჩაურთეს ლეგენდა ქართული ანბანის მამგოცის მიერ შექმნის შესახებ.

3. ივ. ჯავახიშვილის თეორია ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ

ივანე ჯავახიშვილი გრაფიკული შედარების მეთოდით იკვლევდა ქართული დამწერლობის წარმომავლობის საკითხს. იგი მიუთითებდა: „უმთავრესი მნიშვნელობა, რასაკვირველია, თვით ასოთა მოყვანილობა-

¹ სხვათა შორის, არსებობს ასევე ლეგენდარული ცნობა იმის შესახებ, რომ სომხები ადრე ქართულ ანბანს იყენებდნენ: „რაიყა თვის-უყვის მწიგნობრობასა, არა იყო მათ (სომეხთა) შორის ძველთა შინა საუკუნეთა“, ამიგომ „იგინი (სომეხნი) სარგებლობდნენ პირველ ბერძულითა წიგნითა და ქართულითა. ქრისტეს მოსლევითგან მრავალთა წელთა განვლეს, მერმე ქმნეს სომეხთა წერილი თვისი, რომელსაყა იტყვიან იგინი მოძღვრისად მათისა მესროფისათვის, ვითარმედ მან განაწესა და ქმნა ასონი მათნი მსგავსად ქართულისა ხუცურისა წერილისა“ (გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, I, გვ. 123).

მოხაზულობის მსგავსებასა და იგივეობას აქვს“ (ივ. ჯაფახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 203). მეცნიერი ფიქრობდა, რომ უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული მრგლოვანი დამწერლობა გვიანდელია, მას კუთხოვანი დამწერლობა უსწრებდა (დასახ. ნაშრ. გვ. 204).

ივ. ჯაფახიშვილმა გრაფიკული თვალსაზრისით შეადარა ქართული, ბერძნული და სემიტური დამწერლობანი და დაასკენა, რომ „ბ“, „გ“, „ე“, „ა“ და ზოგიერთი სხვა ასოს მდებარეობა ქართულ ანბანს თვალსაჩინოდ ამორებს ბერძნულ ანბანს, ხოლო ფინიკურ-არამეულ და მათგან წარმომდგარ ანბანებს უახლოებს“ (ივ. ჯაფახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა, გვ. 232).

ივ. ჯაფახიშვილი განსაკუთრებით გახაზაქა ქართული ასომთავრული 9-ს თავშეკრული ვარიანტის არქაულობას და მის წყაროდ ფინიკური ან არამეული დამწერლობები მიაჩნდა. იგი წერდა: „ქართულ თავდაპირველ ანბანს თავშეკრული „ბ“-ს შეთვისება შეეძლო ან ფინიკელთაგან უშუალოდ, ან არამეელთაგან უძველეს ხანაში, ქ. წ. VII საუკუნემდე. ფინიკელთაგანაც ქართველებს უშუალოდ მხოლოდ იმ ხანაში შეეძლოთ შეთვისება, როდესაც მათთან შედარებით ახლო იყვნენ და საურთიერთო დამოკიდებულება ქონდათ, ე. ი. VII საუკუნემდე, სანამ გუბალები და მოსოხები მცირე ამიაში ცხოვრობდნენ და როდესაც, იეზეკიელის სიგყვით, „თობალ და მოსოხ ვაპრობდეს“ ფინიკიის ქალაქ გვიროსში და, სხვათა შორის, გასაყიდად რეალის ჭურჭელი მიქონდათ ხოლმე (XXVII, 13) (ივ. ჯაფახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 234).

ივ. ჯაფახიშვილი ითვალისწინებდა იმ გარემოებასაც, რომ ასე ადრეული ხანის ქართული წერილობითი ძეგლები არ მოიპოვება, თუმცა თელიდა, რომ უძველესი წერილობითი წყაროები ისეთ მხატვრულად ჩამონაკეთილ, უაღრესად განვითარებულ და სრულიად დასრულებულ დამწერლობის ნიმუშებს გამოავლენენ, რომ ქართული ანბანის განვითარების ხანგრძლივი ტრადიცია უნდა ვივარაუდოთ (ივ. ჯაფახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 234-235).

ივ. ჯაფახიშვილი დაასკენდა: „ერთი მხრით, ჯერხნად ცნობილი VI საუკუნე ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ 100-გა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი. მეორე მხრით, ქართული ანბანის ასოთა რიგობითი მიმდევრობა ფინიკურ-სემური ანბანისას მშვენიერად იყავს, რაჟ აგრეთვე მისი სიძველის მომასწავებელია: ფინიკურ-სემური ანბანის უძველესი მოხაზულობის მსგავსად, ქართულ ბერ ასოს პირი მარცხნივ აქვს მობრუნებული და, დასასრულ, ასო „ბ“-ანის ქართული თავშეკრული მოხაზულობა შესაძლებელია მხოლოდ ფინიკელთა, ებრაელთა და არამეელთაგან ყოფილიყო შეთვისებული VII ს-

ზე არაუგვიანეს ქ.წ., როდესაც თვით არამეგლინიუ ჯერ კიდევ თავმჯდომარეულ „ბ“-ს ხმარობდნენ და როცა ქართველი გომები ტუბალ-მოსოხებიც აზიამი ცხოვრობდნენ და ფინიკიელებთან აღებ-მიცემობაჲს ქქონდათ“ (დასახ. ნაშრ., გვ. 235-236)

ივ. ჯაფახიშვილი თავის თეორიას პიპოთემას უწოდებდა, რომლის სი-მართლე მომავალს უნდა გამოერკევა, თუმცა დაბეჯითებით აცხადებდა, რომ, „უხლა მაინც სამუდამოდ უკუგდებულ უნდა იყოს ამრი ქართული ან-ბანის V საუკუნეში გამოგონების შესახებ ქ. წ. და უნდა განმტკიცდეს ამრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიამი და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ“ (ივ. ჯაფახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 236).

ივ. ჯაფახიშვილის ძირითად დებულებებს იზიარებს რ. პატარიძე, ოღონდ მიიჩნევს, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია ჩვენს წელთაღ-რიცხვამდე V საუკუნეში (იხ. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, გვ. 78).

ქართული დამწერლობის დაკავშირება სემიტურ სამყაროსთან შესაძლებლად მიაჩნდა მ. ჯანაშვილსაც. იგი ფიქრობდა, რომ ქართული ან-ბანი შეიქმნა არაუადრეს XIV საუკუნისა ჩვ. წელთაღრიცხვამდე (მ. ჯანაშ-ვილი, რა ღროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი, „იუერია“, 1887, № 127; 128)

ივ. ჯაფახიშვილის თეორიის გამიარებას მრავალი დაბრკოლება ელ-ობება, რომელთაგან უმთავრესია:

1. დამტკიცებულად ვერ ჩავთვლით იმას, რომ ტუბალები და მოსოხები ქართული გომებია (ამდენად პრობლემატურია ფინიკიელებთან და სემიტურ გომებთან ქართული გომების ურთიერთობა ძვ. წელთაღრიცხვის VIII-VI საუკუნეებში). კ. კეკელიძე ამ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებდა: „თავისთავად იგულისხმება, რომ ანბანის სესხება ამა. თუ იმ ერისაგან შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ერთან უშუალო კავშირი და ურთიერთობა არსებობს. ამიტომაც არის, რომ ჩვენი მკვლევარი ასახელებს ემეკიელ წინასწარმეტყველს, რომ თობელსა და მოსოხს ფინიკიელებთან აღებ-მიცემობა ქქონდათო (XXVII,13). ამის შესახებ, პირველ ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებულ ადგილას ემეკიელის წიგნში თობელსა და მოსოხს არ იხსენიებენ არც სეპტანგა, რომელსაც როგორც მეცნიერებაში ცნობილია, ემეკიელის წიგნი უკეთესად შემოუნახავს, ვიდრე ებრაულ ვულ-გატას, არც მისგან მომდინარე წიგნები. აქ „თევილ“ (თობელ) გაგებულია, როგორც „ყოველი“, ხოლო „მემეკ“ (მოსოხ) წარმოებულია „მამაკი“-საგან, რაც „განვრყოლას“ ნიშნავს. ასე რომ მიღებულია: „ἡ Ελλάς καὶ ἡ ὁμηροῦ καὶ τὰ παρατείνευστα αὐτοῦ“ – „ელლადა ყოველი და განმავრცობელნი მისნი“. ჩანს, 70 თარგმანთ ქქონდათ საბუთი ასეთი გაგებისა, თორემ რაღა აქ არ მოიხსენიეს ეს გომები და იმავე ემეკიელის სხვა ადგილას – კი

(XXXII,26, XXXVIII,2, XXXIX,1). მეორე, თობელსა და მოსოხში კიდევაც რომ უცილობლივ ქართველი გომები ვიყნოთ (ეს აქსიომა არ არის, არსებობს სხვაგვარი შესედელება ამის შესახებ ეგზეგეტიკაში), აქედან მხოლოდ იმ დასკვნას მივიღებთ, რომ ფინიკიელებთან აღებ-მიცემობა ჰქონდათ თობელსა და მოსოხს, ის ანბანი კი, რომელსაც ქართული ეწოდება, როგორც სახელიდან ჩანს, შემოღებულია არა თობელ-მოსოხის, არამედ ქართველი გომის მიერ, რომელსაც „ქართი“ ეწოდებოდა“ (კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, „მნათობი“, № 5-6, გვ.156). კ. კეკელიძე იმასაც გახაზავს, რომ ასურულ წყაროთა მიხედვით მუშკებს ხუთი მეფე (გვართა მეთაური) ჰყოლიათ, გუბალებს – 24. ემეკიელის მიხედვით, მოსოხი და თობალი იყვნენ სამინელი ბარბაროზები, რომლებიც „ვაჭრობდეს სულებსა კაცთასა“, მმარცეელები, ყაჩაღები (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 159).

2. ჯერჯერობით უდავო თარიღიანი წერილობითი ძეგლები V საუკუნიდან გვაქვს. როცა ივ. ჯავახიშვილი ქართული დამწერლობის მრავალსაუკუნოვან პრეისტორიას ვარაუდობდა, იგი იმედოვნებდა, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიების განვითარების შედეგად აღმოჩნდებოდა უფრო ადრინდელი წერილობითი ძეგლები. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ მოსაზრების შემამაგრებელი ნივთიერი მასალა არსად ჩანს, რაც ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებისათვის არსებითი ხასიათის დაბრკოლებაა.

3. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ქართული დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული ძეგლების ჩამოკვეთილობა გულისხმობს ხანგრძლივი განვითარების გზას. ამ მოსაზრების გამიარებაჲ ჭირს, რადგანაც X საუკუნის ქართული ანბანი V საუკუნის ანბანთან შედარებით არ არის უფრო სრულყოფილი, ჩამოკვეთილი. ამდენად, ეს საბუთი ანბანის სიძველის სამტკიცებლად ვერ გამოდგება.

4. ივ. ჯავახიშვილი იყენებს გრაფიკული შედარების მეთოდს, რაც ანბანთა წარმომავლობის ძიებისას გადამწყვეტად ვერ ჩაითვლება (სხვა ნიშნებზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

4. ბ. წერეთელი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ

1940 წლის 25 ნოემბერს მცხეთის მახლობლად, არმაზში, აღმოაჩინეს ორენოვანი წარწერა, რომელიც ცნობილია არმაზის ბილინგვის (ლათ. bi „ორი“ lingua „ენა“) სახელწოდებით. წარწერა შესრულებულია ბერძნულად და არამეულად. იგი შეიცავს ბერძნულსა და არამეულს ქართლის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიისათვის. ამ წარწერის ბერძნული ტექსტი გამოსცეს ს. ყაუხჩიშვილმა (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, № 1-2, გვ. 171-175) და ა. შანიძემ (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, № 1-2, გვ. 184-185).

არამეულ ტექსტს რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა გ. წერეთელმა (გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა: ენიმიკის მოამბე, XIII, გვ. 1-48; Г.В. Церетели,

Армазское письмо и проблема присождения грузинского алфавита, I; Эпиграфика востока II, გვ. 90-101; II, Эпиграфика востока III, გვ.59-71). გ. წერეთლის აზრით, ეს წარწერა გამოავლენს არამეული დამწერლობის თავისებურ სახეს. იგი წერს: „მისი ლექტუსი იმდენად თავისებურია, რომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს გამოვყოთ იგი, როგორც სემიტური დამწერლობის დამოუკიდებელი შტო“ (გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 5). გ. წერეთელმა მას არამეული დამწერლობა უწოდა. მკვლევრის აზრით: „ზოგიერთი არამეული ნიმუში გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს ქართულ ასოებთან. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ისევ არ დაისვას ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი. ამ საკითხის განხილვა საუციალურ გამოკვლევას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია აღენიშნოთ, რომ ქართულ ასოებში, რომლებშიც გაიღობით უფრო გვიანდელ ძეგლებში ფიქსირებული, ვიდრე არმაზის წარწერაა, ზოგჯერ უფრო მეტი არქაულობა იჩენს თავს, ვიდრე არმაზის სათანადო ნიმუშებში. ქართული ნუსხური უ გაიღობით უფრო ძველია თავისი მოხაზულობით, ვიდრე არმაზის წარწერის სათანადო ნიმუში. ამიტომ სწორი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ ქართული დამწერლობა არმაზის ასოების მერმინდელ განვითარებას წარმოადგენს. უფრო საფიქრებელია, რომ ერთი და მეორე ერთი საერთო წყაროსაგან, უნიკურისა და ძველი არამეულისაგან წარმოადგება, როგორც ამას ჯერ კიდევ განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აფიქრობდა. შესაძლებელია, ქართულსა და არმაზულსა საუფუძლად დაედო ძველი არამეული დამწერლობის თავისებური შტო, რომელთანაც ხშირად არამეული უფრო ახლოს დგას, ვიდრე ქართული, ზოგჯერ კი პირიქით“ (გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 13-14).

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ არამეული დამწერლობა არის შუალედური რგოლი, რომელიც ქართულს ქრონოლოგიურად აკავშირებს უნიკურ-არამეულთან (Армазское письмо, გვ. 63). მისი აზრით, ცალკეულ ქართულ და არამეულ ასოებს შორის მნიშვნელოვანი მსგავსებაა. ამასთან, წერის სტილი, დამატებითი ელემენტები აგრეთვე აახლოებს არამეულ დამწერლობას ქართულთან. გვაქვს ცალკეულ ასოთა დაწერილობის მსგავსებაც (Армазское письмо, გვ. 63-64). გ. წერეთელმა მიუთითა, რომ არამეული წადე და ქართული წილი თითქმის იდენტურია (არმაზის ბილინგვა, გვ. 16; Армазское письмо, გვ. 64). უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ქართული წ გადმოსცემს სემიტურ გ-ს (Армазское письмо, გვ. 64).

გ. წერეთელი მიიჩნევდა, რომ არამეული (წადე) ასოს მოხაზულობასთან დიდ სიახლოვეს იჩენენ ქართული გრაფემები უ, ზ, წ, და შესაძლოა, მათი პროტოტიპები უნდა ვეძიოთ სემიტურში (Армазское письмо, გვ. 66-67).

გ. წერეთელი განსაკუთრებით გახაზავს ქართული უ ნიმუშისა და ძველი არამეულის (ბეთ) გრაფემათა სიახლოვეს (Армазское письмо, გვ. 67). ასევე

ქართული ზ ნიშნის მოხაზულობა წააგავს სამარიტულს (გიმმელ) ასოს დაწერილობას, მას დაუყავს ამ ნიშნის თავდაპირველი სახე (იქვე, გვ. 68).

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ქართული ზ და ჳ ნიშნები გაცილებით არქაული დაწერილობისაა, ვიდრე სათანადო არმაზული ნიშნები (Αρμαζικος Πιςυμο, გვ. 68). „ამიტომ სწორი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ ქართული ასოები არმაზის ასოების მერმინდელ განვითარებას წარმოადგენს. უფრო საფიქრებელია, რომ ერთი და მეორე ერთი საერთო წყაროსაგან ფინიკიურისა და ძველი არამეულისაგან წარმოადგება, როგორც ამას განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჰფიქრობდა. შესაძლებელია, ქართულსაც და არმაზულსაც საფუძვლად დაედო ძველი არამეულის დამწერლობის თავისებური შტო, რომელთაგანაც ხშირად არმაზული უფრო ახლოს დგას, ვიდრე ქართული, მოგჯერ კი პირიქით“ (არმაზის ბილინგვა, გვ. 13-14). არმაზის ბილინგვა უნდა დავათარილოთ ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნით (გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, გვ. 34).

ქართული დამწერლობის წარმოშობის კონკრეტულ თარიღს გ. წერეთელი არ მიუთითებს, მაგრამ აშკარად გამოთქვამს თვალსაზრისს ქართული დამწერლობის წინარეჟისტიანულ ხანაში შექმნის შესახებ.

გ. წერეთელი არამეულს უდარებდა ქართული დამწერლობის ერთ-ერთ სახეს – ნუსხურს. მას მიაჩნდა, რომ დ. ბაქრაძის, ივ. ჯავახიშვილისა და სხვათა მიერ მიღებული ქართული ანბანის განვითარების გზა: ასომთავრული → ნუსხური → მხედრული არაა სწორი. მისი აზრით, ასომთავრული და ნუსხური მომდინარეობს საერთო წყაროდან. მოგ შემთხვევაში ნუსხურს დაუყავს არქაული ნიშნები, მოგჯერ – ასომთავრულს (Αρμαζικος Πιςυμο, გვ. 70). უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. ბაქრაძემ, დ. კარიჭაშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა, ა. შანიძემ, ი. აბულაძემ, ე. მაჭავარიანმა და სხვებმა ნათლად აჩვენეს, რომ ქართული დამწერლობის უძველეს სახეობას ასომთავრული წარმოადგენს, მისგან მივიღეთ ნუსხური, მხედრული კი შედარებით ახალია და ნუსხურისაგან მომდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ გაურკვეველი დარჩა, რომელ ენაზე დაწერილი ქვემო ტექსტი. ა. შანიძე მიუთითებს: „ამ ტექსტში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საკუთარ სახელსა და საზოგადო სახელთა გამორეხებს, სულ არის, ნაწილაკითურთ, 32 სიტყვა, რომელთაგან 29 არამეულია, სამი სპარსული. ეს – ლექსიკური შედგენილობის მიხედვით. გრამატიკული თვალსაზრისით ტექსტი გვიჩვენებს ისეთ მოვლენებს, რომლებიც აშკარად დადადებენ, რომ ენა არ არის სემიტური. მსაზღვრელი დაისმის საზღვრულის წინ (კლდ ბტხმ „მცირე პიტახში“), ქალის მიმართ მამრობითი ფორმებია ნახმარი და სხვა. ყველაფერი ეს აშკარად გვეუბნება, რომ ენა არ არის არამეული“ (ა. შანიძე, რეცენზია გ. წერეთლის ნაშრომზე „არმაზის ბილინგვა“, გვ. 143).

სხვა დაბრკოლებებთან ერთად, რომლებსაც ქვემოთ მივეუთითებთ, არსებითი გ. წერეთლის თეორიისათვის ისაა, რომ არამეულთან შესადარებლად აღებულია ნუსხური და არა ქართული დამწერლობის უძველესი საფეხური ასომთავრული.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართული დამწერლობის არამეულიდან მომდინარეობის ამრიგად გამოუთქვამთ, კერძოდ, ფრ. მიულერს (*Über den Ursprung der armenischen Schrift*, გვ. 431-438). ი. ტილორს (*The Alphabet*, ტ. II, გვ. 268)¹, ს. გორგაძეს (*წერილები საქართველოს ისტორიიდან*, I, გვ. 69-75).

ს. გორგაძე წერდა: „ქართული ასომთავრული არც ერთ ანბანს ისე ძლიერ არ ჰგავს, როგორც ... არამეულსა და იმის პროტოტიპს ძველ-ებრაულ-ფინიკიურ ალფაბეტს; არც ერთი ანბანისაგან ჩვენი ასომთავრულის წარმოება ისე ადვილი არაა, როგორც ამ ორი ანბანიდან. მხოლოდ სამი თუ ოთხი ასოა ბერძნულიდან ნასესხები და ისიც მხოლოდ ის ასოები, რომელნიც არამეულსა და ძველ-ებრაულ-ფინიკიურ ანბანში არ მოიპოვება. დანარჩენი ასოები კი ან ძველი არამეულის პირდაპირ განმეორებას წარმოადგენს, ან მცირედენს შეეკვას“ (ს. გორგაძე, *დასახ. ნაშრ.* გვ. 70).

ს. გორგაძეს ფარნავაზი მიაჩნდა ქართული ანბანის შემქმნელ-რეფორმატორად და ქართული მწიგნობრობის შემომღებლად. „ანბანი ქართველ ხალხს, განსაკუთრებით მის მოწინავე თემს, ალაროდიულებს, ფარნავაზზე გაცილებით ადრე უნდა ჰქონებოდა, მაგრამ, შესაძლოა, ამ ანბანს ბევრი ნაკლი ჰქონოდა, ყველა ქართული ხმების გამოხატველი ვერ ყოფილიყოს და ფარნავაზს შეეხსოს იგი ახალი ასოებით, შესაძლოა, აგრეთვე, ფარნავაზს წერა-კითხვა დანარჩენ თემებშიც გაეცრელებინოს, თანაც უცხო ენებიდან რამდენიმე წიგნი გადმოეთარგმნინებინოს და, ამგვარად, საფუძველი ჩაეყაროს ქართული მწიგნობრობისათვის. ერთი სიტყვით, ფარნავაზს უნდა ეკუთვნოდეს დაწყება „მწიგნობრობის“ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და არა ანბანის შემოღება. აი ამას უნდა ნიშნავდეს, ჩვენის ფიქრით, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვები ფარნავაზის შესახებ: „ამანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (დასახ. ნაშრ., გვ. 74).

ქართულ დამწერლობას კ. იუნკერი ავესტურს უკავშირებდა (*Heinrich F. J. Junker, Das Awestaalphabet und der Ursprung der armenischen und georgischen Schrift*). ჯერ კიდევ 1881 წელს ილია ოქრომჭედლიშვილმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული მხედრული ანბანი მომდინარეობს ზენდავესტურისგან (*И. Окромчедлов, Об изобретении грузинского алфавита*, გვ. 225). დ. ფურცელაძის აზრით, ქართული ანბანი ეთიოპურიდან მომდინარეობს და თანადროულია ძველი აღმოსავლური (იგულისხმება ეთიოპური,

¹ ოლონდ. მისი ვარაუდით, ქართული ანბანი არამეულს ფალაურის გმით უკავშირდება.

სანსკრიტი, ებრაული, სომხური, . – აეგ.) ანბანებისა (იხ. Труды V археологического съезда в Тифлисе, გვ. XLII).

5. ქართული დამწერლობის ბერძნულიდან მომდინარეობის თეორია

1876 წელს ვ. გარდტაუზენმა აღნიშნა, რომ ქართული დამწერლობა ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს (V. Gardthausen, Über den griechischen Ursprung der armenischen Schrift, გვ. 74-80). ეს აზრი მან გაიმეორა თავის ცნობილ მონოგრაფიაში „Griechische Paläographie“.

1881 წ. თბილისში ჩატარებულ არეოლოგთა V კონგრესზე ღიმიტრი ბაქრაძემ წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც იგი ცდილობდა დაესაბუთებინა ქართული დამწერლობის ბერძნულიდან მომდინარეობა. კერძოდ, დ. ბაქრაძე მიუთითებდა, რომ ქართული ასოების რიგი მიჰყვება ბერძნულს; ნახესებია ზოგი ტერმინი: კალამი, მელანი (М. Бакрадзе, Грузинская Палеография, გვ. 208-209); უ-ს დაწერის წესი ბერძნულის მსგავსია (გვ. 209); ზოგი ასოს მოხაზულობა ბერძნულს ენათესავენ (გვ. 209). ავტორის აზრით, ქართული დამწერლობა შემოღებულია ბერძნულის ზეგავლენით ჯერ კიდევ შაიზღვის-პირეთის კოლონიზაციის პერიოდში (გვ. 208).

ქართული ანბანი ბერძნულიდან მომდინარედ მიაჩნდა დ. კარიჭაშვილს. იგი მიიჩნევდა, რომ ქართული ანბანის წარმომავლობის სამტკიცებლად ასოთა შედარების მეთოდს კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ ფონეტიკურ შესაბამისობას. აი, რას წერდა დ. კარიჭაშვილი: „მსგავსება ასომთავრული ანბანისა არამეულსა და ბერძნულთან აიხსნება იმით, რომ ბერძნული და არამეული წარმომდგარნი არიან ერთის ანბანითგან – ებრაულ-ფინიკურითგან, და ამიტომ ერთმანეთს ჰგვანან. ამის გამო გასაკვირველი არ არის, რომ ქართული ანბანი, ერთ-ერთის ამ ანბანისგან წარმომდგარი, ჰგავდეს მეორესაც. გადამწყვეტი იმ საკითხისა, თუ რომლის ანბანითგან წარმოსდგა ქართული – ბერძნულისგან თუ არამეულისგან – იმოდენად მსგავსება არ არის, რამდენადაც სხვა მოსაზრებები.

საქმე ის არის, რომ არამეულსა და ბერძნულს ანბანში ასოები ერთნაირ რიგზე არიან დალაგებულნი, მაგრამ მნიშვნელობა კი ყველას ერთნაირი აქვთ. ეს იმით აიხსნება, რომ ბერძნებმა ებრაულ-ფინიკურის ანბანის გადმოღების დროს ზოგიერთს ასოს მიათვისეს სხვა ხმა. მაგალითად, მერვე ასო, არამეულში რომ გამოხატავდა ხმას ხ, ბერძნებმა მიიღეს ალსანიშნავად ხმისა კ, მეთერთმეტე ასო, რომელიც არამეულში გამოხატავდა ხმას ქ. ბერძნებმა მიიღეს ალსანიშნავად ხმისა კ, აგრეთვე მეთხუთმეტე ასო არამეულში აღნიშნავდა ხმას ს, ბერძნულში კი მას მიათვისეს ხმა ქს. მეჩვიდმეტე ასო არამეულში გამოხატავდა ხმას ფ ან ფ, ბერძნულში კი ხმას კ, მეთერამეტე ასო არამეულში გამოხატავდა ხმას ყ, ხოლო ბერძნულში ისევე ხმას კ, რისთ-

ვისაც ბოლო დროს აღარ იხმარებოდა და დარჩა ანბანში მხოლოდ რიცხვის გამოსახატავად. მეოცე ასო არამეულში გამოხატავდა ხმას ჟ, ხოლო ბერძნულში ხმას ს ...“

ამის შემდეგ დ. კარიჭაშვილი წერს: „ქართული ასოები ანბანში მისდევს ბერძნული ასოების რიგს ისე, როგორც ისინი დალაგებულნი არიან რიცხვების აღსანიშნავად. იმ შემთხვევაში, როდესაც ბერძნული ასო გამოხატავს ქართულში არარსებულ ხმას, ქართულს ანბანში მითვისებული აქვს სხვა რომელიმე წმინდა ქართული ხმა. ასეა მაშინაც, როდესაც რომელიმე ბერძნული ასო იმეორებს წინად აღნიშნულს ხმას. ხმას ჟ ბერძნულ ანბანში არა აქვს თავისი გამომხატველი განსაკუთრებული ასო. იგი გამოიხატებოდა ორი ასოთი. აგრედვე იყო ძეღლს ქართულს ასომთავრულს ანბანშიც (ოჟ). რიცხვითი მნიშვნელობა ქართული ასოებისა ისეთივეა, როგორც ბერძნულში. იმ ქართულის ხმების აღსანიშნავად, რომელთა მსგავსები ბერძნულში არ მოიპოვებიან, ასოები საგანგებოდ არიან შედგენილნი ბერძნული ასოებითგან და მოქცეულნი ბოლოში.

ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ქართული ანბანი წარმოებულია ბერძნულითგან. არამეულის ანბანითგან რომ ყოფილიყო წარმოებული, უეჭველია, ქართული ხმები იმ რიგით იქნებოდნენ აღნიშნულნი, როგორც არამეულშია. მაგ. შერვე ასოს ექნებოდა ხმა ს და არა შ, მეთერთმეტე ასოს ქ და არა კ, მეთხუთმეტეს ს და არა ჟ, მეჩვიდმეტეს ჟ და არა კ, მეთვრამეტეს ჟ და არა ქ, მეოცეს შ და არა ს, ოცდამეშვიდე ასოს ეჭირებოდა მეთვრამეტე ადგილი და ექნებოდა მნიშვნელობა ხმისა ც ან წ“ (დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი, გვ. 30- 32).

რაც შეეხება ასოთა ქართულ სახელებს, თუ მათში „რომელიმე მიაგავს ბერძნულს (მაგ. სან) ან არამეულს (მაგ. შინ), ეს მსგავსება აიხსნება შემთხვევით და არა გავლენით (დ. კარიჭაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 32); იხ. აგრეთვე T.B. Гамкrellidze, Происхождение и типология алфавитной системы письма, II, გვ. 10 და შმდგ).

დ. კარიჭაშვილის მოსაზრებები დღესაც საინტერესოა და ანგარიშგასაწევი.

კ. კეკელიძემ 1929 წელს ჟურნალში „მნათობი“ №5-6 გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი „ქართული კულტურის ორი დღესასწაული“. მისი აზრით, ქართული დამწერლობა ბერძნულისაგან მოდის. ამ თვალსაზრისს, კ. კეკელიძის ვარაუდით, შემდეგი არგუმენტები უმაგრებს ზურგს: 1) ანბანის შემოღებისას „ბერძნებს, როგორც ქრისტიანობისა და მისი მწერლობის პირველწყაროს, მეტი კულტურული და მისაბაძი ღირებულება ექნებოდა ქართველობისათვის, ვიდრე სხვა ერებს, კერძოდ, სომხებს, სემიტებს და ირანელებს“. 2) წერასთან დაკავშირებული ზოგი ტერმინი ქართულში ნასესხებია ბერძნულიდან (კალამი, მელანი, წიგნი, ძღვისი, ბერძნულში ნასესხე-

ბია ლათინურიდან); 3) ქართულში, ისე როგორც ბერძნულში, გვაქვს ხმოვანთა გამოშხაგველი ნიშნები. ეს ნიშნები პირველად ბერძნებმა შემოიღეს; 4) წერის მიმართულება საერთოა ბერძნულთან; 5) ასოების რიგი და თანმიმდევრობა ბერძნულისას ემთხვევა. ამას გარდა, „როდესაც ერთი ერი მეორე, უფრო კულტუროსანი, ერისაგან ანბანს სესხულობს, ის ჯერ გამოიყენებს ორივე ენისათვის საერთო ასოებს და მერე ზრუნავს თავისი საკუთარი ბგერების გამოსახატავი ნიშნებისათვის, რომელთაც ანბანის ბოლოში ათესებს. ასე მოიქცნენ თავის დროს ბერძნები, ასევე უნდა მოქცეულიყვნენ ქართველებიც. მართლაც, ქართულ ანბანში „ღ“-ნიდან „ქ“-ანამდე, იგივე 24 (ან უკეთ 25, თუ მხედველობაში გვექნება ბერძნული ღ, რომელსაც უდრის ქართული ღ) ასო გვაქვს, ორი გამონაკლისის გარდა (ა, ე – ზ, ვ), რაც ბერძნულში, და იმავე თანმიმდევრობით, როგორც ბერძნულში. ბოლოში, „ქ“-ანის შემდეგ, ბერძნულის გაგრძელებად, მოთავსებულია სპეციფიკური, ბერძნულთან შედარებით, ქართული ბგერების გამოშხაგველი ნიშნები: ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, კ, ჯ, ჰ, ზ (თუმცა, შესაძლებელია, უკანასკნელი შემოღებული იყოს როგორც შესაგყვისი ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასო ანისა). სპეციფიკურ ქართულ ბგერათა გამოშხაგველია აგრეთვე „ა“ და „ე“, მაგრამ ისინი ატანილია საერთო ასოთა სვეტში, იმ ორი ბერძნული ასოს (ზ,ვ) რიცხობრივი მნიშვნელობის შესაგყვისად, რომელნიც ქართულში არ მოიპოვებიან. 6) ქართულ ასოებს შემოუნახავთ უცვლელად არა მარტო თანმიმდევრობა ბერძნული ანბანის ასოებისა „ქ“-ანამდე, არამედ მათი რიცხობრივი მნიშვნელობაც“ (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 156). კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ თუ გრაფიკულ მეთოდს მივიღებთ, 24 ქართული ასოდან (ანიდან ქანამდე) 21 „უფრო ადვილად, ბუნებრივად და ძალდატანებლად შეიძლება გამოყვანილ იქნეს ბერძნული ასოებიდან, ვიდრე ფინიკურ-სემიურიდან“ (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 158; იხ. აგრეთვე, კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 35-36).

ა. შანიძე მიიჩნევდა, რომ ქართული ანბანი ბერძნულს ემყარება. გ. წერეთლის არმაზის ბილინგვასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ რეცენზიაში („მნათობი“, 1942, №9) ა. შანიძე წერდა: „რაც შეეხება გ. წერეთლის მოსაზრებას ქართული ანბანის ფინიკურსა და ძველ არამეულთან ნათესაობის შესახებ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამისთვის მის გასაზიარებლად არც წ-ს მოხაზულობაა საკმარისი და არც სხვა ასოების მსგავსების შემთხვევები (ფ-სი, ლ-სი). ეს მოსაზრება, გაკერით გამოთქმული შენიშვნაში (გვ. 18) და რამდენიმე აგრეთვე თვით გეჟსტში (გვ. 13-14), შეიძლება სამუშაო თეორიად იქნეს მომარჯვებული, მაგრამ მას დამტკიცება უნდა ქართული ანბანისა და არამეულის მთლიანად შედარების საფუძველზე. ამ შედარებისას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება უგულვებელყოფილ იქნეს სომხურისა და ბერძნულის ურთიერთობა ქართულთან, როგორც ამას გვიჩვენებს არა მარტო ისეთი

მეხვედრები, როგორცაა დიდი მსგავსება ფუნქციონირებს შორის (ბერძ. $\Phi \Theta X$, ქართ. $\Phi \Theta \Gamma$), არამედ აგრეთვე ანბანის რიგი ამ ენებში, თ და ტ ასოების შენაყვლება ქართულ-სომხურ-ბერძნულში, ხმოვნების ხმარება საზოგადოდ და კერძოდ, ჟ ხმოვნის გადმოცემის ხერხი, კ ასოთა მსგავსება ქართულსა და სომხურში (ქართ. ხ და სომხ կ) და სხვა და სხვა. ეს საკითხები ყველა მჭიდროდაა დაკავშირებული. საზოგადოდ, ქართული ანბანის გენეზისის პრობლემა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად გადაწყდეს ცელკე, სომხურისა და ბერძნული ანბანის გენეზისის საკითხების შესწავლასთან დაუკავშირებლად" (გვ. 140).

1957 წელს აზერბაიჯანის ისტორიის მუზეუმის შრომების II ტომში გამოქვეყნდა ა. შანიძის ნაშრომი „*Поядох букв грузинского, армянского и азербайганского алфавитов*“ (გვ. 33-41). იგი მიუთითებს, რომ ქართულ ანბანზე ზეგავლენა მოუხდენია ბერძნულს. კერძოდ, ქართულ ანბანში ბერძნულის ზეგავლენით არის შემოღებული ჟ, ღ, ქ-ს დაწერილობის წესი. ის, რომ თ-ს ქართულ ანბანში მე-9 ადგილი უჭირავს, ხოლო ტ-ს 29-ე, ა. შანიძის აზრით, შეპირობებულია ბერძნულის გავლენით. ქართული ანბანი რომ სემიტური დამწერლობების გრადიციას იყავდეს, პირიქით იქნებოდა (A. Г. Шанидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 33-34).

ბერძნულის ზეგავლენა განსაკუთრებით იჩენს თავს ქართული ანბანის შემქმნელის ტენდენციამი, ბერძნულთან საერთო ნიშნებს აუცილებლად შეუნარჩუნოს ბერძნულისათვის დამახასიათებელი რიცხობრივი მნიშვნელობები. ამის გამოა, რომ ბერძნული ξ და ψ გრაფემების ადგილას, რომელთა შესატყვისები ქართულს არა აქვს, ქართულში გვაქვს ღ და ქ, რომელთა შესატყვისები არ მოეპოვება ბერძნულს. ბერძნული დიგამის (F) ადგილი დაიკავა გ-მ, ხოლო ბერძნული υ-ს ზეგავლენით შემოღებული ჟ ნიშნის წინ, იქ, სადაც ბერძნულში არის ψ – და რომლის შესატყვისი არ გვაქვს ქართულში, ჩვენს ანბანში განალაგეს 12 ქართულისათვის სპეციფიკური ბგერის გამოშხატველი ნიშანი. ამრიგად, ბერძნული და ქართული 22 ნიშნის რიგი და რიცხვითი მნიშვნელობა ერთმანეთს ზუსტად შეესატყვისება (A. Г. Шанидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 34).

ქართული დამწერლობის პრობლემას 70-იანი წლების დასაწყისიდან სისტემატურად იკვლევს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომლის მონოგრაფია „წერის ანბანური სიტემა და ძველი ქართული დამწერლობა“, 1989 წ. გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

თ. გამყრელიძე ქართულ დამწერლობას მიიჩნევს ერთ-ერთ სრულყოფილ ანბანურ წერით სისტემად გრაფიკული სიმბოლოების (ასო-ნიშნების) ენის ფონემურ ერთეულებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. იგი არის ანბანური დამწერლობის ტიპური ნიმუში, „რითაც უძველეს წერილობით სისტემათა ტიპოლოგიაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იმკვიდრებს“ (გვ.

23). ავტორის თვალსაზრისით, ქართული დამწერლობის წარმოშობა გიპოლოგიურად უკაემირდება დამწერლობათა შექმნას იმ მეზობელ ქვეყნებში, რომლებთანაც საქართველოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა. სწორედ ამის გამო „ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობისა და შექმნის პრობლემა უნდა განიხილებოდეს ამგვარ არეალებში დამწერლობათა წარმოშობისა და განვითარების ფართო გიპოლოგიურ ფონზე“ (გვ. 23).

ქართული ანბანის შექმნის პრობლემა ნამრომში სწორედ ამ მეტოდოლოგიური მოთხოვნის შესაბამისად არის განხილული.

მონოგრაფიის პირველი თავია „ძველი სემიტური კონსონანტურსილაბური დამწერლობა“ (გვ. 24-66). როგორც ცნობილია, ასოთდამწერლობის (კონსონანტური დამწერლობის) უძველესი ნიმუშია ძველი ჩრდილო-სემიტური წერიტი სისტემა.

ეს არის დამწერლობა, რომელშიაც სპეციალური პირობითი ნიშნებით გამოიხატება მხოლოდ თანხმოვანი ფონემები. იგი დამწერლობის ისტორიაში უდიდეს პროგრესს მოასწავებდა, რადგანაც პირველად შეიქმნა ისეტი სისტემა, როცა ყოველი ცალკეული თანხმოვანი ფონემა გამოიხატებოდა ცალკეული გრაფემით. მისი უპირატესობა პიქტოგრაფულ და სილაბურ წერით სისტემებთან შედარებით უაღრესად თვალსაჩინოა. ბუნებრივია, რომ ეს მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც მოხერხდა ენის ბგერათსისტემის უმცირესი ერთეულების – ბგერების – გამოყოფა.

თამამ გამყრელიძეს შემოაქვს წერილობითი სისტემის პარადიგმატიკისა და სინტაგმატიკის ცნებები. იგი მიუთითებს: „წერილობითი სისტემის პარადიგმატიკის შესწავლა გულისხმობს ... გრაფიკულ სიმბოლოთა ურთიერთმიმართების განხილვას მიმდევრობაში, წერილობით ნიშანთა თანმიმდევრობის შესწავლას სისტემაში; ამისგან განსხვავებით, წერილობითი სისტემის სინტაგმატიკა გულისხმობს ნიშანთა შეერთების წესებს სიტყვებში, წერით სიმბოლოთა ურთიერთმიმართებებს სიტყვის ფარგლებში და სამოგადოდ წერის მიმართულებასთან დაკავშირებულ კანონზომიერებებს“ (გვ. 42-43).

ავტორის აზრით, წერიტი სისტემა არის სტრუქტურა, რომელსაც აქვს ორი მხარე (პლანი): გამოხატულებისა და შინაარსისა. წერიტი სისტემის გამოხატულების პლანი მოიცავს: გრაფემათა სახელწოდებებს, ნიშანთა რიგს, ნიშანთა განლაგების პრინციპებს, წერის მიმართულებას. შინაარსის პლანს განეკუთვნება გრაფემათა ფონეტიკური და რიცხვითი მნიშვნელობანი.

თ. გამყრელიძე განიხილავს ძველი სემიტური კონსონანტური დამწერლობის შექმნის შესახებ არსებულ ორ სხვადასხვა თვალსაზრისს. იგი უარყოფს ეარაუდს ძველი სემიტური ანბანის დამოუკიდებლად შექმნის შესახებ.

ნამრომის II თავი ბერძნული დამწერლობის წარმოშობისა და ევოლუციის საკითხს ეძღვნება. ცნობილია, რომ ბერძნებმა ანბანი

ფინიკიელებისაგან ისესხეს, მაგრამ მოახდინეს მისი რადიკალური რეფორმა – ხმოვანი აღნიშვნის სპეციალური გრაფიკით. ამრიგად ბერძნებმა შექმნეს პირველი თანმიმდევრული ანბანური დამწერლობა.

ბერძნებმა პროტოტიპად აიღეს ფინიკიური ანბანი, რომელიც შეიცავდა მთელ რიგს ისეთი ბგერითი ერთეულების გამოხატველი ნიშნებისას, რომელთა შესაბამისი ბგერები (ფონემები) ბერძნულს არ მოეპოვებოდა. ბერძნული დამწერლობის შემოქმედმა სწორედ ასეთი ნიშნები გამოიყენა ხმოვნების გამოსახატავად.

ბერძნულის მეღერი ხმულებისათვის **ბ** და **გ** გამოიყენეს ის ნიშნები, რომლებიც სემიტურშიც **ბ** და **გ** მეღერ ხმულებს გამოხატავდნენ. სემიტური ემფატიკური თანხმოვნები ბერძნულში ფშვინვიერებით გადმოიყვამა. მაგალითად, სემიტური ემფატიკური (რომელსაც თ. გამყრელიძე გლოტალიზებულიადაც თელის) **ტ** თანხმოვნის შესაბამისი ნიშნით გამოიხატება ბერძნული ფშვინვიერი **თ** (დანარჩენი ფშვინვიერებისათვის სპეციალური ნიშნები **ჟ** და **ქ** მოგვიანებით შეიქმნა).

თუ ბერძნული ანბანის პარადიგმატიკას სემიტურისას შევედარებთ, აღმოჩნდება, რომ ბერძნულში გვაქვს ყველა ასო-ნიშანი იმავე რიგით, როგორც სემიტურში. ერთადერთი გამონაკლისია წაღე, რომელიც ბერძნულმა არ გადმოიღო. ამრიგად, ბერძნულმა შეითვისა 21 სიმბოლო, მიანიჭა მათ სემიტურისაგან განსხვავებული ფონეტიკური მნიშვნელობანი (ზოგ ასო-ნიშანს მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობადა მოეპოვებოდა გვიანდელ ბერძნულში: დიგამმა, კოპა, სამპი).

თ. გამყრელიძის წიგნის III თავი (გვ. 118-205) ქართული ანბანის ბერძნულიდან მომდინარეობის თეორიის დასაბუთებას ეძღვნება. თ. გამყრელიძე ქართული ანბანის წარმოშობას იკვლევს როგორც ენათმეცნიერი, ოღონდ მთლიანად არ გამორიცხავს გრაფიკულ მსგავსებათა მნიშვნელობასაც. ამგვარი ძიებისას უნდა დავიყვამთ მტკიცე მეთოდოლოგიური პრინციპი.

თ. გამყრელიძე თავის ნაშრომში მოკლედ მიმოიხილავს არქაული ქართულის ბგერით მეღგენილობას (გვ. 125-128) და აღნიშნავს, რომ „არქაული ქართულის ამ ბგერითი სისტემის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო სწორედ ძველი ქართული ანბანის შექმნა“ (გვ. 129). ავტორი ხაზგასმით მიუთითებს ქართული დამწერლობის შემოქმედის უდიდეს ლინგვისტურ აღღოს – ქართული ენის ყველა ბგერითი ერთეული გამოყოფილია აბსოლუტური სიმუსტით. ამ ფაქტმა მეცნიერულმა აღღომ გახადა შესაძლებელი ბგერითი სისტემისათვის მუსტად შესაბამისი დამწერლობის შექმნა.

ქართული დამწერლობის წარმოშობის კვლევის ძირითადი პრობლემაა: რომელი ანბანი გამოიყენა ქართული ანბანის შემოქმედმა ნიმუშად? „ეს არის არსებითად პრობლემა ძველი ქართული ანბანის წარმოშობისა, დაყ-

ვანილი სრულიად კონკრეტულ ამოცანაზე, სახელდობრ იმის გარკვევაზე, თუ რომელ წერილობით სისტემას ემყარება ქართული დამწერლობა როგორც ნიმუშს, როგორც პროტოტიპულ მოდელს, რომელიც განსაზღვრავს მის წყობასა და პარადიგმატიკას“ (გვ. 130).

როგორც ჩანს, ქართული ანბანის შემოქმედს პროტოტიპად შეეძლო აეღო ძველი სემიტური, ან ბერძნული დამწერლობა.

ქართული ანბანის პროტოტიპად ძველი სემიტური დამწერლობის მიჩნევა თუნდაც იმიტომ არ არის საეარაუდო, რომ იგი ნარევი „კონსონანტურ-სილაბური წერითი სისტემაა, მაშინ, როდესაც ქართულ დამწერლობაში მკაცრად და თანმიმდევრულადაა გატარებული წერის „ანბანური პრინციპი“, რაც პირველად დამწერლობათა ისტორიაში ბერძნულ წერით სისტემაში განხორციელდა ძველი სემიტური სისტემის სტრუქტურული გარდაქმნის შედეგად“ (გვ. 131-132).

ქართული ანბანის პროტოტიპად ბერძნულის „მიჩნევა საეცებით გასაგებს ხდის ქართული სისტემის სტრუქტურასა და პარადიგმატიკას, მისი „ძირითადი“ და „დამატებითი“ ნაწილების ხასიათსა და ბგერით შედგენილობას“ (გვ. 132).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „ყველა ის თავისებურება ბერძნული დამწერლობისა, რითაც ეს უკანასკნელი განსხვავდება ძველი სემიტურისაგან, ყველა ის სპეციფიკური, საკუთრივ ბერძნულისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული ნიშანი, წარმოქმნილი ბერძნულ ანბანში მისი შექმნისას სემიტურისაგან და აგრეთვე მისი შემდგომი განვითარების პროცესში, ასახულია სრულად ქართულ ანბანში, რაც ნათლად მოწმობს ძველი ქართული დამწერლობის ბერძნული (და არა უშუალოდ სემიტური) სისტემისაგან წარმომავლობას“ (გვ. 132).

ქართული ბგერითი ერთეულების გამომხატველი ასო-ნიშნების რიგი მიიყვება ბერძნული ენის ბგერათა აღმნიშვნელ სიმბოლოთა რიგს.

თ. გამყრელიძე დაწერილებით განიხილავს ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის პარადიგმატიკას ბერძნულ და სემიტურ სისტემებთან შეფარდებით (გვ. 134-149) და დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ქართული ანბანის ძირითადი ნაწილი შეპირობებულია ბერძნულის ზეგავლენით. სავსებით გასამაიარებელია აეგორის დებულება: „ქართული ანბანის შექმნისას წერით ნიმუშად სემიტური სისტემის აღების შემთხვევაში ქართულ ანბანს სულ სხვა წყობა და სტრუქტურა ექნებოდა, ანბანის „ძირითადი“ და „დამატებითი“ ნაწილები სულ სხვაგვარი შედგენილობისა იქნებოდა, ვიდრე ეს ძველ ქართულ დამწერლობაშია დადასტურებული“ (გვ.132). ქართული ანბანის ბერძნულზე დამოკიდებულება ჩანს იმითაც, რომ ქართულ ასოთა რიგი და რიცხვითი მნიშვნელობანი ბერძნულს მისდევს. აეგორის აზრით,

ბერძნულის მიხედვით არის დალაგებული ქართული ასოები ანიდან შინამდე (გვ. 149, 150, 151).

ქართული ანბანის დანართ ნაწილში შედის იმ ბგერითი ერთეულების ამსახავი ნიშნები, რომლებიც ქართული ენის ფონეტიკური სისტემისათვის სპეციფიკურია ბერძნულთან მიმართებით. ესენია: ლ ყ შ ჩ ც ძ წ ჳ ხ კ ჯ კ (გვ. 155). ამ დანართი ნიშნების პარადიგმატიკა, თ. გამყრელიძის აზრით, „არ ემთხვევა რომელიმე კონკრეტულ წერით პროტოტიპს, იგი საფიქრებელია უფრო გარკვეული ფონეტიკური პროცესის მიხედვით განლაგებულ ბგერათა წყობით განისაზღვრება“ (გვ. 154-155). კერძოდ, ავტორი მიუთითებს ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე: „ქართული ანბანის დანართი ნაწილის ცენტრალურ წერს წარმოადგენს მჟღერი ძ აფრიკატი, რომლის მარცხნივ და მარჯვნივ (resp. ზემოთ და ქვემოთ) მოთავსებულია სიმეტრიულად განლაგებული ბგერები, შესაბამისად ყრუ (ფშენივიერი) და (ყრუ) გლოტალიზებული აფრიკატები“ (გვ. 155).

ქართული დამწერლობის პროტოტიპად სემიტური წერითი სისტემა რომ აეღოთ, „დანართ“ ნაწილში არ მოხვდებოდა /ყ/ /შ/ /წ/ თანხმოვანთა გამომხატველი ნიშნები.

თ. გამყრელიძე სპეციალურ პარაგრაფს უძღვნის ასომთავრული ანბანის სიმბოლოთა გრაფიკულ ანალიზს (გვ. 159-169). ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ქართული ასოები ბადეს ქმნიან („ქართული პალეოგრაფია“, გვ. 107). ეს იმას ნიშნავს, რომ მას საესებით პქონდა გაცნობიერებული, რომ ქართული ანბანი აგებულია გეომეტრიული პრინციპის მიხედვით. უკანასკნელ ხანებში ამ საკითხის შესახებ ბევრი დაიწერა (ე. მაჭავარიანი, რ. პატარიძე, თ. ჩხენკელი ... განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ვინფრიდ ბოედერის საინტერესო გამოკვლევა). თ. გამყრელიძე დეტალურად აანალიზებს ქართულ ასოთა აგების პრინციპებს: გვაძლევს თითოეული გრაფემის შექმნის წესს.

გრაფიკულ მსგავსებას ქართული ანბანი ბერძნულთან იჩენს. „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა ასახავს ბერძნულ გრაფიკას ... თავისი ზოგადი მონუმენტურობით და გრაფემათა გეომეტრიული ხასიათით“ (გვ. 171). ზოგ შემთხვევაში ქართული ასო ნიშნები შეიძლება დაუკავშირდეს სემიტურ სიმბოლოებს. გარკვეული ნიშნები (კარი, ჯანი), ჩანს, აკროფონიული პრინციპის მიხედვითაა შეთხზული (გვ. 176).

თავისთავად კი „ასო-ნიშანთა გარეგნულ მსგავსებას სხვა სისტემის სიმბოლოებთან მხოლოდ მაშინ აქვს გარკვეული ღირებულება და მნიშვნელობა, თუ მოცემული დამწერლობის ამ სისტემიდან მომდინარეობა სხვა, უფრო არსებითი მონაცემების საფუძველზე ივარაუდება“ (გვ. 180). ბერძნულის დაშვება შესაძლო პროტოტიპად ქართული გრაფიკისათვის ემყარება იმას, რომ „ქართული წერითი სისტემა არსებითად ემთხვევა სწორედ ბერ-

ძნულ სისტემას და არა სემიგურს ან რომელიმე სხვა სისტემას მთელი რიგი შინაგანი სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით, და ამდენად, უფრო საკვარაუდებელია ძველი ქართული დამწერლობის ნიშნებისათვის“ (გვ. 180).

აქვე უნდა ითქვას: თ. გამყრელიძემ ნათელყო, რომ „გლაგოლიცის“ დანართი ჯგუფის პარადიგმატიკა შეპირობებულია ძველი ქართული ასომთავრული ანბანის ზეგავლენით (გვ. 192).

თ. გამყრელიძე შევეთრად ემიჯნება ქართული ანბანის სომხურიდან მომდინარეობის თეორიას. იგი მიუთითებს, რომ მესროპ მამბოცმა არ იცოდა ქართული, რაც თავისთავად გამორიცხავს მის მონაწილეობას ქართული ანბანის შექმნის პროცესში. თ. გამყრელიძე ვარაუდობს, რომ ქართულ ანბანს გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა სომხურზე, კერძოდ, სომხური χ ნიშნის სახელწოდება /ჩხ/ ქართულიდან ჩანს შეთვისებული (გვ. 158).

1975 წ. ქართული ანბანის სტრუქტურის შესახებ უაღრესად საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ვინფრიდ ბოედერმა (W. Boeder, Zur Analyse des altgeorgischen Alphabets). მან ქართული ანბანი გრაფიკული თვალსაზრისით განიხილა და მიიღო უაღრესად საინტერესო დასკვნები:

1) ქართული ასოები ავსებენ კვადრატს, ან მის ნახევარს. ქართული გრაფემების ძირითადი ელემენტებია: სწორი ხაზი და ნახევარწრე. წრე შეიძლება განვიხილოთ ორი ნახევარწრის კომბინაციად. ქართულში არის ასოები, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩევიან სწორი ხაზით, ან ნახევარწრით, მაგრამ არ გვაქვს ისეთი ასოები, რომლებიც სხვა ელემენტებით განირჩეოდნენ. ქართული ასოები შეიძლება „ერთმანეთის შემადგენლობაში“ შედიოდნენ, მაგ., ასომთავრული ინ ვინ-სა და ენ -ში, ეს უკანასკნელი გან-სა და ჰაე -ში და სხვ.

ბერძნული ასოებიც შედგება სწორი ხაზისა და ნახევარწრისაგან, ოღონდ ქართულში გვაქვს ღია ნახევარწრე ბერძნულის საპირისპიროდ.

ამრიგად, ქართული ანბანი გეომეტრიულ პრინციპებზეა აგებული, ისე როგორც ბერძნული დამწერლობა. ცალკეული სხვაობები, რა თქმა უნდა, არის, ოღონდ გრაფემათა აგების პრინციპში დიდი მსგავსებაა (W. Boeder, დასახ. ნაშრ., გვ. 2-8). უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილი იყო პირველი მკვლევარი, ვინც ეს პრინციპი შენიშნა. იგი მიუთითებდა, რომ ქართული ასოების სიმალღე და სიგანე ავსებს ოთხხაზოვან ბადეს (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 107). ე. მაჭავარიანმა 1970 წელს გამოთქვა საინტერესო შეხედულებები ქართული ანბანის აგების პრინციპის შესახებ (ქართული ხელნაწერები, გვ. 14). ქართული ანბანის გეომეტრიულ პრინციპზე აგებას ასაბუთებს თ. ჩხენკელი (თ. ჩხენკელი, ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა).

2) მეორე პრობლემა, რომელსაც ვ. ბოედერმა მიაქცია ყურადღება, არის ქართულისათვის სპეციფიკურ ფონემათა გამომხატველი ნიშნების განლაგება. მისი აზრით, ქართული სპეციფიკური ფონემების შესატყვისი გრაფემები განლაგებულია ბერძნული კლასიკური ფონეტიკური მოძღვრების გათვალისწინებით. ამ მოძღვრების მიხედვით კარგად იხსნება წინანუნისმიერი აფრიკატების ქ ძ წ მიმდევრობა. ძ „მეღერი“ არის სამუალო „ფშვინვიერ“ ყ-სა და „მკვეთრ“ წ-ს შორის (W. Boeder. დასახ. ნაშრ., გვ. 8-9).

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის გამოვლენილია ნიშანთა კომპლექსი, რომლის მიხედვითაც, ქართული დამწერლობა უახლოვდება ბერძნულს და უპირისპირდება სემიტურს. ეს ნიშნებია:

1. წერის მიმართულება ქართულს ისეთივე აქვს, როგორც ბერძნულს – მარცხნიდან მარჯვნივ. ამგვარივეა წერის მიმართულება ყველა იმ დამწერლობაში, რომლებიც ბერძნულიდან მომდინარეობენ. სემიტურ დამწერლობაში წერის მიმართულება საპირისპიროა.
2. ქართულ ანბანში, ისე როგორც ბერძნულში, გვაქვს ხმოვნების გამომხატველი ნიშნებიც. სემიტური კონსონანტური ანბანი ბერძნებმა „გაახმოვანეს“ პირველად.
3. ქართულ ანბანში ანიდან ქანამდე ასოთა მომდევრობა და რიცხვითი მნიშვნელობა (ორიოდე გამონაკლისის გარდა) ბერძნულის იდენტურია. ქ-ს შემდეგ კი მოთავსებულია ქართული ენის ფონეტიკური სისტემისათვის სპეციფიკური თანხმოვნების გამომხატველი გრაფემების გამომხატველი გრაფემები.
4. ქართულში ბერძნულიდან არის ნასესხები წერასთან დაკავშირებული არაერთი ტერმინი (მელანი, კალამი, წიგნი, ტომარი, ქარტა, ეტრატა)
5. ზოგი ქართული ასოს დაწერილობა ბერძნულიდან არის გადმოღებული, ან ძალიან ახლოს დგას მასთან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა მიეუთითოთ ასომთავრული ღ გრაფემისა და ბერძნული Ϟ-ს თითქმის იგივეობაზე (აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ზოგ ქართულ წერილობით ძეგლში გვაქვს ბერძნულის იდენტური ვარიანტიც).

ბერძნული ზეგაველენის შედეგია ასომთავრული ღა-ს ორი ნიშნით გამოცემა, შდრ. ბერძ. ου (Π. Βακρατζε, γρυζინსკაია პალეოგრაფია, გვ. 209; დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი, გვ. 31 და სხვ). ისიც აღსანიშნავია, რომ ღა ნიშნის შემადგელობაში შემავალი ჳ ზოგჯერ ბერძნული ου-ს შემადგენელი მეორე კომპონენტის υ-ს შესატყვისად იხმარება: პაულე (შდრ.: ბერძნული Παυλος), ეფთჳე (შდრ.: ბერძნ. Ἐφθυσος), კურიაკე (შდრ.: ბერძნ. Χυρίαχος და სხვ.). ეს იმასაც მოწმობს, რომ ჳ გრაფემა ქართულში შემოიღეს, რო-

გორც ბერძნული *υ-ს* ეკვივალენტი. მას დაეკისრა /*უღ*/ დიფთონგის გამოხატვა, რაც აგრეთვე ბერძნულის გავლენაა (იხ. T.B. Γαμκρλημδε, დასახ. ნაშრ., გვ. 16-17).

ბ ნიშანი ქართულში შემოღებულია ბერძნულის მეგავლენით (A.Γ. Шанидзе, Πορροδοκ ნუკვ. გვ. 33-34). გ. წერეთელს ბ ნიშანი H ნიშნიდან გამოჰყავს (იხ. უპეელსი ქართული წარწერები პალესტინიდან, გვ. 36; აგრეთვე W. Boeder, დასახ. ნაშრ., გვ. 7).

კარგადაა ცნობილი, რომ ძველი ქართული ბ ნიშანი თავდაპირველად /*ეა*/ დამავალ დიფთონგს გამოხატავდა. ეს ფუნქციაც ბერძნულის მეგავლენით არის შეპირობებული. ბერძნულში H ნიშანი ძვ.წ.-ის VI – ახ.წ.-ის IV საუკუნეებში გადმოსცემდა /*ei*/ დიფთონგს (იხ. Schwyzer, Griechische Grammatik, I, გვ. 168). ამრიგად, ქართულში ბ ნიშანი ბერძნულის მიხედვით შემოიღეს და ბერძნულის მეგავლენითვე დაეკისრა მას /*ეა*/ დიფთონგის გამოხატვა (თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა, გვ. 135-137).

უდავოა, რომ ბერძნულის მეგავლენით არის შემოღებული აგრეთვე ზ ნიშანი (გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 70; W. Boeder, დასახ. ნაშრ., გვ. 7 და სხვ.).

გარკვევით უნდა ვთქვათ, რომ თითქმის ყველა შემოთ განხილული შემთხვევა ეწინააღმდეგება ქართული ანბანის ძირითად ფონეტიკურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ერთი გრაფემა გამოხატავს ერთ ბგერას და ერთი ბგერითი ერთეული წერისას ერთი ნიშნით გადმოიყვება.

ა. შანიძემ მიუთითა აგრეთვე ქართ. $\Phi \Theta \text{†}$ ნიშნების ბერძნულთან სიახლოვეზე (ა. შანიძე, რეცენზია გ. წერეთლის ნაშრომზე „არამის ბილინგვა“, გვ. 140).

უდავოდ ბერძნულიდან მომდინარეობს ძველი ქართული Γ ნიშანი.

6. ქართული ლამნარლობის შექმნის ეპოქა

სამეცნიერო ლიტერატურაში აშრთა დიდი სხვადასხვაობაა ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ.

დ. ბაქრაძე მიიჩნევდა, რომ ქართული ანბანი შექმნილია დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიების არსებობის ეპოქაში (Д. Бақრაძе, Грузинская палеография, გვ. 208). მ. ჯანაშვილის აშრით, ქართული ანბანი შეიქმნა არაუადრეს XIV საუკუნისა ჩვ. წ.-მდე (მ. ჯანაშვილი, რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი, „ივერია“ 1887, № 127-128), ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ჩვ. წ.-მდე არაუადრეს VII-VI საუკუნეებისა (ქართ. პალეოგრაფია, გვ. 235-236). რ. პაგარიძე ადრე ასახვლებდა V საუკუნეს (ქართული ასომთავრული; მისივე: ქება ქართულისა ენისა, გვ. 146). ამ ბოლო ხანს – 284 წელს (რ. პაგარიძე, ქება ქართული ენისა, გვ. 158). 284 წელს შექმნილად მიაჩნდა ქართული დამწერლობა პ.

ინგოროყვასაც (პ. ინგოროყვა, თხზულებანი, IV, გვ. 250). ქრისტიანობამდელია ქართული ანბანი გ. წერეთლის აზრითაც (გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები, გვ. 47-48).

ქართულ ანბანს ქრისტიანობას უკავშირებენ კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თ. გამყრელიძე, ე. ბოლდერი და სხვ. კ. კეკელიძე წერს; „ქართველ გომებში ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისათვის საჭირო პირობები ყოველ შემთხვევაში ქრისტიანულ ეპოქამდე კიდევ არ არსებობდა. მე მგონია, ასეთი პირობები არ არსებობს ჩვენში ქრისტეს შემდეგაც მეოთხე საუკუნის ნახევრამდე, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ორი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი მოხდა. საქმე ისაა, რომ ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისათვის ნიადაგი შეიქმნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ საქართველოში მოხდა პოლიტიკური გაერთიანება ორი უმნიშვნელოვანესი ქართველი გომისა, საკუთრივ იბერიისა და ქართლ-გუგარქისა, რასაც ადგილი ჰქონდა 349 წელს ქრისტეს შემდეგ“ (კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, გვ. 160). კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ქართული დამწერლობა შეიქმნა V საუკუნეში (დასახ. ნაშრ. გვ. 165).

ა. შანიძე ფიქრობს, რომ ქართული ასომთავრული ანბანი IV-V საუკუნეებში ჩამოყალიბდა იმ სახით, რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია (A. Г. Шанидзе, „Поядок букв“, გვ. 33).

თ. გამყრელიძის აზრით, „ძველი ქართული „ასომთავრული“ ქრისტიანული ხანის ეროვნული დამწერლობაა, შექმნილი ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადების შემდეგ, ისევე როგორც ეს მოხდა სხვადასხვა დროს სათანადო ქვეყნებში კოპტური, გოთური, ძველი სომხური და ძველი სლავური დამწერლობების შემთხვევაში, რომლებიც თავსდებიან ბერძნულზე დამყარებულ ადრექრისტიანულ დამწერლობათა საერთო ტიპოლოგიურ ჯგუფში“ (თ. გამყრელიძე, „მწიგნობრობა ქართული“) თ. გამყრელიძე ქართული ანბანის შექმნის დროდ მე-4 საუკუნის ბოლოს ან V საუკუნის დასაწყისს მიიჩნევს (დასახ. ნაშრ.).¹

ქართული ასომთავრული ანბანის კავშირს ქრისტიანობასთან მოწმობს ის ფაქტი, რომ † გრაფემა ქრისტეს აკროფონულ ნიშანს წარმოადგენს (Г. Церетели, Армазское письмо... Эпиграф. Вост. 3, გვ. 70; მდრ.; კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, გვ. 158). ე. მაჭავარიანის აზრით, ძველი ქართული X იესუ ქრისტეს აკროფონიული დამწერლობაა: † „იესუ“ + † „ქრისტე“. X მიღებულია † და † ასოთა კომბინაციის გზით (ე. მაჭავარიანი,

¹ ქართული დამწერლობა ეროვნული ხუროთმოძღვრების საფუძველზე აღმოცენებულად მიიჩნია ე. მაჭავარიანს (ე. მაჭავარიანი, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, გვ. 114-116).

ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ... გვ. 238-239; მისივე, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, გვ. III).

ქართული ანბანის შემოღება ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ საეკვოა იმის გამო, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში დაწერილებით არის მოთხრობილი ქართლის გაქრისტიანების შესახებ, მაგრამ არაფერია ნათქვამი დამწერლობის შემოღების თაობაზე. ცხადია, მემადიანე ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ასეთ მნიშვნელოვან ფაქტს უთუოდ აღნიშნავდა. ამ გარემოების შესახებ მიუთითა ე. ხინთიბიძემ (E.Chintibidse, Das Problem der georgischen Schrift- und Schrifttumsentstehung, გვ. 39).

საფიქრებელია, რომ ჩვენში უკვე I საუკუნიდან არსებობდნენ ქრისტიანული თემები. ისინი II-III საუკუნეებისათვის ალბათ იმდენად მომძლავრდნენ, რომ აუცილებელი გახდა ქრისტიანული ლიტურგიისათვის აუცილებელი წიგნების ქართულად თარგმნა, ამ საჭიროებისათვის უნდა შექმნილიყო დამწერლობა ჩვენში ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურ სარწმუნოებად მიღებამდე.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილია კერპთა მსხვერვის ამბავი (I, გვ. 89-91). ამ ფაქტმა თურმე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია: „ხოლო დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი იგი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა კპოვებდეს, რომლისათუს-იგი დაეცა მათ შიში და ძრწოლა. და იგლოვდეს გულფიცხელი ერი იგი და იცყოდეს, ვითარმედ: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არამაჲ ყოველადე მტერ არიან: ამან სამე მას ზედა ზღუა მოაქცია, და აწ მან შური იძია და მის მიერ მოიწია ესე“. ხოლო რომელიმე იცყოდეს: „რომლისა ღმრთისა ძალითა თრდატ მეფე ეშუად იქმნა და მისევე ღმრთისა ძალითა კაცად იქმნა, და მან უკუე ღმერთ-მან მოაწია ესე. რამეთუ სხუა ღმერთი ვერ შემძლებელ არს ესევეითარისა ქმნად.“ ესევეითარსა ამას იცყოდეს, რამეთუ ვინათგან თრდატ მეფე ქრისტეს ძალით ეშუად ქმნილ იყო, და ქრისტეს ძალითვე კუალად კაცად მოქცეულ იყო, მიერთგან ქება-დიდება ქრისტესი არღარა ჟარულად ითქმოდა ქართლსა შინა, რამეთუ მადლსა ღმრთისასა ეწყო მიჟენად აღმოსაჟელთს“ (ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 92).

ქართული დამწერლობა IV საუკუნის I ნახევარში უკვე რეალურად არსებობდა. ამას მოწმობს, ერთი მხრივ, ის, რომ „წიგნიცა რომელი კქონდა მეფესა ნებროთისი, და მასცა წიგნსა შინა პოეა წერილი ესრეთ“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 105); „მაშინ გულისხმა-ყო მეფემან მირიან, რამეთუ ბუეღნი წიგნი და ახალნი ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა“ (იქვე, გვ. 105). ამრიგად, მირიანს კქონია ნებროთის წიგნი (საფიქრებელია, ქართულად); მეორე მხრივ, ის, რომ ნინოს ამბავი ჩაიწერეს აბიათარ მღვდელმა და სიდონიამ (მათი ჩანაწერი შესულია „ქართლის ცხოვრებაში“). საინტერე-

სოა, რომ ნინოს ისტორია ჩაუწერიათ აგრეთვე სალომე უჯარმელსა და პეროქაერი სიენიელს („ქართლის ცხოვრება“, I, გვ.127).

ჟარნავაზის მიერ ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ცნობა ალბათ სახელმწიფო საჭიროებისათვის, საკანცელარიო მიზნებით ბერძნულის ან არამეულის გამოყენებას გულისხმობს. სხვაგვარად ძნელად აიხსნებოდა ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ადრეული ხანის ბერძნული, არამეული ძეგლები, მაგრამ ქართული არ ჩანს. სხვათა შორის, თვით არმაზის ბილინგვა მოგვითხრობს იბერიის სამეფო კარზე მომხდარ ამბავს ბერძნულად და „არამეულად“, მაგრამ ქართულად კი არა. იმ დროისათვის ქართულ დამწერლობას თუ ვივარაუდებთ, ამ ფაქტს აუცილებლად დასჭირდება ახსნა.

კიდევ ერთხელ გაეხამავთ, ქართული დამწერლობის შექმნის ეპოქა ჯერჯერობით არ არის უდავოდ დადგენილი.

ლიტერატურა

- ი. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი: თსუ შრ., XXXIX, თბ., 1950.
- თ. ბაშვრალიძე, „მწიგნობრობა ქართული“: „ლიტერატურული საქართველო“, 20. XI, 1987.
- თ. ბაშვრალიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის გიპოლოგია და წარმომავლობა, თბ., 1989.
- ს. გორბაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, I, ტფ., 1906.
- ვაისტოლია ნიშნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968.
- ა. ინგოროშვი, თხზულებანი, IV, თბ., 1978.
- ლ. კარიკაშვილი, ხუცური ანბანი, ტფ., 1914.
- კ. კაპელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული: „მნათობი“, №6-7, 1929.
- კ. კაპელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
- კ. მაკაშვილი, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V-XII სს): მრავალთავი, II, თბ., 1973.
- კ. მაკაშვილი, ქართული ხელნაწერები, თბ., 1970.
- კ. მაკაშვილი, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები: „საბჭოთა ხელოვნება“, № 10, თბ., 1977.
- რ. პატარიძე, ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლები: „მაცნე“, 1970, №3.
- რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980.
- რ. პატარიძე, ქება ქართულის ენისა: „მნათობი“, № 11, 1981.
- ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.
- მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
- უხტანაძე, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975.
- ქართლის ცხოვრება, I, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1955.
- ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, № 1-2, თბ., 1942.
- ა. შანიძე, რეცენზია გ. წერეთლის ნაშრომზე „არმაზის ბილინგვა“: „მნათობი“, № 9, 1942.
- ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
- ბ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, I, თბ., 1972.

- თ. ჩხანკელი, ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა: „საბჭოთა ხელოვნება“, № 7, 1977, № 3, 1978.
- ბ. წარეთელი, არმაზის ბილინგვა: ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942.
- ბ. წარეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.
- ბ. წარეთელი, არამეული წარწერა ურბნისიდან, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 133, № 1, თბ., 1989.
- პოვასუ სორონასი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ. 1984.
- ივ. ჯაპახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ., 1926; ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
- ივ. ჯაპახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფ., 1935.
- ივ. ჯაპახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945.
- მ. ჯანაშვილი, რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი: „ივერია“ 1887, № 127-128.
- ლ. მ. ჯანაშია, ლაზარ ფარაქეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.
- ი. В. АБУЛАДЗЕ, К открытию алфавита кавказских албанцев: ენიმკის მოამბე, 1938, № 4, ნაკ. I.
- Д. БАКРАДЗЕ, Грузинская палеография: Труды V археологического съезда в Тифлисе, М., 1887.
- Н. БЕРДЗЕНИШВИЛИ, И. ДЖАВАХИШВИЛИ, С. ДЖАНАШИЯ, История Грузии, Тб., 1946.
- Т. В. ГАМКРЕЛИДЗЕ, Происхождение и типология алфавитной системы письма: Вопросы языкознания, М., № 5-6, 1988.
- И. ГЕЛЬБ, Опыт изучения письма (Основы грамматики), М., 1982.
- Д. ДИРИНГЕР, Алфавит, М., 1963.
- Л. ДОИЕЛЬ, Завещанное временем, М., 1980.
- Р. ЗИНДЕР, Очерк общей теории письма, Л., 1987.
- КОРЮН, Житие Маштоца, Ереван, 1962.
- К.А. МЕЛИК-ОГАНДЖАНИЯ, Корюн и его "История Маштоца" (წიგნი Корюн, Житие Маштоца, Ереван, 1962).
- И. Л. ОКРОМЧЕДЛОВ, Об изобретении грузинского алфавита: Труды V археологического съезда в Тифлисе, V, М., 1887.
- ФАВСТОС БУЗАНД, История Армении, Ереван, 1953.
- И. ФРИДРИХ, История письма, М., 1979.
- ХРОНОГРАФИЧЕСКАЯ ИСТОРИЯ, составленная Отцом Мхитаром Вардапетем Аираванским, С.-Пб., 1869.
- Г. В. ЦЕРЕТЕЛИ, Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита: Эпиграфика Востока, II, Л., 1948, III, Л., 1949.

- A. Г. ШАНИДЗЕ, Данные греческо-пеллевиийской билингвы из Армази для истории термина ეზოსმოდღუარი в древнегрузинском: საქ. მეცნ. აკად. შოაშბე, II, № 1-2, თბ., 1941.
- A. Г. ШАНИДЗЕ, Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов: Труды Музея истории Азербайджанской ССР, 2 (материалы по истории Азербайджана): Баку, 1957.
- A. Г. ШАНИДЗЕ, Язык и письмо кавказских албанцев и его значение для науки: საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. შოაშბე, № 1, 1960.
- W. BOEDER, Zur Analyse des altegeorgischen Alphabets: Zeitschrift für Russischunterricht, Hamburg, 1975.
- CHINTIBIDSE ELGUDSCHA: Das Problem der georgischen Schrift -und Schrifttumsentstehung: Georgica, 8, Iena-თბილისი, 1985.
- G. DEETERS, Das Alter der Georgischen Schrift: Oriens Cristianus, 39, 1955
- V. GARDTHAUSEN, Griechische Paläographie, II, Leipzig, 1913 (მეორე გამოცემა).
- V. GARDTHAUSEN, Über den griechische Ursprung der armenischen Schrift: ZDMG, 1876.
- HEINRICH F. JUNKER, Das Awestaalphabet und der Ursprung der armenischen und georgischen Schrift: Caucasia, 2, 1925; 3, 1926, Leipzig.
- FR. MULLER, Über den Ursprung der armenischen Schrift (Sitzungsberichte der Wiener Akademie), B. 48, Wien, 1864.
- P. PEETERS, რეცენზია ჯ. იუნკერის ნაშრომზე: Analecta Bolandiana, t.26, Fasc. III-IV, 1928.
- K. SALIA, Note sur l'origine et l'âge l'alphabet géorgien: Bedi Kartlisa, 15-16 (№ 43-44), Paris, 1963.
- E. SCHWYZER, Griechische Grammatik, I, München, 1939.
- I. TAYLOR, History of the Alphabet, An account of the Origin and Development of Lettres, v.II, London, 1899.

ქართული ანბანის განვითარების საფეხურები

ქართულმა დამწერლობამ ჩამოყალიბებიდან დღემდე სამი საფეხური განვლო: ასომთავრული (ანუ მრგლოვანი), ნუსხური და მხედრული.

VI-X საუკუნეების ქართული წერილობითი ძეგლები (წარწერები და ხელნაწერები) მესრულებულია ანბანის იმ სახეობით, რომელსაც ასომთავრულს, ან მრგლოვანს ეწოდებთ. შეიძლება დაეასახელოთ: პალესტინის, ბოლნისის, მცხეთის, უკანგორის, წყისის, ურბნისის წარწერები, ხანმეტი და პაემეტი ტექსტები, სინური მრავალთავის უდიდესი ნაწილი, აღიშის ოთხთავი და სხვ.

IX საუკუნიდან გვაქვს ნუსხური დამწერლობის ნიმუშები. უკანაკნელ ხანებადღე ითვლებოდა, რომ ნუსხური ანბანის ყველაზე ადრინდელი ნიმუშია 864 წლის სინური მრავალთავის ანდერძი. საინტერესოა, რომ თვით ამ ანდერძის უმეტესი ნაწილი ასომთავრული ანბანითაა შესრულებული. ამ ბოლო დროს გ. აბრამიშვილმა გამოაქვეყნა ატენის ერთ-ერთი წარწერა, რომელიც 835 წლით თარიღდება. ამ წარწერის მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწიეს ჩვენს დრომდე. იგი ნუსხური დამწერლობის უძველესი ნიმუშია (გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები, გვ. 170).

X საუკუნეში ნუსხური ანბანით გადაწერილი ძეგლის რიცხვი თანდათან მატულობს. ნუსხური ანბანითაა შესრულებული ისეთი ძეგლები, როგორცაა: სინური ლექციონარი (Sin.-37); სინური ოთხთავი (Sin.-15, 978 წ.); სინური პარაკლიტონი (Sin.-26, 954 წ.); იოვანეს გამოცხადება (H-1346, 978 წ.); ასკეტიკონი (H-622); ოშკის ბიბლია (978 წ.); ჭილ-ეგრაგის იადგარი (H-2123); A-144 (ელარჯული მრავალთავი) და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი აღთქმის შემცველი წიგნები უპირატესად ასომთავრული ანბანითაა გადაწერილი.

მთელ რიგ ხელნაწერებში ერთი ნაწილი ასომთავრულადაა დაწერილი, ნაწილი - ნუსხურად. ასეთია, მაგალითად; სეანური მრავალთავი (A-19, X ს.); სინური ლიტურგიული კრებული (Sin.-34, X ს. შუა წლები) და სხვ.

არის ძეგლები, რომლებიც ასომთავრულადაა დაწერილი, ოღონდ ანდერძი ნუსხურად დაუწერიათ. გვაქვს ხელნაწერებიც, რომელთა ძირითადი ტექსტი ნუსხურადაა დაწერილი, ანდერძი კი - ასომთავრულად.

ხშირია შემთხვევები, როცა ასომთავრულ ტექსტში გადამოწმებისას ნუსხურად შეუტანიათ გამორჩენილი ფრაზა, სიტყვა, ან ასოები და, პირიქით, ნუსხურად დაწერილ ტექსტში - ასომთავრულად.

სამოგადოდ, ნუსხურად გადაწერილ ხელნაწერებში ასომთავრული ანბანით წერდნენ ხოლმე სათაურებს. ასომთავრული ასოებით იწყებდნენ აბაეებს, ზოგჯერ ასომთავრული ასო გამოყენებულია, როგორც მოსართავი, იგი თითქმის მთელი გვერდის სიმაღლეზეა განფენილი.

X-XVIII საუკუნეთა წარწერების დიდი უმრავლესობა შესრულებულია ასომთავრული ანბანით.

ძველ ქართულში გვაქვს ტერმინი ასომთავარი:

„და ყოველი ასომთავარი, ოქრომელნითა დაწერილი“, A-484 (ოთხთავი, X-XI სს.).

აქედან არის ნაწარმოები ტერმინი ასომთავრული, რომელიც შედარებით მოგვიანო პერიოდშია დადასტურებული. 1578-1605 წლებში გადაწერილი გულანის (Q-87) ერთ-ერთი გადამწერი აღნიშნავს: „ასომთავრული წამიკდა და გული გამომეყვალა“ (810v).

უფრო ადრინდელ ძეგლებში გვხვდება მრგლოვანი. Q-220 (სვინაქსარის ფრაგმენტები, XI ს.) ხელნაწერს შემოუნახავს XI-XII საუკუნეთა ხელით მიწერილი: საკითხავი იხიე მრგლოვანსა შინა (5r).

ნუსხური ნაწარმოებია სიგყვისაგან ნუსხა. საბა წერს: „ნუსხა ჩქარად აღწერილ არს“. ნუსხა დედანსაც ერქვა: „ესე სიგყვანი თუთ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთუმენსია. ვითა ნუსხასა ეწერა, მეცა ეგრე აღწერე“ (A-1103, კრებული, XI ს., 219r). ნუსხური, როგორც ანბანის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი ტერმინი, ძველ ხელნაწერებში თითქოს არ ჩანს.

საინტერესოა, რომ მრგლოვანი, ასომთავრული ისე შეუვიწროვებია XII საუკუნეში ნუსხურს, რომ ზოგი სასულიერო პირისათვის მრგლოვანის კითხვა ძნელ საქმედ ითვლებოდა. პავლე მტკვარი წერს, რომ „მრგლოვანის კითხვაჲ საჭიროჲ იყო, დიად იჭირვოდეს“ (ტბეთის სახარების ანდერძი). ამიგომ პავლემ ოთხთავი გადააწერინა ნუსხურად.

ე. მაჭავარიანი, გ. აბრამიშვილი და მ. ალექსიძე მხედრული ანბანის ყველაზე ძველ ნიმუშებს X საუკუნით ათარიღებენ. გ. აბრამიშვილისა და მ. ალექსიძის აზრით, ატენის სიონის უძველესი მხედრული წარწერა 982-986 წლების ახლო ხანით უნდა დავათარიღოთ (გ. აბრამიშვილი, მ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან, გვ. 144).

მხედრულისაკენ გარდამავალი ხელი გვხვდება Sin.-34-ში. XI ს.-ის მხედრული მიწერილი დასტურდება „მატბერდის კრებულში“ (იხ. ზემოთ).

მხედრული ანბანი თანდათან ერყვლება XI-XII საუკუნეებში. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული ანბანის იმ სახეობას, რომელსაც დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის, ნ. მარის, ა. შანიძის, ი. აბულაძის და სხვათა აზრით, მხედრული შეიძლება ვუწოდოთ, ა. ცაგარელი და ივ. ჯავახიშვილი თვლიდნენ გარდამავალ საფეხურად, ან მრგლოვან ნუსხა-ხუცურად. ისინი ვარაუდობდნენ, რომ მხედრული დამწერლობა ყალიბდება XIV საუკუნისათვის. მკვლევარნი ამჟამად ამ თვალსაზრისს არ იზიარებენ. ითვლება, რომ X-XI საუკუნეებში უკვე გვაქვს ე.წ. მხედრული ანბანი.

ამრიგად, უკვე X საუკუნეში თანაარსებობს ქართული დამწერლობის სამი სახეობა: ასომთავრული, ნუსხური, მხედრული. ასომთავრულსა და ნუსხურს საერთო სახელად ხუცურს უწოდებენ მხედრულის საპირისპიროდ იმიგომ, რომ ასომთავრული და ნუსხური ანბანი უპირატესად გამოიყენებოდა სასულიერო მწერლობის ძეგლებში, მხედრული კი – საერო მწერლობის ძეგლებში.

ხუკური მხედრულის საპირისპიროდ გვხვდება 1348-1365 წლებში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში, სადაც გადამწერი ჩამოთვლის, თუ რა და რა ხელობა იყის. მესამე კელად (ანუ ხელობად) დასახელებულია წერაჲ ხუკურისაჲ (310v).

საინტერესოა, რომ ჩვენამდე მოღწეული უძველესი საისტორიო, ან იურიდიული საბუთები ნუსხურადაა დაწერილი, თუ მისი გამცემია საეკლესიო პირი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის გამცემი საერო პირია, იგი შედგენილია მხედრულად. რა თქმა უნდა, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სასულიერო ხასიათის ძეგლი მხედრული ანბანითაა დაწერილი. ამის ნიმუშია A-65 ხელნაწერი, რომელშიაც შეგანილია 1188 წელს მხედრულად გადაწერილი ანონიმი ავგორის ვრცელი თხზულება: თარგმანებაი ქებისა ქებათაისაი (ეს საინტერესო ძეგლი ლითოგრაფიული წესით გამოსცა ა. შან-იძემ 1924 წელს).

მხედრული ანბანით არის გადაწერილი XVII-XVIII საუკუნეებში მრავალი სასულიერო ხასიათის ძეგლი. საინტერესოა Q-752 (XVII ს.) ხელნაწერის ანდერძი. ეს ხელნაწერი შეიცავს მხედრული ანბანით გადაწერილ ოთხთავს. გადამწერი გვამცნობს: „ხოლო მონობისაყა უღირსი, ვითარმედ მონა ღვთისა ვინმე ფრიად ცოდვილი ესე, რომელი მე ვსწერ წიგნსა ამას წმიდისა სახარებათასა, რომელი არა ჯერ იყო წერიტა მკედრულიტა, არამედ შენლობასა ვითხოვ ამისთვის, რამეთუ მრავალთა კაცთა მკედრად და ველსაგან განწესებულთა გული უთქუამსთ ჭეშმარიტითა სახებითა, რათამც ღირს იქმნენ გულისკმის-ყოფად ესევეითართა საქმეთა და გონებაშიუწვდომელთა სასწაულთა და საკუირველთმოქმედებათა უფლისა ჩუენისა ქრისტესა, და არა ძალ-უქს წიგნთა ხუკურთა აღმოკითხვად“ (175r-v). ამგვარივე ანდერძი ერთვის H-2384 ხელნაწერს (ოთხთავი, მხედრული ხელით დაწერილი, XVIII ს.): „მონობისაყა ყოვლად უღირსი, კუალად მონა უქმარი ვინმე ფრიად ცოდვილი, რომელი ვსწერ პატიოსანსა წიგნსა ამას სახარებასა უფლისა იესო ქრისტესა ღმრთისა ჩუშნისასა, განმანათლებელსა გონებისასა და მომცემელისა... აწ მეშინის მე ხელ-ყოფად წერად კელიტა მხედრულიტა დიდი ესე ძლიერება მისი და სიკჷყისა ღმრთისა, არამედ მოვითხოვ შენდობასა ამისთვის, რამეთუ მრავალთა კაცთა მკედრად განწესებულთა გული უთქუამს ჭეშმარიტითა სასოებითა სიყვარული უფლისა იესო ქრისტესი და მ/ნებაესთ, რათამცა გულისკმა-ყონ საქმენი და საკუირველებანი მისნი და არა ძალ-უქს წიგნისა ხუკურისა აღმოკითხვად“.

როგორც ვხედავთ, Q-75-სა და H-2384 ხელნაწერთა გადამწერები ამკარად ამბობენ, რომ სახარება არ უნდა გადაწერილიყო მხედრულად, მაგრამ თავს იმით იმართლებენ, რომ საერო პირთ უნდათ სახარების წაკითხვა, მაგრამ ვერ კითხულობენ ხუკურად დაწერილს.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ადასტურებს ერთი ძველი ქართული ხელნაწერიც, რომელიც ამჟამად სინის მთაზე ინახება (Sin.-78). 288v-ს აშიაზე ვილაცას გვიან მხედრულად მიუწერია: „ნეგარ, რას იტყ(უ)ის ესე ზემო ასოები. არა ვიცი, თავი სით უც“.

თითქოს გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ თვით სასულიერო პირთაც არ სცოდნიათ კარგად ხუცური. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში ინახება ოსე გაბაშვილის (ბესიკის ძმის) მიერ 1793 წელს გადაწერილი „სადღესასწაულო“. იგი ნუსხურადაა დაწერილი. ოსე წერს: „მე, უღირსმან იეროდიაკონმან, მოძღურის ძემან ოსე, აღეწერე სადღესასწაულოჲ ესე, მაგრამ გამოუცდელ ვიყავე ხუცურისა წერისა“.

ფუიქრობთ, ფრიად საინტერესოა ნიკოლოზ ორბელიანის, დიდი სულხან-საბას ძმის, გამონათქვამი ასომთავრული ანბანის შესახებ: „მთავარნი ესე ასოთანი ძველადეუ ქართველთა ეწესა. და არლარავინ იყო სწაველულ ამისა თვინიერ უხუცესისა ძმისა ჩემისა სულხან-საბა ორბელის ძისაგან კიდე. მასცა მამისაგან ჩემისა ესწავა და მან მე მასწავა. ეამსა მას, რომელთა ინებეს, კელთაგან ჩემთა ისწავეს, არამედ ვერა სწორქმნულთა ჩემთასა. მის ეამისა მეუენი და შემდგომნი მოწლელ კყვარობდნენ ამა წერთა“ (1728 წელს ნ. ორბელიანისეული ნაწილი შესულა S-200 ხელნაწერში, გვ. 274).

იყენენ ისეთი გადამწერები, რომელთაც ხუცური ასოებით წერა უფრო ემარჯვებოდათ. XII საუკუნის ერთ ხელნაწერს (A-27) შემოუნახავს გვიანდელი მინაწერი: „ერთობ დიდი ხანი არის, რომე მქედრული ქელი არა მიწერია, ქელი უკუდგომილა“.

საინტერესოა, რომ XVIII საუკუნის 20-იან წლებში ყოფილა ცდა, შემოეღოთ საზედაო (დიდი) ასოები მხედრულ ანბანში. ნიკოლოზ ორბელიანი 1728 წელს წერდა: „მხედრული ასომთავრული ძველთიგან არ ყოფილ არს. აწ მე გავაკეთე“ (S-200, გვ. 274).

ლიტერატურა

- ბ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები: „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების... სერია), № 1, 1976.
- ბ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან: „ეცისკარი“, 1978, № 5-6.
- ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, თბ., 1973.
- ლ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესის დროიდან მე-X საუკუნე დასასრულამდე), ტფ., 1889.
- ე. მაჭაბერიანი, მხედრული დამწერლობის ადრეული ნიმუშები: მრავალთავი, III, თბ., 1973.
- თ. შორაძანი, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, ტფ., 1892.
- ა. მანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
- ი. ჩაბახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
- Н. МАРР, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
- Е. ТАКАИШВИЛИ, Сигель грузинского царя Баграта IV (1027-1072): Записки Восточного отделения Русского археологического общества, IX, С-Пб., 1893.
- А. ЦАГАРЕЛИ, Сведения о памятниках грузинской письменности, С-Пб., 1886.

ხმარებიდან გასული ასოების ფონემური
ენიშვნელობების საკითხი

1. თანაფარდობის დარღვევა
მობ ბრაჟემასა და ფონემას შორის

დღევანდელი ქართული წერის, ანბანური სისტემის ერთ-ერთ გამოჩენულ ღირსებად მიჩნეულია მუსტი შესატყვისობა და თანაფარდობა გრაფემებსა და ფონემებს შორის. ერთ გრაფიკულ ნიშანს, ასოს მხოლოდ ერთი ბგერის გამოხატვა აკისრია, ანბანური დამწერლობის ისტორიაში ამ იშვიათ ფაქტზე ყურადღება უცხოელ მეცნიერებსაც მიუქცევიათ. ცნობილია ინგლისელი მეცნიერის, ისტორიკოსი ალენის აზრი: „ქართული ანბანი წარმოადგენს ფრიად სრულყოფილ ინსტრუმენტს ამ ენის მრავალფეროვანი ბგერების მთელი სიმდიდრის გადმოსაცემად; ასოები გადმოსცემენ ყოველ დამოუკიდებელ ბგერას მუსტად და მკაფიოდ; და არც ერთი სხვა ანბანი არ შეიძლება გაუტოლდეს მას ამ მხრივ“. საყურადღებოა ისიც, რომ ალენის ეს სიტყვები დამოწმებულია ცნობილი ინგლისელი პალეოგრაფის დ. ღირინგერის წიგნში¹, სადაც საგანგებოდ არის აღნიშნული ნებისმიერი ენის ბგერითი სისტემის წერაში მუსტად აღქვატურად გამოხატვის შეუძლებლობა: „ნებისმიერი ენის ფონეტიკური სისტემა მეტად რთულია, რომ ის აღქვატურად გადმოიყოს წერაში შედარებით მცირე რაოდენობის ნიშანთა საშუალებით“².

მაგრამ შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ახალი ქართული მხედრული ანბანის შეტანა ძველ ქართულ მრგლოვან ანბანთან სათანადო ბგერითი სისტემის მუსტად გადმოცემის თვალსაზრისით შეუძლებელია და მცდარი. ამიტომ არ არის სიმუსტე დაცული ისეთ მხედულებებში, როგორცაა, ვთქვათ: „არც ერთ ერს ისტორიულ წარსულში არ შეუქმნია იმდენად სრულყოფილი ანბანური დამწერლობა, როგორცაა ქართული ანბანური დამწერლობა“. ან: „რაც შეეხება ქართულ ანბანურ დამწერლობას, როგორც ისტორიულ წარსულში, ისე ამჟამად, ყველაზე მეტად სრულყოფილ ანბანურ დამწერლობად უნდა ჩაითვალოს“³ არა. ძველი ქართული მრგლოვანი ანბანი არ არის სრულყოფილი ანბანური დამწერლობა, მასაც აქვს ნაკლი, ყველა გრაფემას არ მოეპოვება მუსტი ბგერითი შესატყვისის და ყველა ბგერას – თითო გრაფიკული ნიშანი, ე.ი. ზოგჯერ დარღვეულია ანბანური დამწერლობის საყრდენი ფონეტიკური პრინციპი. ამის მიზეზი ძველი ბერძნული ანბანის გავლენაა, რაც შენიშნულია მკვლევართა მიერ. საჭიროდ

¹ Д. Дирингер, Алфавит, М., 1963, გვ. 382.

² იქვე, გვ. 262.

³ რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980, გვ. 56.

ვთელით, აღენიშნოთ მრგლოვან ანბანში ფონეტიკური პრინციპის დარღვევის შემთხვევები:

1. უ ხმოვანი ბგერა ბერძნულის მსგავსად და მისი გავლენით ორი გრაფემით გამოიხატებოდა: **Ωϕ** (შდრ. ბერძნ. *ou*)¹. თავიდან ნუსხურშიც ასე იყო: *αϕ* შემდგომ კი გადაბმით მივიღეთ *αϕ* და მისი გამარტივებით *αϕ* ერთი ნიშანი.

2. ი და **α** ერთი ხმოვნის პოზიციური ალოფონები იყო და ორივეს თავ-თავისი გრაფემები (**Ι, Ψ**) გამოხატავდა: პირველი მარცვლიანი **ι** იყო, მეორე – უმარცვლო. მაგრამ ამათ გვერდით ძველ ქართულში ფუნქციონირებდა მარცვლიანი ხმოვანი **ϋ** და უმარცვლო ნახევარხმოვანი **ϋ̄**. ამ უკანასკნელს ქართულ ანბანში საკუთარი ნიშანი არ ჰქონდა და მარცვლიანი **ϋ**-ს გამოხატველი გრაფემით გადმოიყვამოდა, ე.ი. ორ ფონემას (მარცვლიანს და უმარცვლოს) ერთი გრაფემა გამოხატავდა. მარცვლიანი **ϋ**-საგან უმარცვლო **ϋ̄**-ს გასარჩევი უხმოვნობის ანუ სიბრჯგუის დიაკრიტიკული ნიშანი გვიან შემოიღო ანტონი პირველმა, შემოიღო მაშინ, როცა ის **ϋ**-ს გამოთქმისაგან არ გაირჩეოდა (შდრ. ძველი → ძველი, ჩუენ → ჩვენ...).

3. არაერთგვარობა იყო დიფთონგების გამოხატვაში. ძველად უმარცვლო **ი**, ე.წ. იოგა (**ε**), დაღმავალი დიფთონგის **II** კომპონენტად ფუნქციონირებდა (**აე, ეე, იე, ეე**), უმარცვლო **უ** კი (**უ**) აღმავალი დიფთონგის **I** კომპონენტად გვევლინებოდა (**უა, უე, უი**: თუალი, ძუელი, გუინი) და დამოუკიდებლადაც ფუნქციონირებდა როგორც თანხმოვნებს შორის (გუერიტი, გუერტა...), ასევე თანხმოვნის შემდეგ (ნაძუ, ლელუ...). მრგლოვან წერაში მიღებული იყო დიფთონგების გამოხატვა შემადგენელ ბგერათა გადმომცემი გრაფემებით, ე.ი. ორი ნიშნით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო წერის ფონეტიკური პრინციპით, მაგრამ ერთგვარობა აქაც დარღვეულია: ა) იოგის (**ε**)-ის შემყველ დიფთონგთაგან მხოლოდ ერთი გამოიხატებოდა ორგვარად: ერთნიშნა **ϐ** (**θ**) და ორნიშნა **ϐϐ** (**ეა**) დაწერილობით (კლდმ/კლდეა), სხვები კი (**აა, ია, უა**) მხოლოდ ორნიშნა დაწერილობით გადმოიყვამოდა.

ცხადია, **ეა** დაწერილობის შესაცვლელად სხვა ახალი გრაფემების (**ϐϐ**) გამოყენება ზედმეტი იყო, მაგრამ მის ქონას სხვა საფუძველი ჰქონდა: თავიდან **ϐ** (**θ**) გრაფემა ბერძნული **η**-ს (ეგას) ეკვივალენტად იყო შემოღებული და მხოლოდ მეორეულ ფუნქციად ჰქონდა შემდგომ დაკისრებული **ეა** დიფთონგის გადმოცემა². ბ) ასევე უმარცვლო **უ**-ს (**უ̄**-ს) შემყველ აღმავალ დიფთონგთაგან მხოლოდ ერთი გამოიხატებოდა ორგვარად: ერთნიშნა **ჳ** (**ყ**) და ორნიშნა, უკეთ: სამნიშნა **Ωϕ** (**უი**) დაწერილობით (ლელუ/ლელუი).

¹ დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი, გვ., 1914, გვ. 30; ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 13.

² А. Шанидзе, Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов: Труды Музея истории Азербайджанской ССР, 2 (Материалы по истории Азербайджана), Баку, 1957, гв. 33; გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 36; Boeder, Zur Analyse des altgeorgischen Alphabeti: Zeitschrift für Russischunterricht, 1975, гв. 7.

ცხადია, არც ამ დიფთონგისთვის იყო საჭირო სხვა ახალი გრაფემის (ჟ, ჯ-ს) შექმნა. მაგრამ მის ქონას სხვა საფუძველი ჰქონდა: ჟ (ჯ) თავიდან შემოღებული იყო ბერძნული ψ (ვიფსილონის) ასოს ეკვივალენტად, მის სატრანსკრიპციო ნიშნად. გ. წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პირდაპირ ბერძნულიდან არის აღებული Ω და ჟ ხმოვნების ნიშნები, აგრეთვე უ-ს აღნიშვნის წესი σ და ჯ-ს საშუალებით: $\Omega\psi$ “.¹ ასე რომ, ჯ-ს გვიან აქვს დაკისრებული ჯი დიფთონგის გადმოცემის ფუნქცია.

4. მრგლოვან ანბანში გვაქვს გაურკვეველი ბგერითი მნიშვნელობის გრაფემა ჟ (ჟ), რომელიც არ გამოხატავს რომელიმე ქართულ ფონემას (საეჭვოა, რომ ის თავდაპირველად ოქ დიფთონგის გამომხატველი ყოფილიყო).² ის თავიდან შემოღებული იყო, როგორც ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასოს, გრძელი ω -ს ანუ ω -მეგას (ω -დიდის, ω -ს) ეკვივალენტი.³ შემდეგ კი მას ხელოვნურად დაეკისრა შორისდებლური გაგრძელებული ω -ს, თუ ფშინივიერ დამართვიანი ω -ს ($\omega\psi$ -ის) გამოხატვის ფუნქცია.

ასე რომ, ქართული ანბანი არ არის უნაკლო ენის ბგერითი სისტემის ზუსტად გადმოცემის თვალსაზრისით. თითქმის 15 საუკუნე დასჭირდა წერითი ტრადიციით ნაანდერძევი ნაკლის დაძლევა: მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან უკუგდებულ იქნა ძველი ანბანიდან მხედრულში ნაანდერძევი ის ასონიშნები, რომელთაც თავიდანვე არ ჰქონდათ დაკისრებული ქართული ენის კონკრეტული, დამოუკიდებელი ფონემების გამოხატვა (შ, ჯ, ზ), ან რომელთა შესატყვისი ბგერა (ქ-თი გადმოცემული თუ ალოფონი χ -თი გადმოცემული) ისტორიულად დაკარგული ჰქონდათ სალიტერატურო ქართულის მასაზრდოებელ კილოებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ძველ ქართულ ანბანს ბერძნული ანბანის გავლენა მეტად ეტყობა ხმოვანი ბგერების გადმოცემ ნიშნებში: ბერძნული სპეციფიკური ხმოვნების – η , ψ , ω -ს ეკვივალენტებად არის შექმნილი χ (ψ), ჟ(ჯ), და ჟ(ჟ) გრაფემები, მაგრამ ქართულს არ უცდია შეექმნა ბერძნული სპეციფიკური თანხმოვნების, ვთქვათ, ψ -ს ან ξ -ს ფარდი გრაფემები, რადგან მათ საჭირო შემთხვევაში აღწერითად, ორი ნიშნით, ჟს და ქს-თი გამოხატაულა. მღრ. ფსალმუნი ($\psi\alpha\lambda\mu\sigma\varsigma$, ψ), ქსენონი („სააეაღმყოფო“, „სასტუმრო“) ($\xi\epsilon\psi\alpha\upsilon$, ψ).

2. შ ა ს ო ს ბ ბ ე რ ი თ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი ს ა თ ე მ ს

შ ანუ ეჟ გრაფემის ბგერითი მნიშვნელობის ზუსტად დადგენა ჰქირს, თუმცა ამ საკითხს ბევრი მეცნიერი შეეხო და სპეციალურად სადისერტაციო

¹ გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ. 1960, გვ. 55.

² ა. მანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ. 1976, გვ. 14.

³ გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა: ენიშკის მოამბე, XIII, თბ., 1942, გვ. 70; ა. მანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 12; მისივე, Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов... გვ. 32; Boeder, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

ნაშრომიც მიეძღვნა.¹ მ-ს თავდაპირველი ფუნქციის დადგენას აძნელებს სიტყვათა დაწერილობებში მისი მოხმარების გარკვეულ წესთა დაუკველობა, რასაც მისი ფონემური ღირებულების არამდგრადობა აპირობებს. სირთულე არ არის, თუ თქმა უნდა, დავადგინოთ, თუ როგორ შეიძლება გაბგერდეს სიტყვის დაწერილობაში ნახმარი ეს გრაფემა სხვა, მუსტად ცნობილ, ბგერა-ასოთა ფონზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ მ-ს გაბგერების შესაძლებლობა არაერთგვარია, სხვადასხვანაირია, რაც უბიძგებთ მეკლევართ უზუსტობისაკენ. ამიტომ, რომ მასში რამდენიმე ბგერით მნიშვნელობას ხედავენ, კერძოდ: ემ ღიფთონგისა (ნ. მარი, ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი...)², სომხური ლ-ს ფარდისა (ს. კაკაბაძე)³, ემ ღიფთონგის მსგავსი რაღაც უცნობი ბგერისა (მ. ძიძიშვილი)⁴, ერთდროულად ემ, ე (ე-ს მსგავსი და თან განსხვავებული რაღაც ბგერისა), ფ (ა-ს მსგავსი და თან მისგან განსხვავებული ბგერისა), (თ. ყაუხჩიშვილი)⁵, ბერძნული გრძელი ე-სი, ეტასი (ა. შანიძე, გ. წერეთელი...),⁶ კ ბგერისა (ივ. ჯაფახიშვილი),⁷ რაღაც უცნობი ბგერისა, რომელსაც „უძველესს პერიოდში საშუალო ადგილი ეჭირა ეჟ/ჰ ფონემებს შორის“ (ივ. ქავთარაძე).⁸

ცხადია, მ გრაფემა არ შეიძლებოდა შექმნილიყო ამდენ ბგერით მნიშვნელობათა გადმოსაცემად. რაც შეეხება ივ. ჯაფახიშვილის ვარაუდს, რომ თითქოს თავდაპირველად მ კ ბგერას გამოხატავდა, ეს ეფუძნებოდა ქართული ანბანის ფინიკიურიდან მომდინარეობის თეორიას: ფინიკიურ და მასზე დაფუძნებულ უძველეს ბერძნულ ანბანში მერვე ადგილზე ქეთ იყო. ამდენად, ქართულ მერვე მ-საც კ უნდა გამოეხატა. ამიტომვე, რომ მხედრულ ასორიცხვნიშნებში კ და მ ერთმანეთს ენაცვლებიანო.⁹ მაგრამ ასეთი მონაცვლეობის საფუძველს ა. შანიძე სამართლიანად ამ ორი მხედრული ასოს გრაფიკულ მსგავსებაში ხედავდა: „მ ასოს მოხაზულობა კ ასოს ჩამოჰკავს. მათ ხშირად რეეღნენ ერთმანეთში, ამიტომ არის, რომ მას

¹ თ. ყაუხჩიშვილი, მასალები მ-ს ისტორიისათვის (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1944.

² Н.Март, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, გვ. 3; ა. შანიძე, ძველი ქართული ენა: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფ., 1934, გვ. 252; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, ნაწ. II, თბ., 1971, გვ. 5-6.

³ ს. კაკაბაძე, მ-ს მნიშვნელობა ძველ ქართულში: საისტ. კრებ., IV, ტფ., 1929, გვ. 16.

⁴ მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960, გვ. 26-27.

⁵ თ. ყაუხჩიშვილი, მასალები მ-ს ისტორიისათვის ..., გვ. 415-420.

⁶ А. Шанидзе, Порядок букв ... გვ.33; გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ. 1960, გვ. 36.

⁷ ივ. ჯაფახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 200-201.

⁸ ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ.53.

⁹ ივ. ჯაფახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 150; 201.

ჩვეულებრივ კე-ს უწოდებდნენ¹. მიუხედავად ამისა, ივ. ქავთარაძე თვლიდა, რომ XVII საუკუნის ქართულში მ-მ მიიღო თვისობრივად ახალი ფონემის მნიშვნელობა. იგი გარკვეულად გამოხატავდა $\underline{2}$ თანხმოვანის ზმნებსა და სახელებში. და ეს გრადიკია გაგრძელდა XIX საუკუნის 50-იან წლებამდე: შგონე (კგონე), შყო (კყო), შქონებიათ (კქონებიათ), შუნენი (კუნენი), შექიმი (კექიმი), ოშანეზა (ოქანეზა), შე მეფეო, შე მამაო.² არა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გვიანდელ მხედრულ წერაში მ-ს ხმარებას კ-ს ნაცვლად მხოლოდ გრაფიკული საფუძველი (მსგავსება ასოთა მოხაზულობაში) აქონდა და არა ფონეტიკური. $\underline{3}$ ბგერას თავიდანვე მოეპოვებოდა თავისი გრაფიმა და, ცხადია, მისი გამოხატვა მ-თი სრულებით ზედმეტი იყო.

შეიძლება ითქვას, რომ მ გრაფემას დამოუკიდებელი კონკრეტული ქართული ფონემის გამოხატვის ფუნქცია არასოდეს აქონია. ის ქართულ ანბანში შექმნილი და შეგანილია ბერძნული გრძელი ე-ს, ე-წ. ეტას (ი-ს) ფარდად, მის ეკვივალენტად. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ეტას შემცველი ბერძნული სიტყვების ქართულ ტექსტში (თარგმანში) დაწერილობისას ხშირად მ არის გამოყენებული ი-ს შესატყვისად. მაგრამ მ-ს რომ ქართულ ანბანში ფეხი მოეკიდებინა, მკვიდრი ყოფილიყო, ამისათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ ბერძნული ი-ს საგრანსკრიპციო ნიშნად ფუნქციონირება, საჭირო იყო მას ქართული სიტყვების გადმოცემაში მიეღო მონაწილეობა. ამის გამო მ-ს ეტას ფარდობის გარდა უნდა დაკისრებოდა ეტას გამოთქმასთან მიახლოებული ემ დიფთონგის გადმოცემა. ამ მეორეულმა დატვირთვამ მ გრაფემა სიცოცხლისუნარიანი და სრულფასოვანი წვერი გახადა ქართული ანბანისა, ასე ვთქვათ, ზედმეტად, ბერძნულის მიბაძვით, შექმნილ გრაფემას ანბანში არსებობის უფლება დაუმკვიდრდა. ამის გაუთვალისწინებლად გაუგებარი იქნებოდა ემ დიფთონგის გადმოსაცემად ცალკე გრაფემის შექმნა, რადგან მას უზუსტესად გამოხატავდა ე და მ გრაფემების მიმდევრობა წერაში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მ-ს ხმარებას ძველ ქართულში მაშინ აქვს გამართლება, როცა ის გადმოსცემს ბერძნული სიტყვების ეტას და ქართული სიტყვების ემ დიფთონგს. ამის გათვალისწინებით შეიძლება განისაზღვროს მ-ს წესისებერ რეალიზაციის შემთხვევები:

1. მ გამოხატავს ბერძნულ ი-ს, არის ამ უკანასკნელის საგრანსკრიპციო ნიშანი. თვით ბერძნულში ი-თი თავიდან აღინიშნებოდა კ-ს იერის ასპირატი, შემდგომ კ-სგან მიღებული ღია ე, ხოლო V საუკუნიდან (ძვ.წ.) ძირეული დახურული გრძელი ე-ც (€ კი დარჩა მოკლე ე-ს აღმნიშვნელად). მაგრამ ბერძნულში ძვ.წ. II საუკუნიდან ხმოვანთა კვანტიტეტური ოპოზიცია სუსტდება და იკვეთება ხმოვანთა დაიწროების ტენდენცია, რის შედეგად ი თანდათან გრძელი ეიწრო ი-ს გამოხატველი ხდება. იტალიაში ახ.წ. II საუ-

¹ ა. მანიძე, ძველი ქართული ენა: ა. მანიძე, აღბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 1937. გვ. 257.

² ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964. გვ. 50-51; ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი: იკვ. VI, 1954. გვ. 92.

კუნიდან იჩენს თავს, მაგრამ ბატონდება V-VI საუკუნეებიდან. ო ნიშნის ბგერითი მნიშვნელობის ცვალებადობა სიჭრელეს იწვევდა არა თუ ბერძნულ, არამედ მასთან წერილობითი კულტურით დაკავშირებულ ქართულ და სომხურ ორთოგრაფიაში. მაგრამ ნიშანდობლივია ერთი ფაქტი: IV-V საუკუნეებში შესრულებულ ბიბლიურ წიგნთა ქართულ თარგმანებში ო მეტწილად ე და მ გრაფემებით გამოიყენება, ვიდრე ე-თი: ¹ ეკლესია ἐκκλησία, ეპისტოლე ἐπιστολή, კურიაკე κυριακή, ასევე: იესუ Ἰησοῦς, მოსე Μωσής, იოსებ 'Ισαήβ, მიქაელ Μιχαήλ, ჰეროდე 'Ηρῶδης და სხვ. ძველ ქართულში ო არსებითად მ-თია გადმოყვანილი ორ სახელში: ისრაელი ('Ισραήλ) და იერუსალმში ('Ιερουσαλήμ) ასეა ეს დაქარაგმების შემთხვევაში (იშლი, იშმი). მაგრამ გადამწერთ სრული დაწერილობისას მხოლოდ ე აქეთ გამოყენებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დაქარაგმებისთვის გადამწერს უცვლელად გადმოაქვს ბერძნულისათვის სავსებით კანონზომიერი და ქართულშიც შემოკლებისთვის ძველთაგანვე დადგენილი IHM, IHAM, IHA - იშმ, იშლმ, იშლ ფორმები, მაგრამ სრულად კი ისე წერს, როგორც გამოთქვამს, ე-თი. ² ასევე არც თუ იშვიათად იშმი-ს მცდარად გახსნის გამო მ ნახმარი აქეთ არა ბოლო ლმ მარცვალში, არამედ თავში, ე-ს გვერდით, როგორც ეს ქარაგმიან დაწერილობაშია: იმრუსალემ (ასე მაგალითად, 864 წლის სინურ მრავალთავში). ³ მოგჯერ მ სხვა საკუთარ სახელებშიც გადმოსცემს ე-ს: მასმფა, ნმრი (იერ., 36,32; 40,65), ფარმზ (მ., 1,3C) და სხვ.

ჩვეულებრივია მ-ს ხმარება ერთ მხნურ მშნ (მშნება) ძირში, სადაც ის თითქო გვევლინება სომხური ანბანის მეშვიდე ჯ ასოს ეკვივალენტად, იმ ასოსი, რომელიც ქართული მ-ს მსგავსად, ბერძნულ ეტას ეფარდება: ჯნ „მშნ“, ე.ი. ნაშენი, დასახლებული ადგილი. ი. იმნაიშვილის ცნობით, სინურ მრავალთავში ეს ძირი 24 განსხვავებული ფორმით არის ნახმარი და ყველაში უგამონაკლისოდ მ არის წარმოდგენილი. ⁴ მ სისტემატურად იხმარება მშნ ძირში ათონურ (ოშკურ) ბიბლიაშიც (978 წ.). მაგრამ, რადგან ამ ძირში მ არ გადმოსცემს ეა დიფთონგს, ხელნაწერებში ხშირად მას ე გრაფემა ენ-აცვლება (მშნება//შენება). აღსანიშნავია, რომ ჰილ-ეტრაგის იადგარში (X ს.) დასტურდება მემნ დაწერილობაც, ⁵ მაგრამ ეს უნდა მივიჩნიოთ ორთოგრაფიაზე ფონეტიკური სისტემის დაწოლის შედეგად: გადამწერი მეგნებულად ცვლის მ-ს მისი ფონეტიკურად ტოლფარდი ეა დაწერილობით იქაც, სადაც ეს საჭირო არ იყო. ამ მშნ-ის ანალოგიით მ არადანიშნულებისა-

¹ ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965.

² ე. ჭანტევი, „იერუსალემ“ და „ისრაელ“ სახელთა დაწერილობისათვის, მრავალთავი, III, თბ., 1973, გვ.43.

³ ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975, გვ.21.

⁴ ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი ... გვ.21.

⁵ არ. მარტიროსოვი, ტექსტის გამოცემისათვის: ჰილ-ეტრაგის იადგარი, გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. მანიძემ, არ. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა. ა. მანიძის რედაქციით, თბ., 1977, გვ. 236.

მებრ არის ნახმარი წმინდა ქართულ გმნურ ქმნ (აღმოცნება) ძირში. მაგალითად, სინურ მრავალთავეში ეს ძირი სხვადასხვა ფორმით 18-ჯერ არის გამოყენებული და 16-ჯერ მ-თია წარმოდგენილი. 2-ჯერ კი - ე-თი.¹

2. მ თითქმის ნორმისებრ გადმოსცემს ემ დიფთონგს, რომელიც რეალიზებულია შემდეგ სახელურ ფორმებში: ა) ე-ზე დაბოლოებულ საზოგადო სახელთა სახელობით ბრუნვაში: ქქმ→ქმ: კლმს (კლდემ), ბქმ (ბქემ), მთოვარმ (მთოვარემ), მოლუაწმ (მოლუაწემ), მეფმ (მეფემ), მოწაფმ (მოწაფემ) და სხვ. ბ) ე-ზე დაბოლოებულ საკუთარ (პირის) სახელთა ნათესაობით ბრუნვაში: ქქმს→ქმს: პეტრმს (პეტრემს), პაელმს (პაელემს), ელენმს (ელენემს), პეროლმს (პეროლემს), პილატმს (პილატემს) და სხვ. გ) ე-ზე დაბოლოებულ საკუთარ (პირის) სახელთა მოქმედებით ბრუნვაში (ნაკლები სიხშირით), ქქმთ→ქმთ: პეტრმთ (პეტრემთ), პილატმთ (პილატემთ). აღსანიშნავია, რომ პირის სახელები ნათესაობითსა და განსაკუთრებით მოქმედებით ბრუნვაში ხშირად ორმაგი დაბოლოებითა და თანდებუდიანი ფორმითაა წარმოდგენილი: ეპისტოლმს პაელმსი (პაელე-მს-ი), პაელმთურთ...

3. მ გადმოსცემს ემ დიფთონგს უფროობითი ხარისხის ფორმებში: უდიდმს (უდიდ-ემს), უმჯობმს (უმჯობ-ემს), უსპეტაკმს (უსპეტაკ-ემს) და სხვ. აქ ნათ. ბრუნვის -მს ფორმანტი დართულია გმნური წარმოების ფორმისაგან მომდინარე უფროობითი ხარისხის მოკლე ფორმაზე: უდიდე+მს→უდიდმს. შდრ. გმნური ფორმა უდიდე (შენ მას იგი) და სახელური უდიდე (უდიდ-ე) [არს] იგი მას (მისა).

4. მ გადმოსცემს ემ დიფთონგს გმნიზებლებში, რომლებიც წარმოშობით გაქვავებული მოქმ. ბრუნვის ფორმებია: ესრმთ (ესრე-მთ), ევრმთ (ევრე-მთ).² თავის მხრივ ესრე და ევრე რე ნაწილაკდართული ჩვენებითი ნაცვალ-სახელებია: ესრე←*ესე-რე, ევრე←*ევე-რე.

მ-ის ხმარებას ეტას ფარდად და ემ დიფთონგის გადმოსაცემად გარკვეული გამართლება აქვს და ადრეულ (V-VIII სს.) ძეგლებში არსებითად წესისებრ მხოლოდ ამ ორი ფუნქციითაა ნახმარი, მაგრამ მომდევნო ხანის ტექსტებში იწყება და თანდათან ხშირდება მ-ს არადანიშნულებისებრ ხმარების შემთხვევები. მრავლისმთქმელია სტატიკა: „ხანმეტ ლექციონ-არში“ მ გრაფემა 28-ჯერაა ნახმარი: 20-ჯერ ემ-ს მნიშვნელობით და 7-ჯერ ო-ს (ეტას) ფარდად “იერუსალმშ” და “ისრაელ” სიტყვებში; “ხანმეტ მრავალ-თავეში” მ 29-ჯერ არის გამოყენებული: 26-ჯერ ემ-ს ფარდად, 3-ჯერ ო-სი (ეტასი). პაემეტ ტექსტებში მ 22-ჯერაა ნახმარი: 21-ჯერ ემ-ს გადმოსაცემად, ერთხელ - ო-სი (ეტასი).³ ეს მონაცემები ცხადყოფენ, რომ მ გრაფემის ფუნქცია იყო ბერძნული ეტას და მასთან ახლო მდგომი ქართული ემ დიფთონგის გადმოცემა. მაგრამ IX საუკუნიდან მოხშირდა მ გრაფემის

¹ ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავეი გვ. 21.

² H. Mapp, TP., III, 1901, გვ. XLII.

³ 8. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 277.

უმართებულოდ ხმარების შემთხვევები, რასაც განაპირობებდა ორი გარემოება: ჯერ ერთი, ეს დიფთონგის გადმოცემა მ-ს გარეშე უფრო ზუსტად ხერხდებოდა მის შემადგენელ ბგერათა გამომხატველი ასოების, ე-სი და დ-ის მიმდევრობით. ამიტომ თავიდანვე არსებობდა მ-ს ხმარების სავალდებულოობის დარღვევის შესაძლებლობა; მ და ეს დაწერილობათა ეკვივალენტურობაზე დაფუძნებული არჩევითობის შესაძლებლობა მწიგნობართ არ მღუდავდა, ერთ-ერთი მათგანისთვის მიეცათ უპირატესობა. ასეთი არჩევანი დროთა განმავლობაში გარკვეული სამწერლობო კერის ორთოგრაფიულ ტრადიციად გვევლინებოდა. თუ ხანმეტ-ჰაემეტ ტექსტებში იშვიათად, მაგრამ მაინც გვაქვს: პაელეა (143,22 ხანმ. მრავ.), ფილიპემს (10,7 პაემ.ტ.), ძმ ნავემსი (სინ.მრ.), ჰილ-ეგრატის იადგარსა (X ს.) და ლაგურკის ლექციონარში (X ს.) ეს დაწერილობა გამოკეთილად დამახასიათებელ ორთოგრაფიულ წესად გვევლინება. მეორეც, დიფთონგების მოშლა, მათ შორის ე-სი ადრეა დაწყებული, რისი მაუწყებელი ფაქტები მოიპოვება VI-IX საუკუნეთა ძეგლებში: ხანმეტ ლექციონარსა და ხანმეტ მრავალთავში ზოგჯერ მ/ემ დაწერილობის ნაეულად ე დასტურდება (ხუპაგიოსნეს, ხუმეტესსა, ხუადრეს). ასეა ეს 864 წლის სინურ მრავალთავშიც (პაელეს მოციქულისა, მონაა ქრისტესი, ეროდეს სიციბილი),¹ 897 წლის აღმის ოთხთავში (იოჰანეთურთ, მრ., 1,29; ძე ღმრთისაჲ, მ., 27, 54; უმოლხინეს, მ., 11,24 ...)² და სხვა ძეგლებშიც.

ფუნქციამესუსტებული მ-ს ხმარებამ ორი საპირისპირო პროცესი გამოიწვია: ერთის მხრივ, შემოკრდა მ-ს გამოყენების საჭიროება მის ადგილზე ე-ს გამოყენებით (მონოფთონგიზაციის გამო), მეორეს მხრივ, გაიზარდა ფუნქციადაბნელებული მ-ს ზედმეტად ხმარების შემთხვევები. აღვნიშნავთ მ-ს უმართებულოდ ხმარების ტიპურ შემთხვევებს IX და მის აქვთა საუკუნეთა ძეგლებში:

1. მ ნახმარია ე-ს ადგილზე. ამ შემთხვევაში მ-ს ხმარების არე ძალიან ფართოა, ის შეიძლება მოგვევლინოს ე-ზე ფუძედაბოლოებულ სახელთა ყველა იმ ბრუნვაში, რომლებშიც ეს ე არ არის მოკვეცილი, ე.ი. წრფელობით, მოთხრობით, მიცემით, ვითარებითსა და წოდებით ბრუნვებში. წრფელობითი: მწარმ და ბოროტ არს დატევებაჲ ჩემი, იერ., 2,19A; დავადგერით მუნ ათ ღმ (სვან. მრ.); მოთხრობითი: მეფმზან (26,22, სვან. მრ.), ძმზან (იქვე, 2,22); მიცემითი: ყოველსა ხმსა, იერ., 2,20A; ესმა მეფმსა 26,21A; ვითარებითი: საქმზდ, იერ., 18,4A; გულს-მოღგინსდ (478,23, სვან. მრ.), საპყრობილმდ (იქვე, 236,2); წოდებითი: კლმზო (175,5, სვან. მრ.); მრ. რიცხვის ფორმებში: თუმნი (36,8, პარხ. მრ.), ღლმნი (28,2, სვან. მრ.), მღგომარმნი (იქვე, 310,26), მეფმთა, იერ., 19,4; 24,9A; ღლმთა, იერ., 23,6A.

¹ ი.იზნაიშვილი, სინური მრავალთავი..., გვ. 13.

² მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში..., გვ. 19.

2. **მ** ნახმარია ე-ს ნაყელად მზნიგელებში: ღამშ მოვიდეს (058,13, ხან. ლექს.), დაადგრიან დღს და ღამშ (25r, უდაბ. მრ.), ეელსა გარშ (304,19, სევან. მრ.), ქუემშ (იერ., 1,13Aე), მერმშ (იერ., 2,31A) და სხვ.

3. **მ** ნახმარია ე-ს ნაყელად მზნათა წყევილის ფორმებში: აღ-მოუკითხმ (იერ., 2,25), შევრაცხმ (212,32, სევან. მრ.), შეიყუარმს (14,10A), ღამრტმს (იერ., 17,27A) და სხვა.

4. **მ** სრულებით ზედმეტადაა ნახმარი ე-ს მომღვენო პოზიციამი (ეი). მდარად ფიქრობენ, რომ ემ დაწერილობაში **მ** გამოხატავდეს **მ**-ს (იოტას) ან მის მსგავს რაღაც **მ** ბგერას,¹ ერთი შეხედვით ეს ასე ჩანს ისეთ მაგალითებში, რომლებშიც ემ თითქო შეიძლება ემ-დ იქნეს წაკითხული: ეგრემთ, ბქემ, მოწაფემ და სხვ. მაგრამ ეს მოჩვენებითია და რომ **მ** ზედმეტადაა ნახმარი, კარგად ჩანს ისეთი მაგალითებიდან, რომლებშიც ემ შეიძლება წაკითხულ იქნას მხოლოდ როგორც ე: მრწემშ (ლ., 22,26), სნემულთა განკურნებაჲ (235v, Jer. 142); განუსხადა მათემ მახარებელმან (162r, S-425), არა აღმოეცემსის ყანაჲ (163r, Sin. 35).

ემ დაწერილობა პირველად 864 წლის სინურ მრავალთაეში იჩენს თავს, მერმე 897 წლის აღიშის ოთხთაეში და ა.შ. მაგალითები: ბქემ (17,34, სინ. მრ.), მოყუარემ (იქვე, 173,18), უმემთაემსი (იქვე, 1523; 202,23)..., ძემ (მ., 12,45C; მრ., 9,42C) და სხვ. ასეთი დაწერილობა „საკმაოდ ხშირია X საუკუნის ხელნაწერებში“.² როგორც აღვნიშნეთ, ემ მიმდევრობაში **მ** არ შეიძლება **მ**-ს ან მის მსგავს **მ** ბგერას გამოხატავდეს; ემ მდარად კონტამინაციური დაწერილობაა: ჯერ საჭირო ე იწერება, მერმე უფუნქციო **მ**, ის **მ**, რომლის ხმარება წერიითი გრადიციით უკავშირდებოდა სიგყეაში ე-ს ქონას. ამ შემთხვევაში მწიგნობრისაგან **მ** მდარად გაყნობიერებულია, როგორც ტექსტის წიგნური იერის კომპონენტი, შედეგად მიღებულია ფსევდოორთოგრაფიული დაწერილობა.

5. **მ** გრაფემის ბგერითი მნიშვნელობის დაბნელების ამკარა გამოვლინებაა ემ დაწერილობა, რომელიც X ს.-ის ხელნაწერებში იჩენს თავს და მეტად გავრცელებულია XI-XII საუკუნეთა და მომღვენო ხანის ძეგლებში. ასეთი დაწერილობა გაგრძელდა მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე.³ ვარლუმე (38v, უდაბ. მრ.), ტყუმ (2r, A-71), მართუმ (იქვე, 109v), როგორც ემ დაწერილობაში, ასევე ემ-ში **მ** გრაფემა ზედმეტა და არ იკითხება ისეთ იშვიათ ფორმებში, როგორცაა მე-13 საუკუნის ხელნაწერში (A-90) დადასტურებული: უმრცხუნო (37v), გუმჭურეტ (16v), ვარქუმ (11v), და ალორძინების ხანის ძეგლებში იშვიათად ნახმარი ემ დაწერილობიანი ფორმები: ჩუმენ, დარლუმეული და სხვ. **მ**. სარჯეელაძეს სწორად აქვს აღნიშნული, რომ ემ დაწერილობის მიხედვით XI-XIII საუკუნეთა ხელნაწერები შეიძლება სამ

¹ თ. ყაუხჩიშვილი, მასალები კ-ს ისტორიისათვის ... გვ. 420, 34.

² **მ**. სარჯეელაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი ... გვ. 279.

³ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა ... ტფ., 1934. გვ. 287; **მ**. სარჯეელაძე, დასახ. ნამ-რომი, გვ. 280.

ჯგუფად დაიყოს: 1. ხელნაწერები, რომელთაც უმ სულ არ ახასიათებს; 2. ხელნაწერები, რომლებშიც უმ დაწერილობა იშვიათია; 3. ხელნაწერები, რომლებშიც უე დაწერილობა ხშირია.¹ საფიქრებელია, რომ უმ დაწერილობაში სამგვარი ვითარების არსებობა ერთი ქრონოლოგიური ზღვრების ხელნაწერებში იმას მიანიშნებდეს, რომ მ-ს ბგერითი მნიშვნელობის დაბნელების შემდეგ უმ დაწერილობა შეიძლება გაჩენილიყო ვარკვეულ სამწერლობო ცენტრში და მის ხმარებაში განსხვავებული ინტენსივობა მწიგნობართა განსხვავებული კვალიფიკაციის დონეზე, უკეთ, მ-ს ინტერპრეტაციის განსხვავებულობაზე ყოფილიყო დამოკიდებული. ამ მხრივ საყურადღებოა ცნობილ მწერალთა და მეცნიერ-რედაქტორთა ნამუშავეის შემცველ ხელნაწერთა ჩვენებანი: XII ს.-ის ხელნაწერში, ე. ი. გელათურ ბიბლიაში (A-1108, Q-1152), რომელიც თუ ჰეგრიწისა არაა, მისი სკოლის წარმომადგენლის ნაღვაწია, თითქმის სისტემებრ იხმარება უმ დაწერილობა. ასეთივეა ვითარება „სამოციქულოს“ ეფრემ მცირისეული რედაქციის ტექსტის შემცველ ხელნაწერებში (A-677, XII ს., K-4, სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმც. ინსტ. ლენინგრ. განყოფ. ხელნაწერი, XIII ს., A-137, XIV ს.), მაგრამ ამავე „სამოციქულოს“ გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტის შემცველ ხელნაწერებს (A-584, XI ს., Ath. № 78, XI ს.) უმ დაწერილობა არ ახასიათებთ.

როგორც ჩანს, უე დაწერილობის შემცველ ხელნაწერთა ფილიაიციის შედეგად მე-II საუკუნის ბოლოდან თითქმის „ნორმატული“ ხდება ეს მცდარი დაწერილობა. საკითხაჲია, როგორ ესმოდათ უმ დაწერილობაში მწიგნობართ მ-ს ფუნქცია? ცხადია, უმ დაწერილობაში (გამონაკლისების გარდა, როგორცაა გუშკურეგ, ვარქუშ...) მ-ს გამოთქმა შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ე ხმოვანი ბგერა (ძმშილ=ძმელი). ეს ცნობილი იყო, ალბათ, ნებისმიერი მწიგნობრისათვის. მაგრამ მამინ რატომ არ წერდნენ უფრო მუსტ უე მიმდევრობას? ის ფაქტი, რომ მ მარცვლიან უ-სთან კი არ იწერებოდა, არამედ მხოლოდ უმარცვლო უ-სთან მომდევნო პოზიციასში, უნდა ამქლავნებდეს უმ დაწერილობის გაჩენის მოტივს. უმარცვლო უ-ს ქართულ ანბანში თავისი საკუთარი ნიშანი არ ჰქონდა, ის იყენებდა მარცვლიანი უ-ს გრაფემას. ეს შეუსაბამობა წერასა და გამოთქმას შორის ადრევე საგრძნობი იყო, მაგრამ მე-II საუკუნიდან ამკარა გახდა, როცა უმარცვლო უ-ს ოპოზიცია ვ-სთან მომზადი იყო და თითქმის ემთხვეოდა ე თანხმოვნის არტიკულაციას. მაგრამ ხანგრძლივი წერილობითი გრადიცია გადაულახავი რჩებოდა: წერდნენ მარცვლიანი უ-ს გამოხატველ გრაფემას, მაგრამ გამოთქვამდნენ დაახლოებით თანხმოვან ვ-ს დარად, გრადიციის საწინააღმდეგოდ ვერ წერდნენ ე გრაფემას. და აი, მარცვლიანი უ გრაფემით გამოხატული უმარცვლო უ-ს (ბგერობრივ თითქმის ვ-ს) წერაში გამოჩენვის, განსხვავებულობის მიზნით მოხმობილ იქნა ამ დროისთვის უკვე ფუნქციონალკარგული, ზედმეტი გრაფემა მ. მას უნდა მიენიშნებინა წინამავალი უ გრაფემის უმარცვლო, თანხმოვნური ბუნების მნიშვნელობაზე. ამდენად, ქართულმა ორთოგრაფიამ (არსებითად

¹ 8. სარჯელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.

მედარმა) უმ დაწერილობის გვიანდელი „კანონიზაციით“ ორი საქმე გააკეთა: უ გრაფემის უმარცელობა, თანხმოვნობა მინიშნა ე ხმოვნის წინა პოზიციასი და ანბანში შეინარჩუნა უკვე უფუნქციო მ გრაფემა. ამდენად, უმ დაწერილობაში მ-ს საკუთრივ ე ხმოვნის მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მას დამატებით ეკისრება წინა უ გრაფემის უხმოვნობაზე მინიშნება. ამიტომ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ უმ დაწერილობაში მ რაიმე განსაკუთრებულ ბგერას გამოხატავდეს და უმჰ-ს „შესაძლოა რაღაც კავშირი ჰქონდეს“ ლაბიალური თანხმოვნის ოდინდელ ველარიზებულ არტიკულაციასთან“.

3. უ ასოს ბგერითი მნიშვნელობისათვის

ძველ ქართულ ანბანში ამ ასოს (ვიე-ს) გ-ს მომდევნო ადგილი ეკავა და რიცხვითი მნიშვნელობით 400-ს გამოხატავდა. გვიან (XVI საუკუნიდან) მისი ადგილი დაიჭირა ე-მ, რომელიც ძველად ანბანში არ შედიოდა და საკუთარი ნიშნის უქონლობის გამო ორი სხვადასხვა ასოს (ო და ყ-ს) ერთობლივი კომბინაციით გამოიხატებოდა (ღჟ, მჟ/, მჟ, ოჟ). საგულისხმოა სულხან-საბა ორბელიანის ცდა ამ ასოს ბგერითი მნიშვნელობის განსაზღვრისა, როცა წერს, რომ ყე ვინისა და უნის საშუალოა სათქმელად. ძველად ჭართან იჯდა, „შემდგომ უე რიცხვიდამ ამოულიათ და ოთხასად უნი დაუსვამთ“¹.

ყ-ს მნიშვნელობის განსაზღვრა რამდენადმე ახლოსაა ნ. მარის აზრთან, რომლითაც ეს ასო რუსული ყ-ს შესატყვის ნახევარხმოვნად უნდა ყოფილიყო, ისე როგორც ძველი სომხური ს, როგორც სვანური ბგერა უ.² გახელედინიც ყ-ს სონანტთა კლასს აკუთვნებდა და მას მიიჩნევდა უ-ს დავიწროებით მიღებულ სუსტ (უმარცელ) ბგერად, როგორც ი→ა, ასევე უ→ყ.³ ასეთ ახსნას თითქოს მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ძველ ხელნაწერებში ყ ნახმარია მოსალოდნელი უ-ს ადგილზე (თუესა=თუესა). ასეთ შემთხვევაზე არნ. ჩიქობავა წერდა: „რამედ შეიძლებოდა ყოფილიყო დამყარებული წესი უჟე ასოთი უ-ბრჯგუს აღნიშვნისა? ხომ არ გვაფიქრებინებს ეს, რომ რომელსამე კილოში უჟეთი და უ-ბრჯგუთი გადმოცემული ბგერები იმდენად ემსგავსებოდნენ ერთურთს, რომ შეუძლებელი არ იყო ამ ბგერათა ნიშნების შენაცვლება (და ამ ნიადაგზე ჩაეყარა საფუძველი უ-ბრჯგუს უჟე ასოთი აღნიშვნას), ხოლო სხვა კილოში, რომელიც აგრეთვე იღებდა მონაწილეობას სამწერლო ენის შემუშავებაში, ამ ორი ასოთი აღნიშნული ბგერები საკმაოდ განსხვავებული იყვნენ იმისათვის, რომ ერთმანეთში მათი შენაცვლება

¹ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928, გვ. 475.

² Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, თბ., 1925, გვ. 5-6.

³ გახელედინი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1956, გვ. 51-52;

შეუძლებელი გამხდარიყო“.¹ იგივე მკვლევარი საბოლოოდ უ-ს ბგერითს მნიშვნელობას დაუდგენლად თვლიდა: „უ-ბრჯგუ ჰლუს ი ძველს ქართულში ჩვეულებრივად გადმოიყვამის უჲ ასოთი, — ამ უკანასკნელის შესატყვისი ბგერის რაობას კი განზე ვგოვებთ“.² ა. მანიძეს კი საეხებით ნათელი წარმოდგენა ჰქონდა უ-ს თავდაპირველ მნიშვნელობაზე, როცა 30-იან წლებში წერდა: „უ უნდა ყოფილიყო ერთი ხმოვანი, მონოფთონგი და არა ორ-ხმოვანა, დიფთონგი, როგორც შეიძლებოდა კაცს უფიქრა იმ შემთხვევების მიმოხილვიდან, სადაც მას მოსალოდნელი უი ჯგუფის ადგილი უჭირავს. ამის მიხედვით, მაგ., ძველი ქართული „თაგვ“ და „მისთჱს“ დაახლოებით ისე უნდა გამოეთქვათ, როგორც გერმანელი გამოთქვამს ამ კომპლექსს: tagm. mistus“.³

ოციოდე წლის შემდეგ ა. მანიძემ უფრო დაამუსტა თავისი აზრი: „უ-ს ძველად ზოგჯერ უმარცვლო უ-ს მნიშვნელობა ჰქონდა და ზოგჯერ (უფრო ხშირად) უ-სა და ი-ს შუა მდებარე ხმოვნისა (უ შეეფერებოდა ბერძნულ ს-ს და ცალკე გამოითქმოდა დაახლოებით ისე, როგორც ფრანგული S)“.⁴ საყურადღებოა გ. წერეთლის აზრი არა მარტო უ-ზე, არამედ საერთოდ ძველ ქართულ ანბანში ხმოვნითი ნიშნების ორგანულ კავშირზე ბერძნული ანბანის სათანადო ასოებთან. იგი წერდა: „ბერძნულის გავლენით უნდა იყოს გაჩენილი ხმოვნები ქართულ ანბანში, თვით ხმოვნის აღმნიშვნელი ზოგიერთი ნიშანი ბერძნულიდან არის ნასესხები. პირდაპირ ბერძნულიდან არის აღებული Q და F ხმოვნების ნიშნები, აგრეთვე უ-ს აღნიშვნის წესი ო-სა და უ-ს საშუალებით: Qჲ. ბერძნულის გავლენით ჩანს შემოღებული ქართულში ე-ჲ. მერვე I და სხე“.⁵ უნდა ითქვას, რომ არც ივ. ჯავახიშვილი გამოირიხსავდა ქართული უ-ს ფუნქციურ კავშირს ბერძნულ ს-სთან, ოღონდ მათ შორის გრაფიკულ მსგავსებას არ ხედავდა: „თავისი მდებარეობითა და გამოთქმით ქართულ ანბანში იგი ბერძნული ანბანის ს-ს შესატყვისობას წარმოადგენს. მაგრამ მოხაზულობით თვალსაჩინოდ განსხვავდება ამ ბერძნული ასოსაგან, ისევე ამის წარმომშობელი ფინიკური, მოაბური, არამეული, და ებრაული „ვაე“-ის მოხაზულობისაგან და გასაოცრად მიაგავს ამავე ასოს პალმირულს, მეტადრე კი ნობატეველთა მოხაზულობას... ეს იმის აუცილებელი საბუთი უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ დედააზრი ყოფილიყო გამოყენებული, მოხაზულობის მხრით კი სრულებით დამოუკიდებელივ ემოქმედათ და ქართული „ვინ“-ის ძველი მოხაზულობით ესარგებლათ“.⁶ დღეს შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ უ ასო ქართულში

¹ ა. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდულში: „ჩენი მეცნიერება“. გფ., 1923, №2-3, გვ. 75.

² იქვე, გვ. 76.

³ ა. მანიძე, ძველი ქართული ენა: ა. მანიძე, აღ. ბარამიძე, ილ. აბულაძე გვ. 010.

⁴ ა. მანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. I. თბ., 1953, გვ. 18.

⁵ გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 55.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია... გვ. 222-223.

შემოღებულია ბერძნული ანბანის ს-ს (ვიფსილონის) ფარდად, მისი მნიშვნელობითა და გრაფიკული იერით: ბერძ. $\Upsilon \rightarrow \text{ს}$. ქართ. ჟ (სხვაობას ქართული ასოს მარჯვენა ვერტიკალური ხაზის ჩამოგრძელება ქმნის). საინტერესოა ამასთან დაკავშირებით ნ. ჩუბინაშვილის აზრი: „უ ასო ეს ქართულთა ლექსთა შინა თავად არა ოდესმე იხმარების, არამედ მხოლოდ ბერძნულთაგან მიღებულთა ლექსთა შინა, რომელნიც დაიწყებინან ასოთა ს ანუ ლათინურითა Υ „იასილონ“.¹ აქ ყველაფერი სწორია, გარდა ერთისა – უ ქართულ სიტყვებში იხმარებოდა.

რადგან უ-ს ისტორია ორგანულად უკავშირდება ბერძნულ ს-ს, საჭიროდ ეთვლით ამ უკანასკნელის ბგერით მნიშვნელობასაც მოკლედ შეეხებით. ცნობილია, რომ ფინიკიური კონსონანტური ანბანიდან მომდინარე ბერძნულ ანბანში ხმოვანთა ნიშნები, მათ შორის ს-ც, მალე იქნა დამატებული (ს გრაფემა უკვე VIII-VII საუკუნეთა ბერძნულ წარწერებში არის გამოყენებული). ვ. ლატიშკევის ცნობით, ფინიკიური ანბანის ვე-ი, რომელიც Hc-ს მოსდევდა, ორი დანიშნულებისა იყო სიტყვაში პოზიციის მიხედვით: გამოხატავდა თანხმოვან ვ-ს და ხმოვან უ-ს. ბერძნულ ანბანში ვე-ის ფარდმა ს-მ (ვიფსილონმა) უ ხმოვნის მნიშვნელობა შეინარჩუნა და თანხმოვან ვ-სთვის ახალი ნიშანი F (დიგამა), იქნა შემოღებული.² ისიც ცნობილია, რომ ბერძნული უ ხმოვანს გადმოსცემდა ი-თი, ო მიკრონით (ო მცირეთი), რომელიც თავიდან ერთნაირად იხმარებოდა გრძელი და მოკლე ხმოვნების გამოსახატავად და ფინიკიური ანბანის სათანადო ასოს მოხაზულობას იმეორებდა.³ VI-III საუკუნეთა ძეგლებშიც კი ხშირია უ ხმოვნის გადმოცემა ლ ასოთი. ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ ბერძნული უ-ს ორნიშნა გამოხატულება (ou) პირვანდელი უ და მერმინდელი უ გრაფემათა შერწყმით იყოს მიღებული, მაგრამ ნამდვილად კი მონოფთონგიზაციის პროცესმა განსაზღვრა უ-ს „უჩუელო“ ნიშნის არსებობა: თავიდან ou დაწერილობა დიფთონგს გამოხატავდა, დახურულ გრძელ ლ-ს, მაგრამ მახვილის გადანაცვლების გამო პირველიდან მეორე ხმოვანზე წინამავალი ი ხმოვანი დაყრუვდა და დაწერილობა უ ხმოვნის გამომხატველი გასდა, დროთა განმავლობაში უ ხმოვნის ou-თი გადმოცემამ სისტემური ხასიათი მიიღო და ნორმად იქცა.⁴ ამან თავისთავად გამოიწვია ou დაწერილობაში შემავალი უ გრაფემის ფუნქციის შეცვლა და ერთგვარი არეუ-დარევა შეიგანა მის ხმარებაში. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ს გრაფემის ბგერითი მნიშვნელო-

¹ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, აღ. ლლონგის რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 480.

² В. В. Латышев, История греческого алфавита. Лекции читанные в 1889-90 гг., С.-Пб., гв. 22.

³ იე. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია გვ. 219.

⁴ Iannaris A. W. An historical Greek Grammar, London, 1897, გვ. 37; ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები 1, თბ., 1965, გვ. 43.

ბის ცვლა ასეთი იყო: $u \rightarrow i$.¹ აღსანიშნავია, რომ ქართული წერილობითი კულტურის ხანგრძლივი კავშირი ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროსთან ერთგვარად აპირობებდა იმ ფაქტს, რომ ქართულ უგრაფემასაც არ უქონდა სტაბილური ბგერითი მნიშვნელობა არა მარტო ქართული სიტყვების გამოსატყვისას, არამედ ბერძნულ სიტყვათა უ-ს გადმოცემის თვალსაზრისითაც.

რადგან უ. ბერძნული ანბანის უ-ს გავლენით ჩანს შექმნილი, ლოგიკური იქნება, თუ მისი ფონეტიკური ფუნქციებიდან უპირველესად ბერძნულ უ-ფიფსილონთან ფარდობას აღვნიშნავთ.

1. უ იხმარება უ-ს (ვიფსილონის) ფარდად, ეკვივალენტად ქართულ ტექსტში ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებში. ნ. მახარაძეს დადგენილი აქვს, რომ ბერძნული უ-სთვის ქართულში სამი შესატყვისი გვაქვს: უ, უ და უ. ამათგან ძირითადი შესატყვისია უ, დაახლოებით ოთხჯერ უფრო იშვიათია უ და ყველაზე ნაკლებად, თითქმის აქა-იქ გვხვდება უ-ს.²

ა) უ გადმოცემულია უ-თი: მარტური/მარტული (μαρτύριος), კურიაკე (κυριακή), უაკინთი (ιακινθός), უპატოსი (πάπτος), სუნიდისი (συνειδήσις), ანთუპატი (άνθρακός), საკუთარი სახელები: ეგუპტე (Αἴγυπτος), ტუროსი (τύρος), ეთუჟე (Εθιοπία), უმენოს (ύμναίος), ტუქიკოს (Τυχικός), კუპრიანე (Κυπριανός), სუმეონ/სუმონ (Συμεών) და სხვ.

ბ) უ გადმოცემულია ე-თი: აქ დელაბიალიზაციამ და პალატალიზაციამ უ გამოთქმაში ე-ის (ი-ს) გაუთანაბრა. ეს პროცესი ბერძნულში დიდხანს გაგრძელდა, ახალ წელთაღრიცხვამდე დაიწყო და XI საუკუნისათვის დამთავრდა. ქართულში უ-ს ფარდად ე, როგორც მოსალოდნელი იყო, მოგვიანო (XI საუკუნისა და მის აქეთა ხანის) ძეგლებში ვლინდება, იშვიათად კი – ადრეულ ტექსტებშიც, მაგ., ქლამინდი (წითელი ფერის ზედა სამოსი), მ., 27,28-31 (χλαμύς, -ώνος), ბისონი, ლ., 16,19 (ერთგვარი ქსოვილი, სამოსი) (βύσσος). მოგვიანო ხანის ძეგლებშია: იპატოსი (πάπτος), პითონი „ავი სული“ (πίθη), იაკინთოჲ (ιακινθός), პირლო „გოდოლი“ (πίργος), მიპრონი (μύρον) და სხვ.

გ) უ იშვიათად გადმოცემულია უ-თი: პური (πυρός), ულუმპია (ὄλυμπα), კურაპალატი (κουραπάτης), ნუმფას (νυμφάς) და სხვ.

მამასადაძე, ქართული უ ძველ ქართულში გადმოსცემდა ბერძნულ უ-ს, ე.ი. პალატალურ ანუ დავიწროებულ უ-ს, რომელიც ენისკენ იყო გადახრილი. ამიტომ ადვილი იყო ამ გრაფემას ქართულში დაკისრებოდა პალატალურ უ-სთან ახლო მდგომი უჟ დაფთონგის გამოხატვა. და ეს ასეც მოხდა.

2. უ სისტემებზე გადმოსცემს უჟ დიფთონგს და, ამდენად, იწერება სიტყვაში ისეთი პოზიციისას, როცა მოსალოდნელია უმარცვლო უ-სა და ე ხმოვნის თანმიმდევრობა. მაგრამ უ-სთვის უჟ-ს გადმოცემა მეორეული ფუნქციაა, ისევე როგორც ე-სთვის ეჟ მიმდევრობისა. ეს ამჟამად, რადგან დიფთონგთა გადმოცემა განსაკუთრებული გრაფემით წესი არაა, ენას მოე-

¹ ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები. I. გვ. 44.

² ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები... I. გვ.49.

პოეზია დიფთონგთა შემადგენელი ბგერებისათვის ცალ-ცალკე ნიშნები და ორივეს მოხმობით გადმოიყვამა (აჲ, ოჲ, ეჲ, ჴჲ, ჴი, ჴე, ჴა). მაგრამ ფაქტია, რომ უ გრაფემის უძირითადესი ფუნქცია ჴი დიფთონგის გამოხატეა. ამდენად, უ-ს ლიტერატურის განსაზღვრა შეიძლება ჴი მიმდევრობათა დადგენის სიგყვებში. უ (ჴი) შეიძლება რეალიზდებოდეს:

ა) სიგყვათა ფუძეებში: მკედრი, ჴერთი, გურგენი, ნანდელ, განკურება, მკურცხლი, ტნი, ტერთი, ღრტუნვა, ქუშ/მქუშა, ღუძლი, ღუძება, ყურილი, ყუთელი, მშუდი, სირცხული, ჩრჯი, ცული და სხვ.

ბ) უმარცვლო უ-ზე დაბოლოებულ სახელთა სამი ბრუნვის (სახ., ნათ., მოქმ.) ფორმაში. ასეთი ფუძეები ძველ ქართულში ბეერი არაა, 70-მდე თუ იქნება: ღათუ, ფესუ, ნესტუ, ღელუ, ნერწყუ, მარუ, ბორცუ, ნაძუ, ძეძუ, ღაწუ, ჴაჭუ, იხუ, იჭუ და სხვ. ასეთ ფუძეთა ბოლოიკიდურ უმარცვლო უ-სთან ბრუნვის ნიშნისეული ი-ს მიმდევრობა იძლევა ჴი დიფთონგს: 1. სახელობით ბრუნვაში: ღელუ+ი→ღელუ, ჴაჭუ+ი→ღაჭუ, 2. ნათესაობით ბრუნვაში: ღელუ+ის→ღელუს, ჴაჭუ-ის→ღაჭუს, 3. მოქმედებით ბრუნვაში: ღელუ-ით→ღელუთ, ჴაჭუ-ით→ღაჭუთ.

გ) ჴი და ჴა ბოლოიკიდურიან სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში: აქ სახელებს ფუძის ე და ა დაბოლოება ეკუთვნებათ და უმარცვლო უ წინ აღმოჩნდება -ის და -ით ფორმანგისეულ ე-სთან, იქმნება ჴი მიმდევრობა: ტყუე, ნათ. მხ. ტყუ-ისა→ტყუსა, სიგყუა, ნათ. სიგყუ-ისა→სიგყუსა, მოქ. ბრ.: ტყუ-ითა→ტყუთა, სიგყუ-ითა→სიგყუთა.

ღ) გმნებში, როცა I ობ. პირის მრ. რიცხვის გუ პრეფიქსს მოსდევს სათავისო ან სასხვისო ქცევის ნიშანი: მო-გუ-ი-ყვანა→მოგყუყვანა მან ჩუენ; გუ-იჩუენა→გუჩუენა მან ჩუენ იგი, გუ-ი-ვის→გვის იგი ჩუენ.

ე) ხანმეტურ და ჴაემეტურ ტექსტთა გმნებში, როცა I სუბ. პირის ე ნიშანი ხ/ქ პრეფიქსთა მომდევნო პოზიციამი უმარცვლო უ-ს სახეს იღებს და მას მოსდევს სათავისო ქცევის ან ენებითი გვარის ე პრეფიქსი: ხ/ქ-უ-ი-ტყუ-ი→ხ/ტყყუ, ხ/ქ-უ-ი-ქმნ→ხ/ტყქმნ, ხ/ქ-უ-ი-ყავ→ხ/ტყყავ...

ვ) გმნებში, როცა გმნის ფუძის ბოლოიკიდურ უ-ს მოსდევს II ხოლმეობითის ე ნიშანი: ვ-სუ-ი→ვესუ (+ასუ, სუს), ვთქუ-ი→ვეთქუ (+სთქუ, თქუს), და-ვ-წუ-ი→დავწუ (+დასწუ, დაწუს) და სხვ.

ზ) ცალკეულ გმნებში: ტყუე ძირში, როცა მას ერთვის ფორმანგისეული ე: ვიტყუ-ი→ვიტყუ, იტყუ-ი→იტყუ, იტყუ-ი-ს→იტყუს... ეიდ ძირიანი გმნის S₂-ის ფორმაში, როცა S₂-ის ხ/ქ ნიშანს მოსდევს ძირისეული ე-სგან მომდინარე ჴი: წარ-ხ-უ-იდ-ო-ღ-ე→წარხულოღე...

ძველ ხელნაწერებში არც თუ იშვიათად უ ნიშანს ცვლის ჴი დაწერილობა. დიფთონგის ასეთი სრული (ორნიშნა) გამოხატეა ამა თუ იმ ხანმეტურ-ლობო სკოლებისა და მწერალ-გადამწერთა გარკვეული ორთოგრაფიული ნორმებისადმი მიდრეკილებას უნდა ამეღანებდეს. ა. შანიძეს აღნიშნული

¹ მათი დიდი ნაწილი აღნუსხული აქვს ი. იმნაიშვილს (ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971, გვ. 6-8.

აქვს, რომ **შ** და **ჟ** გრაფემების ნაცვლად დიფთონგთა ორნიშნა ედ და ჯი-თ გამოხატვა დამახასიათებელი იყო იერუსალიმური სკოლის მწიგნობართათვის.¹ ამიტომ, რომ **ჟი** დაწერილობა გვხვდება X საუკუნის ჭილ-ეგრატის იადგარის შემცველ ხელნაწერში (H-2123). ა. მარტიროსოვის ცნობით, „**ნიშნის ხმარება ჟი ჯგუფის აღსანიშნავად ჩვენი ძველისათვის დამახასიათებელი არ არის. ასეთ შემთხვევაში დიფთონგის შემადგენელი ორი ბგერა სისტემებზე წარმოდგენილია შესატყვისი ოუი (=ჟი - კ.დ.) ნიშნებით**“.² მშუილობა 15v, გვირგვინი 5r, ჯაჟუთა 281r, დამკუიდრეთ 54v, შეგუიწყალენ 70v, მოგუიყვანეს 76r და სხვ.

ჟი დაწერილობა 864 წლის სინურ მრავალთავში, ი. იზნაიშვილის ცნობით,³ მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთში (გვ. 123-132; 145-151) მოიპოვება: ვიკუი 125,21, ლელი 151,4, მოწყუიდნეს 125,31, სიგუის-გებაა 147,28 და სხვ. ეს ფაქტი ამჟღავნებს, რომ ჟი დაწერილობა რომელიღაც გადამწერისათვის იყო „ნორმა“ (სულ 8-მდე ხელი გაირჩევა ამ ხელნაწერში). ჟი დაწერილობა უცნობი არაა X საუკუნის უდაბნოს მრავალთავისათვის (A-1109): მღუიმი 1r, მარტიურიასა 18v, მშუილობით 18r და სხვ.

ჟი დიფთონგის მოშლა ადრე უნდა დაწყებულიყო, რადგან **ჟ** (ჟი) და **ჟ** გრაფემათა ურთიერთშენაცვლების მაგალითები VII-X საუკუნეთა ტექსტებში მოიპოვება: **ჟ**-ს (**ჟ**-ს) ენაცვლება **ჟ**: მართვე (91r, შატ. კრებ., X ს.), მღვა (ფსალ., 89C, X ს.); **ჟ**-ს ენაცვლება **ჟ** (=ჟი-ს): მშუა (ხანმ. იერ., 39,1-2b), მოსულაა (33,14, სინ. მრ.)... /ჟ/ჟ/ ფონემათა ოპოზიცია ძველი და საშუალი ქართულის მიჯნაზე მოიშალა. ამ დროისათვის გვაქვს არა ორი ფონემა, არამედ ერთი ფონემის ორი ალოფონი (ფაკულტატური ვარიანტი)⁴ ოუი (=ჟი) დიფთონგის მოშლას მოჰყვა **ჟ** გრაფემის ბგერითი მნიშვნელობის დაბნელება – გაბუნდოვნება და არადანიშნულებისებერ ხმარება. აღენიშნავთ რამდენიმე ტიპურ შემთხვევას.

1. ჟ გრაფემა ნახმარია უმარცვლო უ-ს ნაცვლად. რადგან ძველ ქართულში მარცვლიანი და უმარცვლო უ გრაფიკულად ერთნაირად გამოიხატებოდა, ორი ასოს (ო და უ-ს) კომბინაციით, ამიტომ შეიძლება წესიდან გადახვევად მივიჩნიოთ უმარცვლო უ-ს ცალფა უ ნიშნით გადმოცემა, თორემ შეიძლებოდა გეფიქრა, რომ, როგორც ბერძნული **υ** გადმოსცემდა პალატალურ უ-ს (გერმანული **ჟ**-ს მსგავს ბგერას), ასევე მის ეკვივალენტ ქართულ უ-საც შეეძლო გამოეხატა ვიწრო, უმარცვლო უ. შესაძლოა ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ა. შანიძეს, როცა უ-ს ორი ფუნქციის მქონე ასოდ

¹ ა. შანიძე. ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 19.

² არ. მარტიროსოვი, ტექსტის გამოცემისათვის: ჭილ-ეგრატის იადგარი, გამოსცეს და გამოკლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა, ა. შანიძის რედაქციით. თბ., 1977, გვ. 236.

³ ი. იზნაიშვილი, სინური მრავალთავი..., 1975, გვ. 34.

⁴ შ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 293.

თელიდა: უმარცელო უ-ს და ჟი დიფთონგისა.¹ არნ. ჩიქობაეაყ არ გამორიყს-აეღა იმის შესაძლებლობას, რომ ისტორიულად რომელსაჲე კილიჲა ჯაეთი და უ-ბრჯაუთი გადმოყეჲული ბგერები შესაძლოა იმდენად ემსგავსებოდნენ ურთიერთს, რომ შეუძლებელი არ იყო ამ ბგერათა ნიშნების შენაცყლება და ამ ნიადაგზე ჩაყყარა საჲუბეელი უ-ბრჯაუს ჯაე ასოთი აღნიშვნას.² უ რომ ზოგჯერ ჟ-ს ცყლის და არა მარცელიან უ-ს (ეს უიშვიათყსია), ეს ჲემოთ მოყყანილი ვარაუდის სასარგებლოდ ლაჲარაკობს. მიუხედავად ამისა, მანისყ უფრო ისაა საჲიქრებელი, რომ უ-სა და ჟ-ს ურთიერთშენაცყლება წერამი ორთოგრაჲიული მოყლებნაა და არა ფონეტიკური: მწყერალმა თუ გადამწყრმა იყის, რომ ჟ-სა და უ-ს დაწყერილობა ორგანულადაა ერთმანეთთან დაკაეშირებული (ჟ-ს დაწყერილობაში ერთ-ერთ კომპონენტად უ შემოდის), ამიტომ შესაძლებლად თელის ერთის მაგყერ მეორე ნიშანი იხმაროს ანუ ორნიშნა ჟ გადმოსყეს ერთი უ ნიშნით. ეს რომ ასეა, იქიდანაყ ჩანს, რომ სხვა შემთხვევაში ჟ და უ-ს შეიძლება გადმოიყეს მხოლოდ I კომპონენტით, ო ნიშნით, ასე რომ ორნიშნა მარცელიანი თუ უმარცელო ოჲ-ს ცაღნიშნა ო და ჲ გრაჲეჲებით შენაცყლება გარკყეულ ორთოგრაჲიულ მანერად შეიძლებოდა ქეეულიყო ამა თუ იმ სამწყერლობო ცენტრში მოღყაწე ნებისმიერი მწიგნობრისათვის. ამიტომაა, რომ ორნიშნა ჟ-ს გამოსატყვა ცაღჲა უ-თი ძეელ ქართულ წერამი საერთოდ მიღებულ მოყლებნად კი არ გეეეღინება, არამედ გარკყეულ სამწყერლობო ცენტრებში შექმნილ კონკრეტული ხელნაწყრების ინდივიდუალურ ნიშნად. თანაყ, უ და უ გრაჲეჲათა შენაცყლება მით უფრო ხშირია, რაყ უფრო მოგვიანო ხანისაა ხელნაწყრი. სწორედ ამ მოყლების ქრონოლოგიური სიახლე, გვიანდელიბა იმაზე მეტყეელებს, რომ საქმე გვაქეს არა ძეელი ფონეტიკური ვითარების გამოხატულებასთან, არამედ გვიანდელ უმართებულ ორთოგრაჲიასთან. ამიტომაა, რომ V-VIII საუკუნეთა ხანმეგ-ჲაემეტი გექსტებისათვის ჟ-ს გადმოყემა უ-თი დამახასიათებელი არაა. საყურადღებოა ამ მხრივ ა. მანიძის შენიშვნა, რომ „ხანმეგ მრავალთაეში“ უ არყ ერთხელ არ იხმარება უ-ბრჯაუს გადმოსაყემად, როგორყ ეს ზოგყერთ IX-X საუკუნეთა ხელნაწყრშია.³ მართლაყ, IX-X და მომდენო საუკუნეებში ჟ-ს არასისტემებრ ცყლის უ ნიშანი: აღმის ოთხთაეში (897 წ.): მიხუელ, ი. 16,30; მიხუალ, ი. 14,5; მორათუეს ი. 2,8; მართუენი, ლ. 2,24; მოძყარ, მრ. 9,38..., სინურ მრავალთაეში (864 წ.): გურწამს 176,8; ვიგყყი 143,31; თირკყმელთა 170,8; თუაღნი 150,5; სხუანიცა 169,23; მოხუელ 176,5; კიყყი 143,11; ცყარი 129,9...⁴ უღაბნოს მრავალთაეში (X

¹ ა. მანიძე, თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყეეებები... თსუ-ს მრ., ტ. XVIII, 1941, გე. 31; მღრ. მისიეე, ძეელი ქართული ენის გრამატიკა. თბ., 1976, გე. 18; მისიეე, ქართული გრამატიკის საჲუბელები. I, 1953, გე. 18.

² არნ. ჩიქობაეაყენის რეჲელექტები ჲერეიდნულში: „ჲყენი შეყსიერება“. № 2-3, 1923, გე. 75.

³ ა. მანიძე, ხანმეტი მრავალთაეი: თსუ-ს მოამბე, ტ. VII, 1927, გე. III.

⁴ ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთაეი... გე. 33

ს.): მაქს 45r; აღიხუნეს 27r, მომაკუნებელი 7v, გუჩენა 51v, იწყის 64v, დაარლიეს 25v, სვანურ მრავალთავში (A-19, X ს.): თუსა 31,1; ილუწიდა 434,15; მრგულიად 432,8...¹, კილ-ეგრაგის იადგარში (X ს.): სიკული 19r, მიქუმა 6v, ვარსკულაენი 20r, საკუმეველი 40v, კლა 63r. გაქუნდა 16v, მოგუმადლე 4r. არ. მარტიროსოვის დაკვირვებით, ამ ხელნაწერის არსებითი ხასიათის თავისებურება ის არის, რომ უნიშანი ჩვეულებრივ უმარცვლო უ-ს გადმოსცემს. „მიუხედავად იმისა, რომ უ და ლუ ერთნაირი დანიშნულებით იხმარება, ისინი მაინც ერთგვარ წესს მისდევენ. ზოგადი შთაბეჭდილება ისეთია, რომ უ, როგორც უმარცვლო უ-ს გადმომცემი, ძირითადად თანხმოვნებს შორის იხმარება ან იკარგება, ხმოვნების წინ კი ჩვეულებრივ ოვ გვხვდება“.²

საპირისპირო ვითარებაა: უ გრაფემის ადგილზე ნახმარია ორნიშნა უ (ოუ). მაგალითად, უდაბნოს მრავალთავშია: ძოყრის (ძურის=ძყრის), 1v; საკოურველ 46r; უწოუმდებოდა, 69v..., ადიშის ოთხთავშია: მლოყძარე, მ. 26,38; შენთოუს, მ. 4,6; ეტყოვედ, ი. 18,3; გოურგოუნი, ი. 19,2; ღოუნოჲ, ი. 2,3; მკოუდრი, მრ. 12,20³ და სხვ. საყურადღებოა, რომ სინურ მრავალთავში მხოლოდ „ერთადერთჯერ უ-თი გადმოცემულია უ: ამით სიტყუთა (178,7), რაც შემთხვევით მოვლენად უნდა ჩაითვალოს“. ასეთი ფაქტები ერთხელ კიდევ ცხადყოფენ, რომ უ და უ-ს ურთიერთმენაცვლება ორთოგრაფიული მოვლენაა და არა ფონეტიკური.

2. უ გრაფემა ნახმარია მარკელიანი უ-ს ნაყოლადად. ეს შედარებით იშვიათი მოვლენაა, მაგრამ სავსებით მოსალოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ წერაში მარკელიანი და უმარცვლო უ ერთნაირად (ოუ-თი) გამოიხატებოდა და, ამდენად, უ შეიძლებოდა შენაცვლებოდა არა მარტო უ-ს, არამედ უ-საც: დათრგუნა (171,1, სინ. მრ.); პარხლის მრავალთავში (A95, X ს.) დასტურდება იშვიათი ფორმები: ნუყა (ნუყა) 3,19, თუ (თუ) 904,4, იესუჲსა 920,2.⁴ მსგავსი ფორმები აქა-იქ სამუხალო ქართულის ძეგლებშიც მოიპოვება: საკუთრად, მეჭურჭლეთუხუცესი.⁵

3. უ გრაფემა ნახმარია თანხმოვან უ-ს ადგილზე. ესეც შედარებით იშვიათი მოვლენაა, მაგრამ დადასტურებულია უძველეს ეპიგრაფიკულ და ხელნაწერ ტექსტებში: თაყყანის ხუცს (ბოლნ. წარწ., V ს.),⁶ შეწყენითა (უკანგ. წარწ., VI ს.),⁷ ხმორაყს (ხანმ. ლექს., ლ., 24,13),¹ წარაყლინნეს (იქვე,

¹ მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960, გვ. 30-31.

² არ. მარტიროსოვი, კილ-ეგრაგის იადგარის ორთოგრაფია და ფონეტიკა: კილ-ეგრაგის იადგარი, გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ. ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1977, გვ. 237-338.

³ მ. ძიძიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30-31.

⁴ მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში... გვ. 35.

⁵ ი. ქეთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964, გვ. 76.

⁶ ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია, თბ., 1935.

⁷ ლ. მუსხელიშვილი, უკანგორის ისტორიული ნაშთები: ენიშკის მოამბე, გ. XI, 1941.

მ., 24,3), ხხედავ.² ამ ტიპის ფორმად ასახელებენ პაულე სიტყვას (ხანმ. ლექს. 062,46).³ მაგრამ აქ საპირისპირო ვითარებაა: ყ აქ გადმოსცემს ბერძნულ ს-ს (Πάσλος), შემდგომ ამ ჟ-ს რედუქციითაა მიღებული ვ: პაულე→პაელე, შდრ. კლავდიოს (სინ. მრ., 61,10). რით აიხსნება ყ-ს ხმარება ვ-ს ნაცულად? თუ გავითვალისწინებთ, რომ ყ ხშირად ნახმარია უმარცვლო უ-ს ადგილზე, ხოლო უმარცვლო უ და ვ თანხმოვნის პოზიცია ზოგ დიალექტში ადრევე სუსტი უნდა ყოფილიყო, მაშინ ვასაგები იქნება. რომ ყ გრაფემას ვ-ს გადმოცემაჲ შეიძლებოდა დაქისრებოდა.

4. ყ გრაფემა ნახმარია ვ-ს ნაცულად. ეს უიშვიათესი შემთხვევაა: შულთა (ხანმ. ტ.),⁴ ადიშის ოთხთავშიცაა შულ (ლ., 16,25). „შულთა“ ფორმა ნახმარია დაეით აღმამუნებლის მიერ შიომღვიმისადმი ბოძებულ საბუთში. აქედან ჩანს, რომ ისტორიული გრადიციისადმი უკრიტიკო მიბაძვა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა.

4. მ ასოს ბგერითი მნიშვნელობისა იშვის

ა (იე ანუ იოტა) გრაფემას ძველ ქართულში ანბანში მე-15 ადგილი უკავია ნ-სა და ო-ს შორის. მისი რიცხვითი მნიშვნელობა 60 იყო. ამ ასოს შექმნა არ იყო აუცილებელი ფონოლოგიურ პრინციპზე აგებული ანბანისათვის (გრაფემა უნდა გამოხატავდეს ფონემას და არა ალოფონს). მაგრამ ჩანს, აქაც ბერძნული ანბანის გავლენასთან გვაქვს საქმე: ბერძნულში ნ-ს მოსდევს სპეციფიკური გრაფემა ξ (ქს-ი), ქართულ ანბანში კი ამ ქს-ის ადგილზე ა (იოტა) არის დასმული. ამით ქართულ ანბანში 23-ე ასომდე დაცულია ბერძნული ანბანის რიგი და, რაც მთავარია, რიცხვითი მნიშვნელობაც: ერთნაირი გამოთქმის ანუ მნიშვნელობის ასოები ბერძნულსა და ქართულ ანბანებში ერთ და იმავე რიცხვს აღნიშნავენ.

ა გრაფემის ფუნქცია იყო, გამოეხატა (ი) ფონემის პოზიციური ვარიანტი, მისი დასუსტებული, უმარცვლო სახეობა. ა რეალიზდებოდა გარკვეულ პოზიციაში: ხმოვნის მომდევნოდ (დედა-ა), ხმოვანსა და თანხმოვანს შორის (ეზო-ა-თ) და იშვიათად ხმოვნებს შორის (ბაააა). თუ განეზოგადებთ, ა შეიძლება რეალიზდებოდეს მხოლოდ მაშინ, თუ ის ხმოვანს მოსდევს, მაგრამ არის მეორე პირობაც: დასახელებულ პოზიციაში ი-ს დასუსტება ა-დ, როგორც წესი, მხოლოდ სახელურ ფორმებში ხდება და ისიც ეხება არა ფუძის შიგნითა, არამედ ფუძეზე დართულ მორფოლოგიურ ფორმანტს. ამიტომ ხმოვანზე დაბოლოებული ნებისმიერი საზოგადო სახელის ფუძე, ვთქვათ,

¹ ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპირი რეპროდუქცია. გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ. თბ., 1944.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია. თბ., 1949. გვ. 328

³ მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში... გვ. 29.; მ. სარჯველაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი... გვ.292.

⁴ ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია გვ.329.

სახელობითი დიფთონგურ (აჲ, ეჲ, ოჲ, უჲ) დაბოლოებას მიიღებს (ძჲამჲ, კლდჲჲ, წყაროჲ, ცრუჲ). მაგრამ მსგავსი ბევრათმომდევრობისას ი არ გადადის ა-ში, თუ ეს ი ფუძისეულია ან ზმნის მორფოლოგიური კატეგორიის (ქცევის, ვნებითობის) გამომხატველი ფორმანგია: მაგ., საიდუმლო, საინაჲჲ, მოიგო, შეიწყნარა, დაიწერა (გამონაკლისები, „შემწყნარა“, „საიდუმლო“ ტიპისა მდღარი დაწერილობაა, ანალოგიით გაჩენილი). ჩანს, მორფოლოგიურმა დაწოლამ ზმნებში შეაკავა დიფთონგიზაციის პროცესი, თანაც, გრამატიკული ფუნქციით დატვირთული ო მით უფრო სტაბილურია, რაც უფრო შორსაა ბოლოკიდური მარცელისაგან. ე.ი. ი→ა პროცესისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო ი-ს ხმოვნის მომდევნო პოზიციას, არამედ სიკყვის მთლიან სტრუქტურაში მის ბოლოკიდურობას, უმახვილობას.

აღსანიშნავია, რომ ძველ ლექსიკოგრაფებს (სულხან-საბა ორბელიანს, ნ. ჩუბინაშვილს...) შემჩნეული ქქონდათ ა-ს ბგერითი მნიშვნელობა და, ასე ვთქვათ, დისტრიბუციაც. მაგალითად, საბამ იყოდა, რომ ა სიკყვის თავში შეუძლებელი იყო და უფრო ბოლოს ერთვოდა: „ა ესე ბოლოდ მრავალათუს მოვალს და თავად არა დაა“.¹ ნ. ჩუბინაშვილს კი თითქმის ამომწურავად აქვს დახასიათებული ა: „ასო ესე არასადა იხმარების თავად ლექსთა“ (ე.ი. სიკყვათა დასაწყისში, თავში არასდროს იხმარებაო – კ.დ.), გარნა უმეყარნი ზოგჯერმე ასწერენ უკანონოდ: ანდო, აროელი, ნაცულად ინდო, იროელი ანუ პინდო, პიროელი და სხვ.

ხოლო იხმარების ბოლოდ სახელთა და ნაცვალსახელთა, დაბოლოებულთა ხმოვანთა ზედა ასოთა, კიდევან ო და უ. მაგალითად, არსებამ, ვინამ, რამ, მზემ, ოქრომ, კუმ, რუმ. ამგეყარად, დართეამ ასომსა ა ბოლოდ სახელთა იხმარების უფრორე შემასმენლობითსა შინა ბრუნვასა და იგიცა მამინ, რაჲამს სახელი იგი არს დასასრულსა სიკყვასა (ე.ი. წინადადების, პაუზის ბოლოსო! – კ.დ.). მაგ., არა აქვს სიკყვამ, ბრუნეამ. ხოლო თავსა ითქმის: სიკყვა არა აქვს, ბრუნეა არა აქვს. უხამს იქმნების ესრეთ: ბრუნეამ არა აქვს და სხვ.

სახელთა დაბოლოებულთა უ-ზედა, მდაბიურად დაერთვის ვი, ნაცულად ა, ვითარ: კუვი, რუვი, ბუვი, ბლუვი, გლუვი, ტლუვი, ქსუვი, ცრუვი და სხვ.

ზოგჯერ ა იხმარების შერთულად წინამავალისა ხმოვანისა, ანუ მოკლედ, ვითა რუსული მ. ესრეთ რომელ არა შეადგენს მარცვალსა. იხილე ვეფხისგყაონის ლექსნი 340: ვამე მას აქეთ სახმილსა დავუწვავ ნიადაგულსა, და 342: თქვა: ჩემგან მისი ხსენება, ვამე რა დიდი მარია: კუალად 522, 1284 და სხვ. ხოლო ვიეთნიმე გამოსთქმენ ვამე, არამედ უმჯობეს არს დაესმოდეს ნიშანი მოკლისა -“² მართლაც, უმნიშვნელო უმუსტობას თუ არ

¹ ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, IV (ილ. აბულაძის გამოცემა), თბ., 1965. გვ. 601.

² ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი. აღ. ღლონგის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 321.

მივიღებთ მხედველობაში, **ა-ს** მშენიერი ლინგვისტური დახასიათებაა წარმოდგენილი.

როგორც აღვნიშნეთ, **ი>ე** ცვლას ორი ვარემოება აპირობებდა: სახელთა ფორმაწარმოებაში ხმოვნის მომღვეწო პოზიცია და სიგყვის ბოლოკიდურ უმახვილო მარცვლად რეალიზება. ი. ქავთარაძის აზრით, „ისთვის დამახასიათებელი ვოკალურობის თვისებებს მოკლებული ბგერის გამოსახატაად **ა-ს** ხმარება ქართულში, როგორც ჩანს, უფრო ღია პოზიციაში დამკვიდრდა, მაგრამ იგივე დიფთონგი სიგყვის ფუძეში („დახურულ პოზიციაში“) სრული **ე** ხმოვნით არის გამოსატული ძველ ქართულში“¹. მთლად ასე არაა. ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის -ის და-ის ფორმანტა ი „დახარული პოზიციის“ მიუხედავად დაუბრკოლებლად იცვლება **ა-დ** ფუძეუკვეყელ სახელებთან (წყარო-**ა**ს, წყარო-**ა**თ). ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ **ა** ძველ ქართულში დიფთონგის II კომპონენტად გველინება: **აა** (დედა**ა**), **ოა** (ემო**ა**), **ეა** (კლდე**ა**), **უა** (ბუბ**ა**). იმ დაწერილობა კი უიშვიათესია და მდარბი: ეკლესი**ა**სათა (საქ. მოც., 20, 17D), მი**ა**ლო, მი**ა**თუ**ა**ლ**ა**.² ამდენად, შესაძლებელია **ა-ს** დისტრიბუციის დადგენა. **ა** რეალიზება შემდეგ შემთხვევებში:

1. ფუძებოლოხმოვნთან სამოგადო სახელთა მხ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმაში: მონ**ა-ა**, მწ**ე-ე**, ოქ**რო-ა**, ყრ**უ-ა**.

2. ო და უ-ზე ფუძედაბოლოებულ უკვეყელ სამოგადო სახელთა მხ. რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში: ოქ**რო-ა**ს, ოქ**რო-ა**თ, ე**მო-ა**ს, ე**მო-ა**თ.

3. ფუძებოლოხმოვნთან საკუთარ (პირის!) სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში (გარდა უცხო წარმომავლობის ი-ზე დაბოლოებული „გიორგი“, „აკაკი“ ტიპის სახელებისა): ლუ**კა-ა**ს, ლუ**კა-ა**თ (ურთ), აბ**ო-ა**ს, აბ**ო-ა**თ(ურთ), პერ**ოდე-ა**ს, პერ**ოდე-ა**თ(ურთ), იეს**უ-ა**ს, იეს**უ-ა**თ(ურთ). რაც შეეხება „გიორგი“ ტიპის სახელებს, **ა** არასოდეს არაა რეალიზებული, გვაქვს გიორგი-ს და არა მოსალოდნელი გიორგი-**ა**ს.

4. პოსტპოზიციური მართული მსაზღვრელის სახელობითი, აგრეთვე ნათ. და მოქ. ბრუნვის ფორმებში: ბე**ა** კაცის**ა-ა**, ბის**ა** კაცის**ა-ა**ს**ა**, ბით**ა** კაცის**ა-ა**თ**ა**; კმა**ა** დადადების**ა-ა**, კმის**ა** დადადების**ა-ა**ს**ა**, კმით**ა** დადადების**ა-ა**თ**ა**.

5. მესართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებში დეკლინაციური -**ა**ს ელემენტის შემადგენლობაში: უდიდე**ა**ს (უ-დიდე-**ე-ა**ს/უდიდე**ს**), უმაღლე**ა**ს (უ-მაღლე-**ე-ა**ს/უმაღლე**ს**).

6. მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისგან მომდინარე გმნიშვლებში (იშვიათად): ესრე**ა**თ (←*ესე-რე-**ა**თ), ეგრე**ა**თ (←*ევე-რე-**ა**თ). აქაც, როგორც უფროობითი ხარისხის ფორმებთან, **ე** მიმღვეწობას ხშირად ი ცვლიდა

¹ ი. ქავთარაძე. ქართული ენის ისტორიისათვის. თბ., 1964, გვ. 61

² ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი.... გვ. 15.

(ესრტო, ეგრტო).¹ მ ასეთივე წარმოშობის სხვა მზნიშებლებშიც იხმარება: წინამთ (წინა-მთ), უკუანამთ (უკუანა-მთ), აგრეთვე გენეტურად ნათ. ბრუნვის ფორმისგან ნაწარმოებ ამავე მზნიშებლებში: წინამს (წინა-მს) → წინამსწარ (წინასწარ), უკუანამს (უკუანა-მს) → უკუანამსკენელ და სხვ.

მ-ის წერამი რყევა ადრე შეინიშნება, რაც შედეგია მ-ის შემცველ დამავალ დიფთონგთა გამარტივების, მონოფთონგიზაციის პროცესის ადრე დაწყების. მ. სარჯველაძის დაკვირვებით, მ-ის წერამი კლება იშვიათად, მაგრამ მიანიც დასტურდება უძველეს წერილობით ტექსტებში: ხუფროს (←ხუფროს) (19,1; 24,7, ხან. მრ.), გუდასმან (←გუდასმან) (წყის. წარწ. VII ს.) მიანიშნებს იმაზე, რომ VI-VIII საუკუნეებში დაწყებულია (მ)-ის შემცველ დიფთონგთა მოშლა.²

მაგრამ ლიტერატურულ-წერილობითი ტრადიციის იმდენად ძლიერ მოქმედი ფაქტორია, რომ მ-მ კარგა ხანს შეინარჩუნა წერაში თავისი პოზიციები. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ 864 წლის დიდგანიან „სინური მრავალთაფში“ მ-ს „არ ეტყობა რყევა. არ გეხვდება მისი უწესოდ ხმარების შემთხვევები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ მავალითს. სადაც ის უმარცელო უ-ს მოსდევს: მშუმლობამ (173,17). მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი უჩვეულო ფორმა მიღებულია გადაგანისას: მშუ/მლობამ, და შეიძლება ამ გარემოებას მიეწეროს იგი“. – წერს ი. იმნაიშვილი.³ ზოგადი სურათი ასეთია, მაგრამ მ-ის კლება ამ ხელნაწერშიცაა: უფროს (93,4), მმამ იესუსი (57,6), სიხარული დედისა (28,4) და სხვ.

უნდა ვიფიქროთ, რომ მ გრაფემით აღნიშნული უმარცელო ი ძველი ქართულის კილოებში ერთნაირად არ იყო ცვლილი: ზოგში პოზიციის მყარი პქონდა, ზოგში – სუსტი და გაქრობამდე იყო მისული: ადრეულ (VII ს.) ძეგლებში იშვიათად დადასტურებული იოტაკლება შეიძლება გამოხატავდეს მ-ის სუსტ პოზიციას გარკვეულ კილოში და არა საერთოდ მიიღეს ქართულ მეტყველებაში. თორემ მისი წერაში სავალდებულო წესისამებრ ხმარება XI საუკუნის ბოლომდე მოიშლებოდა. ნამდვილად კი მ მე-12 საუკუნემდე არსებითად ძველი კლასიკური ნორმების დაცვითაა რეალიზებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ ფუნქციამერყეული მ გრაფემა ყოველთვის წესისებრ იხმარებოდა. ეს შეუძლებელი იყო. აღვნიშნაეთ მ-ის არადანიშნულებისებრ ხმარების შემთხვევებს.

1. მ ზედმეტად (უჯუქეცილოდ) არის ნახმარი. ანალოგიით ხმოვნის მომდევნო პოზიციამი არის დაწერილი მ, მაგრამ არ წაიკითხება, არ გამოითქმის, ე.ი. გვაქვს მცდარი იოტამეტობა. ხშირია მ-ის ზედმეტად

¹ ემ დაწერილობა მ-ს ნაცვლად ძალზე დამახასიათებელია ზოგი სელნაწერისათვის. მაგ. ვილ-ეტრატის იადგარისათვის: ვილ-ეტრატის იადგარი. გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. მანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა, ა. მანიძის რედაქციით, თბ., 1977, გვ. 229-236.

² მ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 283.

³ ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთაფი..., გვ.15.

დართვა არა ნაწილაკე, მაგ., „კილ-ეტრაგის იადგარში“: არაა შეიძლება 82,83v, არაა შეშინდა 40v; არაა. მიკმს მე 39v; აგრეთვე: არაა ვიცი (259r. ლაგ., 6), კრქუა მას მართა (51,3, სვან. მრ.), მ-ის ზედმეტობა თვალმისაყვინია მზნათა წყვეტილის S₁ პირის ა დაბოლოებიან ფორმებში: კესმაა (ლ., 7,22D), თანა-გუედება (ლ., 17,20D), ამხილა (17r. A-88) და სხვ. ასეთი ფორმები, ცხადია, საშუალო ქართულის ძეგლებშიცაა რეალიზებული: უბოძა, გარდაიცვალა, დაიწერა, განელა და სხვ.¹

2. მ არადანიშნულებისამებრ არის ნახმარი. ასეთ შემთხვევაში მ სხვადასხვა ბგერად წაიკითხება და მედარად მის ხმარებას სხვადასხვა გარემოება განაპირობებს.

ა) დაწერილია მ. წაიკითხება ი-დ. აქ მ დამავალ დიფთონგთა დაწერილობის ანალოგიითა ნახმარი ი-ს ადგილზე, რასაც ადგილი აქვს სახელებთან თავიკიდურა სა მაწარმოებლის და მშინებთან ა, და, შე, მო, წა მზნისწინთა მომდევნო პოზიციასში. ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის: სადღუმლო (3v, Sin-26), ამძულეს (ლ., 24,29C), ააღეთ (მ., 11,29C), დამევე (საპაკ. წარწ.), შედარებით ხშირია შე- მზნისწინთან მ-ის ხმარების შემთხვევები Sin-20 ხელნაწერში: შემომსენ 32r, შემარაცხე 26v, შემწყნარეს 33v. შემეცვა 82r...; სხვა მაგალითები: მოამყო (4,27C მ., სწ.), მოათხოვა (199,12, კიმ., I) და სხვ. საშუალო ქართულში იშვიათია ასეთი ფორმები: მომწია, გარდაიცვალნეს, დამაყრა, დამდეა...²

იშვიათად წარმოუდგენელ, დაუშვებელ პოზიციასში მ რეალიზებული თანხმონის გვერდით, მის წინ, ან მომდევნოდ. ასეთი იშვიათი ფორმები წარწერებსა და ხელნაწერებში შენიშნული აქვს მ. სარჯველაძეს: მიიტი, მხარებდ, მყო, მფქლი, სოფლმსა, მსწაე, ჩემ³ და სხვ.

ბ) დაწერილია მ. წაიკითხება ა-დ. ეს გვიანდელ (XV საუკუნის აქეთა) ძეგლებში, განსაკუთრებით ე.წ. „მცხეთის საბუთებში“ (A-1085) დასტურდება და ამ ორ ასოთა გრაფიკული მსგავსებით გამოწვეული აღრევის შედეგია: წმიდმსა სამებასა, ბატონი მანუჩარ, სარწმუნოებამედ...⁴

გ) დაწერილია მ. წაიკითხება კ-დ. ასეთი უჩვეულო და უცნაური შემთხვევა უიშვიათესია და რეალიზებულია XVIII საუკუნისა და მის აქეთა წერილობით ძეგლებში: დრამკანი (=დრამკანი), სხვაგან მ წაიკითხება კ-დ: მნდოეთს (=კინდოეთს) (ეფეს. ხელნაწ.), მნდი [ბესიკთან]=კინდი. ამ ფაქტზე ი. ქავთარაძე წერს: „უქვევლია, რომ მ-ს არტიკულაციით მიღებულ შთაბეჭდილებას შუა ადგილი უნდა სჭეროდა კ/-ის შორის: მ გარდამავალი პალატალიზებული ბგერის გამოხატველია, იგი კ-ზე სუსტია და ი-ც, რა თქმა უნდა, არაა. მაშინდელი მისი ბგერითი სახის წარმოდგენისთვის ჩვენ საესებით შესაძლებლად მიგვაჩნია ქართლურ-კახური დამძღვმს/დამღვმს

¹ ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964, გვ. 66.

² ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964, გვ. 61.

³ მ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 290.

⁴ ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

„დასდევს“) გამოთქმა, რომელშიც ზ. resp. ს. ბგერათა რედუქცია აღინიშნება ა-თი.მეტად საგულისხმოა, რომ ფერიდნულში ა ბგერა ქ-ს ელფერით გვხვდება პრეფიქსებში, მისი ანალოგიაა კახურ-ქიზიყური სათანადო ბგერა: წაარეკდეს („წაარეკდეს“). უეჭველია, რომ ა აქ ყრუ ფშვინიერი ბგერაა. ფერიდნულს დაუკავს ის ვითარება, რომელიც XVII-XVIII სს. წერილობით ძეგლებშია წარმოდგენილი¹. შეიძლება ეს ასე იყოს, მაგრამ, ვფიქრობთ, არ გამოირიყება ასეთი შემთხვევის ორთოგრაფიულ ფაქტად მიჩნევა: ჰ არ იყო სტაბილური ზემოთდასახელებულ და საერთოდ ნასესხებ სიტყვებში (მდრ. პამბაევი, ჰასაკი, ჰურია→ამბაევი, ასაკი, ურია...), საშუალ ქართულში ის არც გამოითქმოდა: ჰინდო→ინდო. ხოლო ინდო ფორმაში ე-ს წერაში შეიძლება ბოდა ა შენაცვლებოდა, როგორც ეს ზემოდასახელებულ აყო ტიპის ფორმებიდან ჩანს.

3. მოსალოდნელი ა-ის ადგილას იწერება ი. ასეთი დაწერილობა წარმოდგენილია IX საუკუნისა და მის აქეთა ხანის ტექსტებში: ერბოი, ებოი (5r, ლაგ. ლ., X ს.) გემოი, ყრუი (148r, 138v, A-28, X ს.), იონას მიმართ (166r ლაგ. ლ.), ისტორიულ დოკუმენტებში: ბრძანებაი (ნიკოლოზ კათ.-ის სიგ, XIII ს.), სოფლისაი, ცხორებაი, სასოებაი, რაისაცა (შოომდ. სიგ, XIII ს.); საერო მწერლობის ძეგლებში ხმოვანფუძიანი სახელის სახ. ბრუნვაში ი დასტურდება შემდეგ მაგალითებში: დაი, ძიძაი, სიტყვაი, დედაი, ყველაი, სხვაი, რუი, ცრუი.² მოსალოდნელი ა-ის ადგილზე ი-ს შემლუღულად ხმარება იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ დამაეალ დიფთონგთა II კომპონენტი სრულ ი-დ უნდა ქცეულიყო გარკვეულ კილოებში. ამ მოვლენამ სამწერლობო ენაში შემდგომი განვითარება ვერ პოვა, მაგრამ შემოინახა თავი ზოგ დიალექტში (იმერულში, გურულ-აჭარულში...). ისიც გასათვალისწინებელია, რომ ა ნიშანი თავიდან მხედრულ წერას არ ჰქონდა და XIII-XV საუკუნეთა მხედრულად ნაწერ ტექსტებში ი არის ხშირად გამოყენებული ა-ის ადგილას.

5. კ ასოს ბგერითი მნიშვნელობისათვის

ძველ ქართულ ენას უკანაენისმიერ ხ სპირანტთან ერთად ჰქონდა ხახისმიერი (ფარინგალური) ყრუ ფშვინიერი ხშული თანხმოვანი, რომელსაც მოეპოვებოდა თავისი გრაფიკული ჰ (ჟ) ნიშანი. ძველ მრგლოვან ანბანში კ-ს (კარ-ს) 34-ე ადგილი ეკავა ხ (ხანის) შემდეგ და რიცხობრივ 7000-ს აღნიშნავდა. ხ და კ ასოებით გამოხატულ ფონემათა არტიკულაცია ძველად მკვეთრად იყო განსხვავებული, რის გამოც მათ აღმნიშვნელ გრაფემათა აღრევას წერაში ადგილი არ ჰქონდა. კ ძველად, ალბათ, ისე გამოითქმოდა, როგორც გამოითქმის დღეს ამ ბგერის შემყველ სიტყვებში ხევსურულში,

¹ ი. ქეთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

² არ. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VI, 1954, გვ. 91.

მოხევეურში, თუშურში, მთიულურში, ინგილოურსა თუ ფერეიდნულში. კ ისეთივე ძირითადი და მკვიდრი ფონემა იყო ძველ ქართულში, როგორც ვთქვით, ბ, გ, დ და სხვ. ამიგომაც ჰირს მისი დისტრიბუციის დადგენა. ერთი კია: კ-ს გრამატიკული მნიშვნელობის გამოსახვა არ აქონდა დაკისრებული, ის მხოლოდ სიტყვათა ძირულ მორფემათა შემაღვეწლობაში შედიოდა. ძველ ქართულ ტექსტებიდან ცნობილია, თუ რომელ ძირებში რეალიზდებოდა კ და რომელში – ხ. ძნელია, რა თქმა უნდა, სრულად აღინუსხოს კ-ს შემცველი ძირები, მაგრამ შეიძლება დასახულდეს ხშირად ხმარებული სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ: ა) ცოცხალ არსებათა ორგანოებს, მათ მოქმედებას: მუკლი, მკარი, ფერკი, კელი, კორკი, კაკამ, კორცი, საკსარი. კამა, კუნეშამა, კუბამა („კიხინი“), კუკუნი...; ბ) ცხოველებსა და ფრინველებს: მკეცი, კარი, კომა, თაკუ, საკედარი, კლალი („კაკი“), კოკობი, მწყერმარკილი...; გ) იარაღსა და სამოსელ-ჩასაცმელს: ჩოკამ, კამლი, თოკი, კრმალი, საკნისი, საკივი („ბორკილი“); დ) მოქმედება-მდგომარეობას (მშენებს): კამ (კამს, უკამს), კად (იკადა, ვანკადა, ვანკადა, გარდაკადა...), კან (კნვა, კნავს), კმარება, მკურვალება, მოთოკნა, კაკვა („კაწრვა“), კსენება, კსოენა, კსნა, კშვა, კშირება, კუშილევა („დარაჯობა“), კურვება, კუშევა („ხმარება“), კოცა, კუთვა („თხოვება“), კედნა („წვრთნა“), კმობა („შრობა“), კურვტა...; ე) სხვადასხვა საგანსა თუ თვისებას: მკევალი, მკეე „კჰალარა“, (მსცოვანი), ვენაკი, მკნე, ოკერი, კმელი, კნარცუ („თხრილი“). მერკი, საკ(უ)მილი („ლუმელი“), კალი („კუშელი“), კევი, კუეშამა („ღვეშელი“), კუვილი („თავთავი“), კერკი (მკერკება) და სხვ.

მოგი გვიანდელი ომონიმი ძველად კ და ხ ასო-ბგერებით: გაირჩეოდა:

კელი (ორგანო), ხელი („გეი“, შდრ. გა-ხელ-ებული): არა დაიბანინა კელნი (მ., 15,2), მაგრამ: სულელნი და ხელნი თქუენ ხართ (209r, მ. ცხ.).

კერკი („საქმის მცოდნეობა“ – საბა), ხერხი (იარაღი): განხერხა ხერხითა რკინისამთა (I ნეშტ., 20,3 M).

კად („მომორება“), ხად („ხმობა“, „ძახილი“): რად მოკკადე ზღუდე? (ფსალმ., 79,13), მაგრამ: მოხადე ქმარსა შენსა (ი., 4,13).

როგორც ჩანს, კ ისტორიულად გარკვეულ ძირებში იხმარებოდა და რაიმე განსაკუთრებული წესით არ იყო განსაზღვრული მისი დისტრიბუცია. მაგრამ, ვ. თოფურიას დაკვირვებით, კ და ხ ასო-ბგერათა განაწილებაში არსებობდა ერთი კერძო წესი: ს, შ, ც, ჩ, თ ბგერების წინ კ რეალიზდებოდა, ამავე ბგერების მომდევნო პოზიციაში კი – ხ.¹ მართლაც, გვაქვს. ერთის მხრივ: კსნა, კსენება, კშირი, კშვა, მკცოვანი..., მეორეს მხრივ: სხუამ, სხმამ, შხამი, ფეშხუნი (ფეშხუმი), ცხედარი, მჩხიბაყი, თხევა და სხვ. ოლონდ აღსანიშნავია, რომ ეს წესი არ მოქმედებს მორფემათა საზღვარზე და, ამდე-

¹ ვ. თოფურია. ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. III. კ და ხ სიბილანგ-აფრიკატებთან შემოზობლობაში: საქ. არქივი. წიგნი II. 1927. გვ. 174-185.

² 8. სარჯველაძე, კ და ხ გრაფემათა და /ყ/ და /ხ/ ფონემათა ურთიერთმიმართებისათვის: ორიონი (საიუბილეო კრებული), თბ., 1967. გვ. 261.

ნად, მებრუნებული წესით შეიძლება გამოვლინდეს ხ და კ გრამატიკულ და ძირეულ ან რთული სიტყვის შემადგენელ მორფემათა მიჯნაზე, შდრ. ერთის მხრივ, ხმორავს, თაყყანის-ხყეს მას... მეორეს მხრივ, ერთკელი (მრ., 9.43C), ერთკობა (ნ. მარი, იერ. ხელნაწ. აღწ., 1955, გვ. 32). აღსანიშნავია, რომ უჩვეულო სკ მიმდევრობა ძირეულ მორფემაშიც ვლინდება: სკუენი „ერლო“ (ისუ ნ., 2.6M).

ძველ ქართულში IX საუკუნიდან შეიმჩნევა ხ და კ-ს თავისუფალი მონაცვლეობა ორი სიტყვის დაწერილობაში. გულისხმა (გულისქმა, ხრწნა) კრწნა.

გულისხმა ფორმაში ზოგი მკვლევარი (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, კ. ეკელიძე, ა. ფრანგიშვილი, ი. იმნაიშვილი, ი. ქაეთარაძე...) პირველად ხ-ს თვლის, რადგან ამოსაყალ ფუძედ ამ კომპოზიციის II ნაწილისა მიაჩნიათ ხუმა (→ხმა) ანუ „მილება“, „მეგანა“, „აღქმა“ (восприятие). ასეთი აზრი პირველად საბას აქვს გამოთქმული: „გულისხმა ესე არს გონებით ახმა და გულთა შელება. ვითთა გულის-ქმად აღუწერიათ; გულსა არა აქუს ქმა(მ), არამედ ახმა და შელება, რომელ(ი) ითქმის გულის-ხმად“.¹ აღნიშნულია. რომ ამ სიტყვაში ხ-ს პირველადობაზე მეტყველებს სემანტიკური მხარე და ქრონოლოგიური სიძველე: ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებს, სინურ მრავალთავს, ოშკის ბიბლიას, შატბერდის კრებულს (S-1141, X ს.), პარხლის ოთხთავს (A-1453), ვილ-ეტრაგის იადვარს და სხვა ხელნაწერებს ხ აქეთ დაკული, მაგრამ ზოგი მკვლევარი (ს. ჯანაშია, ა. მანიძე, ვ. თოფურია...) ამ სიტყვაში უძველესად კ-ს მიიჩნეეს, რადგან კომპოზიციის II ნაწილად ქმა (κομα) სიტყვა მიაჩნიათ: კ მერმე უნდა იყოს შეუცვლილი ხ-დ სანის მომდევნო პოზიციამი (სკ→სხ): გულისქმის→გულისხმის.² სემანტიკურადაც გულის-ქმა პარალელს პოულობს არა მარტო „გულის-ყურ“ სიტყვასთან,³ არამედ ისეთ კომპოზიტებთან, როგორცაა: გულის-სიტყუა („სურვილი“), გულის-თქუმა („წაღილი“), გულის-მრახვა („აზრი“, „უიქრი“) და სხვ. ზოგ ხელნაწერს მხოლოდ ჯარიანი ფორმები ახასიათებს (ჯრუქის ოთხთაეი, „იოვანეს გამოცხადების“ და მისი თარგმანების შემცველი ხელნაწერი H-1346, აგრეთვე A -397...), ზოგს კიდევ – ერთდროულად ჯარიანიცა და ხანიანიც, მაგალითად, ბიბლიურ ხელნაწერში (Jer. №7,11) მარტო ერთ ნაწილში („იერემიას წინასწარმეტყველების“ თარგმანში) 28-ჯერ არის ნახმარი ეს სიტყვა, 9-ჯერ ხანით, 19-ჯერ – კარით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვაში თავდაპირველად კ უნდა ყოფილიყო. შემდგომ ფონეტიკური ფაქტორით (სკუსხ) და მეტაანალიზით არის მიღებული გულისხმა. ამ უკანასკნელი ფორმის მომხმარებელთაც, ალბათ, „ხმა“ ქმად ქქონდათ უფრო გააზრებული, თორემ არაფერი შეუშლიდათ ხელს ამ უკანასკნელის ხმარებაში. ხ-ს თავდაპირველობის დაშვებას აძნელებს შემდეგი გარემოება: ა) არა თუ ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში, არა-

¹ ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი. IV, თბ., 1965, გვ. 182.

² ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ... გვ. 185.

³ ს. ჯანაშია, ცხოვრება მ საბა ასურისა: კრებული „არილი“. 1925, გვ. 23.

მედ მოგვიანო ხელნაწერებშიც ნასმარი ხმა (გულისხმა) ჯიუტად არ აჩვენებს ძირში უ-ს და ამით რაიმე კავშირს ხუმა-სთან, თუმცა უმარცვლო უ-ს პოზიცია ამ პერიოდის ხელნაწერებში საკმაოდ მყარია (ხანმეტ ტექსტებში მხოლოდ ასეთი ფორმებია: ალესუნეს, განსხუნეს).¹ ბ) გულისხმის-ყოფა მზნასთან პირ. ობიექტის მრავლობითობის შინაარსის მარეგულირებელი განზოგადებული ფუძე არ უნდა ყოფილიყო ხმარებული, რადგან ეს მზნა ჩვეულებრივ პირ. ობიექტის გარეშე იხმარება. რაც შეეხება გულად-ლება და გულად-ხუმა მზნებს, ცხადია, მათთან ძირეულ ღ და ხუ მორფემათა დაპირისპირებაა რიცხვის სემანტიკის თვალსაზრისით, მაგრამ ასეთ ფორმას, სადაც კომპოზიტის I კომპონენტი ვით. ბრუნვაშია, კავშირი არა აქვს გულისხმა-სთან, სადაც კომპოზიტის I კომპონენტი ნათ. ბრუნვაშია წარმოდგენილი.

განხრწნა/განკრწნა პარალელურად იხმარება ერთ და იგივე ხელნაწერში (სინურ მრავალთავში, ჭილ-ეტრატის იადგარში...), შესაძლოა, ამოსაყვლად ამ სიტყვაშიც კარიანი ფორმა ეივარაუდოთ, თუ დასაშვებია მზნური ფუძის კავშირი ქორც სიტყვასთან.

IX-X და მის აქეთა საუკუნეების ტექსტებში იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება ქ და ხ ასოთა ურთიერთშენაცვლება, რაც იმის შედეგია, რომ ხდება ამ ორი ფონემის ოპოზიციის მოშლა, ნეიტრალიზაცია. ასეთმა ოპოზიციის მოშლამ შესაძლებლობა შექმნა, ერთმანეთს შენაცვლებოდა ეს ორი გრაფემა.

ა) ხ ენაცვლება ქ-ს: ივლტოდე საბრხეთაგან (ათონ. ხელნაწ. № 11, 244v) [ეტიმოლოგიურად ფერქისაგანაა ნაწარმოები], მოხსენე (ოშკის წარწ. XI ს.), მსგავსი შენაცვლება მოხმირებულია XIV-XVIII საუკუნეთა ძეგლებში: ვენახი, სახნავი, ხელი, ფერხი, მოხსენება, ხელმწიფე² და სხვ.

ბ) ქ ენაცვლება ხ-ს: ოქრიდენ (იერ., 522A), მოქაღეთ (იერ., 9,17J). ასეთი ფორმები ხშირია XIV-XVIII სს. ძეგლებში: მეოქება, საქლი, მოქედება, კანი („დრო“), მქოლოდ, კატი³ და სხვ. ცხადია, ქ და ხ გრაფემათა სწორად თუ არასწორად ხმარებას განაპირობებდა მწიგნობრის განსწავლულობის დონე და დიალექტური გარემო.⁴ ამ მხრივ საყურადღებოა არ. მარტიროსოვის დაკვირვება: ქ სრულიად არ გვხვდება საბას „წიგნი სიბრძნე სიყრუისას“, „თიშსარიანსა“ და „ქილილა და დამანაში“; ის არ არის ნასმარი აგრეთვე თეიმურაზ პირველის, არჩილის, თეიმურაზ მეორის, ეახტანგ VI-ის, ბესიკის თხზულებებში. ამ ეპოქის მწერალთაგან ქ მხოლოდ გურამიშვილს

¹ 8. სარჯველაძე, ხანმეტ და კავმეტ ტექსტებში დადასტურებული მზნის პირიან ფორმათა საძიებელი, თბ., 1971, გვ. 138.

² ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I. 1964, გვ. 42-43.

³ ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 103, 45.

⁴ 8. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 301.

აქვს გამოყენებული, მაგრამ აქაც იგი მოგვჯერ ხანით არის შეცვლილი“.¹ აქედან კარგად ჩანს, რომ XVII-XVIII საუკუნეებისათვის აღმ. საქართველოს ბარის კილოებში, უპირველესად ქართლურსა და კახურში, კ ბგერის ადგილი უკვე ხ-ს ქჷონდა დაკავებული.

6. ზ ასოს ბგერითი მნიშვნელობისათვის

ჭ (ჰ) ძველი ქართული მრგლოვანი ანბანის უკანასკნელი ასოა, რომლის ძველი სახელწოდება იყო ოქ, გვიანდელი კი — ოჲ (ჰოჲ), ჰოჲ, რიცხვითი მნიშვნელობა — 10 000. ეს გრაფიმა თავიდანვე არ გამოსატყუდა რომელიმე დამოუკიდებელ ქართულ ფონემას, ის შემოღებული იყო ბერძნული ანბანის უკანასკნელი ა ასოს, ომეგას (ე.ი. ო ღიდის ანუ გრძელის) ეკვივალენტად. ა.შანიძის აზრით, ჰ „ძველის-ძველად იყო დახურული ო ღიფთონგისებრი ხასიათისა (დაახლოებით ოჲ). შემდეგში მას კითხულობდნენ ასე: ოჲ (ხანაც ჰოჲ). ძველის-ძველად ო შეეფერებოდა ბერძნულ ომიკრონს, მაშინ როდესაც ჰ იყო ბერძნული ომეგის ბადალი (ო=ო, ჰ=ა).² მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჰ ნიშნის ისტორია ადრე სწორად ქჷონდა გადმოცემული ნ. ჩუბინაშვილსაც, როცა წერდა: „ასო ესე იხმარების მხოლოდ შორისდებულათვის, ჰ! და ჰმე! და შემოგანილ არს მიმსგავსებითა ბერძულის უკანასკნელის ასოსათა ა, ვითა წერილ არს აპოკალიქსსა შინა 1,8; მე ვარ ანი და ჰე. ბერძულად ალჲა და ომეგა Α και τὸ Ω.“³ მართლაც, იოანეს „გამოცხადების“ (აპოკალიფსის) ქართულ თარგმანის შემცველ ძველ (X ს.) ხელნაწერში იკითხება: მე ვარ ანი და ჰ, იტყუს უფალი ღმერთი (გამოცხ., 1,8). ამავე ტექსტში სხვაგანაცაა: ვიქმენ მე ანი და ჰ, დასაბამი და დასასრული (21,6); მე ვარ ანი და ჰ, პირველი და უკუანამსკნელი, დასაბამი და დასასრული (22,13). აქედან ჩანს, რომ ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმანში ჰ-ის სახელწოდება არ არის მოცემული; ნ. ჩუბინაშვილს „გამოცხადების“ ტექსტი მოჰყავს გვიანდელი, შერყვნილი ორთოგრაფიით ბუქდური გამოცემიდან (ძველ ხელნაწერებში ჰე დაწერილობა არ მოიპოვება). უნდა ვიფიქროთ, სწორედ გვიანდელი მცდარი ორთოგრაფიით დამკვიდრდა ჰ-ის სახელწოდებად ოჲ/ჰოჲ. გვიან პარალელურად ხმარობდნენ ოჲ და ჰე-ს, რომელთა კონტამინაციით ჩანს მიღებული ჰოჲ. ბესიკს აქვს: „ჰაჲ, ჰოჲ გამიხ-

¹ არ. შარტავისოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VI, 1954.

² ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I.თბ., 1973, გვ.18.

³ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ.ლლონგის რედაქციითა და გამოცემულით, თბ., 1961, გვ. 480.

⁴ იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, გამოსცა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იზნაიშვილმა: ძე. ქართული ენის კათედრის შრომები, ტ.7, 1961.

შირდა“ (88,15). ასეთ პოზიციას (ო-ს წინ, ზოგჯერ ი-ს წინაც) მ გააზრებულ იქნა, როგორც კ (ჰოე→ჰოე).

აღსანიშნავია, რომ სომხურ ანბანში ბერძნული ა-ს (ომეგას) გადმო-საცემად არ შექმნილა დამოუკიდებელი გრაფემა, ის გადმოიყვანა ორნიშნა იქ (ოე) დაწერილობით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბერძნული ა-ს ბგერით ბუნებას, მის დიფთონგისებურ დახურულობას უკეთ გამოხატავდა სომხური იქ (ოე) დაწერილობა, ვიდრე ქართული მ ან ო ნიშანი¹. ასე რომ, მთლად ისე არ არის საქმე, როგორც ზოგჯერ წერენ: „ჰოე“ ასო-ნიშანი. ქართული ენის ფონეტიკის თვალსაზრისით, სრულიად გედმეტია ქართულ ანბანში და რა ვითარებამ განაპირობა მისი შემოღება, აუხსნელია“².

მ ასოს ძველი სახელწოდება დაკულია ძველ ქართულ და სომხურ წერილობით წყაროებში. თომას სახარების აპოკრიფის ქართულ თარგმანში, რომელშიც მოთხრობილია სიყრმე უფლისა, ნათქვამია, რომ „იწყო იესუ სიგყუად წერილისა მის ყოვლისა აღფათგან მიოქამდე“³. ე.ი. ყრმა იესომ „წმინდა წერილის“ თხრობა-დასწავლა შეძლო თავიდან ბოლომდეო, ანიდან ოქ ასომდეო (მი-ოქ-ა[ლ]-მდე). აქ მ ასოს სახელწოდება ოქ ვით. ბრუნვაშია დასმული, რომელსაც წინ უძღვის უძველესი მი წინდებული (თანდებული). ბოლოში კი – იმავე მნიშვნელობის მდე ბოლოდებული (თანდებული).

მე-15 საუკუნის ერთ სომხურ ხელნაწერში. რომელშიც შესულია შეიდი ენის ანბანი (ბერძნული, სირიული, ლათინური, ქართული, ალბანური, კოპტური, არაბული), ასოთა სახელწოდებები მოყვანილია სომხური ტრანსკრიპციით. ქართული ანბანის უკანასკნელ ჭ(მ) ასოს სახელწოდებად მიწერილი აქვს ოქ (იწ)⁴.

უხადაა მ ასო არ შექმნილა რომელიმე ქართული ფონემის გამო-სახატავად. ამიტომაც, რომ ის თავიდანვე არ მონაწილეობდა ძირეულ მორ-ფემებსა და საერთოდ ნებისმიერი სიტყვის დაწერილობაში. ის შეიქმნა, რო-გორც ბერძნული ომეგას (ა-ს) სატრანსკრიპციო ნიშანი. მაგრამ მინიმალური ფონეტიკური დატვირთვით: მ გადმოსცემდა არა საერთოდ ბერძნულ სიტყვე-ბში ნახმარ ა-ს (ძირეულ მორფემათა ასეთი ა ქართულ თარგმანებში უდიდეს შემთხვევაში ო-თი გადმოიყვანა და არა მ-თი. შდრ. მოსე, სოლომონ, ბაბილონ, იაკობ, იოსია, იოჰანე... და არა: მჰსე, სოლომონ, ბაბილონ და ა.შ.), არამედ წოდებითში (ეოკატიეში) დასმულ სახელთან პრეპოზიციურად ნახ-მარ ა-ს: მ დედაკაცო (მ., 15,28), ა ყსაი; მ ნათესავი ურწმუნო (მ., 17,17), ა ყეხა ძაისტო; მ უცნობელნო გულითა (ლკ., 24,25) ა ძაიტიოი ... ტი კარბა.

¹ კ. დანელია. ქართული საბჭურლო ენის ისტორიის საკითხები. თბ., 1983. გვ. 158.

² რ. ჯაგარიძე, ქართული ასომთავრული. თბ., 1980. გვ. 262.

³ ა. შანიძე, თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტები და მისი გაუგებარი ადგილები: თსუ-ს შრომები, XVIII. 1941. გვ. 29-36.

⁴ A. Шапидзе, Новоткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки: еნიშკის მოამბე, IV-2. თბ., 1901. გვ. 467.

იმეითად, ორიოდ სიგყევაში (ისიყ არასისტემებერ) შეიძლება ბერძნული ა-ს ფარდად ქართულში ჭ იყოს ნახმარი. ასეთია საკ. სახელი კლეჰა (კლეოჰა) და ჰსანა (ოსანა, ოსანა). ეს უკანასკნელი ქართულში ბერძნული გმითა შემოსული, წარმომობით კი ებრაულ-არამეული სიგყევა, რომელიც ნიშნავს „ეკესენ“, განზოგადებით კი – სიხარულის შორისდებულს „ვაშა“-ს: ქრისტეს მიძღვერები „ღალაღებდეს და იყყოდეს: ჰსანა მალალსა“ (მრ., 11,9D);

ჰ-ს კონკრეტული ქართული ბგერის მნიშვნელობის უქონლობამ საშუალ ქართულში გამოიწვია მისი მყდარი გაამრება და სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება; ყველაზე მეტად ის გაგებულია ჳ-დ (შოე=ჰოე) ან ჳ-ლ (ში=ჰოი). ასე ესმით ის XVII-XVIII საუკუნის მწერლებს და XIX საუკუნის რომანტიკოსებსაც (მდრ. ნ. ბარათაშვილის: ში ნაპირნო, არაგვის პირნო; ში საღამოე, მყუდროე, საამოე).

7. გვიან შემოღებული ასოების ბგერითი მნიშვნელობებისათვის

ა) ჰ ფ გრაფემათა ბგერითი მნიშვნელობისათვის. ჰ გრაფემა XVIII საუკუნიდან იხმარება ქართულში. ცოტა ადრე (XVI-XVII სს.) მას ჰ სახე ჰქონდა და ძლიერ ჰგავდა ახალი ბერძნულის სათანადო ჰ ასოს. ჰ ამჟყარად ნასესხებია გვიანდელი ბერძნულიდან, ჰ კი რუსულიდან. ერთი გრაფემის ორივე სახეობა გამოხატავდა კბილბაგისმიერ სპირანტ თანხმოვანს. ასეთი ბგერა ახალი ბერძნულისა და თურქულის გავლენით ნასესხები აქვს ლაზურს და ქართულის ზოგიერთ კილოს (აჰარულს, ინგილოურს). ქართულშიც ცდილობდნენ ნასესხებ სიგყეებში გამოეთქვათ და წერაშიც ჰ/ჰ ნიშნებით აღენიშნათ ეს ბგერა. მაგრამ მან ქართულში ფეხი ვერ მოიკიდა. „რადგან არ დაემთხვა ქართული ენის სათანადო ბგერითი სისტემის განვითარების პროყესს“¹ (სომხურმა კი შეითვისა ეს ბგერა და მისი სათანადო ჰ ნიშანიც ბერძნულისგან ისესხა და დაიმყეიდრა). ცხადია, ამიგომაც ჰ/ჰ გრაფემათა ხმარება თავიდანვე შემლუღული იყო, ისინი არ მონაწილეობდნენ ქართული სიგყეების დაწერილობაში. სულხან-საბას საინგერესო ცნობა აქვს დაყული ამ გრაფემაზე: „ესე ჰ ძველს წიგნებში იჯდა და მწერლებს უგულებელს ექმნათ და ახლა მე ჩაუმატე“². აქ დასამუსტებელია ერთი გარემოება: „ძველს წიგნებში“ არ უნდა ვიგულისხმოთ ძველი (V-XI სს.) წერილობითი ძეგლები. არა. ეს გრაფემა მოგვიანო საშუალი ქართულის კუთვნილებაა. საყურადღებოა, რომ საბა იძლევა ლინგვისტურ დახასიათებას ამ გრაფემებისას ულო-ცაჳ (ვლოცაჳ) სიგყის ბოლოს: „ესე ჰა ჩვენს ენაში ეგოდენ საყმარ არა არს. მაგრამ სხვათა ენისა თარგმანებისათვის ღიდად საყმარია და ამისის ყმარე-

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბ., 1949. გვ. 169; 248; 271.

² ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი (იყიფმიძისა და ა. შანიძის გამოყემა). გფ-1928, გვ. 475.

ბით ღია გაშენიერების სიგყუა, ვითარცა უე ვინისა და უნის საშუალია სათქმელად, ჟე ინისა და ანისა, ეგრევე ესე ვინისა და ჟარის საშუალი არის. განიხილე, გულისხმიერო¹. საბა სწორია, რომ ზ-თი გამოხატული ბგერა ჟ-საე კგავს ფშენიერობით და ე-საე სპირანგულობით. ამიგომაა, რომ ამ გრაფემით გამოხატულ სიგყვებში ქართული არტიკულაციით ორგვარად წაიკითხება: ჟ-დ და ე-დ. შდრ. ზილასოჰოსი (=ფილოსოფოსი), მაგრამ ზაკ-ინთი (=ვაკინთი „შალი“). საბას ამ შენიშვნას დავით რექტორმა ლექსიკონის ერთ-ერთ თავის ხელნაწერში ასეთი განმარტება აახლა: „სუელს ქართულ მწერალთა ეს ზა ამ შესახედავით და ამ ნაკეთით ესხათ წერილში, როგორც ამ ლექსიკონშიაც სხედს. ახლა ამ ეამებში ფ ამგუარის ნაკეთისა და შესახედავისა შემოვიდა და უფრო ანტონ კათალიკოზის მეფის იესეს ძის დროს. იმ ეამებში სანატრელმან ირაკლი მეორემან, სრულიად საქართველოს მეფემან, თიემურამ მეორისა მეფისა ძემან, რა იმრომა და საფასისა წარგებითა გფილისს სამეფო გახტსა თიისსა სტამბა წიგნთა გამართა და გააკეთა და კონსტანტინეპოლიდამ მოაყვანინა კელოეანი კატი ვინმე, განსწავლული სტამბისა, ეამსა მას, რაჟცა ოდენ საეკლესიო წერილნი ხეუკურის ასოთი დაიბეჟდა, მას წიგნებს შინაეცა, სადაეც ექირებოდა და საქმარ იყო, ძველი ეს, ზ არ დაბეჟდეს ამ ნაკეთისა, არამედ ფ ამგუარი დაბეჟდეს. და რაჟცა მას ეამსაეც კელნაწერი ფილოსოფიის წიგნები მხედრულად თუ ხეუკურად მწერალთაგან იწერებოდა, ფ ამისთანა და ზ ამისთანა იწერებოდა (A-288, 283v).

აქ სწორადაა გადმოცემული ფ ასოს ქართულში შემოღების ისტორია.

აღსანიშნავია, რომ ანტონიმდე ზ უხმარიათ XVII საუკუნის სპარსულ ხელნაწერში „23-ე სპარსული ასოს ფარდად“,² ასევე XVIII ს.-ის ქართული ანბანით დაწერილ თურქულ ტექსტებსა და სასწავლო წიგნებში.³ როგორც დავით რექტორის ცნობიდან ჩანდა, ბერძნულიდან ნასესხები ზ გრაფემა, რომელიც გვიანდელ ხელნაწერებში იყო გამოყენებული, ანტონ პირველს ევროპული, რუსული მოხაზულობის ფ-თი შეუცვლია. ანტონი და მისი სკოლა ფ-ს ხმარობდა უცხო ენებიდან შემოსულ საკუთარ და საზოგადო სახელებშიც: ფილოსოფოსი, აფროდიტი, ფისიკა. მაგრამ, როგორც ა. შანიძეს აქვს შენიშნული, ფ ანალოგიით მცდარად გავრცელდა სხვა ფორმებშიც:

1. ისტორიულად ქართულში ფ-თი დამკვიდრებულ სიგყვებში: ეწარემი, ფილიპე, სტეფანე, ფილიმონ და სხე.

2. ბერძნულ-ლათინურ სიგყვებში, რომლებიც ქართულში ფ-თი გადმოდიოდა: ფეოდორ (თეოდორე), ფეკლა (თეკლე)...

¹ ს.-ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი. გვ., 475.

² М.Хубуа, О персидских рукописях в грузинской транскрипции: საქ. სსრ მეცნ. აკად. შობებ, II, № 3. 1941, გვ. 303.

³ ს. ჯიქია, XVIII ს. მედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია. I, 1954, გვ. 199.

3. ფ-ს შემცველ ქართულ სიგეყებში: ჟერი (ფერი). ოლონდ ასეთი აშ-კარად შეუფერებელი დაწერილობის ფორმები ანტონიმდე უხმარიათ. ა. მანიძის ცნობით, ფ-ს ნაყელად ზ-ს ხმარების მაგალითები ძეელ ხელნაწ-ერებში იპოვება, მაგ. S-2562-ში (XIII ს.) გვხვდება: ზილოსოზოსი, უმოს-წრაზესად, განზყოზენ, მყოზთათუს, უზროზს, ოთხზერი¹ და სხე.

ჟ გრაზემის ხმარება შეიზღუდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა ი. ზავზავაძემ ბრძოლა გამოუცხადა ძეელ, ანტონისეულ ორ-თოგრაზიას, მაგრამ ინერციით XX საუკუნის დასაწყისამდე მოაღწია. ძეელი თაობა ძნელად ურიგდებოდა ძეელი ორთოგრაზიის გამარტივებას. ამ მხრიე საგულისხმოა ალ. ორბელიანის სტაგია „ზოგიერთი შემენევა“, რომელიე დაიბეზდა ჟერნ. „ეისკრის“ 1865 წლის მე-8 ნომერიში: „ბ, მ, ზ, კ, ზ, ზ. ჟ დაგერჩა ამ ზედ ასოზედ ლაზარაკი. ჩემის აზრით, ეს ზუდი ასო არას უშ-ლის ჩზმნს წერასა. მხოლოდ ქართულის მწერალმა კი უნდა იყოდეს, რომ ეს ასოები თავის ადგილს მოიხმაროს... უკანასკნელის ჟ-სათუს, თუ რომ უცხოს ქზმენის სიგეყუას მოვიხმარებთ, ასოე უნდა მოვიხმაროთ, ვითარცა: ჟაკტი და არა ზაზტი, ვითარცა: ჟორმა და არა ფორმა. ზგავს, რომ უწინ-დელსა ძზმლსა ღროში რომ შემოუგანიათ ასო ჟ, უთუოდ ჟაკტი ქზონიათ რამე, დამგკიყება, რომელიე ეხლა უფრო ეშესაბამება, რომ ეს ჟ მოვიხმა-როთ ახლანდელის წესის მიხედეითა“.² ეს ამაო ედა იყო ძეელი თაობისა. ახალი სალიტერატურო ენა უნდა განთავისუფლებულიყო და განთავისუ-ფლდა კიდეე ორთოგრაზიის ამამღვრეველი ზედმეტი ასოებისაგან.

ბ) ღ გრაზემის ბგერითი მნიშენელობისათვის. ეს ასო ანტონ I-მა შემოიღო სომხური ანბანის და ორთოგრაზიის მიბაძეით მე-18 საუკუნის II ნახეეარს და ანბანში უ-სა და ფ-ს შორის მოათავსა. მანვე დაასაბუთა ამ ნიშნის შემოღების საზიროება თანხმოვანთა გასამიზნაეად წერაში თანხ-მოვანთა კომპლექსის გასახმოვანებლად, გასამარცვლიანებლად. ის წერდა: „ეზსთზუათ ეზზმ კუალად ასოზსა ამისთუს, რომელა ღ ესე არს ახალმოე-ნილი ჩზმნგან ასოზ კმოვანი, რომელიეა მრავალთა უკმოთა ლექსსა შინა უკმოვანოდ ერთად მდებარეთა, მარცზალზყოფს და მაულებელ ეზმნების ზმნათა...; ვითარ-მე იზმნების სამთა და ოთხთა და ნუ-მე უმეგტთა ერთად მდებარეთა უკმოთა (=თანხმოვანთა – კ.დ.) თონიერ კმოვანისა მარცუალ-ყოზამ? თუ სადამე ღრამმაგკიყკასა შინა გაზუსეე გამოცდილებაზ, თანა-გამსთ საზიროდ თზმად, ვითარმედ არა იზმნების“.³

ანტონის აზრით, ღ გამოხატავს ხმოვანს, რომელიე მარცვალს ქმნის. უამხმოვნოდ თანხმოენების ზგუფი არ გამოითზმის. მკვლეეარი ამუსტებს: ეს ხმოვანი თანხმოენებს შორის იგულისხმება (გამოითზმის), მაგრამ არ იწ-

¹ ა. მანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე ... ძე. ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9. თბ., 1964. გვ. 18-19; ამონიოს ერმისის თსზულებები ქარ-თულ მწერლობაში (ნ. ეზეზაძისა და მ. რაზავას გამოეემა). თბ., 1983. გვ. 020-021.

² ა. მანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე ... გვ. 9.

³ იზეე.

ერება („ძალითად არს“). მისი დაუწერლობის წესი შეიძლება დარჩეს გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სიტყვა გადასატანია სტრიქონიდან სტრიქონზე. ამ დროს, თანხმოვანთა თავმოყრისას, საჭიროა ამ ნიშნის დაწერა („მოქმედებითად დადება“). ა. შანიძე ანტონის მიერ უნიშნის შემოღებასა და მის ბგერით მნიშვნელობაზე წერს: „ანტონმა ბერძნული, ლათინური და სომხური ენები იყოფა. ამ სამ ენათაგან უნიშნით გადმოცემული ბგერა მხოლოდ სომხურშია და ამ ენის ორთოგრაფიის მიბაძვით აიხსნება ის თავისებურება, რომელიც ახლავს უნიშნის ხმარებას ანტონისა და მისი მიმდევრების ქართულში. ეს უნიშანი იგივეა, რაც სომხური ე. სომხურში კი ბგერა, რომლის გამოსახატავად იხმარება ნიშანი ე, ისე გამოითქმის, როგორც ის ბგერა, რომელიც ისმის ქართულში ცალკეული თანხმოვნის წარმოთქმის შემდგომ: ბუ გუ ლუ თუ ტუ ძუ წუ და სხვ. ქართულში ის არ გვხვდება, როგორც ფონემა, მაგრამ ჩვეულებრივია იგი სევანურში, სადაც „მაგარი“, „მაღალი“ და „წითელი“ იქნება (შესაბამისად): „ბგი“, „ელთხი“ და „წრნი“, მაგრამ თუ აგრე დავწერთ მათ, გამოვა თითქო ისინი ერთმარცხლიანი სიტყვები იყვნენ. არა. ისინი სევანურში ორ-მარცხლიანი სიტყვებია: ბ-გი, კლ-თხი, წრ-ნი, ოღონდ დასაწყისი თანხმოვნების შემდეგ უნდა ჩაისვას ხმოვანი უნიშნით სევანურ წარმოთქმაში აუცილებელია: ბ-გი, კლ-თხი, წრ-ნი. ეგვე ბგერა მოიპოვება მეგრულშიც: გეხურის პირელი შევრელი ვირს ეძახის გირინ-ს (გირინ-ი), ინგურის პირელი კი – გურუნ-ს: გი-რი-ნი/გურუნ-ნი. ასეთი ბგერა სომხურშიც არის და მას იქ თავისი ნიშანი მოეპოვება, რომელსაც მერვე ადგილი უჭირავს ანბანში: ე. იგი მოიპოვება მრავალ სომხურ სიტყვაში, მაგრამ ყოველთვის არ იწერება... კარგად ცნობილია საკუთარი სახელი მიკირტი, მაგრამ სომხური გამოთქმა არის არა მიკირტი, არამედ მუკურტი, ე.ი. სიტყვა სამ-მარცხლიანია, ორ წინა მარცხლს უნიშნის, მაგრამ სომხურში ჩვეულებრივ არც ერთი არ იწერება: სიკოქი (მურტი). მხოლოდ სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის დროს არის საჭირო სათანადო ნიშნის დაწერა: სიკოქი (მურტი) ან სიკოქი? (მურტი)...; სომხურ ენაში თანხმოვანთა თავმოყრა სიტყვის დასაწყისში მოჩვენებითია და მხოლოდ ორთოგრაფიის თავისებურებას უნდა მიეწეროს; იგი არსებობს მხოლოდ წერაში, ენაში კი (წარმოთქმის დროს) – არა. მაგ, იწერება ბლრქან (გვარია), მაგრამ გამოითქმის სამ მარცხლად: ბ-ლ-რ-ქან. ქართულ ენაში კი ჩვეულებრივია თანხმოვნების თავმოყრა როგორც თავში, ისე მუხში და ბოლოში. ქართული ორთოგრაფია ისეთია, რომ, თუ ფონემა არის, იგი უთუოდ იწერება; აქ არა გვაქვს შემთხვევა, რომ ხმოვანი წარმოთქმოდეს, მაგრამ არ იწერებოდეს. უნიშნით გამოსატანი ბგერა ქართულმა სალიტერატურო ენამ არ იყოს. ანტონი კი ფიქრობდა, იყოს, და შექმნა ნიშანი და გზა გაუხსნა მის ხმარებას, რაც უთუოდ სომხური ორთოგრაფიის თავისებურებათა ქართულ ნიადაგზე მყარად გადმონერგვის ბრალი იყო“.¹

¹ ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე ... გვ. 11-12.

ანტონი სომხური ე-ის ბადალ უ ნიშანს თანხმობვანთკომპლექსის გასამარცვლიანებლად ხმარობდა ორ შემთხვევაში: ა) სიგყვის გადატანისას, თანხმობვანებით წარმოდგენილი დესატოვებელი ან გადასატანი ნაწილების გასახმობვანებლად (მგუ-რინჴმლი, განვა-ლეს), ბ) გადატანის გარეშე, ძირულ მორფემებში ან ძირულ და გრამატიკულ მორფემათა მიჯნაზე (ვიქმ, ეწადს, მდგომარე...).

უ ნიშანი უხმარიათ ქართული ასოებით ჩაწერილ თურქულ ტექსტში XVIII საუკუნეში. ანტონი I-ის ორთოგრაფიის მიმდევრებმა ეს ასო გვიანობამდე (XIX საუკუნის 40-იან წლებამდე) შეინარჩუნეს სელნაწერსა თუ ნახეჯდ ტექსტებში. მართალია, ანტონისეულმა უ ნიშანმა სალიტერატურო ქართულში ეერ მოიკიდა ფეხი, მაგრამ შემორჩა სამეცნიერო ენას. აღ. ყაგარელმა უ ნიშანი მარჯეედ გამოიყენა გასული საუკუნის 80-იან წლებში მეგრული ტექსტების ქართული ასოებით ბეჭდვისას (Мингрельские этюды, С - Пн., 1880) ირაციონალური ულტრამოკლე ხმოვნის გადმოსაცემად. უ ნიშნით გამოხატული ბგერა მეგრულში ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურად შუა რიგის ხმოვანია,² იგი მიღებულია ვიწრო ი და უ (მოგჯერ ო) ხმოვნების დასუსტებით, როგორც სრული ხმოვნის რეფლექსი.¹

მსგავსი ბგერა ქართული დიალექტებისთვისაც არაა უყხო, ისმის წინადადებაში ჰაუმის დროს, თანხმობანზე დაბოლოებული სიგყვის ბოლოს (ვიყოდითუ, კბილები დაეაგე ფარცხსუ). საგულისხმოა, რომ XVIII საუკუნის იმერული წარმოშობის ისტორიულ საბუთებში ე-ის ბადალი ირაციონალური ხმოვანი წერაში უმარცვლო უ-თია მოგჯერ გადმოცემული (ესე წყალობის წიგნი... გიბოძე ჩვენუ... ყოველთაეე შენუ, ჩვენს ერთგულს ყრმასა... გიბედნიეროს ღმერთმანუ...).⁴

გ) უ გრაფემის ბგერითი მნიშვნელობისათვის. მარცვლიანი სრული უ-საგან უმარცვლო ნახეყარხმოვანი უ-ს გასარჩეეად ანტონ I-მა მე-18 საუკუნის II ნახეყარში სომხური ორთოგრაფიის მიბაძვით შემოიღო დიაკრიტიკული ანუ გასარჩევი ნიშანი, რომელიც გრაფიკულად ზეეითი მიმართული ისრის წვერის მსგავსი იყო (^). მას უხმოვნობის ანუ სიბრჯევის ნიშანი ეწოდა, ხოლო ასეთი ნიშნის მქონე უმარცვლო უ-ს უბრჯეუ (უ ბრჯეუ, ე.ი. უ ყრუ, უხმოვნო, უმარცვლო). ძეეე ქართულში უმარცვლო და მარცვლიანი უ ორიეე ერთნაირად გამოიხატებოდა ორნიშნა QF გრაფემით, თუეა ბგერობრიე ისინი განსხეეეებული იყენენ და თაეეათაეისი დისტრიბუეია ჰქონდათ. ეს ქართული წერის ნაკლი იყო, რომლის გამოსწორეა ანტონ I-მა გვიან სყადა, მაშინ, როცა, უმარცვლო უ-ს ოპოზიეია მარცვლიან უ-სთან მომლილი იყო და უ თანხმობანში გადასეეეეე დამთაერებული იყო.

¹ ს. ჯიქია, XVIII ს. შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი... გე. 199-203.

² გ. ახეეედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძეელები, თბ., 1949, გე. 66.

³ არნ. ჩიქობაეა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გე. 20.; ს. ელენტი, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1963, გე. 177.

⁴ ი. ჰაეეარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964, გე. 73.

უმარცვლო უ-ს ძველად მარცვლიანი უ-სა და ე-საგან განსხვავებული დისკრიბუცია აქონდა. ის არ ფუნქციონირებდა სიგევის დასაწყის და ხმოვნის მომდევნო პოზიციაში, მაგრამ რეალიზდებოდა: ა) თანხმოვნის შემდეგ ფუძის ბოლოკიდურ პოზიციაში (თაგუ, ქიჭუ, ნაძუ, ნესკუ, დათუ, ფესუ, ლელუ, მარუ, რიცხუ...), ბ) თანხმოვნებს შორის (კუნესა, მკუდარი, გურიტი, სიკუდილი...), გ) თანხმოვანსა და ხმოვანს შორის (გუერდი, კეელი, ძუელი. თუალი, კუართი, ტუინი, ძუირი).

უმარცვლო უ-ს ბუნება კარგად აქონდა წარმოდგენილი ლექსიკოგრაფ ნ. ჩუბინაშვილს, როცა წერდა: „ასო ჟ ბრჯგუ არს ნახვეარხმოვანი ანუ საშუალი რამე უ და ვ, ვერშემადგენელი თავით თუსით მარცვლისა, ვითა ბერძნულიცა ს, შემდგომად ხმოვანთა ასოთა ისმარების ამგუარადვე, მაგალ: εὐλογία ევლოგია ანუ ეულოგია“ და სხვ.¹

ანტონს ჟ-თი აღნიშნული ბეერა თანხმოვნად მიაჩნდა² და ამაში ის მართალი იყო. არა თუ ანტონის დროს, ძველ ქართულში ე.წ. უმარცვლო უ არსებითად წყვილბაგისმიერი ე-ს გამოთქმას ემთხვეოდა. ამიტომ, რომ ჟ-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან უ ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ფორმანტები უ-ს ინარჩუნებდნენ (ლელუ-ი, ლელუ-ის, ლელუ-ით და არა: ლელუ-ა, ლელუ-ას, ლელუ-ათ, როგორც უნდა ყოფილიყო, თუ უ მარცვლიანი იქნებოდა, მდრ. ტუტუ-ა, ტუტუ-ას და სხვ.). არ გამოირიხება, რომ ისტორიულად ქართულის გარკვეულ დიალექტებში არც ყოფილიყო ფონემატური ხასიათის დაპირისპირება (ჟ) და (ე) სეგმენტებს შორის;³ ამიტომ არაა გასაკვირი, რომ X საუკუნისა და მის აქეთა ძეგლებში უკვე შეინიშნება უ (ჟ-ს) და ე ასოთა ურთიერთმონაცვლეობა: მართვე (91r, S-1141, X ს.), ზღვა (ფსალ. 8,9 C, X ს.)... მაგრამ: მშუა (ხანმ. იერ., 39.1-2b), მოსულაჲ (სინ. მრ., 33,14) და სხვ.⁴

საშუალ ქართულში (XII-XVIII სს.) უმარცვლო უ-ს ე-სკენ გადახრამ დიდი არეუ-დარევა გამოიწვია. ჟ-ს რომ ე შეენაცვლა, ეს კანონზომიერი იყო (თუალი/თუალი, ჩუენ/ჩუენ), მაგრამ ამას მოჰყვა ძველი ორთოგრაფიული გრადიენის გაბუნდოვნება: ჟ-ს წერენ იქ, სადაც უ უნდა იყოს წესისებრ. ე-ს ადგილზე მცდარად ჟ-ს ხმარება ვლინდება: ა) ძირეულსა და გრამატიკულ მორფემებში: კუნესა, მზითუქმა, შეულო (შეელო), იხილაჟს (იხილაეს), ლოცუნა, ზრახუნა და სხვ.; ბ) S₁ პირის ე ფორმანტისა და მოქმედებითი ბრუნვის ეე ნიშნის ე-ს ადგილზე: შეუწწირეთ (შეესწირეთ), ხელს ჟაწერ (ვაწერ), ღთიჟ ამალღებულმა...; გ) იშვიათად კონტამინაციური დაწერილობაყაა უ+ე-ს

¹ ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი. აღ. ლლონგის რედაქციით და გამოკვლევით. თბ., 1961, გვ.103.

² ქართული ღრამმატიკა. შედგენილი ანტონ I-ის მიერ. თბ., 1885. გვ. 117-118.

³ თ. გამყრელიძე. გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუგი ქართულურ ენე-ბში. თბ., 1965, გვ. 46.

⁴ 8. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბ., 1984. გვ. 292-293.

სახით: თქვენ, სუერი (სუერი, სოფელია)¹ და სხვ. უ-ს მცდარად ხმარებას ე-ს ადგილზე, ცხადია, ანტონმა გაუკაფა გმა, მაგრამ ეს პროცესი აღრუა დაწყებული მაინც. ი. ქავთარაძის აზრით, ეს მოვლენა არაა მარტოოდენ რომელიმე კუთხის ან ლიტერატურული სკოლის მოღვაწეობის ერთი-ორი საუკუნით შემოფარგლული. უ-ს ხმარება თანაბრად და ფართოდ არის გავრელებული XV-XVIII საუკუნეთა სამწერლობო ქართულში.²

უ-ს ხმარება სამწერლობო ქართულში XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან თანდათან შეწყდა. მაგრამ ის შეიჩინა სამეცნიერო ენამ, როგორც წყვილბაგისმიერი უმარცელო უ-ს გამოშხატველი გრაფემა. უ ძალზე დამახასიათებელია სვანურისათვის (სუსტად მეგრულ-ქანურისთვისაც), სადაც მას ე-ს პოზიციები უკავია (უაზირი – ვაზირი, უასილი – ვასილი). ეს ფონეტიკური მოვლენა მოგჯერ სვანის ქართულ ნაწერებშიც არის გამოქვეყნებული: უნების კურიაკესა³ (=უნების კვირას).

ლიტერატურა

- ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973.
- ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
- ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბ., 1964.
- ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975.
- ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბ., 1971.
- ბ. ბიძინაძე, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.
- ბ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- ივ. ჯავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964.
- გ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1965.
- გ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბ., 1978.
- А. ШАНИДЗЕ, Порядок грузинского, армянского и албанского алфавитов: Труды Музея истории Азербайджанской ССР, 2 (Материалы по истории Азербайджана), Баку, 1957.

¹ ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის. თბ., 1964. გვ. 89–91.

² ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 92.

³ ა. შანიძე, აღმის ოთხთავის ხელნაწერის დასასიათება: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945, გვ. 016., მნშვ. 2.

საწერი საშუალებანი ძველ საქართველოში

I. საწერი მასალები. დამწერლობის განვითარების სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული საწერი მასალები გამოიყენებოდა, თავიდან – მაგარი (ქვა, ლითონი, თიხის ფირფიტა, ფიციანი, ძვალი), შემდგომ – უპირატესად რბილი (პაპირუსი, ეგრატი, ქაღალდი). რბილი საწერი მასალების არსებობის პერიოდში, რა თქმა უნდა, პარალელურად გამოიყენებოდა მაგარი მასალები, ოღონდ შეზღუდვით, სპეციალური დანიშნულების ნაწერებისათვის. განსხვავებულ საწერ მასალებზე ასოების გამოყვანა ასევე განსხვავებული საწერი იარაღებით ხდებოდა. დამწერლობის ისტორიამ შემოინახა მოკლე, მაგრამ დიდად მნიშვნელოვანი ტექსტები მაგარ მასალებზე: ქვის ფიციებზე, ხის ფიციებზე, თიხის ფირფიტებზე და სხვ. ჯერ კიდევ ბიბლიის, კერძოდ, ძველი აღთქმის, მეორე წიგნში („გამოსლეთათა“) აღნიშნულია, რომ ღმერთმა მოსეს იუდეველთათვის განკუთვნილი ძირითადი სჯულის კანონები ქვის ორ ფიციარზე დააწერინა-აღაბეჭდინა. ამ წიგნის ძველ ქართულ თარგმანში არაერთგზის არის ნახმარი ფიციანი ქვისანი (გამოსლ., 24,12; 34,1; 34,4 ...). ასევე ადრე დიდი გამოყენება პქონდა ხის ფიციებს. მაგალითად, ცნობილია, რომ რომაული კანონმდებლობის ძველი, ე.წ. „თორმეტი ფიცრის კანონები“, სწორედ ასეთ ხის ფიცრებზე იყო ამოკვეთილ-ამოჭრილი. საწერი ხის ფიცრები შეიძლებოდა ყოფილიყო გასანთლული ანუ ცილიგადაკრული. ასეთი მასალა დიდ ეკონომიას იძლეოდა, რადგან მისი გამოყენება რამდენიმეგზის შეიძლებოდა: ძველი ნაწერის წაშლა და ახლის აღბეჭდვა დაუბრკოლებლად შეიძლებოდა. საწერი ხის ფიცრები ანუ დაფები დასაწერი ტექსტის მოცულობის კვალობაზე შეიძლებოდა აკინძულ-შეკრული ყოფილიყო ორკეცად, სამკეცად და მრავალკეცად. რომაელები ასეთი საწერი დაფების კრებულს კოდექსს (codex-ს) ეძახდნენ, ქართველები – კარედს. საწერი ცვილოვანი დაფები მიღებული იყო ძველ საბერძნეთსა და რომის სახელმწიფოში, შუა საუკუნეებში – დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც (საფრანგეთში, გერმანიაში...), საქართველოში კი არ გამოიყენებოდა. მოღწეულია ასზე მეტი ძველი (I-III სს.) ტექსტების შემცველი ცვილიგადაკრული ფიციანი. XI საუკუნის ქართველ მწერალს გიორგი მთაწმიდელს „იოვანე და ეფთუმეს ცხოვრებაში“ რამდენჯერმე ნახსენები აქვს „ხატი ცულოანი“, რაც ივ. ჯავახიშვილს აფიქრებინებს, რომ ბერძნულ-რომაული გასანთლული ხის ფიცრების თუ დაფების, კერძოდ, ლათ. tabulae ceratae-ს აღმნიშვნელი ქართულად შეიძლებოდა ყოფილიყო „ფიციანი ცულოანი“¹. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ძველ საქართველოში პრაქტიკულად არ იყენებდნენ ხის ფიცრებს და მათ შორის ცვილოვანთ. ამიტომ ძველ ქართულში არც იხმარება ბერძნული ან რომაული დიპტჰონ-ის, δῆπιχον, ტრიპტჰა-ს (triptycha),

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 28.

პოლუპტყჩა-ს (polyptycha) ფარდი ერთეულები. იშვიათია ნათარგმნ ძეგლს გამომყოფილი ბერძნული დიპტყქონი, რომელიც დაცულია „ეპიფანე კვიპრელის ცხოვრების“ ქართულ თარგმანში: „ვითარცა ესმა ესე სოლსა მას თეოგნოსტისსა, რამეთუ მიელო მას ყურმ იგი, მამინ დაწერა მან დიპტყქონსა და მიუძღუნა იოვანეს, რამეთუ იოვანე უყუარდა ფრიად მეფესა“ (საქ. წიგნ., II, თბ., 1966, გვ. 136). სამაგიეროდ, ძალიან მიღებული იყო ქვის ფილები წარწერებისათვის. ძველი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების უდიდესი ნაწილი სწორედ ქვაზე გამოყვანილი ან ასო-ნიშნითა ამოჭრით, ჩაღრმავებით ანუ შთაწერით, ანდა ამობურცვით, ზედაპირზე ამომალღებით ანუ გა-მოქანდაკებით. ასეთი წარწერიანი ქვა შეიძლებოდა მოთავსებული ყოფილიყო ეკლესიის ან სხვა შენობის კედელზე ან იატაკზე.

დიდი მოცულობის ტექსტების აღბეჭდვა მაგარ საწერ მასალაზე არა თუ რთული, არამედ რეალურად შეუძლებელი იყო. ამიტომ მწიგნობრული კულტურის წინსვლამ აუცილებლობით მოითხოვა რბილი საწერი მასალის შექმნა. რადგან ასეთმა მასალებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს მწიგნობრული განვითარების საქმეში, ცოტა ვერცაღ მოვიყვანთ ცნობებს მათ შესახებ.

ა) პაპირუსი ანუ ჰილი. ბერძნები პაპიროს-ს (πάπυρος) უწოდებდნენ ერთ-ერთ მცენარეს, რომელიც ხარობდა ეგვიპტისა და პალესტინის მიდამოებში მდინარის ჭაობიან სანაპიროებზე და გამოიყენებოდა რბილი საწერი მასალის დასამზადებლად. ამავე მცენარეს მეორენაირად ბერძნები ბიბლიონ (βίβλιον) სიტყვითაც გამოხატავდნენ. ბერძნებისაგან პაპირუს სიტყვა რომაელებმა და შემდგომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შეითვისეს ამ მცენარისაგან და მზადებული საწერი მასალის აღნიშვნულ ტერმინად. თვით ბერძნები თავდაპირველად მცენარე პაპირუსისაგან და მზადებულ საწერ მასალას ქარტეს (χάρτης) სიტყვით აღნიშნავდნენ, შემდგომ (V ს.-დან) კი – ამ სიტყვით საერთოდ ყოველგვარ საწერ ფურცელს გამოხატავდნენ. ამ მნიშვნელობით შევიდა ეს სიტყვა სხვა ენებშიც (ლათ. charta, არაბ. cirta, სომხ. քարտէս), მათ შორის ქართულშიც. ქარტა ძველი აღთქმის წიგნთა ძველ ქართულ თარგმანშია უკვე ნახმარი: „მოიღენ წიგნი სხუა და დაწერეთ ყოველნი ესე სიტყუანი, მყოფნი ქარტასა შინა ..., თქუა უფალმან: შენ დასწუ ქარტამ ესე“ (იერ., 36,28-29). ქარტა ასევე ნახმარია ორიგინალურ ქართულ თხზულებებშიც, რაც მიანიშნებს, რომ ეს ნასესხები სიტყვა დამკვიდრებული ყოფილა ძველ ქართულში: „მამინ მოიღო სპარსთა მეფემან ქარტა და დაწერა კელითა თუსითა წიგნი ბერძენთა მეფისა სიყუარულისა და ჩინება საზღვართა“ (ქართ. ცხ., I, 1955, გვ. 183); „ხოლო მომეკენა მე, უღირსსა ამას, ქარტამ იგი ღედაკაცისაა მის, რომელი-იგი შთამედეა ფარაგსა შინა წმიდისასა და ვარქუ ვისმე, ერთსა მღვდელთაგანსა, აღმოღებად და განხილვად“ (აგ. ძეგ., II, 1967, გვ. 200-201).

მართალია, თავდაპირველად ბერძნულში ქარტეს და ბიბლიონ ჰილის (პაპირუსის) მცენარეს, შემდგომ კი ამ მცენარისაგან და მზადებულ საწერ მასალას აღნიშნავდა, მაგრამ მერმე სინონიმებს შორის განსხვავება

დამყარდა: ქართველ საწერი მასალის გამოხატველი შეიქმნა, ბიბლიონ (ბიბლიოს) კი – თვით ნაწერისა, ხელნაწერი წიგნისა. რადგან პაპირუსისაგან ანუ ქარტისაგან დამზადებულ ხელნაწერს არსებითად გრაგნილის სახე უკონდა (ფურცლები ერთმანეთზე იყო მიკერებული და მერმე დახვეული), ბიბლიონ (ბიბლიოს) სიტყვას გრაგნილის მნიშვნელობაჲ მიენიჭა. მეორეს მხრივ, რადგან ქარტა, როგორც ჭილის ერთი ფურცელი, ჩვეულებრივ საკმარისი იყო რაიმე საბუთის – დოკუმენტის შესადგენად, მან მოგვიანებით მიიღო საბუთის მნიშვნელობა. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა დადასტურებულია ერთი აპოკრიფული თხზულების ძველ ქართულ თარგმანში: „პრქვა მას იოვანე: განაღლინენ ყოველნი სახლისა შენისა გარე, და ვითარ იქმნა ესე, აჰა რომანა, და აქუნდეს ქარტანი, რომელთა პრქვან სყიდულებაჲ ჩუენი, და დააგლო თაჲი თჳსი ფერქთა თანა იოვანისთა...“¹

პალეოგრაფიული შრომებიდან ცნობილია პაპირუსის ანუ ჭილის საწერი მასალის დამზადების ტექნოლოგია: მყენარე პაპირუსის გოტებს წყალში ალბობდნენ, რომ კანის გაცლა ადვილი ყოფილიყო. სქლად კანგაცილილი ღეროს თეთრ შუაგულს კარგად მჭრელი დანით თხელ, თითის სიგანის, ფენებს ააცილიდნენ. ასეთ თხლად ანათალ ზოლებს სველ ფიცარზე ერთმანეთის გვერდით დააღაგებდნენ და მათ კიდეებს წებოთი აერთებდნენ. მერმე ზემოდან გადამკვეთად დააფენდნენ ასეთივე თხელ ანათალებს, კიდეებით შეერთებულებს. შემდგომ თხელ ანათალთა ორ ფენას ისე მაგრად წნებდნენ, რომ ერთ ფენად ქეუელიყო, მუდაპირს აპრიალებდნენ და მელნის შემრობის საწინააღმდეგო სითხეს გადააულებდნენ. შემდეგ საბოლოოდ ამრობდნენ.

ქრისტიანობამდელ (წარმართულ) ხანაში პაპირუსის საწერი მასალა აღმოსავლეთის ქვეყნებში (განსაკუთრებით ეგვიპტეში) ფართოდ იყო გავრცელებული, მას მოგვიანებით არაბებიც ხმარობდნენ (ჭილზე ნაწერი არაბული დოკუმენტები მოღწეულია VII საუკუნის აქეთ). შემდგომ პაპირუსი პერგამენტმა თანდათან განდევნა, მაგრამ პაპირუსს არსებობა პერგამენტის ბატონობის ხანაშიც არ შეუწყვეტია. IV-V საუკუნეების საიმპერატორო და საქალაქო ქარტიები ჭილზეა შესრულებული. ხოლო პაპის კანცელარიაში ჭილმა XI ს.-მდე გაძლო. ამის საფუძველი ის იყო, რომ კანცელარიაში შედგენილ საბუთს არსებითად ერთი ფურცელი ესაჭიროებოდა.²

ძველ საქართველოში ჭილის საწერი მასალა მიღებული არ ყოფილა (ჩანს, მისი შექმნა იოლი არ იყო). ჩვენამდე მხოლოდ ორიოდე ჭილზე შესრულებულმა ქართულმა ხელნაწერმა მოაღწია და ისიც პალესტინური წარმოშობისაჲ: ერთია ფსალმუნის შემცველი, რომლის ორი ფურცელი, პორფირ უსპენსკის მიერ 1850 წ. სინიდან ჩამოტანილი, დაცულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში (სხვა ნაწილი ამ ძველი, IX საუკუნის ხელნაწერისა დაკარგულად ითვლება), მეორეა ე.წ. „ჰილ-ეტრატის იადგარი“ საბა-წმიდის

¹ ქართული ევრსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, ტექსტები გამოსაყვამად მოამზადა, გამოკლეუა და ლექსიკონი დაურთო, უ. ჟურციკიძემ, თბ., 1954, გვ. 30.

² О. А. Добняш-Рождественская, История письма в средние века, Петербург, 1923, гв. 23; მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული გერმინები, თბ., 1978, გვ. 30.

ღაერისა (X-XI სს.). ეს ხელნაწერიც პ. უსპენსკის ჩამოგანილია, 1923 წლამდე ინახებოდა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში, დღეს დატულია საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-2123), ტექსტი გამოცემულია ა. შანიძის, ა. მარტიროსოვისა და ა. ჯიშიაშვილის მიერ 1977 წ. ხელნაწერი შედგება 10 ფურცლიანი რვეულისაგან, რომლის ფურცლები მოგი ეტრატისაა (გარე ფურცლები), მოგი ჳილისა (უფრო შიდა ფურცლები), რაოდენობრივ ჳილის ფურცლები ჳარბობს (ხელნაწერი სულ 313 ფურცელს შეიცავს).

ყველაზე გავრცელებული საწერი მასალა ძველ საქართველოში ეტრატი იყო.

ბ) პერგამენტი ანუ პტრატი. პაპირუსის პარალელურად აღმოსავლეთის ქვეყნებში უძველესი დროიდანვე ხმარობდნენ საქონლის გყავისაგან დამზადებულ საწერ მასალას, რომელსაც ადრე ბერძნულ წყაროებში დიფტერა (διφτέρα) ერქვა, რომაულისაში – მემბრანა (membrana), შემდგომ კი მას ეწოდა პერგამენონ (περγαμηνον) მცირე ამიის ქალაქ პერგამონის მიხედვით, სადაც განსაკუთრებით იყო დაწინაურებული გყავეულისაგან საწერი მასალის დამზადების ტექნოლოგია და მზა ნაწარმი მრავალ ქვეყანაში გაქონდათ გასაყიდად. პერგამენონისაგან ნაწარმოებმა გერმანულმა პერგამენტ-მა (pergament) უფრო გაიკაფა გზა პალეოგრაფულ ტერმინოლოგიაში. თუ თავიდან პერგამენტი მეტოქეობას ვერ უწევდა პაპირუსს, II-IV საუკუნეებისათვის უკვე პირველობას ართმევს მეტოქეს, ე.ი. მისი მონოპოლიის ხანა, როგორც აღნიშნავენ, ემთხვევა წარმართული ლიტერატურის ქრისტიანულით შეცვლის პროცესს. პერგამენტს პაპირუსზე უკეთესი თვისებები ქონდა: უფრო გამძლე და ისე მოქნილი იყო, რომ მისი დიდ წიგნად შეკერვა-აკინძვა შეიძლებოდა. ამიტომაც ქრისტიანულმა მღვდელთმსახურებაში, რომელიც ვრცელ ტექსტებს ეყრდნობოდა, კარგად გამოიყენა პერგამენტის ღირსებები თავისი ხელნაწერი წიგნების შესაქმნელად. შემთხვევითი არაა, რომ ქრისტოლოგიური ძეგლების უდიდესი ნაწილი პერგამენტზე შექმნილი და აღბეჭდილი.¹

ცნობილია პერგამენტის დამზადების ტექნოლოგია. მას, ჩვეულებრივ, ცხვრის, ხბოს, თხის ან ირმის გყავისაგან აკეთებდნენ. ჳერ გყავს კირიან წყალში დებდნენ დასალბობად, რომ ბალნის მოშორება გაადვილებულიყო. ფიცრის მუდაპირზე გადაჭიმულ რბილ გყავს კარგად მჭრელი იარაღით პარსავდნენ, შემდეგ ისე კირიან წყალში დებდნენ გყავის მუდაპირის სრულიად მოსასუფთაებლად. დარბილებულ გყავს მავრად გადაჭიმავდნენ ბრტყელ მუდაპირზე, რათა სითხელე შესძენოდა. გამშრალ გყავს სილბოს მისაცემად ცხიმით ან ქონით გაპოხავდნენ, მელნის დაჭერის მიზნით კი შაბისა და კვერცხის ცილის მინარევისაგან დამზადებულ ემულსიას წაუსებდნენ, ხოლო სითეთრის მოსამატებლად კირს ან ცარცს წაუსვამდნენ. მიუხედავად ამისა, პერგამენტი მუქი, თხის ფერისა რჩებოდა.

¹ E.M. Thompson, The Greek and Latin Palaeography, London, 1906, გვ.54.

ძველად პერგამენგის წარმოება ქ. პერგამონის გარდა მაღალ დონეზე იყო დაყენებული საბერძნეთსა და იტალიაში, შემდგომ საფრანგეთსა და ასევე იტალიაში. დას. ევროპის ქვეყნებში X ს.-დან მოყოლებული თითქმის ყველა დიდ სამონასტრო ლიტერატურულ ცენტრს პერგამენგის საკუთარი გამკეთებლები ჰყავდა, მათ პერგამენარიუს-ებს ეძახდნენ.

რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოში? ან რას ეძახდნენ ძველად ტყავის საწერ მასალას? ივ. ჯავახიშვილის სწორი აღნიშვნით, „საქართველოში ძველად ყველა სხვა საწერ მასალაზე უფრო ტყავი ყოფილა მიღებული“¹. მართლაც, მე-11 საუკუნემდე პერგამენგს საქართველოში მოცილე არ უჩანს და ყველა ხელნაწერი მასზეა შესრულებული. მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ზომის ხელნაწერ წიგნს 80-100-მდე ცხერის ან ხბოს ტყავი სჭირდებოდა და, ამდენად, ის საკმაოდ ძვირიც იყო, ეგრატი არაეკონომიურად, ადგილის დაუმოგავეად, უხეად და, ასე ვთქვათ, ესთეკურად არის მოხმარებული: დატოვებულია ფართო ამიები, დაუწერელი სექციები და სხვ. მაგრამ ეს ფაქტი ქართული მწიგნობრული ხელოვნების მხოლოდ ესთეკურ მხარეს კი არ წარმოაჩენს, ის უნდა მიანიშნებდეს იმასაც, რომ პერგამენტი მხოლოდ შემოტანილი კი არაა, ძირითადად ადგილზე უნდა ყოფილიყო დამზადებული. შემთხვევითი არაა, რომ 1365 წელს, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული დაქვეითების ხანაშიც კი, ავეგარომ ბანდაისძე თავის ერთ-ერთ ხელობად ეგრატის შექმნას ასახელებს: „წყალობითა ღმრთისაჲთა მომეცა თუნიერ მოძღურისა კელოვნება (=ხელობა – კ.დ.) ესეითარი: პირველად კელი – სწავაჲ ხუცობისაჲ, კელი მეორე – მწიგნობრობისაჲ, კელი მესამე – წერაჲ ხუცურისაჲ, კელი მეოთხე – შექმნა ეგრატისაჲ, კელი მეხუთე – შეკრება წიგნისაჲ, კელი მეექვსე – მხატვრობაჲ“... (A-575, 155r). არც ისაა შემთხვევითი, რომ ქართულ წყაროებში მოიხსენიება ეგრატის წარმოებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ადგილობრივი ტერმინები. X-XI საუკუნეთა ქართულ ხელნაწერებში დადასტურებულია ქსელი ეგრატი, რომელიც ერთ ნაჭერ, ერთ ფურცელ ეგრატს აღნიშნავს. ათონის მონასტრის ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში (ბლეიკის აღწერილობით, №20-ში) ეგრატის დამზადების გამოსახატავად ნახმარია ეგრატის კამმეჲ („ამის წიგნისა ეგრატი ყოველი მას უკამმეჲს“). ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ზოგჯერ ლაპარაკია ეგრატზე შაბისა და კვერცხის ცილისაგან დამზადებული ემულსიის წასმის თაობაზე, რომ ტყავის შედაპირს წებოვანება მომატებოდა მელან-საღებავის დასატერად. ყოველივე ეს გვაუჩქრებინებს, რომ საქართველოში ძველად ეგრატის დამზადების ტექნიკა მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში პერგამენგის მნიშვნელობით უპირატესად ნახმარია ეგრატი, ხოლო ტყავისაგან დამზადებული წიგნის მნიშვნელობით იშვიათად წიგნი ტყავისაჲ-ც მოიხსენიება: „ამათა სწავლანის“ წიგნი ტყავისაჲ გადმოსცემს შესაბამისი ბერძნული ტექსტის დიბტჩა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 31.

ს. ამავე ძეგლის X ს.-ის ქართულ ხელნაწერებში ნახმარია ეკრატა: „მაშინ ვარსკულაენი ვითარცა ჟურცელნი დამოცუენ, და მშშ და მთოვარე დაბნულდენ, და ცაჲ წარიგრაგნოს, ვითარცა ქსელი, ერთი ეკრატა და შეიძრას ქუეყანა ყოელით კერძოვე“.² იოვანე მოციქულის აპოკრიფულ „ცხოვრებაშიც“ ეკრატა ქარტის გვერდითაა მოხსენიებული: „ბრძანა იოვანე შეკრებაჲ ყოველთა ძმათაჲ და აღმოკითხვად მათა სახარებაჲ იგი. და რომელი-იგი ეკრატას ზედა იყო, პურობად იგი პატემოს ჭალაკსა, ხოლო ქარტაჲ იგი – წარღებად ეფესოს ქალაქსა“.³

ეკრატა ქართულის აღმოსავლურ კილოებში, კერძოდ, ხევსურულსა და გუდამაყრულში ატრატაი/ატრატა-ს სახითაა შემორჩენილი, რომელიც, ა. შანიძის განმარტებით, „მაგარ ქალაღს“ ნიშნავს.⁴

ეკრატის ეტიმოლოგია მთლად ნათელი არაა. ივ. ჯაეახიშვილი ვარაუდობდა მის კავშირს ეთრათ სიტყვასთან, რომელიც, საბაას განმარტებით, ბარათს აღნიშნავდა. შეკლევარი არ გამოორიცხავდა ეკრატ-ის მიღების ორ გზას – აეთრათ-ის ზეპირი გზით ნასესხობას ბერძნულიდან, კერძოდ, ბერძნული εθρατα-ისგან, რომელიც „გაუხრწნელს“, „გაუფუჭებელს“ აღნიშნავდა, და მეორეს – ეკრატ-ის უშუალოდ ბერძნული აფთარატოს-ის ფონეტიკურ ნაირსახეობად მიჩნევას.⁵ მაგრამ ამ ვარაუდის გაზიარებას აბრკოლებს როგორც ფონეტიკური, ასევე სემანტიკური მხარე. ეკრატ ტერმინის წარმომავლობის ახსნის ცდა წარმოადგინა მ. სურგულაძემ. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ იოვანე მოციქულის აპოკრიფულ „ცხოვრებაში“ ნახმარ ეკრატს სომხურენოვან რედაქციაში ჰეკრატკ (ჰეჩირაკს) შეუფარდებოდა. ამდენად, საცნაური გახდა ქართული ეკრატ-ისა და სომხ. ჰეკრატკ-ის საერთო წარმომავლობა ოთხფურცლედის ანუ რვა გვერდის, ე.ი. რვეულის აღნიშნული ბერძნული ჰეკრადიონ-ისაგან (მდრ. ბერძნ. τετραδνιον, რუს. тетрады).⁶ ეს დაკავშირება ანგარიშგასაწევია. ჩანს, ადრე ნასესხებ ბერძნულ სიტყვას ქართულში ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილება განუცდია: ჰეკრადი → ჰეკრატა-ი (ასიმილაცია) → ეკრატა (დისიმილაციური დაკარგვა). სიტყვას მნიშვნელობაც გაფართოებია: თავიდან ოთხფურცლედს ანუ რვა გვერდის შემყველ ტყავზე ნაწერს აღნიშნავდა თურმე, შემდგომ კი – განუსაზღვრელი ზომის ნაწერს ტყავზე ანუ ზოგადად ტყავზე ნაწერს.

ბ) ქალაღი. ქალაღის სამშობლოდ ჩინეთი ითვლება. ჩინური მატიანის ცნობით, ვიღაც მოხელე წაი-ლუნს 105 წელს გამოუგონია ქალაღი. ჩინელები თურმე კარგა ხანს საიდუმლოდ ინახავდნენ ქალაღის წარმოების

¹ მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 31.

² მამათა სწავლანი, გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 93.

³ ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ..., გვ. 89.

⁴ ბეს. გაბუერი, ხევსურული მასალები: „წელიწდეული“, I-II, 1924, გვ. 258; 262.

⁵ ივ. ჯაეახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 33.

⁶ მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 33.

ტექნოლოგიას. მაგრამ VIII საუკუნის შუაწლებში არაბებს ტყვედ ჩაეპარდნო ჩინელისაგან გაუგიათ ქალაქის დამზადების წესები და მალე თავადაც გაუშპოხესებიათ ტექნოლოგია: სითეთრის მისაცემად ჯერ კირიან წყალში ჩამბალი¹ და შემდგომ გამძრალი ჩეარ-ძონძების ნაჟქვისა და წებოს ნარევიტ დამზადებული ქალაქის წარმოება გაუმრდიათ, ღირებულება გაუიაჟებიათ და 790-იანი წლებისათვის უკვე ქ. ბაღდაღში ქალაქის სახელმწიფო ქარხანა აქონიათ. ქალაღღე ნაწერი უძველესი არაბული ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამღე მოაღწია, მე-9 საუკუნის II ნახვერისაა (ჩინური წარმოების ქალაღღი უფრო ადრეული ხანის, IV საუკუნისა არის მოღწეული). არაბეთიდან ქალაღღი ეეროპაში უპირველესად ესპანეთში შევიდა (XI ს.), ხოლო ესპანეთიდან დას. ეეროპის სხვა ქვეყნებში (საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში...). მე-14 საუკუნიდან დას. ეეროპაში ისე გაერყელდა და გაიაჟდა ქალაღღის წარმოება, რომ არსებითად ეგრავი განღვენა ხმარებიდან (ამ უკანასკნელმე მხოლოდ განსაკუთრებული, საზვიმო დანიშნულების ტექსტებს წერღნენ). ივ. ჯავახიშვილის სიგყეებით, „ქალაღღის გაკეთების ტექნიკა არაბებმა შეიმუშავეს და საქალაღლო მასალის, ჩერების დამღისა, გაწმენღისა, გათეთრებისა, წისქვიღში დაჟქვისა და შემღეგ წებოთი შემტკიცების ყოვეღგეარი ღონეობა-სამუაღღებანი, თვით ქალაღღის მავთულმავგარი პირეუღის მქონებულ ფურცლებად ჩამოსხმაც და ქალაღღის შეფერადებაც კი ეეროპელებს არაბებისა და აღმოსავეღეთისაგან აქვეტ შეთვისებული. სამუაღლო საუკუნეებში ეეროპელებმა ამ ტექნიკაში ის შესყეაღღეს, რომ აღმოსავეღეთში მიღებული მცენარეუღობის წებოს მაგიერ უფრო მაგარი, ცხოვეღთაგან შემზადებული წებოს ჩართვა დაიწყეს. ამან ეეროპულ ქალაღღს უფრო მეტი სიმტკიცე და სიმავრე მიანიჭა. იმ დროს, როღღესაც მონღოღთა გამანადგურებელი შემოსევისა და ბატონობის წყაღობით აღმოსავეღეთი კულტურული დაქვეითების გზას დააღღა, დასავეღეთი ეეროპა ჰბბუკური სიმხნით წარმატების გზას იკაჟავდა. ქალაღღის წარმოებაშიც აღმოსავეღეთის მოწაჟემ, დასავეღეთმა თავის მასწავღღებღს ისე აჯობა, რომ აღმოსავეღეთს მოწაჟეობაც აღარ შეეღღო“.²

საქართვეღოში ქალაღღის არსებობა და ხმარება VIII საუკუნიდან უნდა სყოღნოღათ: ამას გვაჟიქრებიღნებს ის გარემოება, რომ VII საუკუნიდან მოყოღებული აღმოსავეღეთ საქართვეღოში არაბები ბატონობღნენ და არაბებში მიღებული ქალაღღი ქართვეღებისათვის უცნობი არ დარჩებოღა. მაგრამ ჟაქტი ისაა, რომ ქალაღღმე შესრუღებული ძვეღი ქართული ხელნაწერები XI საუკუნისაზე უადრესი არაა მოღწეული. ამ საწერი მასაღღის აღმნიშენელი ტერმინიქ ქართულს არაბული ენისაგან აქეს ნასესხები: XI-XIV საუკუნეთა ქართულ ხელნაწერებში ნახმარია არაბულ გამოთქმასთან ზუსტად მღღომი ქაღღად, ხოლო XIII საუკუნიდან ამ ფორმის პარაღღელურად გამოყენებულია ქაღღად-იყ. თვით არაბები ქაღღად-ის გარღა ხმარობღნენ ჟარაკ-ს („ჟოთოღლს“) და ბერძნულ ქირტამ-საყ (χάρτης). მართაღია,

¹ С. А. Фотисв, Технология бумаги, т. I, М.-Л., 1933.

² ივ. ჯავახიშვიღი, ქართული პაღეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 37.

„ვეფხისტყაოსანში“ ნახმარია „ქალაღლი“ („მე გული მენი ქალაღლიად გულსავე ჩემსა ვაწები“, 1222კ) და ეფრემ მცირის ანდერძშიც („ლოცვა ყავთ იოვანესთუს ხუცისა მთავარაჲს ძისა, რომელმან არა დაგვმურვა თუსი ქალაღლი სასურელად და პური სამრდელად, თანადგომითურთ თუსით“, Jer. № 13 (რ. ბლეიკის აღწერილობით), 249რ, მაგრამ პირველი ძეგლი XVII საუკუნის აქეთა ხელნაწერებით, ხოლო მეორე XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის ხელნაწერთაა მოღწეული. ამიგომ სწორია ვარაუდი, რომ თავდაპირველად ეფრემ მცირის ანდერძში და „ვეფხისტყაოსანშიც“ „ქალაღლი“ ტერმინის უფრო ძველი „ქალაღ“ ფორმა უნდა იყოს ნახმარი.¹ დავიმოწმებთ ორივე ფორმისათვის რამდენიმე მაგალითს: „მამათა ცხოვრების“ ტექსტის შემეცეულ ერთ-ერთ მე-11 საუკუნის ქართულ ხელნაწერში (A-1105) დაპირისპირებულია ეტრატი და ქალაღლი და ნათქვამია: „და ამის ჯერისათუს თქუეს ნეტართა მამათა ჩუენთა, რამათა არა წერდენ უდაბნოსა ამას მყოფნი მწერალნი ცხორებათა და სიკუუათა წმიდათა მამათასა ეტრატსა ზედა, არამედ ქალაღლსა ზედა, რამეთუ ეგულების მომავალსა ნათესავსა ახოცაჲ ცხორებასა წმიდათა მამათასა და დაწერად სხუასა რასმე, ნებისაებრ მათისა“ (32რ). XIII საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის (H-1347) მინაწერი გვაუწყებს: „ვაი, ქალაღლი, დაგსუარე, ეგრე უძილსა, მე გადამკვრია ბისტი, შენცა იჭირვოდი (26რ). XIV საუკუნის H-1760 ხელნაწერის 150v-ზე მინაწერია: „აქა პერპერის ქალაღლი გათავდა“.

დანამდვილებით დღესაც არ არის დადგენილი, ჰქონდა თუ არა საქართველოს XI-XIV საუკუნეებში (და უფრო ადრეც) ქალაღლის საკუთარი წარმოება. მართალია, არის ვარაუდი, რომ თითქოს „ძველ საქართველოში საკუთარი ქალაღლი ჰქონიათ. საამისო წარმოება აქ დიდად განვითარებული ყოფილა. თავისი ძირითადი თვისებებით (სისქე, სიმკვრივე, სითეთრე და სხვ.) ქართული ქალაღლი არც ერთი სხვა ქვეყნის საუკეთესო ქალაღლს არ ჩამოუვარდებოდა“.² ეს XI-XVIII საუკუნეების ქალაღლზე შესრულებულ ქართულ ხელნაწერთა მასალობრივ დახასიათებას შეეფერება, მაგრამ ვერ არკვევს ამ მასალის წარმომავლობას. რ. პაგარიძის აზრით, რაც ხელნაწერთა ჰვირნიშნებსა და სხვა პალეოგრაფიულ ნიშანთა შესწავლას ეფუძნება, შუა საუკუნეების საქართველოში ქალაღლი სხვა ქვეყნებიდან შემოქონდათ: XIV საუკუნიდან – იგალიიდან, ხოლო XV საუკუნის აქეთ მოკიდებული – იგალია-ვენეციიდან და დამასკოდან.³ ამდენად, თუ გვიანდელ ხანაში საქართველოში მხოლოდ სხვა ქვეყნებიდან შემოგანილ ქალაღლს ხმარობდნენ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქალაღლის საკუთარი წარმოება უფრო ადრე ჩვენში არ იქნებოდა. თანაც, XIV საუკუნემდე ქართულ წერ-

¹ რ. პაგარიძე, ქალაღლის დამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში: პალეოგრაფიული ძიებანი, I, თბ., 1965, გვ. 48.

² კ. გრიგოლია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გამაშველვეი, თბ., 1951, გვ. 16.

³ რ. პაგარიძე, XIV-XV სს. ქართული ხელნაწერების ჰვირნიშნები: პალეოგრაფიული ძიებანი, I, თბ., 1965, გვ. 119.

ილობით წყაროებში არაერთი ცნობა არაა შემონახული ქალაქის წარმოებასთან დაკავშირებით.

მაგრამ ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ, როგორც რ. პატარიძემ გარკვევა, XVI საუკუნის დასაწყისიდან ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში დატულია საინტერესო ცნობები, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ ამ დროიდან მოყოლებული სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ნახევარფაბრიკატი ქალაქის (ე.წ. ბომბიციის) საბოლოო დამუშავება (გახამება, გასარკევა-გაპირალება) თვით საქართველოში ხდებოდა. ეს შეეხება როგორც აღმოსავლურ, ასევე ევროპულ ჰეირნიშნიან ქალაქს.

ქალაქის გახამებისათვის იხმარებოდა სახამებელი, კვერცხის ცილა, ბრინჯის ნახარში ან ფქვილი, შაბი და მცენარეული ან ცხოველური წებო. ასეთი ნარევისაგან დამზადებულ ხსნარში ამოვლებული ქალაქის ფურცელი იძენდა მელნის შეწოვის საწინააღმდეგო თვისებას. გახამების შემდეგ ხდებოდა ქალაქის გალესვა ანუ ხორკლიანი ზედაპირის გასწორება პირადაა ზედაპირიანი ძელის ან ემეის დაჭერით. მხოლოდ ამის შემდეგ იძენდა ქალაქი სიმკაცრეს, ზედაპირის სისწორეს და მელნის გაუტარებლობის თვისებებს. ქალაქის დამზადების პროცესის ასეთი „შეთავება“ მიღებული იყო ნახევრადდამუშავებული ქალაქის შემსყიდველ ქვეყნებში, კერძოდ, თურქეთში, სომხეთში და საქართველოშიც. XVI საუკუნის და მის აქეთა ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში სხირად არის ცნობები ქალაქის გახამებისა და გალესვის თაობაზე: „ეს ერთი რეული ელისაბედ გამილესა“ (A-1522, 308r, მე-16 საუკ.), „ამ ახლის ქალაქის მლესაესა პეტრეს შეუნდევს ღმერთმან“ (იქვე, 173v), „ღმერთო, შეიწყალე სულია კაპეტივაძე, კერძო-ლიაქონი, რომლისა ხელითა ილესებოდა ქალაქი ესე“ (A-186, 558r, მე-17 საუკ.), „ეს ქალაქი გაუხამებელი არის და მოსწრაფებითა დაიწერა“ (S-1249, 350v, მე-16 საუკ.). ერთ-ერთ ხელნაწერში (S-1513, მე-16 საუკ.) ქალაქის გამხამების სინონიმად მწებავი არის ნახმარი: „ღმერთო, შეიწყალე ამ გულანის მწებავი და მლესავი – იოანე კალანდაძე“ (203r).

დამუშავებულ (გაუხამებელ-გაულესავ) ქალაქს გადამწერები „ავ ქალაქს“ ეძახდნენ, ასეთ ქალაქს, როგორც იცოდნენ, მელანი „გაუკდებოდა“ ან მასში მელანი „გაფარდებოდა“: „რა ავი ქალაქი იყო... კელი წამიხდინა“ (K-128, 21r), „ვაამე ცოდვილსა, რა ავი ქალაქი არს, ასრე კელი წამიხდინა“ (Q-657, 17r), „კელის უნდოებისათჳს ნუ დამწყევთ, წმიდანო ღმრთისანო, ქალაქი ავი იყო, ამის უკეთესი კელი არ მოიყვანა, თუ არა ჩემით მრავალ მოვიჭირვე“ (Q-39, 260r).

ჩვეულებრივ საქართველოში თეთრ ან მოთიხისფრო ქალაქს ხმარობდნენ. მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოდან გვხვდება ფერადი (ლურჯი და მწვანე) ქალაქი, რომელიც მეტწილად რუსეთიდან შემოქონდათ.

2. სანწარი იარაღები. საწერი იარაღების რაობას არსებითად საწერი მასალის ბუნება განსაზღვრავდა, იცვლებოდა საწერი მასალა, იცვლებოდა საწერი იარაღებიც. ცხადია, მაგარ საწერ მასალაზე ასო-ნიშნების გამოყვა-

ნას ასევე მაგარი (ლითონის, ძელის) იარაღი სჭირდებოდა. მაგარ მასალაზე ასოების აღბეჭდვა ორგეარად შეიძლებოდა: ჩაღრმავებით, ამოჭრა-ამოკაწვრით ანუ „შთაწვრით“ და ამოწევა-ამობურყვით, მასალის ზედაპირზე ამომადლებით ანუ „გამოქანდაკებით“. ძველ ქართულ წყაროებში სათანადო ტერმინებითაა გამოხატული მასალის სიბრტყეზე ასოთა განსხვავებულად გამოკვეთის პროცესი: „ყოფთა იუღამსი შთაწერილ არს მკერდსა ზედა ფიცრისა...“ (იერ., 17,1G), „[ზარზმის ეკლესია] ვითარცა აღეშენა შგომთურთ ვიდრე სარკუმელთამდის დაილია ოქრო[ა] იგი კაცისა[ა] მის, სადა-იგი გამოქანდაკებით ქადაგებს, ვითარმედ: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ და მიტურთავს ჯუარი ქრისტესი. და იყო, ვითარ გასრულდა სარკუმელამდე, გამოხატეს თუთ მიქაელცა ორთა მათ თანა კალატოზთა ზედა სარკუმელსა აღმოსავლისასა“ (6. ვაჩნაძე, სერაპიონ ბარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, 184,12).

მაგარ მასალაზე ასოთა გამოსაყენ იარაღს ფრჩხილი ადამანტისა ერქვა: „ყოფთა იუღამსი შთაწერილ არს ნაწერსა შინა რკინასა შინა ფრჩხილითა ადამანტისათა“ (იერ., 17,1G).

საწერ იარაღს, განსაკუთრებით რბილ მასალაზე გამოსაყენებელს, ქართულში ზოგადად საწერელი ერქვა. ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნის ძველ ქართულ თარგმანში ნათქვამია: „მიიღე შენდად გრაგნილი ქარტისა ახლისა... და დაწერე მას ზედა საწერელითა“ (ეს., 8,1). ქართული „საწერელის“ ფარდად ბერძნულ წყაროებშია ყოფილ, სომხურში – ვიქს („კალამი“). მართალია, ბერძნული ყოფილ ზედაპირველად ლითონის ან ძელის წვეტიან, ცვილოვან დაფაზე საწერ იარაღს აღნიშნავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რბილი პაპირუსის მასალა შემოვიდა ხმარებაში და მასთან ერთად ლერწმის კალამი, ბერძნული ყოფილ და ყოფილს, τχιστς უკვე „ლერწმის კალამის“ მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა¹. ამდენად, შემოთდასახელებულ ადგილას ქართული „საწერელი“, ბერძნ. „გრაფის“ და სომხ. „გრიი“ ქარტაზე (ე.ი. პაპირუსზე) დასაწერ ლერწმის კალამს უნდა აღნიშნავდეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც რბილ საწერ მასალაზე ასოთა გამოსაყენად კონკრეტულად ლერწმის ლეროსაგან დამზადებული იარაღი, ე.წ. კალამი გაჩნდა, საწერელ სიტყვამ თავისი ეტიმოლოგიური სტრუქტურის შესაფერისი მნიშვნელობა მიიღო და ზოგადად საწერი საშუალება – მელანი და კალამი – გამოხატა, როგორც ეს სულხან-საბას განმარტებითაც დასტურდება („საწერელი მელან-კალამი“). „ნინოს ცხოვრების“ ტექსტში ნათქვამია: „მოხოლო-იხუნეს საწერელნი სალომე უეარმელმან და სივნიელმან პეროეერი და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს“ (აგ ძეგ., 1,1963, გვ.106).

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით², საწერელ სიტყვამ XVII-XVIII საუკუნეებში მელან-კალამისა და საერთოდ მთელი საწერი მოწყობილობის მნიშვნელობა მიიღო: „საწერელი ერთი კარგი და პატიოსანი (=ძვირფასი –

¹ E.M. Thompson, The Greek and Latin Palaeography, London, 1906, გვ.49; მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 49.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 42.

კ.დ) თევზის კბილისა ოქროს რაზმებითა და მისის იარაღითა – მაკრაგლითა და ყალბამ-თარამითა“; „საწერელი სადაფქარისა ერთი, ვერცხლის თავით და გაწყობილობით“. ე.ი. საწერელი მთელ საწერ კომპლექტს აღნიშნავდა. რომელიც ზოგჯერ მდიდრულად იყო შემკული. ხან თევზის კბილისა კეთდებოდა, ხან სადაფისაგან, დასაკეცი რაზმები ქონდა, შიგ, ამ საწერი იარაღის საცაემში, თვით იარაღის გარდა, მთელი „გაწყობილობა“ ელაგა: ლერწმის ნაჭრები, რომ ძველი გაცვეთილ-დამოკლებული საწერი იარაღის მაგიერ ახალი გაეკეთებინათ, აგრეთვე: მაკრაგელი და ყალბამთარამი ანუ „კალმის გამოშვრელი დანა“. მაგრამ ასეთი მნიშვნელობით ეს სიტყვა უფრო აღრეულ ძეგლებშიცაა დადასტურებული: „გამოუჩნდეს საზნი ანგელოზნი ღმრთისანი წმიდასა სუმონს და დადგეს გარემოსა მისსა და აქუნდა თითოეულსა საწერელი ბრწყინვალე, ვითარცა ოქროჲ კელთა მათთა“ (კიმენი, I, 1918, კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 237). აქ ქართული საწერელი გადმოსცემს ბერძნული გექსტის καλαμαριον-ს, რომელიც აღნიშნავს საკალმე-სამელნეს ანუ მთელ საწერ მოწყობილობას¹ (მდრ. ამავე მნიშვნელობის სპარს. ყალამდან).

მოგვიანებით (XVIII ს.-დან), „საწერელის“ მნიშვნელობით „საწერ-კალამი“ შემოდის. ამ მნიშვნელობით აქვს ეს სიტყვა დ. ვურამიშვილს ნახმარი („მოსთხოვა გურგენ მდივანსა ქალაღი, საწერ-კალამი“).

რბილ საწერ მასალაზე (ჭილზე, ეტრაგზე, ქალაღზე) გექსტის დასაწერად ძველად უპირატესად ხმარობდნენ ლერწმის ლეროდან გამოჭრილ კალამს. კალმის დამზადებას დიდი მნიშვნელობა ქონდა ნაწერის გარკვეული სტილის დასაყვად. არაბეთსა და სპარსეთში კალიგრაფთა სახელმძღვანელო გრაქტიკებზე არსებობდა. მათ მიერ შემუშავებული წერის სხვადასხვაგვარი მანერა (სტილი) სხვადასხვაგვარად გამოჭრილ კალმებს მოითხოვდა.² კალმის წერის გათლასა და გამოჭრაზე ქართულ წყაროებშიცაა ცნობები, რომლებშიაც ლაპარაკია ნოტრის (სომხ. „წერილი ნაწერი“), ხუკურის და მქედრულის კალმებზე: „არაოდეს აღმიწერიეს ხუკურის წერით წიგნი რომელიმე მიმგებითა, მიმგებითა ამით, რომელნიცა არა უწყოდი ხუკურთა კალამთა და ასოთა გამოცდილებით დანაკუეთება, და ამისთუს ნუ მყოფთ უმადლოებასა ქუემდებარე უმესაბამოთა ასოთა ნაკუეთათოჲს“ (S-1148, 83v), „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ბერი, უღირსი თეოდოსი, ამენ, მქედრულის კალმით“ (H-1349, 94r).

რადგან ეტრაგზე შესრულებული ხელნაწერები ქართული მწიგნობრობის თითქმის დასაწყისიდანვე გვაქვს, კალამი ასევე ძველი ხმარებისა უნდა იყოს (მდრ. ხანმეტი პალიმფსესტები VI-VII სს.). ეს სიტყვა ქართულს ბერძნული ენისაგან აქვს ნასესხები და ჯერჯერობით X საუკუნისა და მის აქეთა ხელნაწერებშია დადასტურებული (ბერძ. κάλαμος „ლერწამს“ და მისგან დამზადებულ საწერ იარაღსაც ნიშნავს): „[უსალმუნნი] დაწერნა კალამმან ღმრთისაგან დავით, სულისა მიერ წმიდისა“ (ქრონიკ., I, 100), „კალამი მიების

¹ მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული გერმინები, თბ., 1978, გვ. 50.

² Казин-Ахмед, Трактат о каллиграфиях и художниках, Л., 1956, გვ. 116.

კელსა მას დაკუთილსა და წერნ“ (კიმენი, I, 1918, გვ. 94). „ტანი კალმად მაქეს, კალამი ნაველთა ამონაწები“ (ვეფხ., 1223,2).

მართალია, X საუკუნის ერთ-ერთ ძეგლში („მამათა სწავლანი“, 1955, გვ. 130) „კალამი რკინისაჲ“ გვხვდება, მაგრამ თხზულება ნათარგმნია და სრულებით არ მიანიშნებს იმას, რომ ამ დროისათვის საქართველოში ლითონის კალამს ხმარობდნენ. ლითონის კალმები საქართველოში გვიან, XVIII საუკუნის აქეთ არის გამოყენებული და ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არც გასაკვირალია, რადგან, თუ დასავლეთ ევროპაში ლითონის კალმები XVI საუკუნის უწინარეს არა სჩანს, სამაგიეროდ აღმოსავლეთში ცნობები მათი არსებობის შესახებ საშუალო საუკუნეებშიც კი გვხვდება და ამიგომ შესაძლებელია საქართველოშიც ფოლადის კალმის არსებობაზე უფრო ადრინდელი ცნობაც აღმოჩნდეს“.¹

ღერწმის კალამს დას. ევროპაში ადრევე (V ს.-დან) გაუჩნდა მოცილე – ფრინველის ფრთის კალმის სახით. საქართველოში კი გვიან, ე.წ. აღორძინების ხანაში, კერძოდ, XVII-XVIII საუკუნეებიდან, მოიხსენიება ფრთის კალამი (ცნობილია მწიგნობარ ონანა მღიენის სიტყვები „ბარამიანიდან“: „კალამს მიმიდაეს ფრინველი, ოდეს ფრთა დავარდებისა“).

3. საწერი საღებავები (მელნები). კალმის შემოღებას თან მოჰყვა საწერი საღებავები, მელნები, რომლებიც მეტწილად შავი ან წითელი, იშვიათად მწვანე ფერისა იყო. ეგვიპტის პაპირუსებზე ნაწერები ცხადყოფენ, რომ ადრევე მაღალი ხარისხის შავი საღებავის დამზადება სყოფნიათ, როგორც ფიქრობენ, კვარტლის, წებოს, წყლის და სხვა ნარევისაგან. ძველ ეგვიპტელს გოგირდისა და ვერცხლისწყლის მინარევისაგან შემზადებული წითელი მელნით უხმარიათ საწერში საგანგებო აღნიშვნებით, უფრო სათაურებისა და აბზაცებისათვის. წითელი მელნის გამოყენების ეს წესი ეგვიპტელთაგან ბერძნებმა და რომაელებმა, ხოლო ამ უკანასკნელთაგან ქრისტიანულმა სამყარომ შეითვისა. რადგან სათაურებს რომაელები მეტწილად წითელი მელნით წერდნენ, წითლის აღმნიშვნელ *rubrum*-ს დაეფუძნა სათაურის გამომხატველი *rubrica* (ეტიმოლოგიურად „წითური“, რეალურად „წითელი მელნით ნაწერი“ ან მოგადად „სათაური“).

თუ დღეს ქართულში მელანი ყველა ფერის საწერ საღებავს აღნიშნავს, ძველად მხოლოდ შავ საწერ სიტხეს ერქვა და ეს გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ მის ისტორიას: მელანი ნასესხებია ბერძნული ენიდან, სადაც *μέλας* უპირველესად შავს ნიშნავს და შემდგომ შავ საწერ საღებავსაც. ძველ ქართულში მოგადად საწერი საღებავის მნიშვნელობით წამალი იხმარებოდა. იერუსალიმის საპატრიარქო წიგნსაცავის №64 ხელნაწერის მინაწერი გვაუწყებს: „მრავალ საღებავიერად მკუდრი ჯოჯობეთისა ყოვლად უბადრუკი თადეომ, და უცბად ჩხრეკისათუს ნუ დამწყევთ, წამალი მედა დგებოდა და მეტი ვერა ვქმენ“ (რ. ბლექი, აღწ., პარიზი, 1924-26). უფრო კი მიღებული იყო კონკრეტული ფერის საწერ საღებავთა სახელწოდებანი,

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია ..., გვ. 43.

კერძოდ, შაეი საღებავისათვის: მელანი, შაეი, ხოლო წითელი საღებავისათვის: წითელი, სინგური, კინაბარი, ზანდუკი.

საწერი საღებავის ძირითადი სახეობანი „შაეი“ („მელანი“) და „წითელი“ იყო: „სადა წითელი მის, ყოველს ნაკი აქუს, და შაესა არა აქუს ნაკი“.¹ „აწ რომელი წითლითა წერილ არს მარგოდ, რომელი იწყებს რიცხუსა განწესებასა და რაოდენ არს, მას აუწყებს თითოეულად, ხოლო რომელი-იგი მელანითა არს ქუემოწერილი... ამის ყოველისათუს არს კათოლიკმ რიცხუ ყოველისა ამის წიგნისაჲ“: „რომელი-იგი წითლითა არს, აუწყებს, თუ რომლისა თავისა არს, ხოლო რომელი-იგი მელანითა არს, თითოეულად საკითხავთა მათ საძიებელი აქუს. უკუეთუ გინდეს გამოძიების, განწესებული ესე ადვილად კჳოო“.² მაგრამ „შაეი“ და „წითელი“ მარგო საწერ კი არა, სახატავ საღებავსაც ერქვა: „და აჩუენა ჩუენ შორის, მსგავსად ძალისა თუსისა, შემკულობაჲ ყოვლითა, რომლითა იცნობების ცხორებაჲ იგი ჭეშმარიტი, არა წითლითა ბრწყინვალითა, გინა სხუთა წამლითა, რომელი თანაშემზავიან მას შუენიერებისათუს ხატისა, და არცა შაკითა, რომლითა გამოსახნიან წარბნი და თუაღნი სხუთა მათ ფერთა თანა.“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „წამალი“ ზოგადად საღებავს ერქვა (საწერსაც და სახატავსაც). მაგრამ ამასთანავე, როგორც მ. სურგულაძემ შენიშნა,⁴ ის განსაკუთრებული თვისების საღებავიც ყოფილა, კერძოდ, შემადგენელ ნაერთთა დუილით („შემგებრით“) მიღებული და ძნელად გადასაძლელ-აღსახოცელი: „ხოლო დღესა ერთსა იხილა ბერმან მდგომარენი ლოცვად ჩუენებით და კქონდეს ორთავე მათ კელთა ქარტანი დაწერილინი, და დააღვინებეს მათ ცრუებითა მათითა, და ერთისაჲ მის ადვილად აიკოცებოდა, ხოლო მეორისა მის შრომით რაჲ აიკოცებოდა, რამეთუ ჩნდა, ვითარცა წამლითა დაწერილი“ (მღრ. იქვე: „დაშუერ, ძმაო, რამეთუ შემგებრითა წერილ არიან და ძნელად აღიკოცებიან“.⁵

წითელ საწერ საღებავს „წითლის“ გარდა ხშირად „სინგური“ აღნიშნავდა. ხელნაწერი Sin № 16 გვაუწყებს, რომ „სადა სახარებისა თავი არს დასაწყებელი, ესე ქანწილი მის ნიშნად სინგურითა, სადა დასრულდებოდეს, ბოლოჲ ესე ჯუარი მის სინგურითე“ (გვ. 316). სინგურით (წითლით) ჩვეულებრივ სათაურები, მუხლუბის ან აბზაყების დასაწყისი ასოები, საძიებელ-ზანდუკები და ლიტურგიული ტექსტის საგანგებო ადგილები იწერებოდა და თვალსაჩინოებასთან ერთად ნაწერს ესთეგიმზს კმატებდა.

¹ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 102.

² კ. დანელია, ეთაღეს სტიქომგერის ძველი ქართული რედაქციები, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, 1977, გვ. 111-123.

³ უძველესი ქართული რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაისა აგებულებისათუს“. გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1964, გვ. 149-150.

⁴ მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 44.

⁵ შუა საუკუნეების ნოელების ძველი ქართული თარგმანები, I, გამოსცა მ. დვალმა, თბ., 1966, გვ. 38.

ძველ ქართულში „წითლისა“ და „სინგურის“ სინონიმებად ზოგჯერ ნახმარია ბერძნული ტერმინები: „კინაბარი“ და „მანდუკი“, რომლებიც ბერძნული წყაროდან არის გადმოსული ქართულ თარგმანში და, ამდენად, საბოლოოდ ქართულს არ უსესხებია და არ დაუმკვიდრებია. ეს ტერმინები დადასტურებულია „სამოციქულოს“, კერძოდ, პავლეს ეპისტოლეთათვის წამბღვარებული ვეთალე ალექსანდრიელის ფილოლოგიური შრომის, ე.წ. „სტიქომეტრიის“ ძველ ქართულ თარგმანში: „თავთა გამოთქუმაჲ კათოლიკეთაჲ თითოეულთა ეპისტოლეთა პავლემ მოციქულისათაჲ, რომელთაჲ ქონან რამემ ზოგს განყოფანი კინაბართა“.¹ ამავე ძეგლში „მელანს“ (ე.ი. შავ საწერ საღებავს) უპირისპირდება „მანდუკი“ (ე.ი. წითელი საწერი საღებავი): „რომელი-იგი მელანითა არს რიცხუ, რაოდენ არს თავები, მას ხოლო აუწყებს, ხოლო რომელი-იგი მანდუკითა არს, აუწყებს თითოეულისა წიგნისა წამებათა განწესებასა ერთბამად და რაოდენ არს თითოეულსა მას ეპისტოლესა“.² კინაბარი და მანდუკი, როგორც ილ. აბულაძემ აღნიშნა,³ ბერძნული წარმოშობისაა: κινάβαρις, ბ და σάδναξ. ორივე წითელი ფერის საწერ საღებავს აღნიშნავს.

საქართველოში სხვადასხვა დროს ნაირგვარი შედგენილობის მელანი უხმარიათ. მელანს ადგილობრივ ამზადებდნენ და საკმაოდ მაღალხარისხოვნად. VI-VII საუკუნეთა ხანმეჭ პალიმესესტა ნაწერის ქიმიური ანალიზით ი. ქუთათელაძემ ცხადყო, რომ იმხანად რკინის ფხვნილის მინარევით დამზადებული მელანი უხმარიათ. ძველ ქართულში მელნის დამზადების წესებზე რაიმე ცნობა ჯერხნობით დადასტურებული არ არის, XVIII საუკუნიდან კი გვაქვს, განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის „ქიმიის წიგნში“. S-269 ხელნაწერის ერთ მინაწერში მელნის სიავეზე ჩივილით ნათქვამია: „ვინცა ესე ჩემი ნაშრომი წიგნი ნახოთ, ღმრთის გულისათუს, ნუ დამწყევლით და ნუცა მაგინებთ, მის გულისათუს რომ ჯერ სხვაჲ მართებული წიგნი არაფერი დამიწერია, მერმე მართებული მელანი ვიშოვე. სადაც ურიგო კელი ნახოთ, მელნის ბრალია, თუ არა მოსწაველე ვიყავ, მაგრამ უკეთესს კელს ვიქმოდი. კარგი მელნით რატომ არ წერეთ, თუ მიბრძანებთ, აჯასფი ვერ ვიშოვე და ამის გულისა კარგი არა იქნა და ნუ გამიწყრებით“ (320v).

¹ კ. დანელია, ვეთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, 1977, გვ. 123.

² იქვე, გვ. 107.

³ ილ. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი: თსუ-ს შრომები, XXXIX, 1950, გვ. 80.

ლიტერატურა

- ივ. ჩაქახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949.
- რ. პატარიძე, ქალაქის დამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში: პალეოგრაფიული ძიებანი, I, თბ., 1965.
- მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
- ილ. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი: თსუ-ს შრ., ტ. XXXIX, 1950; მეორე გამოცემა: ილ. აბულაძე, შრომები, ტ. II, თბ., 1976.
- Л.В. ЧЕРЕПИН, Русская палеография, М., 1956.
- И.В. ИСТРИН, Возникновение и развитие письма, М., 1965.
- И. ЛАУКОТКА, Развитие письма, М., 1957.
- А.Ю.КАЗИЕВ, Художественно-технические материалы средневековой рукописи, Баку, 1966.
- С.А. ФОТИЕВ, Технология бумаги, т. I, М.-Л., 1933.
- О.А. ДОБИАШ-РОЖДЕНСТВЕНСКАЯ, История письма в средние века, Пет., 1923.

ქართულ ხელნაწერთა ჰვირნიშნები

ქალაღის საღაურობის, დამზადების ადგილის აღსანიშნავად ადრი-დანვე გამოიყენებოდა გარკვეული საქარხნო ნიშნები, ემბლემები ანუ დამ-ლები, რომელთა შემჩნევა მხოლოდ სინათლეზე გახედვით, გაჭვირვით, არის შესაძლებელი, რადგან ისინი საღებავებით არ არის აღბეჭდილი. ასეთ ნიშანს პალეოგრაფიაში ფილიგრანს (ფრანგ. filigrane) ან წყლის ნიშანს (გერმ. Wasserzeichen, მღრ. რუს. водяные знаки) ეძახიან, ხოლო ქართულში ამ მნიშვნე-ლობით ივ. ჯაეახიშვილმა ჭვირნიშანი დაამკვიდრა,¹ რაც ეტიმოლოგიურად ნიშანეს გამჭოლი მგერით დასანახ ნიშანს: ჭვირობა ძველ ქართულში მინაში გატარებულ მგერას ნიშნავდა. „მელქოლ გარდამოჭვრობდა სარკუმელით“ (2 მუჟ. 6, 16P). ჭურ (ჭვირ) ძირს ეს მნიშვნელობა დღესაც შენარჩუნებული აქვს გამჭვირვალე (გა-მ-ჭურ-ვ-ალ-ე) მიმღეობაში.

ჭვირნიშნების ფორმებს, გავრცელებულობას, ქრონოლოგიას და საერ-თოდ მათ ისტორიას სწავლობს პალეოგრაფიის სპეციალური დარგი ფილი-გრანოლოგია.

მართალია, ჭვირნიშნები მიანიშნებდა საღაური და ვისი წარმოებისა იყო ქალაღი და მას საფირმო დამღის და, ამდენად, სასაქონლო-საევაჭრო მნიშვნელობა აქონდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გარკვეული ნიშნები გარკვეულ დროს იყო ხმარებაში, ქალაღის დამზადების მიახლოე-ბითი ქრონოლოგიაყ საცნაური გახდება ამ ნიშანთა ისტორიის გათვალის-წინებით. მაგრამ ქალაღის დამზადების დროის ცოდნას კი არა აქვს იმდენად თავისთავადი მნიშვნელობა, არამედ იმას, რომ ასეთ ქალაღდზე შეს-რულებული უთარიღო ტექსტის რელატური ქრონოლოგია დგინდება. ქალ-აღღის დამზადებასა და ქალაღის გამოყენებას შორის უსათუოდ გარკვეული დრო ივარაუდება. ასეთი დრო ჩვეულებრივ 0-2, 0-6 წელს არ აღემატება. სპეციალისტებს ეს დრო დადგენილი აქვთ ისეთ ხელნაწერებზე დაკვირვებით, რომელთა ტექსტი თარიღიანია და ქალაღი კი - ჭვირნიშნი-ანი. ასე რომ ჭვირნიშნების გათვალისწინებით საკმაო სიმუსკით შეიძლება უთარიღო ხელნაწერების დათარიღებაყ და ეს გარემოება ზრღის ინტერესს ასეთი ნიშნებისადმი.

ფილიგრანების ანუ ჭვირნიშნების ისტორიის ერთ-ერთ ფუძემდებლად შეეცარიელი ს.ბრიკე ითვლება, რომღის ოთხტომიან ნაშრომში (Les fili-granes, Paris, 1907) 16000 ჭვირნიშნის სურათი და მიმოხილვაა წარ-მოდგენილი. ქალაღდზე შესრულებულ ქართულ ხელნაწერებში არსებული ჭვირნიშნები პირველად ეთაყაიშვილმა გახადა დაკვირვების ობიექტად, ხოლო საფუძელიანად შეისწავლა რ. პატარიძემ თავის საკანდიდატო დის-

¹ ივ. ჯაეახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 36.

ერტაყიში „ქართული ფილიგრანოლოგიის ძირითადი საყიოხები“ (თბ., 1967), რასაყ უყუქნება არსებითად ჩენი შრომის ეს ნაწილი.

დადგენილია, რომ ჭვირნიშნები პირველად იგალიურ ქალაღმე გაჩნდა XIII საუკუნეში. საშუალ საუკუნეების საქართველოში ნახმარი ქალაღი აღმოსაეღური, დამასკური და დასაეღური, იგალიური (უფრო ვენეციური) წარმომობისა იყო, კერძოდ, XV საუკუნეში არსებითად დამასკური ქალაღი შემოდოღოდა (იგალიურთან ერთად), მაგრამ XV-XVI საუკუნეთა მიჯნიდან – თითქმის იგალიური ქალაღი ბაგონოს, სპარსული ქალაღი იშვიათია. ეს უკანასკნელი (სპარსული ქალაღი) ჩენში უფრო მოხშირებულია მე-17 საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით კი როსგომ მეფის ღროიდან, 1630-იანი წლებიდან. სპარსულ, ისე როგორც საერთოდ აღმოსაეღურ ქალაღდს ჭვირნიშანი არ ახასიათებს. მე-18 საუკუნის II ნახევირიდან საქართველოში დასაეღეთ ვეროპასა და რუსეთში დამზადებული ქალაღები შემოქონღათ, რომელთაყ ნაირგვარი საფირმო ნიშნები, ემბლემები ქონღათ.

რ. პაგარიძემ ცხადყო, რომ მე-16, მე-17 საუკუნეების მანძიღმე საქართველოში მთლიანად იგალიური ჭვირნიშნიანი ქალაღღია გაბატონებული და აღმოსაეღური ქალაღი ძლიერ იშვიათად გეხეღება. მანვე ქართული ხელნაწერი წიგნებისა და ღოკუმენტების შესწავლისას გამოაეღინა უძველესი, მე-14, მე-15 საუკუნეების იგალიური ჭვირნიშნიანი ქალაღღების არსებობა, გაღმოხატა და დაბეჭღა მათში ნახმარი 42 ჭვირნიშანი.¹ ჭვირნიშნათა რაოდენობა ათასობითია, რომლებიყ შეიღება დაჯგუღვდეს ქვირნიშნათა ვარიანტული ნიშნები (სიმრავლე საკუთრებით ვარიანტული ნიშნები ქმნიან). ერთ-ერთ უძველეს ჭვირნიშნად ბუკის, საყვირის (ყანწისმაგვარი) გამოსახუღება ითეღება, რომელიყ პირველად იგალიურ ქალაღღშია გამოყენებული მე-14 საუკუნის დასაწყისიდან, 1310-იანი წლებიდან, და თითქმის მე-18 საუკუნის ბოლომღე არსებობს არა მარგო იგალიური, არამედ შემღგომ ფრანგული, გერმანული, პოღანღიური წარმოების ქალაღღებში.

ქალაღღის დამზადების ღროის განსამღერისას მნიშვნეღობა აქეს იმას, თუ რა მღებარეობა აქეს ჭვირნიშნის ქალაღღმე, რა დამატებითი ნიშნები აქეს მას დამატებული, როგორია განივი ხაზების ანუ ვერყერების რაობა: ხშირი, მეჩხერი, თუ მსხვილი და წვრილი ვერყერების თანამიმღვერობა და ა.შ.

დადგენილია, რომ XIV-XVI საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში ნახმარია ჭვირნიშან ბუკ-საყვირის სამი სახეობა: მარტივი (XIV ს.), ბუკ-საყვირი თასმით, ე.ი. ძირი და ყელი თასმითაა შეერთებული (XV ს.) და თასმიანი ბუკ-საყვირი წრეში (XVI ს.). მღებარეობით კი ბუკ-საყვირი ქალაღღმე შეიღება იყოს: ვერტიკალური, ღიაგონაღური და პორიზონტალური. ვერყერების (განივი ხაზების) რაობის და ჭვირნიშნის გათეღლისწინებით შესაძლებელი გასღა რამღენიმე უთარიღო ხელნაწერის დათარიღება. მა-

¹ რ. პაგარიძე, XIV-XV საუკუნეების ქართული ხელნაწერების ჭვირნიშნები: პაღლეოგრ. ძიებანი, I, თბ., 1965, გვ. 109-130.

გალითად, რ.პაგარიძემ დაასაბუთა, რომ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი №329 („ქაშნი“), რომელიც XVI-XVII საუკუნეებით თარიღდებოდა, 1330-იანი წლებისა ყოფილა.¹ ასევე ხელნაწერთა ინსტიტუტის H-1760 ხელნაწერი („საკითხავანი დღესასწაულთანი“) მე-15 საუკუნისა კი არა, როგორც მიღებული იყო, არამედ ვერყერებისა და ნამგალ ჭვირნიშნის რაობის გათვალისწინებით ერთი საუკუნით ადრინდელი, 1330-იანი წლებისა აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ხელნაწერში 11 სხვადასხვა ჭვირნიშანია ნახმარი, მათ შორის „მთვარე“ ემბლემის უძველესი, პალეოგრაფიული ცნობარებისათვის უცნობი გამოსახულება (ვერტიკალური მდგომარეობის მოღუნული ჯოხის მსგავსი).

ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad ფონდის №547 საბუთი (ნიკოლოზ მაწყვერელის მორჩილების წიგნი იოვანე ქართლის კათალიკოსისადმი), რომლის თარიღი სადავო იყო, მეჩხერი ვერყერის (გავრცელებული იყო მე-14 საუკუნის შუა წლებში) და ჭვირნიშნის „მსხალი ორი ფოთლით“ საფუძველზე მე-14 საუკუნის შუაწლებით (1350-1370) დათარიღდა.

მემოაღნიშნულთა გარდა XIV-XV საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა ქაღალდებზე აღბეჭდილია ჭვირნიშანთა სხვადასხვა ტიპის გამოსახულებანი:

I. ასო-ნიშნებისა: ლათინური მთავრული „რ ასოსი“ (Ad-522), ლათინური მთავრული „ა ასოსი“ (H-375)...

II. საგან-ნივთებისა: „მაკრაველი განსხვავებულ ღიაობით და სათითურებით, ან წრეში ჩახატული, რომლის თავზე ვარსკვლავია“ (Ad-320, Hd-2082, H-375...), „ზარი სარქმელით“ (H-1335), „სვეტი“ (Ad-601), „ხომალდი“ (Hd-14858), „ღუბა წრეში, ზევით სამყურათი“ („ვეფხ“-ის ახალციხური ფრაგმენტი, მე-16 ს.).

III. სულიერ არსებათა (ან მათი სხეულის ნაწილების): „თხა“ (თხის რქები) (Ad-547), „თეგზი“ (ც.ს.ს. არქ. 1448 ფონდის №64 საბუთი), „ხარის თაგი“ (შვიდფურცელა ყვავილით რქებს შუა, ზევით (Hd-1799, Hd-14903...)).

ადრეულ ჭვირნიშნებში „ბუკ-საყვირთან“ ერთად დომინირებს „ნახევარმთვარე“ (ერთი, ორი, სამი) სხვადასხვა ნაირსახეობით.

I. თავიდან უფრო მიღებული იყო „ერთი ნახევარმთვარე“ სხვადასხვა დამატებითი ნიშნებით:

1. „მარტივი ნახევარმთვარე“ ვერტიკალური მდგომარეობისა (H-1760; მე-14 ს.).
2. „ნახევარმთვარე წრეში, ზედა მხარეზე ჯვრით“ (Q-995), მე-15 ს., H-375, XV-XVI სს.).
3. „ნახევარმთვარე და ზედა მხარეზე ვარსკვლავი წრეში“ (S-312, 1541 წ.) უიშვიათესი გამოსახულებაა.
4. „ნახევარმთვარე სხივოსანი“. ღია ნაწილით ზევით პირშექცეული მთვარის ქვედა ზურგზე ხუთი „სხივი“ გამოდის, იშვიათად ხმარებული ემბლემაა (ქუთ.ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმის №38 ხელნაწ., XVI ს.).

¹ რ. პაგარიძე, XIV-XV საუკუნეების ქართული ხელნაწერების ჭვირნიშნები: ..., გვ. 111.

5. „ნახევარმთვარე ლათინური M ასოთი“ (ქუთ. ისტ. ეთნოგრ. მუზეუმის № 38 ხელნაწ., XVI ს.). ამ ჭვირნიშანს ახლავს კონტრმარკა: ორი ლათინური მთავრული ს ასო (S), რომელთა შემაერთებული პორიზონტალური ხაზის შუაში აღმართულია ყუნწისაკენ დავიწროებული „სამყურა“ (ქუთ. ისტ. - ეთნოგრ. მუზეუმის № 38 ხელნაწერი, XVI ს., A-674, XVI ს.), ასეთი ჭვირნიშანი, რ. პატარიძის ცნობით, ფილიგრა-ნოლოგიურ მეცნიერებაში ჯერ ცნობილი არ არის.¹

II. „ორი ნახევარმთვარე“ ძალიან მიღებული იყო დას. ევროპის ქვეყანათა ქალაქის ჭვირნიშნად, მაგრამ საქართველოში იშვიათად არის გამოყენებული ასეთი ემბლემაანი ქალაქი. ამ ჭვირნიშნის ორი არასრული გამოსახულების (ვერტიკალური მდებარეობის ორ ნახევარმთვარეს ქვედა ნახევარი აკლია) (Hd-1679, 1627 წ., Hd-14.448, 1627 წ.) და ერთი სრული მოხაზულობის ნიმუშს რ. პატარიძემ მიაკვლია ცსსა 1448 ფონდის № 548 დოკუმენტში (1622 წ.) და უიშვიათეს ნიმუშებს წარმოადგენენ.²

III. „სამი ნახევარმთვარე“ („Tre lune“) მეტად გავრცელებული იყო XVII-XVIII საუკუნეებში ბალკანეთსა და მახლობელ ქვეყნებში, ასევე საქართველოში. რაოდენობისა და ნაირგვარობის მხრივ ეს ჭვირნიშანი ყველას აჯარბებს. ის სამი ემბლემატური გამოსახულების ნაირგვარი კომბინაციაა, რომელიც დროთა განმავლობაში იცვლის მდებარეობას ქალაქის ზედაპირზე. რ. პატარიძემ ქართულ ხელნაწერებში დადასტურებულ ჭვირნიშან „სამი ნახევარმთვარის“ ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად მოხაზულობა კი არ აიღო, არამედ მისი მდებარეობა-განლაგება ფურცლის ზედაპირზე, კერძოდ, მისი პოზიცია შეუღ-ვერტიკალურ ანუ პონტიუზობის შორის; დამსმარე საკლასიფიკაციო საშუალებად გათვალისწინებული იქნა ემბლემის დამხმარე ნიშანი ლიგერი ანუ კონტრმარკაც (ლიგურებად ჩვეულებრივ ლათინური მთავრული A, B, C, D ასოები რეალიზებული). იმის მიხედვით, სამი ნახევარმთვარე რამდენ შეეულს (სამ, ოთხ, ხუთ, ექვს) როგორ (სრულად, ნაწილობრივ...) იკაეებს, გამოყოფილია 14 ჯგუფი, ხოლო იმის მიხედვით, თუ რა კონტრმარკა და დამატებითი ჭვირნიშნები ახლავს მას, – 6 ძირითადი ჯგუფი: 1. „სამი მთვარე“ კონტრმარკითა და კონტრმარკის გარეშე ვერტიკალურების ჯგუფში. 2. „სამი მთვარე“ ზედწოდებით „Tre lune“. 3. „სამი მთვარე“ დამატებითი ნიშნებით ემბლემატიკაში. 4. „სამი მთვარე“ დამატებითი ჭვირნიშნით. 5. „სამი მთვარე“ დამატებითი ნიშნით ემბლემატიკაში და დამატებითი ჭვირნიშნით. 6. „სამი მთვარე“ რთული ჭვირნიშნის კომპონენტია“.

გავრცელებულობით „ნახევარმთვარის“ შემდეგ ჭვირნიშანთაგან გამოირჩევა გვირგვინი, რომელსაც ახასიათებს სხვადასხვა ემბლემატური

¹ რ. პატარიძე, ჭვირნიშანი „სამი მთვარე“ XVII-XVIII სს. ქართულ ხელნაწერებში: პალეოგრ. ძიებანი, II, თბ., 1969, გვ. 61.

² რ. პატარიძე, ჭვირნიშანი „სამი მთვარე...“, გვ. 62.

ფორმები და ზოგჯერ დამატებითი კომპონენტი, ვარკვლავი, მთვარე, ვარსკვლავ-მთვარე ან უიმათოდ.¹

რ. პატარიძემ XVI-XVIII საუკუნეთა ქართულ ხელნაწერებში ჭვირნი-მან „გვირგვინის“ 40 სახესხვაობა გამოავლინა, რომლებიც ძირითადად 5 ჯგუფად დაყო:

- I. მარტივი გვირგვინი, დამატებითი კომპონენტების გარეშე. შედარებით იშვიათი გამოყენებისაა, XVII ს. დასაწყისის ხელნაწერებშია.
- II. გვირგვინი ვარსკვლავით (ცენტრალური ქიმის თავზე). მე-16 ს.-ის ჭვირნიშანია (ქუთ. ისტ.-ეთნოგ. მუზ., ხელნაწერები № 1,2,4,5,8,13).
- III. გვირგვინი ვარსკვლავითა და ნახევარმთვარით (ეს უკანასკნელი ვარსკვლავის ვერტიკალური ქიმის თავზეა ზურგით დაყრდნობილი). ყველაზე გავრცელებული ჭვირნიშანია XVII-XVIII საუკუნეებში, ხშირად ახლავს კონტრმარკაც (A-160, 472, S-27, A-620...).
- IV. გვირგვინი ვარსკვლავითა და ნახევარმთვარეებით (სულ სამი ნახევარმთვარეა, ერთი ვარსკვლავის ვერტიკალური ქიმის თავზე, ორი კი – გვირგვინის კიდურა ქიმების თავზე). ეს ორიგინალური და უნიკალური ნიმუშია. ქართულში დადასტურებულია ერთხელ (A-57).
- V. გვირგვინი ნახევარმთვარით (ეს უკანასკნელი გვირგვინის ცენტრალურ ვერტიკალურ ქიმს ეყრდნობა ზურგით). ეს ნიშანი ჩნდება მე-17 საუკუნის ბოლოდან (Hd-10921, Q-56, H-1448...).

აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მე-17 საუკუნის ფრაგმენტულ (10 ფურცლის მემკვიდრე) ხელნაწერში (S-1418) სამი სხვადასხვა ჭვირნიშანია გამოყენებული: 1. ფართოდ გავრცელებული „გვირგვინი ვარსკვლავ-მთვარით“ და ორი უიშვიათესი ჭვირნიშანი: 2. „სამი გორა ჩიგით“, 3. „აღღვომის კრავი“ ფიგურალურ ფარზე.

მე-18 საუკუნიდან საქართველოში უხშირიათ რუსული წარმოების ჭვირნიშანიანი ქაღალდები, ასევე მე-19 საუკუნის წარმოებისა. რუსული ქაღალდის ჭვირნიშნები არსებითად აბრევიატურული ანუ ლიტერულია და მეწარმის ეინაობას აღნიშნავს. ხშირად ჭვირნიშნებთან ერთად ქაღალდზე აღბეჭდილია დამზადების წლებიც. ასეთი ჭვირნიშნების საგრძნობი ნაწილი გამოავლინა რ.პატარიძემ XVIII-XIX საუკუნეთა ქართულ ხელნაწერებში.²

რუსული წარმოების ქაღალდებში ჭვირნიშნად გამოყენებული ლიტერებიდან დავასახელებთ რამდენიმეს:

ЯМСЯ (=Ярославская мануфактура Саввы Яковлева). ქაღალდი ამ ლიტერით ქ.აროსლავში გამოდიოდა 1764-1788 წლებში (H-964), საწარმოს შექაგრონე იყო სავა იაკოვლევი.

¹ რ. პატარიძე, ქართული ხელნაწერების ჭვირნიშანი „გვირგვინი“ XVI-XVIII სს.: „მრავალთავე“, II, თბ., 1973, გვ. 210.

² რ. პატარიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჭვირნიშნები: „მრავალთავე“, V, თბ., 1975, გვ. 56-76.

ЯМВСЯ (=Ярославская мануфактура внуков Саввы Яковлева). გამოყენებულია ხელნაწერში Q-296, №44 საქ. სახ. ცენტრ. საისტ. არქივის 1446 ფონდისა.

РФЯ (=Ростовская фабрика Ивана Яковлева). გამოყენებულია ხელნაწერში Q-296. ამავე ხელნაწერშია გამოყენებული ВМСРБ (=Вятской мельницы содержательница Прасковья Бедарсва). ჰეირნიშნად თარიღებიცაა გამოყენებული Q-296-ში, ესაა 1787 და 1788.¹

УФНСР (=Угличская фабрика наследников Попова). გამოყენებულია ხელნაწერში Н-66. ჰეირნიშნად თარიღი 1830-ც არის ნახმარი.

УФЛР (=Угличская фабрика Лаврентия Попова). გამოყენებულია ხელნაწერში S-1727. ქალაღს ჰეირნიშნად თარიღიღ უმის: 1823, 1824.

ФКНГ (=Фабрика князя Николая Гагарина). გამოყენებულია ხელნაწერებში: Н-412, ქალაღს ჰეირნიშნად სამი თარიღიღ უმის: 1829, 1830, 1832, №425 საქ. სახ. ცენტრ. საისტ. არქივის 1446 ფონდისა. ლიღერს თარიღიღ ახღავს 1838.

РФАВ (=Переделская фабрика Аврама Баташева). გამოყენებულია ხელნაწერში №537 საქ. სახ. ცენტრ. საისტ. არქივის 1446 ფონდისა. ლიღერს თარიღიღ ახღავს – 1825.

აღსანიშნავია, რომ „ეეფისღყაოსნის“ გვიანღელ ხელნაწერში (S-2315) სღვადასღვა წარმოების ქალაღღებია გამოყენებული და, ამღენად, ოთღი აბრეღიაღურა-ღიღერია რეაღღებული:

1. ЯМГЯ (=Ярославская мануфактура господина Яковлева).

2. МОФЕБ (=Московской округи фабрика Елизаветы Баташсвои).

ღიღერებს თარიღებიღ ახღავს – 1810, 1811, 1813.

3. КФММ (=Кинешевская фабрика Маркела Мешанникова). ლიღერს თარიღიღ ახღავს – 1822.

4. ЯБМЯ (=Ярославская Большая мануфактура Яковлева). ლიღერს თარიღიღ ახღავს – 1822.

XIX საუღუნის II ნახეღრიღან ჰეირნიშნების გამოყენება ქალაღღის წარმოებაში საღრძობღად იღღებს და XX საუღუნის დასაწყისისათღის არსებითად ქრება. როღორღ აღინიშნა, ქართულ ხელნაწერებში გამოყენებული ქალაღღები და მათი ჰეირნიშნები უღსო წარმოშობისაა, არსებითად – იღალიური, მოღვიანებით დას. ეღროღული და რუსული. საქართვეღოში XV-XVI საუღუნეთა მიღწიღან და განსაღუთრებით XVII საუღუნიღან სღარსული ქალაღღიღ გამოიღენებოღა, მაღრამ უღეირნიშნოღ. ქართული სამწერღობო ჟულღურის ისღორიისათღის გარღვეული მნიშვნეღობა აქღს XVI-XIX საუ-

¹ რუსული ქალაღღების ჰეირნიშნები საღუღელიანდაა მღსწაველიღ: Н.П. Лихачев, Бумага и древнейшие бумажные мельницы в Московском государстве, С.-Пб., 1891; მისიღე, Палеографическое значение бумажных водяных знаков, ч.1, С.-Пб. 1899; К. Тромонил, Знаки писчей бумаги, М., 1844; С.А. Клепиков, Филиграния и штемпели XVII-XX вв., М., 1959.

კუნეების წარმოების ქაღალდთა ჭვირნიშების ისტორიის ცოდნას, რადგან ამ პერიოდის დაუთარილებელ ქართულ ხელნაწერთა რელატიური ქრონოლოგიის დადგენა ხშირად მხოლოდ ჭვირნიშების გათვალისწინებითაა შესაძლებელი.

ლიტერატურა

ივ. ჯაპახიძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

რ. პატარიძე, XIV-XV საუკუნეების ქართული ხელნაწერების ჭვირნიშები: პალეოგრ. ძიებანი, I, თბ., 1965.

რ. პატარიძე, ჭვირნიშანი „სამი მთვარე“ XVII-XVIII სს. ქართულ ხელნაწერებში: პალეოგრ. ძიებანი, II, თბ., 1969.

რ. პატარიძე, ქართული ხელნაწერების ჭვირნიშანი „გვირგვინი“ XVI-XVIII სს.: „მრავალთაფი“, II, თბ., 1973.

რ. პატარიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჭვირნიშები: „მრავალთაფი“, V, თბ., 1975.

რ. პატარიძე, ქართული ხელნაწერების ჭვირნიშები: „საბჭოთა ხელოვნება“, № 1, 1967.

В.С. НИКОЛАЕВ, Водяные знаки Османской империи, София, 1954.

Н.П. ЛИХАЧЕВ, Бумага и древнейшие бумажные мельницы в Московском государстве, С.-Пб., 1891.

С.А. КЛЕПИКОВ, Филиграния и штампы XVII-XX вв., М., 1959.

წერასა და ხელნაწერი წიგნის
ღამგაღებასთან დაკავშირებული საკითხები

1. „წერა“ ტერმინის მნიშვნელობისათვის. წერა, როგორც ასო-ნიშნებით ნააზრვეის გამოხატვა, ურთულესი პროცესია და ოდენ „კალმის მოსმა“ (საბა) არ არის. ისტორიულად წერა მაგარ მასალაზე ასო-ნიშნების აღბეჭდვას, ამოკვეთას, ამოჭრას, ჩაჭდევას გულისხმობდა და ამიტომ ბევრ ენაში პალეოგრაფიული ტერმინი „წერა“ ეტიმოლოგიურად ამოკაწერა-ამოფხაჭნას გამოხატავდა. ასეა ეს, მაგალითად, ბერძნულში, სადაც ყიძჩა („ეწერ“) თავიდან აღნიშნავდა „ეკაწრავ“, „ეჩხელეგ“. ასე ჩანს ეს ქართულშიც. ივ. ჯავახიშვილის სწორი შენიშვნით, „წერის“ თავდაპირველი მნიშვნელობა დაცული უნდა იყოს ამავე ძირის ისეთ სიტყვაში, როგორცაა „მწერი“ (ეტიმოლოგიურად „მჩხელეტი“) ან „წერტილი“ (ე.ი. „ნაჩხელეტი“).¹ შეიძლება დაგვემატებინა, რომ „ჩხელეგის“ მნიშვნელობის „წერ“ ძირის შემცველია ძველ ქართულში გაერყელებული წრტიალი, წრტიალება (<წერ-ეტიალ-ებ-ა), რომელიც ხშირად სენთან დაკავშირებითაა ნახმარი და, ამდენად, „სენი წრტიალი“ იგივე ჩხელეგის შეგრძნების გამომწვევი ავადმყოფობაა. საჩხელეგის (ღების) მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვას რუსთაველიც:

ცხენი გაქუსლე, იქმოდის მამბი ხმასა და ხრიალსა,

ველარ მიუსწარ, გამესწრნეს, რამომცა ესეემლი წრტიალსა“ (628,2).

ჭრის, კვეთის შინაარსი წერ ძირს ღღესაც შერჩენილი აქვს სიტყვა „წერაქეში“, რაც თავიდან ქვის საკვეთს, საჭრელს აღნიშნავდა.

„წერა“, „გამოწერა“, „მოწერა“ ზოგადად რაიმე ნიშნის გამოყენებას აღნიშნავდა, და ამდენად, გასაგებია, რომ ამავე ფორმებს ხატვის, საგნის, მოვლენის ხატის აღბეჭდვის, გამოხატვის შინაარსი გამოეხატათ. ეს კარგად ჩანს ძველ ქართულში: „და მევიდა არიოსაგოს საკურთხეველად იგი ხოლო მარტომ ადგილსა, რომელსა წერილ იყო ღმერთი უცნაური და ღმერთი ღმერთთა“ (A-19, 179f). „... ხატსა რომელი გამოიწერის კელოვანთაგან მხატვართა, რამთა განაკურენენ კაცნი“.² მორთვა-მოკაშმვის, მეტაფორულად მოხატვის მნიშვნელობითაა ნახმარი მოწერა ამ კონტექსტში: „უკუეთუ გიხილავს ღამესა წმიდასა მუენებაჲ იგი ვარსკულაეთაჲ მიუთხრობელი, განგიზრახავს განმზადებელისა ზისთჳს ყოველთაჲსა, თუ ვინ მოწერნა ცანი ესევეითართა ყუავილითა“.³ საბა ორბელიანისთვისაც მოწერა მორთული, მოხატულის მნიშვნელობისა იყო: „წმიდის მართას ღვდათ მონასტერი მაჩვე-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 47.

² უძველესი ქართული რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა ღღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის „თარგმანებისა კაცისა აგებულებისათჳს“, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1964, გვ. 186.

³ იქვე, გვ. 77.

ნეს. მომცრო ეკლესია იყო, მაგრამ უცხოელ შემკული იყო, სულ მოწერილი, მარმარილოთი იყო აშენებული, კედელი, სვეტი, თუ ხატის ყდები“ („მოგზაურობა ევროპაში“, 203,22).¹

გამოსახულების გამოსახატვის მოგადი შინაარსის დაიწროების შედეგად წერამ მიიღო დღევანდელი, წერის ე.ი. ასო-ნიშნების გამოსახატვის მნიშვნელობა, ჯერ მაგარ მასალაზე, შემდგომ რბილ მასალაზე გამოყვანილისა. მაგარ მასალაზე ასო-ნიშნები ორგვარად გამოისახებოდა: „შთაწერით“ ანუ „აღმოკოდით“ (ე.ი. ჩაღრმავებით) და რელიეფურად, ამოწვევა-ამობურცვით ანუ „გამოქანდაკებით“. ვინც წარწერას წერდა, მას ჩვეულებრივ წარმწერელი ერქვა, ხოლო ვინც მოდიღო ან ვრცელ გექსტს წერდა ან გადაწერდა, მას მწერალი, დამწერელი ან მწიგნობარი ერქვა. ცნობილი ომკის ბიბლიის 978 წლის ხელნაწერი სამ „მწერალს“ ანუ გადამწერს გადაუწერია, როგორც ეს ანდერძშია აღნიშნული: „დაიწერა წმიდაა ესე წიგნი კელითა სამთა მწერალთა: მიქაელისითა, გიორვისითა და სტეფანესითა“.² ასევე 973 წლის განთქმული პარხლის ოთხთაეის გადამწერი იოანე ბერა ანდერძ-მინაწერებში თაეის თაეს „მწერლად“ მოიხსენიებს: „ქრისტე, შეიწყალე ბერაი მწერალი, ამენ“; „უფალო იესუ ქრისტე, ცხოველთა და მკუდართა მეუფეო, შეიწყალე იოვანე ბერაი, მწერალი ამისი“; „მე, იოვანე ბერამან, მწერალმან მაგბერდელმან, მაგბერდს დაეწერე და პარხალს შეეწირო სალოცაყად ძმთა მაგბერდელთა. ყოველნი აკურთხენინ ღმერთმან“.³

გადამწერის მნიშვნელობით მოგჯერ (არა ხშირად) დამწერელიც იხმარებოდა. მაგალითად, XI საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში ნათქვამია: „ქრისტე, შეიწყალე სული სტეფანესი, ამის წიგნისა დამწერელი-საჲ“. კიდევ უფრო იმეითად იხმარებოდა მწიგნობარი, რადგან ამ უკანასკნელს სხვა მნიშვნელობები (საღმრთო წიგნთა მცოდნის ან მღივან-მოხელისა) ჰქონდა. ივ. ჯავახიშვილს გადამწერის მნიშვნელობით მწიგნობარი დამოწმებული აქვს „პანსოფი ალექსანდრიელის ცხოვრების“ ქართული თარგმანიდან: „ემმაკი იგი იქმნა სახედ მწიგნობრისა და კელთა აქუნდა ქარგაჲ და აღსწერდა სიგყუასა მას“ (Keimena, I, 56).⁴

მამასაღამე, „წერის“ მნიშვნელობის ცვლა დამოკიდებული იყო წერის პროცესთან დაკავშირებული გარემოს ცვლასთან: კაწერა → ჳრა → ამოკვეთა → ხატვა → წერა. პალეოგრაფიულ ტერმინში დღეს მხოლოდ ბოლო მნიშვნელობა მოიაზრება.

გადამწერის მნიშვნელობით (უფრო იუდად გადამწერისა! ოლონდ მოგჯერ ეს თავმდაბლობით იყო ნათქვამი) იხმარებოდა მხხრეკელი (მხხრეკალი და მხხიბაჲი, მხხაბაჲი. ხოლო თვით არასათანადო, ნაჩქარევ ან ულამაზო

¹ ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანიევილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959.

² მ. ჳუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 1983, გვ. 142.

³ იქვე, გვ.126.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 48.

წერას ჩხრეკა და ჩხიბვა ჩხაბვა ერქვა. ძველ ხელნაწერებში ხშირადაა ლაპარაკი იმაზე, რომ ესა თუ ის წიგნი „დაიჩხრიკა კელითა“ ვინმე გადაშწერისა, რომ შეუნდონ მავან მწერალს „უცბად“, „ჰაქად“ ან „უნდოდ“ ჩხრეკისათვის. სამართლიანად აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, რომ „ასეთ შემთხვევაში „ჩხრეკა“ წერასა ნიშნავს, თორემ ცუდად წერის მნიშვნელობა რომ პქონოდა, „ჰაქად ჩხრეკა“ ხომ ორი ერთნაირი სიტყვის გამეორება იქნებოდა“.¹ აღსანიშნავია, რომ ბეშთაშენის ეკლესიის XII საუკუნის ლაპიდარულ წარწერაშიც არის ჩხრეკა წერის მნიშვნელობით დადასტურებული: „სახელითა ღმრთისათა ეს ეკლესიაჲ ჩუენ გურგენიძეთა ავაგეთ ერისთავისა ვახტანგის ბრძანებით, თანადგომით სალოცველად მათთვის. ქუაბს შემოაწია ოთხი ღღის ყანაჲ, ჩაიწერა ეამის წირვით... მღვდელი ვინცა შიგან ეამს წირვიდეს, ვინ შეუცვალოს, ღმერთმან მიაგოს. გურგენ მღვდელმან დაწერე ცოდვილმან, უცბად ეჩხრიკა“.²

ჩხრეკა მშინისაგან ნაწარმოები მიმლეობა მჩხრეკალი (მჩხრეკალი, ცხადია, გადამწერის, მწერლის მნიშვნელობისა იყო. ხშირადაა სინის მთის ქართულ ხელნაწერებში მოხსენიებული „მჩხრეკალი იოვანე მოსიმე“, „მიქელ მჩხრეკალი“, „მიქელ უცბად მჩხრეკალი“ და სხვ. XIII საუკუნის ხელნაწერში (A-922) ნათქვამია: „ამისსა მჩხაბაქსა გაბრიელს შეუნდენ ღმერთმან“. ხოლო XVIII საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში მოხსენიებულია „მჩხიბავი მთავარ-ეპისკოპოსი ევდემონ“.

მაგრამ ზემოდასახელებულ სიტყვებს სხვა მნიშვნელობებიც უქონდათ. ჩხრეკა, როგორც ეს მისი ეტიმოლოგიით იყო მოსალოდნელი, ხელნაწერის ქექებას, ძიებას, შესწავლა-შეფასებას ნიშნავს, ხოლო ჩხიბვა, როგორც საბა აღნიშნავს, „გრძნობით შეკვრას“, სიურუეც, ჩხაბვა კი – აე, ცუდ წერას. იოვანე-მოსიმე ხშირად ასეთ „მჩხრეკალად“ მოიხსენიებს თავის თავს ანდერძმინაწერებში: „მომმადლნა უფალმან დაწერად ლაერასა და უდაბნოსა წმიდისა ცოდვილისა და მშობელთა და ძმათა ჩემთა, ყოველთა მოკეთეთა, მოლუაწეთა ჩემთათუს. აწ გევედრები მე, გლახაკი ფრიად ცოდვილი მომგებელი და მჩხრეკალი ამისი იოვანე, თქუენ, ყოველთა ღმრთის მოყუარეთა და ძმათა ჩემთა, რომელნი იმსახურებთ ამათ იადგართა, მოგუკსენენით ჩუენ ცოდვილნი“.³ ერუს მნიშვნელობით მჩხიბავი ნახმარია ნათარგმნ ტექსტებში: „არა ვიდრე ხუდე ამიერთი, არცა დასჯდე, არცა მშუდობით იყო, ვიდრემდე არა მომუე ვეცხლი ჩემი, მჩხიბაო ეპიფანე“;⁴ „მეცდომილ ხარ სამე და წარწყმედილ, უკუეთუ ნანდულ ჯგონებთ, ვითარმედ მჩხიბავისა იმის მიერ ბოროტი რაჲმე მოიწია თქუენ ზედა“ (Sin. 46, 171 v).

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 50-51.

² გ. ბაქრაძე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც ისტორიული წყარო: საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XX-B, 1959, გვ. 64.

³ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 68.

⁴ საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1966, გვ. 164.

საფიქრებელია, რომ „ჩხიბვაშ“, რომელსაც ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში წერის, გადაწერის მნიშვნელობა აქონდა, გვიან შეიძინა ცრუს გაგება და ამ შინაარსთა შერწყმით „უცლად წერის“ აღმნიშვნელი გახდა.

2. წარის მანერა ანუ ხელწ. მრგლოვან სიმეტრიულ, მონუმენტურ წერაში გადამწერის ინდივიდუალური მანერა ნაკლებადაა გამჟღავნებული, ნუსხურსა და მხედრულში კი – მეტად. თავისებურებათა ის ერთობლიობა, რომლითაც ერთი ნაწერი განსხვავდება მეორისაგან, ქმნის გრაფიკულ სტილს ანუ ხელს. ყველა „მომკვებელი“ ანუ დამკვეთი ცდილობდა, რომ ხელნაწერი „საკადრისი კელით“ ყოფილიყო შესრულებული. ცხადია, წერის სტილს ანუ ხელს გადამწერის ინდივიდუალურ თვისებასთან ერთად ობიექტური პირობებიც განსაზღვრავდა: დრო-ვადა (მაღე, სწრაფად უნდა დაწერილიყო თუ აუჩქარებლად, ნელა), საწერი მასალისა და იარაღების ხარისხი, ეგრატის ან ქაღალდის რაოდენობა (უხვად დახარჯულიყო თუ მომჭირნედ), შრომის გარემო (ბინა, გათბობა, სინათლე, კვება), ასაკი და ჯანმრთელობა და სხვ. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ყველა შემოქმამოთვლილ ფაქტორზე შეიძლება კაცს შეხედეს ცნობები, მეტწილად ჩივილი-მღურვის სახით, რომ, ასე ვთქვათ, გამართლებული იყოს „კელის სიავე“, „პავე კელი“. კარგ პირობებში გადაწერილი ხელნაწერის ხელი იყო „საკადრისი“, „კარგი“, „განწყობილი“. ნაწერის სტილის დახასიათებისათვის ძველ ქართულში „წერა“-სთან ერთად იხმარებოდა გამზნისართებული ზედსართავები: „ფარჩხად“, „უცხად“, „წმილად“, „წურილად“, „მსხუილად“, „ხმირად“, „სუბუქად“, „მოზად“ და სხვ.¹ ამ მზნისართებში ცნაურდება ნაწერის ძირითადი სტილური თავისებურებანი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კონკრეტული ნაწერის მიხედვით შეიძლება დადგინდეს, ნაწერის უარყოფითად დამახასიათებელი მზნისართები რეალურ ვითარებას ასახავენ თუ მხოლოდ კრძალულებითაა ნათქვამი. ფაქტია, რომ ქრისტიანული მორალის კარნახით გადამწერი იშვიათად შეაფასებდა თავის ნამუშავეს არა თუ აღმატებულად, არამედ კარგადაც კი. მათ ახსოვდათ შეგონება, რომ „მწერალსა კულა სიმდაბლი უკმს დიდი, რაათა არა აღლანეს გული მისი სიმაღლისათს საქმისა მის“ (A-1105, 270r). გადამწერის ანუ „წიგნის წერის კელონება“ (ΤΕΧΝΗ ΚΑΛ-ΛΙΥΡΑΦΟΥ) საპატიო და საამაყო პროფესიად ითვლებოდა ძველად. „ეპიფანე კვიპრელის ცხოვრების“ ძველ ქართულ თარგმანში ნათქვამია: „[იყო] კაცი ვინმე ქრისტიანი, სახელით ლუკიანე, კაცი საკურველი და სიგყუა-მეცნიერი..., კელონებაჲ აქუნდა მას წიგნის-წერაჲ, და შრომითა მით პურსა მოირე-წაედა იგი დღითი-დღედ“.² ცნობილია, თუ როგორ ამაყობდა XIV საუკუნის ქართველი მწიგნობარი ავეგაროზ ბანდაისძე თავისი მრავალი ხელობით და მათ შორის „ხუცური წერის“ ხელოვნებით: „წყალობითა ღმრთისაჲთა მომეცა თუნიერ მოძღურისა კელონება ესეითარი: პირველად კელი –

¹ იე. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 49-51; მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 20-27.

² იე. იმნაიშვილი, საკითხ. წიგნი ძვ. ქართულ ენაში, II..., გვ. 95.

სწავაა ხუცობისაჲ, კელი მეორე – მწიგნობრობისაჲ, კელი მესამე – წერაჲ ხუცურისაჲ, კელი მეოთხე – შექმნაჲ ეტრაგისაჲ, კელი მეხუთე – შეკრეჲა მწიგნისაჲ, კელი მეექვსე – მხატვრობაჲ... [სულ ათი „კელი“ ანუ ხელობაჲ დასახელებული] (A-575, 155r).

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: ვისაც თავმდაბლობის გამოჩენა უნდოდა და თავისი დაწერილი საკადრისი ხელით დაწერილად არ მიაჩნდა, ის თავის ნამუშევარს „უკბად წერას“ უწოდებდა და თავის თავისთვისაც „უკბად მწერალი“-ს სახელის მეტს არას გამოიმეტებდა ხოლმე. 1008 წ. ათონის მონასტრის ერთ ხელნაწერში, მაგალითად, აღნიშნულია: „დაიწერა მეორე ესე წიგნი კელითა ჩუენ ცოდელითა არსენი, იოვანე და ოქროპირისაჲთა...“, ლოცვა ყავთ წმიდათა მამათა ჩუენთათჳს, იოვანესა და ეფთჳმისა თარგმანებისათჳს... და ჩუენ უკბად მწერალთა[თჳს]-ო“ (აღ. ცაგ. Cხეჲ..., I, 86).

სინას მთის მონასტრის ქართული ხელნაწერის (№1) დამწერელი ყოფილა „იოვანე უკბა მწერალი“. ათონის 1074 წ. კრებულის ერთ-ერთი დამწერი კი ამბობს, რომ „ფარჩხად წერისათჳს შემინდევით“. ფარჩხეჲა, პარჭყეჲა ერთი და იმავე ძირის სიტყვები უნდა იყოს. პარჭყეჲა კი ხელების თითების გაშლას ეწოდება. ამიტომ საფიქრებელია, რომ „ფარჩხად წერა“, სულხან-საბა ორბელიანის არ იყოს, შორი-შორს, უშნოდ წერას უნდა ნიშნავდეს.¹

მერეღე, შემოკლებითი გადანაწერისთვის გამოსახატავად გამოიყენებოდა „სუბუქად წერა“. ეს სინტაგმა ნახმარია XVI საუკუნის ხელნაწერის (A-139) ანდერძში.

ცუდი, უღამამო ხელით წერას მოგვიანებით „ჩხაბეას“ (შღრ. დღევანდელი „ჯღაბენა“) ეძახდნენ: „მე, ყოელად უღირსმან მონამონმან გრიგოლ, დაეჩხაბე სამღვდელმთავრო საგალობელი“.²

არასათანადო წერა სხვაგვარადაც გამოიხატებოდა, კერძოდ, „მომად წერა“-თი, რომელსაც მეტწილად ეფთვიმე ათონელი ხმარობდა და მის მიერ თარგმნილი ტექსტების შემცველ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებშია დასული: „ლოცვა ყავთ უღირსისა და ფრიად ცოდელისა დოსითეთისისთჳს და მომად წერისა და დაკლებისათჳს შემინდევით“ (A-397, 212r); ეფთვიმეს მიერ 1002 წელს თარგმნილი თხზულების (მათეს სახარების თარგმანების) ბოლოს დართულ ანდერძში ნათქვამია: „აღესრულა ესე ნუსხა თარგმანებისა მათეს თავისაჲ კელითა გლახაკისა და მწარედ ცოდელის ეფთჳმისითა. ვინცა იკითხვიდეთ, შრომისათჳს ლოცვა ყავთ და მომად წერისათჳს შემინდევით, უცალო ვიყავ და უფროჲს ღამით მიწერია“ (ქუთ.სახ.მუგ. ხელნაწ. №20, 523r); სხვა ხელნაწერში (H-225I) გადამწერი ამბობს: „სიყუარულისა[თჳს] ღმრთისა, ნუ ვინ მომიგინდების [=გინებას დამიწყებს – კ.დ.] მომად წერი-სათჳს. ბრძანებაჲ მქუნდა [=მქონდა – კ.დ.] ნუსხვისაჲ ოდენ სისწრაფისაგან“ (204r).

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 49-50.

² ქუთაისის სახ. ისტ.-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა..., II, გვ. 96.

თ. ხაეოშია სწორად აღნიშნავს, რომ სამივე შემოდასახელებულ შემთხვევაში „მომად წერა“ არ შეიძლება ნიშნავდეს მომიერად, წესიერად წერას, რადგან ასეთ შემთხვევაში პატივისა და შენდობის თხოვნა არ იქნებოდა საჭირო. მკვლევრის აზრით, აქ ნახმარი „მომა“ უნდა იყოს არაბულ-სპარსული გამა, რომელიც შეკუმშვა-შემოკლებას აღნიშნავს და, ამდენად, „მომად წერა“, შესაძლებელია, შინაარსის გამოკრებით, შემოკლებით გადამოკლმას გულისხმობდეს. მაგრამ გამორიცხული არ არის, იგი ულამაზოდ, არამოსაწონი ნაწერის აღმნიშვნელი იყოს¹. არც ისაა შეუძლებელი, რომ „მომად წერა“ მსხვილად, არაეკონომიურად, შეუფერებელ წერას გულისხმობდეს (შდრ. ზომ-საბელი, მ., 1924, მრ., 1025C „მსხვილი თოკი“).

წერაში ასო-ნიშანთა საერთო ზომის აღსანიშნავად იხმარებოდა „წურილად“ ან „მსხვილად“ წერა: „ქალადლი არა მქონდა და მისთვის წურილ კელ ესწერე, ძმომ“ (S-1163, 9v, XVII ს.); „დედამ [=დედანი] წრულად [=წურილად – კ. დ.] ჩასხმული იყო და სრული ნაკუეთი მას ზედა ექმენ. წრულად ნაწერისათეს შემინდევით, საყუარელნო“; „ესე მსხვილა მით დაეწერეთ, რომ ზოგნი მოხუცებულნი იყუნენ“ (Jer. № 76, 244r).

მ. სურგულაძემ მიაქცია ყურადღება, რომ წვრილი, მჭიდრო ნაწერის აღსანიშნავად ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ნახმარია როგორც „ხშირად წერა“ (H-1221, 107r, H-1345, 210v), ასევე „წმილად წერა“²; „ქალადლის სიძვირისათეს წმიდა კელი დაესწერე“ (S-1249, 176r, XV ს.); „პრქუა იოვანე: მიძიე ეტრატი სხუადაცა დასაწერელად გამოცხადებისა ამის. და მოილო სოსიპატრე და მრქუა მე: იოვანე, შეილო, და სახმ ეყა და წმილად დაწერე მას შინა გამოცხადებაა ესე“. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „წმილად წერის“ ბერძნული და სომხური ფარდები (καθαρογραφία, սրբագրել) ცხადყოფს, რომ მას მოცემულ შემთხვევაში სწორად, შეურყენელად წერის მნიშვნელობა აქვს და არა გრაფიკულ, არამედ ნაწერის შინაარსობლივ მხარეს წარმოაჩენს.³

3. ბაღამეართა პროფუსია ანუ „ქალი მნიშნობრობისამ“. გადამწერთა და მწიგნობართა კადრების მომზადება ძველ საქართველოში არსებითად ეკლესია-მონასტრებში ხდებოდა. სწორადაა აღნიშნული, რომ „საშუალო საუკუნეების ქართული მონასტრები არა მარტო სარწმუნოებრივ-მნიშვნელოვანი ცოდნის შეტენის ცენტრი იყო, არამედ სათანადო ხელობის, ხელოსნობის შესწავლის მნიშვნელოვანი კერაც. ყველაზე გავრცელებულ ხელობას კი მონასტრის ძმობაში „ქელი მწიგნობრობისამ“ წარმოადგენდა“⁴. რადგან

¹ თ. ხაეოშია, „მომად წერის“ შინაარსის გაგებისათვის: ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 61.

² ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა..., გვ. 39.

³ მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები..., გვ. 21.

⁴ იქვე, გვ. 22.

⁵ მ. მესხია, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X-XII სს. ქართულ მონასტრებში, „მიმოხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 71.

ძველად ეკლესიას სწავლა-განათლების სფეროში მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა, გასაკვირი არაა ის ფაქტი, რომ უფოდალურ საქართველოში XIV საუკუნემდე პროფესიონალი გადამწერები მხოლოდ სასულიერო წრის წარმომადგენლები იყვნენ.¹

წერისა და წიგნიერების კულტურის ან მღვდელთმსახურების წესთა დასაუფლებლად მასწავლებელ „მოძღვართ“ უფრო ადრეულ ასაკში (6-8 წლიდან) აბარებდნენ ბავშვებს და „მოყმე მოსწავლეთ“ ეკლესია უზრუნველყოფდა კეებითა და ტანსაცმლით. გიორგი მცირე „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“ მოგვითხრობს, რომ გიორგის მშობლებს იაკობსა და მარიამს „ესხნეს სამნი ძენი და სამნი ასულნი“. მათგან უფროსი იყო თეკლა და „ვითარცა იქმნა იგი შუდის წლის, შეწირეს იგი ღმრთისა, ვითარცა აღეთქვა. და წარიყვანეს იგი სამცხეს, მონასტერსა სადედოსა, რომელსა გაძრისი ეწოდების, და მისცეს იგი კელთა წინამძღუარსა მის მონასტრისასა, რომელსა საბაბა ეწოდებოდა დედაკაცსა, ღირსსა და წმიდასა, რომელმანცა შეიწყნარა იგი, ვითარცა შვილი თუხი და კეთილად აღზარდა“². ხოლო როცა იაკობსა და მარიამს შეეძინათ გიორგი, გადაწყვიტეს ისიც ეკლესიაში გაეზარებინათ. „და ვითარცა იქმნა იგი [გიორგი – კ.დ.] შუდის წლის, აღთქუმა იგი აღასრულეს მშობელთა მისთა და მასვე ზემოკსენებულსა მონასტერსა გაძრისის ღისა თუხისა თანა ღმრთისა შეწირეს...; და ესრეთ ვითარცა ახალნერგი შუენიერი იზარდებოდა მონასტერსა მას შინა და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან ღირსისა ღისა თუხისა და მოასწავებდა წინამწარვე გამოღებად ნაყოფსა მას, რომელ ყოფად იყო...; და ვითარცა დაყო მონასტერსა მას შინა სამი წელი და იქმნა პასაკითა ათის წლის, ხოლო გონებითა ვითარცა მკეოანი და მოხუცებული იხილვებოდა საკურეველად მხილველთა და მსმენელთაგან“³. მაგრამ ყველა მონასტერში ასე არ იყო მიღებული „უწუერულ ყრმათა“ სასწავლებლად მიღება, ზოგან სასტიკად აკრძალულიც იყო. ისეთ შემთხვევაში, თუ ეკლესიას სჭირდებოდა მომავალი მწიგნობარი, ყრმა მოსწავლეს წიგნის მცოდნეს „გარე სოფელში“ გააბარებდნენ და ასაკში შესულს მიიღებდნენ საძმოში.

მიღებული იყო, რომ მონასტრებს თავიანთი სასწავლებლები მონასტრიდან დამორებულ ადგილებში უნდა აქონოდათ (პაგარა ფილიალებში) და არა თვით დიდ მონასტრებში. გრიგოლ ბაკურიანის ძის პეტრიწონის მონასტრის ტიპოკონში 31-ე თავია „მოყმეთათუხ დიაკონთა, თუ სადა იყვნენ ანუ ვითარ განისწავლნენ“, აღნიშნულია, რომ პეტრიწონის მონასტრისაგან დამორებულ ნიკოლწმინდის ეკლესიაში განწესებულ მასწავლებელ მღვდელს უნდა ჰყოლოდა „სასწავლოდ ყრმანი ექუსნი. და აიღებდეს მონასტრისაგან საზრდელსა თუსსა და სამოსელსა, ვითარ-იგი შეკგვანდეს, ვიდრემდის დაისწავლონ სრულიად ყოველი წესი სამღვდლოა. და ოდეს ქასაკად მოიწინენ და წუერითა გასრულდენ, მაშინდა რომელნიცა ღირს მღვდლობისა

¹ მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 110.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 111.

³ იქვე, გვ. 112-113.

იყვნენ მათგანნი, ხუცად იკურთხნენ და შეწყნარებულ იქმნენ დიდსა მონასტერსა¹. ცხადია, „სამღვდელო წესში“ მწიგნობრობაც შედიოდა. გიორგი მთაწმიდელიც „იოვანე და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ გვაუწყებს, რომ ეფთვიმე ერიდებოდა და ნებას არ პრთავდა აღსაზრდელად ბავშვთა აყვანას მონასტერში: „კუალად უკუეთუ ძმათა ვითმე მოიყვანნიან თუსნი ნათესავნი უწუერულნი, მამასაცა ქნებაენ, რაათამცა ისწავლეს სწავლამ და კელოვნებაჲ. გარნა მონასტერსა არა დაიბჭირნის, არამედ გარე სოფელთა გაგზავნის, სადა იცოდის უმჯობესი და სულიერი და გამოცდილი იკონომოსი, და მუნ აღიზარდნიან. და ოდეს წუერითა შეიმოსნიან, მაშინ შემოიყვანნის მონასტრად“²

მაგრამ ჩანს, რომ ეკლესიის წინამძღვარზე იყო მაინც დამოკიდებული, მიიღებდნენ თუ არა მონასტერში „უწუერულ ყრმათ“. მონასტრის წესდებაში გამონაკლისის დაშვება შეუძლებელი არ ყოფილა ღირსეულთათვის. გიორგი მერჩულე არ მალავს, რომ გრიგოლ ხანძთელმა ხანძთის მონასტერში ყრმა ეფრემი და არსენი რომ მოიყვანა აღსაზრდელად, ხანძთის ბერ-მონაზვნობა უკმაყოფილო იყო („დრჯენვაჲ მათ შორის ყრმათა მათთეს მოყვანებისა“) და გრიგოლს პირდაპირ უთხრეს: ამ ფაქტით „წესსა შენგან დამტკიცებულსა შენ ზევე გამოეკუებისო“³ (ე.ი. შენ მიერ დადგენილ წესებს მოაკლდება ძალაო).

მწიგნობრობის მასწავლებელს ძველად „მოძღუარი“ ერქვა. XI საუკუნის ერთი ხელნაწერის (A-845) ანდერძში გვერდიგვერდ არის მოხსენიებული მოძღუარი და მოწაფე მწიგნობრები: „დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲა შავსა მთასა უდაბნოსა ლერწმის კევისასა მღვს პირას, რომელ არს დასასარულსა შავისა მთისასა, მახლობელად სელეკვიისა კელითა უბადრუკისა და მწარედ ცოდვილისა შავ მაქარიაჲსითა. მაღლითა და ლოცვითა მოძღუარისა ჩემისა საბა პროკოპეწმიდელისაჲთა, რომელი მკუდრ იყო მონასტერსა წმიდისა სუმეონ საკურველთმოქმედისასა... და მოწაფესა მისსა დანიელს შეუნდვენ ღმერთმან“⁴.

ცხადია, „მოძღუარი“ წერის ხელოვნებასათან ერთად „მოწაფეს“ ქრისტიანული რწმენის ძირითად დებულებებსაც ასწავლიდა და მწიგნობრულად წვრთნიდა. ამიტომაც მათ შორის გარკვეული ვალდებულებითი დამოკიდებულება იყო. ეფთვიმე მთაწმიდელის სიტყვებით „მოძღუართა, რომელთა მოწაფენი აკურთხნენ, გინა აღსარებაჲ იტურთონ, უკუეთუ წვალებასა ანუ კაცის-კლვასა ანუ სიძვასა, ანუ გრძნებასა, გინა მწამლველობასა აწუეედის მოძღუარი, არა აქუს ესევეითარსა კელმწიფებაჲ; და მოწაფე იგი უკუეთუ ურჩ ექმნას, უბრალთ არს, ხოლო ამათ პირთაგან კიდე სხუაჲ რაჲცა ამცნოს მოწაფესა, რომლისა-იგი აღსარებაჲ ეტურთოს, გინა ეკურთხოს, კელმწიფებაჲ აქუს მას ზედა მოძღუარსა, და მოწაფესა მას თანა-აჲ მორჩილებაჲ და

¹ ა. მანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 116.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, II..., გვ. 82.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1963, გვ. 271.

⁴ М. Джанашивили, Описание рукописей Церковного музея, III, Тифлис, 1908, გვ. 61.

წარსლვად მოწაფესა მოძღურისაგან, თუნიერ წამების მისისა, არა კელ-
ეწიფების ყოვლადეუ“¹.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ ქვეყნებში გადამწერთა ხელობას მეტ-
წილად სასულიერო წოდების წარმომადგენლები მისდევდნენ, რადგან
სწავლა-განათლების საქმეს ძირითადად ეკლესია წარმართავდა. მაგრამ XI-
XIII საუკუნეებში საქალაქო ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია საერო
სკოლების შექმნა; გაჩნდა მოთხოვნილება არა მარტო სასულიერო, არამედ
საერო წიგნებზე. ასეთ გამრდილ მოთხოვნილებას მხოლოდ ეკლესია ვერ
დააკმაყოფილებდა და პროფესიონალ გადამწერებად საერო წრის წარმო-
მადგენლებიც უნდა ყოფილიყვნენ. მართალია, როგორც აღნიშნავენ,
ფეოდალურ საქართველოში მე-14 საუკუნემდე პროფესიონალ გადამწერებად
მხოლოდ სასულიერო წრის წარმომადგენლები გვხვდებიან,² მაგრამ ეს არ
ნიშნავს, რომ მანამდე, თუნდაც დავით აღმაშენებლის დროიდან გადამწერად
არასამღვდელოები არ არსებობდნენ და XII საუკუნის ბრწყინვალე პოეტური
და პროზაული ტექსტების ფილიაიციის საქმეში ისინი არ მონაწილეობდნენ.
საქმე ისაა, რომ მე-13 საუკუნის I ნახევრიდან მონღოლთა ლაშქრობებმა
ძლიერ დასცა ქვეყნის არა მარტო ეკონომიკური, არამედ კულტურული
ღონე. XIII-XV საუკუნეებში ისედაც ცოტა იქმნებოდა საერო ძეგლთა პირები
და შექმნილთაგან ბევრმა ვერც მოაღწია ძნელბედობის გამო.

ერთი მე-14 საუკუნის ხელნაწერის (A-738) გადამწერი ამბობს, რომ
„ერისა კაცი ვიყავ უხუცოჲ“-ო (116r). შ. სურგულაძემ გამოაქვინა, რომ XVI-
XVIII საუკუნეებში საერო წოდების გადამწერ ხელოსანთა რიცხვი მატუ-
ლობს. ასეთ გადამწერთა საგრძნობი ნაწილი დაბალი სოციალური ფენისაა,³
თუმცა მოგჯერ მაღალი ფეოდალური წრის და თვით ბაგრატიონთა ოჯახის
წევრებსაც არ ეთაკილებოდათ გადაწერა.⁴ ივ. ჯავახიშვილის აზრით, უფრო
ადრე (X-XII საუკუნეებში) არსებობდა გადამწერთა გაერთიანება-
ამხანაგობები. შ. მუსხიას მტკიცებით, XVII-XVIII საუკუნეებში თაბუნი
ეწოდებოდა ერთი ხელობის მიმღევერ ადამიანთა ყოველგვარ გაერთიანე-
ბას,⁵ მათ შორის გადამწერთა გაერთიანებასაც, ასევე იხმარებოდა ასნაფი
და ამქარი. XVIII საუკუნეში გადაწერილი გულანის ანდერძ-მინაწერში აღ-
ნიშნავს ვილაც მღვდელი საბა: „ესე წმიდამ პატიოსანი სრული გულანი
გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმა“ (Q-1040).

დიდი მოცულობის ხელნაწერს ხშირად ორი-სამი და მეტი გადამწერი
აღგენდა. გადამწერთა ამხანაგობას უფროსიც ჰყავდა, რომელიც აწესრი-
გებდა შრომის ორგანიზაციას. ასეთ უფროსს „მწერალთა ზედა მთავარი“

¹ ქართული სამართლის ძეგლები, III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 15.

² შ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები..., გვ. 110.

³ შ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები..., გვ. 111-113.

⁴ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, თბ., 1962, გვ. 95.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 70-71.

ერქვა. მას უნდა გაენაწილებინა სამუშაო, გასამრჯელო, კონტროლი გაეწია გადანაწერის ხარისხზე. გადამწერთა ხელობა ხშირად მეშვედრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაში. გადაწერაში დახელოვნებული რამდენიმე გვარია ცნობილი: ჯიბისძეთა, ჩიდანისძეთა, ბედისმწერლისშვილთა და სხვ.

4. ხელნაწერი ნიბნის შემგაღება. ეს პროცესი სხვადასხვაგვარ მუშაობას მოითხოვდა: ეტრატის ან ქალაღდის ფურცლებად დაჭრას, წერას თუ გადაწერას, შეკერვას, ყდაში ჩასმას, მხატვრულად შემკობას. ხელნაწერი წიგნის ღირსებას სხვადასხვა გარემოება აპირობებდა: შინაარსი, ხელი (კალიგრაფია), დანიშნულება (თავისთვის წერდა მწერალი თუ დამკვეთისათვის) და სხვ. ინდივიდუალურად მომუშავე გადამწერს შეეძლო ყველა სახის სამუშაო მარტოს შეესრულებინა. მაგრამ ეს ახანგრძლივებდა ხელნაწერი წიგნის დამზადებას. უფრო კი სამუშაოები განაწილებული იყო გადამწერთა ახანაგობის (თაბუნის) წევრებს შორის, რომლებიც ვიწრო საუციალიზაციას ფლობდნენ (გადამწერნი, მმოსველები, მკამველები...).

ყოველგვარ ნაწერს, ორიგინალურს თუ ნათარგმნს, რომელიც საკუთარი ხელით იყო შესრულებული, ძველად ნუსხა ერქვა. ეს სიტყვა ძველად არსებითად აეტიგრაფის მნიშვნელობისა იყო. ის არაბულიდანაა შემოსული: ნუსხა უპირველესად თავდაპირველ ტექსტს ანუ დედანს ნიშნავს, შემდგომ გადანაწერსაც და საერთოდ აეტიგრაფს. ამ ძირიდან ნუსხეა მზნაცაა ნაწარმოები და მნუსხველი ვიმლეობაც. გიორგი მთაწმიდელი ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა“-ს ქართული თარგმანის ანდერძში ამბობს: „დაესრულა „ექუსთა დღეთა“ წმიდისა ბასილისი. ვინცა სწერდეთ ნუსხასა ჩუენსა, ნუ ესრე სწერთ, ვითა ჩუენსა ნუსხასა..., გარნა ესრეთ სწერეთ, ვითარცა ახლად აღწერა წმიდასა ბასილის, რამეთუ ჭემმარიტად დადაყათუ მწიკულევანი კელი ჩუენი ნუსხვიდა და თარგმანიდა, გარნა თუთ იგი იყო მნუსხველიცა და თარგმანიცა“.

მოგვიანებით დანუსხვილი შავად ნაწერს (ყЕРНОВИК-ს) ანუ „ქაჯელად ნაწერს“ აღნიშნავდა და უპირისპირდებოდა კახელად ნაწერს. XVI-XVII საუკუნეებიდან გადანაწერის მნიშვნელობით სპარსული სეკადაც იხმარებოდა.

იმ ხელნაწერ ძეგლს, რომლიდანაც გადამწერი იწერდა ტექსტს, ძველად დედა ერქვა, მოგვიანებით (XVII-XVIII საუკუნიდან) კი – დედანი. გადამწერის უპირველესი მოვალეობა იყო, სასურველი ძეგლის კარგი დედანი ანუ „დედა მართალი“ მოუპოვებინა და არა „დედა მრული“. ერთი გადამწერი გულდაჯერებით ამბობს: „წიგნისა სიმართლისათუს იჭუ ნუვის გაქუს, პირველ დედა მართალი და კარგისა მწერლისა დაწერილი მქონდა“-ო. მაგრამ მეორე გადამწერი ჩივის დედნის წერილს ხელზე: „დიდნი ჭირნი ვნახეთ უეთომელობისათუს, დედა წურილი მეღვა წინ“-ო. სხვა გადამწერი იუწყება: „დედა გიორგი მთაწმიდელისა... მქონდა, მაგრამ ემომ წურილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმასა ჰგვანდა“-ო.

საკადრისი, კარგი დედნის მოპოვებისა და მისი ავ-კარგის დასადგენად გაწეულ შრომას ძველად ჩხრეკა ერქვა, ხოლო თვით მწერალ-გადამწერს, რომელიც ახალი ხელნაწერის შექმნამდე დედნის ასეთ ძიება-შეფასებას

ეწოდა, მხზრეკალი (სათანადო ძირის სემანტიკური ცვლილება და პალეოგრაფიულ გერმინად ქვევა გასაგებია: ჩხრეკა-ქექვა → ძიება → განსჯა-შეფასება ხელნაწერი დედნისა → გადაწერა ხელნაწერისა).

ივ. ჯავახიშვილის ამრით, „ვინც წიგნსა კერავდა, „შემოსველის“ ანუ „მმოსველის“ სახელს ატარებდა, ყდის გამკეთებელს კი „მკამშაეი“ ანუ „მკამშელი“ ეწოდებოდა“.¹ მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დასახელებულ სიტყვათა ეტიმოლოგიურ მნიშვნელობებს და ახალ მასალებს,² შემოსვე ყდაში („სამოსში“) ჩასმას ერქვა, ხოლო კამშე – ფურცლებ-რვეულების შეკერვას, აკინძვას. არ გამოირიცხება, რომ სომხური კამშო-ღის (կაშირი) მსგავსად ქართული შემოსველი (მმოსველი) ხელნაწერის მკინძავი ყოფილიყო და ყდაში ჩამსმელიც. ხოლო კამშე ანუ აკინძვა, როგორც ყდაში ჩასმის უწინარესი პროცესი, ეტიმოლოგიურად, ალბათ, აღნიშნავდა ნაწერი ფურცლების ან რვეულების წიგნად ქცევას, დამზადებას. ამას ადასტურებს სინტაგმა ეგრაგის კამშე (ე.ი. ეგრაგის დამზადება), რომელიც იხსენიება Ath. №20 ხელნაწერში (ბლექის აღწერილობით).

შემოსვე გერმინი პირველად ნახმარი ჩანს 864 წლის სინური მრავალთავის იოვანე-ზოსიმესეულ ანდერძში: „შეიმოსა მესამედ წმიდამ ესე წიგნი მრავალთავი გყავითა ზროხისაათა სინა-წმიდას კელითა იოვანე ფრიად ცოდვილსა ზოსიმესითა“.³ აქ აშკარად შემოსვე ყდის გამკეთებას ნიშნავს, რადგან ლაპარაკია საქონლის გყავით შემოსვაზე.

ხელნაწერები, განსაკუთრებით ბიბლიური, ხშირად მხატვრულად იყო გაფორმებული, მოხატული, ხელნაწერის მოხატვის პროცესს ადრე მოწერა, გამოწერა სიტყვები გამოხატავდა, მოგჯერ შექობაც. განსაკუთრებით შემკული იყო ოთხთავთა შემცველი ხელნაწერები ხატებითა და კამარებით. ხატები ანუ სურათები არსებითად წმინდანებს, ანგელოზებს და მახარებლებს (მათე, მარკოზ, ლუკა, იოანეს-) გამოსახადენენ, ხოლო კამარები ოთხთავის საძიებლის „კანონთა“ დეკორატიულ შემკულობას ერქვა.⁴ რომ გასაგები იყოს „კანონების“ მნიშვნელობა, მოკლედ აღვნიშნავთ: ოთხთავის ძველ ქართულ ხელნაწერებში ამიებზე მოიპოვება გექსტის დაყოფის ძველი ამონიოსისეული მაჩვენებლები, რომელიც სრულებით არ ემთხვევა გვიანდელ თავებსა და მუხლებს (მაგალითად, ამონიოსის დაყოფით მათეს სახარება 355 ნაწილად, სექციად იყოფა, ახალი დაყოფით კი – 28 თავად და 1067 მუხლად). ამონიოსის დაყოფის მაჩვენებლებთან მითითებულია ევსების „კანონის“ მაჩვენებელიც, რომელიც ადვილებს სახარებათა მსგავსი ადგილების პოვნას. ევსების „ათი კანონი“ წარმოადგენს ერთგვარ ცხრილ-გაბულას, რომელშიც ნაჩვენებია შინაარსობლივად მსგავსი ადგილების მისათითებლ-საძიებელი ამონიოსისეული დაყოფის მიხედვით. საყრდენად აღებულია

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 70-71.

² შხ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული გერმინები, გვ. 131-133.

³ სინური მრავალთავი 864 წლისა (ა. შანიძის რედაქციით), თბ., 1957, გვ. 282.

⁴ ე. მჭავარიაძე, ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა შემკულობის აღმნიშვნელი ზოგიერთი გერმინის შესახებ: პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969, გვ. 109.

მათეს და ლუკას სახარებები და მათში მოთხრობილ ეპიზოდებს უკეთდება მისათითებელი მსგავს ადგილებზე სხვა სახარებებიდან. ეს „კანონები“ ჩაწერილია კამარებით შეკრულ ოსტატურად შესრულებულ სვეტებში.¹

ხატი (წმინდანთა, ანგელოზთა, მახარებელთა) შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო ფერწერული, „წამლით დაწერილი“ ანუ საღებავით დახატული, არამედ ჰედური და მინანქრისა.

კამარა (მღრ. καμάρα, η, „свод“) თავდაპირველად არქიტექტურული ტერმინი იყო და გამოხატავდა როგორც გუმბათს, გუმბათოვან გადახურვას, ასევე თაღს („арка“-ს). შეითვისა რა არქიტექტურული დეტალების მოხაზულობა, X საუკუნიდან ქართულ ხელნაწერებში კამარა იქცა დეკორატიული ჩარჩოთი შემკულ სახარებათა საძიებლების (ვესების „10 კანონის“) აღმნიშვნელად. კამარების დამხატველს და შიგ მსგავს ადგილთა აღმნიშვნელ მისათითებელთა ჩამწერს კამარათ მწერალი ერქვა. ჯრუჭის პირველი ოთხთავის (H-1660) მოხატულობა შესრულებულია 940 წელს და მინაწერი გაუწყებს: „ქრისტე, შეიწყალე ამათ კამარათა მწერალი თეოდორე“.

ჩვეულებრივ, ხელნაწერის დამზადების შემდგომ მოხატავდნენ ხელნაწერს, ხან კი უსახსრობის გამო დატოვებული ფურცლები დაუხატველდაუსურათებელი რჩებოდა, მოგჯერ კი მახარებელთა გამოსახულება და კამარა-ჩარჩოები მოქიქნდათ და ჩართავდნენ ხელნაწერში. მაგალითად, 995 წლის ტბეთის ოთხთავის მომგებელ სამოელ ეპისკოპოსს ანდერძში აღნიშნული აქვს: „წიგნი ესე ოთხი თავი სახარებაჲ ვპოვე აღწერილი და შემკობილი ყოვლითა განგებულებითა, ხოლო ნაკლულევიან იყო ხატთა და კამარათაგან და გულს-ვიდგინე დიდითა ხარკებითა და გამოვიხუენ ესე ხატნი და კამარანი საბერძნეთით, ქალაქით დიდით სამეფოთ, და ჩაურთენ ამას წმიდასა სახარებასა“.

ხელნაწერის მხატვრულ შემკულობაში შემოდიოდა საშედაო ასოების საგანგებოდ, დახატულად, ორნამენტულად გამოყვანა, რაც შეტწილად სინგურით (წითელი მელნით) ან ოქრომელნითაც სრულდებოდა და, არსებითად, აბზაცების დასაწყისში კეთდებოდა. ასეთი დანიშნულებით ნახმარ ასოს ასომთავარი ერქვა. ალავერდის ოთხთავის (XI საუკ.) ანდერძში ნათქვამია: „შევირე ოთხთავი ერთი სრული და გამოკრებული მანდუკითა და კამარითა. შიგან წმიდანი მახარებელნი ოქრომელნითა დაწერილნი და ყოველი ასომთავარი ოქრომელნითა დაწერილი“. აქ ორჯერ ნახმარი „ოქრომელნითა დაწერილი“ I შემთხვევაში ნიშნავს ოქრონარევი საღებავით დახატულს, II შემთხვევაში კი – ოქრონარევი მელნით დაწერილს. საშედაო ასოების ორნამენტულად გამოყვანს და ოქრონარევი საღებავით ხატსურათის დამხატველს ოქროთ მწერალი ერქვა. XII საუკუნის განთქმული ვანის ოთხთავის (A-1335) ანდერძში ნათქვამია: „ოქროთი მოიწერა ესე წიგნი მიქელ ოქროთმწერლის კორესელის მიერ“.²

¹ კ. დანელია, ვეთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები, თსუ-ს ძველი ქართული ენის კათ. შრომები, ტ. 20, თბ., 1977, გვ. 78-81.

² ე. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

ყოველ კარგად შემუკულ ხელნაწერს ძვირფასი ყდა ქქონდა: ან გყავებაკრული ხისა, ან იშვიათად ძვირადღირებული ვერცხლით (უიშვიათესად – ოქროთი) მოქედილი, რომელშიც ძვირფასი თელები იყო ჩასმული. მელქისედეკ კათალიკოსი თავის 1020 წლის სიგელში რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ საკათალიკოსო გაძრისთვის შეწირული წიგნები იყო „გარე თვლითა და მარგალიგითა შემკობილი“, ან: „ვეცხლითა შეკაზმული ღილ-კილოთა ვეცხლისათა“, ან კიდევ: „გარე ოქროს ხაგითა მოქედილნი და ცურითა მოქედილნი“.¹

5. ხელნაწერი ნიზნის შასი. წიგნის გადაწერა მასალასთან ერთად ღიდ დროს და გარჯას მოითხოვდა. რომელიმე წიგნის გადაწერისა და შეძენის მსურველს უნდა დაეკეთა (თუ თავად არ შეეძლო) პროფესიონალი გამამწერისათვის ასეთი სამუშაოს შესრულება და სათანადო ხარჯებიც უნდა გაეღო. ხელნაწერი წიგნისათვის ხარჯის გაღებას, მის შეძენას ძველად მოგება ერქვა, ხოლო თავად შემძენელს, შემსყიდველს კი – მომგებელი. 968 წელს გადაწერილ „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ შემსყველი ხელნაწერის ანდერძში ნათქვამია, რომ ხელნაწერის მომგებელი ყოფილა ფანასკერტელი ხუცესი მიქაელი: „მე მიქაელ ხუცესმან ფანასკერტელმა... გულს-ვიდგინე მოგებაჲ ამის წიგნისაჲ და დაეაწერიე სულიერსა ძმასა ჩემსა ივანე საფარველსა“.²

წიგნის გადაწერა რადგან პროფესია იყო, ის საარსებო წყარო იყო არა მარტო ერისკაცთათვის, არამედ ბერ-მონაზვნებისათვისაც. „ეპიფანე კვიპრელის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ ლუკიანეს თავის აშენებულ მონასტერში ჰყავდა „ათნი ოდენ მონაზონნი, რომელნი იქმოდეს შრომით და წერდეს ესენი წიგნსა და თავისა თუსისა საზრდელსა მისგან მორიერვიდეს“.³ ამდენად, წიგნის გადაწერა უსასყიდლოდ ჩვეულებრივ არ ხდებოდა. ვისაც ხარჯის გაღება არ შეეძლო, ის იძულებული იყო, მისთვის სასურველი წიგნი თვითონვე გადაეწერა. ერთი ცული ხელით გადაწერილი სახარების ხელნაწერის (A-845) გამამწერი მკითხველთაგან შენდობას ითხოვს: უსახსრობის გამო ვერ გადაეაწერინე პროფესიონალ მწერალს, და ჩემი ნაწერი კი შეუფერებელიაო: „შემინდევით... უცბად უმეურად ჩხრეკისათუს, სხუაჲ ღონე არა მაქუნდა. საფასისაგან გლახაკად ვიყავე და უსასყიდლოდ არაივნი დამიწერდა. და ლოცვა ყავთ ჩემ უბადრუკისათუს“.⁴

იე. ჯაეახიშვილის აზრით, ძველად ხელნაწერ წიგნს კარგი ფასი ქქონდა და გამამწერლობა შემოსაელიანი ხელობა იყო. ნიკორწმიდის XI საუკუნის პირველი მეოთხედის სიგელში ნათქვამია: ვიყიდე წიგნი პარაკლი-

¹ იე. ჯაეახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 77.

² 8. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვლედაკვალ, თბ., 1983, გვ. 182.

³ საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსუა იე. იზნაიშვილმა, თბ., 1966, გვ. 94.

⁴ М. Джанашивили, Описание рукописей Церковного музея, Тифлис, 1908, გვ. 61 (N 845).

ტონი ა (ე.ი. ერთი) და მიეყუ ფასად ცხენისა ნახეჯარი.¹ ცხადია, წიგნის ფასს სხვადასხვა გარემოება განსაზღვრავდა: გუქსტის მოცულობა, მნიშვნელობა, გადამწერის ხელი, სამუშაო პირობები და სხვ. ამის კვალობაზე წიგნის ფასი განსხვავებული იყო. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ძველად წიგნი ძვირი იყო, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, დაახლოებით 25-30 დრაჰკანი (=წონით 4 გრ. ოქროს ფულს) ჯდებოდა.² გიორგი მთაწმიდლის „იოვანე და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ მოთხრობილია, რომ ცნობილ მწიგნობარს („კელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთაჲ“) თეოფანე ხუცესს „უფროჲს ათას ხუთასისა დრაჰკნისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი შინა და გარე“.³ ეს თანხა ცოტა როდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე თხზულების ცნობით, კარეას მონასტერი ათანასეს „სამას ორმოც დრაჰკანად“⁴ გაუყიდა. ე.ი. თეოფანე ხუცესს მთელი სიცოცხლის მანძილზე ხელნაწერთა გადაწერით იმდენი თანხა გამოუმუშაებია, რომ მით ოთხი მონასტრის შექენა შეიძლებოდა.

გადამწერს თავისი შრომის საფასური შეიძლებოდა მიეღო როგორც ფულადი სახით, ასევე ნატურითაც, ასევე გადაწერის პერიოდში ყოფილიყო მომგებლის საჭმელ-სასმელზე. ოთხთავის გუქსტის შემცველი ერთ-ერთი ხელნაწერის (A-281) ანდერძში ნათქვამია: „ორმა სახლმა დაეწერინეთ: მურათურმან და გავაბელთა, ჩუენითა ალაფითა, კელფასითა და პურ-წყლითა და ყოველითა ჩუენითა საქმრითა“ (280r).

ხელნაწერები მზადდებოდა არა მარტო პირადი სარგებლობისათვის, არამედ მონასტრისათვის შესაწირავად. მეწირული ხელნაწერის თუ ხელნაწერთა სანაცვლოდ მონასტერი ზოგჯერ მომგებელ-შემწირველის სახელზე ალაპს აწესებდა. ასეთი შემწირველ-მომგებლები მეტწილად ბერები იყვნენ, თუმცა ერისკაცებიც სწირავდნენ ხელნაწერებს მონასტრებს.

ლიტერატურა

ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

მგ. სურაულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.

ულ. მაჭაპარიანი, ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა შემკულობის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინის შესახებ: პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969.

მ. მუსხიშვილი, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X-XII სს. ქართულ მონასტრებში: „მიმოხილველი“, ტ. I, თბ., 1949.

თ. ხაშოშია, „ზომად წერის“ შინაარსის გაგებისათვის: ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 97.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფ., 1907, გვ. 49.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წ. II (ილ. აბულაძის რედაქციით), თბ., 1967, გვ. 79.

⁴ იქვე, გვ. 80.

თაპი X

ხელნაწერი ნიბნისა და ბრაბნილის შემაღბენელი ნაწილუბი

1. სიტყვა „ნიბნის“ მნიშვნელობანი ძველ ქართულში სიტყვა „წიგნი“ მრავალმნიშვნელობიანი იყო, აღნიშნავდა ყოველგვარ ხელნაწერს შინაარსის, დანიშნულების, მოცულობის თუ საწერი მასალის განურჩევლად. ეს ლათინური წარმოშობის სიტყვა ქართულს ბერძნული ენის მეშვეობით აქვს შეთვისებული. ბერძნულში კი $\sigma\gamma\nu\iota\sigma$ აღნიშნავდა ყოველგვარ გრაფიკულ ნიშანს, მათ შორის ასოსაც. „წიგნიც“ ამ უძველესი მნიშვნელობითაა ნახმარი პაელეს ეპისტოლეთა ძველ ექვსეულებში და ბერძნული წყაროს $\gamma\rho\alpha\mu\mu\alpha$ -ს ანუ ასოს გადმოსცემს: „ღმერთმან შემძლებელ გუყვნა ჩუენ მსახურებად ახლისა შჯულისა არა თუ წიგნითა, არამედ სულითა, რამეთუ წიგნმან მოაკუდინის, ხოლო სულმან აცხოვნის“ (II კორ., 3,6); „ხოლო აწ განთავისუფლებულ ვართ შჯულისა მისგან და მოეკუედით, რომლითა-იგი შეპყრობილ ვიყვენით, რაათა ეპმონებდეთ ჩუენ განახლებულითა სულითა და არა დაძუელებულითა წიგნითა“ (პრომ., 7,6).

ასოს აღმნიშვნელი „წიგნი“ შემდგომ იქენს თვით ნაწერის მნიშვნელობას, როგორც პატარა მოცულობის ნაწერისა ანუ წერილისა (მნიშვნელობით უდრის ბერძ. $\epsilon\pi\sigma\tau\alpha\lambda\eta$ -ს. ეს უკანაქნელი V ს.-დან ისესხა ქართულმა ბერძნულისაგან), ასევე დიდი მოცულობის ნაწერისა ანუ ხელნაწერი წიგნისა (მნიშვნელობით უდრის ბერძ. $\beta\iota\beta\lambda\iota\sigma$ -ს). ძველი აღთქმის „გამოსლეთათა“ წიგნის ძველ ქართულ თარგმანში ნათქვამია: „მოილო წიგნი იგი შჯულისაჲ“ (გამოსლ., 24,7). აქ „წიგნი შჯულისაჲ“ გადმოსცემს ბერძნულ $\tau\omicron\beta\ \beta\iota\beta\lambda\iota\sigma\ \tau\eta\varsigma\ \delta\iota\alpha\theta\eta\kappa\eta\varsigma$. „და დაიწერა სახელი შენი წიგნსა მას ცხოველთასა“. ქართული „წიგნი“ აქაც ბერძნულ $\beta\iota\beta\lambda\iota\sigma$ -ს გადმოსცემს. წერილის მნიშვნელობით „წიგნი“ ჩვეულებრივ იხმარება როგორც სასულიერო, ასევე საერო ხასიათის ძეგლებში. საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ და „ვეფხისტყაოსნიდან“: „და ვითარცა წარიკითხა წიგნი კურაპალატისაჲ, პატივით მოწერილი წოდებისაჲ, ნეტარმან მამამან და კაცთა მათგანცა, ცნა ყოველი“².

ბაგრატ კურაპალატმა საბა იშხნელის მოსახმობად „მსწრაფლ დაწერა წიგნი და წარაელინნა კაცნი კეთილნი და პატივით უწოდა მას“ (იქვე, გვ.273), მაგრამ საბა არ მოვიდა. მამინ ბაგრატმა გრიგოლს მიჰმართა: „განუგებულად ვქმენ, რამეთუ წიგნი არა მიწერად გეუ [=მიგაწერიხე – კ.დ.] აწ ვითარ წეს არს, მიუწერე. და თუთ კუალად დაწერა წიგნი სხუაჲ და წიგნიცა მამისა გრიგოლისი წარსცა“ (იქვე, გვ.274). „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად ნახმარი „წიგნი“ მხოლოდ „წერილის“ მნიშვნელობისაა: „წიგნი წიგნსა

¹ სვიმეონ მესევეტის ცხოვრება: კიმენი, I, 1918, გვ. 234.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 261-262.

ენოდა, დედოფალი ოდეს შობდა“ (323,1); „გავეგზავნე კაცი ხატათს და წიგნი ჩემ-მაგერი“ (387,1); ან კიდევ: „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი“ (490,0).

ნათარგმნ ძეგლებში „წიგნი“ საწერ მასალასაჲ (უფრო ჰილისას) გადმოსცემს და ქარტა-ს სინონიმად გამოდის. მაგალითად, იერემიას წინასწარმეტყველების ძველ ქართულ თარგმანში ნათქვამია: „მოიღენ წიგნი სხუამ და დაწერეთ ყოველნი ესე სიტყუანი, მყოფნი ქარტასა შინა“ (იერ., 36,28). აქ „წიგნი“ ბერძნ. τὸ χαρτίον-ის და სომხ. խարտիւն-ის ბაღლად არის ნახმარი. ასევე ნათარგმნ ძეგლებში „წიგნი“ იურიდიული დოკუმენტის, საბუთის ან კოდექსის მინაარსსაც გამოხატავს: „იხილა მეფემან კაცი, მდგომარმ მის წინაშე და კელთა მისთა აქუნდა წიგნი დაწერილი და იკითხვიდა მას შინა. და გარდაყარა ხუთი ოდენ ჟურცილი და ამოიკითხა სახელი მეფისაჲ“.¹ აქ ნახმარი წიგნი გადმოსცემს ბერძნული ტექსტის κἀνδικος-ს.

მამასაღამე, ძველ ქართულში „წიგნი“ სიტყვით გამოიხატებოდა: 1. ასო, ნიშანი (γράμμα), 2. მცირე ან დიდი მოუყოლობის ნაწერი, წერილი (ἐπιστολή), 3. დიდი მოუყოლობის ხელნაწერი წიგნი (βιβλος, βιβλιον), 4. რბილი საწერი მასალა, უფრო – ჰილი (χαρτίον), 5. საბუთების კრებული, კოდექსი (κἀνδικος).

2. ბრაბნილი, შურსელი, კეჟი, რეჟული. რბილი საწერი მასალა და მასზე აღბეჭდილი ტექსტი შეიძლებოდა გადიდ-გამრავლებულიყო ორგვარად: ერთმანეთზე მიკერებული ან მიწებებული ფურცლების დახვევით ანუ გრაგნივით და ფურცლების შეკერვა-აკინძვით. პირველი სახის საწერ ან დაწერილ მასალას გრაგნილი ერქვა, მეორეს სხვადასხვა ტერმინი გამოხატავდა: წიგნი, წერილი, ნუსხა, დეღამ (=დეღანი ხელნაწერი) და სხვ.

დიდი, გრძელი გრაგნილი რამდენიმე (ხუთ, ათ და მეტ) ერთმანეთზე გადაკერებულ ან მიწებებულ ფურცელს შეიცავდა. გრაგნილის შემადგენელ ფურცელს კეჟი ერქვა. თუ ვირწმუნებთ ამ სიტყვის მომდინარეობას ბერძნული κέθμιλος-იდან, შესაძლოა თავდაპირველად ის თავს აღნიშნავდა, კერძოდ, გრაგნილზე ნაწერის ერთ თავს, შემდგომ კი – ერთ ჟურცილს. ეს პალეოგრაფიული ტერმინი ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ თარგმანშია დადასტურებული და, ამდენად, ძველი ხმარებისაა. იერემიას წინასწარმეტყველების ქართულ ვერსიებში ნათქვამია: „აღმო-რამ-იკითხვის იუდა სამი კეჟი ანუ ოთხი, მოკუეთდის მათ საჭრელითა მწიგნველისათა“ (იერ., 36,23). ქართული ტექსტის კეჟი გადმოსცემს ბერძნული და ლათინური წყაროების σελίς-ს და pagella (pagina)-ს, ე.ი. გრაგნილის ჟურცილს.

აკინძული ხელნაწერი წიგნის ერთ შემადგენელ ნაწილს კეჟის ნაცვლად ჩვეულებრივ ჟურცილი გამოხატავდა, რომელიც დადასტურებულია X საუკუნისა და მის აქეთა ხელნაწერებში: „ჟურცილსა მას წერილისასა პურიანი თარგმანებენ და ნაყოფსა მას სულისასა წარმართნი მოისთულნიან“;

¹ იოანე მოსხი, ლიმონარი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1960, გვ. 17.

„ესე თქმული წინამ მეორესა ჟურცელსა შინა კპოვო და შემინდეთ და ლოცვა-ყავთ“ (Sin. №6, 223r).¹

გრაგნილისა და ხელნაწერი წიგნის გაშლას, გადაჟურცელსა სხვადასხვა სიტყვები გადმოსცემდა, კერძოდ, გრაგნილისას – განყოფა. წიგნისას კი – განყოფაჲ და უფრო – გარდაყრა, გარდათუალეა და სხვა. ოთხთავის ძველ ქართულ თარგმანში სწერია: „მისცეს მას წიგნი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, აღდგა და განყო იგი კითხვად და პოვა ადგილი, რომელსა წერილ იყო“ (ლკ., 4,16-17). ქართული თარგმანის „განყო“ გადმოსცემს ბერძნული და ლათინური წყაროების ἀναπύσειν და explicare სიტყვებს, რომლებიც სწორედ გრაგნილის გაშლას გამოხატავენ.

„ლიმონარის“ ქართულ თარგმანში „გარდაყრა“ ამკარად გადაჟურცელსა გამოხატავენ (ამასვე ადასტურებს მისი ფარდი ბერძნული ἀναπύξας): „იხილა მეფემან კაცი, მდგომარს მის წინაშე და კელთა მისთა აქუნდა წიგნი დაწერილი და იკითხვიდა მას შინა. და გარდაყრა ხუთი ოდენ ჟურცელი და აღმოიკითხა სახელი მეფისაჲ“ (გვ.17). ხოლო „მამათა სწავლანის“ ქართული თარგმანის ძველ ხელნაწერში ვკითხულობთ: „ნუ ისწრაფი ჟურცელთა გარდაყრასა და გარდათუალეასა ოდენ, არამედ უკეთ[თუ] კპოვო რომელიმე სიტყუათაგანი და ვერ გულისკმა-კყო, ნუ გყონინ მეორედ და მესამედ და უფროჲს მისა ქუეჲდ და კუალად წარკითხვად“ (გვ.21). აქაც „განდაყრას“ შეესატყვისება ბერძნული ἀναπύσσω, ხოლო „ჟურცელს“ – φύλλισ.

ხელნაწერი წიგნი რეველებისაგან იკინძებოდა. რეველი, რომელიც რვა ძირისგანაა ნაწარმოები, რვა ჟურცელს ანუ 16 გვერდს შეიცავდა. ხელნაწერი წიგნის დაგვირდუა (პაგინაცია) ჩვეულებრივ გვერდობრივი კი არ იყო, არამედ რეველებრივი: თითოეული რეველის პირველი გვერდის (მოგვიერ ბოლო, მე-16 გვერდზე) ამაიზე (უფრო ზედაზე) აღინიშნებოდა რიცხვითი (ასობით გამოხატული) სათვალავი.

რეველი X საუკუნისა და მის აქეთა ხელნაწერებში მოიხსენიება. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „რეველი ბევრგან გვხვდება. სინას მთის განთქმულ გადამწერს იოანესაც თავის 984 წ. წერილში ნათქვამი აქვს: თქვენი შემოკვეთილი წიგნის გადამწერის დროს „რეველნი, რომელ დარჩის, საკითხავებად დაწერე“-ო (სინას მთის ხელნაწერი). ონანა მდივანს თავის დაწერილ ბარამიანის 1726 წ. ხელნაწერის შესახებ აღნიშნული აქვს: „დაესწერე დღეში რეველი ერთი“-ო (ე. თაყაიშვილი, Опис., I, გვ.520-27). „ვეფხისტყაოსნის“ 1646 წ. ხელნაწერის ანდერძშიც ნათქვამია: „ესე წიგნი ოცდაცხრა რეველი არის“ (ე. თაყაიშვილი, Опис. II, გვ. 570)²...; ჯერის მონასტრის №77 ხელნაწერის ანდერძში ნათქვამია: მე სულითა საწყალობელი... გიორგი

¹ მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები..., გვ. 56.

² მ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57. ოლონდ მკვლევრის ვარაუდის საწინააღმდეგოდ, დასახელებულ ადგილას „ქუეჲდ“ უნდა გამოხატავდეს არა ჟურცლის გადამლას, არამედ „მიბრუნებას“, „საკითხავად კელავ მიქუეჲს“.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 62.

ღირს მყო მოგებად წმიდათა ამათ მარხვანთა დიდსა სიგლახაკესა შინა, შემდგომად ტყუობით გამოსლვისა ხუარამშელთაგან, ესე ყოველთა შემდგომითი-შემდგომად მოგუთხრას მაშინდელი ყოველთა ქრისტიანეთა ჭირნი და განსაძელნი, ოკრებანი მონასტერთანი და ეკლესიათანი, რომელ არასადა დარჩობილა ერთი წიგნისა ფურცელი“ (ა. ცაგ., Свед., II, § 77). აქ ფურცელი, რომელიც რეჟულის ნაწილი იყო, როგორც მოსალოდნელი იყო, წიგნის ნაწილადაც არის დასახელებული.

ფურცლის თუ კეფის ცალ მხარეს, ზედა ან ქვედა პირს, რომელსაც ახლა გვერდს ვეძახით, ძველად კერძო, (სამოგადოდ „მხარეს“ აღნიშნავს), კაპატონი (კატაპატონი, გვიან: კაბადონი) ან ზურგი ერქვა.

ივ. ჯაფახიშვილი ზურგს, როგორც პალეოგრაფიულ ტერმინს, კარიდეთის ოთხთავის ბეშქენის ერთ-ერთი მინაწერით ადასტურებს: „ამას ზურგით პაპისა ჩემისა კელითა დაწერილ არს“, და თან დასძენს: „რა ეწოდებოდა ფურცლის წინა მხარეს, ჯერ არა ჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ „ზედა პირი“ ერქმეოდა“.

ბიბლიის ქართულ თაგმანში „კერძო“ „ქვის ფიცარზე“ გამოსახული შჯულის ტექსტის, კოდექსის ნაწერის ორივე (წინა და უკანა) მხარეს აღნიშნავს: „მოიქცა მას, და გარდამოვიდოდა მიერ მითთ და ორნი იგი ფიცარნი წამებისანი კელთა მისთა, ფიცარნი ქვისანი, რომელნი წერილ იყვნეს ორ კერძოვე, ამიერ და იმიერ იყო. დაწერილი და ფიცარნი იგი ქმნულნი ღმრთისანი იყვნეს“ (გამოსლ., 32,16). აქ ნახმარი კერძო, მისი შესატყვისი ბერძნ. μάρτυς და სომხ. կირაქ სიგყეების მსგავსად, გამოხატავს ნაწერის ერთ მხარეს, ნაწილს, ე.ი. გვერდს. ამავე მნიშვნელობითაა ნახმარი „კერძო“ გიორგი ხუცეს-მონაზონის „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“: „ხოლო მომეცუნა მე, უღირსსა ამას, ქარტამ იგი ღუდაკაისსა მის, რომელი-იგი მთამედვა ფარაგსა შინა წმიდისასა, და ვარქუ ვისმე ერთსა მღვდელთაგანსა აღმოღებად და განხილვად. ხოლო მან აღმო-რამა-ილო, იხილა, რამეთუ ბეჭედი ეგრეთვე იყო. ხოლო გულმან უთქუა, რამათა მცირედ მთაიხედნეს კილესა წიგნისასა და უკუმო-რამ-ჰკეუა კერძო წიგნისამ, ეჰა საკურველი და ამის ქამისა კაცთაგან ყოვლად ურწმუნო, რამეთუ აკოცილ იყო“ (აგ.ძეგ., II, თბ., 1967, გვ. 200-201).

მ. სურგულაძის ცნობით, „კერძო“ გრაგნილის გვერდსაც აღნიშნავს: „და ღამესა შინა ერთსა განვიდა გარე წმიდამ იგი ბერი სენაკით თუსით და იხილნა ანგელოზნი ბეყით გარდამოსულნი, და ერთისა მათგანისა კელთა ტომარი დიდი, დაწერილი ორ კერძოთვე“² აქ ნახსენები ტომარი ბერძნული τόμος („ნაკვეთი“) სიგყეის კინობითი τομάριον-ისგან მომდინარეობს³ და აღნიშნავს გრაგნილს ან გრაგნილის ერთ კეფს (ფურცელს).

1 იქვე, გვ. 63.

2 მ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

3 ილ. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი: თსუ-ს შრომები, ტ. XXXIX, 1950, გვ. 78.

3. კაპატონი, გვირდო, კილე, აშია, მანდუკი. რაც შეეხება გვერდის აღმნიშვნელ კაბადონს, ის გვიანდელი ფორმაა კაპატონ (კატაპატონ) სიგყვისა. ივ. ჯაფახიშვილი მეცნიერული სიფრთხილით წერდა: „ამჟამად XVIII საუკუნეზე აღრიხდელი ძველი ხელთ არა მაქვს, რომელშიც გერმინი კაბადონი იყოს ნახმარი, მაგრამ თვით სიგყვა ძველია და მომავალში ამაზე უფრო აღრიხდელი ძეგლებიდანაც შესაძლებელი იქნება ამონაწერების მოყვანა. 1800 წ. ერთ ხელნაწერში აღნიშნულია: „უმეტესად მუკლთა ზელა ეასწერენ კაბადონნი ამისნი“-ო.¹ მართლაც, პაელეს ეპისკოლეთათვის წამძღვარებულ ევთალეს „სტიქომეტრიის“ ძველ ქართულ რედაქციებში, რომლებიც X საუკუნისა (S-407; S-1138) და მის აქეთა ხელნაწერებითაა (S-1398) მოღწეული, დადასტურებულია „კაბადონის“ უძველესი ფორმები: კატაპატონ და კაპატონ: „დაიწერა ამას პაელესა საცნობლად მცირედ წულილი ევანგელისაა თითოეულად, რომელნი შეეგყუებიან პაელსი ევანგელესა, კპოვო ესე ქუემო კერძო განწესებულად კაპატონთა (კატაპატონთა).“² რომელი-იგი წითლითა არს, აუწყებს, თუ რომლისა თავისაა არს. ხოლო რომელი-იგი მელანითა არს, თითოეულად საკითხავთა მათ საძიებელი აქუს“. ეს უხება ოთხთავის შინაარსობლივ სიმფონიას: ოთხთავის ავტორების ინიციალები პორიზონგალურად წითლითაა მოყვანილი, ხოლო მათ ქვეშ შავად მოთავსებულია მსგავსი ადგილების სათვალავეები, რომლებიც სახარებათა გექსტის გვერდებს (კაპატონის) ქველა აშიაზე („ქუემო კერძო“) არის მოთავსებული.

ეს სიგყვა, რომელიც ბერძნ. καταβατόν-იდან მომდინარეობს, კატაბატონ-ის სახით ილ. აბულაძეს დამოწმებულ აქვს ეპიფანე კვიპრიელის თხზულების ძველ ქართულ თარგმანში (A-69I, 350v-351r) შთასაქვალის სინონიმად. ძველ ბერძნულში „კატაბატონი“ ჩამოსავილეს (მდრ. „შთასავალი“) აღნიშნავდა, ბიზანტიურ ბერძნულში კი – ნაწერის გვერდს. მნიშვნელობის ცვლა გასაგებია: გვერდზე სტრიქონები კიბის საფეხურებით დაბლა ეშვება, დაბლა ჩამოდის. ილ. აბულაძის დაკვირვებით, ბერძნ. კატაბატონ-ის სემანტიკურ კალკს წარმოადგენს ძვ. ქართული „შთასავალი“ და „გვერდის“ აღმნიშვნელი სომხ. ღე (ეჟ-იყ), რომელიც გარდამოსვლის, შთამოსვლის მნიშვნელობის ქყანსჲ მზნისგანაა ნაწარმოები.

ქართულში კატაბატონ-ისგან პაპოლოგიით კაბატონ, ხოლო შემდგომ ასიმილაციით კაპატონ-ი წარმომდგარა, ხოლო სამუაღ ქართულში კაპატონ-ს დისიმილაციური გამჟღერებით კაბადონ-ი მოუცია. კაპატონ ფორმა კაპიტონ-ის სახით დამოწმებულია ეფრემ მცირის ერთ-ერთ შეისწავე-კომენტარში: „შეისწავე ყოველივე, რაჲცა იმერსა კაპიტონსა წერილ არს, ვიდრე დასრულებამდე ამის თავისა, ვინცა იკითხვიდეთ ანუ სწერდეთ“ (A-

¹ ივ. ჯაფახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 63-64.

² კ. დანელია, ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები: ძვ. ქართ. ენის კათ. შრ. ტ. 20, 1977, გვ. 123.

³ ილ. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი: თსუ-ს შრომები, ტ. XXXIX, 1950.

24, 50r). აქ ამჟამად „იმერსა კაპიტონსა წერილ არს“ ნიშნავს: რაც იქეთა (ე.ი. მომდევნო) გვერდზე არის დაწერილი.¹

სულხან-საბას აღნიშნული აქვს, რომ „ფურცლის ცალსა პირსა კაბადონი, ხოლო ნახევარსა კაბადონისას გვერდს“ ეწოდებოდა. მაშასადამე, გვერდი ფურცლის ერთი მხარის, გვერდის ნახევარი ანუ ნაწერის სვეტია (ძველად უფრო მიღებული იყო ორ სვეტად წერა: სვეტებს შუა ასწვრივ სწორ მოლად გოვებდნენ დაუწერელ ადგილს).

ფურცლის ერთ მხარეზე ანუ გვერდზე ძირითადი ტექსტი შუა ნაწილში იწერებოდა და ოთხივე მხარეს საკმაო სიგანის დაუწერელი არე იყო დატოვებული, რომელსაც კიდე (კიდური), არშია (აშია) და პატივი ეწოდებოდა, გვიან კი – სხოლიო-ც. ხოლო თვით ძირითადი ტექსტი, რომელიც გვერდს ავსებდა, საშუალ ქართულში მკუდრ-ით გამოიხატებოდა (ძველ ქართულში ამ სიტყვას არსებითად მემკვიდრის მნიშვნელობა ჰქონდა): „ყოველთა გვევდრები აღმომკითხველთა წმიდისა ამის წიგნისათა, რამათა კეთილად განარჩიოთ სხოლიონნი და არასხოლიონნი, რომელ არიან დანაშთენნი მკუდრისანი, რომელიცა თნებითა ჩემითა მიქმნიეს, არამედ კაცობრივმან უძღურებაჲმან და ადგილსა ეგევითარსა ვერმიწიფებამან, უფრორე ცოდვილისა ძალითმან სიმრუმემან მაქნია ესრეთ, და ნაკლულყოფილი იგი, მკუდრისა თანადეე არშიათა ზედა, ვინა კიდურთა, იძიეთ მოწერილად ზედასაჩინობითა სამის წერტილისა ვითლურისათა და განწესებულსა ადგილსავე თანა აღმოიკითხეთ“ (Q 50, XVIII საუკ., 105v-106r).

უფრო მეორე (XI საუკ.) იოანი დამასკელის „გარდამოცემის“ თარგმანისთვის წამძღვარებულ შესავალში აშის მნიშვნელობით კიდე-სა და პატივ-ს ხმარობს და მეცნიერისათვის ჩვეული მკაფიობით აცხადებს: „ყოველსა თარგმანსა უკმს შემატებაჲ სიტყუსაჲ რეცა განმაცხადებულად ძალისა. ხოლო მე, ვითარცა ყოველთა უნარჩევებსა, მიზეზი იგი და შემდგომად ღმრთისა მოცემული იგი ჩემდა თარგმანობისაჲ ბერი ჩუენი ამას მიბრძანებდის, რამათა წმიდისა სიტყუაჲ მარტივად და შეუზავებლად და შეუხებლად ვსთარგმნო, და უკუეთუ რამე ძალისა განმაცხადებელი უკმდეს ჩუენსა ენასა, იგი კიდესა ზედა ადგილ-ადგილ და შესავალსა შინა, თავსა წიგნისასა, დაწერო. ამისთვისა ყოვლად უჯერო არს ვისგანმე კიდესა წარწერილისასა მის თარგმანისაჲ მიგან გარევით დაწერაჲ, არამედ კიდესა წარწერაჲ, ვითარცა ვისწავლეთ ჩუენ ესე ოთხასოცთა მათგან წიგნთა თეოდორე პატრიარქისა მიერ სემეონწმიდას მეწირულთა, რომელთა შინა არარაჲ პრთავს საგალობელი, თუნიერ ყოველნივე საკითხავნი არიან გარეშენი და საეკლესიონი და საჭიროჲსა [=საძნელო – კ.დ.] სიტყუსა თარგმანი პატივთა ზედა წიგნისათა უწერია. ხოლო შეისწავენი და განსაზღვრებაჲ განჩინებითურთ და სამეცნიეროჲ ესე არაოდეს ამას წიგნსა, არამედ ყოველთავე წიგნთა ბერძულთა უწერიან კიდესა, რამათა, რაჲმს სამეცნიეროსა რასამე სიტყუსა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უკმდეს მიმყოვრებული ეამი ანუ ყოველისავე გარდაკითხვაჲ“ (A-24, 3r). მართალია,

¹ კ. დანელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

აქ ნახმარი პატივი თითქო შემოკლებულად დაწერილი სიგყის ნიშნის, ქარაგმის მნიშვნელობას იგუებს, როგორც ამას ფიქრობდა ივ. ჯავახიშვილი,¹ მაგრამ ვანის ოთხთაის ანდერძში ნახმარმა შემთხვევამ გაარკვია, რომ პატივს კიდის, კერძოდ, გვერდის ზედა და ქვედა აშის მნიშვნელობა ჰქონია:² „აწ ვინცა სწერდეთ, ვითა აქა კჳოთ, ეგრე დაწერეთ წერტილითა და პატივთა ზედა მეორითა სიგყთა, რომელ ანდერძი, ვითა აქა სწერია, ესრე პოვნილ არს ნუსხასა“ (A-1335, 266).

ხელნაწერი წიგნის ერთ მთლიან მომას გადმოსცემდა „ნაკუეთი“, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო მცირე ან დიდი (სრული). ეს „ნაკუეთი“ სემანტიკური ფარდია ბერძნული წარმოშობის ტომისა (τόμος „ნაჭერი“, „ნაკუეთი“): „ესე მცირე ნაკუეთი სისუბუქისათჳს შეექმენ, ნუთუ ვინ უღაბნოს იკმაროს. და თუ ვინ წაულოს, ვისცა მოგხუდეს, ღმერთმან გარწმუნოს, ჩემდავე მოაქციეთ“ (Sin. № 21),³ „ლოცვა ყავთ, შეცთომილსა გაბრიელს, ქრისტე, შეუნდვე. ამენ. ვამე, დატევებაჲ ამათ ვალობათა მეტრალეების, დედაჲ წრულად ჩასხმული იყო და სრული ნაკუეთი მას ზედა ვქმენ“ (Sin. № 17).⁴

ეფთალეს სტიქომეტრიაში თხზულების ნაკუეთის, ტომის მნიშვნელობით ნახმარია ბერძნულიდან შემოსული ტომარ-ი (τομάριον კნინობითი ფორმაჲ τόμος სიგყისა, რომელიც თავიდან პაპირუსის ან ეტრაგის ნაჭერს, ნაკუეთს აღნიშნავდა, შემდგომ – ხელნაწერი წიგნის ნაწილს ან თვით წიგნს): „ხოლო ეესები შემდგომად ქაბთა ჳემშარიტად გამოიკითხა და მაუწყა ჩუენ და მეორესა მას ტომარსა საეკლესიომსა უწყებასა ამისი მარტურობაჲ აქსენა“ (14,1). აქ ლაპარაკია ეესები კესარიელის 10-ტომიანი „საეკლესიო ისტორიაზე“ (Ἐκκλησιαστικῆς ἱστορίας), რომლის მეორე ტომში ანუ ტომარში (ἐν τῷ δευτέρῳ τόμῳ) მოთხრობილია ნერონ კეისრის მიერ პავლეს წამების ამბავი.

წიგნის ან თხზულების დასაწყის ნაწილს თავი ერქვა და ის უპირისპირდებოდა, როგორც ეს დღესაცაა, ბოლოს ანუ დასასრულ ნაწილს. მაგრამ „თავი“ თხზულების სხვადასხვა ნაწილსაც გამოხატავდა, როგორც ეს დღესაცაა: ეფთალეს „სტიქომეტრიაში“ თავი თხზულების ნაწილსაც გამოხატავს და გადმოსცემს ბერძნ. κεφάλαιον-ს და ასევე თემბატურად გაერთიანებულ ნაწარმოებთაგან ერთ-ერთ მათგანს, თვით თხზულებას, კერძოდ, ეპისტოლეს (ეფარდება ბერძნულ ἐπιστολῆ-ს) „რომელი-იგი მელანითა არს რიცხუ, რაოდენ არს თავები, მას ხოლო აუწყებს“ (18,1); „დაწერა პრომელთა მიმართ თავსა სწავლაჲ ქრისტეს მიმართ და უფრომსლა ბუნებისათაგან გულის სიგყუათა გამოჩინებითა“. (9,3).

ეფთვიმე ათონელის ანდერძშიც დღევანდელი მნიშვნელობითაა ნახმარი „თავი“: „...მე ვლახაქმან ეფთვიმე ვთარგმნე ესე. რომელნი სწერდეთ, ვითარცა აქა კჳოთ, ეგრე დაწერეთ, და თავნი, ვითარცა აქა იყვნენ, ეგრე

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 138.

² თ. ხაქომია, გერმინი „პატივის“ გამო ქართულ პალეოგრაფიაში: „მომოხილველი“, III, თბ., 1953, გვ. 225.

³ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 44.

⁴ იქვე, გვ. 39.

დასხენით. რამეთუ მე ვითარცა მიოვნიან, ეგრეთ დამისხმან ყოველნი წითლითა“.¹ თხზულების თავთა დასახელება (სათაურები) ტექსტის თავში ან ბოლოშიც შეორდებოდა ერთობლივ, დღევანდელი სარჩევის მსგავსად. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით იხმარებოდა თაქედგმულობა და მანდუკი. XVIII საუკუნის A-414 ხელნაწერს ბოლოში ერთვის შიგ შემავალი თხზულების თავთა დასათაურებანი, „სარჩევი“, რომელსაც ასეთი აღნიშვნა აქვს: „თაქედგმულობა ამის წიგნისა არს ესე“ (193). გიორგი მცირე (ხუცეს-მონაზონი) „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“ ამბობს, რომ თუ ვინმეს უნდა გაიგოს წიგნის შინაარსი და მნიშვნელობა („ძალი“) ან მასში „რაა სწერია, ამის წიგნისა ბოლოს პოოს... განმარტებულად [=ერყლად – კ.] თითოეულისა წიგნისა მანდუკი და ანდერძი...“, რომელი წმიდამან ბერმან იოანე პატრიკყოფილმან აღწერა, რაქამს-იგი თავისა თუსისათუს გარდაიწერნა წმიდანი ესე წიგნი“.²

მანდუკი, როგორც აღვნიშნეთ, იგივე ბერძ. *ὁ μανδύκ* ანუ „წითელი მელანია“ და ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა X საუკუნის ხელნაწერებშია დადასტურებული. გემოდასახელებულ XI საუკუნის ტექსტში კი ეგვევ სიტყვა „სარჩევს“ აღნიშნავს. რომ გასაგები გახდეს ამ სიტყვის მნიშვნელობათა ასეთი ცვლა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ წითელი მელნით ანუ მანდუკით იწერებოდა სათაურები და ამ სათაურთა კრებულის ანუ სარჩევის დასაწყისი ასოები (ან თვით სარჩევი მთლიანად), რადგან „სარჩევი“ ღომინირებდა წითელი მელანი ანუ მანდუკი, თვით მელნის სახეობის სახელწოდება შეტაფორულად გადატანილ იქნა ამ მელნით შესრულებულ „სარჩევზე“.

ხელნაწერ წიგნს ან მასში შემავალ თხზულებას შეიძებოდა წამძღვარებოდა წინასიტყვაობა, რომელშიც რაიმე ცნობა იქნებოდა ასეთი წიგნის ან თხზულების შექმნასა ან თარგმანთან დაკავშირებით. მას „შესავალი“ ან „თავი წიგნისაჲ“ ერქვა. ორივე ეს ტერმინი ნახმარი აქვს ეფრემ მცირეს „გარდამოცემის“ თარგმანისათვის წამძღვარებულ ცნობილ შესავალში: „უკუეთუ რაიმე ძალისა განმცხადებელი უკმდეს ჩუენსა ენასა, იგი კიდესა ზედა ადგილ-ადგილ და შესავალსა შინა, თავსა წიგნისასა, დავწერო“ (A-24, 3r). ნაწერის ერთ ხაზს, ერთ რიგს ძველად სტიქონი ერქვა. ეს სიტყვა ქართულს უსესხებია ბერძნული ენისაგან, სადაც *στίχος* გადმოსცემს მწკრივს, რიგს (ეფრო სალექსო სტრიქონს), კერძოდ, ნაწერის ერთ მწკრივს. როგორც პალეოგრაფიული ტერმინი X საუკუნის ხელნაწერებში (S-407, S-1138) არის გამოყენებული. ამავე ხელნაწერებში სტიქონის სინონიმად მუქლი არის ნახმარი: „განწყავ საკითხაუები და გამოვწერტე კარგად-კარგად ყოველივე სამოციქულოა წიგნი ჭემმარტიგად ერგასის-ერგასისად სტიქონად და თავები

¹ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 130; მ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

² ძველი ქართული ავტოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები..., II, თბ., 1962.

³ ილ. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი ..., გვ. 79; კ. დანელია, ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები..., გვ. 141; 144.

თითოეულისა საკითხავისა თანა დაწერე და მას შინა რაოდენნი წამებანი ითქუნეს და მერმე კუალად რაოდენ მუკლად-მუკლად არს“ (17, 17).

ვეთალე გვაუწყებს, თუ თითოეული ეპისტოლე რამდენ საკითხავად (მონაკვეთად), საკითხავი – რამდენ თავად, თავი – რამდენ მუკლად იყოფა და რამდენ წამებას ანუ ციტატას შეიცავს, მაგალითად, „პრომელთა მიმართ ეპისტოლესა: საკითხავი ე, თავები ით, წამებანი მმ, მუკლი მქ“ (18.2).¹ აქ „მუკლი“ ბერძნ. σιχως-ს გადმოსცემს.

მაგრამ „მუკლი“ ამავე „სტიქომეტრიაში“ ნაწერის გარკვეულ მონაკვეთს, სექციას ანუ, დღევანდელი გაგებით, მუხლსაც გამოხატავს, მაგალითად, პრომელთა მიმართ ეპისტოლე, ვეთალესეული დაყოფით, შეიცავს 19 თავს და ლმ (ე.ი. 37) მუკლს, კორინთელთა მიმართ ეპისტოლე – 9 თავსა და ლვ (ე.ი. 36) მუკლს და ა.შ. ცხადია, გექსტის ვითარების მიხედვით რომაელთა მიმართ ეპისტოლე 37 სტრიქონს არ შეიძლება შეიცავდეს, ის 37 სექცია-მუხლს შეიცავს. სტიქონი გამოყენებული აქვს ეფრემ მცირესაც სამოციქულოს მისეული რედაქციის შესავალში, სადაც აღნიშნავს, რომ გიორგისეული რედაქციის გექსტისათვის თარგმანება-კომენტარების შედგენისას მას ზოგჯერ ცელილებების შეგანა უხდებოდა თვით კანონიკურ გექსტში, როგორც ამას მოითხოვდა ბერძნული წყაროების გათვალისწინება და მხოლოდ „მაშინდა ძლით მოუპოი ქართული შემგავსებული [=შესაფერისი, ექვივალენტი – კ.დ.] სიტყუა. და ესევეთარნი სიტყუანი სადაცა შემეცვალებიან, კიდესა სტიქონისასა იოგამა დამისუაშს და შინა, სიტყუასა წინამთ, ესე, ვითარმედ: უსაკუთრესი, ესრეთ“.²

მოგვიანებით (უფრო XVIII საუკუნესა და მის აქეთ) სტიქონი ტრიქონ ფორმას ღებულობს. 1726 წლის ხელნაწერის ანდერძში ნათქვამია: აქა-იქ „ტრიქონი მოფხეკილი და მეორედ გაკეთებული არის... მრავალგზის მოფხეკილი ტრიქონი ამისთჳს მოვიდა, რომ მას უკან გავაკეთე“ (ე. თაყაიშვილი, Описание... I, გვ. 527). სულხან-საბასაც შეგანილი აქვს ეს ფორმა თავის ლექსიკონში: „ტრიქონი წერილთ ნაწერთ რიგი“. უნდა ვიფიქროთ, რომ ტრიქონ ფორმაში ს ბევრინაცვალა (ისტორიულად ანლაუტის ს თანხმოვნის წინა პოზიციისა რ-თი შეიცვალა სამუალსა და ახალ ქართულში: სძე → რძე, სჯული → რჯული, სძალი → რძალი...) და შემდგომ გადასმულია (სტიქონი → რტიქონი → ტრიქონი). ხოლო ახალი ქართულის სტრიქონი მიღებული უნდა იყოს ორივე ფორმის კონტამინაციით: სტიქონი+ტრიქონი.

გექსტში შეიძლებოდა ყოფილიყო ციტატა სხვა თხზულებიდან, რომელსაც ძველად წამება ერქვა და სემანტიკურ ფარდს წარმოადგენდა ბერძ. μαρτυρία-სი. ვეთალეს „სტიქომეტრიაში“ ნათქვამია: „ყოველნი ეპისტოლენი აღმოვიკითხუნ პაველე მოციქულისანი და გამოვარჩიენ მიერ ყოველთა წამებათა სიტყუანი“ (20,1); „საღმრთოთა წამებათა კეთლად გამოჩინებისა პოვნამ ხუროდ გამოვთქუთ და თავად-თავად განვაგეთ“ (10,3); „ყოვლად პავლმს

¹ კ. დანელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

² საქმე მოციქულთა, გამოსცა ილ. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1950, გვ. 229.

სამოციქულოთამ: საკითხავნი ლა, თავნი რმზ, წამებანი რმკ, მუკლი ჰმლჳ (18,16).¹

ნაწერი სტრიქონები ძველ ხელნაწერებში ისეა გამოყვანილი, რომ თითქოს სწორ ხაზებს შორის იყოს ჩაწერილი. ზოგ ეტრატსა და ქალაღდს მართლაც ეტყობა ასეთი ხაზები, რომლებიც უსაღებაეოდ წვეტიანი ძელის იარაღის (სახაზავის) დაჭერით არის გამოყვანილი. ნაწერის ასეთ ხაზს კასშათი ერქვა. ერთი გვიანდელი ხელნაწერის გაღამწერი ჩივის, რომ „არასწორითა კასშათითა ვჰწერენ კაბაღონნი ამისნი არაქონებისათეს სახაზავისა“ (თ. ჟორღანია, Опнс. I, გვ. 294).

ლიტერატურა

- ივ. ჯაჰახიშვილი, ქართული ღამწერლობათმეოღნეობა ანუ ჰალეოღრაფია, თბ., 1949.
- იღ. აბუღაბე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამღენიმე ძველი ქართული ტერმინი: თსუ-ს შრ., ტ. XXXIX, 1950 (II გაბოცემა: იღ. აბუღაბე, შრომები, II, თბ., 1976).
- ზ. სურბუღაბე, ძველი ქართული ჰალეოღრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
- კ. ღანუღია, ეფთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რეღაქციები: თსუ-ს ძვ. ქართ. ენის კათეღრის შრომები, ტ. 20, 1977.
- თ. ხაჭოშია, ტერმინი „ჰატიის“ გაბო ქართულ ჰალეოღრაფიაში: „მიმომხიღველი“, III, თბ., 1953.

¹ კ. ღანუღია, ღასახ. ნაშრომი, გვ. 111; 102; 107.

თავი XI

დაქარაგმება აქელი ქართლის ნერილობით აქელეზში

ძველად ხელნაწერი წიგნი ძვირად ფასობდა, რადგან მის შესაქმნელად საჭირო იყო არა მარტო ძნელად საშოვნო და ფრიად ღირებული საწერი მასალა, არამედ ხანგრძლივი და მომქანცველი შრომაჲ. ამიტომაც მწერლები და გადამწერები ხშირად სახმარი სიგყვების შემოკლებით წერას მიმართავდნენ, რათა დაეზოგათ საწერი მასალა და დრო და საერთოდ შეემსუბუქებინათ ფრიად გარჯითი წერითი პროცესი. შემოკლებულად დაწერილ სიგყვას ზემოდან უკეთებდნენ გარკვეულ ნიშანს, რომელსაც ძველ ქართულში ქარაგმას ეძახდნენ. ეს ნიშანი მკითხველს ორიენტაციას აძლევდა, რომ ასეთი ნიშნის ქვეშ შემოკლებულად დაწერილი სიგყვა კითხვისას სრულად უნდა გამოთქმულიყო.

1. საკითხის შესწავლის ისტორიიდან. პალეოგრაფიული ტერმინი ქარაგმა პირველად ნახმარია 978-988 წლების ქართულ ხელნაწერში (S-425), რომელიც შეიცავს ცნობილი პიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ საგალობელთა კრებულს, „იადგარს“. ამ ხელნაწერს ძლისპირების ბოლოს ერთვის მიქაელ მოდრეკილის ანდერძი, სადაც გამოყენებულია „ქარაგმა“ სიგყვა: „მე, გლახაკმან მიქაელ მოდრეკილმან, ძმისწულმან ღმერთმემოსილისა მამისა დავითისმან, ვილუაწუ და ყოვლით კერძო შრომაჲ ვაჩუენუ უმეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულსმოდგინეთ ძიებითა შევეკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა მეხურნი ბერძულნი და ქართულნი და სრულნი ყოვლითა განგებითა დაეწერენ წმიდასა ამას შინა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და ჭეშმარიტებითა. და ესრით განეაწესე თავით თუსით და უმჯობეს ვყავ უმეტრებითა სიგლახაკისა ჩემისაჲთა, რამეთუ ყოვლისა კმასა პირველ „უფალო, ღაღად-ყავისა“ ძლისპირნი დაეწერენ და შემდგომად – გალობათანი, თუნიერ ქარაგმითა. და ყოვლითურთ სრულ იქმნა მუშაკობაჲ ესე საღმრთოჲ ძალითა და შეწევნითა ღიდად სახიერისა მხოლომსა ღმრთისაჲთა, რომელი კურთხეულ არს აწ და მერმეთა მათ საუკუნეთა. ამენ“.¹

ქარაგმა ტერმინი ძველ საქართველოში მაინცდამაინც გავრცელებული არ ყოფილა, რადგან, ე.ჭანკიევის ცნობით, სულხან-საბამდე სხვა ხელნაწერებში ნახმარი არა ჩანს.² საბასთან კი ამ სიგყვას განზოგადებული მნიშვნელობა აქვს და მით აღნიშნულია ყველა პროსოდიული ნიშანი, რომ-

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S კოლექციისა, I, თბ., 1949, გვ. 544.

² ე. ჭანკიევი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში (V-X სს.); საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებული „პალეოგრაფიული ძიებანი“, I, თბ., 1965, გვ. 58.

ლებიყ კი სიყყვას ზევიტ დავსმის, იქნება ის აპოსტროფის, მახვილის, აქცენ-ტის, ხმოვნის სიგრძე-სიმოკლის, ასონაკლებობის თუ სხვა რამის აღმ-ნიშნული. საბა თავისი ქართული ლექსიკონის შესავალში წერს: „არიან ქარაგმანიყა ათნი, რომელსა ქართულად ეწოდების განწილყა, ხოლო ელ-ლენებრ პროსოდიანი. ამათ მიერ ჯერ-არს ღრმათა წერილთა კითხვანი უცთენელად“¹.

აღსანიშნავია, რომ საბა გექსტის ყველა წასაკითხი (სიმბოლური) ნიშ-ნის ზოგად სახელს ქარაგმას არც ქართულად თელის და არც ბერძნულად (თუმყა ბერძნული კია). მისი აზრით, ბერძნული პროსოდიის ქართული ჟარდი ტერმინია განწილყა. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ საბა პროსოდი-ული ნიშნების სახელდებათა და მნიშვნელობათა მოყემისას სარგებლობდა არა მარტო ი. პეტრიწის შრომით „განმარტებაჲ პროკლესთუს დიაღობოსის და პლატონურისა ფილოსოფიისათუს“², არამედ სხვა წყაროთიყ, რომელშიყ პროსოდიის მნიშვნელობით ქარაგმა იყო ნახმარი. თორემ საბამ კარგად იღის ძველ ქართულში ხმარებული ქარაგმის კონკრეტული მნიშვნელობა და მისი განმარტება ქ ასოს რიგში სწორად აქვს მოყემული: „ქარაგმა – ასონაკლების ნიშანი“³. ამიგომეყა, რომ საბას ლექსიკონში შესულ შემოკლე-ბით დაწერილ 50-მდე ჟორმას ყველას ახლავს მითითება, თუ როგორ წაკითხება სრულად, და ყველასთან მითითებაა: „ქარაგმით“, ან „ქარაგმით ითქმის“. მაგ., „ო*ი* – ქარაგმით უყალი“; „ე*ა* – ქარაგმით ჟამსა“; „რ*რ* – ქარაგმით ითქმის რამეთუ“; „რ*ა* – რათა ქარაგმით“; „რ*ი* – ქარაგმით რო-მელი ითქმის“; „ღ*ი* – ქარაგმით ითქმის ღმერთი“; „ღ*ნ* – ქარაგმით ღმერთ-მან“ და სხვ. სხვა წყაროთი სარგებლობის გამოყა, რომ საბა არ ახსენებს ბერძნ. პროსოდიის (Προσῳδια, ἦ). ჟარდ პეტრიწისეულ მძღუარს (მოსალოდნელი იყო: წინა-მძღუარი, მაგრამ საზოგადო მნიშვნელობის სხვა სიყყვაში აირეოდა). პეტრიწით, „მძღუარნი, განიყოფიან ანუ მახულად, რომელ არს ოქსია, ანუ და – მძიმედ, რომელ არს ვარიამ, ანუ და – გარე-მომრთხმელად, რომელ არს პერისპომენონი, ანუ და – დასია, რომელ არს წყნარად წარსაყლეღი სიყყუსამ, ანუ და – ფსიღი, რომელ არს წული, ანუ – უაქსაქიყეღი, რომელ არს ტროფოს, ანუ თუ და – შექრეღი, რომელ არს ქეიყე გამომყოფი“⁴. ხელნაწერთა ამიაზე ამ განმარტების გასწვრიყ აღნიშ-ნულია: „პროსოდიანი ათნი: ოქსია, ვარია, პერისპომენი, მაყრა, ვრაქია, და-ნია (= დასია, შდრ. δασεία, ἦ, spiritus asper), ფსიღი, აპოსტროფოს, უყენ, უო-დიასტოღი“⁵. ყველა ეს ტერმინი, რომელიყ ბერძნულია, სათანადო განმარ-ტებით შესულია თავ-თავის ადგილას საბას ლექსიკონში. საბასეული გან-მარტება ზოგჯერ სხვაობს პეტრიწისეულისაგან. საგულისხმოა, რომ

¹ ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1966, გვ. 27.

² ც. ჭანიყევი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში..., გვ. 58.

³ ს.ს. ორბელიანი, თხზ. ტ. IV, თბ., 1966, გვ. 212.

⁴ იოანე პეტრიწის შრომები, II, გექსტი გამოსყეს და გამოყელება დაურთეს შ. ნუყუ-ბიძემ და ს. ყაუზჩიშვილმა, გყ., 1973, გვ. 221.

⁵ A-74, 238r; A-1150, 211r; H-2363, 176r ...

„ეტერიწთან განუმარტავად მოყვანილ ვრაქია და მაკრა გერმინებს საბა ასე განმარტავს: „ვრაქია ქარაგმა ამგუარი .-. სადა ეს ჯდეს სიგყუასა თანა, მყირედ ნაკლებია“; ¹ „მაკრა ქარაგმა .-. სადა ეს უჯდეს, სიგყუას ასო აკლია“ ² ვრაქიის, განსაკუთრებით კი მაკრა გერმინის განმარტება თითქო ძალიან ახლოსაა ქარაგმის მნიშვნელობასთან. ამიგომაც ფიქრობენ, რომ მაკრა და ქარაგმა საბასთვის სინონიმებია და ორივე ასო-კლების ნიშანს აღნიშნავენ. ³ მაგრამ დღეისათვის გარკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ საბას ორივე გერმინი იმ მნიშვნელობებით უნდა ესმოდეს, რაც მათ აქეთ ბერძნულში. ვრაქია (βραχία) მოკლე მარცეაღს აღნიშნავს (საბას სიგყეებითაც, სადაც ეს ნიშანი აზის სიგყვას, ის მარცეაღი „მყირედ ნაკლებია“), მაკრა კი (μακρά, ῥ) – გრძელ მარცეაღს გამოხატავს. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ რადგან მარცეაღის სიგრძე ჩვეულებრივ არ გადმოიყება ხმოვნის გრაფიკული ნიშნის გამოკრებით, საბა თელის, რომ „სიგყუას ასო აკლია“. საბას რომ მაკრა ქარაგმის სინონიმად არ ესმოდა, იქიდანაც ჩანს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლექსიკონში შესულ 50-მდე შემოკლებული დაწერილობის სიგყეების სრულად წაკითხვის აღნიშვნისას საბა ყველა მათგანთან ახსენებს მხოლოდ გერმინ ქარაგმას („ქარაგმით“, „ქარაგმით ითქმის...“) და არც ერთხელ – მაკრას.

დაქარაგმების წესებს საგანგებოდ შეეხო ანტონ I კათალიკოსი თავის „ქართულ ღრამმატიკაში“. მან ამ შრომის პირველ რედაქციაში (1753 წ.) გამოყო ოთხგვარი ქარაგმა:

1. საუფლო (ღ^ი – ღმერთი, ო^ი – უფალი, ი^უ – იესუ, ქ^ე – ქრისტე, წ^ე – წმიდაა, ან^გს – ანგელოს, იშ^ლ – ისრაილ, იშ^{ლი}მ – იერუსალიმ, კ^სი – კათალიკოსი);
2. სამთაგრულო (ხ^ნ – ხოლო, რ^ნ – რამეთუ);
3. საყოფადად (ა^დ – არამედ, ე^დ – ვითარმედ, ე^ე – ვიდრე, ყ^ი – ყოველი, რ^{ლი} – რომელი, კ^დ – კუალად, შ^ს – შორის...);
4. საკმოჴანო (ჩ^მი – ჩემი, შ^{ნი} – შენი და სხე).

ქარაგმის ამ სახეობათათვის ანტონს სათანადო განსხვავებული ნიშნებიც აქვს მოყვანილი მხითარ სებასტიელის გრამატიკის მიბაძვით (ძველ ქართულში ერთგვარი ნიშანი ესეა შემოკლებულ სიგყეებს ზევით, რა გინდ შინაარსისაც უნდა ყოფილიყო). თავისი „ღრამმატიკის“ II რედაქციაში (1760) ანტონმა ქარაგმათა კლასიფიკაცია შეეკალა და განმარტებაც დაამუსტა: „ქარაგმა არს ღრამი (=ნიშანი) რამე ზედ-მდებარე ლექსთა (=სიგყვათა), დასამოკლებულად წერილისა“ ⁴ ის ორგვარია: ჟაღრესობითი (იგივეა, რაც

¹ ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, IV, თბ., 1965, გვ. 274.

² ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, IV, თბ., 1965, გვ. 434.

³ თ. ხაეშია, გერმინი პატივი-ს გამო ქართულ პალეოგრაფიაში: მიმოხილველი, III, თბ., 1953, გვ. 221-227; ტ. მიქაძე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, თბ., 1957.

⁴ ც. ჭანკიევი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში ... , გვ. 60.

⁵ ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I მიერ, თბ., 1885, გვ. 287-289.

მის მიერ ადრე ნახმარი „საყოვლადო“ + „სამთაერულო“) და საყოვლადო (იგივეა, რაც მის მიერ ადრე ნახმარი „საყოვლადო“ + „სამთაერულო“ და „საკმოუნო“). მაგრამ ანტონმა ეს გამარტივებული კლასიფიკაცია იმით გაართულა, რომ „უაღრესობით“ ქარაგმაში შინაარსობლივ სამი ქვესახეობა გამოყო:

1. ლატრია (λατρεία, „მსახურება“, „თაყვანისცემა“), რომელშიც გააერთიანა საღმრთო სახელები (ღ-ი - ღმერთი, ჟ-ი - უფალი, ი-ლ - იესო, ქ-ი - ქრისტე). 2. ტულია (τύλος, „კორძი“, „კოპი“, ნიშანი კოპივით ამოხურულია '), რომელშიც გააერთიანა ღმერთის შემდეგ ყველაზე წმინდა სახელები (ყ-ღ-წა - ყოვლად წმიდა, ღ-ის-მშობ¹ლი - ღმერთისმშობელი, ჯ-ი-ჯუარი, სახ-რბა - სახარება, სა-ქხლი - საკურთხეველი). 3. იერატულია (მღრ. ἱερατικός „საუკეთესო“, „უმალღესი“), რომელშიც გააერთიანა ფრიად საპატიო სახელები (ან-გს - ანგელოს, იმ²რლიმ - იერუსალიმ, ი-ლ - ისრაილ, ქ-სი - კათალიკოსი, წწ³ყ⁴ლი - წინასწარმეტყველი, მოქ⁵ქლი - მოციქული, მღ⁶ღლი - მღვდელი და სხვ.).

„უაღრესობითი“ ქარაგმის ქვესახეობათა ბერძნული ტერმინებით აღნიშვნა აფიქრებინებს შეკვლევართ, რომ ანტონს „გრამატიკაზე მუშაობის დროს ხელთ უნდა ჰქონოდა რომელიმე ბერძნული სახელმძღვანელო, საიდანაც უნდა გადმოეთანა ეს ტერმინები“¹.

ძველ ქართულში სიტყვათა წერაში შემოკლების წესები, სათანადო ნიშნები, ამ პროცესთან დაკავშირებული ტერმინების ისტორია მეცნიერულად შესწავლილი აქვს ივ. ჯავახიშვილს თავის მონოგრაფიულ შრომაში „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“. მასვე აქვს შემოღებული ქართული პალეოგრაფიული ტერმინები: დაქარაგმება, ბოლოშეკვეცილობითი დაქარაგმება (suspension-ის ფარდი), შუაშეკვეცილობითი დაქარაგმება (contraction-ის ფარდი), მხოლოასოიანი დაქარაგმება (მხოლოდ დასაწყისი ასოთი წარმოდგენილი სიტყვისათვის), უხმოვნო დაქარაგმება (უხმოვნოდ დაწერილი სიტყვებისათვის).

ივ. ჯავახიშვილმა სწორად შენიშნა, რომ ძველ ქართულში ხმარებული ქარაგმა ბერძნულიდან იყო შემოსული (χάρωμα, τρ), სადაც ის „მუბლის ან ხელის ნაოჭს ნიშნავდა და, რაკი ქარაგმაც განივი სწორი ან გახრილი ხაზის მსგავსად იწერებოდა, ალბათ, ამიტომ უნდა იყოს შემოკლების ნიშნის გამოხატველ ტერმინად გამოყენებული“². ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ძველ ქართულში ქარაგმის სინონიმად პატივი უნდა ყოფილიყო ხმარებული. შეკვლევარს ამის საფუძველს თითქოს აძლევდა ეფრემ მცირის შრომა. ეფრემმა იოანე დამასკელის „ეოდნის წყაროს“ ერთ-ერთი ნაწილის – „გარდამოცემის“ – თარგმანს წარუმძღვარა შესავალი, სადაც მას ნათქვამი აქვს, რომ ბერძნებს წესად აქვთ ძნელი სიტყვების სქოლიოში განმარტება; კერძოდ, ანტიოქიის მახლობლად მდებარე ბერძენთა სუმეონ-წმიდის მონასტრის წიგნთსაცავის ხელნაწერებში „საჭირომასა (ე.ი. ძნელი, რომლის გაგება

¹ ი. ჯანკიევი, დაქარაგმების წესები..., გვ. 65.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 138.

ჭირს) სიტყვას თარგმანი (=განმარტება) პატივთა ზედა წიგნისათა უწერია“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს წინადადება გადაშწერთაგან შერყენილია და „დედანში, ალბათ, ასე ეწერებოდა: „პატივითა კიდეთა ზედა წიგნისათა უწერია-ო“. ერთი სიტყვით, ეფრემ მცირეს უნდოდა ეთქვა, რომ ბერძნულ ხელნაწერებში განმარტებას კიდებებზე წერდნენ დაქარაგმებული სიტყვებით. პატივი სპარსული სიტყვაა და თავსაკრავსა და თანამდებობას ნიშნავდა. სომხურშიც შემოსული იყო, სადაც պատիւ, ქართულის მსგავსად, სხვათა შორის, სიტყვის შემოკლების ნიშანსაც ეწოდებოდა“.

პატივი სიტყვის ჯავახიშვილისეულ გავებაში კორექტივი შეიგანა ვანის სახარებაზე (A-1335, XII ს.) დართულმა ანდერძმა, რომელიც „იოანე საკყარს“ ეკუთვნის. მასში წერია: „აწ ვინცა სწერდეთ, ვითა აქა კოოთ, ეგრე დაწერეთ წერტილითა და ქტ-თა ზედა მეორითა სიტყუთა. რამეთუ ანდერძი, ვითა აქა სწერია, ესრე პოენილ არს ნუსხასა“ (226v); ხელნაწერში ზოგი მუხლის მოკლე შინაარსი გატანილია ამიაზე და ანდერძშიც ამაზე უნდა იყოს მითითება „მეორითა სიტყუთა“-თი. და რადგან ასეთი მინაწერები ზემო ან ქვემო აშიებზეა მოთავსებული, პატივი ხელნაწერის ამიას, კიდეს უნდა ნიშნავდეს.²

ქარაგმების ხმარების შემთხვევები და წესები ძველ ქართულ ეპიგრაფიკულ და ხელნაწერ ძეგლებში, საერთოდ, ქარაგმასთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები ე. ჭანკიეც მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი საკანდიდატო დისერტაციაში,³ რომლის ბეჭდურ ნაწილებსაც ძირითადად ემყარება შრომის ეს მონაკვეთი.

2. ლაქარაგმების ნუსხები ბერძნულში. ძველი ქართული ხელნაწერი ტექსტების დიდი ნაწილი თარგმნილია ბერძნული ენიდან, ამიტომ ქართული წერის კულტურასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა აუცილებლად მოითხოვს ბერძნული ხელნაწერების ვითარების გათვალისწინებასაც.

ბერძნულ წერაში სიტყვათა შემოკლების ხუთი ძირითადი მეტნაკლებად გავრცელებული და მიღებული წესი არსებობდა:

1. იწერებოდა სიტყვის დასაწყისი, ხოლო მომდევნო ნაწილი დაუწერელი რჩებოდა. ესაა ე.წ. სუსპენზია ანუ ბოლოშეკეცილობა. ქართულ ხელნაწერებში ასეთ შეკეცილობას არ მიმართავდნენ. იშვიათად გამოყენებული იყო წარწერებში, მაგალითად, ყალა-ბონისაში (X ს.).

2. იწერებოდა სიტყვის მხოლოდ დასაწყისი ასო (littera singularis). ესაა ე.წ. მხოლოასოიანი დაქარაგმება. ამ წესს ძალზე შემლუღულად მიმართავდნენ, რადგან წასაკითხად ძნელი იყო. ქართულშიც სისტემებურ მხოლოდ ორი კავშირი მოკლდება ამ წესით: რ – რამეთუ, ხ – ხოლო, იშვიათად კი ან

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია... გვ. 138.

² თ. ხაელობა, გერმინი პატივი-ს გამო ქართულ პალეოგრაფიაში: მიმოხილველი, III, თბ., 1953, გვ. 226-227.

³ Ц. А. Чанкисва, Правила сокращения в памятниках древнегрузинской письменности, Автореферат, Тб., 1967, 16 стр..

თანდებული (გ) და მოთხრობითი ბრუნვის მან (მ) ნიშანი, ჩვეულებრივ კი ისინი წარმოდგენილი არიან უხმოვნო დაწერილობით, გ^ნ და მ^ნ-ის სახით.

3. სიტყვათა შემოკლებულად დაწერისათვის გამოიყენებოდა სპეციალური სტენოგრაფიული ნიშნები. ასეთი ნიშნებით აღინიშნებოდა ან მთლიანად თანდებულები, კავშირები, ნაცვალსახელები თუ ხშირად სახმარი სიტყვები, ან სიტყვის შემადგენელი ნაწილები, მარცვლები. სიტყვათა შემოკლებულად წერის ეს წესი არ იყო გამოყენებული ძველ საქართველოში, ბერძნულში კი ძვ. წ. IV საუკუნიდან მოქმედებდა.

4. იწერებოდა სიტყვის დასაწყისი და ბოლო, გამოიგოვებოდა შუა ნაწილი. ესაა ე.წ. კონტრაქცია ანუ შუაშეკვეცილობა. ამ წესით ბერძნულ ხელნაწერებში მოკლდებოდა მხოლოდ ე.წ. წმინდა სახელები – nomina sacra, მაგ., თს (თეოს „ღმერთი“), ქს (კურიოს „უფალი“), სმრ (სოტმრ „მაცხოვარი“), ილ (ისრაჰლ), ილმ (იერუსალმ), სტს (სტაეროს „ჯუარი“) და სხვ.

ლუდვიგ ტრაუბეს მტკიცებით (Nomina sacra..., München, 1907), კონტრაქციამ ბერძნულში ფეხი მოიკიდა ებრაული ბიბლიის ბერძნული თარგმანის, ე.წ. სეპტუაგინტის, გზით: ებრაული ტექსტის უხმოვნო, ოდენკონსონანტური დაწერილობა მთარგმნელთა მიერ გაგებულ იქნა სიტყვათა შემოკლებად. ებრაულში ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვა იწერებოდა ოთხი თანხმოვნით, მაგიური ტეტრაგრაამით, რომლის გაბგერება-წარმოთქმა მხოლოდ ღვთისმსახურთ შეეძლოთ, სხვებს მისი (ე.ი. Iaiwe იეპოვა-ს) გამოთქმა ეკრძალებოდათ, მათთვის წარმოსათქმელად არსებობდა ღმერთის მეორე სახელი ადონაი (Adonay), რომლის ბერძნული ფარღი იყო Κύριος, ქართული კი – უფალი. ტექსტში გამოკვეთის მიზნით ამ სახელებს ებრაულში გამორჩეულად წერდნენ, ოქროს ან ვერცხლის საწერელი სითხით. უხმოვნოდ დაწერილი ღმერთის აღმნიშვნელი ებრაული სახელების ფარღები თარგმანში უხმოვნო ო^ც (Θεός „ღმერთი“) და კ^ც (Κύριος „უფალი“) სახით იქნა გადმოღებული და ტექსტიდან გამოყოფის მიზნით ზემოთ პორიფონტალური ხაზი (ქარაგმა) გაუკეთდა. თს (თეოს) და ქს (კურიოს) მიბაძვით ახალი აღთქმის ბერძნულ ტექსტში ამავე პრინციპით იქნა დაქარაგმებული Ἰ^ც (Ἰησους, ისუს) და Χ^ც (Χριστος, ქრისტოს) და სხვა ე.წ. „წმინდა სახელები“.

ტრაუბეს კონცეფცია ბოლო ხანს საეჭვოდ გახადა პააპმა, რომლის მტკიცებით „წმინდა სახელების“ შემოკლებულად წერა ჩვ.წ. II-IV საუკუნეთა ხელნაწერებში არასისტემური ხასიათისაა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში უფრო ფეხმოკიდებულია სუსპენზია (ეთქვათ, იესუ წარწერებში დაქარაგმებულია Ἰ^ჰ (Ἰησους) სახით, ხელნაწერებში კი – როგორც Ἰ^ც (Ἰησους). ამდენად, ბერძნულში „წმინდა სახელების“ კონტრაქციის წესით შემოკლების წარმომავლობა დაუდგენლადაა მიჩნეული.¹ ცჰანკიევის ცნობით,² ლენინგრადის სალტიკოვ-მჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწ-

¹ Paap, Nomina sacra in the greek papyri..., 1959, გვ. 314.

² ც. ჰანკიევი, დაქარაგმების წესები..., გვ. 71.

ერთა განყოფილებაში დაცული IX-X საუკუნეთა ბერძნულ ოთხთაეებში მხოლოდ „წმინდა სახელებია“ დაქარაგმებული, სხვა სიგყეები კი ყველა სრულადაა დაწერილი. ბერძნულიდან სხვა ენებზე ქრისტიანული ძეგლების თარგმნასთან ერთად გადაქონდათ „წმინდა სახელთა“ თანხმონენებით წერის წესიყ. ხოლო სიგყეათა შემოკლების სხვა ბერძნული წესები (არაქრისტიანულ ძეგლებში გამოყენებული) უცნობი იყო ძველი ქართულისა და ძველი სომხურისათვის. მკვლევარმა ცხადყო, რომ სომხური ოთხთაეის უძველეს თარიღიან (887 წ.) ხელნაწერში „წმინდა სახელების“ დაქარაგმება თითქმის მუსტად მისდევს ბერძნული ტექსტისას. ქართულში ღმერთი, უფალი, ისრაშლი, იერუსალში, ქრისტე, ჯუარი და სხვა არსებითად ისევეა დაქარაგმებული, როგორც მათი ფარდი ბერძნული სიგყეები. მაგრამ ბერძნულისა და სომხურისაგან განსხვავებით, ძველ ქართულ წარწერებსა და ხელნაწერებში შუამეკვეცილობით დაწერილი სიგყეების რაოდენობა საგრძნობლად გამრდილია. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ძველ საქართველოში დაქარაგმების სახეებიდან ყველაზე მიღებული და გაერყელებული სწორედ კონტრაქტია ანუ შუამეკვეცილობა იყო და ის ვრცელდებოდა არა მარტო „წმინდა სახელებზე“ (როგორც ეს ბერძნულში იყო), არამედ ხშირად სახმარ კავშირებზე, თანღებულებზე, მზიზღებზე, სახელებსა და მზნებზე.

5. იწერებოდა სიგყეის დასაწყისი, ხოლო ბოლო ასოებს ასე შემოკლებულ სიგყევს ზეით ან მოგჯერ ქვეით აწერდნენ ბერძნულში. ან: სიგყეის დასაწყის ასოში ჩაწერდნენ მომღვენო ასოს, მოგჯერ პირიქითაყ: პირველ ასოს ჩაწერდნენ მომღვენომი.¹ ეს წესი ბერძნულში გაერყელებული იყო III-II საუკუნეებში, ქართულში კი არ იყო მიღებული, უიშვითესად შეიძლებოდა ეს გამოყენებინათ, თუ აბზაყის ან გვერდის დამამთავრებელი სიგყვა ვერ ეტყოდა სტრიქონში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველ საქართველოში სიგყეათა შემოკლებულად წერის იღება შეიძლება დავაღებული იყოს ბერძნული წერის კულტურით, მაგრამ უძველეს ქართულ წარწერებსა და ხელნაწერებში გამოყენებული შემოკლებათა წესები არ წარმოადგენს ბერძნულ წერაში მოქმედი ასეთი წესების პირდაპირ, ბრმა გამოერებას.

3. დაქარაგმება ძველ ქართულ ეპიგრაფიულ ძეგლებში. ძველი ქართული ეპიგრაფიული ძეგლები, საბედნიეროდ, V საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული თანდათანობით იზრდება და საკმარ რაოდენობითაა მოღწეული დამიანებული თუ დაუზიანებული სახით. ასეთებია: V საუკუნისა: პალესტინის II და III წარწერები (430-იანი წლებისა), ურზნისის ბაზილიკის სამშენებლო წარწერა, ბოლნისის სიონისა (II, III, IV წარწერები) ..., VI საუკუნისა: პალესტინის I წარწერა, მცხეთის ჯერის მონასტრისა (თემესტისა, სტეფანოზის, დემეტრე უპატოსისა), ბოლნისის სიონის VI წარწერა, საპაკ-ღუბისა..., VII საუკუნისა: წყისის (616-619 წწ.), მცხეთის ჯერის მონასტრისა

¹ Г. Церетели, Сокращения в греческих рукописях, 1904, გვ. XIV.

(ადარნასეს უპაგოსისა), წრომის, დავით გარეჯის..., VIII საუკუნისა: ვეჟან ატენელის, ატენის სიონისა..., IX საუკუნისა: ატენის სიონისა (837/838, 853 წწ.), არმაზის, მაჩხანის, ხუნამისის, ოპიზისა..., X საუკუნისა: ერედის (906 წ.), იშნის (917 წ.), დიდოეთის ცხრაკარის ეკლესიის, ატენის სიონისა (964-967 წწ.), პარხლის (973 წ.); მარტილის (996 წ.), ოშკისა (I და II წარწერები) და სხვ. მოღწეულ წარწერათა ასეთი ქრონოლოგიური უწყვეტობა მყარ საფუძველს ქმნის არა მარტო პალეოგრაფიული; არამედ ისტორიულ-ფილოლოგიური და ლინგვისტური საკითხების კვლევისათვის.

დღეს შესწავლილია უძველეს ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში სიგყვათა შემოკლების წესები, შედგენილია ასეთ შემოკლებულ სიგყვათა საკმაოდ სრული ანბანური საძიებელი.¹ ეპიგრაფიკულ ძეგლებში არსებითად დაქარაგმების იგივე წესებია გამოყენებული, რაც ხელნაწერებში: მხოლოა-სოიანი, შუაშეკვეცილობა და უხმოვნო. მაგრამ მხოლოდ წარწერებში (მაგ, ყალა-ბონისაში, 993 წ.) და ისიც არც თუ ხშირად დასტურდება სუსპენზია ანუ ბოლოშეკვეცილობაც. ხელნაწერთაგან განსხვავებით წარწერებს სიგყვათა შემოკლებისას ერთი გამოკვეთილი თავისებურება ახასიათებთ: საერთოდ მიღებულ, გრადიციულ ფორმათა გვერდით აქ ისეთი სიგყვებიცაა დაქარაგმებული, რომლებიც ხელნაწერებში ჩვეულებრივ არ მოკლდება, და ასეთი სიგყვები ისე ძლიერ არის შემოკლებული, რომ მოგჯერ ჭირს მათი სარწმუნო წაკითხვა. ასეთებია: ა) სახელები: აშსა (ამირამსა), ეენ (ერისთავთ-ერისთავმან), მზლნ (მამასახლისმან), სქედ (სალოცველად), სრ (საყადარ), სა (სარკინოშთასა), კრს (კრებულისა); საკუთარი სახელები: ენ (ვარაქენ), ინუ (იოვანე, იოანე), ქტი (კონსტანტი), დთ (დავით), გრლ (გაბრიელ) და სხვ; ბ) მზნები: დესი (დავსდევი), წაგლნა (წარაგუაველინა); სახელმზნები: გაქლ (განაქებულ), დქლ (დამქალ), დძლ (დაძულებულ) და სხვ.

მოგჯერ ერთნაირი დაწერილობის დაქარაგმებული სიგყვა სხვადასხვა წარწერაში სხვადასხვა სიგყვად იკითხება. მაგ, შენ/შნ: 1. შეუნდვენ (ურბნისის და მაჩხან. წარწ.), 2. შეიწყალენ (ნინოწმ. ატენის 945 წ. მარტილის წარწ.). უჩვეულო მხოლოასოიანი ქარაგმიანი ქ წაკითხება, როგორც: 1. ქართლისა (პარხლის წარწერა 973 წ.), 2. ქრისტე (საბუის IX ს. წარწერა), ქრისტეს (შემო სკრის X ს. წარწერა); ქ წაკითხება, როგორც: 1. ქალაქისა (მაჩხანის II წარწ. IX ს.), 2. ქართლისა (მაჩხანის I წარწ. IX ს.). იშვიათად (მაგ. ბოლნისის IX წარწერაში, IX ს.) ქარაგმიანი ფორმა ორ სიგყვად წაკითხება: დსლს (და სულისა), დძლყ (დებულ იყო), შვლმა (შვილნი მათნი).

წარწერებში ასეთი რთული (წაკითხვის თვალსაზრისით) და ნებისმიერი დაქარაგმება გამოწვეული იყო მაგარი (ქვის, ლითონის, ხის...) საწერი

¹ უ. ჭანკიევი, დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში: პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969, გვ. 117-127.

² უ. ჭანკიევი, დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში: იქვე, II, თბ., 1969, გვ. 117-127.

მასალით, რომელზეც წერითი პროცესის შესრულება ძნელი იყო, და შემდგომ, – საწერი ადგილის შემღვდულობით. განსაზღვრულ ადგილზე წარწერაში გადმოსაყევი შინაარსის დატევის მიზნით სიკვებები მაქსიმალურად მოკლდებოდა, ზოგჯერ ისე თვითნებურად, რომ ზოგი მათგანის ამოკითხვა მეტად სათუთა საქეიადლისტებისათვისაც კი. მამასადამე, ძნელად დასამუშავებელი საწერი მასალა და წარწერისათვის განკუთვნილი ადგილის სიმცირე განაპირობებდა წარწერებში დაქარაგმებულ სიკვებთა ნაირგვარი ჟორმების ხმარებას.

4. დაქარაგმება კეელ ქართულ ხელნაწერებში. ბერძნულ ქრისტიანული ხასიათის ტექსტებში კონტრაქციის ანუ შეამეკევილობის წესით ქარაგმდებოდა მხოლოდ ე.წ. „წმინდა სახელები“. ბერძნულის გაელენით მსგავსივე ვითარება იყო ადრეულ ლათინურ, სომხურ, სლავურ ხელნაწერებშიც. ამ შემთხვევაში დაქარაგმება მოგივირებული იყო არა საწერი მასალისა და დროის დამოგვით, არამედ საღმრთო სახელთა საკრალურობით: უძველესი შეხედულებით, „წმინდა სახელები“, სხვა სახელთაგან განსხვავებით, სრულად არ უნდა ეწერათ, მათზე უნდა მიენიშნებინათ მხოლოდ და ქარაგმით დაეფარათ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ანტონ პირველიც თავის გრამატიკაში გამოყოფდა დაქარაგმებულ სიკვებთა ორ ჯგუფს (წმინდა სახელებს და დანარჩენთ) განსხვავებული ქარაგმით უადრესობით და საყოვლადოთი. მაგრამ ეს იყო ანტონის თეორიული შეხედულება, ნასაზრდოები ფილოლოგიური გრამატიკებით, და არა ძველ ქართულ ხელნაწერებში არსებული ვითარების ასახვა. ასევე არ ასახავდა ქართული წერის სინამდვილეს სულხან-საბა ორბელიანი, როცა აღნიშნავდა ღმერთისა და ცრუ-ღმერთის განსხვავებული დაქარაგმებით გამოხატვის არსებობას: „უკეთუ დამბადებელსა ღთსა ქარაგმა დაუსვა, მღდღუ კამს დასმა, ხოლო ცრუსა და ამოსა ღთსა კერპთასა ქვეშეთ კამს დასმა ქარაგმისა, რათა გაირჩეოდეს“.² ნამდვილად კი „არაწმინდა სახელებიც“ ისევე ქარაგმდებოდა ძველ ქართულში, როგორც „წმინდა სახელები“, მაგ, არაწა (არაწმიდა), უღთთა (უღმრთთა), ქღვაა (ყოვლა), ანტაქქე (ანტეკრისტი), ჯჯხთი (ჯოჯოხეთი). მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ძველ ქართულ ტექსტებში მეტი რაოდენობით და სისტემებრ მაინც „წმინდა სახელები“ ქარაგმდებოდა. ეს იმიტომ, რომ ბერძნულში, საიდანაც ითარგმნებოდა უამრავი ქართული ტექსტი, მხოლოდ „წმინდა სახელები“ იყო დაქარაგმებული და ქართულ თარგმანშიც ასეთი სახელები ისევე იყო შემოკლებულად წარმოდგენილი, როგორც ბერძნულ წყაროში. მაგრამ ამათ გვერდით ქართულში სხვა სახელებიც, კავშირები, მზინზელები, თანდებულები, მზნისწინებიც მოკლდებოდა. უ. ჭანკიევი მიაქეია ყურადღება ქართულში დაქარაგმების ერთ-ერთ მოტივს: „დაქარაგმებას ქართულში წმინდა პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა: საწერი მასალის ეკონომია. ამის ყველაზე საუკეთესო დამამტიკებელი

¹ უ. ჭანკიევი, დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში..., გვ. 120.

² ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1966, გვ. 250.

ფაქტი ის არის, რომ ძველ ქართულ ხელნაწერებში შემოკლებული სიტყვების ყველაზე დიდი რაოდენობა სტრიქონის ბოლოს მოდიოდა... ხელნაწერებიდან გამოიყოფა რიგი სიტყვებისა, რომლებსაც გადაშწერები ჩვეულებრივ არ აქარაგმებენ, მაგრამ სტრიქონის ბოლოს, უადგილობის გამო შემოკლებულად წერენ¹.

უძველეს ხელნაწერ ტექსტებში, V-VIII საუკუნეთა ხანმეტ და პაემეტ ფრაგმენტებში, თითქმის ერთგვარად არის დაქარაგმებული ისეთი „წმინდა სახელები“, როგორიცაა ი-უ (იესუ), ქ-ე (ქრისტე), ო-ი (უფალი), ღ-ი (ღმერთი), ჯ-რი (ჯუარი), ღ-თ (დავით), ფს-ლნი (ფსალმუნი), იშ-ლი (ისრაელი), იშ-მი (იერუსალმში). გარდა ამისა, დაქარაგმებულია: 1. კაკშირები: რ- (რამეთუ), ხ- (ხოლო), ა-დ (არამედ), ვ-ე (ვიდრე), ვ-რ (ვითარ), ვ-ა (ვითარცა), ვ-დ (ვითარმედ), რ-ა (რამათა); 2. ზმნისართები: ფ-დ (ფრიად), ა-ნ (ამენ), რ-ქ(მ)ს (რეამს), შ-ს (მარადის), ო-კი (უკუნისამდე); 3. თანდებულები: ზ-ა (ზედა), წ-ე (წინაშე), გ-ნ (გან, იშვიათად); 4. ნაცვალსახელები: ყ-ლი (ყოველი), რ-ლი (რომელი), ჩ-ნ (ჩუენ), თ-ქ-ნ (თქუენ); 5. გელსართავი სახელები: ეგ-კრი (ეგვიეთარი), ეს-კრი (ესევიეთარი), არაწ-ა (არაწმიდაა), წ-ა (წმიდაა); 6. ზმნები: თ-ქ-ა (თქუა), ხ-რ-ქ-ა/ხ-ქ-ა (ხრქუა). გარდა ამისა, პაემეტი პალიმფსესტის (H-1329) ტიპიკონურ შენიშვნებში დაქარაგმებულია სიტყვები, რომლებიც V-VIII სს. ძეგლებში ჩვეულებრივ სრული დაწერილობით იხმარებიან: თ-ქ-ს (თავისაა), თ-ა (თთუესა), ღ-ა (ლოცუაა), მოწ-თ/მოწათ-ა (მოწამეთაა), სხ-მ სახ-მ (სახარებაა), ეს-მ (ესენებაა), დს-ლი/დს-ლი (დასასრული), წინაწ-ყ-ს (წინაწარმეტყუელსა) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ დასაქარაგმებელი სიტყვების რიცხვი თანდათანობით იზრდება მომდევნო ხანის ხელნაწერებში. მაგალითად, იერუსალიმის საბა-წმიდის ლავრაში 864 წელს გადაწერილ ე.წ. სინურ მრავალთავში საგრძნობლად გაზრდილია დაქარაგმებული სიტყვების რიცხვი. აქ, ადრე დაქარაგმებული სიტყვების გვერდით, შემოკლებულად, უხმოვნო დაქარაგმების წესით, წარმოდგენილია სახელები: ანგელოზი, გალობა, გული, დიდება, კაცი, მადლი, საფლავი, სიტყვა, სიხარული, სოფელი, ქალწული, ქუეყანა, ცხოვრება, ნათესავი, ნაყოფი, საყუარელი, სახელი, მკუდარი, მშობობა და სხვ. ზმნური ფორმები: თაყუანისცემა, დადება, გალობა და სხვ. დაქარაგმებულია გამო ზმნისწინი და შე-ც (იშვიათად): გმოსრულ, გმოიქნა, გმოჩნდეს, გმოვედ..., ლოცვისა შმწენო და სხვ. ასე რომ, სინური მრავალთავის გადაშწერები უხმოვნო დაქარაგმებას თითქმის შეუზღუდავად ხმარობენ, რასაც ამტკიცებს ისეთი არახშირი ხმარების სიტყვათა შემოკლებანი, როგორიცაა, ვთქვათ, თს-ლსა (თესლსა), მ-კ-დრი (მკუდარი), დბ-ლნი (დაბადებულნი), გლ-ზ-კისა (გლახაკისა), ნელს-ცხბელი (ნელსაცხებელი), აბ-ლდ (აბლადა), ყ-ს-ლი (ყესლი), წყ-ლი (წყალი), ჭბ-კნი (ჭაბუკნი), კრ-ცთა (კორცთაა), მმ-გლი (მომავალი) და სხვ. ჩანს, უხმოვნო დაქარაგმება მე-9 საუკუნიდან ფართოდ იკაფავს გზას, რადგან საყრდენი თანხმოვნებითა

¹ ი. ჰანკიევი, დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში..., გვ. 75.

და გრამატიკული ღირებულების მქონე ხმოვნინანი დაბოლოებით დაწერილი სიტყვები წაკითხვის თვალსაზრისით დიდ სირთულეებს არ ქმნიდა.

მატერულ ოთხთაეუბში (ადიმის 897 წ., ჯრუჭის 936 წ., პარხლის 973 წ.) ერთნაირადაა დაქარაგმებული ძველ ქართულში საერთოდ მიღებული შემოკლებათა ფორმით, მაგრამ როგორც კანონიკური ტექსტის შემსუკულ ხელნაწერებს, ნაკლებად ახასიათებთ ნებისმიერი სიტყვების დაქარაგმება, თუმცა ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, როცა საერთოდ დაუქარაგმებლად ნახმარი სიტყვები ცალკეულ ადგილებში შემოკლებულად არიან წარმოდგენილი, მაგალითად, ადიმის ოთხთაეუბი: ქსარსა (ეკისარსა), ნთლსა (ნათელსა), საშრით (სამარით)..., ჯრუჭისაში: სამოსლსა (სამოსელსა), წარმართსა (წარმართასა)..., პარხლისაში: აღსრულმდე (აღსასრულამდე), მსახრ (მსახურ)... სამივე ხელნაწერში სტრიქონის ბოლოს შემოკლებულია ბრუნვის ნიშნები: სახელობით ბრუნვაში ამოღებულია ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი, მოთხრობითის მან ნიშანი კი შნ-ს სახითაა არც თუ იშვიათად, ვით. ბრუნვის ად ნიშანი კი დ-ს სახით. ემფატიკური ა არის ამოღებული ორმაგი ბრუნვის დაბოლოებებში: – ისა (ისაა), თა (თაა), ისა (ისასა), ისათა (ისაათა).

განსაკუთრებული ვითარებაა ე.წ. „ჭილ-ეგრატის იადგარში“ (H-2123), რომელიც პალესტინის საბა-წმიდის ლაერამია გადაწერილი X საუკუნეს. ამ ხელნაწერში თითქმის ყველა სიტყვა ქარაგმდება. სიტყვათა დაქარაგმების სიხშირე-ინტენსივობით ამ ხელნაწერს გამორჩეული ადგილი უკავია ძველ ქართულში. მაგალითად, არ. მარტიროსოვის ცნობით, ერთ-ერთ გვერდზე „სულ 73 სიტყვაა ნახმარი, აქედან 67 ქარაგმიანია, 6 კი – უქარაგმო. ეს თავისებურება გამოწვეული უნდა იყოს როგორც ძნელად სამოწიელი საწერი მასალის – ჭილისა და ეგრატის სიმეირით, ისე თვით საგალობელთა შინაარსით, რომელიც, უნდა ეიფიქროთ, სათანადო პირებს მეტწილად შეჰიწრადა უნდა სკოლნოდათ“¹. თანაც, ერთი და იგივე სიტყვა ყოველთვის ერთნაირად არ არის შემოკლებული. აღ/არმდ (არამედ), ქდ/ეთრდ/ეთრმდ (ვითარმედ), რ/ართა (რაათა). სიტყვათა შემოკლების შემთხვევათა დიდი ნაწილი უხმოვნო დაქარაგმების წესითაა შესრულებული: მგწყლრნ (მეგუიწყალენ ჩუენ), წმდზრ (წმიდა ხარ), მწყლზრ (მოწყალე ხარ), დბდზლი (დაბადებული), გქბთ (გაქებთ), დთმზბლო (დმრთისმშობლო) და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ:

1. ერთი ქარაგმის ქვეშ ხშირად შემოკლებულია ორი დამოუკიდებელი ან ერთი რთული სიტყვა: ქშმრთ (ქრისტეს მიმართ), ქლმდი (ქელისმოქმედი), მკლრს (მომავალ არს), დბლზრ (დიდებულ ხარ) და სხვ.;

2. ერთი ქარაგმის ქვეშ შემოკლებით წარმოდგენილია მთელი წინადადება და მისი წაკითხვა მეტად გაძნელებულია: მხგყრნ (მეოხ გუყავ)

¹ არ. მარტიროსოვი, ტექსტის გამოცემისათვის: ჭილ-ეგრატის იადგარი. გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. მანიძემ, არ. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა. ა. მანიძის რედაქციით, თბ., 1977, გვ. 220.

ჩუენ), მეოხებითა შთა^აცსნი (მეოხებითა შენითა აცხოენენ სულნი ჩუენნი), შ^აწყნეს^ალნი (შეიწყალენ სულნი ჩუენნი);

3. შემოკლებისას ზოგჯერ არაა წარმოდგენილი სიგყვის ბოლო ნაწილი, ბრუნვის და რიცხვის ნიშნები, მზნური სუფიქსები (ან მათი ნაწილი): აღივსენით... ს^ალ (სიხარულითა), ცხრ^აბდ სლ^აჩ (ცხოვრებად სულთა ჩუენ-თათუს), აკრ^ათ (აკურთხედიტ), აქ^აჩი (აცხოენენ სულნი ჩუენნი), მ^აშ^ათა სხ^არლ (მ^აშეთა სიხარულო) და სხე;

4. თანდებული გან და მზნისწინი გან, მოთხრობითი ბრუნვის მან ნიშანი ხშირად მხოლოდ დასაწყისი თანხმონით არიან წარმოდგენილი: შ^ანგ (შენგან), რი^ასაგ (რომლისგან), სა^აცთუ^არისაგ (საცთურისაგან); გ^ამანათლებელად (განმანათლებელად), გ^აწესებული (განწესებული), გ^აზმულნი (განზმულნი); დიდებულ^აშ საგალობელ^აშ (დიდებულმან საგალობელმან), სიმ^აქნემ მ^ან^აშ (სიმქნემან შენმან) და სხე. ცხადია, ამათ გვერდით გან, მ^ან სახით შემოკლებანიც დასტურდება.¹

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ ძე. ქართულში დაქარაგმებულ სიგყ-ვათა ფორმების წასაკითხავად არსებობს არასრული, მაგრამ საგრძნობლად ვრცელი საცნობარო შრომები, სადაც ანბანურ რიგზე გაწყობილი ქარაგმი-ანი ფორმები გახსნილია.²

¹ იქვე, გვ. 221-222.

² ა. მანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია, ტფ., 1935, გვ. 97-106; ილ. აბულაძე, ქარ-თული წერის ნიშნები, პალეოგრაფიული აღბოძი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 1973; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, თბ., 1970, გვ. 377-380; უ. ჭანიკიევი, დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლე-ბში: პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969, გვ. 122-127.

ლიტერატურა

- ივ. ჩაუახიძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
- ილ. პაულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, II შეესებული გამოცემა, თბ., 1973.
- ა. ჭანიძე, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში: პალეოგრაფიული ძიებანი, I, თბ., 1965.
- ა. ჭანიძე, დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში: პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969.
- ა. ჭანიძე, „იერუსალემ“ და „ისრაელ“ სახელთა დაწერილობისათვის: მრავალთავი, III, თბ., 1973.
- ბ. შიშაძე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, თბ., 1957.
- Ц.А. ЧАНКИЕВА, Правила сокращения в памятниках древнегрузинской письменности: Проблемы палеографии и кодикологии в СССР (отд. оттиск), М., 1974 (стр. 434-439).
- С.И. СОБОЛЕВСКИЙ, Греческая палеография. Курс лекций читанных в Московском археологическом институте в 1908/1909 г., Московская синодальная типография, 1909.
- Г. ЦЕРТЕЛИ, Сокращения в греческих рукописях, 1904.
- TRAUBE L., Nomina sacra. Versuch einer Geschichte der christlichen Kürzung, München, 1907.
- W. BOEDER, Versuch einer sprachwissenschaftlichen interpretation der altgeorgischen Abkürzungen: Revue des Etudes Georgiennes et Caucasiennes, N3, Paris, 1987 (ss. 33-81).

თავი XII

სასვენი და განკვეთილობის ნიშნები ძველ ქართულში

წერის განვითარების ადრეულ საფეხურზე სიტყვები სასვენი ნიშნებისა და ინტერვალების გარეშე, მიჯრით, გაბმულად იწერებოდა. ამ სახის წერა ცნობილია scriptio continua-ს სახელით. ასეთი გაბმული წერის ნიმუშები შემონახულია ბერძნულ, ლათინურ, სლავურ და სომხურ ხელნაწერებში. ქართულ ხანმეტ პალიმფსესტებშიც სიტყვები ხშირად ინტერვალთა გარეშე იწერებოდა. მხოლოდ ე.წ. ხანმეტ ლექციონარში (VII ს.) შეინიშნება წერაში სიტყვათა დაცილება-დამორების არასისტემური ცდა. უინტერვალო წერა, ცხადია, კითხვას აძნელებდა. ამიტომ შემდგომ გაჩნდა მოთხოვნილება, დაეწერებინათ ნაწერი ტექსტი და შეემუშავებინათ სათანადო ნიშნებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც არა თუ გამიჯნავდა ცალკეულ სიტყვებს ერთმანეთისაგან, არამედ ლოგიკურად და გრმატიკულად გამოყოფდა წინადადებათა კომპონენტებს.

რადგან ძველი ქართული წერა სასვენ ნიშანთა ხმარებით დავალებულია ბერძნული, კერძოდ, ბიზანტიური სამყაროთი, საჭიროა მოკლედ შევეხოთ პუნქტუაციის საკითხს ძველ ბერძნულ ხელნაწერებში.

1) ძველი ბერძნული პუნქტუაცია. ძველი ბერძნები და რომაელები თავიდან ნაწერ ტექსტს ინტერვალისა და სასვენი ნიშნების გარეშე აღგენდნენ (scriptio continua). მაგრამ ადრევე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ბერძნულ პაპირულზე ხელნაწერებში უკვე ნახმარია „წერტილი“ (σημα) და აბზაცის მიმანიშნებელი გრაფიკული ნიშანი „პარაგრაფი“ (παράγραφος). ეს უკანასკნელი ტერმინი პირველად არისტოტელესთან (384-322 წწ.) არის დადასტურებული. მიჩნიათ, რომ „პარაგრაფი“, როგორც გარკვეული წერითი ნიშანი, ყველაზე ადრე იქნა შემოტანილი და მისი დანიშნულება მხოლოდ ტექსტის მუხლობრივი დაყოფა იყო.

პუნქტუაციის გარკვეული კანონზომიერი სისტემის შექმნა ბერძნულში ალექსანდრიული პერიოდის დროიდან იწყება და დაკავშირებულია არისტოფანე ბიზანტიონელის (250-180 წწ.) სახელთან. პუნქტუაციის ეს ძველი, მაგრამ მარტივი სისტემა ე.წ. უბნებოდა ერთი წერტილის გრაფიკული ნიშნის სტრიქონთან მიმართებით განსხვავებული ადგილმდებარეობით გამოყენებას: სტრიქონის ზევით დასმული ერთი წერტილი (τελεία σημα) მიანიშნებდა გარკვეული აზრის დასრულებას, ანუ უდრიდა დღევანდელ წერტილს, თვით

¹ სასვენი ნიშნების საკითხი ძველ ბერძნულ და განსაკუთრებით ძველ ქართულ ხელნაწერებში მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს ლ. ქაჯაიას საკანდიდატო დისერტაციაში „პუნქტუაცია V-XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში“ (თბ., 1969).

სტრიქონზე უშუალოდ დასმული ერთი წერტილი კი (ὑποσημῆ) გამოხატავდა უფრო მოკლე ამრობრივ მონაკევთს, მცირე პაუზას ანუ უდრიდა დაახლოებით დღევანდელ წერტილ-მძიმეს, ხოლო სტრიქონის შუა პოზიციამი დასმული ერთი წერტილი (μέση σημῆ) გადმოსცემდა წინადადების გარკვეული კომპონენტის საზღვარს და დღევანდელი მძიმის მნიშვნელობისა იყო.

ერთი წერტილის განსხვავებულ ლოკალიზაციაზე დამყარებული პუნქტუაციის ეს სისტემა არისტოფანე ბიზანტიონელის მოწაფე არისტარქესგან შეითვისა დიონისე თრაკიელმა (II-I სს.), რომელიც თავისი „გრამატიკის ხელოვნების“ (Τέχνη γραμματικῆ) მეოთხე თავში პუნქტუაციაზე მსჯელობს, კერძოდ, სტრიქონს ბევით, შუაში და დაბლა ნახმარ ერთ წერტილზე. მისი აზრით, სტრიქონს ბევით დასმული ერთი წერტილი წერტილის მნიშვნელობისაა, შუა პოზიციისა – წერტილ-მძიმისა, ხოლო ქვედა კი – მძიმისა. მისი სიყვებით, წერტილი არის ამრის დასრულების მიმანიშნებელი ნიშანი; წერტილ-მძიმე ისეთი ნიშანია, რომელიც ფშვინვის სახით მოისმის, ე.ი. სულის მოსათქმელია, ხოლო მძიმე ნიშანია არა ამრის დასრულებისა, არამედ მისი კიდეე გაგრძელებისა.

ძველ ბერძენ გრამატიკოსებს (მაგალითად, ნიკანორს) პუნქტუაციის უფრო რთული სისტემებიც შეუმუშავებიათ, მაგრამ მოღწეულ ძველ ხელნაწერებში არსებითად განსხვავებულად ლოკალიზებული ერთწერტილიანი წესებია გატარებული. ოღონდ ხელნაწერებში ეს წესები ზოგჯერ დარღვეულია, სისტემებრ არ არის გატარებული, ან ზოგს პუნქტუაცია საერთოდ არა აქვს. მაგალითად, III ს.-ის ბერძნული პაპირუსების ნაწილში გამოყენებულია ერთი წერტილი სტრიქონს ზედა და შუა პოზიციამი, ასევე ორი წერტილი აბზაციის ან თავის დასასრულს, ნაწილში კი სასვენი ნიშანი საერთოდ არ არის ნახმარი. ბიბლიის ადრეულ (IV-V სს.) ბერძნულ ხელნაწერებშიც ჭრელი სურათია: სინურ კოდექსში გამოყოფილია აბზაციები, სასვენი ნიშნები არ იხმარება, ვატიკანურში იშვიათად გამოიყენება ერთი წერტილი საკუთარ და უცხო წარმომავლობის სახელებთან (აქედან ჩანს, რომ ამ ერთ წერტილს უშუალოდ პუნქტუაციური დანიშნულება არცა აქვს), ალექსანდრიულში კი ერთი წერტილი სტრიქონს ზედა და შუა პოზიციამა გამოყენებული. V-VIII სს. ზოგ ბერძნულ ხელნაწერში ორი მოგრძო წერტილის შეერთებით მიღებული მახვილის წვერის მსგავსი (>) ნიშანიცაა დადასტურებული. სასვენი ნიშნები უფრო სისტემებრ იხმარება შუა საუკუნეების ბერძნულ უნციალში (ასომთაერულში). VIII-IX საუკუნეებიდან ბერძნულ უნციალურ ხელნაწერებში შემოდის ახალი სასვენი ნიშანი, კითხვის ნიშანი, რომელიც გრაფიკულად მძიმის, წერტილ-მძიმის თუ მარჯენიე რკალმოვლებული წერტილის სახითაა გამოხატული. IX საუკუნიდან მინისკულურ (ნუსხურ) ხელნაწერებში გრაფიკული ნიშანი მძიმეც შემოდის, რომელიც ზოგჯერ სტრიქონს შუა პოზიციის წერტილის მნიშვნელობისაყაა. უნციალურ და მინისკულურ ხელნაწერებში აბზაციის ან თავის დასასრულის აღსანიშნავად მიღებული იყო ორი მოგრძო პარალელური მდებარეობის წერტილი (=), ან სამი და ოთხი მოგრძო წერტილების ნაირგვარად შეხამება (=, =, =, =, =), ზოგჯერ

ჯერის მსგავსი ნიშნის ოთხივე კუთხეში ჩაწერილი თითო წერტილი (A). ბერძნულმა პუნქტუაციამ ქრისტიანული მწერლობის გზით შეაღწია სხვა ხალხთა დამწერლობაში, კერძოდ, ლათინურში, სლავურში, სომხურსა და ქართულშიც. აღსანიშნავია, რომ დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკე“ სომხურ ენაზე ადრე (V ს.) ითარგმნა. საფიქრებელია, რომ ამ გრამატიკის სამპოზიციანი ერთი წერტილის პუნქტუაციური სისტემა ამ ხნიდანვე იქნებოდა ცნობილი სომხური წერისათვის. ფაქტია, რომ უძველესი სომხური თარიღიანი ხელნაწერი 887 წლისა, ე.წ. ლამარევის ოთხთავი, იცნობს მცირე ოთხკუთხედის თუ კვადრატის მსგავს ნიშანს, რომელიც ხაზს ზემოთ დაწერისას გამოხატავს წერტილს, ხაზზე მდებარე, ან ხაზს ქვემოთ – მძიმეს ან წერტილ-მძიმეს. X საუკუნიდან სომხურ ხელნაწერებში წერტილის ფუნქციით ერთი წერტილის ნაცვლად ნახმარია ორი წერტილი, ხოლო ერთი წერტილი წერტილ-მძიმის აღსანიშნავად გამოიყენება, ხმარებაში შემოდის ახალი ნიშანიც – მძიმე. ძველ ქართულში ცოტა სხვაგვარი ვითარებაა.

2. ძველი ქართული პუნქტუაცია. პუნქტუაციური ნიშნები ძალიან ადრე (V საუკუნიდან) არის წერაში, კერძოდ, უძველესი ხანმეტი ტექსტების შემცველ ხელნაწერებში (V-VII სს. ეპიგრაფიკულ ძეგლებში კი ასეთი ნიშნები არა ჩანს), მაგრამ მათი კონკრეტული დანიშნულების შესახებ რაიმე ცნობა არ არის შემონახული მე-11 საუკუნემდე. მხოლოდ ეფრემ მცირეს (XI ს.) მოუპოვება სპეციალური ცნობა მის მიერ შემოღებული სასვენი ნიშნების თაობაზე. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეფრემამდე უხმარიათ ქართულში ტერმინოლოგიური, კერძოდ, პუნქტუაციის მნიშვნელობით სიტყვა წერტილი. ივანე ჯიბის ძე შავ მთაზე გადაწერილი სვინაქსარის (XI ს.) ანდერძში (H-2211) ამბობს: „ყოველთა გვედრებით, ვინცა სწერდეთ, ნუ სცვალდებთ (სიტყუასა, გინა თუ წერტილსა, რამეთუ ამისა (პირი)სათვის ვედრებულ იყო“.

წერტილის ფონეტიკური ვარიანტია წენტლი (ეტიმოლოგიურად, მიმღეობაა წერტა (<*წერ-ეტა) გზისა, ნიშნავს „ჩხველეტის“, ე.ი. ჩხველეტით, კაწრვით გამოყვანილ ნიშანს), რომელიც ნახმარი აქვს ხუცეს იოვანე მთავარაის ძეს 1091 წ. შავ მთაზე კასტანას მონასტერში გადაწერილი ხელნაწერის (Q-37) ანდერძში: „ვისცა გარდაწერაა გენებოს, მინდობილ იყვენით, რამეთუ ვითა ვპოე, ეგრე დაწერე ყოველი და წენტლიცა“. ცნობილ ვანის ოთხთავის (XII-XIII სს.) ანდერძშიცაა ეს ფორმა დატული: „აწ ვინცა სწერდეთ, ვითა აქა პპოთ, ეგრე დაწერეთ წენტლითა და პატივთა მელა მეორითა სიტყუთა“ (A-1335, 266v).

სასვენ ნიშანთა გრაფიკული სახე და მათი ფუნქციური გააზრება ძველ ქართულ ხელნაწერებში არაერთგვაროვანი, ცვალებადია. პუნქტუაციაში გამოხატული ცვლილებებით ქართული ხელნაწერები შეიძლება შემდეგ ქრონოლოგიურ ქვეჯგუფებად განაწილდეს: V-VIII, IX-X, XI-XII და XVI-XVIII საუკუნეებისა.

V-VIII საუკუნეების ქართული ხელნაწერები ფრაგმენტულად არის მოღწეული და, ხანმეტი ლექციონარის გარდა, პალიმფსესტებს წარმოადგენს.

ამ ხელნაწერთა პუნქტუაცია გამოწვლილით აქვს შესწავლილი ლ. ქაჯაიას, კერძოდ, A-737 (V-VI სს., „საქ. მოც.“), H-999 (V-VI სს., „დაბ.“, „ოთხთ.“), A-89 (V-VI სს., „ოთხთ.“), A-844¹ (VI ს., „ოთხთ.“, ეს.), S-3902 (VIII ს., ხანმ. მრავ.), გრაფში დატული ხანმეტე ლექციონარი (VII ს.). თითოეული ფრაგმენტის ვითარების გათვალისწინებით პუნქტუაციის ხმარების ასეთი ზოგადი სურათი წარმოდგება V-VIII საუკუნეებისათვის: ხელნაწერებში სასვენ ნიშნებად გამოყენებულია მოგრძო წერტილზე დაფუძნებული სამი ნიშანი: -, =, > - ერთი მოგრძო წერტილი სტრიქონს ზევით ან სტრიქონს შუა, ორი მოგრძო წერტილი (შუაში) და ორი მოგრძო წერტილის მარჯვენა მხარეს შეერთებით მიღებული მახვილის წვერის, ბუნის მსგავსი ნიშანი (>) სტრიქონს ზევით და სტრიქონს შუა. ამ სამი ნიშნიდან მხოლოდ ორი მოგრძო წერტილის ფუნქციაა რამდენადმე გამოკვეთილი. ის არსებითად დაისმის წინადადებისა და მუხლის (აბზაცის) ბოლოს. ამიგომაა, რომ ამ ნიშნის შემდეგ ტექსტი საზედაოდ ასოთი იწყება. რაც შეეხება ერთ მოგრძო წერტილსა და ბუნის მსგავს ნიშანს, მათ ხმარებაში სისტემურობის დანახვა ჭირს, ორივე ერთ და იმავე პოზიციაში დასტურდება. მაინც შეიმჩნევა, რომ სტრიქონს შუა ნახმარ ამ ნიშნებს (განსაკუთრებით ერთ წერტილს) თითქო უფრო ევალებათ მოკლე აზრობრივი მონაკვეთების გამოყოფა, ხოლო სტრიქონს ზევით ნახმარს - სიგყვათა განკვეთილობის აღნიშვნა ან პირდაპირი მეტყველების გამოყოფა თხრობიდან. აღსანიშნავია, რომ ხანმეტე ლექციონარში (VII ს.) თვალმისაყვამა სტრიქონს ზევით დაწერილი ბუნის მსგავსი ნიშნის ხშირი გამოყენება სიგყვათა მექანიკურად გამოიჯენის მიზნით. ასევე საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: V-VIII საუკუნეთა ხელნაწერების უმრავლესობა (A-737, A-844, H-999, S-3902) დაწერილია გაბმულად, ინტერვალების გარეშე, scripto continua-ს წესით, ინტერვალის დატულია იქ, სადაც გარკვეული სასვენ ნიშანი არის დასმული (პალიმფსესტის გადარეცხვის გამო ასეთი ნიშანი ზოგჯერ არა ჩანს).

IX-X საუკუნეთა თარიღიანი ხელნაწერებიც (სინური მრავალთავე 864 წლისა, აღიშის ოთხთავე 897 წლისა, იოვანე ოქროპირის ცხოვრება 968 წლისა და სხვ.) არ ხასიათდება სასვენ ნიშანთა ხმარების სისტემურობით, თუმცა ამ დროს აშკარად ფუნქციონირებს სტრიქონს ზევით დასმული ბუნის მსგავსი ნიშანი და ერთი წერტილი, ხოლო სტრიქონის შუაში სამი და ოთხი წერტილი (ეს უკანასკნელი X ს.-ის II ნახევრიდან შემოდის მუხლის, აბზაცის დასასრულის აღსანიშნავად).

სინური მრავალთავე ამ მხრივ ჭრელ სურათს იძლევა. მასში 8 ხელი გამოიყოფა² და განსხვავებული ხელით ნაწერი ნაწილები პუნქტუაციითაც მეტ-ნაკლებად განსხვავებულია: ბუნის მსგავსი ნიშანი გამოყენებული აქვს

¹ ლ. ქაჯაიას შტკიეებით, A-89 და A-844 ერთი და იმავე ხელნაწერიდან მომდინარეობს: ლ. ქაჯაია, პუნქტუაცია V-XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში (საქ. დის.), თბ., 1969, გვ. 49, სქ.

² ლ. ქაჯაია დაწერილებით და ცალ-ცალკე განიხილავს პუნქტუაციის ხმარების საკითხს რვავე ნაწილში (დასახ. ნაშრომი, გვ. 76-93).

მხოლოდ ერთ გადაშწერს (117v-124r), მაკარი ლეთეთელის გადაწერა ნაწილში (1r-55r; 70v-116v; 145r-160r; 170r-180r; 202r-274r) არ გამოიყენება ერთი წერტილი; ერთ ნაწილში (117r; 125r-140v) ორი წერტილი გრაფიკულად ოთხგვარად გამოიხატება (=, -, --, =). სხვა ნაწილში (160v-169v) მთელი გვერდები სასვენ ნიშნის გარეშე და მხოლოდ აბზაცის ბოლოს იშვიათად არის პორიზონტალური ხაზი ზედა და ქვედა წერტილებით (+). ძირითადად კი ხელნაწერში 3 ნიშანი გამოყენებული: ხაზს ზევით ერთი წერტილი მოკლე პაუზის აღსანიშნავად, ხაზის შუაში ორი წერტილი დიდი პერიოდის აზრის გარკვეული მონაკვეთის გამოსაყოფად ან ზოგჯერ აბზაცის დასასრულის მიმანიშნებლად, სამი წერტილი აბზაცის დასასრულის აღმნიშვნელად. მაგბერდის მონასტერში გადაწერილ ე.წ. აღიშის ოთხთავეში ეგვევ ნიშნებია გამოყენებული: ხაზს ზევით დასმული ბუნის მსგავსი ნიშანი (>), სტრიქონს შუა დასმული ერთი (იშვიათად), ორი და სამი წერტილი. აღსანიშნავია, რომ ბუნის მსგავსი ნიშანი მცირე პაუზასაც აღნიშნავს და განკვეთილობის ფუნქციითაც ყოველი მეორე სიგყვის შემდეგ მის, ზოგჯერ კი ერთ და ორ წერტილს ამის თავზე (E, F) უფუნქციოდ. ერთი, ორი და სამი წერტილი უფრო სისტემებზე არის გამოყენებული 913 წლის ოპიზის ოთხთავეში, მაგრამ 936 წლის ჯრუჭის ოთხთავეში ეგვევ ნიშნები არარეგულარულად და ნაკლებადაა ნახმარი, ზოგჯერ მთელ გვერდებზე მხოლოდ აბზაცის მიმანიშნებელი ორი, სამი ან სტრიქონის შემავსებელი დეკორატიული ნიშანია ფიქსირებული. მაგრამ თუ ოთხთავეში ასე თუ ისე ჩანს სასვენ ნიშანთა გამოყენების ფაქტი, ამას ვერ ვიგყვით ფსალმუნის შემეველ ხელნაწერებზე: ფსალმუნში ტექსტი მუხლობრივ არის დაყოფილი და სასვენ ნიშნად მხოლოდ მუხლის დასასრულს დასმული ორი, სამი ან სამი წერტილის შეერთებით მიღებული ისრის წვერის მსგავსი ნიშანია (>). ასეთი ვითარებაა X ს.-ის A-38-ში, S-29-ში, S-42-სა და სხვ. ოშკის (ათონის) ბიბლიამიუ ჰრელი სურათია, რადგან გადაშწერი სამია (მიქაელ ვარაზაჩე, გიორგი გელასის ძე, სტეფანე დეკანოზი). სასვენ ნიშნები შედარებით წესისებრ არის ნახმარი გიორგი გელასის ძის გადაწერ ნაწილში: ბუნისმაგვარი ნიშანი მოკლე პერიოდების გამოსაყოფად და ორი წერტილი წინადადების ბოლოს (ამავე ფუნქციით იშვიათად სამი წერტილის შეერთებით მიღებული ისრის წვერის მსგავსი გამოსახულებაც გვხვდება, 215r-309v).

ცნობილი მწიგნობარი იოანე-მოსიმე (X ს.), რომელიც მოღვაწეობდა პალესტინის საბა-წმიდის ლავრასა და სინას მთაზე, ავტოგრაფულ ნუსხებში (Sin. 15, 38, 47...) იყენებს ერთ, ორ და ოთხ წერტილს: ერთ წერტილს – მცირე პაუზის ან კითხვითი ინტონაციის აღსანიშნავად კითხვითნაწილაკიანი სიგყვის ბოლოს, ორ წერტილს – წინადადების დასასრულს, ერთგვარი წვერების გამოსაყოფად და ზოგჯერ დიდი პერიოდის აღსანიშნავად, რომლის შემდგომი წინადადება დიდი ასოთი იწყება, ოთხ წერტილს – დიდი შესვენებისა და თავის დასასრულს.

ამრიგად, IX-X საუკუნეთა ხელნაწერებში საერთოდ გამოყენებულია როგორც წინა პერიოდის ხელნაწერთა სამი ნიშანი (ერთი, ორი წერტილი და ბუნის მსგავსი გამოსახულება), ასევე ორი ახალი – სამი და ოთხი წერ-

გილი (არსებითად თხრობის დიდი მონაკვეთების აღსანიშნავად). მაგრამ თითოეული ამ ნიშნის ფუნქცია არც ამ დროის მწერალთ და გადამწერთ ქქონდათ მტკიცედ და ნათლად გაამრებული. უნქტუაიურ ნიშანთა ხმარებაში არასავალდებულობა დიდ შესაძლებლობას იძლეოდა სასეენი ნიშნების-ადმი ინდივიდუალური დამოკიდებულებისათვის.

3. უნქტუაიურ XI-XII საუკუნეთა ქართულ ხელნაწერებში. უზრამ მშირის სისტემა. XI საუკუნიდან ორი მოგრძო წერტილის მარჯვენა მხარეს შეერთებით მიღებული ბუნის მსგავსი ნიშანი (>) ხმარებიდან გადის, დანარჩენი ოთხი ნიშანი (ერთი, ორი, სამი, ოთხი წერტილი) განაგრძობს არსებობას, ოლონდ XI საუკუნის II ნახევრიდან ამ ნიშნების გვერდით არსებობას იწყებს ეფრემ მყირისეული ერთი, ორი, სამი და ექვსწერტილიანი სისტემა და პროსოდის (πρωσῳδία) ანუ ტონალობა-აქცენტის ორი ნიშანი - ოქსია (') და ვარია(,) კითხვითი წინადადებების მისანიშნებლად.

ეფრემ მყირე XI საუკუნის II ნახევარს ანტიოქიაში შავი მთის ქართველთა მონასტრის ლიგურატურულ საქმიანობას მეთაურობდა, იყო ფილოსოფოსი, ლეთისმეტყველი, მთარგმნელი, მეცნიერ-ფილოლოგი, ორიგინალური მთარგმნელობითი თეორიის დამამკვიდრებელი და ასევე რეფორმატორი უნქტუაიურში. ეფრემი შეეცადა, რომ ქართულ ხელნაწერებში ადრე ხმარებული სასეენი ნიშნები გარკვეულ სისტემაში მოეყვანა, განესაზღვრა თითოეული ნიშნის ფუნქცია. ამის თაობაზე ის ნათლად მსჯელობს შესავალ წერილში, რომელიც წინ უძღვის იოანე დამასკელის „ყოლის წყაროს“ მისეულ თარგმანს. იგი წერს: „ჩუენ თანა იყო ნეტარი იგი და ყოელად რჩეული მოღუაწეთა შორის ბერი იოანე ფარაქნელი, რომელმან მოწლედ გამოიკითხა ჩემგან და მიბრძანა ამათ პირთათუს, ვინამთგან პირველთა მათ თარგმანთა (=მთარგმნელთ - კ.დ.) არარამ ეღუაწა წერტილითა განკუშთისათუს საკითხავთამსა, ამისთუსცა შეპირით უკმდა გაკუშთამ ყოველთა სახელოვანთა მკითხველთა, ხოლო ბერძულად არა ესრეთ არს, არამედ .ესოდენ მისანდობელ არს წიგნები მათი მართლად განკუშთილობისათუს, ვითარ ჩუენი საგალობელი, რაოდენი დიდისა მის მნათობისა გიორგი მთაწმიდელისაგან თარგმნილ არს. ამისთუსცა მე ძალისაებრ ჩემისა არა უგულუბელს მიქმნიეს, არამედ ყოველივე ჩემ მიერ თარგმნილი წიგნი ერთ წერტილად და ექუს წერტილად გამიკუშთია. ერთი წერტილი უკუშ მყირედ სასუმნად, ორ წერტილი გასაკუშთელად სიგყუსამ და სამ წერტილი დიდად სასუმნად და ექუს წერტილი სრულად დასაბოლოებელად და ახლად დასაწყებელად სიგყუსა“ (A-24, 4r).

ივ. ჯავახიშვილის სიგყუებით, ეფრემ მყირის სასეენი ნიშნების სისტემა „მთელმა განათლებულმა ქართველობამ მიიღო“.1 მაგრამ XI საუკუნის II ნახევრის ხელნაწერთა შესწავლა ცხადყოფს, რომ ეფრემისეული უნქტუაიურ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 146.

ური სისგემა არსებითად მხოლოდ თვით ეფრემის ავტოგრაფულ¹ და შავი მთის ქართულ მონასტერში ეფრემის მამობის ეპოს გადაწერილ ხელნაწერებშია გატარებული. ასეთებია: სამოციქულოს თარგმანება (Q-1158, XI ს.), საქმე მოციქულთა (A-677, XI-XII სს.), ფსალმუნთა თარგმანება (Q-37, 1091 წ.), მეტაფრასული კრებული (A-162, XI ს.), წყარო ცოდნისა (A-677, XI-XII სს.), ასკეტიკონი (A-1115, XII ს.), წყარო ცოდნისა (A-24, XI-XII სს.) და სხვ.

ეფრემის სიკვებებიდან და თვით მისი სკოლის ხელით შესრულებული ხელნაწერებიდან დგინდება, რომ ერთი წერტილი მცირე პაუზას (დღევანდელ მძიმეს) აღნიშნავს, ორი წერტილი ყოველ დამოუკიდებელ წინადადებას მიჯნავს (უდრის დღევანდელ წერტილს ან წერტილ-მძიმეს), სამი წერტილი დიდ შესვენებას, დიდ პაუზას ანუ თხრობის მოდილო ნაწილს გამოყოფს (უდრის დღევანდელ წერტილს), ექვსი წერტილი კი თხრობის დიდი მონაკვეთის, მუხლის, აბმაცის ან თავის დასასრულს მიაჩვენებს. გარდა ამისა, მემოდსახელებულ ხელნაწერებში ნახმარია პროსოდის ნიშნები: ოქსია (ὀξῆς „მაღალი“) ანუ ძლიერი მახვილი, ტონალობის ნიშანი (') და ვარია (βάρυ „დაბალი“) ანუ მძიმე, სუსტი, მახვილის, ტონალობის ნიშანი (,). XI-XII საუკუნეთა ხელნაწერებში ნახმარია ბერძნულიდან ნასესხები ტონი და პროსოდა. იოანე პეტრიწს პროკლე დიადოხოსის თარგმანებაში აშიაზე მოჰყავს პროსოდის ათი ნიშანი ბერძნული სახელწოდებებით: ოქსია, ვარია, პერისპომენი, მაკრა, ვრაქია, დანია, ფსილი, აპოსტროფოს, უფენ, უპოდი-ასტელი (H-1337, 100r). ამ ცნობას საბა იყენებს თავის ლექსიკონში. საინტერესოა მისი განმარტება ეფრემის მიერ შემოღებულ ორ პროსოდიულ ნიშანზე: „ამას ეწოდების ოქსია, რომელ არს მახვილი. სადაცა სიკვყასა ზედა აკრულ აქვს, მუნ კმისა ამაღლება კამს. , ამას ეწოდების ვარია, რომელ არს მძიმე, სადა ქუეიღამ უჯდეს, მუნ კმისა დამდაბლება კამს“².

აღსანიშნავია, რომ მახვილის ნიშნები – ოქსია და ვარია, რომლებიც ბერძნულის გადღენითაა შემოღებული, ქართულ ხელნაწერებში მიაჩვენებს გამოჩეულ ინტონაციას, კითხვით (ან ბრძანებით) წინადადებებს: ოქსია დასმულია კითხვით სიკვყაზე ან კითხვით ნაწილაკზე, ხოლო ვარია იწერება იმ სიკვყასთან, რომელსაც კითხვა მოუდის ან წინადადების ბოლოს სტრიქონის შუა პოზიციაში. ოქსია (მახვილი) მოგჯერ გზნის ბრძანებით კი-ლოსაც მიაჩვენებს: წართქმითი ბრძანებითის შემთხვევაში გზნის პირიან ფორმაზეა დასმული, უკუთქმისას – უარყოფით არა, ნუ ნაწილაკებზე. მძიმე მოგ ხელნაწერში (მაგ., გბეთის ოთხთავი 1161 წლისა, Q-929) ყოველ აზრობრივ მონაკვეთს გამოყოფს.

XII საუკუნეში არსებობას განაგრძობს ერთი, ორი, სამი წერტილი და ოქსია და ვარია. ხმარებიდან ამოღებულია ექვსი წერტილი (შენარჩუნებულია მხოლოდ ეფრემის ხელიდან ან მისი სკოლიდან გამოსული დედნებიდან გადაღებულ ხელნაწერებში), სამაგიეროდ შემოღებულია ახალი

¹ ელ. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი: ხელნაწ. ინსტ. მოამბე, I, 1959, გვ. 105-125.

² ს.-ს. ორბელიანი, თხზ., IV, 1965, გვ. 27.

ნიშანი წერტილ-მძიმე (;) კითხვითი ნიშნის ფუნქციით (ამავე ფუნქციით მძიმეუ გამოიყენება პარალელურად).

4. უნებუასიის ანტონ პირველისეული სისტემა. ანტონ პირველმა ქართული ენის ვრცელ სასწავლო გრამატიკაში (I რედაქცია 1753 წ., II რედაქცია 1767 წ.) სასენი და გასარჩევი ნიშნების ახალი სისტემა შემოიღო. ეს სისტემა არსებითად სომხურია, რადგან ანტონმა თავისი გრამატიკა ძირითადად მხითარ სებასტიელის გრამატიკის გეგმით და მეთოდით შეადგინა. ანტონისეული უნებუასია საყოველთაოდ მიღებული იყო მე-18 საუკუნის II ნახევრიდან მე-19 საუკუნის 20-იან წლებამდე, სანამ ქართულში რუსული გმით ევროპული უნებუასია მოიკიდებდა ფეხს.

ანტონის სიტყვებით, „დანიშუნა (=აღნიშვნა) არა სრულისა სიტყუსა იქმნების წერილთა შინა ღრამითა ამით, მაგალითებრ (,) და ამას უკუშ მედწოდებულ ვარია, ხოლო ჩუშნებრ მძიმე, დანიშუნა სრულისა სიტყუსა იქმნების ნიშნითა ამით, მაგალითებრ (,) და ამას უკუშ მედწოდებულ სტილმა, ხოლო ჩუშნებრ – წერტილი. ხოლო დანიშუნა დასასრულისა სიტყუსა იქმნების ნიშნითა ამით, მაგალითებრ (;) და ამას უკუშ მედწოდებულ ჩუშნებრ ორი წერტილი (ქართ. ღრამმატიკა, 1885, გვ. 293).

მამასადამე, ანტონს მიაჩნია, რომ დიდი წერილობითი პერიოდი იყოფა სამ კომპონენტად, რომელთაც სათანადო სამი ნიშანი აღნიშნავს: 1. „არასრული სიტყვა“ ანუ დაუსრულებელი მონაკვეთი წინადადებისა აღინიშნება ვარიით ანუ მძიმით, 2. „სრული სიტყვა“ ანუ ამრობრივად დასრულებული წინადადება აღინიშნება სტილმით ანუ წერტილით, 3. „დასასრული სიტყუსა“ ანუ დიდი პერიოდის, მუხლის დაბოლოება გამოიხატება ორი წერტილით. სომხურის გრამატიკის გაველენით ანტონს ნახმარი აქვს ორი ნიშანი: \ და D. პირველი მარცხნივ გადახრილი მახვილის მსგავსი ნიშანი (ე.წ. ბუთი) გამოხატავს ორ წერტილს, ტირეს და მოგჯერ მძიმესაც. ხოლო მეორე კითხვის ნიშანია და დაისმის იმ სიტყვის ხმოვანზე, რომელზედაც ინტონაცია მაღლდება.¹

აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნის II ნახევრიდან ანტონის „ღრამმატიკისა კანონსა მუდა“ გამართულ და დაბეჭდილ ახალი აღთქმის წიგნებში შემოსხენებული სასენი ნიშნების გვერდით ნახმარია: მოხრილი, რომელიც წარმოადგენს მარჯვნივ ღია პატარა ნახევარკრალს და დაესმის სიტყვის ბოლო ასოს და აღნიშნავს კითხვითობას (ეინ არის დედა ჩემი) და მოგჯერ მახილის ინტონაციას მიმართვის ფორმებში (მოძღუარ მიგვედე შენ); გარემორთხმული (იოლიასტოლი), ბერძნული ომეგას მსგავსი ნიშანი, რომელიც რთული ფუძეების სამღვარზე იწერება ქვემოდან დღევანდელი დეფისის მნიშვნელობით: „ნიშანი ესე კყოფს შეკრეასა ორთა ანუ სამთა მარტივთა ლექსთა (=სიტყვათა – კ.დ.) შედგმასა“; ქვენაშთი, მოკლე სწორი, პორიზონტალური ხაზი, სიტყვის ერთი სტრიქონიდან მეორეზე გადატანის

¹ ლ. ქაჯაია, უნებუასია V-XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში..., გვ. 7-8.

აღსანიშნავად. ასევე არასისტემებზე გატარებულია ე.წ. წასაკითხი ანუ გასარჩევი ნიშნები: სიბრჯაგის ნიშანი (^), რომელიც უმარცვლო უ-ს ამის, კლებული ანუ მოკლე, პატარა წრე (o), რომელიც დაესმის სუბიექტად გამოყენებულ პირის სახელებს, როცა წრფელობითის ფორმა რეალურად მოთხრობითს გამოხატავს (პრქუა მას მართა^o), ან კიდევ მ, ა, უ, ჯ, კ, მ ასოებს დაესმის ზევით, რომლებსაც ანტონი მოკლე ხმოვნებად მიიჩნევს; მახვილი ('), რომელიც დაესმის პირ. ობიექტად გამოყენებულ პირის სახელებს (ისააკ^o კმუა იაკობ'), ბრძანებითის ფორმებში – წართქმითის შემთხვევაში მზნას დაესმის, უკუთქმითისას – არა, ნუ ნაწილაკებს და მიანიშნებს მკეთერ, ძახილით ინტონაციას¹ (იყა'ენ ნება შენი; არა' იპარო!).

ანტონის პუნქტუაციური სისტემა საყოველთაო არ ყოფილა და მან მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან გზა დაუთმო ევროპულ პუნქტუაციას.

5. ბანკვეთილობის ნიშნები. განკვეთილობის ნიშნებით იმიჯნება არა წინადადების ლოგიკურ-სინტაქსური კომპონენტები, არამედ ცალკეული სიტყვები – ერთმანეთისაგან, ზოგჯერ რთულ სიტყვათა შემადგენელი ნაწილებიც. ეს ტერმინი ადრე ეფრემ მცირეს აქვს გამოყენებული დამასკეულის „ყოღნის წყაროს“ თარგმანზე დართულ ცნობილ „მესაეაღმი“, ოღონდ არა ტექნიკური ნიშნის, არამედ პუნქტუაციის მნიშვნელობით. სიტყვათა გამმიჯნავი ასეთი ნიშნები ქართულ ხელნაწერებში VII საუკუნიდან იჩენს თავს, კერძოდ, პირველად ის დადასტურებულია ხანმეტ ლექციონარში მოგროპო წერტილისა (იშვიათად) და ისრის ბუნის მსგავსი ნიშნის სახით (ხმირად). ეს უკანასკნელი ნიშანი დასმულია ყოველი სიტყვის ან ზოგჯერ სიტყვათა ჯგუფის შემდეგ. ამ 54 ჯგერდიანი ფრაგმენტის მეორე გადამწერი, რომელსაც ეკუთვნის 12-54 ჯგერდები, ბუნის მსგავს ნიშანს ზოგჯერ ზედმეტად ხმარობს სიტყვის შიგნით ასოებს შორის. ეს ნიშანი რომ წინადადებების ლოგიკურ-სინტაქსურ კომპონენტებს არ გამოყოფს და, ამდენად, პუნქტუაციური არ არის, ეს აშკარაა. მაგრამ ამასთანავე ძნელია ის ჩავთვალოთ განკვეთილობის ნიშნადაც, თუ ტერმინის ზუსტი მნიშვნელობით ვიხმართ, რადგან, ჯერ ერთი, ყველა სიტყვის ბოლოს არაა ნახმარი, მეორეც, ნახმარია თვით სიტყვის შიგნით ასოებს შორის, მესამე, რაც მთავარია, ფიქსირებულია იქ, სადაც სიტყვები ისედაც ინტერვალებითაა დაშორებული და არა იქ, სადაც მიჯრით, გაბმულადაა სიტყვები დაწერილი. ამიგომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დამწერლობის პირველსავე ეტაპზე გაბმულად, მიჯრით დაწერილ სტრიქონებს ზემოდან სიტყვათა საზღვარზე უკეთდებოდა პირობითი, ტექნიკური გამმიჯნავი ნიშანი. შემდგომ კი, როცა სიტყვები გაიმიჯნა დაწერილი ინტერვალებით (ეს პროცესი X საუკუნისათვის კიდევ არაა დასრულებული), განკვეთილობის ნიშანი უფუნქციო გახდა, მაგრამ ადრე ხმარებულობის გამო ტრადიციით მაინც იყენებდნენ ზედმეტად ინტერვალთან

¹ ა. შანიძე, ანტონი I-ის გაღვინა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში: ძვ. ქართ. ენის კათ. მრ., თბ., 1964, გვ. 20-29.

ერთად. ზოგ გადაწერს ეს ნიშანი სამკაულად მიაჩნდა და ამიგომ სრულე-
ბით არ ხმარობდა.

განკვეთილობის გრაფიკული სახითა და ხმარების წესებით ქართული
წერა საგრძნობლად განსხვავდება ბერძნული წერისაგან. ბერძნულ ხელნაწ-
ერებში სიტყვათა ინტერვალებით გამოიჯენა გვიან იწყება მინისკულურ
(ნუსხურ) ხელნაწერებში,¹ ასევე გვიანდელ (X-XI საუკუნეთა) ხელნაწ-
ერებშია უფრო წარმოდგენილი განკვეთილობის ნიშნად სტრიქონს ზედა
ერთი წერტილი, თუმცა ადრეული პერიოდდანაც არ გამოირიცხავენ ასეთი
ნიშნების არსებობას.²

არასისტემებზე, მაგრამ მაინც, განკვეთილობის ნიშანი ნახმარია უძვე-
ლეს თარიღიან (864 წლის) „სინურ მრავალთაეში“, მაგრამ არა მთელს
მანძილზე, არამედ იმ ნაწილში, რომელიც გადაწერილია მაკარი ლეთეთუ-
ლის მიერ (ა.შანიძემ გამოყო ხელნაწერში რამდენიმე ხელი, მათ შორის,
მაკარისიყ).³ ეს ნიშანია სტრიქონს ზედა ერთი წერტილი, რომელიც ნახმარია
ყოველი სიტყვის ან ერთად დაწერილი რამდენიმე სიტყვის შემდეგ (ერთად
იწერება ჩვეულებრივ თანდებულისანი, ნაწილაკიანი...), ზოგჯერ მოსალოდ-
ნელ ადგილს სულ არაა ნახმარი. ერთი წერტილი ამავე წესით ნახმარია
ქსნის ოთხთაეის (A-509, Xს.) I ნაწილში და X საუკუნის ორი ხელნაწერის
(Q-209, Q-211) ნაწყვეტებში.

განსაკუთრებული ვითარებაა ე.წ. „ჭილ-ეგრაგის იადგარში“ (H-2123),
რომელიც გადაწერილია მრგლოვანიდან ნუსხურზე გარდამავალი ხელით
პალესტინის საბა-წმიდის ლავრაში მე-10 საუკუნეში. ტექსტი მიჯრითაა ნაწ-
ერი, მაგრამ სიტყვათა განცალკევების მიზნით ნახმარია განკვეთილობის
ნიშნები: ერთწერტილი, ორწერტილი, სამწერტილი, ოთხწერტილი, ხუთწერ-
ტილი და იშვიათად, ექვსწერტილი; სამწერტილი სამკუთხედად არის გან-
ლაგებული, ოთხწერტილი – კვადრატულად, ხუთწერტილი კი ორი სახისაა:
ერთ შემთხვევაში 5 წერტილი წრისებურად არის განლაგებული, მეორე
შემთხვევაში კი ალებულია იგივე ოთხწერტილი, ოღონდ მასში შუა ადგილას
კიდევ ერთი წერტილია ჩასმული. განკვეთილობის ეს ნიშნები ყველგან და
ყოველთვის არ არის გამოყენებული. არ. მარტიროსოვმა სცადა ამ ნიშანთა
ხმარებაში გარკვეული კანონზომიერება დაენახა, გამოყო კიდევ ხუთი რამ-

¹ V. Gardthausen, Griechische Palaeographie, 1913, გვ. 398.

² В. Класовский, Знаки препинания в пяти важнейших языках, С-Пб., 1882, гв. I; Е. Филомафитский, О знаках препинания вообще и в особенности для русской словесности, 1882, гв. 82. ამ მოსაზრების შეფასება იხ. ლ. ქაჯაია, განკვეთილობის ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში: პალეოგრაფ. ძიებანი, I, თბ., 1965, გვ. 41.

³ სინური მრავალთაეი 864 წლისა... (ა. შანიძის რედაქციითა და გამოკვლევით), თბ., 1957, გვ. 299.

დენადმე განსხვავებული შემთხვევა, მაგრამ საბოლოოდ სწორად დაასკვნა, რომ „ამ ნიშნების ხმარებაში არ არის დაცული რაიმე კანონზომიერება“.

XI საუკუნიდან ისტორიულ საბუთებში, როგორცაა ბაგრატ IV-ის სიგელი ოპიზართა და მიჯნაძორელთა დავის გამო, მისივე შეწირულობის სიგელი შიომღვიმისადმი 1057 წლისა, გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი 1170 წლისა და სხვ., ყოველი სიგეის ბოლოს დასმულია ორი წერტილი.

XV-XVIII საუკუნეთა ხელნაწერებში განკვეთილობის ნიშნად ორ წერტილთან ერთად სამი წერტილიც გამოიყენება (მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეულ ხელნაწერში XV ს.-ისა, ალექსანდრე I-ის სიგელებში 1430 და 1441 წლებისა, ლუარსაბ I-ის სითარხნის სიგელში 1540 წლისა და სხვ.)

ლიტერატურა

ივ. ჩაპხინიძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემაში: თსუ-ს ძვ. ქართული ენის კათ. შრომები, ტ. 9, 1964.

ზ. ძაჩია, პუნქტუაცია ძველ ქართულ ხელნაწერებში: საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტიტუტის მოამბე, V, 1963.

ზ. ძაჩია, განკვეთილობის ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში (VII-XII): პალეოგრაფიული ძიებანი, I, თბ., 1965.

ელ. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

¹ არ. მარტიროსოვი, ტექსტის გამოცემისათვის: ჭილ-ეგრატის იადგარი. გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, არ. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1977, გვ. 225.

თაზი XIII

პირობითი, ტექნიკური ნიშნები ძველ ქართულში

ქართულ ხელნაწერებში განკვეთილობისა და სასვენი ნიშნების გარდა ნახმარია ბევრი პირობითი ნიშანი, რომლებსაც იყენებდნენ გარკვეული ცნებების სიმბოლურად გამოსახვადაც, გექსტის დასაწყისისა და დასასრულის მისანიშნებლად, ციტატების ან განსამარტი სიტყვების დასაკავშირებლად აშიაზე მოთავსებულ თარგმანება-კომენტარებთან. ზოგი ნიშანი ინდივიდუალური იყო და ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „უბრალოდ ხსოვნისათვის იხმარებოდა“.¹ მაგალითად, დავით აღმაშენებლის წიგნიერებაზე ისტორიკოსი ასეთ ცნობას იძლევა: „წინა დაიდგა ოდესმე წიგნი სამოციქულო წარსაკითხავად და, რაეამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა, ხოლო მოქცევასა წელიწადისასა მით ნიშნით აღეთუალეთ, ოცდაოთხჯერ წარეითსა“.² ლიტურგიკულ გექსტებში ხშირად სახმარი გერმინების პირობითი ნიშნების გადმოცემის პრაქტიკაც არსებობდა ძველად. მაგალითად, X საუკუნის ცნობილ მწერალს იოანე-ზოსიმეს თავის საეკლესიო კალენდარში აღნიშნული აქვს, რა ნიშანს რის აღმნიშვნელად ხმარობდა: „ესე ნიშანი & (წრეში ჩაწერილი ჯვარედინი) ღამის თევისაჲ არს: და ესე ნიშანი X (ჯვარედინი) ძლისპირნისათუს³ არს: და ესე ნიშანი: = (ორი წერტილი და ორი პარალელური გირე) ჟამის წირვისათუს არს: საბა წმიდისა წესსა ზედა გულისხმა-ყავ, :: (ოთხი წერტილი) ესე მარხვანი წმიდათა დღესასწაულთანი“.

ჩვენ აქ გამოვყოფთ პირობით ნიშანთა ორ ტიპს, რომლებიც უფრო გავრცელებული იყო ძველ საქართველოში.

1. Xვარი და ქანწილი ანუ წილქანი. გექსტის დასაწყისისა და დასასრულის აღსანიშნავად ძველ ქართულ ხელნაწერებში იხმარება ორი ძირითადი ნიშნის გრაფიკული ვარიანტები: ერთი – ჯვარედინის ან მიმატების (პლუსის) მსგავსი ნიშანი, რომლის ურთიერთგადამკვეთ ადგილას შექმნილ ოთხივე კუთხეში ჩაწერილია წერტილები ან პატარა წრეები (*, *), მეორე – ჯვრის სახის ნიშანი, რომელიც მთავრულ ქ-ს ჰგავს, ან ამავე ნიშნის ვერტიკალური ხაზის შემოდან მარჯვენა მხარეს მობმული აქვს პატარა ნახევარწრე (†, L). † იგივე ჯვარია, ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლური გამოსახულებაა. მისი დასმა გექსტის თავსა და ბოლოში საერთოდ მიღებული იყო ქრისტიანულ მწერლობაში და მიანიშნებდა, რომ ყველაფრის დასაბამი (დასაწყისი) და

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 147.

² ქართლის ცხოვრება, (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), ტ. I, თბ., 1955, გვ. 349.

³ მღრ. ს. პირნისათუს: ივ. ჯავახიშვილი, ქართ. პალეოგრაფია.... გვ. 147.

დასასრული ღმრთის ქმედებაა ('Αρχήν ἀπάντων καὶ τέλος ποιῶν Θεόν), როგორც ამბობდა გრიგოლ ღმრთისმეტყველი.¹

ჯერის მსგავსი პირობითი ნიშნები ქართულ ხელნაწერებში, ლ. ქაჯაიას ცნობით, IX საუკუნიდან დასტურდება² და გექსტის დასაწყისის ალსანიშნავად უშუალოდ ბერძნულიდანაა გადმოღებული. მისმა გრაფიკულმა მსგავსებამ ასომთავრულ ქ-სთან გამოიწვია მისი მცდარად გააზრიანება, როგორც „ქრისტეს“ დასაწყისი ასოსი. ჯერის ამგვარი გავება ისე გავრცელდა, რომ გვიანაც, მხედრულით ნაწერ გექსტებში დასაწყისში ქ-ს სვამდნენ. ბერძნული პირობითი ნიშნის ასეთსავე გააზრებაზე დაფუძნებული მეორე ნიშნის სახელწოდება ქანწილი ანუ წილქანი, რომ თითქოს ეს ნიშანი ორი ქართული ასოს (ქ და წ-ს) კომპონენტთა შეერთებით იყოს მიღებული. ორივე ეს სახელწოდება ნახმარია X საუკუნის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში. 992 წლის ნუსხის (Sin.16) ანდერძში აღნიშნულია: „სადა სახარებისა თავი არს დასაწყებელი, ესე ქანწილი L მის სინგურითა და სადა დასრულდებოდის ბოლოა, ესე ჯუარი მის სინგურითავე † (316v). ხოლო ფსალმუნის შემეყველი X ს.-ის ნუსხის (A-38) შესავალ ნაწილში, რომელიც წარმოადგენს ათანასი ალექსანდრიელის სტიქომეტრიულ თხზულებას, ნათქვამია: „სადა წერილ იყოს ესე, ვითარმედ „თაყუანისცემაა“, ცან-ლა, მუნ ღიდებაა ითქუას და მუნვე წითლითა წილქანი მის და ესე ფსალმუნთა, ხოლო კანონთა თავი თუთ საცნაურ არს“ (თ.გორდანი, ქრონიკები, I, 1892, გვ. 94).

ცხადია, ასეთი ცნობების საფუძველზე ივ.ჯავახიშვილი, სრულებით ბუნებრივად, ფიქრობდა, რომ ქანწილი ანუ წილქანი წარმოადგენდა „ხუცური ასომთავრული „ქ“ და „წ“ ასოების შეერთების მონოგრამას.“³ მაგრამ ლ. ქაჯაიამ დაადგინა, რომ ქანწილად წოდებული ნიშანი ქართულში ბერძნულიდან არის უშუალოდ შემოსული.⁴ ქანწილის ყველაზე გავრცელებული გამოსახულება M და მისი უფრო რთული სახეობაც N (გამოყენებულია შატბერდის კრებულში S-1141) იმეორებს ბერძნულ წერაში ხმარებულ ორივე პირობით ნიშანს. მაგრამ ბერძნულში ესენი ფუნქციურად უფრო დაგვირთულია: გექსტის დასაწყისის გარდა აღნიშნავს ტაქტიგრაფიული ანუ ჩქარი წერის ერთ-ერთ გრაფიკულ სახეობას და განსამარტი სიტყვის კომენტართან დასაკავშირებელ ნიშანს. მართალია, ორივე ეს ნიშანი ვ. გარკაპუშენს ქრისტემდე შექმნილად მიაჩნია,⁵ მაგრამ მკვლევართა უმეტესობა თვლის, რომ პირველი ნიშანი (N) ხმარებაში შემოდის 317 წლიდან და არის „ქრისტეს“ მონოგრამა, მისი პირველი ორი ასოს X „ქ“ და ρ „რ“-ს შეერთე-

¹ E. Э. Гранстрем, О Происхождении глаголической азбуки: Труды отд. древнерусской литературы института русской литературы, XI, М.-Л., 1955, გვ. 307.

² ლ. ქაჯაია, ორი გექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში: პალ. ძიებანი, II, თბ., 1969, გვ. 103.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია..., გვ. 147.

⁴ ლ. ქაჯაია, ორი გექნიკური ტერმინი..., გვ. 106.

⁵ V. Gardthausen, Griechische Palaeographie, 1913, გვ. 118.

ბით მიღებული.¹ მისი ხმარების დასაწყისს უკავშირებენ კონსტანტინე იმპერატორისათვის ჯერის გამოცხადების სასწაულს, რომელმაც თითქოს მას მტერზე გამარჯვება მოაპოვებინა. ამ ნიშნიდან შემდგომ გამარტივებით IV საუკუნის შუა წლებიდან განვითარდა ქრისტეს მეორე მონოგრამული ნიშანი, ქართული ქანწილის პროტოტიპი. ამდენად, † და L ნიშნები ქართულში შემოსულია ბერძნულიდან და მოგვიანებით ქართულ ნიშნებადაა გააზრებული. † ნიშანი წარმოადგენს ჯეარს, ჯეარსული ქრისტეს სიმბოლურ გამოხატულებას, L კი – ქრისტეს მონოგრამას.²

2. კომენტარებიან ხელნაწერებში სახმარი პირობითი ნიშნები. შუა საუკუნეების ბერძნულ დამწერლობაში საეკლესიო ნიშნების სხვადასხვა სისტემა არსებობდა, რომლებიც გამოიყენებოდა კრიპოგრაფიულ (საიდუმლო) ან ტაქტიკრაფიულ (ჩქარ, სტენოგრაფიულ) წერასა და სამეცნიერო ხასიათის ტექსტებში ქიმიური, სამედიცინო თუ ასტროლოგიური გერმინების აღსანიშნავად, რაც წერაში დროისა და მასალის ეკონომიას იძლეოდა. შემდეგ ამ ნიშნებს კომენტარებიან ტექსტებში ციგატების ან განსამარტი სიტყვების გამოყოფის ფუნქცია დაეკისრა. ის ძირითად ტექსტში დაისმის განსამარტი სიტყვის თაგზე და ამია-სქოლიოზე მოთავსებული განმარტება-კომენტარის წინაყ, რითაც მიმართებას ამყარებს ტექსტსა და კომენტარს შორის, ასე ვთქვათ, მაკავშირებელ ნიშნად გვევლინება.³

დადგენილია, რომ ქართულში ასეთი პირობითი ნიშნები XI საუკუნიდან იჩენს თავს კომენტარებიან ხელნაწერებში (გელათური ბიბლია A-1108, Q-1152, დიდი სჯულის კანონი A-124, ლოგმატიკონი S-1463, გრიგოლ ღმრთისმეტყველის პოშილიები – Jer.15, Jer.43, იოანე სინელის კლემაქსი A-39 და სხვ.) და ბერძნულიდან არის თარგმანის პროცესში გადმოღებული. ასეთი ნიშნების რიცხვი საკმაოდ ბევრია ხელნაწერებში და მათზე ყურადღების გასამახვილებლად ამიაზე მინაწერებიყაა: „იხილე შეუნიერი“, „შეისწავე შეუნიერი“... ზოგში (A-1108, Q-1152) მონოგრამაყაა Q, ე.ი. მრგლოვანი ო-ს შიგნით ჩასმულია რ, რომელიყ პირდაპირი გრანსლიტერაყაა ბერძნული ო მეგასა და რ-ს შეერთებით მიღებული მონოგრამისა . ეს უკანასკნელი კი დასაწყისი ასოებია ბერძნული ἀρχαῖον (პორაიონ) სიტყვისა,⁴ რომელიყ „იხილე“, „შეისწავე“ (შეიმენე) შინაარსისაა (მღრ. ბრძა „ეხედაე“, „ყურადღებას ვაქყე“, „ვეგებულო“...). აღსანიშნავია, რომ ზოგ ხელნაწერში ამიაზე მინაწერ ფრაგებში („შეისწავე შეუნიერი“, „იხილე შეუნიერი“) გედ-

¹ Н.В. Покровский, Очерки памятников христианской иконографии и искусства, С.-Пб., 1900, გვ. 30-31; И.В. Помяловский, Археологическая находка в Пуатье: Записки Императорского русского арх.-его Общества. т. II, вып. II, 1886, გვ. 65.

² ლ. ქაჯაია, ორი ტექნიკური ნიშანი..., გვ. 107.

³ ლ. ქაჯაია, პირობითი ნიშნები ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში: პალეოგრაფიული ძიებანი, II, 1969, გვ. 34-35.

⁴ Е. Э. Гранстрем, О некоторых приемах оформления византийских рукописей: XXV междун. конгресс востоковедов, М., 1960, გვ. 12.

მეტად ნახმარი „მუნიერი“ სემანტიკური კალკი უნდა იყოს ἀριός-ი, რომელიც სხვა მნიშვნელობებთან ერთად „შესაფერსა“ და „მშვენიერსა“ აღნიშნავს და რომელსაც კავშირი არა აქვს ხელვა და გაგება-შემეცნების მნიშვნელობის ბრძა გმნასთან.

ლ. ქაჯაიამ შეისწავლა და ამოინიშნა ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში ნახმარი პირობითი ნიშნები, შეადარა ისინი შესაბამის ბერძნულ ნიშნებთან და შეადგინა სათანადო კატალოგიც.¹ ქართულ ხელნაწერებში ნახმარი პირობითი ნიშნების გრაფიკული მრავალფეროვნება ჩანს აქ დართული გაბულიდან.

დასასრულ, შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ძველ ქართულ ხელნაწერებში დადასტურებული პუნქტუაციური და პირობითი თუ ტექნიკური ნიშნები ამკარად ადასტურებენ ბერძნული წერის კულტურასთან ქართულის ისტორიულ კავშირს.

ლიტერატურა

ივ. ჯაფარიძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

ლ. ქაჯაია, ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში: პალეოგრ. ძიებანი, II, თბ., 1965.

ლ. ქაჯაია, პირობითი ნიშნები ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში: პალეოგრ. ძიებანი, II, თბ., 1965.

¹ ლ. ქაჯაია, პირობითი ნიშნები..., გვ. 37-49.

თაზო XIV

ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა

ძველ საქართველოში შეიქმნა საიდუმლო დამწერლობის სისტემები. ქართული საიდუმლო დამწერლობის უძველესი ნიმუშები X ს.-იდან გვაქვს. ივარაუდება, რომ ისინი უფრო ადრეუ არსებობდა (ლ. ათანელიძევილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, გვ. 6). ქართულ კრიპტოგრაფიაში არის მეტად საყურადღებო ცნობები წერილობითი ძეგლების გადამწერთა, გადაწერის ადგილისა თუ თარიღის შესახებ, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ქართული კულტურის ისტორიისათვის.

ქართულ საიდუმლო დამწერლობას ბერძნული კრიპტოგრაფიის გარკვეული გავლენა განუცდია (ა.შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, გვ.68), ამასთან ჩვენში ჩამოყალიბებულა ორიგინალური სისტემებიც (ლ. ათანელიძევილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11).

ხელნაწერებში კრიპტოგრაფიათა ოდენობა განსხვავებულია. ზოგ ხელნაწერში მათი რიცხვი ათეულზე მეტია, ზოგში – რამდენიმეა, ზოგიერთ ხელნაწერში კი კრიპტოგრაფიები სრულიად არ გვხვდება. საინტერესოა, რომ 1864 წელს მთლიანად კრიპტოგრაფული ანბანით გადაწერიათ „სამკურნალო წიგნი“ (Q-243).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება შემდეგი კრიპტოგრაფიული სისტემები: ანჩინური, ანჯანური, ანრეული, ანპოეური, სათვალავადი, უკუდაწერილობის, სარკისებური დაწერილობის, აკროსტიქული სისტემები, აგრეთვე, ერთი და იმავე ასოს გამოორებით მიღებული, სიტყვათა დაქარაგმებით მიღებული, სიტყვაში ასოების გამოტოვებით მიღებული სისტემები და სხვ. ვარაუდობენ, რომ ეს სისტემები სხვადასხვა დროს იქმნებოდა (ლ. ათანელიძევილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11).

განვიხილოთ ეს სისტემები.

ანჩინური სისტემა

ანჩინური სისტემა ეწოდება ისეთ საიდუმლო დამწერლობას, როცა ერთეულთა აღმნიშვნელ ასოებს ენაცვლება ათასეულთა გამომხატველი გრაფემები, ხოლო ათეულთა გამომხატველ ნიშნებს – ასეულთა გამომხატველი ასოები:

ა-ჩ	გ-კ	მ-ყ (ან უ)
ბ-ც	ღ-ქ	ნ-ფ
გ-წ	თ-პ	ჟ-ქ
დ-წ	ი-რ	ო-ლ
ე-ჭ	კ-ს	ჟ-ყ
ვ-ხ	ღ-ტ	ც-მ

ენახოთ ანჩინური სისტემის ზოგი ნიმუში. X საუკუნის კლარჯულ მრავალთავში (A-144) 97r-ზე გვხვდება კრიპტოგრამა: ჩ-ფ, ჩ=ა; ფ=ნ – ამრიგად, გექონია ან, ანუ ამენ (იხ. ა.შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, I, გვ. 237-243).

A-134 ხელნაწერში (1066 წ.) 22r-ზე იკითხება: აჭ ქჭ ჰჭ ჩ-ფ რაჩზ, რაყ ასე უნდა გავშიფროთ: ქე შე თე ან იყავე, ანუ: ქრისტე, შეიწყალე თეოდორე, ამენ, იყაქ[ნ] (იხ. ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 180).

Jer. 73 ხელნაწერში (XI-XII სს.) 84r-ზე არის შემდეგი კრიპტოგრამა: აჭ ჩჭ ჰჭ აღჩჩჰჭტრ. იგი ასე უნდა გავშიფროთ: ქე აე თე ქოთათელი, ანუ: ქრისტე აღიდე თეოდორე ქოთათელი (=ქუთათელი) (იხ. ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 181). საინტერესოა, რომ წარმომავლობის სახელი ქუთათელი პირველად სწორედ აქ დასტურდება.

გერმინი ანჩინური გვხვდება ძველ ძეგლებში. S-3652 და H-1283 ხელნაწერებში წარმოდგენილია ანჩინური კრიპტოგრაფიული სისტემა და ნათქვამია: „ამას უკუე ანჩინური ეწოდება“; ანალოგიური შენიშვნა დასტურდება პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის № 15 ხელნაწერშიც.

ანჩინური სისტემა პირველად ა. შანიძემ ამოხსნა (ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, გვ. 63-68). ამ სისტემის ვარიანტები დაწვრილებით შეისწავლა ლ. ათანელიშვილმა (ლ. ათანელიშვილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, გვ. 14-52; 178-208).

ანჯანური სისტემა

ანჯანურ სისტემაში ერთმანეთს ენაცვლება შემდეგი ნიშნები

ა-ჯ	ზ-ც	მ-ფ
ბ-კ	ძ-ჩ	ნ-უ
გ-ს	თ-შ	ო-ტ
დ-ჭ	ი-ყ	პ-ს
ე-წ	ქ-ღ	ყ-რ
ვ-ძ	ღ-ქ	

გვაქვს 14 წყვილი. ძველი ქართული ანბანის ბოლო ორი ასო ქ და ჭ, აგრეთვე ღ უგულვებელყოფილია. უ-ს ადგილას წარმოდგენილია უ.

გავეცნოთ ანჯანური სისტემით შესრულებულ ერთ ნიმუშს: S-31 ხელნაწერში (XIX ს.) 1r-ზე იკითხება: ჩემო დძწჯ გახსოვდე წჯ უსულჭსტბწზ ჰტტღ წჯპღყ, ანუ: ჩემო დედა, გახსოვდე და მომიგონებდე, შენი დავით (იხ. ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 209). როგორც ვხედავთ, პირველი სიტყვა ჩვეულებრივად არის დაწერილი, ასევეა დაწერილი მეორე სიტყვის პირველი ასო დ. არის დაშვებული ზოგი შეცდომა. ღ გამოხატავს შ-ს (უნდა ყოფილიყო თ), ბ-ს ენაცვლება ხ, გ-ს ჭ, ღ-ს წ (რაც გამოწვეულია იმით, რომ კრიპტოგრამის გასაღებში ქ არ არის).

საერთოდ, ანჯანური სისტემის კრიპტოგრამები შედარებით იშვიათია.

გერმინი ანჯანური დაასახელა თავის ერთ-ერთ ნაშრომში მ. ბროსემ ჯერ კიდევ 1834 წ. (M. Brosset, Note supplementaire, გვ. 244-248). ამ გერმინს

ივ. ჯავახიშვილი იყენებდა საიდუმლო დამწერლობის აღმნიშვნელად (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ.133), რაც, რა თქმა უნდა, არაა სწორი, რადგანაც: „ანჯანური სისტემა არის ასოთა შენაცვლების პრინციპით შედგენილი ერთ-ერთი სისტემათაგანი ქართული დამწერლობისა“ (ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 53).

ანჯანური სისტემის შესახებ ცნობა მოიპოვება XVII საუკუნის ხელნაწერში (S-174), რომელშიაც ფარსადან გორგიჯანიძეს ჩაუწერია ანჯანური ანბანი: „ვისაც სამალავათ ერთმანეთან წიგნის მიწერა გინდოდეს, ამას ქვეით რომ ანჯანის ანბანი დაიწერების, ან ზეპირათ ისწავლეთ და დაიმსოვნეთ, და ანჯანის ანბანი თან იქონიეთ, რომე იმით მისწერდეთ და ან მოგწერდენ, წაიკითხვის. ფარსადან გორგიჯანიძეს შეუწყვიო: რაც ასო თქმასა და გაგონებას მოუნდების, ყველა არის. ანჯანის ანბანი ეს არის: აჯ, ბბ, გგ, ღღ, ეწ, ეწ, იჩ, თმ, იყ, კლ, ლქ,¹ მფ, ნუ, ოგ, პს, რე (252-ე გვ.). ეს საინტერესო ცნობა პირველად გამოაქვეყნა მ. ჯანაშვილმა 1896 წ. (მ. ჯანაშვილი, „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“, გვ.72).

მკვლევართა ნაწილი ანჯანური სისტემის შემქმნელად ფარსადან გორგიჯანიძეს მიიჩნევს (ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, გვ. 237; ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დაწერილობის ნიშანი, გვ. 6-7; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 133; ლათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54).

ანჯანური სისტემა ვრცლად აღწერა ლ. ათანელიშვილმა (დასახ. ნაშრ., გვ. 52-63; 208-212).

ანრეული სისტემა

ანრეული სისტემა წარმოგვიდგენს ერთეულთა და ასეულთა, ათეულთა და ათასეულთა გამომხატველი გრაფემების მონაცელობას:

ა-რ	მ-ლ	მ-წ
ბ-ს	შ-ყ	ნ-კ
გ-ტ	თ-შ	ა-ხ
ღ-უ	ი-ჩ	ო-ქ
ე-ფ	კ-ს	პ-ჯ
ვ-ქ	ლ-ძ	ე-ჟ

ანრეული სისტემის კრიპტოგრამები იშვიათად გვხვდება (სულ გამოვლენილია 6 ნიმუში).

¹ უნდა იყოს ლქ.

H-1671 ხელნაწერში (1752 წ.) არის ასეთი კრიპტოგრამა: გძფმჩ თრწატმჩაფ შდ რაძძრ რწჩბტრჭ ურწჩმბჭრ, ანუ: გლეხი შამოვწირო, თუ ახლა ამისგან დამიხსნა (იხ. ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 213).

H-2295 ხელნაწერის ზედა საცავე ფურცელზე XIX ს.-ის I მეოთხედის ხელით სწერია:

ოფძმჩეფუფ იფწკ[...] არ რაჩბ აკწ იფწბ ლრწბ[...]რა ბმძრ ძქსმ ურ ღმძრბქბ გრჭკეჩმზრ ბგრჭპარქ წრარ რქრბაფ ღერძბრ ურ გრჭკიცრმაფ, ანუ: კელმწიფუო ჩემო... რა არის, რომ ჩემს ძმას... არ სწყალობთ და უწყალოს ტანჯვითა სტანჯავ. მარა აეასხე უფალსა და განიკითხე (იხ. გ. მიქაძე, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა).

ანრეული სისტემის ანბანი წარმოდგენილია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის №I ხელნაწერში (1725 წ.), 167v.

ტერმინი ანრეული იხმარა მ. ბროსემ (M. Brosset, Note supplementaire, გვ. 244-248). ამ სისტემის დაწერილებითი ანალიზი იხ. ლ. ათანელიშვილის დასახელებულ მონოგრაფიაში (გვ. 64-69; 213-214).

მ.წ. ანპოეური სისტემა

ე.წ. ანპოეური სისტემა წარმოდგენილია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის №1 ხელნაწერში:

ა-ჟ	გ-წ	მ-ღ
ბ-კ	ძ-ძ	ნ-ქ
გ-ჯ	თ-თ	ო-ფ
ღ-კ	ი-ჩ	ჟ-უ
ე-ხ	კ-შ	ქ-ტ
ე-ჭ	ლ-ყ	რ-ს

ტერმინი ანპოეური შემოიღო მარი ბროსემ (M. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 244-248). ალბათ უფრო სწორი იქნება, თუ მას ეუწოდებთ ანოპურ სისტემას, რადგანაც მ ასოს სახელია ოპი და არა პოე.

ანპოეური სისტემით ჩაწერილი კრიპტოგრამა არ არის ჩვენთვის ცნობილი. ისიყ აღსანიშნავია, რომ ამ სისტემაში არ არის გამოყენებული ღ და ქ ნიშნები. სავარაუდოა, რომ ეს სისტემა შექმნილია მოგვიანებით. ამიტომაც არ გამოიყენება ეს ნიშნები (შდრ. ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 70).

სათვალავადი სისტემა

სათვალავადი ეწოდება კრიპტოგრაფიის ისეთ სისტემას, როცა ასოები გამოხატულია მათი რიცხვითი მნიშვნელობით. ამ ტიპის უძველესი კრიპტო-

გრამა დაცულია მიქაელ მოდრეკილის იადგარში (S-425), რომელიც 978-988 წლებშია გადაწერილი. მიქაელ მოდრეკილი რამდენიმე ადგილას მიუთითებს: „თქმულნი ორმოციჲსა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისანი“.

ორმოცი = მ-ს, ათი = ე-ს, ექუსასი = ქ-ს, ერთი = ა-ს, ხუთი = ე-ს და ოცდაათი = ლ-ს, რაც გვაძლევს ავტორის სახელს მიქაელ.

ეს კრიპტოგრამა ამოხსნა პ. კარბელაშვილმა (პ. კარბელაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, გვ. 44-45).

XI საუკუნიდან ჩვენში იხმარება ე.წ. არაბული ციფრები, რომლებიც მოგივანებით გამოიყენეს ასოთა გამოსახატავად. ციფრები 1-დან 9-მდე გადმოსცემდნენ ასოებს ანდიან ღანის ჩათვლით. ერთი წერტილით იგივე ციფრები გამოხატავდნენ ასოებს ინიდან ღანის ჩათვლით, ორი წერტილით – ასოებს რადან შინის ჩათვლით, სამი წერტილით – ასოებს ღინიდან ჰად-ს ჩათვლით, ოთხი წერტილით მ-ს აღნიშნავდა.

სათვალაუბრი სისტემის ამ ტიპის უძველესი გასაღები XIV საუკუნის ხელნაწერში (S-4814) აღმოაჩინა ლ. ათანელიშვილმა (ლ. ათანელიშვილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, გვ. 73).

ენახოთ სათვალაუბრი სისტემის რამდენიმე ნიმუში:

H-8 ხელნაწერში (1778 წ.) 153r-ზე გვაქვს: 31413153, ანუ გამაღიეღ (იხ. ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 220).

Q-816 ხელნაწერში (XVIII-XIX სს.) დასტურდება შემდეგი კრიპტოგრამა: 317131 51129612 31217451131 1112 41351 525, ანუ: გიორგი ერისთავის ძის აღწერილი არის წიგნი ესე (ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 228).

მოგვიერ წერტილის ნაცვლად ციფრებს მძიმეებს ასვამდნენ. მაგალითად, S-1530 ხელნაწერში (XIX ს.) კრიპტოგრამა ასეა ჩაწერილი: 55311 112 1745321 1662 525 41351, ანუ: ნეგარ არს, რომელსა აქვს ესე წიგნი (ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 233).

S-3710 ხელნაწერში (XIX ს.) გვაქვს კრიპტოგრამა: 52 41351 1112 1541, ანუ: ეს წიგნი არის ჩემი (ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 233).

გვხვდება ისეთი კრიპტოგრამები, როცა არაბულ ციფრებს შემოთ რგოლები დაესმის დამატებით ნიშნებად. Q-1135 ხელნაწერში (1792 წ.) დასტურდება: 17155 9715125, ანუ იოანე, თორნიკე (იხ. ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 233).

Q-824 ხელნაწერში (XVIII ს.) ასეთი კრიპტოგრამაა: 753191 51129612 312 97151252191, ანუ: კელითა ერისთავის ძისა თორნიკესითა (ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 233).

სათვალაუბრი სისტემის კრიპტოგრამები დაწერილებით განიხილა ლ. ათანელიშვილმა (ლ. ათანელიშვილი, ქართული საიდუმლო დამწერლობა, გვ. 71-86; 229-238).

უკუდაწერილობის სისტემა

უკუდაწერილობის სისტემა გულისხმობს სიტყვის ჩაწერას და წაკითხვას მარჯვნიდან მარცხნივ. ლ. ათანელიშვილი თავის ნაშრომში გამოყოფს უკუდაწერილობითი სისტემის შემდეგ ტიპებს: I – მთელი წინადადება არის ჩაწერილი უკუდაწერილობის მიხედვით. ამოხსნას ვიწყებთ სიტყვის ბოლოდან; II – წინადადებაში შემავალი სიტყვების განლაგება ჩვეულებრივია, მაგრამ თითოეული ცალკეული სიტყვა ჩაწერილია უკუდაწერილობის პრინციპის მიხედვით; III – სიტყვის ერთი ნაწილი არის დაწერილი უკუდაწერილობის პრინციპის მიხედვით – მარჯვნიდან მარცხნივ.

ვნახოთ ამ დაწერილობის ნიმუშები: I ტიპის უძველესი კრიპტოგრამა გვხვდება Q-657 ხელნაწერში (1575 წ.). 379v-ზე აქ ნუსხურად წერია: სიღ თქმუხთამემ ნიე ნუასავეყწ სუთასიკერჩხ დაბეკუ ვირიკომეჩრო იბერდეგ სუთა, ანუ: ა[მ]ისთვის გვედრები, უფალო ჩემო კირი[ლ]ე, უცებად ჩხრეკისათეს წყევასა ნუვინ შემამთხუმეთ ღმრთის (იხ. გ. მიქაძე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, გვ. 10-17).

S-3708 ხელნაწერში (XVIII ს.) არის ამავე ტიპის კრიპტოგრამა: მ რა სლაე მორ იბელთრამემ სარ ოლადრას თივად ონოტაბ, ანუ: ბატონო დავით სარდალო, რას მემართლები, რომ ვალს არ მ[...] (იხ. ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 240).

II ტიპის კრიპტოგრამა დასტურდება A-53 ხელნაწერის (XVIII ს.) 315-ე ფურცელზე ნუსხურით:

თამამ ონეჩილეშორ რახ ათაჲ ინამ ადიმწ ვაყი ილეხას ინემ ნიდეომ ავეჟუს ნვაყი აბენ ინემ, ანუ: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოედინ სუფევა, იყავნ ნება შენი (ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 240).

უკუდაწერილობის სისტემა გაანალიზებულია ლ. ათანელიშვილის წიგნში „ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა“ (გვ. 86-90; 238-242).

სარკისებრი დაწერილობის სისტემა

სარკისებრი დაწერილობა ჰგავს უკუდაწერილობის სისტემას. კრიპტოგრამები ჩაწერილია მარჯვნიდან მარცხნივ, ასოებიც შებრუნებულად არის ნაწერი. ამიტომ ეწოდება ამ დაწერილობას სარკისებრი. მისი ამოკითხვა შესაძლებელია სარკის საშუალებით.

ცნობილია სარკისებრი დაწერილობის 40-ზე მეტი კრიპტოგრამა. ისინი გამოქვეყნებულია (ა. მანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გვ. 024; გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები, გვ. 360; ლ. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრ., 242-251).

ყველაზე ადრინდელია ის კრიტიკოგრაფა, რომელიც ჩაუწერია 940 წელს ჯრუჭის ოთხთავის მომხატავს – თევდორეს – 940 წელს 1v-ზე. იგი ამოხსნა და გამოაქვეყნა ა. შანიძემ (ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია..., გვ. 024).

ქართული საიდუმლო დამწერლობის შესწავლა მრავალმხრივ არის საყურადღებო. დღეისათვის ამ თვალსაზრისით ბევრი რამ არის გაკეთებული. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ლილი ათანელიშვილის ფუნდამენტური მონოგრაფია, „ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა“, რომელიც 1982 წელს გამოიქცა.

ლიტერატურა

- ა. ათანაულიშვილი, ერთი სინური ხელნაწერის კრიპტოგრამების შესახებ: „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), 1972, №4.
- ბ. ათანაულიშვილი, რამდენიმე კრიპტოგრაფიული წერილის შესახებ: „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), 1980, №2.
- ვ. ათანაულიშვილი, ქართულ ხელნაწერთა რამდენიმე კრიპტოგრამის შესახებ: „მრავალთავი“, III, თბ., 1973.
- გ. ათანაულიშვილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, თბ., 1982.
- დ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი, პარიზი, 1933.
- ე. კარაბაღაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, გფ., 1898.
- ზ. შიჩაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები: შოთა რუსთაველი (საიუბილეო კრებული, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტ.-ის გამოცემა), თბ., 1966.
- ი. შიჩაძე, ზურაბ და გრიგოლ წერეთლების კრიპტოგრაფიული წერილები: საქმეცნ. აკად. საზ.მეცნ.განყ. მოამბე, 1960, №2.
- ი. შიჩაძე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, თბ., 1957.
- ი. შიჩაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები: ძველი ქართული მწერლობის და რუსთველოლოგიის საკითხები, თბ., 1973.
- ი. შიჩაძე, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა: „დროშა“, 1953, №6.
- ი. შიჩაძე, ძველი ქართული საიდუმლო დაწერილობის უცნობი ნიმუშები: კ.კეკელიძის დაბადებიდან 80 წლისთავის საიუბილეო კრებული, თბ., 1959.
- ი. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები: მიმოხილველი, I, გფ., 1926.
- ი. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები: საქ. მეზ. მოამბე, I, გფ., 1920.
- ივ. ჯაპახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
- Н. Я. МАПП, Один вид грузинского криптографического письма: Христианский Восток, III, вып. I, С.-Пб., 1914.
- Р. Р. ОРБЕЛИ, Из криптографических записей Теимураза Багратиони: Ученые записки Института востоковедения, XVI, Ленинград, 1958.
- М. BROSSET, Note supplementaire: Journal Asiatique, 1834, September, t.14, Paris.
- V. GARDTHAUSEN, Griechische Palaeographie, 1913.

თაზი XV

წელთაღრიცხვის სისტემაში კველ საქართველოში

ქრონოლოგია ანუ წელთაღრიცხვა ორგვარია: მათემატიკურ-ასტრონომიული და ისტორიული. პირველი აღრიცხავს იურ სხეულთა მოძრაობის შესწავლის საფუძველზე ზუსტ ასტრონომიულ დროს, ადგენს წელიწადში თვეებისა და დღეების ათვლის გარკვეულ წესს, მეორე კი ეფუძნება პირველს (კალენდარულად) და ადგენს ნებისმიერი მოვლენის კონკრეტულ დროს, თარიღს რაიმე მნიშვნელოვანი საწყისი მიმენტიდან ათვლით.

I. მათემატიკურ-ასტრონომიული ქრონოლოგია. კველი კალენდრები. ხალხთა სამეურნეო ცხოვრება მუდამ განუყრელად იყო დაკავშირებული წელიწადის მიმოქცევასა და მის სეზონებზე. შორეულ წარსულში დროის უმარტივეს ერთეულებად გამოყოფილი იყო დღე და ღამე მზის ხილულ მოძრაობასთან დაკავშირებით, შემდგომ დადგინდა თვე, მთვარის ერთნაირ ფაზებს შორის არსებული დრო, 29,5 დღე, ბოლოს კი განისაზღვრა ერთგვარ (ეთქვათ, ცივ, თბილ ან ცხელ) სეზონებს შორის არსებული დრო, ე.წ. წელიწადი, როგორც 365,25 დღის შემცველი ციკლი.

უძველესი მთვარის კალენდარი, რომელიც ბაბილონელებმა შექმნეს ძვ.წ. მეოთხე ათასწლეულში, წელიწადში 354 დღეს ითვლიდა ანუ ექვს 29 დღიან და ექვს 30 დღიან თვეს ($6 \times 29 + 6 \times 30 = 354$). ამის პარალელურად ძველმა ეგვიპტელებმა დაახლოებით ძვ.წ. მეოთხე ათასწლეულში შექმნეს მზის ხილულ წლიურ მოძრაობაზე დამყარებული მზის კალენდარი, რომლითაც წელიწადის შემცველობა განისაზღვრება 365,25 დღის შემცველი 12 თვით.

ფიქრობენ, რომ ქართველთა მოდგმის გომებს თავდაპირველად მთვარის კალენდარი უნდა ქქონოდათ. ეს ვარაუდი სარწმუნოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ უძველეს ხანაში ქართველთა წინაპრებს, მსგავსად ასურელებისა და ქარანელებისა, მთვარე მთავარ ღვთაებად ჰყავდათ წარმოდგენილი. ამიტომაც ძველად თვე მთვარის სახელით იყო გადმოცემული: მეგრულ-ლაზურში დღესაც თუთა მთვარესაც აღნიშნავს და თვესაც, ამდენად, ძველი ქართულის თთუე თავიდან მთვარის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და შემდეგ – თვისა, მსგავსად ძველი ეგვიპტელებისა, რომლებიც თუთ, თოთ ფუძით მთვარის ღვთაებასაც აღნიშნავდნენ და თვესაც.¹ მაგრამ მას შემდეგ, რაც თთუე-მ დაკარგა მთვარის მნიშვნელობა, ამ უკანასკნელის ფუნქცია დაეკისრა ზოგადად მნათობის შინაარსის მიმღობური წარმოების მთოვარე სიტყვას.

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ გომად, გ. I, თბ., 1979, გვ. 173.

სამწუხაროდ, არავითარი ცნობა (წერილობითი თუ ზეპირი) არ მოიპოვება იმის თაობაზე, თუ როგორი იყო ძველად სახელწოდება მთვარის თევებისა და მათი თანმიმდევრობა წელიწადში, ან რომელი თვით იწყებოდა წელიწადი. კ. კეკელიძის აზრით, „მთვარის წელიწადი ძირითადად ჩვენშიაქ იმავე ბაბილონურ-სემური სისტემისა უნდა ყოფილიყო, როგორც ძველს ირანსა და სხვა ქვეყნებში. ის შემოსული უნდა იყოს ჩვენში მთვარის კულტ-თან ერთად ქარანიდან“¹.

შემდგომ წინა აზიასა და საქართველოშიც დაახლოებით ძვ. წელთაღ-რიცხვის V-I საუკუნეებში მთვარის წელიწადი შეუცვლია მზის წელიწადს. ამ წარმართული ხანის მზის კალენდრის თვეთა სახელები, საბედნიეროდ, არ დაკარგულა და ქრისტიანულ წერილობით ძეგლებში შემონახულია. ოღონდ ის კია, რომ VII საუკუნიდან ქართულში გზას იკაფავს და მკვიდრდება თვეთა რომაული სახელწოდებები და თანდათან დავიწყებას ეძლევა წარ-მართული ხანის თვეთა სახელები.

წარმართული ხანის მზის წელიწადი 6 აგვისტოს იწყებოდა. თვეთა სახ-ელწოდება და თანმიმდევრობა, კ.კეკელიძის გამოკვლევით, ასეთი იყო:

თვეთა რიგი	თვეთა ძველი სახელწოდება	თვეთა დასახვინი ახალი სახელწოდებით	თვეთა დასახრული ახალი სახელწოდებით
I	ახალწლისაჲ	6 აგვისტო	4 სექტემბერი
II	სთულისაჲ	5 სექტემბერი	4 ოქტომბერი
III	ტირისკანი	5 ოქტომბერი	3 ნოემბერი
IV	ტირისდინი	4 ნოემბერი	3 დეკემბერი
V	აპნისი	4 დეკემბერი	2 იანვარი
VI	სურწყნისი	3 იანვარი	1 თებერვალი
VII	მიპრაკანი	2 თებერვალი	3 მარტი
VIII	იგრიკა	4 მარტი	2 აპრილი
IX	ვარდობისაჲ	3 აპრილი	2 მაისი
X	მარიალი	3 მაისი	1 ივნისი
XI	თიბისაი	2 ივნისი	1 ივლისი
XII	ქუელთობისაჲ ეპაგომენები	2 ივლისი 1 აგვისტო	31 ივლისი 5 აგვისტო

თვეთა ძველ სახელწოდებათაგან ხუთია უეჭველი ქართული ეტი-მოლოგიისა:

1. ახალწლისაჲ (აგვისტო), წელიწადის I თვე, აგებულებით სომხური ნაეასარდ-ის ტიპისაა, შესატყვისია სპარს. ნავროზ-ისა („ახალი დღე“);
2. სთულსაჲ (სექტემბერი), წელიწადის II თვე, სთუელის ანუ რთუელის, ჳირნახულის მოწვევის თვე, სემანტიკურად სომხური ქალღუ თვის ფარდია.

¹ კ.კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი: ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 100.

3. პარლოზისაჲ (აპრილი), მეცხრე თვე წელიწადისა, ვარდის, ზოგადად ყუაეილის გამლის თვე, სხვაგვარად თვე ყუაეილობისაჲ (გამ., 34,18).
4. თიბისაჲ (ივნისი), წელიწადის მეთერთმეტე თვე, თიბის, მკის თვე.
5. ქექელიძის (ივლისი), წელიწადის ბოლო, მეთორმეტე თვე. კიქელიძის ამრით, ეს არის ირანული ფრადვარტ-ის ანუ ფარვარდინ-ის სემანტიკური ფარდი, ქვესკნულს მყოფთა დღესასწაულის თვე: ქუენუთობა→ქუელუთობა→ქუელთობა.¹

დანარჩენ თვეთა სახელწოდებანი უცხოურია, ირანული ან სომხური სამყაროდან შემოსული. ასეთ სახელწოდებათა ეტიმოლოგიისა კიქელიძე არსებითად ემყარება ფ. გინცელის (F. Ginzler) შრომას „Handbuch der mathematischen und technischen Chronologie“.

1. ანისი (დეკემბერი), წელიწადის მეხუთე თვე, არის ნაგენეგვიარი ფორმა აპან ფუძისა. აპან კი იგივეა, რაც ავესტური აპამ, ფალაური აჟან ან ახალსპარსული აბან და უკავშირდება წყლის, წყლიანობის შინაარსის სახელს.
2. იბრიკაჲ (მარტი), წელიწადის მერვე თვე. ძირეული ფორმაა იგრი, რომელიც სომხური არგე-ის მოდიფიკაციად მიიჩნევა (მ. ბროსეს, კ. კეკელიძის მიერ).²
3. მარინაჲ (მაისი), წელიწადის მეათე თვე, იგივეა, რაც სომხური მარერ თვის სახელწოდება.
4. მიარაპანი, მეკრაპანი (თებერვალი), წელიწადის მეშვიდე თვე. იგივეა, რაც სომხური მეკეკან.
5. სურნაჲ (იანვარი), წელიწადის მეექვსე თვე. კიქელიძის ახსნით, კომპოზიტ სურწყან-ის ნათ. ბრუნვის ფორმაა: ავესტური სურ („წყალი“) + წყან-ი, იგივე წყალი.³
6. ტირისკანი (ოქტომბერი), წელიწადის მესამე თვე. სიტყვის ძირეული ნაწილი ტირის არის ძვ. ირანული ტირის თვე (მდრ. ახალსპარსული ტირ, სომხ. ტრე), კან კი ასევე ირანული (სომხური) დაბოლოებაა (მდრ. მეკეკან).
7. ტირისკინი (ნოემბერი), წელიწადის მეოთხე თვე, სიტყვის ძირეული ნაწილი აქაც იგივეა, რაც ტირისკან-ში, ესაა ტირის. მეორე კინი ნაწილი არის ირანულივე დაბოლოება თვის სახელწოდებისა.⁴

თვეთა თანმიმდევრობა მოძრავი წელიწადის პირობებში სხვაგვარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად უნდა შემოედოთ ბიზანტიურ-რომაული უძრავი წელიწადი, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა თვეთა ეტიმოლოგიური მნიშვნელობების შეფარდება წლის სემონებისადმი, ოღონდ ქრისტიანობის შემოღების შემდეგაც კარგა ხანს

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი..., გვ. 103.

² კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

³ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101-102.

⁴ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

დარჩა აგვისტოს თვით დაწყებული წელიწადი, მაგრამ ამის პარალელურად შემოდის სექტემბრის წელიწადი (წელიწადის დაწყება 1-ლი სექტემბრიდან). ამ ორი სისტემის პარალელური არსებობით აიხსნება, რომ ზოგ საეკლესიო ძეგლში ამა თუ იმ თვის ქართული სახელწოდება ნახმარია ორი სხვადასხვა რომაული თვის ფარდად. VIII საუკუნიდან კი ქართულში თვეთა რომაული სახელწოდებები შემოდის.¹ IX ს.-ის დამდეგიდან X ს.-ის ბოლომდე შემოდის მარტის წელიწადი ქრონიკონის წელთაღრიცხვის შემოსვლასთან დაკავშირებით. X ს.-ის ბოლოდან უკვე რომაული კალენდრის რიგზე წელიწადს იანვრით იწყებდნენ. ეს ვითარება კარგად არის ასახული იოანე-ზოსიმეს კალენდარსა და მიქაელ მოდრეკილის იადგარში (წელიწადი იანვრიდან იწყება და დეკემბრით ამთავრებენ). ამდროინდელი ვითარებაა გადმოცემული ს. ორბელიანის ლექსიკონშიც: „თუჟე (თ)თვე. ერთი წელიწადი არს თთვე ათორბეტრი, ხოლო თთვენი რომელიმე ოცდა(ა)თი დღე არს და რომელიმე ოცდაათერთმეტი, ხოლო ფრებელი უნაკად ოცდარვა(ა) და ნაკით ოცდაცხრა. ქართულის ენით(ა) ეწოდებიან იანვარს აპანი, ფებერვალს – სურწყუნისი, მარტს(ა) – მირკანი, აპრილს(ა) – იგრიკა, მაისს(ა) – ვარდობისა, ივნისს(ა) – მარილისა, ივლისს(ა) – თიბისა, აგვისტოს – ქველთობისა, სექტემბერს – ახალწლისა, ოქტომბერს – სთელისა, ნოემბერს – აირისკნისი და დეკემბერს – აირისდენი“.²

თვეთა რომაული სახელწოდებანი ჩვენში VII-VIII საუკუნეებიდან იკედებს ფეხს. მაგრამ ვასაგები რომ იყოს ის შეუსაბამობა, რაც არსებობს რომაული კალენდრის ბოლო ოთხი თვის (სექტ., ოქტ., ნოემბ., დეკემბ.) სახელწოდებასა და წელიწადის ციკლში მათ რიგით ადგილს შორის, საჭიროდ ვთვლით მოკლე ცნობების მოყვანას რომაული კალენდრის ისტორიიდან (შეუსაბამობაა ის, რომ, ვთქვათ, დეკემბერი (ეტიმოლოგიურად მებათე თვე მზის კალენდარში მეთორმეტე თვეა).

ძველი რომაული კალენდარი მთვარისა იყო და წელიწადი 10 თვისა და 304 დღისაგან შედგებოდა. თავიდან ყველა თვეს სახელწოდებად რიგობითი რიცხვის სახელი ჰქონდა (პირველი, მეორე, ... მებათე), შემდგომ ზოგ თვეს ღვთაებათა სპეციალური სახელები დაერქვა: წელიწადის პირველ თვეს ომის ღმერთის მარსის (Mars) პატივსაცემად ეწოდა მარტიუსი (>მარტი) [Martius], მეორე თვეს – აპრილის (>აპრილი) [Aprilis] გამლა, გახსნა (ვაფურჩქენის) მნიშვნელობის aperio მზნისაგან, მესამე თვეს – მაიუს (>მაისი) [Maius] ქალღმერთ მაიას პატივსაცემად, მეოთხე თვეს – იუნიუსი (>ივნისი) [Junius] ქალღმერთ იუნონა-ს პატივსაცემად. დანარჩენ 6 თვეს შერჩა ძველი რიგითი

¹ V ს.-ის ძეგლში („შუმანიკის წამება“) ნახმარი რომაული სახელი თვისა „ოკლონბერი“ კ. კეკელიძეს სამართლიანად მიაჩნია გვიანდელ გლოსად, თავიდან აქ უნდა ყოფილიყო „სთულისაჲ“, როგორც ამას ადასტურებს ქართულისაგან მომდინარე სომხური ვრცელი რედაქციის იკითხვისი ქაღოც (რთველის თვე). თანაც, „შუმანიკის წამებაში“ სხვაგან თვეების ძველი ქართული სახელწოდებებია ნახმარი (აპნისი, ვარდობისაჲ) (კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი..., გვ. 120).

² ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი: თხზ., გ. IV, თბ., 1965, გვ. 308-309.

სახელწოდება. მეხუთე თვეს – ქვინტილის (quintilis, შდრ. quintus „მეხუთე“), მეექვსე თვეს – სექსტილის (sextilis, შდრ. sextus „მეექვსე“), მეშვიდე თვეს – სექტემბერ (september, შდრ. septem „შვიდი“), მერვე თვეს – ოქტომბერ (october, შდრ. octo „რვა“, ქართულ „ოქტომბერში“ მ განვითარებულია „ნოემბერ“ და „დეკემბერ“ ფორმათა ანალოგიით), მეცხრე თვეს – ნოვემბერ (november, შდრ. novem „ცხრა“), მეათე თვეს – დეკემბერ (december, შდრ. decem „ათი“).

რადგან ძველი რომაული 304 დღიანი კალენდარი არ შეესაბამებოდა არც მზისა და არც მთვარის წელიწადს, ძვ.წ. XII საუკუნეში ჩატარდა რეფორმა და წელიწადს დაემატა ორი თვე (XI და XII), რომლებსაც ეწოდა: იანუარიუს (Januarius), ღმერთ იანუსის პატივსაცემად, და ფებრუარიუს (Februarius) მიცვალებულთა ღმერთის პატივსაცემად, თვეთა დღეების რაოდენობა ასე მიიღეს: ოთხი თვე (მარტი, მაისი, ქვინტილის, ოქტომბერი) 31 დღიანი იყო, შვიდი თვე (აპრილი, ივნისი, სექსტილის, სექტემბერი-ი, ნოვემბერი-ი, დეკემბერი-ი და იანუარიუს) – 29 დღიანი, ერთი თვე კი (ფებრუარიუს) – 28 დღიანი, ე.ი. წელიწადის ხანგრძლივობა იყო 355 (31x4+29x7+28), რაც 10,25 დღით ნაკლები იყო მზის წელიწადთან შედარებით. ამის გამო დროთა განმავლობაში კალენდრის დღეები თანდათან შორდებოდა ბუნების მოვლენებს და რელიგიური დღესასწაული, რომელიც, ეთქვამთ, ზაფხულში იყო დაწესებული, გარკვეული ხნის შემდეგ გამთარში გადადიოდა. ამ უხერხულობის ასაცილებლად პერიოდულად მეცამეტე თვეც ემატებოდა. მაგრამ რეფორმა აუცილებელი იყო და მოხდა კიდევ: იულიუს კეისრის დაავალებით შექმნილმა კომისიამ აღექსანდრიელი ასტრონომის, სომიგენის, ხელმძღვანელობით 46 წელს (ძვ.წ.) წელიწადის ხანგრძლივობად მიიღო 365 დღე და 6 საათი. კალენდარი რომ პირდაპირ ამ ანგარიშით აეგოთ, წელიწადი დღე-ღამის სხვადასხვა საათებში უნდა დაეწყოთ. ამიგომ დაადგინეს: ყოველი 3 წელიწადი ყოფილიყო 365 დღიანი, ხოლო მეოთხე წელი – 366 დღიანი (6 საათი $3 \times 4 = 12$ საათს ანუ 1 დღე-ღამეს). ამ მეოთხე წლის 1 დღე დაემატა თებერვალს და 29 დღიანი გახდა. წელიწადის დასაწყისიდან მარტიუსის ნაცვლად იანუარიუსი იქნა მიღებული. რომის სენატმა ძველი კალენდრის მეხუთე თვეს ქვინტილისს იულიუს კეისრის პატივსაცემად იულიუსი (Julius) უწოდა. შემდგომ სახელი შეუცვალეს მეექვსე თვესაც – სექსტილს და იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის სახელი – ავგუსტუს (Augustus) უწოდა. იულიუსის კალენდარში დანარჩენმა თვეებმა (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოვემბერი, დეკემბერი) დაკარგეს თავიანთი ძველი რიცხვითი ანუ რიჯითი მნიშვნელობა (მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათისა) და აღნიშნეს წელიწადის მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე თვეები. 325 წ. ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებამ იულიუსის კალენდარი სავალდებულოდ ჩათვალა ქრისტიანული ქვეყნებისათვის და წელთაღრიცხვის საყრდენად, ამოსაყვლად ანუ

საწყისად „დასაბამითგანის“ ერა მიიღო, იულიუსის კალენდარი საქართველოში მოგვიანებით (VII¹ თუ X² საუკუნეში) იკიდებს ფეხს.

II. ისტორიული ქრონოლოგია. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხალხს მთიარის ან მზის კალენდარზე დაფუძნებული წელთაღრიცხვის საწყისად, წელთა ათელის საყრდენად განსხვავებული მოვლენები აუღია: დიდმნიშვნელოვანი, საზოგადო მნიშვნელობის ფაქტები, ისტორიული მოვლენები თუ დიდ, გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრებასთან დაკავშირებული მომენტები, ან კიდევ ამა თუ იმ რელიგიის შექმნაზე მონათხრობი ამბები (მაგალითად, რელიგიური მომენტი იყო ალებული წელთაღრიცხვის საყრდენად იუდეურ, მაჰმადიანურ და ქრისტიანულ ქვეყნებში).

ძველ საქართველოში, ისე როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, ცნობილი იყო წელთაღრიცხვის სამი სისტემა, სამი ერა: „დასაბამითგან“, „ქრონიკონით“ და „ქრისტესით“. მაგრამ ეს სისტემები გვიან, VIII საუკუნიდან შემოდის. მანამდე კი რაიმე მოვლენას ამა თუ იმ მეფის გახელმწიფებიდან ათვლით ათარიღებდნენ. მაგალითად, ბოლნისის სიონის დავით ეპისკოპოსის 494 წლის წარწერაში ეკლესიის მშენებლობის დრო დათარიღებულია პეროზის გამეფებიდან ათვლით: „[შეწვევითა წმიდისა სამებისაჲთა, ოქ[წ]ლისა პერო[ზ] მეფე[სა] ზე] [ვიწყე შენებაჲ] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლის[ა] შემდგომად] [განვასრულე. ვი]ნ აქჲ შინა თაყუანისსეუს, ლ[მერთმა]ნ შეიწყალენ. და ვინ ა[მის] [მ(ა) შ(მნებ(ე)ლსა ლ(ავე)თ ეპისკოპო[ს]სა ხულოცოს, იგიცა ლ[მერთმა]ნ შეიწყალ[ლ]ენ. [ი(ყავენ), ი(ყავენ)]“.³

იაკობ ცურტაველიც პეროზის გამეფებიდან რვა წლის შემდეგ მომხდარ ფაქტად წარმოგვიდგენს ვარსქენ პიტიახზის მისვლას სპარსეთის სამეფო კარზე: „იყო, მერვესა წელსა [პეროზ] სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახზში, ძმ არშუშაჲსი“, 11,5).⁴

„ვესტათი მცხეთელის წამებაში“ სპარსი გვირობანდაკის ქართლში მოსვლა ხუასროს გამეფებიდან მეათე წელს მომხდარ ფაქტადაა მიჩნეული: „წელსა მეათესა ხუასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზაპანობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით, სოფლისა არშაკეთისაჲ, ძმ მოგესაჲ...“ (30,5).⁵

¹ ვ. გუჩუა, ისტორიული ქრონოლოგია: საქ. სსრ მეცნ. აკად. „შაცნე“ (ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), N 1, 1971, გვ. 199-213.

² კ.კაკელიძე, ძველი ქართული წელიწადი..., გვ. 123.

³ ლაჰიდარული წარწერები, 1. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 66.

⁴ ხელნაწერებში მრ., მრ იკითხება. ჩანს, ქარაგმინი საკუთარი სახელი გვიანდელ გადაწერათათვის ბუნდოვანი იყო.

⁵ ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, თბ., 1963.

⁶ იქვე.

VIII საუკუნიდან საქართველოში პრაქტიკულად მკვიდრდება წელთაღრიცხვის შემოხსენებული სამი სისტემა და სამივე პარალელურად გამოიყენება: „„აბო გვილელის მარტილობაში“ მოვლენის დათარიღება გვერდიგვერდ ორი სისტემითაა მოცემული: „სუფეასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, წელიწადსა ვნებითან და მკურთხით აღდგომითან რეას ორმოცდა ექუსსა, მეფობისა კონსტანტინეოპლის, ქალაქსა მას დიდსა, ქრისტიანეთა ზედა კოსტანტინოსსა...“ დასაბამით გარდასრულთა ექუს ათას სამას ოთხმოც და ცხრასა წელსა, თუესა იანვარისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა, განცხადებასა, შევისწავეთ მარტულობაა წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილად მოლუაწისა აბომახი ქალაქსა გვილისს“ (63,3 - 12).¹

ადამის ოთხთავის თარიღი წელთაღრიცხვის სამივე სისტემითაა მოცემული: „დაიწერა წმიდაა ესე ოთხთავი დასაბამითან წელთა ხ^აჟა, ქრონიკონსა რ^ბ, მობითან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით წელთა ჩ^ა“.

საჭიროდ ვთვლით, მოკლედ გადმოვცეთ წელთაღრიცხვის იმ სისტემების არსი, რომლებიც მიღებული იყო ქრისტიანულ სამყაროში და, ცხადია, საქართველოშიც.

1. დასაბამიობან, ქრისტიანული რელიგიის მესვეურებმა წარმართობასთან ბრძოლაში შექმნეს თავიანთი საკუთარი ერა ბიბლიურ კოსმოგონიაზე დაყრდნობით, თითქოს მამაღმერთმა სამყარო შექმნა (ქვეყანა გააჩინა) და ალაში (აღამიანი) წარმოშვა იესო ქრისტეს დაბადებამდე 5500 წლის წინ. პირველად ეს მოიგონა იუდიის აფრიკელმა აბ.წ. III საუკუნეში. მაგრამ სხვადასხვა ქრისტიანულ ქვეყნებსა და თვით ამა თუ იმ ქვეყანას სხვადასხვა დროს წელთა სხვა რაოდენობა მიუღია ადამიდან ქრისტემდე გასულად. ცნობილია ამ სისტემის შემდეგი სახეები საყრდენი წელთა რაოდენობის მიხედვით: ეგეები ეესარიელისა – 5198 წელი, პანდორე ალექსანდრიელისა – 5492; VII საუკუნიდან ფეხს იკიდებს 5508 წლიანი ე.წ. ბიზანტიური სისტემა ანუ ერა. საქართველოში ეს უკანასკნელი სისტემა XI საუკუნემდე არ ჩანს გამოყენებული. მასზე ადრე ჩვენში პანდორეს 5492 წლიანი და იუდიის აფრიკელისა და ანიანე ალექსანდრიელის 5500 წლიანი სისტემა უხმარიათ. მაგრამ საქართველოში ყველაზე გავრცელებული იყო 5604 წლიანი ერა. თუ რატომ იყო ჩვენში ადამიდან ქრისტემდე გასულ დროდ 5604 წელი მიღებული, ან საიდან შეეძლოთ მათ ეს სისტემა შეეთვისებინათ, ეს დიდხანს დაუდგენელი იყო.

საგულისხმოა, რომ ალექსანდრიული, ბიზანტიური თუ პანდორეს სისტემისაგან წელთა რაოდენობით განსხვავებული 5604 წლიანი ქართული ერა საგონებელში აგდება ძველ მწიგნობრებს: X ს.-ის ცნობილი მწიგნობარი იოვანე-მოსიძე ქართულ ერას (პანდორეს სისტემასთან მიმართებით) მცდარად თვლიდა: „ას და ათორმეგითა წლითა წინაა თუალვენ ქართველნი ქრონიკონისა თავისა დაწყებასა ვისისაგანმე მოცთუნებითა“. ასევე

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I. თბ., 1963.

ფიქრობდა XIII ს.-ის მოღვაწე აბუსერიძე გბელი, როცა წერდა: „რამას მიზეზისათვის უმეტესთა წელთა თუალენ სოფლის დასაბამითგან ქართულნი? ... იგი სისულელისა ჩუენისათვის გასაგონებელად საჭირო უჩნდა წმიდათა ღმრთისათა...“¹

ადრე მკვლევართა უმეტესობას 5604 წელი „ქრონიკონის“ სისტემიდან გამოჰყავდა, რომ თითქოს 780 წელს გასრულებული იყო 12 532 წლიანი ციკლი (532x12=6384), ხოლო „ქეყენის გაჩენიდან“ (აღამიდან) ქრისტეს დაბადებამდე გასული იყო 6384-ს გამოკლებული 780 წელი, ე.ი. 6384-780=5604 წელი. მაგრამ კ. კეკელიძემ გაარკვია, რომ 5604 წლიანი ერა მომდინარეობდა ანდრია ბიზანტიელის პასქალურ-ქრონოლოგიური სისტემიდან და არა 532 წლიანი „ქრონიკონის“ ციკლიდან, რადგან ეს უკანასკნელი საერთოდ უფრო გვიან (VI ს.) არის შემოღებული, ვიდრე „დასაბამითგანი“ (III ს.). ანდრია ბიზანტიელმა მატიკის ანუ პასექის (აღდგომის) დღის გამოსაანგარიშებლად სომხებს IV ს.-ში შეუდგინა 200 წლიანი ტაბულა 19 წლიან მთვარის ციკლზე დამყარებით, რომელიც 353 წელს იწყებოდა და 552 წელს მთავრდებოდა. ერთ ანონიმურ სომხურ გრაქტაგში აღნიშნულია, რომ ანდრია ბიზანტიელმა დასაბამითგან ქრისტეს შობამდე თქვა 5600 წელი. კ. კეკელიძის აზრით,² დასაბამითგანის ანდრიასეულ 5600 წელსა და საქართველოში მიღებულ 5604 წელს შორის არსებული ოთხწლიანი სხვაობა ისტორიულად ასახსნელი და გასაგებია: ერთი შეხედულება ქრისტეს დაბადებას 4 წლით ადრე სდებდა, ვიდრე მეორე, უფრო მიღებული და შეწყნარებული. ანდრია სისტემა, რომელიც ქრისტეს დაბადების თარიღის I ვარიანტს ეყრდნობოდა, აღამიდან ქრისტეს დაბადებამდე 5600 წელს ითვლიდა; საქართველოშიც დასაბამითგანის წელთაღრიცხვის ანდრიასეული სისტემა უნდა შემოსულიყო IV საუკუნეში, რადგან საქართველო იმხანად სამხრეთთან ეკლესიურად მტკიცე კავშირში იყო. მოგვიანებით (VII ს.-დან) საქართველოსა და სომხეთის ეკლესიური განხეთქილების შემდეგ, ქართველები დასაბამითგან ქრისტეს დაბადებამდე გასული დროის თვლაში პირველი ვარიანტიდან (ანდრიასეული 5600 წლიანი სისტემიდან) მეორეზე (ქრისტეს დაბადებას რომ 4 წლით გვიან სდებდა) გადასულან და, ამდენად, 5604 წელი მიუღიათ. „დასაბამითგანის“ 5604 წლიანი სისტემა ძალიან გავრცელებული უნდა ყოფილიყო საქართველოში VII საუკუნიდან, თუმცა ის პირველად გამოყენებული ჩანს „აბო გვილელის მარტვილობაში“: „დასაბამით გარდასრულთა ექუს ათას სამას ოთხმოც და ცხრასა წელსა, თთუესა იანვარისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა, განცხადებასა, შევისწავეთ მარტულობაა წმიდისა და ნეტარისა... პაბოჲსი“. „დასაბამითგანით“ აქ დასახელებულ 6389 წელს თუ გამოვაკლებთ 5604-ს, მივიღებთ 785 წელს. „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ თარგმანის შემცველი უძველესი ქართული ხელნაწერის (H-2124) ანდერძში ნათქვამია: „დაიწერა ესე წმიდაა წიგნი იოვანე ოქროპირისაჲ ლაერასა შინა ძუელსა მამისა ჩუენისა ხარიტონ მოლუაწისასა და მოწამის-

¹ კ.კეკელიძე, აღმის ოთხთავის თარიღისათვის: ეტ., II, თბ., 1945, გვ. 336.

² კ.კეკელიძე, წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში..., გვ. 330.

ასა. დასაბამითგან წელნი იყენეს ხჯობ... (257v). ე.ი. ხელნაწერი გადაუწერიათ „დასაბამითგან“ 6572 წელს ანუ 6572-5604=968 წელს.

2. პრონიკონი ანუ ლიდი ინიკიონი. წელთაღრიცხვის ქრონიკონის (Χροικον „წლიური“, შდრ. χροος „ღრო“, „წელი“) სისტემა 532 წლიან ციკლს, პერიოდს ანუ მოქცევას ეფუძნება, წელთა ათელა 532-ს არ გადაცდება, კელავ თავიდან დაიწყება წელთა თელა. სომხური ისტორიული წყაროების მიხედვით, VI საუკუნის შუა წლებში (552 წ.), როცა დამთავრდა ანდრია ბიზანტიელის მიერ შედგენილი 200 წლიანი პასქალური ტაბულა (დაიწყო 353 წელს, დამთავრდა 552 წ.), საჭირო გამხდარა აღდგომის (პასქის) დღის დასადგენად მოწვეულიყო ქალექსანდრიაში (მოგი წყაროთი, ღვინში) 36 კაცისაგან შემდგარი კრება, რომელმაც შემოულიათ 532 წლიანი ციკლი, 532 წელს შემოღებული ეს პასქალური ციკლი ქართველ-სომეხთა ეკლესიური ერთიანობის გამო ქართლშიაც მიღებული უნდა ყოფილიყო. საიდანაა აღებული ქრონიკონის 532 წელი? – ესაა მშისა და მთეარის სრული მიმოქცევის წელთა ნამრაველი: 28 (მშის ციკლი) x 19 (მთეარის ციკლი) = 532. რას ნიშნავს მშის ან მთეარის ციკლი? ამის გასაგებად საჭიროა გათვალისწინებული იქნეს შემდეგი: ჩვეულებრივი მშის წელიწადი (365 დღიანი) არ შეიცავს კვირათა მთელ რიცხვს, მასში 52 კვირა და 1 დღეა ($52 \times 7 = 364 + 1 = 365$), ნაკიან წელიწადში კი – 52 კვირა და 2 დღე, ამის გამო მოცემული თვის რომელიმე რიცხვის კვირის დღე სხვადასხვა წლებში სხვადასხვა დღეებზე მოვა. ასე მონაცვლეობს კვირის დღეები 28 წლის მანძილზე და 28 წლის შემდეგ კვირის დღეების მონაცვლეობის თანმიმდევრობა შესჯად იმავე რიგით განმეორდება, როგორც 28 წლის წინათ იყო. ესაა მშის 28 წლიანი ციკლი. მთეარის ციკლი კი უდრის 19 წლიან პერიოდს. 19 წლის შემდეგ მთეარის ფაზები იმავე თანმიმდევრობით მეორდება, როგორც ეს იყო 19 წლის წინათ და თვის ერთსა და იმავე რიცხვებზე მოდის. თვის ეს რიცხვები კი ერთსა და იმავე დღეებზე მოდის 28 წლიანი ციკლის შემდეგ, რომ გავიგოთ, როგორ განმეორდება ისევე მთეარის ფაზები თვეების იმავე რიცხვებსა და კვირის იმავე დღეებზე, უნდა მონინახოს საერთო უმცირესი ჯერადი, რაც უდრის 28×19 , ე.ი. 532. ეს ნიშნავს: 532 წლის შემდეგ თვის ერთსა და იმავე რიცხვს შესაბამება კვირის ერთი და იგივე დღე და მთეარის ერთიდაიგივე ფაზა.

ძველ საქართველოში მიაჩნდათ, რომ ახ.წ.-ის 780 წელს თითქოს გასრულებული იყო 12 532 წლიანი ციკლი. ეს ასე იყო ნაანგარიშევი: დასაბამითგან ქრისტეს დაბადებამდე, როგორც ცნობილია, 5604 წელს ითელიდნენ. იმის გასაგებად, თუ რამდენი მოქცევა იყო გასული ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე, 5604 ჰყოფდნენ 532-ზე, რაც იძლეოდა 10 მოქცევასა და 284 წლის ნაშთს, ე.ი. გასულად თელიდნენ 10 მოქცევასა და მე-11 მოქცევის 284 წელს. მე-11 მოქცევა დამთავრდებოდა ახ.წ.-ის 248 წელს ($284 + 248 = 532$), ხლო მე-12 კი – 780 წელს ($248 + 532 = 780$).

ფიქრობენ, რომ საქართველოში წელთაღრიცხვის „ქრონიკონის“ სისტემა პრაქტიკაში შეიძლებოდა დამკვიდრებულიყო მე-13 მოქცევის დასაწყისი 780 წლის მახლობლად, „მერვე საუკუნის გასულს თუ მეცხრის

დამდეგს¹. ადრე ფიქრობდნენ, რომ ქართული „ქრონიკონის“ დაწყება 780 წლიდან დაკავშირებული იყო სხვადასხვა ისტორიულ მოვლენასთან. მ. ბროსესა და სხვების ამრით, საქართველოში „ქრონიკონის“ სისტემა მე-12 მოქცევის დასაწყისში, 248 წელს უნდა მიეღოთ (780-532=248), ე.ი. მაშინ, როცა რომაელებმა რომის დაარსების 1000 წელი იზეიმესო, მაგრამ რომის დაარსების 1000 წლისთავი წელთაღრიცხვის საფუძველად არ გამხდარა დასავლეთში და არც საქართველოში. ზოგი მკვლევრის ამრით, „ქრონიკონის“ დასაწყისად 780 წლის მიღება თითქო დაკავშირებული იყო ბაგრატიონთა დინასტიის დამყარებასთან, კერძოდ, ამოტ კურაპალატის გამეფებასთან. მაგრამ, როგორც შემოთ აღინიშნა, „ქრონიკონის“ 532 წლიანი ერა ქრისტიანულია და აღდგომის დღის გამოანგარიშების საჭიროებისათვის არის შემოღებული. რეალურად „ქრონიკონის“ სისტემის გამოყენება მე-9 საუკუნისა და მის აქეთა ხანის ძეგლებშია დადასტურებული. ატენის სიონის ტაძრის 853 წლის წარწერაში გამოყენებულია „ქრონიკონის“ სისტემა (პიჯრასთან ერთად): „თუესა აგუსტოსსა ე-სა, დღესა შაბათსა, ქრონიკონსა ო-კ-სა, ი(სმაიკელთა) წელსა სლ-თ-სა, ქალაქი გჳილისი დაწუა ბუღა...“; ე.ი. ეს აშბავი მომხდარა „ქრონიკონის“ 73-ე წელს, იგულისხმება მე-13 მოქცევისა. მეცამეტე მოქცევა კი დაიწყო 780 წელს. თუ მას მიუმატებთ 73-ს, მივიღებთ ზუსტ თარიღს (780+73=853). „ქრონიკონის“ სისტემა გამოყენებულია 897 წლის აღმის ოთხთავში („დასაბამითგანისა“ და „ქრისტისითი“ სისტემების გვერდით): „დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დასაბამითგან წელთა ხ-ჟა, ქრონიკონსა რი-შ...“; ე.ი. ხელნაწერი შექმნილა დასაბამითგან 6501 წელს, ანუ 6501-5604=897 წელს. ამავე თარიღს იძლევა ქრონიკონის 117 (რი-შ) წელი: 780+117=897 წელს.

სუმბატ დავითის ძის თხზულებაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ ამოტ კურაპალატის მოკვლის თარიღი მოცემულია „დასაბამითგანისა“ და „ქრონიკონის“ სისტემებით და ორივე იძლევა 826 წელს: „მოიკლა ესე ამოტ კურაპალატი დასაბამითგან წელთა ხ-ღ, ქრონიკონსა მეთათამეტელ მოქცეულსა შინა შ-კ, თუესა იანვარსა ოქდაცხრასა“² დასაბამითგანის 6430-ს (ხ-ღ-ს) გამოკლებული საყრდენი 5604 იძლევა 826 წელს. ამავე წელს იძლევა ქრონიკონის 46-ის მიმატება მე-13 მოქცევის დასაწყის 780-თან (780+48=826). დათარიღება იმითაცაა საინტერესო, რომ აქ კონკრეტული მითითებაა მოქცევაზე (მე-13 მოქცევაზე), რაც, ჩვეულებრივ, იშვიათობას წარმოადგენს. სხვათა შორის, მე-13 მოქცევა ნახსენებია 973 წელს გადაწერილ პარხლის ოთხთავის ანდერძშიც: დაიწერა დასაბამითგან წელთა ხ-ღ-ომ, ქრონიკონი იყო. მეცამეტედ ქცეული რ-ქ-კ. ორივე სისტემით გადაწერის თარიღია 973 წელი: ა) 6577 (ხ-ღ-ომ) – 5604=973; ბ) 780+193 (რუ-შ) = 973. ძველ საქართველოში „ქრონიკონის“ სისტემით დათარიღებული მოვლენები მეტწილად მე-13 მოქცევას ეკუთვნის (დაიწყო 781 წელს), ან მე-14 მოქცევას (დაიწყო 1313 წელს; 780+532=1312).

¹ კაკეელიძე, წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში..., გვ. 332.

² ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 377.

3. ქრისტესწილად. წელთაღრიცხვის ეს სისტემა ამოსავლად, საწყისად იღებს ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებულ მოვლენებს (მის შობა-დაბადებას, ენება-ჯვარცმას ან ზეცად ამაღლებას). ესაა ახალი ქრისტიანული ერა, ე.წ. ჩენი წელთაღრიცხვა. ის შემოღებულია გვიან, VI საუკუნეში, 525 წელს დასავლეთ ევროპაში ღიონისე მცირის მიერ. 532 წელი არის პირველი თარიღი „ქრისტესწილად“, რომელიც ღიონისეს ეკუთვნის, ოფიციალურ დოკუმენტებში კი ის ფიქსირებულია 742 წლიდან, საყოველთაო ხმარება კი X საუკუნიდან ხდება. საქართველოში „ქრისტესწილად“ სისტემის გამოყენების შემთხვევა VIII საუკუნეზე უადრეს არ არის დადასტურებული, პირველად „ჰაბო ტფილელის მარტილობაშია“ გამოყენებული: „სუფევასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, წელიწადსა ენებითგან და მკუდრეთით აღდგომითგან რვაას ორმოც და ექუსსა... შევისწავეთ მარტულობაა წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილად მოღუაწისა ჰაბომსი ქალაქსა ტფილისს“ (63,3-12).¹

„ქრისტესწილად“ წელთაღრიცხვის სისტემა ნახმარია აღიშნის ოთხთავის ანდერძში „დასაბამითგანისა“ და „ქრონიკონის“ სისტემების გვერდით: „დაიწერა წმიდამ ესე ოთხთავი დასაბამითგან წელთა ხჟა, ქრონიკონსა რიზ, შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესწილად წელთა ჩა“. ამ სამი დათარიღებიდან პირველი ორი 897 წელს იძლევა (ა. 6501-5604=897; ბ. 780+117=897), მაგრამ მესამე (ქრისტესწილად) – 1001 (ჩა) წელს. მკვლევართ (აღ. ხახანაშვილს, ექ. თაყაიშვილს, ნ. მარს) საგონებელში აგდებდა ამ დათარიღებათა შეუთანხმებლობა, მიუხედავად პირველ თარიღს (897 წ.) თელიდა სწორად, ზოგიც – მეორეს (1001 წელს). მაგრამ კ. კეკელიძემ დამაჯერებლად ეხადყო, რომ სამივე დათარიღება 897 წელს იძლევა.² საქმე შემდეგშია: ქეყენის გაჩენიდან ქრისტეს შობამდე გასულ წელთა რაოდენობა, როგორც შემოთ აღვნიშნეთ, განსხვავებული იყო: 5500 (ალექსანდრიული), 5508 (ბიზანტიური), 5492 (პანდორესი), 5604 (საქართველოში მიღებული). ქართული 5604 წლიანი ერა წინა სამ ერასთან შედარებით წინ ითელის: 104 წელს (5604-5500=104), 96-ს წელს (5604-5508=96) ან 112 წელს (5604-5500=112), ძველ საქართველოში 5604 წლიან ერასთან ერთად (არც თუ ხშირად) გამოიყენებოდა ბიზანტიური, ალექსანდრიული და პანდორეს ერა. აღიშნის ოთხთავის „ქრისტესწილად“ დათარიღების 1001 წელი ადამიდან ქრისტეს შობამდე გასულად ალექსანდრიული სისტემისებრ 5500 წელს გულისხმობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ალექსანდრიულ სისტემასთან შედარებით ქართული 5604 წლიანი ერა 104 წლის განსხვავებას გვაძლევს, საკმარისია ეს 104 წელი გამოეკლოთ 1001-ს და მივიღებთ ხელნაწერის გადაწერის იმავე თარიღს, რაც „დასაბამითგანი“ და „ქრონიკონის“ სისტემებით იყო: 1001-104=897. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელნაწერის გადაწერის ეამს გასული ყოფილა ქეყენის გაჩენიდან 5500 (ალექსანდრიული ერა) + 1001, ე.ი. 6501 წელი, როგორც ეს აღნიშნულია ანდერძში („დასაბამითგან ხჟა“ 6501-ს). თუ

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963.

² კეკელიძე, აღიშნის ოთხთავის თარიღისათვის: ეგ., II, თბ., 1945, გვ. 335-338.

ამ 6501-ს გამოვაკლებთ საქართველოში მიღებული სისტემის 5604-ს, იმავე 897 წელს მივიღებთ (6501-5604=897).

4. ისმაიტილთა (სარკინოზთა) ნელთაღრიცხვა (პიჯრა). არაბულ და საერთოდ მაჰმადიანურ სამყაროს წელთაღრიცხვის დასაწყისად, საყრდენად აღებული პქონდა მუსლიმანური რელიგიის დამაარსებლის მუჰამედის მექიდან გაქცევისა და წინასწარმეტყველად მოვლინების დრო, 622 წელი, 16 ივლისი. მაჰმადიანური ერა, ე.წ. პიჯრა (ნიშნავს „გაქცევას“), წელთა ათვლას სწორედ 622 წლიდან იწყებს. მუსლიმანური კალენდარი მთვარის კალენდარია და წელიწადში შეიცავს 354 დღეს, ე.ი. 11 დღით ნაკლებს მზის კალენდართან (იულიუსის კალენდართან) შედარებით. ეს 11 დღიანი განსხვავება 33 წლის განმავლობაში 363 დღეს, ე.ი. დაახლოებით 1 წელიწადს იძლევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიჯრის 33 წელი უდრის ქრისტიანული (იულიუსის) მზის კალენდრის 32 წელს, ხოლო პიჯრის 1 წელი უდრის 32-33 წელს. პიჯრის სისტემით დათარიღების გადასაყვანად ქრისტიანულ მზის კალენდრისაზე არსებობს გარკვეული ფორმულა:

$$X = \frac{N \times 32}{33} + 622$$

სადაც X აღნიშნავს ქრისტიანულ ერას, N-მუსლიმანური, პიჯრის სისტემით მოცემულ წელთა რაოდენობას, 622 კი – პიჯრის საწყის, საყრდენ წელს.

VIII-IX საუკუნეების ეპიგრაფიკულ ძეგლებში, რომლებიც დაცულია აღმ. საქართველოში (სადაც არაბთა პოლიტიკური გავლენა საგრძნობი იყო), წელთაღრიცხვის ქრისტიანული სისტემების გვერდით გამოყენებულია სარკინოზთა ანუ ისმაიტილთა (ე.ი. პიჯრის) ერა. ამ მხრივ გამოირჩევა ატენის სიონის წარწერები. ერთ-ერთი წარწერა 853 წლისა მოგვითხრობს ბუღას მიერ ქთბილისის აოხრება-გადაწვის ამბავს: „თთუესა აგუსტოსსა ე-სა, დღესა შაბათსა, ქრონიკონსა რ-გ-სა, ისმაიტილთა წელსა ს-ლ-თ-სა, ქალაქი ტფილისი დაწუა ბუღა და შეიპყრა ამირაჲ საპაკ და მოკლა. და მასეე თთუესა აგუსტოსსა კ-კ-სა, დღესა შაბათსაეე, გირაქ შეიპყრა კახაჲ და ძმ მისი თარკუჯი“. მაშასადამე, თბილისის აოხრება მომხდარა ქრონიკონის 73-ე (ო-გ-სა) წელს ანუ 780+73=853 წელს, ხოლო ისმაიტილთა (პიჯრის) სისტემით კი – 239 (ს-ლ-თ) წელს. ოღონდ ისმაიტილთა ერის დასაწყის 622-ს მიმატებული 239 გეაძლევეს 861 წელს (და არა 853 წელს). ეს სხვაობა მოიხსნება, თუ პიჯრით მოცემულ წელთა რაოდენობას ქრისტიანულ წელთაღრიცხვაზე გადმოვიყვანთ შემოთდასახელებული ფორმულით: 239-ს ვამრავლებთ 32-ზე და ნამრავლს ვყოფთ 33-ზე, მიღებულ რიცხვს ვუმატებთ ისმაიტილთა ერის დასაწყის 622 წელს:

$$\frac{239 \times 32}{33} + 622 = \frac{7648}{33} + 622 = 231 + 622 = 853$$

ატენის სიონში დაცულია უძველესი (837 წ.) ნუსხური წარწერა დედოფალ გუარამავრისა, რომელშიც დათარიღებულია დედოფლის აღსასრული წელთაღრიცხვის ქრონიკონისა და სარკინოზთა (ე.ი. პიჯრის) სისტემებით:

„ბრძანებითა ღმრთისაჲთა, თუესა ნოვენბერსა თოთხმეტსა, ღლესა ოთხმა-
ბათსა, ეამსა ღამისასა, სარკინოზთა წელსა სკგ-სა, ქრონიკონსა ნზ აღეს-
რულა კურთხეული ღედოფალი გუარამაერი“...

ორივე სისტემის დათარიღება შემდეგ წელს იძლევა: ა) $780+57(6^8)=837$;
ბ) $223 \times 32:33+622 = 7136:33+622 = 216+622 = 838$, მაგრამ თუ წარწერაში სკგ-ს
აღვლილს სკბ (222-ს) წაეკითხავთ, აქაც 837 წელს მივიღებთ.

საყურადღებოა, რომ ატენის სიონის სტეფანოზ მამულის ფრესკულ
წარწერაში მამულის გარდაცვალების თარიღი მხოლოდ სარკინოზთა (ე.ი.
პიჯრის) სისტემით არის წარმოდგენილი: „(მეობა)სა ღმრთიეკურგუნ(ოსნისა)
არჩილის კეთილად მსახურისა მეფ(ისა) ჩუენისასა, კელმწიფობასა
(სა)რკინოზთასა რკა, აღესრულა კურთხეული მამუალი სტეფანოზ ღმრთისა
მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი...“¹
მამასადამე, სტეფანოზი გარდაცვლილა პიჯრის 121 (რკა) წელს,
ანუ: $121 \times 32:33+622=117+622=739$ წელს.

ლიტერატურა

